ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გ. წერეთლის
აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

ფერეიდნული ქრონიკები

(პრესისა და არქივის მასალები
ირანში მცხოვრები ქართველების შესახებ)

ლია ბაკურაძე
მარინა ბერიძე
ნიკოლოზ ნახუცრიშვილი
ელენე ნაპირელი
მაია ბარიხაშვილი

თბილისი
2020

ფერეიდნული ქრონიკები
(პრესისა და არქივის მასალები ირანში მცხოვრები ქართველების შესახებ)

Fereydani Chronicles
(Press and Archival Materials Regarding Georgians Residing in Iran)

ლია ბაკურაძე, მარინა ბერიძე, ნიკოლოზ ნახუცრიშვილი,
ელენე ნაპირელი, მაია ბარიხაშვილი

Lia Bakuradze, Marina Beridze, Nikoloz Nakhutsrishvili,
Elene Napireli, Maia Barikhashvili

ეს ნაშრომი არის შედეგი პროექტისა „ირანის ქართველობა ისტორიულ სამშობლოსთან რეინტეგრაციის გზაზე“. პროექტი განხორციელდა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით, საგრანტო პროგრამის, „დიასპორული ინიციატივების ხელშეწყობა“ – ფარგლებში.

რედაქტორი ნიკოლოზ ნახუცრიშვილი

დამკაბადონებელი მაკა ცომაია

გამომცემლობა „მერიდიანი“

© ლია ბაკურაძე, მარინა ბერიძე, ნიკოლოზ ნახუცრიშვილი

ISBN 978-9941-25-841-1

სამასი წელია

ფერეიდანის მიწას ვხნავ, აგერ სამასი წელია.
აგერ სამასი წელია ბედი ამგვარი მწერია.
გამხმარი ფიქრი ჩავთესე, ხმელი ხორბალიც ერია.
ამობიბინდა, ჯეჯილის თავთავი გადამერია.
ფიქრების ამომწვანების, ვაჰ, სული გადამერია.
მაინც ვხნავ ფერეიდანის მიწას სამასი წელია“

ლადო სულაბერიძე

წინასიტყვაობა

საუკუნეების წინ საქართველოდან სპარსეთში იძულებით გადასახლებული ქართველების შთამომავლები დღესაც ცხოვრობენ ირანის ისლამური რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხეში.

რა ვიცოდით და რა ვიცით ახლა მათ შესახებ საქართველოში?

ამ მარტივ კითხვაზე პასუხად გვახსენდება მოკლე ფრაზები: „აჰყარეს“. „გადაასახლეს“, „სპარსეთში დაასახლეს“. კითხვაზე: საიდან აჰყარეს? – უმრავლესობა უცილობლად კახეთს მიუთითებს, ზოგი შაჰ-აბასს გაიხსენებს, როგორც ამ მოვლენების „შემოქმედს“ და სპარსეთში დასახლების ადგილად ფერეიდანს დაასახელებს.

რა თქმა უნდა, არც შეცდებიან, თუმცა ეს იქნება მხოლოდ დიდი სურათის პატარა ფრაგმენტი. გადასახლების მასშტაბები გაცილებით დიდია და რეალობა სხვაგვარი: მხოლოდ კახეთი არ არის ის კუთხე, საიდანაც აჰყარეს ქართველები, არც მხოლოდ შაჰ-აბასის კისერზეა ეს ცოდვა და, რა თქმა უნდა, არც ფერეიდანია ის ერთადერთი ადგილი სპარსეთში, სადაც ქართველები დასახლეს და სადაც დღესაც ცხოვრობს დაახლოებით 400 წლის წინ გადასახლებული ქართველების შთამომავლობა.

„ფერეიდნულ ქრონიკებში“ თავმოყრილია ქართულ პრესასა და არქივებში დაცული ინფორმაცია ირანში მცხოვრები ქართველების შესახებ. ამ ცნობებს ვხვდებით მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან. ყველაზე ბოლო წერილი, რომელიც ქვეყნდება ამ კრებულში, 1980 წელსაა დაწერილი. ეს მიჯნა შემთხვევით არ გაგვივლია. ჩვენი მიზანი იყო გვეჩვენებინა ის პროცესი, თუ როგორ ცოცხლდებოდა ქართულ საზოგადოებაში სპარსეთში გადასახლებულთა თემა, როგორი აქტუალური ხდებოდა ის თანდათან, როგორ აღვივებდა ეს საკითხი ეროვნული თვითშეგნების იდეას, დაბოლოს, როგორ ვითარდებოდა მოვლენები, რა სახის დამოკიდებულება და მხარდაჭერა ჩანდა სახელმწიფოსგან: მეცხრამეტე საუკუნის რუსულ იმპერიაში შემავალი საქართველოს მმართველებისგან და საბჭოთა კავშირში გაერთიანებული საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის პარტიული და ალმასრულებელი ხელისუფლების ხელმძღვანელობისგან. ასე მოვედით ფერეიდნელ ქართველთა საქართველოში რეპატრიაციის პერიოდამდე.

საბჭოეთის დაშლის შემდგომ უკვე დამოუკიდებელი საქართველოსა და ირანის ისლამურ რესპუბლიკას შორის პირდაპირი ურთიერთობების დამყარების პირობებში, ირანში მცხოვრებ ქართველთა თემა ცალკე კვლევის საგანია.

ეს კრებული დოკუმენტური ქრონიკაა ირანში გადასახლებული ქართველების ბედის, ისტორიისა და ყოფის შესახებ, ქრონიკა, რომელშიც მხოლოდ რეალური, დოკუმენტურად არსებული ფაქტებია შესული.

კრებულში თავმოყრილი ინფორმაცია შეიძლება ამსხვრევდეს კიდეც ზოგიერთ მიოს, იმ სტერეოტიპებს, რომლებიც საზოგადოებაში ჩამოყალიბდა. შეიძლება გარკვეული მოვლენები, ბევრისთვის ცნობილი ფაქტები სხვა კუთხითაც წარმოჩნდეს და, რბილად რომ ვთქვათ, მიუღებელი იყოს ზოგიერთი ჯგუფისა თუ ინდივიდისათვის.

ჩვენ მხოლოდ ვაქვეყნებთ ჟურნალებსა და გაზეთებში გამოქვეყნებულ სტატიებს, ამონარიდებს მოგონებებიდან, ძველი წიგნებიდან, არქივებში დაცულ დოკუმენტებს. ისინი გარკვეულ წარმოდგენას შეუქმნის მკითხველს ირანში მცხოვრები ქართველების ბედსა და ყოფაზე.

დღეს ვერავინ წარმოიდგენს, რომ ძალიან დიდი ხნის განმავლობაში საქართველოში ძალიან მწირი იყო ცოდნა სპარსეთში მცხოვრები ქართველების შესახებ. ქართული ისტორიული ქრონიკები მკითხველებს მხოლოდ ახსენებდნენ, რომ ოდესღაც აჰყარეს და წაასხეს ბევრნი საქართველოდან. იმ დროისთვის სხვა, ახალი ინფორმაცია გადასახლებული ქართველების შთამომავლების შესახებ, ფაქტობრივად, არ არსებობდა. ქრონიკებთან წვდომაც, ბუნებრივია, ყველას არ ჰქონდა, მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის დავიწყებას მიეცა კონკრეტული ფაქტები. კოლექტიურ მეხსიერებას დარჩა მხოლოდ „ამბავი დიდი გადასახლებისა“.

დიდი ინფორმაციული სიცარიელის ამოვსება დაიწყო მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან. ჟურნალ „მნათობის“ 1871 წლის მე-6 ნომერში დაიბეჭდა გაგრძელება ნიკო ცხვედაძის სტატიისა: „მისვლა მოსვლა რუსეთსა და საქართველოს შორის“, რომელშიც სპარსეთში მცხოვრები ქართველების შესახებაც არის საუბარი: „სწერენ, რომ დღევანდლამდის ისპაღანის ახლოს ბევრი სოფელია ქართველებისა და სომხებისა, რომელთაც თუმცა დაუკარგავთ ქრისტიანობითი სარწმუნოება, მაგრამ დაუცავთ თავიანთი წინაპრების ენა. სტატიის ბოლოს თარიღად მიწერილი აქვს „1868 წლის 28 ივნისი, მოსკოვი“. რა წყაროს ეყრდნობა ნიკო ცხვედაძე, სამწუხაროდ, არ ჩანს. ჩვენ შეგვიძლია ეს ცნობა მივიჩნიოთ მეცხრამეტე საუკუნის ქართულ პრესაში პირველ მცირე ინფორმაციად სპარსეთში მცხოვრები ქართველების შესახებ.

1871 წელი გარდატეხის წლად იქცა. სწორედ ამ წელს ჩამოვიდა სპარსეთიდან საქართველოში გადასახლებულ ქართველთა შთამომავალი, ათამ ონიკაშვილი. ის ფერეიდნელი ქართველი იყო, თუმცა, ბოლო წლებში თეირანში ცხოვრობდა. მისმა ჩამოსვლამ, ფაქტობრივად, გაუცოცხლა ქართველ ხალხს ის მშრალი, კოლექტიურ მეხსიერებას შემორჩენილი მწირი ინფორმაცია – „ამბავი დიდი გადასახლებისა“. ახლა მათ წინაშე ისტორიისგან განაჩენგამოტანილი, თავის სამშობლოს მოწყვეტილ იმ ქართველთა შთამომავალი წარსდგა, რომლებმაც ამ უსამართლო „განაჩენსაც“ გაუძლეს, უცხო ქვეყანაში ასიმილირების კანონზომიერ პროცესს დაუპირისპირეს

საკუთარი ეთნიკური კუთვნილება და მშობლიური ენა ამ იდენტობის ნიშნად შეინარჩუნეს.

სწორედ აქედან ჩნდება ქართულ პრესაში ინფორმაცია სპარსელ ქართველებზე. გამოქვეყნებული სტატიები ეყრდნობა ათამ ონიკაშვილის ნაამბობს, სომხურ გაზეთებში დაბეჭდილ წერილებს, სპარსეთში მცხოვრები სხვა ქართველების მონათხრობს...

გაძლიერდა საზოგადოების ინტერესი ამ ისტორიული ფაქტების მიმართ. გაჩნდა სურვილი მეტი გაეგოთ სპარსეთში მცხოვრები ქართველების ბედზე. მართლაც, გამოქვეყნდა სტატიები, რომლებშიც გადმოცემული იყო ისტორიული ცნობები ქართველთა გადასახლების შესახებ: იტალიელი მისიონერის, პიეტრო დელა ვალეს წერილის თარგმანი პაპ ურბანუს მერვისადმი, ასევე სომეხი ისტორიკოსის, არაქელ დავრიჟეცის ცნობები და სხვ.

დაიწყეს თბილისში გამომავალი სომხური გაზეთებიდან იმ ინფორმაციის გადმოტანა, რომლებიც სპარსელ ქართველებს ეხებოდა. მოიძიეს სპარსეთში მოღვაწე კათოლიკე და მართლმადიდებელი ქართველი სასულიერო პირების ცნობებიც ამ საკითხებზე.

1895 წელს დაიბეჭდა ზაქარია ჭიჭინაძის „წიგნი ქართველები სპარსეთში და საქართველოში მოსული სპარსელი ქართველი ათამ ონიკაშვილი“...

კრებულში შეტანილი მასალა დალაგებულია ქრონოლოგიურად. კრებული იწყება ამონარიდით ნიკო ცხვედაძის ზემოხსენებული სტატიიდან (1871 წ., ჟურნალი "მნათობი' N6) და სრულდება სტატიებით, რომლებიც აღწერენ ვითარებას მეოცე საუკუნის 80-იან წლების დასწყისამდე.

პირობითად ჩვენს წიგნს შეიძლება ვუწოდოთ „დიდი და პატარა საქართველოს ურთიერთობის ისტორია“... ძირითადი ნაწილი ეთმობა ფერეიდანს და ფერეიდნელი ქართველების თემას, თუმცა ზოგი საგაზეთო სტატია ირანის სხვა რეგიონში მცხოვრებ ქართველებსაც ეხება.

ამ წიგნში გამოქვეყნებული მასალა, ფაქტობრივად, ერთი დიდი ამბის თანმიმდევრულ ჯაჭვად ლაგდება, თითოეული ნაწილს თავისი განვითარების ლოგიკური ხაზი აქვს – ერთ სიუჟეტად იკვრება რამდენიმე დოკუმენტი თუ სტატია...

მეცხრამეტე საუკუნის ცნობები ინფორმატიული და სენტიმენტალურია, თუმცა ამ სენტიმენტებს და სხვათა ნაამბობის წარმოსახვაში გათამაშებას ლადო ალნიაშვილმა რეალობა არჩია და 1894 წელს წავიდა სპარსეთში იქაური ქართველების სანახავად.

მეოცე საუკუნის დასწყისისთვის ეს მუხტი საზოგადოებაში ნარჩუნდება და ამ ფონზე ფერეიდნელების საქართველოში ჩამოსვლა უფრო ძლიერ გავლენას ახდენს მოსახლეობაზე... 1907 წელს საქართველოში ჩამოდიან ფერეიდნიდან ყოლამჰუსეინ ხუციშვილი და ყოლამრეზა ონიკაშვილი. ფერეიდნელთა მასპინძელია სოციალ-ფედერალისტური პარტია, ისინი დაჰყავთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში და აცნობენ მოსახლეობას, უღვიებენ ეროვნულ შეგრძნებებს. ასწავლიან ქართულად

წერას და კითხვას. ამზადებენ ფერეიდანში ქართველთა შორის განათლების გამავრცელებლად. თუმცა, როცა საარქივო მასალას გავეცნობით, აღმოვაჩენთ მათი ჩამოსვლის სხვა მიზეზებსაც. ეს რევოლუციური იდეებია. ფერეიდნელებმა კონკრეტული დავალებაც ჩამოიტანეს სპარსეთში რევოლუციონერთა ბელადების, ბაყერხანისა და სათარხანისაგან... ამას კი მოჰყვა ყოლამრეზა ხუციშვილის მოულოდნელი და მართლაც ეჭვის აღმძვრელი სიკვდილი თეირანში 1907 წელს. მოგვიანებით კი, 1917 წელს სხვა ცნობა გვაუწყებს ყოლამჰუსეინ ონიკაშვილის, როგორც რევოლუციონერის, სიკვდილით დასჯას.

1908 წელს ფერეიდნელი ქართველები ესწრებიან აკაკი წერეთლის იუბილეს და მისალოც სიტყვასაც წარმოთქვამენ.

არანაკლებ საინტერესო იყო მეოცე საუკუნის ოციანი წლები, სეიფოლა იოსელიანის ჩამოსვლა საქართველოში და ამბაკო ჭელიძის სტუმრობა ფერეიდანში, ფერეიდნელ ქართველებთან. ისევ განახლდა კავშირები... ამჯერად შეიქმნა მუსლიმ ქართველთა კულტურული დამხმარე საზოგადოება და თითქოს გამოიკვეთა სახელმწიფოს ინტერესიც. მათი მიზანი ფერეიდანში სკოლის გახსნა იყო. ამბაკო ჭელიძე იქ, სპარსეთში, აკეთებდა ყველაფერს ქართველების დასახმარებლად, თუმცა გრძნობდა, რომ არ ჰქონდა დიდი მხარდაჭერა, წინააღმდეგობის დიდი კედელი იყო აღმართული მის წინ, თუმცა საიდან და რატომ – ვერ ხვდებოდა. შეიძლება ხვდებოდა კიდეც, მაგრამ მის ჩანაწერებში ეს არ ჩანს. კვლავ იმედგაცრუება, – სახელმწიფო დიდად ვერ დაეხმარა იქაურ ქართველებს და ურთიერთობის მთელი სიმძიმე გადაიტანა საზოგადოებაზე – ეს უკვე საბჭოთა საქართველოა.

ორმოციან წლებში ისევ ამუშავდა სახელმწიფო მანქანა, დაიწყო ზრუნვა ფერეიდნელებზე, აქაც დიდი პოლიტიკის ჭრილშია განსახილველი ეს მოძრაობა. ერთი მხრივ, სახელმწიფო ცდილობდა ფერეიდანში მცხოვრები ქართველების მხარდაჭერასა და ეთნიკური კუთვნილების შეგრძნების გაძლიერებას, მეორე მხრივ კი, დაიწყო მათი ჩამოსახლების საკითხის მომზადება... თუმცა ამჯერადაც შეჩერდა ეს პროცესი.

სამოციან წლებში კვლავ გაჩნდა ინტერესი ფერეიდნელთა მიმართ სახელმწიფო დონეზე. ეს ხაზი მიზანმიმართულად ვითარდებოდა წლების განმავლობაში, სანამ არ დამთავრდა ფერეიდნელ ქართველთა რამდენიმე ოჯახის ჩამოსახლებით.

ამ ეტაპზე კრებულში შეგვაქვს მხოლოდ საქართველოში არსებული მასალა ერთი გამონაკლისის გარდა – ესაა იური მარის სტატიები ფერეიდნელი ქართველების მეტყველებისა და ფოლკლორის შესახებ. ეს სტატიები დაიბეჭდა ლენინგრადში. ვფიქრობთ, ამ სტატიების გამოქვეყნება მნიშვნელოვანია ქართული სამეცნიერო წრისათვის.

კრებულს თან ახლავს ინფორმაცია პრესის შესახებ, რომელ პოლიტიკურ ორგანოს ეკუთვნოდა ესა თუ ის გაზეთი თუ ჟურნალი, რომელშიც დაბეჭდილი იყო წერილები სპარსეთში მცხოვრებ ქართველებზე. ეს უფრო თვალნათელს ხდის, რომელი

საზოგადოებრივი თუ პოლიტიკური ჯგუფი იყო დაინტერესებული ამ საკითხებით და ვინ რა ჭრილში აშუქებდა მათ. გეოგრაფიულ სახელთა და პირთა სახელთა საძიებლები დაეხმარება მკითხველს მისთვის საჭირო მასალის ადვილად მოძიებაში.

შევიტანეთ ამონარიდები ზაქარია ჭიჭინაძის, ლადო ალხიაშვილის წიგნებიდან, გიორგი ლასხიშვილისა და სამსონ ფირცხალავას მოგონებებიდან, ასევე იაკობ გოგებაშვილის მოთხრობა „პატარა საქართველო სპარსეთში“.

რაც შეეხება საარქივო მასალას – კრებულში შევიდა დოკუმენტები საქართველოს ეროვნული არქივიდან, შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივიდან კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრიდან, გ. ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმიდან, რომელთა ხელმძღვანელებსა და თანამშრომლებს ვუხდით დიდ მადლობას გულისხმიერებისა და დახმარებისათვის.

სპარსეთში მცხოვრები ქართველების შესახებ ცნობები გვხვდება ქართულ დიალექტურ კორპუსშიც (corpora.co), ეს ინფორმაცია გამოქვეყნებულია მონოგრაფიაში „ქართული ენის ფერეიდნულ დიალექტი" (მ. ბერიძე, ლ. ბაკურაძე, 2020). ამჯერად დიალექტურ ტექსტებში არსებული ცნობები ამ წიგნში ალარ შეგვიტანია.

ყველა დოკუმენტი ქვეყნდება პირველად, გარდა შსს არქივში დაცული ერთი წერილისა: „О грузинах Испаганской провинции Ирана“, რომლის ავტორიცაა აშუროვი, საბჭოთა კავშირის ვიცეკონსული ისპაჰანში. ეს დოკუმენტი გამოქვეყნებული აქვთ ვახტანგ გურულსა და ლევან ჯიქიას წიგნში: „ტაო-კლარჯეთი, ლაზეთი და ფერეიდანი საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ხელმძღვანელობის გეგმებში 1944–1951“, თბილისი, 2012 წელი“. წერილის სათაურია: „О грузинах Испаганской провинции Ирана“ . თუმცა მეცნიერებს ამ წერილის ავტორად მიჩნეული ჰყავთ ცნობილი ისტორიკოსი სიმონ ჯანაშია. ამ შეცდომის მიზეზი კი გახლა ის, რომ იმ ფურცელს, რომელზეც სრულდება ეს წერილი, ბოლო, თავისუფალი ნაწილი მოჭრილი აქვს და შემდეგ მას ნუმერაციის დაცვით ებმის ს. ჯანაშიას წერილი ტაო-კლარჯეთზე, რომელსაც, ბუნებრივია, ხელს აწერს ავტორი. ჩვენ შსს არქივის სხვა საქალალდეში მოვიძიეთ იმავე დოკუმენტის სხვა ასლი, რომელზეც ნათლად ჩანს ხელმოწერა: აშუროვი. წერილები იდენტურია. სწორედ ამ მიზეზით გადავწყვიტეთ კრებულში ამ დოკუმენტის შეტანა.

შსს არქივში ფერეიდნელთა საკითხზე არსებული მასალიდან ვაქვეყნებთ მეოცე საუკუნის ორმოციანი და სამოციანი წლებით დათარიღებულ რამდენიმე მნიშვნელოვან დოკუმენტს. სამწუხაროდ, ვერ მოხერხდა ოციანი წლების მასალის მოძებნა. საბჭოთა კავშირის დროინდელი დოკუმენტაციის უმეტესი ნაწილი შესრულებულია რუსულ ენაზე. ჩვენ ისინი უთარგმნელად დავტოვეთ.

თითოეულ სტატიასა თუ საარქივო მასალას წამძღვარებული აქვს მცირე რეზიუმე, რომელიც წარმოდგენას შეუქმნის მკითხველს მოცემული წერილისა თუ დოკუმენტის მნიშვნელობის შესახებ. შეძლების ფარგლებში მოცემულია დამატებითი ინფორმაცია.

სქოლიოში მოგვყავს გეოგრაფიული სახელების თანამედროვე დაწერილობა, ასევე ზოგიერთი სიტყვის განმარტება და ჩვენი კომენტარი. ასევე გადმოტანილია, თავად ლედანში არსებული კომენტარებიც. ეს უკანასკნელი აღნიშნულია *) ნიშნით.

საგაზეთო სტატიების, საარქივო მასალისა და წიგნებიდან ამონარიდის გამოქვეყნებისას აბსოლუტური სიზუსტით შევინარჩუნეთ ავტორის სტილი, დაწერილობა და პუნქტუაციის წესებიც. ხელუხლებლად დავტოვეთ ის წერილები, რომლებშიც საერთოდ არ იყო გამოყენებული სასვენი ნიშნები (ძირითადად ასეთი სურათია ფერეიდნელთა გამოგზავნილ წერილებში). არ შეგვისწორებია არც მცდარი ფორმები დღევანდელი გრამატიკული ნორმის თვალსაზრისით, რადგან მიგვაჩნია, რომ ამ კუთხითაც მნიშვნელოვანია ამა თუ იმ პერიოდის ნაწერების შესწავლა.

გრამტიკული შეცდომები მრავლად შეგვხვდა საარქივო მასალაშიც, რუსულ ენაზე შესრულებულ დოკუმენტებში. აქაც უცვლელად დავტოვეთ ტექსტი.

ვისარგებლეთ საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ფონდებით, ასევე ციფრული ბიბლიოთეკით „იველიელი“ – dspace.nplg.gov.ge; საქართველოს საბიბლიოთეკო კონსორციუმის ციფრული არქივით – dspace.gela.org.ge.

რა თქმა უნდა, შორს ვართ იმ აზრისგან, რომ ამოვწურეთ ეს თემა, მოვიძიეთ ყველა მასალა და გავაერთიანეთ ამ კრებულში. ზოგიერთი წერილის პოვნა ჩვენი დიდი მცდელობის მიუხედავად, ვერ მოხერხდა. ზოგჯერ ჩვენ მიერ გამოწერილი საგაზეთო შეკვრა ნაკლული აღმოჩნდა, ზოგან კი უბრალოდ ვერ მივაკვლიეთ.

განზრახული გვაქვს ამ საკითხებზე მუშაობის გაგრძელება, რათა გამდიდრდეს ჩვენი ცოდნა ირანის ქართველთა შესახებ როგორც ჩვენთან არსებული ახალი მასალით, ასევე საქართველოს ფარგლებს გარეთ მოპოვებული ინფორმაციებით.

ეს ნაშრომი არის შედეგი პროექტისა, „ირანის ქართველობა ისტორიულ სამშობლოსთან რეინტეგრაციის გზაზე“ (ხელმძღვანელი ნ. ნახუცრიშვილი). პროექტი განხორციელდა საგარეო საქმეთა სამინისტროს საგრანტო პროგრამის, „დიასპორული ინიციატივების ხელშეწყობა“ – ფარგლებში.

ავტორთა კოლექტივი განსაკუთრებულ მადლობას უხდის საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობასა და დიასპორასთან ურთიერთობის დეპარტამენტს ამ კრებულის მომზადებისათვის გაწეული ფინანსური დახმარებისა და თანადგომისათვის.

ავტორები

XIX საუკუნე

***

მისვლა მოსვლა რუსეთსა და საქართველოს შორის - ნიკო ცხვედაძე ვრცელ სტატიაში საინტერესო ინფორმაციას აცნობს მკითხველებს სპარსეთში ქართული სოფლების არსებობის შესახებ. რა წყაროს ეყრდნობა ავტორი, არ ჩანს. წიგნში შევიტანეთ ეს მცირე მონაკვეთი, როგორც პირველი ცნობა მეცხრამეტე საუკუნის ქართულ პრესაში სპარსეთში მცხოვრები ქართველების შესახებ. ამ ინფორმაციას ზედმიწევნით იმეორებს რუსი გენერალი, სამხედრო ისტორიკოსი, ვ. პოტტო თავის ნაშრომში „საქართველო და მისი ისტორიული წარსული დრო“ (1894) წერს: „ისპაღანის ახლოს დღესაც არის რამდენიმე სოფელი ქართველებისა და სომხებისა, იქ მცხოვრებთ თუმცა სარწმუნოება დაუკარგავთ, მაგრამ თავიანთ მამა-პაპათა ენა კი შემოუნახავთ.“ ნ. ცხვედაძის სტატია დაბეჭდილია ჟურნალ მნათობში 1871 წელს, მაგრამ ბოლოს თარიღად მიწერილი აქვს „1868 წლის 28 ივნისი, მოსკოვი“.

ნიკო ცხვედაძე
მისვლა მოსვლა რუსეთსა და საქართველოს შორის

(მნათობი, 1871, N6, გვ.13)

... შაჰ-აბბასაც ის აზრი ჰქონდა, რომ აღმოეფხვრა, გაექრო ქრისტიანობა მთელ საქართველოში და ამით სამუდამოდ დაეპყრო იგი. მაგრამ ნაცვლად იმისა, რომ კავკასიის მთებში, დაღესტანში ესახლებინა მაჰმადიანები, როგორც სჩადიოდა თემურ-ლენგი, შაჰ-აბბასი ანგრევდა და აოხრებდა ქალაქებს, სოფლებს, ეკკლესიებს, უდაბნოებს, ანუ მონასტრებს და ძალდატანებით ასახლებდა ქართველებს სპარსეთში. სწერენ, რომ დღევანდლამდის ისპაღანის ახლოს ბევრი სოფელია ქართველებისა და სომხებისა, რომელთაც თუმცა დაუკარგავთ ქრისტიანობითი სარწმუნოება, მაგრამ დაუცავთ თავიანთი წინაპრების ენა.

***

ქართველების კალონია სპარსეთში ქართულ პრესაში ფერეიდნელი ქართველების შესახებ დაწერილი პირველი სრული სტატიაა, რომელიც ჩვენ მოვიძიეთ. სტატიის ავტორი, ნიკო ყიფიანი, ეყრდნობა 1871 წელს საქართველოში ჩამოსული პირველი ფერეიდნელი ქართველის, ათამ ონიკაშვილის მონათხრობს.

ნიკო ყიფიანის (1846-1905), დიმიტრი ყიფიანის უფროსი ვაჟის, თეატრალური რეცენზიები, კრიტიკული, ლიტერატურული და პუბლიცისტური წერილები აქტიურად იბეჭდებოდა იმდროინდელ პრესაში („დროება“, „ივერია“, „კვალი“...).

ნ. ყიფიანი 1890 წლიდან ევროპაში ცხოვრობდა. სხვადასხვა დროს სხვადასხვა ფსევდონიმით წერდა: გლუხი, ივან ივანოვიჩ ივანოვი, ივან მარტინოვი, ნ. დემეტრაძე, ჟან მარტენი. გარდაიცვალა 1905 წელს ბელგიაში, ბრიუსელში.

ფერეიდნულის შესახებ სტატია 1872 წ. გამოქვეყნდა გაზეთ „დროებაში“, ნ. ყიფიანის სახელით. სტატიის ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მისი ნაშრომი ფერეიდნელი ქართველის, ათამა ონიკაშვილის ნაამბობს ეყრდნობა. ავტორი არ ახსენებს ამ საკითხთან დაკავშირებულ მისთვის ცნობილ არანაირ სხვა წყაროს. სტატიის რიტორიკაში არ იკითხება არც იმაზე მინიშნება, რომ მკითხველს შეიძლება ჰქონდა რაიმე ინფორმაცია ფერეიდნულ თემაზე. ამიტომაც შესაძლოდ მიგვაჩნია ითქვას, რომ ქართულმა საზოგადოებამ პირველად ამ სტატიით გაიგო 250 წლის წინ სპარსეთში იძულებით გადასახლებულ თანამემამულეთა შესახებ. ნიკო ყიფიანი ფერეიდნულ თემას სტატიის დასწყისშივე „აფართოებს“, განიხილავს საქართველოში არსებულ კონფესიურ მდგომარეობას და ვრცლად მსჯელობს ქართული „ნაციონალობის“ თავისებურებებზე. სტატია შეიცავს საყურადღებო ცნობებს ფერეიდნული სოფლების დასახელებების, ენობრივი სიტუაციისა და ეთნოკულტურული რეალიების შესახებ.

ნიკო ყიფიანი
ქართველების კალონია სპარსეთში

(გაზეთი დროება, 1872 წ. N13, ფელეტონი, გვ.1)

– შავთა დროთ ვერა შესცვალეს მის გული ანდამატისა:
იგივ მხნე, იგივ მღერალი, მებრძოლი შავის ბედისა.
(თ. გრ. ორბელიანის „სადღეგრძელოდამ“)

ამ დღეებში მე შემხვდა ერთი დიდად ღირსშესანიშნავი და საინტერესო კაცი, სპარსეთიდამ ახალ-გადმოსული ქართველი, სახელათ ათამა ონიკაშვილი. ეს ქართველი არის იმ ქართველთა ჩამომავლობისა, რომელნიც შაჰაბაზის დროს ბლომათ გადუსახლებიათ სპარსეთში და გაუმაჰმადიანებიათ. ათამა წმინდა ქართულის ენით ლაპარაკობს, თუმცა კი ამისი მამა-პაპაცა და თითონაც სპარსეთში დაბადებულან და მთელი თავისი სიცოცხლე სპარსეთში გაუტარებიათ.

ისპაჰანიდამ ჩრდილოეთ დასავლეთისაკენ ხუთი დღის სავალზედ, ყულევას წყლის პირას მდებარეობს ექვსი სოფელი, რომელთა მცხოვრებნი ქართველთ ჩამომავლობისანი არიან და თითონაც ქართველად იწოდებიან. სპარსელები კი ეძახიან ამათ გურჯებს, რაცა ნიშნავს სპარსულად ქართველებს. ამ სოფლების სახელები არის: მარტყოფი, ახჩა, ბოინი, ტაშკეშანა, აფუსი და თოლელი. სულ სოფლებში სცხოვრობს სამიათასი მეტი კომლი, – თხუთმეტი ათასი სული: – მარტყოფში: ათასი კომლი – 1000,

აფუსში – 700,

ახჩაში – ორმოცი – 40,
თოლელში და ბოინში ცხრაასი – 900 და
ტაშქეშანაში – ხუთასი 500;
სულ სამიათას-ასი – 3.140 კომლი.

რასაკვირველია, ეს რიცხვები დახლოებით მომყავს, ათამა ონიკაშვილის სიტყვით, და დანარჩენი ამბავიც, რაც ამ სპარსეთში მცხოვრებ ქართველებს შეეხება, ათამას ნაამბობია.

იმ ქართველებმა იციან, რომ ორასის ან სამასის წლის წინათ არიან გადასახლებულნი საქართველოდამ სპარსეთში. აქამომდე ქართული არამც თუ არ დავიწყებიათ, ერთმანერთთან ლაპარაკში ქართულ ენას ხმარობენ. კაცებმა, ქართულის გარდა, იციან თათრულიცა; ქალებმა კი თათრული ძალიან სუსტათ იციან. კაცებსა ახურღები ანუ მოლები თათრულ წერა-კითხვას ასწავლიან: ათამა ონიკაშვილმაც იცის ქართული წერა-კითხვა, მოლებიც ანუ ახუნდებიც ქართველთაგანი არიან. – ცოლსა ქართველები ანუ გურჯები ერთის მეტს ძალიან ძვირათ ირთვენ და ვისაც ორი ან სამი ცოლი ჰყავს, ის ყველას ეჯაერება და „ლუტს[1]“ ეძახიან. ათამ ონიკაშვილის სოფელში მარტყოფში, ათას კომლში სამი ან ოთხი კაცი იქნება იყოს ორცოლიანი ან სამცოლიანი, მეტი არა. – დედაკაცები ამ ქართულ სოფლებში სხვა გარემოებაში არიან, ვიდრე სპარსელებს შორის, ასე, კალოობაში, ლეწვაში და სხვა ამგვარ მუშაობაში დედაკაცები ეხმარებიან კაცებს და მუშაობენ. სპარსელებში კი საჰარემო საქმეებს გარდა არცერთ სხვა საქმეს არ მოჰკიდებს დედაკაცი ხელსა, ამას გარდა სპარსელებში დედაკაცი, პირბადე ჩამოფარებული დადის. გურჯებში კი დედაკაცი, როგორც ჩვენში, პირ-ახდილია.

კიდევ ეს არის შესანიშნავი, რომ გურჯები არასოდეს არ მიათხოვებენ თავის ქალებს სპარსელებსა და სპარსელები გურჯებსა, ესე იგი ქართველებს.

ამასთან, ონიკაშვილის სიტყვით, ქართველები, სპარსეთში დასახლებულნი და ექვს სოფლად მცხოვრებნი, არ არიან კმაყოფილნი თავის ბედისა, რადგანაც იქაური ადგილობრივი მთავრობა ხალხს ძალიან აწუხებს, მეტადრე გურჯებს; ბეგარას ბევრს ართმევს, ჯარში ბევრი მიყავს ამათგან და სხვ. – თითონ ონიკაშვილი იმისთვის გადმოვიდა იქიდამ, რომ საქართველოში დარჩეს და მოინათლოს.

ერთის მხრივ, რასაკვირველია, სამწუხაროა და დამაღონებელი, რომ ჩვენი მოძმენი, ჩვენი ქვეყნის შვილები, ქართველები ვინ იცის, სად არიან და სად არა... ზოგი სპარსეთში, როგორც ეს გურჯები, ზოგი ოსმალეთში, როგორც აჭარლები და სხვ... მაგრამ შევხედოთ ამ საგანს მეორე მხრითაც:

თითქმის ორასორმოცდათიმეტი წელიწადი გაუტარებია ერთ ჰატარა ჯგუფს ქართველთ ხალხს სპარსელებს შორის, შიგ სპარსეთში; რამდენიმე თავობა გამოცვლილა ამ ორ და ნახევარ საუკუნეს განმავლობაში, მაგრამ აქამომდე არ დაუკარგავთ ამათ უმთავრესი ნაციონალური თვისება – ენა. ნუ დავაყვედრებთ ამ ქართველებს,

1. ლიუთი – ლუთი- ქართულშია „ლოთი“. სპარსულად გარყვნილის მნიშვნელობა აქვს.

რომ სარწმუნოება მიულიათ სპარსელებისა; ვინ იცის, რა ძალით გაუმაჰმადიანებიათ სპარსელებს ეს ჩვენი ქართველები! ძალასა და დაძალებას გამოუცვლევინებია ამათთვის სარწმუნოება, მაგრამ ვერცა ძალასა და დაძალებას, ვერცა დროთა ვითარებას ვერ მოუსპია ამათში ქართველობის საძირკველი, უმთავრესი ნაციონალური თვისება, ვერ მოუსპია ამათში ქართული ენა და ამის მიზეზით ვერ მოუსპია თვით ქართველობაცა. ორას ორმოცდაათის წლის განმავლობაში ექვსი სოფელის მცხოვრებნი, რომელთაც სულ არა ჰქონიათ საქართველოსთან კავშირი და მისვლა-მოსვლა, დარჩენილან ისევ ქართველებად. ავიღოთ მეორე მაგალითი, ამაზედ უფრო ვრცელი: ქობულეთი, აჭარა, ლაზისტანი, ლივანა და სხვ. ოსმალოების ხელში არიან. ოსმალოების დაძალებამ ამ ქობულეთისა და აჭარას მცხოვრებლებს გამოაცვლევინა სარწმუნოება. ახლა სუყველანი ამ მაზრებში მაჰმადის სარწმუნოებისანი არიან. მაგრამ ენა ამათი ქართულია, ერთმანერთში წმინდა ქართულის ენით ლაპარაკობენ. მიწერ-მოწერა ერთმანერთთან ქართულად აქვთ. ასე რომ ესენიც ოთხასის წლის განმავლობაში ისევ ქართველებად დარჩნენ.

ავიღოთ მესამე მაგალითი. თფილისში, ქუთაისში და ზოგიერთ უეზდის ქალაქებში ცხოვრობენ ფრანგები. ზოგიერთისაგან გამიგონია ამათზედ ლაპარაკი: ფრანგები არიანო და არა ქართველებიო. ფრანგობა სარწმუნოებას ეთქმის და ფრანგი უნდა ან პოლშელი იყოს, ან იტალიელი, ან სხვა ხალხის კაცი. აგრეთვე სომეხიც შეიძლება ფრანგების სარწმუნოებისა იყოს, ქართველიცა. აქაურს ფრანგებში ბევრი წმინდა ქართველია. ქართველი კაცი სხვა და სხვა მიზეზებისაგან ზოგჯერ თუ სარწმუნოებას იცვლის ხოლმე, თავის დღეში არ ჰკარგავს ენასა. აქაური ფრანგებიცა, ქართველთ ჩამომავლობისა ვინც არიან, წმინდა ქართულის ენით ლაპარაკობენ და ნამდვილი ქართველები არიან.

ჩვენ რომ მართლმადიდებლები ვართ და ისინი კათოლიკები, აქედამ არ გამოდის, რომ ჩვენ ვიყოთ ქართველები და ისინი კი არა. როგორც ნემეცები ზოგი პროტესტანტია და ზოგი კათოლიკე, ისე აქაც უმეტესი ნაწილი მართლმადიდებლებია, და ზოგი წილი კათოლიკე.

ავიღოთ ვრცელი, უაღრესი მაგალითი, ჩვენი ხალხის თავს გადასავალი ისტორიის დაწყებიდამ მოყოლებული ამ ჟამამდე. რაც ქვეყანაზედ დიდი ხალხთა მოძრაობა მომხდარა, საქართველოს თითქმის არც ერთი არ ასცილებია: ალექსანდრე მაკედონელს თავისის რაზმებით, ლანგ თემურს თავისის ამაოხრებელი ჯარებით, ჰუნებს, გოთებს, სკვითებს, მონგოლებს, თათრებს, ვინ იცის – რა ტომის ხალხთა გადაუვლიათ და გადმოუვლიათ საქართველოზედ. ამას გარდა უკანასკნელ დრომდინ ერთ მხარედამ ერთი დიდი მტრული სახელმწიფო ოსმალეთი, მეორე მხრიდამ – მეორე, იქნება კიდევ უფრო მტრული სახელმწიფო – სპარსეთი, ხან ერთი და ხან მეორე, ხან ცალ-ცალკე და ხან ერთათ, დაეცემოდნენ საქართველოს და იკლებდნენ იქაურობას: ყლეტა, წყვეტა, ვაი-ვაგლახი იქნება არც-ერთ კუთხეს დედამიწისას არ უნახავს და არ გამოუვლია იმდენი, რამდენიც გამოუცდია ჩვენს საქართველოს. მაგრამ ამ ბედში და უბედობაში, ამ საშინელს ბრძოლაში, ქართველთა ხალხმა

დაიცვა ის ენა, რომლითაც ლაპარაკობდა ვახტანგ გორგასლანი და არჩილი, დავით აღმაშენებელი და თამარ მეფე, რომლითაც დასწარა (ასეა!) რუსთაველმა „ვეფხვის ტყაოსანი“ და ვახტანგ მეფემ სამართლის წიგნი ის ენა, რომლითაც ამ ჟამათაც ლაპარაკობს ქართველთა ერი.

ასეთი ხასიათი აქვს ქართულ ნაციონალობას: ენა მტკიცეთ უჭირავს და ზოგჯერ ისეთი ძალა დასდგომია რამე, რომ დამჩაგვრელისათვის დათმობა დასჭირვებია რისიმე, ისევ რჯულსა სთმობს ზოგან და ზოგან, და ენას კი არსად არასოდეს ვერა შეაცვლევინებს რა.

ახლა ვნახოთ რა მოქმედება აქვს ქართველთ ნაციონალობას სხვა ნაციონალობაზედ.

ავიღოთ ებრაელნი. აქაური ებრაელი წმინდა და ქართულის ენიო ლაპარაკობს, ბევრი ამათში კარგადაც ლაპარაკობს. სიტყვების გამოთქმაში კაცი ვერ შეატყობს ამათ, თუ ებრაელნი არიან. ამასთანავე ებრაული აქაურმა ებრაელებმა სულ არ იციან, ასე რომ სრულიად გაქართველებულნი არიან. სხვა ქვეყნებში კი ბევრგან ებრაელი თავის ენას ხმარობენ და პოლშაში სულაც არ არიან გაპოლაკებულნი ან რუსეთში გარუსებულნი, ან გერმანიაში განემეცებულნი.

ავიღოთ სომეხნი. – სოფლებში მცხოვრებნი სომხები ქართველთა შორის, ქართლში, კახეთში, იმერეთში, ყველგან სომხები სრულიად გაქართველებულნი არიან: არამც თუ ქართული იციან, სომხურისა ინჩიც არ გაეგებათ. ენითა და ხასიათით ესენი წმინდა ქართველები არიან. სარწმუნოება კი მკვიდრათ უჭირავთ: – სოფლებს გარდა, გორელი სომხები, ქუთაისელი სომხებიც თითქმის გაქართველებულნი არიან, ასე რომ სომხური ცოტამ იცის იმათში. ტფილისში, სიღნაღში, თელავში და სხვაგან სომხებმა თითქმის სუყველამ ქართული იციან და ერთმანერთშიაც ნამეტნავათ ქართულს ლაპარაკობენ, სარწმუნოება კი თავისი რჩებათ.

ავიღოთ ნასომხარი ფრანგები: – ნამეტანი ნაწილი ამათგანი ქართველობს, ესე იგი იმას ამტკიცებს, რომ ქართველები ვართო.

ასეთი მოქმედება აქვს ქართულ ნაციონალობას სხვა ნაციონალობაზედ: ამათს სარწმუნოებას არ ეხება ქართველთა ნაციონალობა; მხოლოთ თავის ენას ათვისებს და ისე რიგათ აქართველებს სხვა ტომის ხალხსა.

ამაში მდებარეობს უპირატესი განსხვავება ქართველთა და სომეხთა ტომში. ქართველი[2], სადაც გინდა, საქართველოშივე, თუ ოსმალეთში, ქრისტიანი გინდა მართლმადიდებელი, თუ ფრანგი, თუ მაჰმადიანი, – ყველგან იგივე ქართველი რჩება, თავისის ქართულის ენითურთ. სომეხი ყველგან თავის სარწმუნოებას მტკიცეთ ადგია, მაგრამ საქართველოში ნაციონალობას ჰკარგავს იმითი, რომ ქართველდება, ესე იგი, ქართულ ენას ითვისებს, – ან ამის მიზეზით ქართველთა ნაციონალობას დიდი მოქმედება აქვს სხვა ნაციებზედ: ქართველთა ნაციას ბევრი სომეხი, ბევრი ებრაელი, ბევრი გაუქართველებია. სომეხთა ერთი ქართველი, ან ერთი ებრაელი, ან თათარი არ გაუსომხებიათ.

---

2. ტექსტში კორექტურაა, წერია: ქარველი.

ამიტომ ქართველთა ერის გაფრანგება, ან გათათრება, ან გასომხება – შეუძლებელია.

მე მინდოდა ამ სტატიაში მხოლოთ წარმომედგინა მკითხველთათვის ის ფაქტები, რომელიც მიიპყრობენ ჩვენს ყურადღებას. ამ ფაქტების ახსნას, მიზეზების განრჩევას და გამოკვლევასა მეორე სტატიაში შეუდგები.

ნიკო ყიფიანი
თფილისი, 1872 წ.
მარტის 26.

***

ალექსანდრე ბატონიშვილი სპარსეთში – ამ სათაურით „დროებაში“ 1872 წელს კიდევ ერთი სტატია გამოქვეყნდა სპარსეთში გადასახლებულ ქართველთა შესახებ.

სტატიაში საუბარია ალექსანდრე ბატონიშვილსა და მის გარემოცვაზე, რომლებიც რუსეთის მიერ საქართველოში მეფობის გაუქმების შემდეგ გადაიხვეწნენ სპარსეთში და იქ დასახლდნენ. ნახსენებია სოფელი ხოსროვა, რომელიც შაჰმა უბოძა ბატონიშვილს. ხოსროვაში გააგრძელეს ცხოვრება სპარსეთში გადახვეწილ ქართველთა შთამომავლებმა. ამ სოფლის ქართველების შესახებ წლების შემდეგაც ჩნდება სტატიები ქართულ პრესაში. მეოცე საუკუნის დასაწყისში აქ უკვე დაიწყებული ჰქონიათ ენა. 1904 წლის გაზეთ ივერიაში (იხ. ქვემოთ) იბეჭდება პატრი რაფიელ ნებიერიძის წერილი, რომელშიც საუბარია სოფელ ხოსროვაზე, ნახსენებია იქ ჩასახლებულ ქართველთა შთამომავალი 110 წლის მარიამ ხანუმი, რომელმაც ცრემლით გაიხსენა იქ მცხოვრები ქართველები; ამით გაზეთი "დროება" ააქტიურებს ქართული საზოგადოების ინტერესს სპარსეთში მცხოვრები ქართველების მიმართ. ფაქტიურად ამ სტატიამ გახსნა ეს თემა ქართულ პრესაში. სტატია თარგმნილია სომხურიდან. წყაროდ გაზეთი „მშაკია“ მითითებული. ხელმოწერად უზის ინიციალი „ვ.“. ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს იმას, რომ რაიმე ხელჩასაჭიდი ქართული წყარო სპარსეთში ქართველთა გადასახლების შესახებ არ ჩანს, გარდა კახეთში გავრცელებული ზეპირი თქმულებისა. ეს ავტორისეული შენიშვნა საყურადღებო დეტალია იმის დასტურად, რომ სპარსეთის ქართულ დასახლებებზე ქართულენოვანი წყაროები მე-19 საუკუნის მეორე ნახევრისთვის ან სრულებით არ არსებობს, ან უკიდურესად მწირი და უცნობია.

ალექსანდრე ბატონიშვილი სპარსეთში

(დროება, 1872, N28)

სომხურ გაზეთის „მშაკის“ 25 ნომერში არის დაბეჭდილი სტატია უფალის მელიქ ზადესი ზემოხსენებულის სათაურით; ამ სტატიასა ვთარგმნით „დროებაში“ ისტორიის მასალათა. არ შეიძლება რომ კიდევ სადმე რამ მოთხრობა არ მოიპოვებოდეს განსვენებულ ბატონიშვილზე, რომლისაც სიცოცხლე მდიდარი უნდა ყოფილიყო ყოველგვარის თავ-გადასავლითა და განსაცდელითა. იმ ცნობათა გარდა, რაც რუსულათ დაბეჭდილ „არხეოგრაფიულ კომისიის აქტებშია“, არა წაგვიკითხავს რა. პირად მოთხრობით კი საკმაოდ ბევრი რამ არის გლეხ-ხალხში გავრცელებული: მაგალითად, კახეთში (ვგონებთ, გალმა მხარში, პირველად ნაფარეულში) შემოსვლა იმისი და აჯანყება კახეთისა და ქიზიყისა, ესენი კახელებმა უნდა იცოდნენ. აქამდინ კი არავისაგან არ არის შეკრებილი ეს საინტერესო მოთხრობაები (ასეა!), რომლის მიღებასაც ჩვენი ჟურნალების ფურცლები ელის, რადგანაც ამ უკანასკნელ დროს ისტორიულ მასალებს საკმაო ყურადღება მიაპყრეს ყველა ჩვენმა ჟურნალებმა (კრებულმა, მნათობმა, ცისკარმა[3]) აი სტატია „მშაკისა“

ალექსანდრე ბატონიშვილის დრო ჩვენზე ძალიან შორ არ არის. სპარსეთში ხნიან კაცებს დღევანდლამდე ახსოვთ იმისი ამბავი და ამ ცოცხალთ მოუბარ მოთხრობათაგან, ვეცდებით გარდავსცეთ მომავლ დროთა რამდენიმე ცნობა იმის სიცოცხლისა.

ალექსანდრე ბატონიშვილის გასვლა სპარსეთში ისე ცხადია ისტორიულ ცოდნაში, რომ მეტსა ვხედავთ იმის მოხსენებასა[4]; ვიტყვით მხოლოდ, რომ ის წავიდა სპარსეთში, როდესაც ღეჯარათების[5] ტახტზე ფეთ-ალი-შაჰი იჯდა. შაჰმა მართებულად მიიღო, რაც ბატონიშვილს ეკადრება, უცხო ქვეყანაში ბინის მძებნელსა.

ფეთ-ალი-შაჰის ბრძანებით, აბასს-მირზამ შაჰის მემკვიდრემ (ნაიბულ-სალთანმა) და ადერბეჯანის ჯანიშინმა (ნამესტნიკმა) უწყალობა ბატონიშვილს ალექსანდრეს რამდენიმე სოფელი მშვენიერს მაზრაში, სალმასტში[6], საცხოვრებელად და სარჩენად. ამ სოფლებში ბატონიშვილმა ბინად ამოირჩია სოფელი ხოსროვა, რომელშიაცა სცხოვრებენ სომხები და აისორები და რომელსაც თავისის ბაღებით და ტყეებით, წმინდა წყლით და შვენიერის ჰაერით შეეძლო დროებით შვება მიეცა იმისთვის მამულის დაშორების ნაღვლიანობაში.

ხოსროვაში თანა ჰყვანდა 50 კაცზე მეტი ქართველი, რომელნიც თან გაჰყვნენ, იმათში რამდენიმე თავად-აზნაურიც იყო, რომელთაც თავი არ დაანებეს უბედურობის ჟამსა. აი იმათგანი რამდენიმე: ყარსამან-ბეგ, იოთან-ბეგ, მაყა-ბეგ და სხვანი.

---

3. წერილშიკორექტურაა: ციკარში.

4. *) ძალიან გარკვეულად არ არის ცხადი, რუსების მოსვლამდე ბატონიშვილს გიორგი მეფესთან შუღლი ჰქონდა, იმდურებოდა მამულები ჩამოშორებოდა, მაგრამ დაწვრილებითი მიზეზი კი არ ვიცით.

5. იგულისხმებიან ყაჯარები.

6. დღევანდელი ქ. სალმასი.

ფეთ-ალი შაჰს უყვარდა ბატონიშვილი და უბოძა ხარისხი საქართველოს ვალისა (ხარისხი შაჰის ქვეშევრდომ მეფეებისა). მუდამ წელს ბატონიშვილი თეირანს მიდიოდა შაჰთან და იმისგან ბრუნდებოდა მდიდარის საჩუქრებითა.

ფეთ-ალი-შაჰს ისეთი პატივისცემა ჰქონდა ალექსანდრე ბატონიშვილისა, რომ ერთხელ დიდის მეჯლისის დროს, ნიგარისტანის ბაღის სასახლეში, დიდის თავაზით მიიწვია უმაღლეს კარის კაცების კრებაში და შემდეგ მიღებისა ბრძანა დაეხატათ ზალის ერთ კედელზე ამ მიღების სურათი, რომელზედაც პირველი ადგილი ბატონიშვილს უჭირავს. ეს სურათი ეხლაც არის ნიგარისტანის სასახლის კედელზე.

სპარსეთსა და რუსეთს შუა რომ ომი დაიწყო, ბატონიშვილი ალექსანდრე სპარსეთსა შეელოდა ოსმალოს, ქურთისტანის მხრიდამ, წინამძღვრობდა სპარსების, ყიზილბაშების ჯარსა, რომელთაც უფროსებათ იმასთან მყოფი ქართველი სპასპეტები ჰყვანდათ. რუსებმა რო გაიმარჯვეს და გადავიდნენ არეზის (არაქსის) მდინარე და დაიპყრეს ხოა[7], სალმასტი, ურმი[8] და თავრიზი, ის ჯარი დაიშალა და ბატონიშვილი განწირულებაში შესული, რამდენიმე თავის ხლებულის კაცებით ოსმალოს ქალაქში ვანში წავიდა და ომის დასასრულს ელოდა.

რამდენიმე თვის შემდეგ თურქმენჩაის მორიგებისა, რუსებმა რომ დასცალეს ადერბეჟანი, ალექსანდრე ბატონიშვილი ხოსროვაში დაბრუნდა, მაგრამ თავისი თანა-მემამულენი ქართველნი ველარ იპოვნა; ისინი რუსის ჯარს გაჰყოლოდნენ და დაბრუნებულიყვნენ საქართველოს.

ამას შემდეგ ბატონიშვილი ცუდს მდგომარეობაში იყო; უფრო იმ მიზეზის გამო, რომ ცუდათ დაუწყო მოპყრობა უფროსმა ვეზირმა ჰაჯი მირზა-ალასიმ, რომელიც იყო ხასიათით დავრიში, სწავლით მოლა და ფანატიკოსი, რომელმაც თავის გულთმისნობაზე დაჯერა შაჰი, ბატონიშვილს შაჰის გადაჭრილი პენცია ჩამოართვა და ბოლოს ნაწყალობევი სოფლებიცა.

ბატონიშვილმა დაჰკარგა სპარსელების იმედი თავის პოლიტიკურის ოცნებისა...

მაგრამ სხვა ახალს ოცნებას მიეცა ბატონიშვილი: მუდამ ალტაცებული იყო კავკასიის მთების ხალხების სიმამაცითა და სალმასტის მიჯნაზე ქურთისტანის მთებში ჯოლამერიქში ნახა ისეთივე მამაცი, გამბედავი და მეომარი ხალხი, როგორც კავკასიის მთის ხალხი.

ეს ხალხი, სახელათ ჯულო, სარწმუნოებით ნესტორიანები (ქრისტიანები) არიან და ძველ ასსირიელების გვარისაგანნი. იმათი მთები მიუდგომელია და ამის გამო ძველთაგანვე თავისუფალნი არიან. იმათ მმართველთა ჰყავთ სამღვდელოებით თავი, კათოლიკოზი მარ-შიმონი (ესე იგი მამა-სვიმონი). ამათი გვარი შთამომავლობს შვილი-შვილობამდის წმინდა სვიმონისაგან; პატრიარქები ამ გვარისაგან არიან,

7. იგულისხმება ქ. ხოი.

8. იგულისხმება ქ. ურუმიე.

რომელთაც სახელწოდება არის მარ-შიმონი. ჯოლამერიქში მარშიმონი იყო ისეთისვე უფლების კაცი, როგორც შამილი დაღესტანში, ესე იგი სამღვდელო და საერო თავი ხალხისა. ქრისტეს ჯვართან მარ-შიმონი ატარებდა საომარ მახვილსაცა.

ბატონიშვილმა ისურვა მარ-შიმონთან მეგობრობა, რომ მოიხმაროს იმისი რიცხვმრავალი და მეომარი ხალხი. ამისათვის ითხოვა ცოლად მარ-შიმონის ძმისწული, რომელიც ყმაწვილობითვე მოლოზნობისათვის იყო დანიშნული.

მაგრამ ბატონიშვილის წადილი ვერ ახდა. უკანასკნელ მოგზაურობის ჟამს სიკვდილმა დაუდო სამზღვარი იმის პოლიტიკურ ოცნებასა... და გარდაიცვალა უკანასკნელს სილარიბეში.

იმისი უკანასკნელი ანდერძი იყო, რომ გვამი საქართველოში დაესაფლავებინათ. და ამისგამო (ასეა!) გვამი დიდხანს დაუსაფლავებელი იდვა თეირანის ქალაქის, შაჰ-აბდულ-აზიმის უბანში, სომხის ეკლესიაში. მაგრამ იმისი ანდერძი არ ასრულდა და იმისი გვამი დაასაფლავა იაგუბ-ხანმა ეკლესიის გალავანში.

თეირანში ბევრმა არ იცის, რომ უბრალო საფლავი სომხის ეკლესიის შესავალ კარებთან შეიცავს თვის შორის უკანასკნელ სხივს მოსპობილის საქართველოს მეფობისას.

3·

***

„ახმედ-ფაშა კახა-ბერი“ „დროების“ იმავე წლის (1872) 29-ე ნომერში გამოქვეყნდა. როგორც ჩანს, ათამ ონიკაშვილის ჩამოსვლამ მართლაც „გახსნა“ ახალი მნიშვნელოვანი თემა ქართული საზოგადოებისთვის.

მიჩნეულია, რომ ეს ალეგორიული ფელეტონი ერთი კონკრეტული ამბის გამოძახილია: საქართველოში 1871 წელს ჩამოსახლებულ ფერეიდნელ ქართველს, ათამ ონიკაშვილს, გრიგოლ ორბელიანისათვის უთხოვია, ეშუამდგომლა მთავარმართებელთან სპარსელი ქართველების (იგულისხმებოდნენ ფერეიდნელი ქართველები) სპარსეთიდან გადმოსახლების საქმეში. გრიგოლ ორბელიანი დაჰპირებია, თუმცა, შემდეგ უარი უთქვამს იმ მიზეზით, რომ ეს თხოვნა უპერსპექტივო იყო და მთვარმართებელი მას არ შეისმენდა. თავისი აზრი ამ საკითხზე კი ასე გამოუთქვამს: „ან რა საჭიროა მათი აქ გადმოსახლება, იცხოვრონ მშვიდობით და ხანდახან აქაც მოვიდნენო[9].“ ამ პასუხს, როგორც ჩანს, მღელვარება გამოიწვია ქართულ საზოგადოებაში.

სწორედ საზოგადოების ამ განწყობის გამომხატველია აკაკი წერეთლის ფელეტონი, რომელსაც ავტორმა ნეკროლოგი უწოდა. სტატიის სქოლიოში აკაკი ალნიშნავს, „კახა-ბერი ქვეყანას ჰქვიან, ძველათ საქართველოს ერთს სამთავროს

9. ჭიჭინაძე ზაქარია, „ქართველები სპარსეთში“, 1907, გვ. 32; თბილისი.

შეადგენდა და მათი მთავრები იწოდებოდნენ კახა-ბერად. დღეს ეს სამთავრო თათრების ხელშია, ისე როგორც ჩვენი აჭარა და სხვ.“

ფელეტონის სათაურში სიმბოლურად გაერთიანებულია ორი ისტორიული პირის სახე: ახმედ ფაშასი, აჭარაში თურქეთის სახელმწიფოს ნების უსიტყვო შემსრულებლისა და კახაბერის – ლეგენდარული გმირის, რომელიც წინ უძღოდა ქართველთა ჯარს ოსმალების წინააღმდეგ ბრძოლაში“.[10]

რენეგატ ახმედ-ფაშასა და ეროვნული გმირის, კახაბერის სახელი – გაერთიანებული ერთ პიროვნებაში, ორსახოვანი ადამიანის მეტაფორული სახეა და მასში გრიგოლ ორბელიანი იგულისხმება – ერთდროულად რუსეთის იმპერიის ერთგული მსახური და, ამავე დროს, პატრიოტი, ქართულ საზოგადოებაში დიდად დაფასებული პირი.

სწორედ გრიგოლ ორბელიანის გულგრილ დამოკიდებულებას სპარსელი ქართველების ბედის მიმართ, იმას, რომ მას არ აღმოაჩნდა საკმარისი გაბედულება, გადაედგა ნაბიჯი გადახვეწილ თანამემამულეთა დასახმარებლად, უკავშირებენ ამ ფელეტონის გამოჩენას და მიიჩნევენ, რომ ახმედ ფაშა კახა-ბერის სახეში გრიგოლ ორბელიანი იგულისხმება.[11] ავტორის აზრით, ახალგაზრდობა აფასებს გრიგოლ ორბელიანს მისი პატრიოტული განწყობის გამო, მას კი თავისი მდგომარეობის დაკარგვის შიშით ხალხის სასარგებლოდ ნაბიჯის გადადგმა ვერ გაუბედავს.

საკმაოდ ვრცელ „ნეკროლოგს“ მოსდევს ალეგორიული ლექსი „ფარშავანგი“, რომელსაც ავტორი ასე ამთავრებს: „და მოგვაშორეთ, არ გვინდა ეს დათვი -- ბელიანი!...“ გვარის დასწყისი გამოტოვებულია და მის ნაცვლად ხაზია გასმული. ამ ხერხითაა დაზუსტებული და მინიშნებული ფელეტონის ადრესატი.

დრომ აჩვენა, რომ გრიგოლ ორბელიანი მართალი იყო. ის რეალურად აფასებდა მოვლენებს და ზუსტად იცოდა, რომ რუსეთის იმპერიის ინტერესში არ შედიოდა ფერეიდნელ ქართველთა გადმოსახლების საკითხის მოგვარება, ქართული მიწების ეთნიკური ქართველებით დასახლება, ქართული ეროვნული იდეის რაიმე სახით წახალისება.

ფელეტონი ხელმოწერილია ასე: აჭარა, აკ.

---

10. ოსმალეთის ყოფილი საქართველო, ქართველ მაჰმადიანთა და აჭარისტანის ისტორიის კონსპექტი 1452 – 1926 წლებში – ალწერილ და გამოცემული ზ. ჭიჭინაძისაგან, 1927, ტფილისი.

11. „გაზეთ დროებაში დაიბეჭდა ა. წერეთლის ცნობილი ალეგორიული ფელეტონი „ახმედ ფაშა კახაბერი“, სადაც კახაბერად გამოყვანილია გრიგოლ ორბელიანი, რომელსაც ახალგაზრდობა აფასებს, თითქმის ღმერთად ხლის, მაგრამ ქვეყნის სასარგებლოდ ეერაფერს აკეთებს, რადგან „მაღალ ხარისხზედ ედგეკარ და ეერა ვბედავ“ [მ. კუტალაძე, „ფერეიდნი და ფერეიდნელები“, 1990, გვ.102]

აკაკი წერეთელი
ახმედ-ფაშა კახა-ბერი[12]

(დროება 1872, N29, გვ.1-2)
(ნეკროლოგი)

დიდებულის დივანის წყალობით, უმაღლეს ხარისხამდეა აყვანილი ახმეთ-ფაშა კახა-ბერი. ამ ორმოცის წლის წინეთ, მცირე მიზეზის გამო, ის მოაშორეს თავის სამშობლოს და უცხო ქვეყანაში გაგზავნეს; მაგრამ შემდეგ, იქიდამ დაბრუნებულმა, ისეთი ნიჭი და ერთგულება გამოიჩინა, რომ ოსმალეთის ძართებლობამ მიაქცია მას ყურადღება და გულუხვათ დააწინაურა თავის ტომში. როდესაც ახალმა სულთანმა სხვა და სხვა ცვლილებები შემოიღო ამ ქვეყანაში, ახალ-თაობა აღტაცებით მიეგება იმ ცვლილებებს და რითაც კი შეიძლებოდა, საქმით თუ სიტყვით, ამ კანონების აღსრულებაში მოყვანას სცდილობდა, მაშინ როდესაც ძველი თაობა, გულდაწყვეტილი ამ ცვლილებაებზედ (ასეა!), ცხადათ რომ ვერ აცხადებდა თავის უკმაყოფილებას, გულში იკლავდა და ეძებდა შემთხვევას, რომ როგორმე თავის ნაღველი წამოემთხია (ასეა!) და გულის-ბუხარი ვისმეზედ ამოეყარა. – ჩვეულებრივის ფარისევლობით, იმან პირ-ღიმილით მიიღო ის კანონები, მაგრამ ახალ-თაობის დაუძინარის მტერობითა და შურით კი აღივსო. მაგრამ რა ექნა? როგორ უნდა მოქცეულიყო? იმას ხომ ვერ იტყოდა, თუ ამისთვის ვსდევნი ახალ თაობასო, და მიზეზები გამოიგონა: 1) ვითომც ახალ თაობას სარწმუნოებაზედ ხელი აელოს, რადგანაც იცოდა, რომ ამ ცილის წამებით მდაბალ ხალხს მოატყუებდა და ახალ-თაობაზედ ნდობას დაუკარგავდა; 2) ამტკიცებდა უსინიდისოთ, რომ ახალ-თაობა მმართებლობის განკარგულებას ეწინააღმდეგებაო და სხვანი. – ამ გვარი ცილის-წამებები (ასეა!) აიღო სახელმძღვანელოთ და დაუწყო დევნა მოუსვენარად ახალ-თაობას თუ სიტყვით, თუ საქმით. ბევრმა შეშინებულმა ჩინებულმა ახალგაზდამ დაჰყარა პატიოსნების იარაღი და მიეკედლა ძველ თაობას; მაგრამ ამითი ახალ-თაობა მთლად არ დამარცხებულა: ბევრმა ყმაწვილმა კაცმა მოთმინებით წინაალუდგა იმ დევნას და არ შესცვალა გზა თავის პატიოსნურ მსვლელობისა. თუ რა ტანჯვა გამოიარეს იმათ, იმას ნუღარ მოვიგონებთ, რადგანაც მოგონებაც კი კმარა გულის ასაძგერებლად. ამ გაჭირვების დროში გამოჩდნენ რამდონიმე (ასეა!) პირნი ძველ-თაობიდამაც, რომელთაც დიდის პატიოსნებითა და ჭეშმარიტებითა თანაუგრძნეს დევნულ-მართლებს; იმათში ისე გამოჩენილი და შესანიშნავი არავინ ყოფილა, როგორც ახმეთ-ფაშა კახა-ბერი. თუმცა საქმით კი არაფერი გაუკეთებია, მაგრამ სიტყვით კი თანამგრძნობი იყო ახალთაობის, სხვებსავით გზაში მტერათ არ უდგა მას, და რადგანაც ყოველივე დროსა და ადგილის შეხედვით ფასდება, ამისათვის ახალგაზდობამაც უზომოთ მომეტებულათ დააფასა კახა-ბერი და ყოველს

12. *) კახა-ბერი ქვეყანას ჰქვიან, ძველათ საქართველოს ერთს სამთაეროს შეადგენდა და მათი მთავრები იწოდებოდნენ კახა-ბერად. დღეს ეს სამთაერო თათრების ხელშია, ისე როგორც ჩვენი აჭარა და სხვ.

შემთხვევაში მისი თანამგრძნობელი იყო და მსასოებელი. ახმეთ-ფაშის ამგვარ კეთილათ მოქცევის მიზეზი თურმე მისი უფროსი ძმა ყოფილიყო, ისკანდერ-ბეგი, კაცი პატიოსანი და დიდათ შესანიშნავი თავის ტომში. როდესაც ის ისკანდერ-ბეგი მოკვდა, ახმეთ-ფაშის აზრებიც გამოიცვალა და საცრის ცილისწამებით გამოინადირა ახალ თაობაზედ... ახალი თაობა ყოველთვის იმას ამტკიცებდა, რომ მმართებლობა არ დაუჯერებს ჩვენზედ ჩვენი მტრების ცილის წამებას. ჩვენი გარემოება ახმეთ-ფაშამ კარგათ იცის და ის იტყვის სიმართლესო; რასაც ის იტყვის, ჩვენ იმაზედ დასტური მიგვიცია წინდაწინვეო. წარმოიდგინეთ მისი მდგომარეობა, როდესაც მისმა ვექილმა, ახმეთ-ფაშამ, ახალგაზდობას სასიკვდინო კვერი დაჰკრა თავში და მით მის მტერებს ფრთები გამოასხა. რა უნდა ექნა ახალ-თაობას? მოეთმინა? არა! აქ მოთმინება ალარ ივარგებდა! – რუსთველმა სთქვა:

„ზოგჯერ თქმა სჯობს უთქმელობას,
ზოგჯერ თქმითაც დაშავდებაო.“

და აქ სწორეთ თქმა სჯობდა უთქმელობას.

ახლა კი გაიგეს – რა კაციც ყოფილა ახმედ-ფაშა. ყველას მოაგონდა იმის წარსული ცხოვრება: იმას, თუმცა კი შეეძლო, მაგრამ თავის სიცოცხლეში თავის ქვეყნისათვის არავითარი კეთილი არ უქნია; ყოველთვის იმას ამბობდა, რომ მსურს, მაგრამ მეშინია, მალალ ხარისხზედ ვდგეკარ და ვერა ვბედაო. – თითქოს უშლიდა ვინმე! ცარიელი სიტყვით კი თავს არ იზოგავდა და კარგს მოძღვრებას გვაძლევდა. თუმცა, ვამბობ, ახმედ-ფაშას საქმით თავი არ გამოუჩენია, მაგრამ სიტყვა-ტკბილი და სიტყვა-მართალი იყო და ახალგაზდობა დიდის სიყვარულით მიმართავდა და თითქმის ქვეყნიერ ღმერთადათ ხდიდა იმას. და მართლაც მისი სიტყვები ღრმათ იბეჭდებოდენ გულის ფიცარზედ. რომელს კახა-ბერელს არ ასძგერებია სიამოვნებით (ასეა!) გული, როდესაც მის თბზულებებს კითხულობდა? მაგრამ, როდესაც წაიკითხეს მისი ბეზღებითი ეფისტოლე ახალგაზდობისადმი, ყველას გული აუღელდა და თვალცრემლიანმა გამოიტირეს თავის სასო კახა-ბერი.

ამბობენ, ერთმა ახალგაზდათაგანმა დაუწერა კახა-ბერს საკადრისი პასუხიო, რომელშიაც ძველ თაობას გამოუცხადაო, რომ ნუ გიხარიანთ, ეგ ის კახა-ბერი ალარ არის, ჩვენ რომ ვაფასებდითო! ის მოკვდა და აი ეგ ვინც არის, აქედამ სცანითო.

ერთ სალამოს არტანში რამდენიმე ახალგაზდებმა შეიყარა თავი და ამ საქმის თაობაზე ჰქონდათ მოლაპარაკება. სხვათა შორის ის პასუხის მიმცემი ახალგაზდაც იქ იყო. ერთმანეთში მოლაპარაკებისა და განსამართლების შემდეგ, ამ კრებამ გამოაცხადა, რომ ის სრულიად თანახმაა იმ პასუხისა, რომელიც კახა-ბერს მიეცაო. შემდეგ თავსმჯდომარემ სთქვა: „ვინც წინააღმდეგია ამ განჩინებისა და მოპასუხეს მართლად არ იცნობს, გამოაცხადოსო!“ მაშინ წამოდგა ერთი ახალგაზდათაგანი და სთქვა: „მე სრულიად თანახმა ვარ თქვენი, მაგრამ რადგანაც მე სამსახურში ვარ და მალალი ადგილი მიჭირავს, მეშინია ცხადათ თანაგრძნობისაო და ნურაფერს უკაცრავათო.“ მეორემ სთქვა: „მე გამდიდრება და კეთილი ცხოვრება მიყვარს და ახმედ-ფაშას საწყენში რომ გავერიო, ხელს შემიშლიან, რადგანც (ასეა!) ბევრი მისთანა სულ-

მდაბალი კაცია, რომ იმ დიდი-კაცის მოსაგერებლათ, მეც დევნას დამიწყებსო, და ჩუმათ გულში კი თანა-გიგრძნობთო.“ მაშინ ესენი ორივე საზოგადოებამ გააგდო თავის კრებიდამ და თვით შეუდგა ერთხმათ ამ ლექსის სიმღერას:

ფარშავანგი

უცხოს წალკოტს და მშვენიერს,
ალყავებულს მრავალ-ფერად,
სადაც იადონი უმღერს
საამოდ და გულ-საძგერად,
— ----
ერთი ფარ-შავ-ანგი გყვავდა,
მოსაწონი, დახატული.
კვერცხის დება არ იცოდა,
ჰქონდა მხოლოდ კარგი გული!
— ------
საარაკო ფრინველს ჰგავდა,
მას ვუმღერდით, მას ვაქებდით;
მასზედ ცუდს ვინც გაბედავდა,
ბატის ფრთებზედ ავაგებდით!...
— ------
დრომ ვერ დასდო მას თვის კვალი,
დარჩა ლამაზი და ტკბილი;
ახალ-გაზდათ წმინდა თვალი
მისკენ იყო მიპყრობილი!...
— -----
ერთს დღეს მოგვესმა ყიყლიყო,
ალარ გვესმა ტკბილი ანგი...
მიველთ, ვნახეთ, ალარ იყო
ბაღში ჩვენი ფარ-შავ-ანგი!...
— ------
ნაცვლათ მისსა დათვი დაგვხვდა;
მას თან ჰყავდა ორი ბელი!...
მაშინ მივხვდით: საქმე წახდა!
შემოვირტყით თავში ხელი!...
— ---
მას აქეთ, შეწუხებული,
ფარ-შავ-ანგს ვეძებთ მწუხარე,

მას ვიგლოვთ გულ-დაწყვეტილი
და ცრემლები გვდის მდუღარე!
— ----
გვასწავლეთ, საით გაფრინდა
ის ჩიტი ღვთით-მადლიანი
და მოგვაშორეთ, არ გვინდა
ეს დათვი -- ბელიანი!...

აჭარა.
აკ.

***

სპარსეთელი ქართველის წერილი – „დროებაში“ 1874 წელს დაბეჭდილ ამ საგაზეთო სტატიას ხელს აწერს ფერეიდნელი ქართველი, ათამ ონიკაშვილი, რომელსაც საქართველოში ალექსანდრე შეარქვეს და რომლის ჩამოსვლამაც გააჩინა „დროების“ ფურცლებზეც და ქართულ საზოგადოებაშიც სპარსეთში გადასახლებულ ქართველთა შესახებ ინტერესი. ეს წერილი მეტყველებს იმაზე, რომ ფერეიდნიდან ჩამოსული ქართველი უკვე აქტიურადაა ჩართული საზოგადოებისთვის საჭირბოროტო საკითხების განხილვაში. პუბლიკაციის თემაა სკოლა და მისი პრობლემები. სტატიას ეტყობა რედაქტორის კვალი, უფრო სწორად, მთელი სტატია დაწერილი უნდა იყოს რედაქციის თანამშრომლის მიერ, რადგან არც სტილისა და არც გამოყენებული ლექსიკის გათვალისწინებით არ შეიძლება ის ფერეიდნიდან ჩამოსულ ქართველს ეკუთვნოდეს. თუ არ ჩავთვლით ორგან <u>მინც</u> (= ვინც) ნაცვალსახელის გამოყენებას, აქ ფერეიდნული ლექსიკიდან არაფერია დარჩენილი; როგორც ჩანს, სტატიის სამდვილი ავტორი, რომელიც ონიკაშვილის მონათხრობს ეყრდნობა, ტექსტისთვის დიალექტური ელფერის მისაცემად იყენებს ამ ერთადერთ ფორმას. სტატიაში მნიშვნელოვანი საგანმანათლებლო საკითხია წამოჭრილი, ხოლო მისი შეფასება სპარსეთში გაზრდილი ქართველის თვალით ორიგინალური ჟურნალისტური ხერხია. ყურადღებას იქცევს სტატიის სათაური: „სპარსეთელი ქართველის წერილი“ – წარმომავლობის სახელის წარმოების თავისებურება: არა სპარსი, სპარსელი ან სპარსეთის ქართველი, არამედ – სპარსეთელი. კარგი მაგალითია სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე მცხოვრები ეთნიკური ქართველობის წარმომავლობის აღნიშვნის ტრადიციის საკვლევად და ასევე კარგი არგუმენტია ბოლო ხანებში დამკვიდრებული ტერმინებისთვის: თურქეთელი ქართველი, აფხაზეთელი ქართველი.

სპარსეთელი ქართველის წერილი
ალექსანდრე ონიკაშვილი

(დროება, 1874, N 427)

მე გავიგონე ერთი პატივცემული კაცისაგან, რომ წლევანდელს წელს თავი წაიღო გაზეთებმა, სულ შკოლა და შკოლა, ნეტავი მართალს და სარგებლიანს რასმეზედ ლაპარაკობდნენო. ამაზედ დიდი ხანი ვიბაასე ამ კაცთან. მე უთხარ, შკოლა ძალიან კარგი არის მეთქი ხალხისათვის, დიდი სარგებლობა მოაქვს, თან თავისუფლებას უმატებს, და თავის ცხოვრებას კარგად წაიყვანს. თუ კაცი სწავლაში კარგად გაიხსნა მეთქი, თითქმის სამშობლოს და ქვეყანასაც სარგებელს მოუტანს, არამც თუ მარტო თავის თავს.

ეჰ, შე დალოცვილო შენ ჯერ არ გაგიცვნია აქაური ხალხიო. მეც კი მაგრე მეგონაო, რომ ვინც ამაებსა სწერს, იმისი საბობა სულ განათლებული და სწავლაში გახსნილები იქმნებიანო. მაგრამ ეხლა რომ ვხედამ უკანასკნელი მიყრუებულნი თითონ ისინი არიანო. ეხლა რომ მიხვიდე იმათს სახლებში, იმათმა ქალებმა უკანასკნელი ქართული ლაპარაკი არ იციანო, უვარესად იმათმა დებმაო. ეხლა ისინი წამოდგომილან და საზოგადოებას უთითებენ დაბალ ხალხს, როგორ უნდა მოვიქცეთო, თითონ ერთს გროშსაც არ დახარჯავენ საზოგადოებაზე. რამდენსაც ჯამაგირს დიდს იშოვნიან იმდენს ცხოვრებას სხვა და სხვა ნაირად გარდააქცევენ, გამოიბლანჯებიან მოკლე კურტკებში და ჭრიჭინა წაღებში. მაშინ ისე გაიდიდებენ თავსა თითქმის წინ ვეღარ მიაქვთ და უკან რჩებათ. რომელთაც საზოგადოების ან ხაზინის ხარჯით რამე უსწავლიათ, ისინი ეხლა ჩასციევებიან საზოგადოებას სხვანაირ-გაგლეჯ-გამოგლეჯისათვისაო. აბა გლეხებმა რის იმედით გამართონ შკოლა და რის ხალისით ისწავლონ იმათმა შვილებმა? არც სამსახურში მიიღებენ და არც სამღვდელოებაშიო. რჩებიან კიდევ ისე უბრალოდ როგორც არიან. მიზეზი? თქვენ თავისუფალნი არა ხართ, უნდა სახელმწიფო ხარჯი აძლიოთ თქვენაო.

ესენი მოკლეთ მოგახსენე ჩემო მკითხველო. ამ სიტყვებმა მე ძალიან დამაფიქრა და ღირსეულად მამაგონა ჩემი სამშობლო სპარსეთი. რისთვის? იქაური ხალხის განთავისუფლებისათვის. ამას გარდა კიდევ იქაური სასწავლებისათვის (ასეა!)

აქაურები სპარსელებს გაუნათლებელ ეძახის (ასეა!), – იქ სპარსეთში კაცს აღრჩობენო. აი როგორ აღრჩობენ. იქაური ხალხი სუყველა თავისუფალია, იქაურს ხარჯს აძლევს მამული. ვისაც კი მამული აქვს იმისი ხარჯი, უნდა გარდიხადოს, გუბერნატორი იქმნება, ვეზირი, თუ ხემწიფე ანუ დაბალი ხალხი ამაში თანასწორია.

ახლა მოგახსენოთ იქაურს შკოლებზედ. სპარსეთის ქალაქებში იმთენი შკოლები არის თითქმის, აქ ბაყლების დუქნები იმდენი არ არის. ბაზრებში, მიყრუებულ ქუჩებში და მეჩიტებში, საითაც გაივლის კაცი, ნახავს მრავალს სასწავლებელს; იმ სასწავლებლებში სუყველანი თავიანთ ხარჯით სწავლობენ და არა საზოგადოების ხარჯით. დილაზედ წავლენ შკოლაში, ისწავლიან და სალამოს შინ წავლენ. შკოლაში

ვისი შვილიც იყოს მიიღებენ, უფრო იხათრებენ და კარგად ყურს უგდებენ მადლის გულისთვის.

პირველ შკოლაში ასწავლიან სარწმუნოების აღსნას, და აქ კურს დასრულებულებს მოლებს ეძახიან. აქედამ ვინც კი მოინდომებს მეორე სასწავლებელში გადავა და იქ არაბულს ენას და სხვა საგნებს ისწავლის; იმათ უწოდებენ ახუნდსა. აქეთ კიდევ მესამე სასწავლებელი. ამ შკოლებიდამ არც ერთიდამ შაგირდი არადროს არ გამაირიცხება. მინც კეთილია თავის თავს არგებს. მინც ანჩხლია, თავის თავს აწყენს. არც არავინ გაიტანს შკოლიდამ მოწმობას, ოღოდ (ასეა!) ახუნდებს მისცემენ ნებას, რომ სილა[13] იკითხოს, რომელთაც სამართალი წინ აქვთ და არა ზურგთ უკან. იმათი სილა ის არის, ალებ-მიცემის ქალალდის დასამტკიცებლად, რომელსაც ისინი ხელს მოაწერენ და თავიანთ ბეჭედს დასმენ, მაშინ დამტკიცდება ისე, როგორც აქაური სუდია. ამაშიაც ხომ არავინ არ დაახრჩეს სპარსელებმა.

ღმერთმანი ძალიან საუცხოო ქალაქია ეს თფილისის ქალაქი, თუ გამოიგონა რამაფულის მოსაგებლად უცხო ქვეყნის ხალხმა, თუ არა და აქაური არ გამოიგონებს და არც იკადრებს. აქაური ხალხი თუ მაიგონებს, ისეთს რასმეს მაიგონებს ცეკვა თამაშისავით, რომელიც შკოლას მხოლოდ დროებით თუ შეეწევა. ეს, ნამდვილია, შკოლას ერთი იმედი უნდა ქონდეს, საიდამაც უნდა შემოდიოდეს გამოულეველად ფულები ყოველ წლივ. თუ კი საზოგადოებას სურს, შკოლა გამართოს, მე მოვახსენებ დროების მკითხველს, თუ რანაირ ადვილად შაიძლება შკოლის გამართვა და იმისი კარგად წაყვანა. ააშენონ ამ ზევით უბანში ერთი სპარსული აბანო. მაშინ თფილისელები ველარ იტყვიან, ჩვენი აბანო კარგი არისო. იმ აბანოს ძალიან ცოტა რომ ვსთქვათ, უკანასკნელი უკანასკნელი (ასეა!) ათასი თუმანი იჯარა ექნება. ეს ფულები მოეხმარება შკოლას. ამ ნაირად ძალიან კარგი შკოლა გაიმართება და უზრუნველად იქნება. ამისი სახე თვალწინ გაქვთ: შეხედეთ ჯერ ამ აბანოებში რამთენს იჯარას აძლევენ. თუ რომ ის გაიმართა, უეჭველია, პირველი ის აბანო იქნება, ხარჯიც ძალიან ბევრი არ მოუნდება. ამაზე უკეთესი და უზრუნველი შკოლის სასარგებლო მთელს ქვეყანაზედ არ იპოვება.

ალექსანდრე ონიკაშვილი

***

ზღაპარი – 1875 წელს იმავე ალექსანდრე ონიკაშვილს შეახსენებს „დროება“ მკითხველს.

ზღაპრის ტექსტს წამძღვარებული აქვს სარედაქციო შენიშვნა: „ამ სპარსელი ქართველის გალექსულ (?) ზღაპარს მხოლოთ იმის ნიმუშათ ვბეჭდავთ, რომ უჩვენოთ

13. სპ.-არაბ. სილა – დროებითი ქორწინების, გარიგების, ყიდვა-გაყიდვის შეთანხმებისას ახუნდის (მოლას) მიერ წაკითხული სპეციალური ტექსტი, რომელიც კანონიერ სახეს აძლევს ამ შეთანხმებას.

ჩვენ მკითხველებს – თუ როგორის ქართულის ენით ლაპარაკობენ ის ქართველები, რომელნიც დიდი ხნიდგან არიან სპარსეთში დასახლებულნი". რედ.

მიუხედავად ამ შენიშვნისა, ეს ზღაპარი ვერ გამოდგება ფერეიდნული მეტყველების ნიმუშად, რადგან მასზე სალიტერატურო ქართულის დიდი გავლენა და სარედაქციო ჩარევების კვალი აშკარაა.

ამ დროსათვის ზღაპრის ავტორს, ათამ (ალექსანდრე) ონიკაშვილსაც, რომელიც 1871 წელს ჩამოვიდა სპარსეთიდან, უკვე კარგად სცოდნია სალიტერატურო ქართული. მიუხედავად იმისა, რომ ზღაპრის ტექსტი ძალიან არის დაშორებული ფერეიდნულ დიალექტს, ჩვენ ის მაინც შევიტანეთ ჩვენს კრებულში როგორც საქართველოში ოთხი წლის განმავლობაში მცხოვრები რეპატრიანტი ფერეიდნელი ქართველის მეტყველების ნიმუში.

ალექსანდრე ონიკაშვილი
ზღაპარი

(დროება, 1875, N 34, გვ.3)

მოდი ვსთქვათ ზღაპარი: იყო და არიყო ერთი კაცი ღვთის ნიერი. იმას ჰქონდა ერთი ბაღი ბუნებით მშვენიერი. ის ბაღი იყო ორ წყალს შუვა. ორივ წყალი მასა რწყავდა. მთელი წელი ოთხი ჟამი ზამთარ ზაფხულს სულ ყვაოდა. პირმცინარედ მაღლა ცაში მზეს პირდაპირ შასცქეროდა.

ამ კაცს ჰყვანდა ამ ბაღშია მცხოვრებლები ფრინველები. ბულბულები ვარდის ბუჩქზედ ლამაზის ხმითა გალობდნენ. გუგულები მაღალხიდგან გუგუ გუგუს იძახოდნენ. ბაღის პატრონს ძალიან დიდად უხაროდა. უწყენარათ შიგ მცხოვრებლებს უცქეროდა.

მეგრამ ერთ ჟამს მტერი გაუჩნდა იმის ბაღსა. მოდიოდნენ ოთხივ კუთხით. კარი კედელი ვეღარ ძლებდა. იმის კედლებს სულ ანგრევდნენ, თითონ ბაღსაც ასწორებდნენ. ყოვლად უთანხმო იმის ბაღში ყარყარობდნენ ე. ი. ამას იძახოდნენ ხორაც არა პატრონს ვარგივათ არც არას სხვა დაგვიშლისო. ამისია შიგა ვცხოვრობთ. სხვისაც იყოს შიგ ვიცხოვრებთო.

ბაღის პატრონი შეაწუხეს, მოსავალი სულ გაჰქონდათ შიგ მცხოვრებლებს ათხელებდნენ. იმან დაიწყო იქით აქეთ დიდი ბრძოლა. იმის ბრძოლამ ვერაფერი ვერ გაუწყო რა, რადგან მტერი ბევრი ჰყვანდა იმის ბაღს. რა უნდოდა წუთისოფლისა. ის ფიქრობდა რომ ის ბაღი დაირჩენოდა თავის შვილებს.

მაგრამ ერთმა ასე უთხრა მე შენ ერთ ხერხს გასწავლიო, რომ იმან მოსპოს შენი ბაღის ქურდებიო: შენ იპოვნე კომბოსტოს თესლიო და შენს ბაღში დათესეო, მაშინ იმას ველარვინ წაიღებს ვერც ვერავინ შაჰხედავსო.

ეს სიტყვები ბაღის პატრონს ძალიან გეხარდა. რადგანაც არ იცოდა კომბოსტოს რა

თვისება აქვს. ადგა და ბევრი იარა შვიდ მთას უკან ძლივს იშოვა მისი თესლი, მოიტანა იმან, მოხნა სიხარულით თავის ბაღში. როდესაც ნორჩად თავი ამოყო ბალის პატრონს ძალიან უხაროდა, რადგანაც მომავალი არ იცოდა სხვა სარგებლობასაც მელოდა. ეს კომბოსტო რომ დამსხვილდა მართალია ქურდი მოსპო, რადგანაც კომბოსტო დიდი იყო, იმის წალება მძიმე იყო.

მტერმა იმის ბალი ვერაოდეს ვერ გახსენა. მაგრამ პატრონს რა დაიმართა როცა კომბოსტო დამსხვილდა იმისი ბალი დაჩრდილა. ძირს ფოჩები ჩამოყარა. მაღლა თავები დაისქელა. ვარდის ბუჩქები დაისაკუთრა. წვრილი მცენარეები სულ მოუსპო. ბულბულები შეაწუხა.

მაშინ ის კაცი დაღონდა სულ ამასლა იძახოდა. რავქენ ჩემთვის რა დავმართე ასეთი ბალი რას წავახდინე. ჩემის ხელით რა მოვიხდინე. კომბოსტოთ გავსილა ბალი. ჩემთვის შეუკრავს გზა და კვალი. თუ ხეირი ჰქოდეს ჯანი გავარდეს. მაგრამ რავქნა (ასეა!) უხეიროა. წნილად ჩავდებ მჟავეაო უმათ მივირთმევ მწარეაო. ღმერთო ეს რა შეგცოდეო. ნეტამც გაუჩნდეს ჭია თუ რომ მოსპოს იმანაო. ეს რავქენი (ასეა!) რა ჩავიდინე ვის უჩივლო ვის ხელშიო. ჩიმი (ასეა!) თავი რას გავაბი ჩემის ხელით მახეშიო. ერთს მოვგლეჯ ათი ამოვა ათს მოვგლეჯ ასი ამოვა, ღმერთო შენ გაუჩინე მას ჭია თავისიო თუ რომ მოსპოს იმანაო.

უწინდელი ქურდები ბევრით ვერას მაკლებდნენო. რამთენიც იმათ მიჰქონდათ უფრო მეტი მრჩებოდაო. კომბოსტომ კი ჩიმი ბალი ერთიანათ დაისაკუთრა და მოსავალი სულ მომისპო. ბალიდგან წმინდათ ხელი დამაბანინა. ჩემი ბედი მან გაშავა. ღმერთო რა ვქენ რა შაგცოდე, შენ გაუჩინე მას ჭია თავისიო, თუ რომ მოსპო იმანაო ბალის პატრონი მწვავის გულით ასე ამბობდაო. ეს რა არის რასა ვხედავთ ხომ არა ვარ სიზმარშიო. აბა ერთი გავინძრიო ხომ არა ვარ მე ძილშიო. მაგრამ მე ძილში არა ვარ ჩემი ბედია ძილშიო.

იმის ბალის მცხოვრებლებმა ერთი ასე გამომძახეს შენ მიანდე მომავალსა ეგებ კიდევ ჩვენ ჩავცივდეთ შენს ხელშიო!

სპარსელი ალექსანდრე ონიკაშვილი

***

„ქართველები სპარსეთში“ – ეს სტატია აგრძელებს ფერეიდნულ თემას 1876 წლის „დროებაში“. სტატიის ავტორი მითითებული არ არის. თუ გავითვალისწინებთ, რომ ავტორის დაუსახელებლად გამოქვეყნებული სტატიები ძირითადად გაზეთის რედაქტორებს ეკუთვნოდათ, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ეს წერილი სერგი მესხს უნდა დაეწერა. წერილში დიდი ინფორმაციაა სპარსეთში მცხოვრები ქართველების შესახებ, სავარაუდოდ, ამ ინფორმაციის წყაროც ათამ ონიკაშვილი უნდა ყოფილიყო.

სპარსეთში ქართველების მეზობლად მცხოვრები ხალხების დასახელება ნათელს ხდის, რომ საუბარია ფერეიდნის რეგიონში მცხოვრებ ქართველებზე.

სტატიაში ყურადღება გამახვილებულია ქართველებისა და სხვა ტომის ხალხების თანაცხოვრებაზე, აგრეთვე თავად ქართველთა ერთმანეთთან ურთიერთობაზე. აქაც გვხვდება წარმომავლობის სახელი – სპარსეთელი, როგორც ჩანს, ეს ტერმინი მკვიდრდებოდა სპარსეთში მცხოვრები ქართველების სახელწოდებად.

ქართველები სპარსეთში

(სპარსეთელი ქართველის ნაამბობი)
(დროება, 1876 წ. N120, 7 ნოემბერი, გვ.2)

ისტორია ამბობს, რომ ორას-სამოცი წელი არის, რაც ისინი გადაუსახლებიათ აქედამ სპარსეთში. აგრეთვე იმათი ზეპირ გადმოცემა ამტკიცებს, რომ ჩვენ დიდ შაჰ-აბაზის დროსა ვართ გადმოსახლებულნი საქართველოდამო.

ამთენი ხნის განმავლობაში ისინი სპარსეთში სცხოვრობენ და არავითარი კავშირი და მისვლა-მოსვლა საქართველოში იმათ არა აქვთ და არც ქართველებს იმათში.

გადასახლებისა-თანავე იმათ მიაღებინეს მაჰმადის სარწმუნოება.

დიახ, მიუღიათ მაჰმადის სარწმუნოება, მაგრამ ისინი დღესაც ქართველები არიან: პირველად, ისინი დედა-ენად ხმარობენ ქართულ ენას და გარე ენა იციან კიდეე სპარსული, თათრული კი ათასში ერთმა კი იცის. თითონ იწოდებიან ქართველებად და სპარსელები ეძახიან „გურჯის“. ისტორია გვიხატავს ქართველის ხასიათს: რომ ქართველი არის პურადი, გულადი, მხნე, მოძრავი და მებრძოლი შავის ბედისა!“ ესენი იმათ არც ერთი არ აკლიათ.

ისინი ცხოვრობენ სპარსეთში შვიდ სოფლად, და ამ შვიდ სოფლის მცხოვრებნი, ყოველთვის ერთს უღელქვეშ არიან ლხინშიაც და ჭირშიაც.

გარშემო იმათ ახვევიათ რამდენიმე გვარი ხალხი: ანოტომი, სომეხი, თურქი, ფარსი, ბახტიარი. ესენი ყველანი ხშირად დაიარებიან ქართველების სოფლებში, ნამეტნავად ბახტიარები. ადგილ-მდებარეობისა და მთებისა გამო აუცილებელი საჭირო გზა არის იმათი სოფლები. ქართველური პურადობის საჩვენებლად, მე შემიძლიან ის გარემოება მოვიყვანო, რომ ამ სოფლებში თავისობას პური არ გაყიდულა აქამომდი: გზავრს ვაჭარს ყოველთვის სტუმრად მიიღებენ ხოლმე. ხან-და-ხან დიდ-ძალს ხალხს სოფელი საერთოდ მიიღებს ხოლმე სტუმრად. ეს დიდ-ძალი ხალხი მუდამ ბახტიარები არიან ანუ შაჰზადა[14] – ათასში ერთხელ. ბახტიარები არიან დაყოფილნი რამდენიმე გვარად: ჩარლანგი, ჰაფლანგი, ბოსაქი, მამსალე, ქუნურსი; თითო ამათგანი შეადგენს ერთ დიდ საზოგადოებას და თითო საზოგადოებას ჰყოფს ერთი გამოჩენილი ხანი; როდესაც ერთი ამ ხანთაგანი წავა სადმე, ცხენზედ რომ შედგამს ფეხს, უკან მოსდევს უკანასკნელი ხუთასი დაიარალებული ცხენოსანი და ყველა ესენი ეწვევიან ქართველ სოფლებსა.

14. ს. უფლისწული.

ამავე ბახტიარებთან იგივე ქართველები მუდამ ომობენ, მუდამ ბრძოლის ველზედ დგანან, მუდამ თოფ-იარაღი ხელში უჭირავთ, მუდამ ჯარიანობას მოელიან ხოლმე, მინდორში სამუშაოდ როცა მიდიან, ყოველთვის თოფ-იარაღი თან დაქვთ, ყოველ კაცის სახლში ყოველთვის თოფის წამალი გამოულეველი არის.

ქართველებმა თუ თავიანთი თავი თითონ არ დაიცვეს, სხვა დამფარველი არავინა ჰყავთ, რადგანაც მართებლობას არ ძალუძს იმ ბახტიარებთან შებმა. მაგრამ ქართველები, არა თუ მარტო თავიანთ თავს იცავენ, არამედ იქ ახლო-მახლო სოფლები სულ იმათი შეფარებულები არიან; თუ არა ქართველები, იქაური სომხების და ზოგიერთ სპარსელების სოფლები, შაჰ-ზადე – უფლისწულის ხსენებაც არ იქნებოდა. ბევრჯელ ისეთი დრო მოხდება ხოლმე, რომ ქართველი დედა-კაცი თოფ-იარაღს ხელს დაავლებს და მინდვრად მტრის წინააღმდეგ გადის. ბევრჯერ ისეც მომხდარა, რო ის ბახტიარები თვითონ ერთმანერთს თავს დაესხმიან. დამარცხებულნი გამოიქცევიან და ქართველებს შეაფარებიან; ქართველები დამარცხებულებს დაიფარავენ და მდევნელებს უკანა სდევნიან ხოლმე.

საუბედუროდ, თვითონ ქართველებსა ძალიან ხშირად მოსდისთ ჩხუბი ერთმანერთში. სოფელი სოფელზედ კი არა, თვით ერთს სოფელშიევე შინაურულად მაგრამ რაც-კი ხელში მოხვდებათ, დაარტყამენ ერთმანერთს, კეტს, სახრეს, ნიჩაბს, ქვას; თუ ვერა მოახერხეს-რა, უკანასკნელად ქოშებს მაინც გაიხდიან და იმითა სცემენ ერთმანერთს. ტყუილა-უბრალო ლანძღვა და გინება არ იციან; შაგინება და გარტყმა ერთი იქნება ხოლმე. მაგრამ არავის ახსოვს, რომ იმათ ერთმანერთის სისხლი დაეღვაროთ და თოფ-იარაღი ეხმაროთ ერთმანერთზედ. ზოგჯერ ისეთი შეტაკება მოხდება ხოლმე რომ მთელი სოფელი ერთმანერთზედ დაიწევს. ეს მაშინ, როდესაც ჩხუბი ზევით უბან და ქვევით უბნად გადაიქცევა. ამ დროს დამამშვიდებელი ანუ გამშველებელი არავინ ჰყავთ გარდა დედა-კაცებისა. მართლა რომ კიდეც გამოვლენ იმ დღეს დედა-კაცები, ჩადგებიან შუაში, მოიხდიან თავს და ათასის ხვეწნა-მუდარით დაამშვიდებენ ხოლმე. ჩხუბის შემდეგ, მშვიდობიანობა ჩამოვარდება. რომელიმე უფროსი დედა-კაცი გამართავს სტუმრობას და მოიპატიჟებს ორსავე მოჩხუბარ მხარეს. რაკი ერთად შაიყრებიან და პურობა გაიმართება, შარიგდებიან და როგორც უწინ იყვნენ, ძმურად, ვითარცა ერთი მამის შვილნი დარჩებიან.

სპარსეთელ ქართველებმა არ იციან „ბატონი და ქალბატონი.“ ყველა ერთმანერთს შინაურულ სახელებს ეძახიან; უფროსის სახელი არის ამია და ბიძა, უფროს ძმისა დადაშია, უმცროსისა ძამა და შვილო. როგორც არ იხსენება ბატონი, აგრეთვე არ იხსენება ბიჭო, ყველას მხოლოდ კუთვნილ სახელს ეძახიან, რადგან ყველა თანასწორად სთვლიან ერთმანერთსა.

ასე ერთმანერთთან დამოკიდებულება ჰქონიათ უწინაც ქართველებსა, თავიანთ მეფეების დროს; მაგრამ მას შემდეგ დროთა ვითარებამ ეს ჩინებული ხასიათი, უბრალო დამოკიდებულება ერთმანერთთან, შესცვალა.

***

დღიური 1877 წლის „დროებაში“ ავტორის მითითების გარეშე დაიბეჭდა. ყურადღებას იქცევს ტერმინ ფერეიდანის გაუხმოვანებელი ფორმა: ფრეიდანი, რომელიც, როგორც ჩანს, თარგმანის წყაროდან მომდინარეობს.

წერილში ნახსენები ქართველი მღვდელი, რომელიც რუსის ელჩთან მსახურობდა, უნდა იყოს ევსევი ცაბაძე, რომელიც, თავის მხრივ, იაკობ გოგებაშვილთან საუბარში მოგვიანებით ადასტურებს აქ აღწერილ ამბავს. ეს მოკლე ინფორმაცია გაზეთის შემდეგ ნომერში გაშლილია და უფრო დაწვრილებითაა მოთხრობილი ფერეიდნელ ქართველებთან შეხვედრის ამბავი.

დღიური

(დროება, 1877 წ. N186, 5 ნოემბერი, გვ.2)

ეჩმიაძინის სომხურს ჟურნალს არარატში დაბეჭდილია თეირანიდამ მიღებული კორრესპონდენცია, რომელშიაც, სხვათა შორის, შემდეგი ცნობებია მოყვანილი სპარსეთში დიდი ხნიდამ გადასახლებულს ქართველებზე:

„სულ 2,000 ოჯახი ქართველები ცხოვრობენ ფრეიდანის მაზრის სხვა-და-სხვა სოფლებში. ყველა ესენი თითქმის ნამდვილ ქართულს ენაზე ლაპარაკობენ; ხასიათითა და ჩვეულებით ქართველები არიან; მხოლოთ სარწმუნოება მაჰმადის მიულათ.

„ამათ სოფლებს ჰქვიან სახელად: აფრუზი, დაშკენტი, მიუნდეშტი ანუ თელავი, შაჰიურთი, ახჩა, ზემო და ქვემო ახორა ანუ მარტყობი და სხვ.

„წელს,ზაფხულ, თეირანში მოიყვანეს ამ ქართველების ჯარი, სულ 140 კაცი, რომელნიც ვნახე; ამათ ძრიელ იამათ, რომ ქართულის მოლაპარაკე კაცი მნახეს თეირანში. მე შევატყობინე ამათი მოსვლა რუსის ელჩთან მყოფს ქართველ მღვდელს, რომელიც იმ წამსვე წავიდა იმათთან და დიდხანს ლაპარაკობდნენ.“

***

სპარსელი ქართველები – ეს სტატია, როგორც ითქვა, აგრძელებს „დროების“ წინა ნომერში დაწყებულ თემას. სტატიაში მოყვანილი ფაქტები ალებულია სომხურ საისულიერო ჟურნალ „არარატში“ გამოქვეყნებული სტატიიდან. აღწერილია ფერეიდნელ ქართველებთან შეხვედრა, სტატიის ავტორი სულთანბაბადის თემს უწოდებს იმ ადგილს, სადაც ქართველები ცხოვრობდნენ. ქართულ თარგმანში ფერეიდანის სახელწოდება წარმოდგენილია ორგვარად: ფრეჰოდანი და ფრეიდანი, აქ ნახსენები რუსის დესპანის მღვდელი ევსევი ცაბაძე უნდა იყოს, რადგან ევსევი ცაბაძემ შემდგომ დაადასტურა, რომ სწორედ მასთან მივიდნენ ფერეიდნელი ქართველი ჯარისკაცები;

მღვდელი – ევსევი ცაბაძე (1838-1898) თეირანის რუსული მისიისა და საელჩოს კარის ეკლესიის წინამძღვრად დაინიშნა 1880 წელს. თეირანში მოღვაწეობის დროს არ ავიწყდებოდა საქართველო და ქართველები. იყო ქველმოქმედი, ამის შესახებ ცნობები ქართულ პრესაშიც ქვეყნდებოდა. სპარსეთში ყოფნის დროს იგი დაუახლოვდა ღარიბ ქართველებს, რომლებიც შაჰ-თამაზისა და შაჰ-აბასის დროს იყვნენ გადასახლებულნი. მამა ევსევი ზრუნავდა იქაურ ქართველებზე და მათ საქართველოში დაბრუნებას ცდილობდა. თუმცა, სამწუხაროდ, უშედეგოდ.

სპარსეთში მცხოვრებ ქართველთა აღსანიშნავად ამ პუბლიკაციაში გამოყენებულია „სპარსელი ქართველები“ და არა „სპარსეთელი ქართველები“.

სპარსელი ქართველები

(დროება, 1877 წ. N187, გვ. 3)

სომხურ სასულიერო ჟურნალის „არარატის“ ამ სექტემბრის ნომერში არის კორრესპონდენცია, რომელშიაც კორრესპონდენტი აგვიწერს იქაური გამაჰმადიანებული ქართველების ყოფა-ცხოვრებასა და მდგომარეობასა.

იმედია, რომ ჩვენი საზოგადოებისთვის სასიამოვნო იქნება გაიცნას სპარსების მონების ქვეშ მყოფი ქართველები, რომელთაც აქამდისინ თავიანთ სამშობლო ენა და ქართული ზნე ჩვეულებანი მტკიცეთ დაუცვიათ.

აი ეს კორრესპონდენცია:

„მე ამას წინეთ ერთს წერილში მქონდა გაკვრით მოლაპარაკება სპარსეთში მყოფ ქართველებზედ და იმათ ყოფა-ცხოვრებაზე და ეხლაც მოგახსენებთ რამდენსამე სარწმუნო სიტყვასა და იმედიც მექნება, რომ თქვენს პატივცემულს ჟურნალში დაბეჭდამ, რადგანაც ეს ამბავი, ბევრი ჩვენთაგანთვის სასიამოვნო იქნება.

„სპარსეთის სამხრეთით ერთს მიყრუებულსა და განცალკევებულს მხარეს, სულთანაბადის სათემოში, სცხოვრობენ რამდენიმე გამაჰმადიანებული ქართველები, საითკენაც მე მომიხდა ამ უკანასკნელ დროს გამოვლა და ნახვა მათი. როდესაც მე მათ დამინახეს გზაში, მომიახლოვდნენ და მკითხეს:

„– ყმაწვილო, თქვენ აქაური არ უნდა იყოთ და თუ შეიძლება, გვითხარი, საიდამა ბძანდებითო?

„მე მათ ჩემი ვინაობა უთხარი და ჩემის მხრით მეც გამოვკითხე. მიპასუხეს:

– ჩვენ ქართველები ვართ!

„– მაშ, ქართული გეცოდინებათ?-მეთქი, უთხარი.

„– როგორ არა!

„ჩვენ დავიწყეთ ქართულად ლაპარაკი; შემდეგ გამოვკითხე მათ, თუ თქვენ აქა სცხოვრობთ-მეთქი? მათ მომიგეს, დიახო, დროებით აქა ვართო და საქონელს ვინახამთო და მართლაც რომ აქ სულ ალაჩუხებში დგანან ესენი და ისე სცხოვრობენ.

შემდეგ მე მათ ვკითხე: თქვენს გარდა სხვებიც ცხოვრობენ ქართველები აქა, თუ მარტო თქვენა ხართ-მეთქი? იმათ მომიგეს, სხვებიც არიანო ფრეჰოლდანის სათემოში შვიდი სოფელიაო: აფუს, ტაშკენტი, ახჩა, თელავი, ზემო ახორა და ქვემო ახორა და მარტყოფი, სადაც 2,000 მცხოვრები ვართო.

ბევრი რამ ამბები მიამბეს მათ და ძალიანაც გამიკვირდა. აქეე გამოიარეს რამდენიმე სხვა ქართველმა, რომელთაც, დამინახეს თუ არა, მომიახლოვდნენ და მკითხეს ვინა ბძანდებით? იმათაც აუხსენი ჩემი ვინაობა. მითხრეს, რომ ჩვენც ქართველები ვართო და აქეთ ერთს სომხის სოფელში მივდივართო, სადაც ერთი ძველი ხელთნაწერი სახარება ძევსო ერთ ეკლესიაში და იქა ვლოცულობთო.

ადრე თათრებიც დადიოდნენ სალოცავათ იმ სახარებასთანო და ეხლა კი ალარ დადიანო და ჩვენ კი მუდამ დავიარებითო.

„ასე ამ გვარად ბაასის შემდეგ, მე გამოვემგზავრე ჩემი გზით და ისინი დარჩნენ იქა.

„შემდეგ ამ ზაფხულს ფრეიდანის თემიდამ სპარსების ჯარი მოვიდა, რომელშიიც (ასეა!) ას ორმოცი კაცი ქართველები იყვნენ და ამ კაცებმა რომ ქუჩაში მნახეს, მოვიდნენ ჩემთან და როცა ჩვენ ერთმანეთს ჩვენი ვინაობა გამოუცხადეთ მაო მთხოვეს, რომ, გეთაყვა, იქნება ვინმე არის აქ ქართველიო და თუ შეიძლება გვაჩვენეთო, რომ ერთი ქართულათ ველაპარაკოთო. მე მიუგე, არა, ძმებო-მეთქი, საუბედუროთ, აქ ქართველები არავინ არიან გარდა რუსის დესპანისა და მასთან ერთი ღდლის მეტი-მეთქი. ძალიან შესწუხდნენ ამაზე.

რამდენიმე დღის შემდეგ თეირანში რუსის დესპანის მღვდელი ჩამოვიდა საზაფხულო სოფლიდამა და ესენი ნახა ღვდელმა და დიდი ხანი ჰქონდათ ლაპარაკი მათ და ჩემთან; ქართულ ლაპარაკისთვის დიდი მოხარულნი დარჩნენ.

„სუყველას მტკიცეთ და შეურყეველათ შეუნახამთ თავიანთ სამშობლო ენა და ქართული წესები. დღესაც ისევ ისე იქცევიან, ისე იცომენ და იხურამენ, როგორც მათი მამა-პაპა ქართველები და მე ძალიან მიკვირს, რომ ამათ ასე მტკიცეთ შეუნახამთ თავიანთი ხალხოსნური ჩვეულებანი.“

***

„საქართველოს მე-XVI საუკუნის მეფეების თარხანი“ – ზაქარია ჭიჭინაძის ეს სტატია „დროების“ ფურცლებზე კიდევ ერთხელ შეახსენებს ქართველ მკითხველს სპარსეთში იძულებით გადასახლებულ თანამემამულეებზე. – რა იცოდნენ მე-19 საუკუნის საქართველოში სპარსეთში გადასახლებულ ქართველებზე? – ყველაფრიდან ჩანს, რომ ეს ცოდნა იყო გაფერმკრთალებული, ზღაპრულ საბურველში გახვეული ფაქტების კრებული... ერთ ასეთ, ზღაპარივით დარჩენილ ამბავზეა აქ თხრობა.

სტატია ჩვენთვის საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ ავტორი მიანიშნებს ისტორიის ამ მნიშვნელოვანი მონაკვეთის – ქართველთა დიდი გადასახლების შე-

სახებ არსებული დოკუმენტური მასალის სიმწირეზე და აგრეთვე გვამცნობს, რომ ამ ამბების შესახებ ზეპირი მეხსიერება ხალხში ჯერ კიდევ არსებობს საქართველოში. საქართველოში დაბრუნებულ გადასახლებულებზე სხვა რაიმე სახის ცოდნა ან გადმოცემა ფერეიდნელებს არ შემოუნახავთ. წერილი ზ. მთაწმინდელის ფსევდონიმითაა გამოქვეყნებული.

ზ. მთაწმინდელი (ზაქარია ჭიჭინაძე)
საქართველოს მე-XVI საუკუნის მეფეების თარხანი

(გაგონილი ამბები)
(დროება, 1878, N68, 2 აპრილი, გვ.2-3)

ეს ამბები შევკრიბე თარხან ამილახვარზე. დღემდინ დარჩენილა ეს ცნობები ჩვენს ხალხში და ზეპირათ დახსომებიათ.

მეთექვსმეტე საუკუნეს იმიტომ მივაწერ იმ თარხანს, რომ ხალხის ზეპირგადმოცემითი სხვა ცნობები მეთექვსმეტე საუკუნეს ეკუთვნის და საქართველოს ისტორიაც მოგვითხრობს, რომ საქართველოს შაჰ-აბაზი მეთექვსმეტე საუკუნეში დაეცაო. აი რას იძახის ხალხი:

როდესაც შაჰ-აბაზი საქართველოს დაეცა და განსაკუთრებით კახეთი ააოხრაო, მაშინ მან საქართველოდამ ასი-ათასი ქართველი წაასხა და ყველა ესენი გადაასახლა სპარსეთში. ამათ რიცხვში ერია კახეთის მეფე ალექსანდრეს მოხუცებული თარხანიო.

სპარსეთში რომ ჩაიყვანეს ქართველები, ზოგი სად დაასახლეს და ზოგი სადაო; მხოლოდ, რადგანაც თარხანი გამოჩენილი და ცნობილი კაცი იყო როგორც საქართველოს ხალხის წინაშე აგრეთვე სპარსეთის ხალხისა და შაჰ-აბაზთანაც, ამის გამო მას მისცეს სადგამო ადგილი ქალაქ შირაქსა[15], შაჰ-აბაზის სამეფო სასახლის ახლოსაო, და იქა სცხოვრობდაო.

როგორც მოყვარე თავის სამშობლოსი და ქართველი ხალხისა, თარხანი ბევრსა სცდილა სპარსეთში წაყვანილი ქართველების დასახსნელათაო. მაგრამ დიდხანს ვერა გაუწყვია-რა; მხოლოდ შემდეგ კი ათასი ქართველი და თავიც დაუხსნია და წამოსულან საქართველოში. მათი თავის დახსნისა და მოსვლის ამბავი საქართველოს ხალხში ზღაპრივით არის დარჩენილი. აი რას ამბობენ ამაზე ხალხში:

შაჰ-აბაზი ისეთი ცუდი კაცი იყოვო, რომ რასაც იტყოდა და აიტეხდა, უეჭველად უნდა ასრულებულიყო კიდეცა, თუნდა მთელი ქალაქი დაქცეულიყოვო. ერთხელ აუტეგნიაო (ასეა!), რომ ერთი ისეთი კაცი მიპოვნეთო, რომელსაც შეეძლოს ჩემი დაფასებაო, რომ ჩემმა ქვეყანამ იცოდეს – მე რა ვღირვარ ან ჩემთვის და ან თქვენთვისო.

ამაზე მთელი სამეფო და ხალხი ძალიან შეწუხებულან თურმე და დაუწყებენ მთელს

15. სავარაუდოდ, კორექტურაა და შირაზი უნდა იგულისხმებოდეს.

სპარსეთში ამისთანა კაცის ძებნას, რომ არავინ გამოჩნდება მისი დამფასებელი.

ბოლოს საქმე იქამდის მიაღწევს, რომ საქართველოს თარხანთან წავლენ შაჰ-აბაზის კაცები და ეტყვიან:

შაჰმა ესე და ესე გამოგვიცხადა და ხომ არ იცი, რომ დააფასო ის შენაო? რასაც სთხოვ, მოგცემსო? თარხანი უპასუხებს, რომ ძალიან კარგა დავაფასებო და ამ თქმაზე სიხარულით წაიყვანენ კიდეც შაჰთან.

შაჰი რომ ნახავს, გაუკვირდება და ეტყვის თარხან: შენ, უნდა დამაფასო მე?

– დიახ მე დაგაფასებ, თუ თქვენი ნება იქნებაო! მიუგებს თარხანი.

– აბა დამაფასე!

– დღეს არ შემიძლიან, და ხვალ დაგაფასებ. მაგრამ მე რალას მაჩუქებ სამაგიეროს.

– რაც გინდა მთხოვე.

– მაშ ათასი კაცი ქართველი მაჩუქე, რომ საქართველოში დავბრუნდეთ.

კარგიო ეტყვის შაჰი. თარხანი ერთ თუმანსაც ითხოვს, მისცემენ და წავა.

იმ თუმნით ერთ მეკუბოეს კუბოს შეუკვეთავს მეორე დღისთვის. მეორე დღეს თარხანი აჰკიდებს მუშას კუბოსა და წაალებინებს შაჰის სასახლეში. შაჰს მოახსენებენ, რომ თარხანი მოვიდაო; ის მაშინათვე გამოვა თარხანთან და ეტყვის: მოხველი! მაშ დამაფასეო? -კარგიო, ეტყვის თარხანი და იმ თქმაზე მთელი სპარსეთის წარჩინებულნი პირნი იქ შეგროვდებიან. მაშინ თურმე თარხანი მეორე ოთახიდამ შეატანინებს იმ კუბოს შაჰთან და ეტყვის ხალხის წინაშე:

– აი თქვენი ფასი ეს არის!

ყოველნი გაჩუმდებიან.

– დიდებულო მეფევ, განაგრძობს თარხანი, თქვენ რომ ბრძანებთ დამაფასეო აბა როგორ დაგაფასოთ: ფულით დაგაფასოთ, ფული ბევრი გაქვსთ: ოქროთი, თვალით თუ მარგალიტით, ესენიც ბევრი გაქვთ და სახელი მეფისა გაქვთ, ღირსება და ანგარიში მაჰმადისა და ღვთის წინ ერთია! აი თქვენი ფასი ეს არის: როდესაც უძრავათ იწვებით შიგა და საუკუნოთ, საიქაოს ამის მეტს არას ფერს წაიღებთ!

ამნაირს დაფასებაზე შაჰი დასჩუქრებს იმას და გაისტუმრებს საქართველოში იმ დაპირებული ათასი კაცით.

გზაში აი რას ნახავს კიდეე თარხანი: ერთს სპარსების სოფელში ერთს ახალგაზრდა ქალს ქილაში ხელი ჩაუყვია და ვეღარ ამოელო. ამის გამო იმ ქალსა ხელსა სჭრიდნენ. ეს რომ თარხანმა გაიგო, მაშინვე მიბრუნდა იმ სოფელში და იმ ქალს ქოთანი ხელზე გადაატეხა და ამნაირათ დაისხნა მოჭრისაგან. ქალის მამამ აუარებელი ოქრო და ვერცხლი აჩუქა თარხანს და გამოისტუმრეს საქართველოში.

ამბობენ, რომ ეხლანდელი თარხანოვები იმ თარხანის ჩამომავალნი არიანო რადგანაც თარხანი ყოფილა მეფისა, ხალხსაც გვარათაც თარხანი დაურქმევია და ამილახვარი კი გაუუქმებიაო.

ზ. მთაწმინდელი

***

დელლავალლეს (პიეტრო დელა ვალე) მიერ პაპ ურბანუს მერვესადმი საქართველოს შესახებ დაწერილი მოხსენება 1627 წლით არის დათარიღებული. 1879 წ. ჟურნალმა „ივერიამ" გამოაქვეყნა ფრაგმენტები ამ მოხსენებიდან. წიგნში მოგვყავს ამონარიდი ამ წერილიდან (გვ.47-50). იტალიელი მისიონერი აღწერს მეჩვიდმეტე საუკუნეში საქართველოს მძიმე მდგომარეობას ორი დიდი იმპერიის, სპარსეთისა და ოსმალეთის ინტერესების შეჯახების ფონზე. სპარსული ლაშქრის შემოსევის მიზეზად მას მიაჩნია შაჰ-აბასისგან მეფე ლუარსაბის დისადმი სასიყვარულო ისტორია. პიეტრო დელა ვალე, ისევე როგორც სხვა მისიონერები, მას დარეჯანად მოიხსენიებს (ქართული წყაროებით ლუარსაბ მეფის და ხორეშანი ერქვა) და აღნიშნავს, რომ შაჰის მრისხანება და სისასტიკე გამოიწვია ლუარსაბის დის თეიმურაზ მეფეზე გათხოვებამ. პიეტრო დელა ვალე აღწერს ქართველთა მძიმე მდგომარეობასა და მათი სპარსეთში გადასახლების ამბავს. კათოლიკე მისიონერის მიერ მოწოდებული ფაქტები განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს იმის გამო, რომ ის დათარიღებულია 1627 წლით – და სავარაუდოდ, ეყრდნობა თვითმხილველთა სარწმუნო ცნობებს.

პუბლიკაციას ხელს აწერს მთარგმნელი – ალექსანდრე ჭყონია.

დელლავალლე (პიეტრო დელა ვალე)

მასალა საქართველოს ისტორიისათვის, მოგზაურის პიეტრო დელლავალლეს მოხსენება საქართველოზედ პაპი ურბანუს მერვესადმი 1627
(ივერია, 1879, N3, გვ.29-64.)

[...] როცა სპარსეთის მეფე შევიდა საქართველოში, ნახა ადგილების სიმაგრე და დაფიქრდა, თუ რა შეეძლოთ ქართველებს, რომ იგინი ერთობით ყოფილიყვნენ, დარჩომილიყვნენ თავიანთ სახლებში და ჰქონოდათ რიგიანი მართებლობა, – ის არამც თუ ალარ ეცადა ამ ქვეყნის ხელში ჩაგდება – იცოდა, რომ ვერას გზით ვერ ჩაიგდებდა – არამედ მოუთმენლად ისწრაფა იქიდგან გამოსვლა და უსაშიშო ადგილზედ დაბანაკება, მაგრამ თუ ხელში ჩაგდება ქვეყნისა არ შეეძლო, არც ეგრე ხელიდგან გაშვება უნდოდა ამ მშვენიერის იაერისა (bella preda), რომელმაც შექმნა ამოდენა ხალხი; იქნება ეს ხალხი უფრო ბევრად ჰლირდა, ვიდრე თვით ქვეყანა. აი ამიტომ მან მსწრაფლად მოაცილა მთელი ხალხი თავის სახლ-კარს და ძალით წაიყვანა თან. ადვილად წარმოსადგენია რა არეულობა იქნებოდა მთელ ქვეყნის ხალხის გადასახლების დროს[16].

ამათ შორის იყვნენ მამა-კაცები და დედა-კაცებიც, თავად-აზნაურები და გლე-

16. *) წარსულ საუკუნის ისტორიკოსი ფარსადან გიორგი-ჯანიძე ამბობს, რომ შაპაბაზმა ამ დროს გადასახლო 80,000 კაცი (მთარგმ).

ხებიც, დიდები და პატარებიც; ყოველ წლოვანებისა, ყოველ წოდებისა და ყოველ მდგომარეობისა. ესენი თავიანთ ხიბაკით, რამოდენის წამოღებაც შეეძლოთ, დააყენეს ჯარის წინ და სიჩქარით წაიყვანეს სპარსეთისაკენ, სადაც მშვიდობით მიიყვანეს. აქ იმათ მიუჩინეს ის ადგილები, რომელნიც ძლიერ დაშორებულნი იყვნენ საქართველოზედ და რომელაც უფრო ეჭირვებოდათ დასახლება. აი, საიდგან არის ის, რომ დღეს საკუთრად თქმული სპარსეთი, მაგალითად კირმანი ან კარმანია[17], მაზანდერანი ყასპის ზღვის[18] ნაპირზე და სპარსეთის სახელმწიფოის სხვა ადგილები სავსები არიან ქართველებით და ჩერქეზებით, უკანასკნელები რამოდენიმე ხნით წინ გადმოვიდნენ თეიმურაზის სამეფოში, თავის ქვეყნის სიახლოვედ და დასახლენ ქართველებთან, რომელთანაც იგინი დანათესავდნენ და სრულებით შეერთდნენ, და როგორც ქართველები, იგინი მეფის ქვეშევრდომნი გახდნენ. მაგრამ ზემოხსენებულ არეულობის დროს, როგორც ვსთქვი, იგინაც წაიყვანეს სპარსეთში და დაასახლეს სხვა-და-სხვა მხარეებში. დღეს იგინი თავისუფლად ჰსცხოვრობენ სპარსეთის ქვეყნებში, როგორც სხვა ქვეშევრდომები სპარსეთისა. უმეტეს ნაწილად იგინი არიან ფარისტანში და მაზანდერანში და უჭირავთ არამც თუ ქალაქები და მაზრები, არამედ მთელი ქვეყნებიც, რომელშიაც მათ გარდა ვერაკის ვერ შეხვდებით. თავს იგინი ირჩენენ იმ მიწებით, რომელნიც დაუნიშნა მათ სპარსეთის ხელმწიფემ და რომელთაც იგინი ამუშავებენ. ამ მიწებისათვის იგინი იხდიან, როგორც სხვა მაჰმადიანები, მცირე ღალას.

უმეტესი ნაწილი ამ ხალხებისა არიან ქრისტიანები და ქრისტიანებად დარჩნენ ჩვენს დრომდი, მაგრამ აგერ-ახლა ისინი თითქმის არაფერს არ ემსახურებიან. იქნება ამის მიზეზები ის იყოს, რომ მათ არ ჰყავთ მღვდლები და უფროსები, რომელთაც მათი სწავლება შეეძლოსთ; რაც არიან, ისინი არა ჰკმარან ამდენის ხალხისათვის, რომელიც მასთანავე ამდენ სხვა-და-სხვა ადგილებზე გაფანტულია; ან იქნებ ამის მიზეზი იყოს მათი უგუნურობა. თავად-აზნაურებმა, რომელნიც არ არიან დაჩვეულნი მოთმინებას, მხედრობის უმეტესმა ნაწილმა და ბევრმა ხალხთაგანმაც მიიღეს მაჰმადიანობა, ზოგმა პატივის მოყვარეობის გამო და ზოგმა სიხარბის გამო, რადგანაც რჯულის გამოცვლისათვის მოელიან რამე საჩუქარს ხელმწიფისაგან, რომელნიც ამ შემთხვევაში ძლიერ გამცემია და თავის რჯულისკენ სხვების მიზიდვისათვის ყოველთვის უხვად ჰხარჯავს. ზოგიერთები კი იძულებულნი არიან მაჰმადიანობა მიიღონ, რომ შიმშილით არ მოკვდენ. ეს ამბავი ყოველ დღე ჰხდება მათ შორის და ამისთანა მაჰმადიანებით ხელმწიფის ჯარი გავსებულია. მათი რიცხვი თან-და-თან მატულობს შაჰაბაზის მოხერხებულობით, რომელსაც ყოველთვის მიზნად ჰქონდა, რომ ამისთანა უცხოეთელ მომხრეების შემწეობით, რომელთაც იგი მონებს უწოდებდა, დაემდაბლებინა ამაყი ყიზილბაშები და აედგა ამათთვის ლაგამი. ამ გვარად დღეს ხელმწიფის მხედრობაში ოც-და-ათი-ათასზე მეტი ქართველია, რამდენიმე ჩერქეზი და

17. ქერმანის პროვინცია.

18. კასპიის ზღვა.

ცოტაოდენი სომეხი. უკანასკნელებსაც თავისი რჯული მიტოვებული აქვსთ. ისინი ჩარეულნი არიან პირველთ შორის და ითვლებიან ეგრეთვე უცხო-ქვეყნელებად და მონებად. ზოგიერთ მათგანს უჭირავსთ გამოჩენილი ადგილები როგორც მხედრობაში, ისე ქვეყნის პოლიტიკურ მმართველობაში და შეიქმნენ კიდევაც სულთნებათ, ხანებათ და სხვა წარჩინებულ პირებათ.

გარდა ზემოხსენებულ ქართველებისა, რომელნიც სპარსეთში ჰსცხოვრობენ თავისუფლად, არიან მრავალნი იმისთანანი, რომელნიც მონად ჩაუვარდნენ სპარსელებს ამ არეულობის დროს, რომელიც მოხდა სპარსეთის ხელმწიფის შემოსვლისა და მცხოვრებთა სამშობლოდამ ძალ-დატანებით გარდასახლების თაობაზედ. ამათი რიცხვი ისე დიდი იყო, რომ დღეს არ იპოვება არც ერთი სახლი მთელს სპარსეთში, რომელიც სავსე არ იყოს ამისთანა ქართველებით, მამა-კაცებით და დედა-კაცებითაც. იქ არ არის იმისთანა დიდი-კაცი, რომელსაც არ ჰსურდეს, რო ყველა მისი ქალები ქართველები იყვნენ, იმიტომ რომ ესენი მშვენიერები არიან. თვით ხელმწიფეს გავსებული აქვს თავისი სასახლე მათის კაცებით და ქალებით და სხვებს თითქმის არ იმსახურებს. მაგრამ ამ უბედურებმა, რომელნიც მონად არიან ჩავარდნილნი, ყველამ, – თუ სიყვარულის, თუ ძალადობის გამო, – მიატოვეს თავისი რჯული, ან და გარეგნად მაინც ჰჩვენებდნენ, ვითომ და მივატოვეო. მე ბევრს ვიცნობდი იმისთანებს, რომელნიც მალვიდ ინახვიდნენ თავის სარწმუნოებას. ისინი მოტყუებულნი იყვნენ ამ ცრუ, მაგრამ ძლიერ გავრცელებულ აზრით, რომ ღმერთის წინაშე ესეც კმარაო.

რა მდგომარეობა მოჰყვა ამ საზარელ გადასახლებას, რა წყვეტა-ყლეტა, რამდენი სიკვდილი ნამდვილ გაჭირვებისაგან, რა გლეჯა, რა გახრწნა. რა ძალ-დატანება, რამდენი ჩვილი ყმაწვილები თავიანთ მამებმა დაახჩვეს ან წყალში ჩააგდეს სასოწარკვეთილებისაგან! რამდენი სხვა მოჰკლეს სპარსელ ჯარის-კაცებმა იმიტომ რომ სასიცოცხლო არ იყვნენ! რამდენი ძალად მოჰგლიჯეს დედის ძუძუს და დააგდეს შარაზე მხეცების საჭმელად ან მხედრობის ცხენებისა და აქლემების სასრესად! მხედრებს არა ერთხელ უცდიათ ლეშებზედ. რამდენჯერ მამა შვილს, ქმარი – ცოლს, ძმა – დას მოაშორეს და წაიყვანეს სხვა-და-სხვა შორ ქვეყნებში, ისე რომ დაშორებულებს იმედიც არ შერჩენიათ როდისმე ერთმანეთის შეხვედრისა! ამ შემთხვევაში რამდენი ქალი და კაცი იყიდებოდა ყველგან პირუტყვზედ უფრო იაფად! რამდენი ამისთანები სხვა მოხდა, ღირსი შებრალებისა, მაგრამ ყველას ვინ მოსთვლის.

მთარგმნელი ა.ჭ-ა (ჭყონია ალექსანდრე)

***

ამას წინათ – 1880 წლის „დროების“ ეს მცირე ანონსი ნათელს ხდის, თუ როგორი მოუთმენლობით ელოდა ქართული საზოგადოება ცნობებს სპარსეთში მცხოვრები ქართველების შესახებ. ამ დროისათვის ქართველ მკითხველს უკვე ჰქონდა ამ

საკითხისადმი საკმაო ცოდნა და ინტერესი, რომელიც გაელენას ახდენდა პრესის საინფორმაციო პოლიტიკაზე.

ამას წინათ

(ლროება, 1880, N113, 29 მაისი, გვ.2)

ამას წინათ სომხურ გაზეთ მშაკში დაბეჭდილი იყო სპარსეთიდამ მიღებული კორრესპონდენცია იმ ქართველებზე, რომელნიც დიდი ხნიდამ გადასახლებული არიან სპარსეთში, სარწმუნოება ძალა-უნებურად გამოუცვლიათ, მაგრამ თავის სამშობლო ენა კი ჯერ არ დაუკარგავთ.

ამ მოკლე ხანში ხსენებულ კორრესპონდენციას გადმოვთარგმნით და ჩვენს გაზეთში დავბეჭდავთ, რადგან იმაში მოყვანილია ჩვენთვის საინტერესო ცნობები ამ ქართველების ყოფა-ცხოვრებაზე.

***

ამ დღეებში – ასეთი სათაურით დაიბეჭდა „დროებაში“ მცირე საინფორმაციო წერილი, რომელშიც მნიშვნელოვანი ცნობაა იმის თაობაზე, რომ გადასახლებულთა შორის იყო საქართველოში დაბრუნების სურვილი და მოლოდინი.

ისინი ამ დაბრუნებას „დახსნად“, „გათავისუფლებად“ აღიქვამენ. მხსნელს ხედავენ საქართველოდან ჩასულ ყველა ქართველში.

კორესპონდენციაში ნახსენები „რუსის საელჩოსთან მყოფი ქართველი მღვდელი“ ევსევი ცაბაძე უნდა იყოს.

ამ დღეებში

(დროება, 1880, N177, 22 აგვისტო, გვ.2)

ამ დღეებში ჩვენს ქალაქში დაბრუნდა თეირანიდამ იქაური რუსის საელჩოსთან მყოფი ქართველი მღვდელი, რომელმაც სხვათა შორის, ილაპარაკა, რომ იმან ნახა სპარსეთში დასახლებული ქართველები; სულ ხუთი სოფელი არისო, ქართული თითქმის ყველამ კარგად იცისო, ბევრი ქრისტიანული და ქართული წესები და ჩვეულებები დღემდინ აქვსთ დაცულიო. როცა მნახეს, ძალიან იამათო. ეგონათ თუ იმათ დასახსნელათ მივედიო.

ამ რამდენიმე წლის წინათ იმათ განზრახვა ჰქონდათ, ქალალდი მიეცათ სპარსეთის მთავრობისათვის ეთხოვნათ საქართველოში დაბრუნების ნებართვა. მაგრამ ვილაცას

დაეფრთხო, თუ ეგ ითხოვეთ, შაჰი ყველას თავს გაგაგდებინებთო. – და ამის გამო ეს განზრახვა მიეტოვებინათ.

***

სპარსეთიდგან ჩამოსული ქართველის ნაამბობი მოსე ჯანაშვილის მიერ გამოქვეყნებული მოკლე სტატიაა, რომელიც აგრძელებს გადასახლებულთა დაბრუნების თემას. სტატიაში საუბარია სპარსეთში მცხოვრებ ქართველებზე, რომლებმაც რუსეთის ელჩს საქართველოში დაბრუნების თხოვნით მიმართეს. არ არის მითითებული ინფორმაციის წყარო, სამწუხაროდ, არ არის დაზუსტებული, სპარსეთში მცხოვრები რომელი კუთხის ქართველებზეა საუბარი. სხვა წერილებს თუ დავეყრდნობით, შეიძლება გვეფიქრა, რომ ისინი ფერეიდნელი ქართველები არიან, და მოსე ჯანაშვილი ევსევი ცაბაძის ცნობებს ეყრდნობა. თუმცა წერილში მითითებული ფაქტი, რომ ქართველებს „ქართული ენა დავიწყებიათ", გვაფიქრებინებს, რომ ამ შემთხვევაში არა ფერეიდნელ, არამედ სხვა კუთხეში მცხოვრებ ქართველებზეა საუბარი. შესაბამისად, შეიძლება სხვა იყოს ამ ინფორმაციის წყაროც. საყურადღებოა სტატიაში მოცემული ციფრები – ავტორი 12 სოფელს და მის სავარაუდო 4200 მცხოვრებზე გვაწვდის ცნობას.

ავტორის ცნობით, გადასახლებულების სურვილს, დაბრუნდნენ სამშობლოში, უგულებელყოფს რუსეთის მთავრობა.

მოსე ჯანაშვილი
სპარსეთიდგან ჩამოსული ქართველის ნაამბობი

(დროება, 1881, N263, გვ.1)

ამ დღეებში მომიხდა ლაპარაკი ერთ ჩემ ძველ ნაცნობ-ნაამხანაგართან, რომელიც სამი წელიწადი სცხოვრებდა (მსახურებდა) სპარსეთში, სახელდობრ თეირანში – სპარსეთის სატახტო ქალაქში.

სხვათა შორის, ამ პატივ-ცემულმა პირმა მითხრა ორიოდე სიტყვა იქაურს ქართველებზე და ზოგიერთ იმათ წესებზე.

თურმე იქაურ ქართველებს ჰსურვებიათ გადმოსახლება თავის მამა-პაპეულს ქვეყანაში (საქართველოში). ამით მოახსენეს თურმე რუსეთის ელჩს: ჩვენ მივიღებთ ქრისტიანობას, თუ იშუამდგომლობს, რომ მოგვეცეს ნება გადავსახლდეთ იქ, საიდამაც პირველად აჰყარეს ჩვენი წინაპარნი მტრებმა." რასაკვირველია, ეს წინადადება ელჩს არ მიუღია და იქაური ქართველები იქვე დარჩომილან.

სპარსეთის ქართველები თურმე დიდის ყურადღებით და სიყვარულით იხსენე-

ბენ, ლაპარაკობენ თავის ძველ მამულ-დედულზე და აქაურებს დაწვრილებით გამოჰკითხავენ ხოლმე საქართველოზე, რომლის ნახვა მათ ენატრებათ. ქართული ენა დავიწყებიათ, თუმცა ზოგიერთს ახსოვს რამდონიმე (ასეა!) სიტყვა. ბევრმა იცის, თუ რომელი სოფლიდამ ყოფილა მისი ბაბუა, დიდედა და სხ.

თუმცა ენა აქვთ დავიწყებული, მაგრამ ზოგიერთი ჩვეულებაები (ასეა!) კი არა. თავიანთ ქალებს თურმე სპარსელებს არ მიათხოვებენ, არამედ ურთიერთ შორის ქორწილდებიან.

იქაურების რიცხვი ჩემმა ნაცნობმა არ იცის რამდენია, 12 სოფელი კი არის, ეიციო. ყოველ სოფელში თუ საშუალო რიცხვად მივიღეთ 70 კომლი, სულ გამოვა 840 კომლი, თითო კომლი თუ 5 სულად ჩავაგდეთ, სპარსეთში დატყვევებულ ქართველთა რიცხვი გამოვა 4,200 მდინ.

ამდენი ჩვენებური ხალხი სცხოვრობს სპარსეთში. მას გამოუელია მრავალი სიმწუხარე, იგი უჩაგრავს მძლავრს მტარვალს; ისე შეუვიწროებია გარემოებას, რომ დაუვიწყებია იქაურ ქართველთათვის ღვიძლი ენა. მაგრამ, სესხარულოდ (ასეა!) ჩვენდა, ამდენ ვაებას, მტარვალობას – აწიოკებას თითქმის ორი საუკუნოს განმავლობაში ვერ დაუვიწყებია მათთვის მათი ვინაობა, გვარტომობა. იგინი ახლაც თურმე იწოდებიან გურჯებად (ქართველებად) და ახლაც გულში უღვივით ღრმა სიყვარული ძველ მამულისადმი, მოძმე ერისადმი, რომელსაც ბედის წერამ დიდი ხანია დააშორა.

თუ 2,000 – 3,000 ვერსზე გადავარდნილ 4,200 ქართველს, ყოვლის მხრით ჩაგრულს მტარვლისგან, მცხოვრებს იმავე მტარვალთა შუა, საცა ყოველი ფერი: ბუნება, ჰავა, ადამიანი და სხ. უცხოა, საცა მშობლიურს „ყოველ ნაბიჯზე ჩაქუჩი“ ჰხვდება, – თუ, ვამბობ, იმისთანა ადგილას 4,200 ქართველი დიდად შევიწროებული, აქამდის სულით და გულით ქართველობს.

მოსე ჯანაშვილი

***

ამ უკანასკნელს დროს... ვრცელი სტატიაა, მასში „გაშლილია“ ქართული საზოგადოებისთვის უკვე ნაცნობი თემა. სტატიის ავტორი საუბრობს საქართველოს ზოგიერთი კუთხიდან სიმრავლის გამო აყრილ და სხვა ადგილას გადასახლებულ მოსახლეობაზე. მისი აზრით, ეს ამბავი დამაფიქრებელია, მაგრამ არა სამწუხარო, რადგან მათი დასახლება შესაძლებელია დაცარიელებულ ადგილებზე. ასეთ კუთხეებად კი მიაჩნია „ჩერქეზეთი, აფხაზეთი, ქობულეთი და აჭარა...“ სწორედ აქაა შესაძლებელი სპარსეთში მცხოვრები ქართველების დასახლებაც.

ნათქვამია, რომ რუსეთის მთავრობა ვალდებულია, შეისმინოს გადასახლებულთა თხოვნა სამშობლოში დაბრუნების შესახებ.

ამ უკანასკნელს დროს...

(შრომა, 1882, 17 ნოემბერი, N45, გვ.1)

ქუთაისი, 17 ნოემბერს.

ამ უკანასკნელს დროს ჩვენს გაზეთებში თან და თან ვკითხულობთ ამბავს, რომ დასავლეთის საქართველოს სხვა და სხვა კუთხეებითგან ხალხი მიდის სხვაგან დასასახლებლად, რადგან იგი გამრავლდა და შინ საკმაო ადგილ-მამული აღარა აქვს. ეს გარემოება ერთობ დასაფიქრებელია და საფრთხილო, მაგრამ სამწუხარო არ არის, ჩვენის აზრით, არამედ სანუგეშოა და სასიამოვნო. ეს გარემოება ჩვენის ხალხის ცხოვრებაში ისეთივე კარგი ნიშანია, როგორც წამოკეთებულის ავათმყოფის მდგომარეობაში მადა და მოძრაობის სურვილი. და როგორც უკანასკნელს შემთხვევაში ავათმყოფს, ისე ჩვენს ხალხს ეხლანდელს მდგომარეობაში დიდი სიფრთხილე და გონივრული წინდახედულობა მართებს.

თუ ჩვენ ჩვენს ხალხს ავათმყოფს ადამიანს ვადარებთ, ამაში ჩვენ გვამართლებს მთელი ჩვენი წარსული დრო, რომლის განმავლობაში ხალხი დასუსტდა და თითქმის სიკვდილამდი მიაწია გარეშე მტრების მეცადინეობით. მართლაც ქართველმა ხალხმა მრთელი თავის სიცოცხლე გაატარა გარეშე მტრებთან ბრძოლაში. თითოეული მტერი იმას სცდილობდა, რომ ქართველი ხალხი დაემონებინა მაგრამ მრთელის საქართველოს დამონება ვერც ერთმა მტერმა ვერ შეიძლო. მათ ხელში ჩაიგდეს მხოლოდ ზოგიერთი საქართველოის (ასეა!) ნაწილები, ამგვარად მოცილებულს საქართველოსაგან კუთხეებში მტერი ხშირად თავისიანს ასახლებდა და ადგილობრივი ქართველობა სხვაგან გადაჰყავდა ხოლმე. ამ რიგად საქართველოს ტერრიტორია და ქართველობის რიცხვი თან და თან მცირდებოდა და წასრულის (ასეა!) საუკუნის ბოლოს მიაწია უკანასკნელს მდგომარეობამდი, ასე რომ მრთელი ქართველობა, რომელსაც თავის კეთილდღეობის ჟამს ეჭირა იმდენი ადგილი, რომელიც შეადგენს დღეს მრთელს შვიდრვა გუბერნიას შეჴგუფული იყო მხოლოდ ორს ეხლანდელს გუბერნიაში. ამ საუკუნოში კი საქართველომ რუსეთის მფარველობის ქვეშ მოისვენა გარეშე მტრებისაგან და ამ მოსვენების დროს ხალხის ძარღვი გამაგრდა, სისხლ-ნაკლებობა განქრა და ის პატარა ადგილი, რომელზედაც შეჴგუფა იგი გარეშე მტერმა, აღარ კმარა მისთვის და ხალხი სხვაგან ესახლება.

ამ გარემოებაში ჩვენ ვხედავთ უპირველესად ეკონომიურს მოვლენას, მაგრამ ამასთანავე ჩვენ ვპოულობთ, რომ ამ მოვლენას აქვს ნაციონალური მნიშვნელობაც (ასეა!). ამიტომაც ვისაც ჩვენის ხალხისათვის კეთილი სურს, უნდა მიაქციოს განსაკუთრებითი ყურადღება ამ მოვლენას და ხელი უნდა შეიწყოს ხალხის ეკონომიურს ცხოვრებაში ისეთი მძიმე საქმეა, რომ მართებულობის დახლოებითი შემწეობა იქ მიუცილებელს საჭიროებას შეადგენს.

ამნაირი შემწეობა ეჭირვება დღეს დასავლეთს საქართველოს, რომლის ნაწილებში, მაგალითებრ: რაჭაში, ლეჩხუმში და სამეგრელოში, ხალხი ველარ ეტევა და

იძულებულია სხვაგან გადასახლდეს. საჭიროა, რომ ამ გადასახლების საქმეს ეხლავე რიგიანი ორგანიზაცია მიეცეს, თორემ რაც უფრო ხანი გავა და საჭიროება დაუკმაყოფილებელი დარჩება, იმდენად უფრო საძნელო იქმნება მისი დაკმაყოფილება. ეხლა, ჩვენდა ბედად, დროთა-ვითარების გამო და ბუნების წყალობით, ამ გადასახლების რიგიანად მოწყობა ძლიერ ადვილია, ცარიელი ადგილები საძებრად არა გვაქვს და არც შორს არის ჩვენზედ, რაჭას, ლეჩხუმს და სამეგრელოს თითქმის საზღვრად აქვთ გაველანებული და დაცარიელებული ადგილები. ეს ადგილები არიან: ჩერქეზეთი, აფხაზეთი, ქობულეთი და აჭარა. ყველა ეს ადგილები ისე ახლოა და ნაცნობია ჩვენის ხალხისათვის, რომ მას სრულებით არ გაუჭირდება იქ გადასახლება. ამიტომაც იქ გადასახლებას მარტო გაჭირვებული კი არა, ბევრი შეძლებულიც კი ისურვებს იქ ცხოვრებას.

ჩვენის აზრით ამ გადასახლების საქმეს შემდეგი წყობილება უნდა მიეცეს. ერობა რომ იყოს ჩვენში, მაშინ, რასაკვირველია, ის იკისრებდა ამ გადასახლების საქმეს; მაგრამ რადგან აქ ერობა არ არის, საჭიროა, ამ საქმისათვის შესდგეს კომიტეტები, რომლის წევრებათ უნდა იყვნენ როგორც მართებლობის, ისე გლეხობისა და თავად-აზნაურობის წარმომადგენლები. ამ კომიტეტების მფარველობას ქვეშ (ასეა!) უნდა იყვნენ ყველა, ვინც კი განაცხადებს გადასახლების სურვილს. კომიტეტებს უნდა მიეცესთ საერო ხარჯითგან ცოტაოდენი ფული, რომელიც უნდა დაურიგდეს ნამდვილს გაჭირვებულებს. მართებლობამ გადასახლებულებს უნდა მისცეს უფასოდ მათთვის საკმაო მიწები და საშენი ხე-ტყე. ამას გარდა მათ უნდა ეპატიოსთ, რასაკვირველია, ათიოდე წლით მაინც, ყოველივე სახელწიფო გადასახადი, საიმედოა, რომ ამ ნაირად რამდენისამე ათის წლის შემდეგ ეხლა გაველანებული მხარეები აფხაზეთი და რამდენიმედ ქობულეთი და აჭარაც სრულიად გაშენებული და შემუშავებული იქნება, რადგანაც იქ გადასახლდებიან იმისთანა ხალხი (რაჭველები, ლეჩხუმელები და მეგრელები), რომელიც ნაცნობია შრომის მოყვარედ და მრეწველ ხალხად. ამათანავე ისიც დავსძინოთ, რომ ეს ხალხი, როგორც მახლობელი და ღვიძლი შვილი იმ ადგილებისა, ადვილად შეეთვისება თავის ახალსამოსახლოს და მაშასადამე უფრო ნაყოფიერი იქნება მათი შრომა იმ ადგილებზედ. ამ გაველანებულ და მიტოვებულ ადგილების ხელახლავ (ასეა!) გაშენებაში დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლიანთ, რასაკვირველია, უწინდელს მცხოვრებლებს. ამიტომაც გონიერი პოლიტიკა და სამართალიც მოითხოვს, რომ თუ ვინმე მცხოვრებთაგანი დაბრუნდა იქ, იმასაც იმისთანა შემწეობა მიეცეს, როგორიც ახალ გადასახლებულებს.

აქ გვაგონდება ჩვენ ერთი ამბავი, რომელიც იყო, თუ არ ვსცდებით, წარსულის წლის „დროების“ ერთს კორრესპონდენციაში (ასეა!). ამ კორრესპონდენციის სიტყვით, სპარსეთში რომ შაჰაბაზის დროს გადასახლებული ქართველებია, იგინი თხოულობენო რუსეთის ელჩისაგან შუამდგომლობას, რომ მათ მიეცესთ (ასეა!) ხელახლავ საქართველოში გადასახლებისა და ქრისტიანობის მიღების ნება. ეს ამბავი თუ მართალია, რუსეთის პირ-და-პირს ვალდებულებას შეადგენს, რომ მათი

კანონიერი თხოვნა შეასრულოს და მისცეს მათ ზემოხსენებულს ცარიელს ადგილებში გადმოსახლების ნება, რუსეთისათვის ეს სასარგებლოც იქნება და სასახელოც.

ჩვენს ხალხს ამ ცარიელს ადგილებში გადასახლებაზედ სიმართლეს აძლევს, როგორც ბუნება, ისე ისტორიაც. ქართველობა დასაბამიდგან მცველად იდგა თავის საზღვარზედ და არ უშვებდა ევროპაში იმ ველურს ხალხებს, რომელთაც ყველს (ასეა!) ქვეყანაში შემოქონდათ მხოლოდ სიკვდილი და აოხრება. დღესაც ჩვენი ხალხი მესაზღვრე დარაჯად დგას ოსმალეთის და სპარსეთის წინაალმდეგ და ამ თავის დანიშნულებას ერთგულად ასრულებს რუსეთის სასარგებლოდ, როგორც დამტკიცდა წარსულს ომებში. სასარგებლოა, რომ ზემოხსენებულს დაცარიელდბულს (ასეა!) ადგილებში დასახლდეს ჩვენი ხალხი და არა სხვა, რადგანაც ჩვენს ხალხს სხვებზედ უფრო შეუძლიან იქ ცხოვრება და ადგილ-მამულის შემუშავება. ამას თხოულობს, ვიმეორებთ, ბუნებისა და ისტორიის კანონები. ვერც ერთი კაცი და ვერც ერთი ხალხი ვერიმოქმედებს ამ კანონების წინააღმდეგ ისე, რომ ამ წინააღმდეგობისათვის სასტიკად არ დაისაჯონ. ამის მაგალითს ჩვენ ხშირად ვხედავთ ხალხის გადასახლებაში. როცა ბრმა პოლიტიკოსებს, ამ კანონების წინააღმდეგ, გადაუსახლებიათ რომელიმე ხალხი მათთვის შეუგუებელს ადგილებში, ბუნებას რამდენისამე წლის განმავლობაში სულ ამოუწყვეტია ეს ხალხი.

***

არხეოლოგების საგულისხმიეროდ – ეს პატარა ინფორმაცია ადასტურებს იმ ფაქტს, რომ მე-19 საუკუნის ბოლოს გადასახლებულებში ჯერ ისევ იყო შემონახული თან წაღებული რელიგიური ლიტერატურა.

ქართულენოვანი სასულიერო ჟანრის წიგნების ნაწილი სპარსეთის სომხურ ეკლესიებშია შემონახული, ზოგიც, სამწუხაროდ, ასე იკარგებოდა.

არხეოლოგების საგულისხმიეროდ

(დროება, 1884, N 211, გვ.2)

არხეოლოგების საგულისხმიეროდ ჩვენ გვატყობინებენ, რომ 1883 წელს თეირანის მღვდელ-მონაზონმა ევსევიმ (ცაბაძე) სპარსეთში გადასახლებულ ქართველების სოფელში იპოვნა ერთი ძველი ქართული სახარება, რომლის სყიდვა განიზრახა და სამოც თუმნად კიდეც შეურიგდა სახარების პატრონს, მაგრამ ამ დროს საფრანგეთის კონსული შესცილებია და ას თუმნად უყიდია.

კარგი იქნებოდა ვიცოდეთ ამ სახარების ისტორია და აწინდელი მისი მდგომარეობა.

***

სპარსეთიდამ – სასულიერო ორკვირეულ ჟურნალ „მწყემსში“ გამოქვეყნებული პუბლიკაციაა, რომელიც ევსევი ცაბაძის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას ეყრდნობა.

ეს წერილი დასტურია იმისა, რომ მეცხრამეტე საუკუნის ოთხმოციან წლებში ქართულ მოსახლეობაში ჯერ კიდევ იყო შემორჩენილი ქრისტიანული წიგნები და სასოებით უფრთხილდებოდნენ მათ. ეს წერილი საყურადღებოა იმითაც, რომ მხოლოდ აქ არის დასახელებული ფერეიდნის ერთ-ერთ ქართულ სოფლად მეჯრუხევი (მეჯერისხევი – შიდა ქართლის სოფელი ადრე იწოდებოდა მეჯრუხევად), რაც ფერეიდნის ქართველთა რალაც ჯგუფის ქართლიდან გადმოსახლებაზე უნდა უთითებდეს. როგორც აღვნიშნეთ, ამ დროისათვის სპარსეთელი ქართველების თემა იმდენად აქტუალური იყო, რომ ქართველი რედაქტორები ავტორებს ამ თემაზე წერას უკვეთავდნენ.

ევსევი ცაბაძე
სპარსეთიდამ.
წერილი რედაქტორთან[19]

(სასულიერო-ორკვირეული ჟურნალი მწყემსი, 1885, N15, გვ.7)

მ. რედაქტორო, თქვენი წერილი, რომლითაც მთხოვდით შემეტყობინებია რამე ახალი ამბავი იმ უბედურ ქართველებისჩამომავლობაზე, რომელნიც წინადროებში წამოყვანილნი იყვნენ საქართველოდამ ტყვედ, მივიღე. თქვენმა წერილმა ძლიერ დამაფიქრა და, როდესაც იმ უბედურთა ბედზე დავიწყე გამოკითხვა, დამალონა და შემაწუხა.

ჯულფიდან თელერანამდის, სადაც მე ვდგევარ, ცხრაასი ვერსი გამოჰყავსთ და აქედამ იმ ჩვენ მოძმე ქართველებამდის, ამბობენ, არის სამასი თუ ოთხასი ვერსიო. მე მრავალ ჯერ მოვინდომე იქ წასვლა, მაგრამ, ჩემდა სამწუხაროდ, ვერ მოვახერხე მიტომ, რომ საშიშია აქ მგზავრობა, იმ კუთხისკენ მაინც. თქვენი წერილის მიღების შემდეგ მე ნიადაგ ვცდილობდი მენახა ვინმე იქაური ქართველთაგანი და, მართლაც, მე ამ ხანებში მჭონდა ამისთანა სამიოდე კაცთან ლაპარაკი და რაც შევატყვე, ვისწრაფი შეგატყობინოთ[20].

---

19. ამ წერილს სქოლიოში რედაქტორის შენიშვნა აქვს: *) „თუმცა პატივცემულ ავტორს სახეში იქნება არ ჰქონდა ამ წერილის დაბეჭდვა, მაგრამ იმდენ საინტერესოდ მიგვაჩნია ეს წერილი, რომ დიდის სიამოვნებით ვბეჭდავთ და, იმედია შემდგომაც არ მოგვაკლებს რაიმე ამბავების შეტყობას ამ ჩვენ გადაკარგულ ძეელ მოძმე ქართველთა ცხოურებიდამ. რედაქტორი.“

20. სტატიას ახლავს კიდევ ერთი შენიშვნა სქოლიოში: *) „როგორც გენერალი ჩრიკოვის მოგზაურობის აღწერიდამ სჩანს, ქართველები და სომხები სცხოვრობენ ფერიდნის მიყოლ-მოყოლებაში. ქართველების სოფლებს ეწოდება: ოფუს, ახურე -ი- ბალა, ახურე -ი-ჰაინ, ბუინ, დუიმმ-ი-კემერ, ოლგუნ და სხვანი. ალბათ ეს ალაგები ძველიდგან ასე იწოდებიან, მაგრამ ქართველებმა უწოდეს მათ თავიანთი სოფლის სახელები“. რედაქტორი (იგულისხმება სოფლები: ოფუს-ი, ახორე-ბალა, ახორე-ფაინ-ი, ბოინ-ი, დიმბე-ქამარ-ი, დეჯიგან-ი(?) (ავტ.)

„ჩვენ დღეს თუმცა თათრის სარწმუნოება გვიჭრავს, მითხრა ერთმა მათგანმა, მაგრამ ღმერთს, იმ ღმერთს, რომელიც ჩვენ წინაპრებს სწამდათ, არ ვივიწყებთ. ამის დასამტკიცებლად მრავალს ჩვენგანს ოჯახში აქვსთ სახარება ქართულად დაწერილი და დიდ პატივს სცემენ მას. ჩვენში როგორც სახარება ისე ჯვრები აქვსთ და დიდი სასოებაც გვაქვს ამ ნივთებზე დადებილი (ასეა!). ჩვენ ზეპირ გადმოცემით ვიცით, რა უბედურებაში ჩავარდნილვართ, მაგრამ ჯვარსა და სახარებას ვიცავთ და სასოება გვაქვს, რომ ოდესმე ან ქართველები მოაწევენ ჩვენამდის და ან ჩვენ გამოგვიხსნის ვინმე აქედამა... ამ სამივე პირების გამოკითხვიდამ შევიტყვე, რომ აქ ეს ხალხი მრავალი ყოფილა. დღესაც ყოველ კაცს და ბავშებს ნამეტურ წითელი ჯვრები ჰქონებიათ დაკერებული მარჯვენა მხრებზე. ქალებს ერთმანეთში თუ გაათხოვებენ, თორემ სხვა თემს არავის მიათხოვებენო. როდესაც ლამაზი ვინმე შეინიშნება, ძალით მოსტაცებენ დიდი პირებიო, თორემ თავის ნებით არ შეიძლება, რომ ჩვენ ქალი მივსცეთ სხვა ტომის ხალხსაო. ამ ხალხს დღესაც ის ჩვეულება, ურმები, ხვნა-თესვა, კალოობა და სხვ. ჰქონებიათ, რაც ჩვენში ქართველებს აქვსთ.

როდესაც დავა ასტყდება რამეზე, სიმართლე და სიმტყუნე ჯვარზე და სახარებაზე დაფიცებით აიხსნება და გათავდება და მით გამოჩნდება სიმართლე და ჭეშმარიტებაო. რიცხვი ამ ქართველთა, როგორც შევიტყვე, ცხრა ათას სულამდის ყოფილა.

რომელი სოფლიდამაც წამოუყვანიათ ეს უბედურები საქართველოდამ, სადაც დაუბინავებიათ, თავიანთ სოფლების სახელები დაურქმევიათ იმ ალაგებისათვის. ამისთვის თურმე ხშირად შეხვდებით იმ ალაგებში მარტყოფის, ნინო წმიდის, მეჯრუხევის, ნორიოს და სხვა სოფლების სახელებს. მე რომელი კაციც ვნახე და ველაპარაკე, პირ-და-პირ ქიზიყურ კილოზე ლაპარაკობდა და სალმრთო წერილის სიტყვებსაც ხმარობდა ლაპარაკში. ამ ხალხის მახლობლად არის მონასტერი სომხებისა, სადაც სომხების ეპისკოპოსი გრიქური სცხოვრებს მრავალი ბერებით. მათ აქვსთ მშვენიერი ბაღები და ყველაფერი საქმე კარგად მიჰყავსთ.

თქვენი თხოვნით ბევრს ვსთხოვე, რომ ამ ქართველებში ძველი ქართული წიგნები ეყიდათ, მაგრამ დალალებმა დამარწმუნეს, რომ არასფრის გულისათვის არავიზედ ქართულ წიგნებს არა ჰყიდიანო. ძლიერ სურვილი მაქვს, ადგილობრივ მივიდე ამ ხალხთან და გამოვიძიო მათი ამბავი და, რასაც შევიტყობ, გაცნობებთ.

თქვენი და სხვ...

თანამწირველი ევსევი.

1 ივლისს, 1885 წ.

P. S. სპარსეთის შაჰის მემკვიდრეს ჰქონებია ერთი ძველი ქართული სახარება, ჩემ წინ მოადგილეს ენახა ეს სახარება, მაგრამ ვერ შეეტყო, თუ რომელი წლის არის. ნემეტან ძვირად აფასებენ ამ სახარებას, თორემ შეიძლებოდა ყიდვა.

ე.

***

ქართველი სპარსეთში – სპარსეთში გადასახლებულ ქართველებს ეხება აკაკი წერეთლის ლექსი „ქართველი სპარსეთში“, ამ ლექსში ყურადღებას იქცევს ერთი ფრაზა: „ასე ამბობდა ქართველი“, რომელიც გვხვდება ლიდია მგალობლიშვილის ლექსშიც სპარსელ ქართველებზე, შემდეგ კი ის სეიფოლა იოსელიანის ლექსის ნაწილადაც მიიჩნიეს.[21]

აკაკი წერეთელი
ქართველი სპარსეთში

(ივერია, N21 , 1888, გვ.1)

(ძველი ამბავი)

ბევრჯელ შიმშილს და სიცივეს
ძალლივით ავულრენივარ,
მაგრამ იმავ დროს სხვა ძალას
მე ალმა ავუფრენივარ.

სიტყვები სასაყვედურო,
სათქმელად მომზადებული,
უკუკ-ქცეულა... გამქრალა,
გადამწმენდია რა გული.

და მითქვამს: „თუ რომ უმსხვერპლოდ
ვერ გაიხარებს ქვეყანა,
ღმერთო, მიმიღე ზვარაკად...
ყელში გამერჭოს მე დანა...

და მით ასრულდეს ანდერძი,
გადმონაცემი ძველთაგან:
„იხსენ, უფალო, ჩემგამო
ქვეყანა განსაცდელთაგან!“

21. დაწვრილებით იხილეთ ქვემოთ.

ასე ამბობდა ქართველი,
გადახვეწილი სხვა მხარეს,
და სპეტაკ წვერზედ წვეთ-წვეთად
ცრემლსა აფრქვევდა მდუღარეს.

ფიქრმა წაიღო... ოცნება
ცეცხლად მოედვა და ალად,
სანამდი ძილი მშვიდობის
არ გადმოვიდა მკურნალად.

ამ დროს გაიღო კარები,
მის წინა წარსდგა სპარსელი!
და მირონ-ცხებულ მოხუცსა
მტრულად შეახო მან ხელი:

ქვა დაჰკრა!.. თავი გაუპო,
დაიმორჩილა მძინარი
და სულთა-მბრძოლი რომ ნახა,
სიამით იწყო ხარხარი!! (ასეა!)

აკაკი

***

ტფილისი 21 მარტი – ამ სტატიის ბოლოს ხელისმოწერაა: ა-ს-ი. ამ ფსევდონიმის ქვეშ უნდა ივარაუდებოდეს ალექსანდრე იმედაშვილი, რომელიც დაინტერესებული იყო სპარსეთში მცხოვრები ქართველების საკითხით და რამდენიმე სტატიაც აქვს გამოქვეყნებული ლადო ალნიაშვილისა და ფერეიდნელი ქართველების შესახებ. სტატიაში მოყვანილი ფაქტები დაყრდნობილია სომხურ გაზეთში გამოქვეყნებულ ინფორმაციაზე. საინტერესო იქნებოდა პირველწყაროს ნახვა და მისი თარგმნა. სტატიაში ჩამოთვლილი ქართული სოფლების მიხედვით, ნათელი ხდება, რომ ფერეიდნის რეგიონში მცხოვრები ქართველების შესახებაა საუბარი. განსხვავებით სხვა წყაროებისგან, აქ ნახსენებია სოფელი ცალლალი, რაც ჯაყჯაყის / ჯალჯალის არასწორი თარგმანის ან კორექტურის შედეგი გვგონია, რადგან არცერთ წყაროში ეს სოფელი არ არის დადასტურებული.

(ივერია, 1889, N62, 22 მარტი)
ტფილისი, 21 მარტი

ქართულმა საზოგადოებამ უკვე იცის, რომ სპარსეთში რამდენიმე ქართველი სოფელია, რომელთა მკვიდრნი, იმისდა მიუხედავად, რომ საქართველოზე სრულიად დაშორებულნი არიან, დღემდე ჩინებულად ლაპარაკობენ ქართულად და ქართული ზნე-ჩვეულება დაუცავთ, ხოლო მაჰმადიანობა-კი მიულიათ. ამ ქართველებზე ქართულ გაზეთებშიაც იყო დაბეჭდილი რამდენიმე ცნობა. ამ ქართველების წინაპარნი მეჩვიდმეტე საუკუნეში დაუსახლებია სპარსეთში მძვინვარე შაჰ-აბაზს, რომელმაც საქართველო გაანადგურა და ეგოდენი უბედურება მიაყენა ამ ქვეყანას. თუმცა მას აქეთ სამშობლო ქვეყანასთან არც მისვლა-მოსვლა ჰქონიათ და არც სხვა რამე დამოკიდებულება, მაინც იმათ გულიდგან ჯერ კიდევ არ აღმოუხვრილა სამშობლო ქვეყნის ხსოვნა და სიყვარული. დღესაც გულის ძგერითა და თვალზე ცრემლით იხსენებენ თავიანთს წინანდელს სამშობლოს, რომელსაც შაჰ-აბაზმა რამდენიმე ათი ათასი ერთგული შვილი მოაშორა.

ამ ქართველების შესახებ მას წინად სომხურს გაზეთს „ნორ-დარში“ დაბეჭდილი იყო რამდენიმე საინტერესო ცნობა. წერილის ავტორი მოგვითხრობს, რომ ერთის სომხის სახლში, სადაც სტუმრად ვიყავიო, შემოვიდა ერთი ახუნდი (სასულიერო კაცი). სახლის პატრონმა გვითხრა, რომ თქვენ თანამემამულენი ხართ და ამიტომ ქართულად ილაპარაკეთო. რასაკვირველია, ეს ამბავი ძალიან გაჰკვირვებია წერილის ავტორს, რომელსაც აზრადაც არ ჰქონია ქართველსა, თუ ქართულის მცოდნე კაცს შეხვედროდა სპარსეთში და სხვათა შორის იმიტომაც, რომ სასულიერო კაცს ნება არა აქვს ქრისტიანეს (ასეა!) დაუახლოვდეს. ახუნდი გვერდით მომიჯდაო, ამბობს ავტორი: და საკმაოდ სუფთა ქართულის ენით მითხრა: „რაც უნდათ, ის სთქვან, მე არაფრისა მეშინია, რაკი ჩემი ქვეყნის კაცი ვნახე“. ახუნდიმ ჯრცლადა და დაწვრილებით გამოჰკითხა წერილის აეტორს საქართველოს ამბავი, რომელსაც ავტორმა ყოველივე უამბო. ახუნდიმ ტირილი დაიწყო, ეს ქართველები ერთმანეთს ქართულად სწერენ, ხოლო ქართული ანბანი დავიწყებიათ და სამაგიეროდ სპარსულს ანბანს ჰხმარობენ.

იგივე ავტორი გვატყობინებს, რომ ქ. თეირანის მახლობლად, სულ 200 ვერსის სიშორეზე, რვა სოფელია ქართველებისა. ამ სოფლებს ქართული სახელები ჰქვიან. აი ეს სოფლებიც: ა) ზევითი მარტყოფი – 700 კომლი კაცი, ბ) ქვევითი მარტყოფი – 200 კომ., გ) ტოლევი – 300 კომ., დ) ბოინი – 300 კომ., ე) აფუსი – 400 კომ., ვ) სიბაკი – 100 კომ., ზ) ცალლალი – 100 კომ. და ჱ) შახვურდი – 100 კომლი.

ავტორი ჰპირდება „ნორ-დარის“ რედაქციას, რომ მაისის თთვეში (ასეა!) ამ სოფლებსაც დავიარებიო.

ა. ს-ი.

***

დაიბეჭდა ახალი ქართული წიგნი – გაზეთი „იერია“ საზოგადოებას აცნობს ზაქარია ჭიჭინაძის წიგნის გამოსვლას სპარსეთში მცხოვრები ქართველების შესახებ.

(იერია, 1895 წ. N47, პარასკევი, 3 მარტი, გვ.1)

დაიბეჭდა ახალი ქართული წიგნი: „ქართველები სპარსეთში და საქართველოში მოსული სპარსელი ქართველი ათამ ონიკაშვილი“ ზ. ჭიჭინაძისა, გამოცემა მიხეილ ხელაძისა. წიგნში მოთხრობილია შემდეგი: საქართველოთგან სპარსეთში როდის რამდენი კომლი იქმნა გადასახლებული, დღეს იქ სად არის დარჩენილი ქართველთ კვალი. ამ წიგნში მოთხრობილია ათამ ონიკაშვილის ამბები, ამისი მეცადინეობა და თხოვნა შესახებ გადასახლებისა, მოხსენებულია ონიკაშვილის ცხოვრების ცნობანიც. სომხურს ენაზედაც უწერიათ სპარსელ ქართველთ შესახებ; აქ მოყვანილია სომხურ სასულიერო ჟურნალ „არარატი“-დგან ერთი წერილი, რომელიც 1876 წ. იქმნა დაბეჭდილი, გაზეთ „ნორდარის“ კორესპონდენცია, „მშაკისა“, და სხვანი.

სპარსთა ქართველთა სოფლები, სადაც ქართველნი ქართულად ლაპარაკობენ, ყოფილა შემდეგი:

მარტყოფი – 1000 კომლი
აფუსი – 800 ---------
თელავი – 900 ----------
ტაშკენაში – 500 --------
ახჩა – 50 ----------
ბოინი – 60 ----------
მელიანი – 50 ----------
მუკუზანი – 100 --------
მაჩხაანი – 200 --------
ზემოაკურა – 30 ------
ქვემოაკურა – 20-----
ლილო – (არ სჩანს რამდენი კომლი სცხოვრობს აქ)

ამათ გარდა ყოფილან კიდევ ხორასანს აქეთ მეამეს[22] ხეობაში, დაბა მეამეში, რამდენიმე ასი კომლი ქართველთა, ყველა ამ ადგილებში ქართულად ლაპარაკობს ხალხი.

ძველად სპარსები ქართველებს ასახლებდნენ მაზანდარანის მიდამოებში, ფარისტანის[23], ხორასნის, შირაზის, თავრიზის, ლამლუს[24] და მცირეთ გილანის ზღვის ნაპირას.

წიგნი დაბეჭდილია სუფთად, 48 გვერდია და ღირს ორი შაური.

---

22. მაიამეი – დასახლება სემნანის პროვინციაში. ამავე სახელის მქონე სოფელია ხორასანე რაზავის პროვინციაში. ქ.მაშჰადთან.

23. ფარისტანი ანუ ფარსის პროვინცია.

24. შეიძლება მოდიოდეს ირანის აზერბაიჯანში თავრიზის ახლოს მდებარე დასახლება „ყოლამლუ“-დან ან კიდევ ყარამან კიკნაველიძის მიერ ნახსენები „ალამლე“-დან (სოფ. ალამოლი გილანში).

***

ქართველები სპარსეთში და საქართველოში მოსული სპარსელი ქართველი ათამ ონიკაშვილი – 1895 წელს გამოსული ზაქარია ჭიჭინაძის ბროშურაა, იგი სულ 47 გვერდს მოიცავს, ბოლო გვერდზე მითითებული თარიღი1890 გვამცნობს, რომ ამ ნაშრომმა მზის სინათლე იხილა დაწერიდან ხუთი წლის შემდეგ. ბროშურას აწერია: ე. მ ხელაძის გამოცემა. ამ ნაშრომმა შემოგვინახა ინფორმაცია ათამ ონიკაშვილის ჩამოსვლის შესახებ. ასევე მიმოხილულია იმ პერიოდისათვის გაზეთში დაბეჭდილი სტატიები სპარსეთში მცხოვრები ქართველების შესახებ. ამ სტატიებს ჩვენ ვაქვეყნებთ ამ წიგნში. ამიტომაც ზაქარია ჭიჭინაძის ბროშურიდან ამოვიღეთ მხოლოდ ის ნაწილები, რომლებიც ათამ ონიკაშვილს ეხებოდა. ავტორმა ეს წიგნი მოგვიანებით განავრცო და ხელახლა გამოსცა.

ზაქარია ჭიჭინაძე

(ამონარიდები წიგნიდან „ქართველები სპარსეთში და საქართველოში მოსული სპარსელი ქართველი ათამ ონიკაშვილი“ 1895 წელი)

...ჩვენდა მოულოდნელად და საკვირველად, 1871 წელს თბილისში მოვიდა სპარსეთიდამ, ერთი სპარსელი ქართველთაგანი, სახელად ათამ ონიკაშვილი, ქართულს ენაზე წმინდად მოსაუბრე, არაბულის წერა-კითხვის მცოდნე, აგრეთვე სპარსულის და სხვა აღმოსავლეთის ენებისა. სპარსეთში დაბადებულა და აღზრდილა. მის წინაპარ ქართველნიც სპარსეთში დაბადებულან, აღზრდილან და იქვე დაბოცილან, მაგრამ თავიანთ სამშობლო ენა არ დაუკარგავთ და მცირედ საქართველოს ხსოვნაც ჰქონიათ; საქართველოს და ქართველ ხალხის შესახებ თურმე ზღაპრებსაც ლაპარაკობენ. ესენი ხშირად ნახავენ ხოლმე აქა იქ სპარსეთში მცხოვრებ სომხებს და მათ საქართველოს შესახებ ამბებს ჰკითხავენ, თუ ვინმე რამეს იტყვის, ამას სულ განაბული ისმენენ. მაგრამ საუბედუროდ სომხებში ხშირად ვერ ნახვენ ასეთს პირებს, რომ მათ საქართველოზე რამე ცნობები იცოდნენ. ათამ ონიკაშვილი იყო სპარსელ ქართველთ ერთი შეძლებულ ოჯახის შვილთაგანი. ამას თავიანთ ოჯახში ხშირად შეუტყვია ხოლმე თავის მშობლებისაგან, რომ ჩვენ აქ ძალად ვართ მოყვანილნიო. ჩვენი ძველები იტყოდნენ ანდაზად ხოლმეო, რომ „ეგები ეცადოთ შინისაკენ დაბრუნებასაო, ბევრი კაცი და დედაკაცი სულ ამას გვაუედრიდნენ, რომ ეცადეთ აქ არ დარჩეთ და საქართველოში დაბრუნდეთო“.

იტყოდნენ თურმეო, რომ მოხუცებულნი ცხარედ სტიროდნენო, რამდენჯერაც გაიგონებდნენ საქართველოს, იმდენჯერ წუხილს და ნატვრას დაიწყებდნენო, რომ ნეტა საქართველო გვაჩვენა, ნეტა ჩვენ აქ ვინ გაძმოგვასახლა, ჩვენს ცოდვაში ვინ ჩაგა, რას გვემართლებოდნენ, რომ ჩვენს ძმებს დაგვაშორეს და აქ მოგვიყვანეს; ყველა ამბობს თურმე, რომ ჩვენ აქ შაჰაბაზმა მოგვიყვანაო. შაჰაბაზი მათში სახელოვნებს,

საქართველოს საქმეების დამამცირებლად მხოლოდ ამას ალიარებენო. სპარსელ ქართველ მოხუცებულთა ლაპარაკს პატარა ათამ ონიკაშვილი ყოველთვის სიამოვნებით ისმენდა და ამას ძრიელ უყვარდა საქართველოს ძველებური ამბების გაგება. ყოველი ამბავი ამას ცხადათ ამახსოვდებოდა (ასეა!) და შემდეგ ამბებს თავის ტოლ მეგობრებს უამბობდა ხოლმე, რამდენიმე ხნის შემდეგ ათამ ონიკაშვილი მისცეს თავიანთ სოფლის მარტყოფის სასწავლებელში შეგირდათ. სასწავლებელი ძველთაგანვე დაუარსებიათ მარტყოფში. სპარსებს ამ სასწავლებლის მეოხებით გაუვრცელებია ქართველებში სპარსული ენა. ამ სასწავლებელში ათამა რამდენიმე წელიწადს დარჩა, აქ შეისწავლა არაბული ანბანი, სპარსული ენა, საჭირო საკითხავი ლოცვები და უკანასკნელი როცა მოლონიერდა, სკოლიდან გავიდა, 20 წლის ვაჟკაცი იქნებოდა, რომ მარტყოფიდან თავრიზში გადასახლდა და იქ საქმეს ეძებდა. ამან იპოვა ერთი ინგლისელი ინჟინერი, რომელთანაც მოსამსახურედ დადგა. ამ ინგლისელთან ათამ ონიკაშვილი ჩინებულად ასრულებდა თავის მოვალეობას. ინჟინერი გაკვირვებული იყო, მასზე, რომ მე ასეთი ჩინებული ბიჭი ვიშოვნეო სპარსეთში, წერა-კითხვის მცოდნე, მასთან გონებიანი და თანაბარი ევროპიელ მოსამსახურებისა, ინჟინერმა სპარსული ენა იცოდა. ამან ათამ ონიკაშვილს თავის ვინაობა ჰკითხა, ამანაც ყველაფერი უამბო: ინჟინერი გაკვირდა, ამან სთქვა: კიდევ მიტომ გამოვიდა ასეთიო, რომ ეს სპარსთა შთამომავლობის არ ყოფილაო. ინჟინერმა უთხრა, მე რუსეთისკენ მომიხდება მოვლაო და თუ გინდა ბაქომდის ჩემის ხარჯით წაგიყვან და მერე იქიდან შენ შეგეძლება, რომ საქართველოში ადვილად ჩახვიდეო. ათამ ონიკაშვილს გაეხარდა, წამოსვლის პირობა მისცა, რამდენიმე ხნის შემდეგ ინჟინერი ბაქოში წამოვიდა, ათამ ონიკაშვილი სიამოვნებით გამოჰყვა თანა, ესენი მალე ბაქოში მოვიდნენ, ინჟინერი კასპის ზღვით გაემგზავრა და ათამ ონიკაშვილი კი საქართველოში გამოემგზავრა. დიდი ხნის წადილი აუსრულდა ამ პირს. მალე მოვიდა თავის სამშობლო ქვეყანაში, მან მალე ნახა ის წამებული საქართველო და ქართველი ხალხი. რომელ ქვეყნისა და ერსაც მისი მშობლები 200 წლის განმავლობაში უკან მოსტირიან მწარე გულითა და ცხრე ცრემლებითა, თვით ათამ ონიკაშვილიც არა მცირედ გლოვობდა თურმე საქართველოზე, ამას უფრო ენატრებოდა საქართველოს და ქართული ხალხის ნახვა, ვინემც მის მშობლებს, აგერ ალუსრულდა მას წადილი და ბევრის შრომის და მეცადინეობის შემდეგ მოვიდა თვის სამშობლო ქვეყანაში, თავის ტურფა და მტერთაგან წამებულს საგმირო საქართველოში. ათამ ონიკაშვილის მოსვლის ამბავი ტბილისში მალე მთელმა ქართველობამ შეიტყო. ბევრს დიდი გვარის კაცს მოუნდა ამ ძვირფასი სტუმრის ნახვა. მალე მიიხმეს თავისკენ. ნახეს ყველა ჩვენ საპატიო პირებმა: დიმიტრი ბაქრაძემ, იაკ. გოგებაშვილმა, აკაკიმ, გ. წერეთელმა, ს. მესხმა, დიმიტრი ყიფიანმა, გრიგოლ ორბელიანმა და პეტრე უმიკაშვილმა. ამათ დაუწყეს სპარსეთში მყოფთ და დალუპულთ ქართველთა შესახებ ცნობების გამოკითხვა და საუბარი. ათამ ონიკაშვილმაც დაიწყო საუბარი და ყველაფერი რაც კი იცოდა სპარსელ ქართველთ ცხოვრების შესახებ დაწვრილებით უამბა, მისმა საუბარმა ბევრ ქართველს გაახსენა საქართველოს შავი და ბნელი დღეები, ბევრს ქართველს აუტოკდა გული, ბევრი ქართველი ატირდა მისის

საუბრით, ბევრს გადაუშალა თვალთ წინ საქართველოს მწარე დღეები და ის წუთები, როცა ათამ ონიკაშვილის წინაპრებს თავიანთ საყვარელ საქართველოს აშორებდნენ, როცა იგინი სპარსეთში მიჰყვანდათ და სამუდამოთ ასალმებდნენ ქართველთა ცხოვრების მზერას, ქართველებთან კავშირს, ლხინსა და ათას ნაირ ვაების დათმენას. განა იქნება ისეთი ქართველი, რომ ამან ათამ ონიკაშვილის წინაპართ ქართველთ ამბები შეიტყოს და იმავ წელს გული არ აუტირდეს, განა შეიძლება მოიძებნოს ისეთი ქართველი, რო მის გული არ შეაწუხოს სპარსეთში მყოფთა დატანჯულთ ქართველთა ცნობებმა, კიდევ განვიმეორებთ, რომ არა გვგონია, და თუ ვინმე იქნება ასეთი ვინმე, რომ მის გულზე ამ უბედურ ხალხის ცნობები ვერაფერ გავლენას მოახდენს. ის სხვა სჯულის და ჯიშის ქართველი იქმნება, არამც თუ ჩვენ, არამედ ხშირად ტიროდა თვით ათამ ონიკაშვილი და ატირებდა მრავალ ქართველთაც. მის საუბარს ისეთი გავლენა ჰქონდა დიმიტრი ბაქრაძეზე, რომ ამან აღარ იცოდა რა ექმნა, ამის მწუხარებას სამზღვარი არა ჰქონდა. ათამ ონიკაშვილი სპარსელ-ქართველთათვის ძალიან გლოვობდა მათი ცხოვრებისათვის დიდათ შესტკივოდა გული და მწარედ სწუხდა, სწუხდა მით უფრო, რადგან ქართველ ერის მდგომარეობას ბევრითად აღევნებდა თვალთ და ყურს და ქართველ ტომის შემცირების მიზეზსაც კარგათ გრძნობდა, სწუხდა მწარედ, რადგანაც საქართველოს სპარსთა ბევრი შვილები მოსტაცეს და ვინც წაიყვანეს იმათ უმეტესი ნაწილიც გაწყდა და დაილუპაო. აქ ქართველთ მოაკლდნენ, ქართველნი შემცირებულან და იქ კიდევ მათ ვერ იხეირეს და მოისპნენო. რამდენჯერ უთქვამს ასე: ახ, მეგობარო, განა მოვესწრები იმ დროს, რომ მე და შენ ან კიდევ სხვა ქართველნი სპარსეთში წავიდეთ და ჩვენი დალუპული ძმები ვნახოთ, გავაცნათ მათი ავი და კარგი და ყოფა-ცხოვრება, მაგრამ მაშინ ე.ი. 1877 წელს, ჩვენ სპარსეთში წასვლის თავი კი არა, საქართველოშიაც არ ვიყავით და აბა იქ წასვლას ვინ იფიქრებდა, თუმცა ნატვრა კი დიდი გვქონდა. ეხლა რომ საწყალი ათამ ონიკაშვილი ცოცხალი იყოს, სწორედ აღტაცებული იქნებოდა მით, რომ ძლივს ეღირსა მის ნატვრას შესრულება და სპარსეთში წავიდა საქართველოს ძვირფას მოღვაწე შვილთაგანი ბ. ვლადიმერ ალნიაშვილი. იგი თამამად იტყოდა ასე.

— ოჰ, ჩემო ძვირფასო ვლადიმერ, მადლობა ღმერთს, რომ მოვესწარ ქართველს, რომელმაც ისურვა ჩვენსკენ წამოსვლა და დაკარგულ ძმების გაცნობა.

ეს კაცი ბევრს ცნობას მისცემდა ქართველ მოგზაურს, იგი აჩვენებდა მთელ სპარსეთის ადგილებს, აჩვენებდა იმასაც, საც კი ქართველთა კვალია დარჩენილი, ამას გარდა სპარსეთის ენითაც დიდად დაეხმარებოდა ჩვენი ტომის საქმეს და იგი თარგმნებით ბევრს რასმეს შემოიტანდა ჩვენს მწერლობაში, მაგრამ ეს არ იქმნა ასე, ჩვენ ვერ ვისარგებლეთ იმითა. ათამა თავი სუფლად ამბობდა ხოლმე „წყეულ სპარსთა და ოსმალთა მეოხებით დიდი ძალა ქართველობა დალუპულა. მაგალითს გეტყვით, რომ ბველათ არ ყოფილა სპარსთა დიდი ოჯახი, რომ იმ ოჯახში ქართველთა შვილების 2 მაინც არ ჰყოლოდეთ მონებათ. დაკარგეს ქართული ენა. ვინც დარჩნენ და შეინახეს დღევანდლამდე, ისინიც დაჰკარგამენ ამ 100 წლის განმავლობაში, თუ ამ საბრალოებს არაფერი ეშველათო, თუ რაფერ უნდა ეშველოს იქ, რა უყოთ? გადმოსახლებას უნდა

ვეცადოთ, მეტი გზა არ არის, მე დავიწყებ თხოვნას და იმედი მაქვს, რომ მრავალნი ქართველნიც დამეხმარებიან ამ საქმეში, ეს ამბები ვინც კი გაიგო, ყველას ესიამოვნა, ყველა აღტაცებული დარჩა, ხოლო, ვისაც ამ საქმეში შეეძლო მონაწილეობის მიღება და ვისაც უხაროდა ამ კაცის ლაპარაკი, ეს გამოჩენილი ქართველი პოეტი გენერალ გრიგოლ ორბელიანი კი შორს დადგა და არსად ერთი სიტყვაც კი არა სთქვა, ვერაფერი წინამძღოლობა გაუწია ათამ ონიკაშვილს, ათამ ონიკაშვილი გადაწყვეტით ასაბუთებდა, რომ დღეის შემდეგ ქართველნი სპარსეთში ველარ შეინახავენ თავსა, რადგან თმენას და ბრძოლას სპარსებთან მობეზრებულნი არიანო. აი რა გვიამბო თავიანთ სოფლების შესახებ.

ისპაანიდან ჩრდილოთ დასაელეთისკენ, ქალაქ შირაზის მახლობლათ, ხუთი დღის სავალზე, ყულევის წყლის ხეობაზე, მდებარეობს რამდენიმე სოფელი ქართველთა, რომელ სოფლის მცხოვრებნიც ქართველნი არიან და დღევანდლამდე აქ ქართულად ლაპარაკობენ, ქართული ენისა გარდა მათ სხვა ენა სულ არ იციან. წერილ სოფლებთ შორის, გამოჩენილ სოფლებათ შემდეგი სოფლები ითვლებიან, სადაც მთლად ქართველები ცხოვრობენო.

მარტყოფი --------- 1000 კომლი
აფუსი ---------- 800 კომლი
თელავი ---------- 900 კომლი
ტაშქენაში --------- 500 კომლი
ახჩა ---------- 50 კომლი
ბოინი ---------- 60 კომლი
მელაანი ---------- 50 კომლი
მუკუზანი ---------- 100 კომლი
მაჩხანი (ასეა!) ---- 200 კომლი
ზემო-აკურა -------- 30 კომლი
ქვემო აკურა ------- 20 კომლი

გილანის ზღვისკენ, თავრიზსა თუ თეირანს აქეთ, გზაში არის შემდეგი სოფლები:
პატარძეული ------- 30 კომლი
ლილო ---------- 40 კომლი
ნორიო ---------- 30 კომლი

აქ მოხსენებულ უკანასკნელ სამი სოფლის შესახებ ათამ ონიკაშვილის გარდა, მე მიამბო ერთმა მოხუცმა საქართველოს სომეხ ვაჭარმა, რომელსაც მთელი სპარსეთი დაევლო, ეს სოფლები ენახა და იქ რამდენიმე დღეს ეცხოვრნა და ქართველებთან ბევრი რამ ესაუბრა, ამ სოფელში ალექსანდრე ბატონიშვილსაც ხშირად უცხოვრია ხოლმე. სოფლის მცხოვრებნი დიდის პატივით ეპყრობოდნენ ალექსანდრე ბატონიშვილს და ამ ბატონიშვილის შესახებ ბევრი ამბებიც ყოფილა ზღაპრად დარჩენილი. ამ სოფლებში დღევანდლამდე ქართულად ლაპარაკობენ და საქართველოს შესახებ ბევრი ამბებიც იციან. ათამ ონიკაშვილის სიტყვით, დღეს მთელ სპარსელ ქართველთ რიცხვი 30

ათასამდე უნდა იყოს. ზოგ მოხუცთაგან გაუგონია ამას შესახებ ის ამბავიც, რომ ვითომც სპარსეთში აქა იქაც არიან ქართველები, მაგრამ მათი ბინადრობის და სოფლების ცნობები ქალაქ ადგილებში არავინ იცის, რადგანაც ივინი სპარსეთის შესანიშნავს ქალაქებისაგან ერთობ შორს სცხოვრობენო, უფრო ისეთ დაშორებულ ადგილებში სცხოვრობენ, რომელ ადგილებიც ძველ დროშივე სპარსეთისათვის უხმარი ყოფილა. აი ეს რიცხვი გადარჩა ამ დიდ რიცხვს ქართველთა, რომელნიც საქართველოს სპარსეთში იყვნენ გადასახლებულნი 400 წლის განმავლობაში და რომელთა რიცხვიც ისე დიდი იყო, რომ XVIII საუკუნეშიც კი მთელი სპარსეთი სავსე იყო ქართველებითა. სპარსელ ქართველთ კარგად ახსოვთ თურმე, რომ ისინი ქართველთ შთამომავალნი არიან და საქართველოდამ გადუსახლებია შაჰაბაზს. ამბობენ თურმე, რომ როცა ჩვენი ძველები მოუყვანიათ და დაუსახლებიათო, მაშინ ამ ადგილებში ხალხი არ ყოფილაო და ქართველები სადაც დასახლებულან, იმათ თავიანთ ახალ შენებისთვის თავიანთ ძველი სოფლის სახელები დაურქმევიათო. მაგალითებრ: სოფელ მარტყოფითგან გადასახლებულნი ერთად დასახლებულან და ამათ თავიანთ სოფლისთვის მარტყოფი უწოდებიათო. ასევე სხვა სოფლებსაო. ათამ ონიკაშვილი იტყოდა ხოლმე: ჩვენ არ ვიცით, თუ ჩვენი სოფლის სახელების მექონი სოფლებიც უნდა იყოს საქართველოში თუ არა, მაგრამ ვფიქრობთ, რომ უნდა იყვეს, რადგანაც ამის შესახებ ამბები ჩვენის ძველებისაგანაც შემოგვიტყვიაო. ჩვენში ამბობდნენ ხოლმე, რომ ქართველები დაასახლეს ამ ხეობაში, მაშინ ქართველთა დიდი ხანი შეიმაგრეს თავი და არ გათათრდნენო. იმათ დიდი წვალება გამოიარეს, დიდათ სტანჯავდნენ და აწვალებდნენ იმ ქართველებსაც, რომელნიც სპარსელ დიდ კაცების სახლებში იყვნენ მონებათ დარიგებულიო. ხშირად ამ საბრალო ქართველთ შეილებით ვაჭრობაც ჰქონდათ გამართული, ჩვენ ტანჯვა წვალების და შვილების ტაციობას რიცხვი არა ჰქონდაო. მართლაც და ძველად სპარსეთში ქართველნი დიდს ტანჯვაში ყოფილან, ამას ამტკიცებს პიტერო (ასეა!) დელავალის ცნობა საქართველოს შესახებ, რომელ ცნობაც იმავ დროსვე არის დაწერილი... (გვ.18-27)

...

...ათამ ონიკაშვილს ისე მოუთბა გული, ისე შეუყვარდა საქართველო, რომ ამან დაიწყო სპარსეთში თავის მოძმეებთან წერილების წერა. ზოგიერთ აქაურ ქართველებთან თათბირი ჰქონდა და რამდენიმე ხნის შემდეგ მაშინდელ კავკასიის მთავარმართებელს თხოვნა მისცა და ითხოვა, რომ სპარსთა ქართველნი საქართველოში გადმოსახლებას ვითხოვთო და ამიტომ წარმოვგზავნით თქვენს წინაშე ჩვენს წარმომადგენელს ათამ ონიკაშვილს და გთხოვთ, რომ ჩვენი თხოვნა შეიწყნაროთ, სპარსეთის შაისთან[25] გვიშუალდგომლოთ და ჩვენს ქვეყანაში დაგვაბრუნოთო. მთავარმართებელმა თხოვნა სიამოვნებით მიიღო და გაჰკვირდა კიდეც, რომ სპარსეთში

25. შაჰთან

ქართველნი ყოფილან, და იქიდან კაცი გამოუგზავნიათო. ათამ ონიკაშვილი თავს ქართველად აღიარებდა მთავარ-მართებლის წინაშე, ასევე მთელ სპარსეთის ქართველთ; თხოვნის შესახებ პასუხის მიღებას დაჰპირდნენ. რამდენიმე ხნის შემდეგ ეს წავიდა გრიგოლ ორბელიანთან და დაუწყო ხვეწნა და ცრემლებით თხოვნა ასე:

შეიბრალეთ სპარსელ ქართველნი, მიხედეთ მათ ტანჯვა-მწუხარებას და მოგვეცით დახმარება წინაშე მთავარ-მართებლისა, რომ ჩვენ საბრალო ქართველთა თხოვნას ყურადღება მიაქციონ და სპარსელი ქართველნი დაიხსნან სპარსთა ტყვეობისაგან. მთავარ-მართებლის გარდა ათამ ონიკაშვილი გრიგოლ ორბელიანს მთავარ-მართებლის მეუღლის წინაშეც სთხოვდა სიტყვის თქმას და დავალებას, რადგანაც ათამ ონიკაშვილი მთავარ-მართებლის მეუღლემაც ინახულა და გამოჰკითხა ქართველთ ვითარება, რამაც ერთობ განაკვირვა იგი. გრიგოლ ორბელიანმა პირობა მისცა, რომ მთავარ-მართებელთან და მის მეუღლესთან მივალ და ვითხოვ ყველაფერსაო. რამდენიმე ხნის შემდეგ ათამ ონიკაშვილი მივიდა გრიგოლ ორბელიანთან და პირობის შესახებ ჰკითხა. მან უთხრა:

ძმაო! ჩვენში არაფერი საზოგადოება არსებობს; მე ვერ გავბედე მათი თხოვნა, მიტომ რომ არაფერი იქნება, ჩვენ თხოვნას არ შეიწყნარებენ, იქიდან ამ ხალხს არ გადმოასახლებენ. ან რა საჭიროა მათი აქ გადმოსახლება, იყვნენ იქ, იცხოვრონ მშვიდობით და ხანდისხან აქაც მოვიდნენ. ათამ ონიკაშვილს ამ ამბის შეტყობა ძრიელ ეწყინა, ეწყინა მით უფრო, რადგანაც მას უარი უთხრა ისეთმა პირმა, როგორიც იყო გრიგოლ ორბელიანი და ვისგანაც უფრო დიდი იმედი ჰქონდა საქმეში მონაწილეობის მიღებისა და დახმარებისა. ამის შემდეგ ათამ ონიკაშვილს ძრიელ გაუტყდა გული, ქართველებისაგან აღარაფრის დახმარების იმედი ჰქონდა, ვისაც შეხვდებოდა ყველას მწუხარებით ელაპარაკებოდა ქართველთა უხეირობას, ზარმაცობას და საქართველოსადმი გაციებულს გულს და გრძნობასა. ჩვენ ხშირად ვნახავდით ერთმანეთს და ვსაუბრობდით ჩვენ მწერლობის შესახებ. ერთხელ „ვეფხის ტყაოსნის“ შესახებ სთქვა: მე ბევრი წიგნი წამიკითხავს სპარსულს ენაზე, მაგრამ გეფიცებით, რომ ასეთი არაფერი მინახავს და მიკითხავს. „ვეფხის ტყაოსანი“ თვალია არამც თუ მარტო ქართულის მწერლობისა, არამედ მთელი აზიის ხალხისაცაო. სპარსულ ენაზე მისი ცალი და მზგავსი არაფერია, არის ერთი მოთხრობა პროზად, რომელიც ძრიელ მცირედ, სულ ბნელად წააგავს „ვეფხვის ტყაოსნის“ ზღაპარსაო, სხვა ამის ცალი არაფერია სპარსთა მწერლობაშიო. ათამ ონიკაშვილი ხშირად კითხულობდა სპარსულ წიგნებს და იქ ქართველების ცნობებს ეძებდა; უყვარდა მეტად „შაჰ-ნამეს“ კითხვა, ქართული თარგმანიც წაიკითხა. „ლეილიანი, ბარამიანი“ და სხვა სხვა (ასეა!) ქართული თარგმანებიც გაშინჯა და სპარსულს დაბეჭდილ წიგნებს უდრიდა. დიდათ უყვარდა საქართველოს ისტორიის კითხვა. რამდენიმე ხნის შემდეგ ეს დაუმეგობრდა საგარეჯოს დეპოს მწარმოებელთ ამხანაგობას და მალე ამ დეპოს დახლიდარად დადგა. საქმის წარმოება დაიწყო. რამდენიმე ხნის შემდეგ მოინათლა, სახელად ალექსანდრე უწოდეს, საგარეჯოში ქალიც შეირთო, მაგრამ არ გავიდა დიდი ხანი, რომ ამან სხვა და სხვა მიზეზების

გამო 1880 წლებში თავი მოიკლა დამბაჩით და მით გაათავა თავისი მწუხარება და შეუსრულებელი წადილი. ამ პირის ასე უმიზეზოთ დალუპვა ბევრს ეწყინა, ბევრმა სთქვა, რომ ეს საწყალი ქართველი რა უბედურად და უგზო-უკვლოდ დაილუპაო, დაილუპა უფრო სპარსელ ქართველთათვისაო. ათამ ონიკაშვილის შემდეგ ჩვენ სპარსელ ქართველთ ცხოვრების შესახებ აღარაფერი შეგვიტყვია; იქიდან სპარსელ ქართველთაგანი აქ აღარავინ მოსულა (გვ.35-38).

***

ბ-ნი ვლადიმერ აღნიაშვილი – გაზეთი „იერია“ აქტიურად აქვეყნებდა სპარსეთში მცხოვრები ქართველების შესახებ წერილებს. სწორედ მან აცნობა ქართულ საზოგადოებას ფერეიდნელი ქართველების სანახავად წასული ლადო აღნიაშვილის დაბრუნების ამბავი.

ახალი ამბავი

(იერია, 1895 წ. N169, გვ.1)

ბ-ნი ვლადიმერ აღნიაშვილი, რომელიც აგერ უკვე ერთი წელიწადია, რაც წასული იყო სპარსეთში სამოგზაუროდ, უკვე დაბრუნდა ამ დღეებში და ჩამოვიდა ტფილისში, მან მრავალი საყურადღებო ცნობები ჩამოიტანა იქიდგან, შაჰ-აბაზის პირველის დროს გადასახლებულ ქართველ მაჰმადიანთა შესახებ; იმედია მალე აუწყებს დაწვრილებით ბ-ნი აღნიაშვილი ჩვენს საზოგადოებას, ჩვენგან დიდის ხნით მოწყვეტილ მოძმეთა ხალხის მრავალგვარ საინტერესო და საყურადღებო ცნობებს. დაუვლია მრავალი სოფლები გამაჰმადიანებულ ქართველებით დასახლებული. რამდენიმე სოფელში წმინდა ქართულის კილოთი მოლაპარაკე ხალხი უნახავს. თან ჩამოუტანია აგრეთვე იქაური შესანიშნავი ადგილებისა და გამაჰმადიანებულ ქართველთა სურათები, თავისს საკუთარის ფოტოგრაფიით გადაღებული.

***

სპარსეთი და იქაური ქართველები – აქ მხოლოდ პატარა ამონარიდია ამ წიგნიდან, რომელშიც აღწერილია ლადო აღნიაშვილის სპარსეთში ყოფნა და მისი გზა ფერეიდანის ქართველებისაკენ. თავდაპირველად სპარსეთში მოგზაურის შთაბეჭდილებები იბეჭდებოდა „მოამბეში“, შემდეგ კი წიგნად გამოიცა. წელიწად-ნახევარი დაჰყო მან სპარსეთში, წვალებით გაიკვლია გზა ფერეიდნისკენ და იქ ასულმა მხოლოდ 12 დღე მოახერხა დარჩენა, რადგან, როგორც თვითონ აღნიშნავს, ალარც ფინანსური

საშუალება ჰქონდა და ეკანმრთელობის მდგომარეობაც გაუუარესდა. თუმცა, რაც მან ნახა და აღწერა, დღესაც არ კარგავს აქტუალობას. ამ წიგნმა ძვირფასი ცნობები შემოგვინახა ფერეიდნელი ქართველების შესახებ. წიგნის მეხუთე თავი მთლიანად ეხება ფერეიდანში ყოფნას. ჩვენ „ფერეიდნულ ქრონიკებში“ შევიტანეთ ფერეიდნელ ქართველებთან ავტორის პირველი შეხვედრის ამბები. გულისამაჩუყებელია საოცარი სიყვარულიანი და აღტაცებული დახვედრა ფერეიდნელთაგან თავიანთი „ძველისა“, როგორც საქართველოდან ჩასულ ქართველს უწოდებდნენ ისინი. აქვე შევიტანეთ სოფლების სახელწოდებები და ცნობები ქართველთა რაოდენობის შესახებ. დაკვირვებები მათ მეტყველებაზე... უნიკალურია ლადო ალნიაშვილის მიერ შედგენილი რუკა ფერეიდანის ქართული ნაწილისა, გურჯი ნაჰაიასი, როგორც მას უწოდებდნენ. ვფიქრობთ, ეს პატარა ნაწყვეტები მკითხველში გააჩენს ამ წიგნის წაკითხვის სურვილს.

ლადო ალნიაშვილი

ამონარიდი წიგნიდან „სპარსეთი და იქაური ქართველები“, 1896.

...გამოვედით დილით. გასავლელი გვქონდა 4 ეჯი. უკანასკნელი სადგური იყო, „დომბე-ქამარე“ და აქედან კი ქართველობის მოსახლობა იწყებოდა. გავიარეთ სამი ეჯი, ქარვანი მინდვრად გაჩერდა, – სოფლად არ ავალთო. მეც ჩამოვხდი, შევნაყრდით ცოტაოდნად, ცხენებსაც მოვაჭამეთ და ოთხ საათზედ გავუდექით ისევ გზას. ვაპირობდი პირდაპირ მარტყოფში ასვლას და თუ, ვინიცობაა, შორს აღმოჩნდებოდა და თვალნათლივ ვერ ვუწევდი, მაშინ იმ სოფელში, „დომბე-ქამარე“-ში უნდა დავრჩომილიყავ, მინდვრად დგომა არ მეწადა. მიველ იმ სოფლად. დამხვდა სოფლის პირში ერთი სპარსელი. ვკითხე, ეს რა სოფელია-მეთქი? მიპასუხა – დომბე-ქამარეო. – აქედან ახორამდე რამდენი მანძილი უნდა იყოს-მეთქი? სამს ეჯზედ მეტი იქმნებაო. მე ეს ძალიან მებევრა. ცხენები დაღლილები გვყვანდა და ჩვენც თვალნათლივ ველარ ვუწევდით. – ახორამდე გზაში სოფლები არა არის-რა-მეთქი? – როგორ არა, სულ სოფლებია, ერთი მეორის მოყოლებაო. – მაშ აბა მითხარ, რა სოფლებია-მეთქი? მითხრა იმან ერთი სოფელი და მერე ტაშკესანა. ეს სახელი მენიშნა, რადგან წინადვე ჩაწერილი მქონდა წიგნში ქართული სოფლების სახელები, როდესაც ისპაანში მოდიოდნენ ხოლმე ჩემთან ქართველი ხანები. – რამდენი მანძილია-მეთქი ტაშკესანამდე? ვკითხევი იმავე სპარსელს. – ცოტა რამ ერთ ეჯზედ მეტი იქმნებაო. ეს მე ჯკავაში დამიჯდა და როგორც კი ვაპირობდი გაბრუნებას, ჩავლადარმა ჰკითხა იმ სოფელში ქართველები ცხოვრობენო? – დიაღ, დიაღ! ქართველები ცხოვრობენო, გვითხრა და ჩვენც გავწიეთ ტაშკესანასაკენ. გავიარე ერთი ვერსის ოდენა გზა. გზაში ერთი დიდი ყანა იყო. თავში ერთი გლეხი იდგა და ყანაში წყალს ურუებდა, გზის პირიდან, ყანის მეორე თავში, საიდანაც ჩვენ მივდიოდით, ერთი ახალგაზდა კოხტა ბიჭი მოვიდა და ძალიან მალალის ხმით გასძახა იმ პირველს:

„ბიჭო, ეიპ! იადოლლა! იადოლლა!“ იმან დარუეებას თავი გაანება და ხელი მაღლა აიშვირა. ვითომ მესმის რა გინდაო. – „რა უყავ, ბიჭო, ი ჩვენი ვირიო?“ ჰკითხა ისევ პირველმა, – „შენ რაით გინდა? შინ არი. – „როგორ არ მინდა, პური უნდა წავიღო წისქვილში“.

– „ჩვენ გომშია, წადი წაიყვანეო“. მე ამ მინდორში, ამ შიგ შუა სპარსეთის გულში ამისთანა ქართული ლაპარაკის გაგონებამ ერთბაშად რაღაც თავბრუ დამხვია; შევაყენე ცხენი და ისე გაშტერებული ვიდექ, მე თვითონ არ ვიცოდი, რასა ვფიქრობდი იმ დროს. დარწმუნებული ვიყავ წინადვე, რომ ამათ ქართული ლაპარაკი უნდა სცოდნოდათ, რადგან ბევრნი მიდიოდ-მოდიოდნენ ჩემთან ისპაანში, მაგრამ სრულებით ვერ წარმოვიდგენდი, თუ ესე მინდორ-ტყეში, მთებსა და სოფლებში წმინდა ჩვენებური, გლეხური კილოთი ლაპარაკს გავიგონებდი. დიდი ხანი ალარ დავაცადე მე ამათ ლაპარაკი და დავუძახე გზის პირში მდგომ ბიჭს: ბიჭო, ეი! შენ ვინა ხარ, გურჯი ხარ-მეთქი? იმან მოიხედა და კაი ხანი მიცქეროდა გაკვირვებული. მერე მითხრა: იჰო, გურჯი ვარ! მაგრამ შენ ვინა ხარ? ჩვენებური სად იციო? – მეც გურჯი ვარ: გურჯისტანიდან მოველ თქვენს სანახავად-მეთქი? – ..იიი, გურჯი კი არა!!..“ – ჰო, მართლა გეუბნები. – „მაშ გურჯი ხარ?!“ მითხრა და ჩემსკენ წამოვიდა. დამიწყო რაღაც-რაღაცა ლაპარაკი და მერე ჩუმჩუმად თავის ამხანაგს ხელი დაუქნია. გაიდო იმანაც ბარი მხარზედ და გამოიქცა ჩვენსკენ. მე ნელ-ნელა მიმყავდა ცხენი, ამას უზანგზედ ეცლო ხელი და ლაპარაკით მოგვდევდა. როცა მეორეც მოგვიახლოვდა, პირველმა უთხრა: „იცი, ეს გურჯია, გურჯისტანიდან არი“. – „იი, გურჯი კი არა?!“ თქვა იმანაც და როცა მე ქართულად დაველაპარაკე, გაუხარდა, მოვიდა ესეც ახლო, ჩაჰკიდა ხელი ცხენს ფაფარში და აგვედევნა. მე ვკითხავდი: შენ რომელ სოფლიდანა ხარ, შენ რომლიდან? შორს არი ეგ სოფელი? ბევრნი ხართ იმ სოფელში თუ ცოტა-მეთქი? ისინიც სულ კბილების ღრჭენით და სიცილით მაძლევდნენ პასუხს. ამ დროს მოდიოდა გზად ახლა სხვა კაცი. დაინახეს ამათ, იცნეს და უთხრეს: „ბიჭო, იცი? ეს ჩვენი ძველიაო,“ და ახლა ის აგვედევნა. ამათ მოემატათ მეოთხე, მეხუთე, მეექვსე, ასე რომ ნახევარი გზა ტაშკესანამდე ათი-თორმეტი კაცი მყავდა გზაში აკიდებული: ზოგს ცხენის ჯილაბში ჰქონდა ხელი ჩაცლებული, ზოგს უზანგში, ზოგს ძუაში და ესე კიჟინითა და ხარხარით მიმაცილებდნენ. ბოლოს თითო-თითოდ ჩამომრჩნენ უკან და მარტო შეველ სოფელ ტაშკესანაში.

აქ, გზაში გავიგე მხოლოდ, რომ ის დომბე-ქამარე, სადაც მე მიველ პირველად, ისიც ქართული სოფელი ყოფილიყო. მხოლოდ, რადგან მე მარტო ქართული სახელები მქონდა იქაური სოფლებისა ჩაწერილი, იმ მეორე სახელს იმიტომ ვერ მივხვდი. აქ, ხშირად არის, თურმე, რომ ქართველებს თავისი სახელები უქვიანთ თავის სოფლებს და სპარსელები კიდევ თავისას ეძახიან. ისე რომ, ის დომბე-ქამარე ყოფილიყო სოფელი თოლერი, რომელიც მე უბის წიგნში უკვე მქონდა აღნიშნული, როგორც ქართველების სოფელი. ტაშკესანას რომ მოველ, ნაცნობი არავინა მყავდა; არ ვიცოდი ვისთან ჩამოვმხდარიყავ და მამასახლისი (ქეთხუდა) ვიკითხე. მიმასწავლეს იმის სახლი, მაგრამ შინ არ იყო, – ისააპანს წასულიყო

სოფლის მამულების ხაზინიდან გამოსყიდვის თაობაზედ. იქვე ერთი მოხუცი კაცი იჯდა და მითხრეს აი თუ გინდა იმას დეელაპარაკეო. მეც ვიფიქრე, ალბად, ეს იმისი ვინმე იქმნება-მეთქი. შეველ ეზოში, მოკიკითხე, მომიკითხა და დავიწყეთ ლაპარაკი. ძალიან მოხუცებული იყო და საშინელი ღარიბი, როგორც იმის ტიტველა გოგო-ბიჭებს ეტყობოდა. როდესაც ვუთხარ, მე ქართველი ვარ და თქვენ სანახავადა ვარ მოსული-მეთქი, ერთი საშინლად ამოიოხრა და მითხრა: ეჰ, შვილო! რაღა ქართველები, რის ქართველები! ძლივს გვიდგა პირში სული. დღე-ყოველ პურის ლუკმა გვენატრება. ვისლა აგონდება ქართველობაო, აი შეხედე ამ პატარებს. ტანზე ნატისუსალი ასდით, ხელის ტოლა ჩითი არ გაგვაჩნია, რომ სიტიტველისა და სიცივისაგან დავიფაროთო. საშინელი გულის შესაწუხებელი ლაპარაკი დამიწყო. მე დიდი ხანი ვერ გავუძელ იმის ყურებას, შემეცოდა და ავჩქარდი წამოსასვლელად. აღმოჩნდა, რომ ამას მამასახლისთან არავითარი დამოკიდებულობა არა ჰქონდა. თუმცა ორივენი ერთ ეზოში იყვნენ, მაგრამ ორივე თავთავიანთთვის ცხოვრობდნენ. რომ წამოვდექ და ვეთხოვებოდი, მითხრა: ეხლა შენ მოსული კაცი ხარ, გენდომება სადმე ჩამოხდომა და აბა რა ვქმნა, მე შენი საკადრისი არც სახლი მაქვს, არც კარიო. თუ ინებებ, შენი ნებაა, აი ეს ჩემი სახლი და როგორც გსურს, ისე მოიხმარეო. მე დიდი მადლობა გადავუხადე და ვანუგეშე, გულს ნუ გაიტეხ, ღმერთი დიდია, როდესმე ჩვენც გადმოგვხედავს-მეთქი და გამოვტრიალდი. იმან გზა-გზა მომაძახა, რომ საცა ბინა იშოვო, პური, კვერცხი, რაც გნებავდეს, ჩვენგან მოითხოვეო. მე კვალად მადლობა ვუთხარ და წამოველ.

ლაპარაკში სრულებით ვერ შემემჩნია, რომ, თურმე, ქვეყნის დედაკაცობა ზედ დამდებოდა. შეეტყოთ, ქართველი მოსულაო, მოგროვილიყვნენ ეზოში და თავიდან ფეხებამდე თვალითა მზომავდნენ.

ამ ლაპარაკის შემდეგ, ცოტა არ იყოს, გული გამიფუჭდა. შიგ სოფელში დგომა აღარ მოვინდომე, მეძნელებოდა ვისიმე შეწუხება. გამოველ იქვე, განაპირას და ვუთხარი ბიჭს, რომ აქ გამიმართე ლოგინი, აქ დავბინავდეთ და რაც საჭმელი რამ მოგვინდება, ფულით მიყიდე სოლმე სოფელში-მეთქი. ვფიქრობდი: ჭამა-სმა, წოლა და ძილი ჩემთვის ცალკე მქონოდა და რაც დრო დარჩებოდა, სოფლად, ხალხში მეტრიალა.

მაგრამ ჩავლადარი ვერ დავითანხმე. ასტყდა, რომ აქ ლორები არიან ახლო, შეიძლება ღამე ან ცხენები მოგვპარონ ან ბარგიო. მე კიდევ ჩემსას არ ვიშლიდი, და არ ვთანხმდებოდი. ამ შეცილებაში რომ ვიყავით, ვნახოთ თავს წამოგვდგომია ერთი კაცი და ერთი დედაკაცი, გაუგიათ ჩვენი ლაპარაკი და ისინიც ჩამოერივნენ. – როგორ იქნება აქ დგომა, განა სოფელი გაწყვეტილაო! მითხრეს იმათ ორივემ ერთად და ჩამკიდა დედაკაცმა ხელი კალთაში. – თუ სახლი არა მაქვს შენი შესაფერი, ეზო კარგი მაქვს, იქ დაბინავდიო. მე ძალიან უარზედ ვიყავ, მაგრამ არ მომეშვნენ და წამიყვანეს.

როგორც ეტყობოდათ და როგორც მერე გამოვიკითხე, მუშაობიდან მოდენილიყვნენ. ქალს ორი სათიბელი ჰქონდა მხარზედ გადებული და კაცს პატარა კონა მწვანე ბალახი და კიდევ რალაც-რალაცეები ზურგზედ წამოკიდებული. ცოლ-ქმარნი იყვნენ,

ახალგაზდა ხალხი. კაცი ძალიან ლამაზი იყო, წაბლის ფერი წვერ-ულვაში ჰქონდა და ნამდვილი ქართული სახე. ცოლი უფრო ახალგაზდა, უფრო ლამაზი. წარბები დაბასმული ჰქონდა, შუბლზედ, ნიკაპზედ და ერთ ლოყაზედ პატარა ჯვრის სახედ მოლურჯო ფერის ტატუიროვკა გეეკეთებინა და სულ თეთრ-წითლად ღუოდა.

მიმიყვანეს სახლში. ცოლი იმ წამს ჯარასავით დატრიალდა: მორწყო, დაგავა, დაასუფთავა ეზო და გამიშალა საფენი.

გადავაფინე ზედ ზეწარი, გავშალე ჩემი საბნები და წამოვწექ. მომისხდნენ აქეთ-იქიდან ცოლი და ქმარი და დამიწყეს ლაპარაკი. ქართულად კარგა ველარა ლაპარაკობდნენ, თუმცა სმენით კი კარგა ესმოდათ. გეეგოთ მეზობლებს ჩემი მოსვლა და ცოტ-ცოტაობით მოგროვდა ხალხი. ყველაზედ მეტი აქაც დედაკაცობა შეიყარა. დამაყარეს აქეთ-იქიდან სხვა-და-სხვა კითხვები და მე ველარც კი ვასწრობდი პასუხის ძლევას. ხუთი წამის შემდეგ სულ გაიჭედა ხალხით ეზო, გზები და ბანები ყველას უნდოდა ახლო მოსულიყო, ყველას უნდოდა დამლაპარაკებოდა. ბოლოს თანდისთან დიდი კაცებიც მოგროვდნენ.

ვინც მოდიოდა, ჯერ ყველაზედ წინ იმას მეტყოდა: აქ რად დაჰგდებულხარ“[26], ვითომ აქ რად ჩამომხდარხარო? ყველას უნდოდა თავის სახლში წავეყვანე, – აქ როგორ შეიძლება, ცის ქვეშ როგორ დაგტოვებთ! „ადე, წამო ჩემ სახლჩიო“, ყველა ამას მეუბნებოდა. ამათმა ამისთანა მიპატიჟებამ თავმოყვარეობა აღუძრა იმ ცოლ-ქმარს რომელთაც პირველად სოფლად შემომიპატიჟეს და ყველას ეუბნებოდნენ: არავისაც არ დაგანებებთ! კაი საკადრისი სახლი არა გვაქვს, მაგრამ რაცა გვაქვს, ისე დავუხვდებითო.

მართლაც, დიასახლისი შეუდგა ოთახის მომზადებას და ამათ კი ყურები დამაძრეს ლაპარაკით. მე რომ მეკითხნა რამე, რიგიან პასუხს არ მაძლევდნენ, სულ უნდოდათ, რომ მე მელაპარაკნა და მე მეამბო მათთვის აქაური ჩვენი ქართველების საქმეები. ვნახოთ, გამოჩნდა ამ დროს ერთი დაბალ-დაბალი უსახური კაცი, რომ დაინახეს ყველამ იქით მიიღრიჯეს კისრები და დაუძახეს: „მოდი აქ, მოდი აქაო!“ თურმე ის ამათი ხუმარა ყოფილიყო. თითონ ზემო მარტყოფელი იყო და ეხლა, რამდენიმე დღით აქ სტუმრად მოსულიყო. დამინახა იმან თუ არა, და მოჰკრა ყური ჩემს ქართულს, მიუბრუნდა ხალხს: – ეგ ვინ არი! ჩვენი ნაგლეჯიაო? – და წასქდა ხალხს სიცილი. მეც სიცილი მომივიდა. დიაღ, დიაღ! თქვენი ნაგლეჯი ვარ, მაგრამ შენ ვისას ნაგლეჯი ხარ-მეთქი? მე მარტყოფის ნაგლეჯი ვარო“, მიპასუხა და რატომ ჯერ მარტყოფში არ მოიტანე თაშრიფიო?“[27] იქ შორი იყო, დავიღალე და თვალ-ნათლივაც ველარ ვუწევდი-მეთქი. ასეთი საუბარი მქონდა და სულ ხალხთან მობინდებამდე. ბინდისას სახლის პატრონმა შემიწვია სახლში.

---

26. *) ეს სიტყვა გადმოთარგმნილი აქეთ, როგორც მე შევატყე, სპარსული სიტყვიდან „ოფთადან“, რომელიცა ანიშნავს დაგლებასაც. დავარდნასაც, წაქცევასაც, ჩამოვარდნასაც, ჩამოხდომასაც და დაბინავებასაც.

27. *) „თაშრიფი“ სპატიო სიტყვაა სპარსულს ენაზედ და როდესაც ემატება მიტანას და მოტანას, მაშინ ნიშნავს ჩვენებურად წაბრძანებას და მობრძანებას.

სახლს ერთი შესავალი კარი ჰქონდა. კარიდან მოყოლებული შიგ სახლში, მხარმარჯვნივ ფიცრის ძგიდე (კედელი) იყო გავლებული კაცის სიმაღლეზედ. ძგიდე ოთახის შუა სიგანემდე მიდიოდა, ისე რომ შესავალი ტალანს ემსგავსებოდა. შუა-ზედ ორგან. ტოლ მანძილზედ მოშორებული, კაი სრული ბოძები ჰქონდა შეყენებული და ერთ ამ ბოძზედ იყო მიკრული ის ფიცრის ძგიდე. ბოძებ შუა, ზედ შუა ადგილზედ დატანებული ჰქონდა ჭერს სანათური, საიდანაც მთვარე ჩამოიყურებოდა. ტალანიდან მხარ მარცხნივ, გვერდში შედიოდა ერთი კიდევ სხვა კარი ერთს ბნელ საუალში, რომელიც ორი მხრიდან უელიდა გარს ოთახს და სადაც, როგორც შეენიშნე, შინაური ფრინველები ჰყავდათ შენახული.

ანთეს ჭრაქი და შემოვუსხედით გარს. ერთ მხარეზედ მე ვიყავ წამოწოლილი. ჩემს პირდაპირ ისხდნენ ჩემი მასპინძელები და აქეთ-იქიდანც 4-5 უცხო კაცი. ჩემს ბიჭს მოეხრაკა გზიდან მოყოლილი ოთხი მტრედი, მაგრამ ისე უგემურები გამოდგა, რომ ხელი არ მიხლია. მიმიწვიეს მაშინ თავის ვახშამზედ ჩემმა სახლის პატრონებმა, რომლებიც ლავაშ ჩაბუჟბუჟებულ მაწონს შეექცეოდნენ. მე მადლობა გადავუხადე. მნახავი რიგისა მიდიოდნენ, რიგისა მოდიოდნენ და ღამის პირველ საათამდე თავის დანებებას არ აპირობდნენ, თუ სახლის პატრონს არ დეეთხოვნა.

მეორე დღეს, დილით ადრიან. წავედი ზემო მარტყოფისაკენ. გავედით თუ არა ტაშკესანადან, თითო-თითოდ წამოგვეწიენენ უკანიდან გლეხები: ვიდრე ერთი ვერსის მანძილს გავიელდით, 40 მეტი კაცი მყვანდა გარეშემო შემოხვეული და მძიმედ, ლაპარაკით მივდიოდით. ვნახოთ, ერთი ვილაცა გამოჩნდა ცოტა მოშორებით და დაგვიწყო ძახილი: დაიცა, დაიცაო". ამათ რომ დაინახეს, სიცილი დაიწყეს: „ჩვენი სულელია, იმასაც უნდა გურჯისტანის ამბები გაიგოსო". არ გასულა 3-4 წამი, წამოგვეწია ქაქანით ის გიჟი, მომიდგა ყველაზედ ახლო და დამიწყო ლაპარაკი, მაგრამ რა ლაპარაკი, – სულ ერთსა და იმავეს მეკითხებოდა. – მაშ გურჯისტანში ტაშკესნა არ არიო". მე ვეტყოდი, არა-მეთქი. „მაშ გურჯისტანში ტყემალი გაქვთო"? – ჰო-მეთქი – და სანამ სხვა სხვა რამეს დამეკითხებოდა, ის ისევ გამიმეორებდა: " მაშ გურჯისტანში ტაშკესანა არ არიო"? გამიჭირა საშინლად საქმე. არ მინდოდა ამ გიჟის კამპანიით მევლო, დავკარ ცხენს და გავაჩქარე; მაგრამ ეს ამოდენა ხალხიც აჩქარდა, სულ ჩაჩაკით წამოვიდნენ. გიჟი ხომ სულაც არ გვანებებდა თავს და ყველაზედ წინ ის ეჩრებოდა, მეტი ილაჯი არ იყო, უნდა ამეტანა ამ გიჟის ყბედობა, რომ ის დანარჩენები არ შემეწუხებინა და ჩაჩაკით არ მერბეინებინა. გამაცილეს ამათაც ასე კაი გზა და მერე თითო-თითოდ ჩამოგვრჩნენ უკან, მაგრამ ყველაზედ მეტი ხანი შეგვრჩა ის სულელი ტაშკესანელი.

ახორას რომ მივუახლოვდი, იქ, სოფლის პირში ორი დედაკაცი წყალს ავსებდა. დამინახეს და გამართეს ლაპარაკი: ერთმა სთქვა-ეს „საჰაბიაო"., მეორემ უთხრა, – „არა ეს ჩვენია, გურჯიაო" – „არა, საჰაბიაო, ფარანგიაო? – „არა, ეს ჩვენი ძველია, გურჯია. ხანმა არა თქვა, ერთი ჩვენი ძველი ისპაანში ზისო" და როდესაც ის პირველიც დაეთანხმა, წამოხტნენ ორივენი, დაყარეს იქ წყლის ჭურჭელი და გაიქცნენ სოფლისაკენ. მირბოდნენ და ყველა გამელელ-გამომველს ეუბნებოდნენ: „ჩვენი ძველი

მოდის! მოდის გურჯისტანიდანაო"! სანამ სოფელში შევიდოდი, აუარებელი ხალხი იყო ყველა გამოშლილი: კაცი და ქალი, დიდი და პატარა აქეთ-იქიდან მომძახოდა – აჰვალი როგორა გაქვს?[28] – ,სალამ![29] – „ჩალი როგორა გაქვსო?[30] მე ყველას თავს ვუკრავდი და მადლობას ვეუბნებოდი.

ვაპირობდი ალი მირზა ხანის სახლში ჩამოხტომას. ვკითხე ხალხს იმისი სახლი და მითხრეს „შინ არ არის, ჰოქემთან[31] წავიდაო". იმისი შვილი-მეთქი და – „ეხლა ვენახში მუშაობსო".' მაშ ხოდარამ ხანის[32] სახლი მასწავლეთ-მეთქი. წამიძღვა, წინ ორი-სამი კაცი, ამყვა უკან ეს აუარებელი ხალხი და ესე ყეინივით წამიყვანეს. შეველ ხოდარამის ეზოში და შემომყვა თან ეს ჯარივით ხალხიც. შეველ ოთახში და ვიდრე ერთმანეთს მივესალმებოდით, ისე დიდძალი ხალხი მოგროვილიყო, რომ ეზო, დერეფნები და ბანები სულ გაჭედილი იყო.

ხოდარამს შეეშინდა, სახლი არ დამიქციონო და სთხოვა ხალხს, ჩამოდით, თორე ბევრნი ხართ, ბანი ჩამოწვებაო, მაგრამ ყურიც არავინ გაიბერტყა ამის სიტყვებზედ.

ასრე დავდიოდი ერთი სოფლიდან მეორეში. შემოვიარე თითქმის სულ მთლად, რაც აქ ახლომახლო სოფლები იყო.

ზოგან სამი დღე დავრჩი, ზოგან ორი, ზოგან ერთი და ზოგან მხოლოდ გავლით კი გავიარე, დავათვალიერე და შიგ ხანი არ დავრჩომილვარ.

მთელს ამ პროვინციას, სადაც მოსახლეობენ ქართველები, ეძახიან ფერეიდანს და ზოგნი ფერიასაც. რეკლიუ უწოდებს მას ფერიდუნად (Феридунъ). ფერეიდანი დიდი მოზრდილი ადგილია, – განიყოფება ოთხ ნაწილად, თითო მათგანს ეწოდების სახელად ნაჰაია: 1.ნაჰაია გურჯი, 2.ნაჰაია თოპმაჰლუ (ასეა!), 3. ნაჰაია ვარზაღ, 4.ნაჰაია ჩადეგუნ.

პირველი იმათგანი, როგორც ჰხედავთ სახელწოდებიდან, ეკუთვნის ქართველებს და დანარჩენი სამი – თათრებს. ჩვენ, რასაკვირველია, გვექმნება აქ ლაპარაკი მხოლოდ ქართველების ნაჰაიაზედ.

სიმაღლით ფერეიდანი ირანის ყველა სხვა დასახლებულ ადგილებზედ მაღალია (2500 მეტრის სიმაღლეზედ არის).

ფერეიდანი შესდგება მთლად მთებისაგან და სადაც ეს მთები ცოტა შორი-შორს გადიან ერთმანეთისაგან, იქ, შუაში სოფლებია დამართული. მთები თავის-თავად არ არის საიმისო მაღალი, უფრო გორებსა ჰგავს, მაგრამ მთლად ადგილი იმოდენად მაღალია, რომ ამ პატარა გორაკებზედ გარდა ერთის თვისა, მუდამ თოვლი სძევს ხოლმე ადგილ-ადგილ ხევებში.

---

28. *) აჰვალი – გარემოება, მდგომარეობა

29. *) სალამ – გამარჯობა

30. *) ჩალი – გუნება

31. *) ჰოქემი – გამგებელი, მოურავი

32. ეს უნდა იყოს გვარი ხოდარამი. ამ გვარის ქართველები ლურისტანშიც ცხოვრობენ და თავს ქართველებად მიიჩნევენ.

ჰაერი ძალიან წმინდაა და სალი, წყალი მშვენიერი! ყველა სოფელს აქეთ-იქით მხრიდან ჩამოუდის კამკამი მთიური წყაროები, რომელთაგანაც სდგება პატარა-პატარა ხევები. ეს მთები აძლევს წყალს თითქმის ერთ მესამედ ნაწილს სპარსეთის ქვეყნისას.

ზამთარი ძალიან ცივი იცის და ხანგრძლივი, ისეთი თოვლი მოდის, თურმე, ხშირად, რომ ბანიდან ბანზედ გადავდივართ, მეზობელთან მისვლა რო გვინდოდესო, მითხრეს აფუსელებმა. ამ დიდი ზამთრის შესახებ აფუსში გამოუთქვამს ხალხს შემდეგი ლექსი სპარსულს ენაზედ,

„ბადაზ ჰავთად,
ბარფ იაფთად;
ბაჰაყე ინ ფირ,
ბე ყადრ დე ინ თირ“[33]

მცენარეობა ბუნებითად არავითარი, როგორც მთელს ირანში, მთები გაშვლეპილებია და მინდვრად კი ხშირად შეჰხვდება კაცი ბალახს და ანუ მინდვრის ფერად-ფერად ყვავილებს. ცხოველები იგივეა, რაც დანარჩენ ირანში.

ამ ნაჰაიაში, რომელიც მე თითქმის მთლიანად დავიარე, სულ 14 სოფელია ქართველებისა. აი მათი სახელებიც: შაანათი, თოლერი, ბოინი, ტაშკესანა, აფუსი, ახჩა, შაიურდი, ჯალჯალი, სიბაქი, ჩულრუთი, ზემო მარტყოფი, ქვემო მარტყოფი, დეესური და ნინოწმინდა.

ზოგიერთ სოფლებს ორ-ორი სახელი ჰქვიან – ასრე მაგალითად: ზემო მარტყოფს ეძახიან კიდევ ახორა ბალა (ზემო), ქვემო მარტყოფს -ახორა ფაინ (ქვემო), თოლერს – დომბე-ქამარე და ნინოწმინდას – ქულუბანაქ. პირველ სახელებს ეძახიან თვითონ ქართველები და ერთმანეთში სხვა რამ სახელს არა ხმარობენ, ხოლო მეორე სახელებს ეძახიან სპარსელები ამ პირველ სახელებში მხოლოდ ნინოწმინდა ჰკარგავს თავის სახელს და ბევრ ქართველსაც კი ქულუბანაქი უფრო ემარჯვება, ვიდრე ნინოწმინდა და ხშირად ლაპარაკში ნინოწმინდის სახელს, თუ ქულუბანაქიც ზედვე არ დაურთე, ვერც კი გაიგებენ. დანარჩენი სახელები, როგორც თოლერი და მარტყოფი ძალიან მტკიცედ სწამთ და შეარჩენენ კიდეც ამ სახელებს სამუდამოდ.

აფუსს წინად ორი სხვა სახელი ჰრქმევია. ჯერ ყოფილა ამის ადგილს დეი (სოფელი) რუისპირი, შემდეგ დეი (სოფელი) რუსთავი, მაგრამ ნიშნად ამ სოფლების ოდესმე არსებობისა მხოლოდ ორი სახლის ნანგრევი-ღაა დარჩენილი შიგ სოფლის პირში. უწინ ის სოფლები დიდებიცა ყოფილა და, როგორც მოუთხრობენ დღესაც აფუსელები, ათას კომლამდე მცხოვრები ჰყოლია. დღეს კი განახლებულ სოფელს მიუღია სახელწოდება აფუსისა და მცხოვრებიც, სულ რომ ბევრი, 240-260 კომლზედ მეტი არ ეყოლება (179-189).

33. *)მათის გასულს მოვიდა ისეთი თოვლი, რომ ვფიცავ ჩემს მოხუცობას, მისაღლით (ასეა!) თითქმის სახლის ბანს უწიაო.

...

აი ჩვენის აზრით დახლოებითი რიცხვი მცხოვრებთა:

1) შაანათი, სადაც ნახევარი ქართველები არიან, ნახევარი თათრები. მარტო ქართველები ---------- 100 კომლი.
2) თოლერი ---------- 220 -
ვ) ბოინი ---------- 200 -
4) ტაშკესანა ---------- 100 -
5) აფუსი ---------- 260 -
6) ახჩა ---------- 160 -
7) შაიურდი ---------- I50 -
8) ჯაღჯაღი ---------- 1 00 -
9) რაბაქი[34] ---------- I40 -
10) ჩულრუთი ---------- 40 -
11) მარტყოფი ზემო ---------- 700 -
I2) მარტყოფი ქვემოი --------- I50 -
13) დეესური ---------- 60 -
14) ნინოწმინდა ---------- 80 -

ისე რომ, ჩვენის აზრით, ამ ერთ ადგილას, ფერეიდანში, გურჯი ნაჰაიაში, საიდანაც იყო, ბ-ნი ონიკაშვილი, სულ 2460 კომლია და სულად რომ ჩავაგდოთ 12-15 ათას სულამდე იქნება.

ყველა სოფლებში ერთნაირად ვერ არის დაცული ენა. ასე, მაგალითად, ახჩაში და აფუსში უხეიროდ ლაპარაკობენ და ახევარმა თითქმის აღარც კი იციან. შაანათში სპარსული ენაა, ქვემო მარტყოფში – სპარსული და ლორული, შაიურდში – თათრული (თურქული) და დეესურსა და ქულუბანაქში ანუ ნინოწმინდაში – ქურთული. დანარჩენ სოფლებში კარგა იციან და ზოგიერთში ხომ ჩინებულად ლაპარაკობენ (გვ.191-192).

...

ზოგი სოფელი კაი მოზრდილია და ძალიან ლამაზი სანახავი. ზემო მარტყოფი შიგ მთებშია ჩაჭედილი თავისის სიგრძით და ვიდრე ზედ არ წაადგეს კაცი, სახლებს ვერ შეამჩნევს, ისეა ხეებით დაბურული. აფუსი ერთი მთის კალთაზეა ისე სასიამოვნოდ შეფენილი, რომ კაცი თვალს ვერ მოაშორებს. ლამაზი სოფელია აგრედვე სიბაქი და ბოინ-თოლერი, რომლებსაც ჰყოფს რამდენიმე საჟენის სიგანე ხეობა და შორიდან ერთ სოფელსა ჰგვანან. ხალხი მისდევს იმასვე, რასაც მათი მოძმენი, ჩვენი სოფლის გლეხობა, ესე იგი, ხვნას, ბაღების შენებას და საქონლის მოვლას. ხელობა და ვაჭრობა ისევე იშვიათია იქაც, როგორც ჩვენში. ბაღოსნობა ვერ არის საიმისოდ წინ წასული, როგორც საზოგადოდ ყველა ამისთანა ადგილებში ირანის ზეგანისა, ამ მხრივ ზემო მარტყოფი სჯობია ყველა სხვა სოფლებს. აქვთ აქ ხეხილის ბალები და ვენახები,

34. კორექტურაა, უნდა იყოს სიბაქი (ავტ.)

ხოლო. რასაკვირველია, ღვინოს არ აყენებენ და ყურძნადა სჭამენ. უფრო უპირველესი ღონისძიება ამათი ცხოვრებისა არის ხვნა-თესვა და საქონელი. საქონელი ამათი ძალიან წვრილი მოდგმისაა, როგორც ჩვენში ლეკური საქონელი და აი ხსნება ერთის მხრივ იმითი, რომ ძალიან მაღალი მთიანი ქვეყანაა. თხა და ცხვარი კარგი ჰყავთ ისევე, როგორც საზოგადოდ მთელს ირანში მოჰყავთ მინდორში პური, ქერი, მუხუდო, ლობიო და იონჯა ლამაზი სანახავია ამათი მინდვრები, როცა შორიდან უყურებს კაცი. ისე ფერად-ფერადად არის აჭრელებული ერთმანეთში მწვანე ჯეჯილი პურისა, ოქროს ფრად შემოსული ქერი და წითელ თავთავ დასხმული იონჯა. იონჯა დიდძალი მოჰყავთ და რაც ქერისა და პურის ხოდაბუნები აქვთ, იმდენივე თითქმის მარტო იონჯის მინდვრები ექმნებათ.

მოჰყავთ აქ, ფერეიდანში აგრედვე ერთნაირი ხორბალი, რომელსაც „ფარინჯს" ეძახიან. სწორედ ხორბალივით მარცვალი აქვს, როგორც სიდიდითა და მოყვანილობით, აგრედვე ფერითაც. ჰხარშავენ ერბოთი მთლიან-მთლიან მარცვალს, როგორც ბრინჯს და ბევრით ფლავზედ უფრო გემრიელიცა დგება და ნოყიერიც. საპატიო საჭმელად არის ძალიან მიღებული სპარსეთში, და, როგორც დამარწმუნეს, ფერეიდანს იქით არსად მოდის მთელს სპარსეთშიო.

ხალხს ტიპი ქართველისა საკმარისად აქვს შენახული. ბევრი ისეთი წმინდა ქართველი სახის პატრონნი არიან, რომ გასაშტერებელია. ნამეტნავ ის სპარსული ქუდები და წამოსახამები რომ არ აუშნოვებდეთ. ჩააცვით რომელსაც გნებავთ ქალსა თუ კაცს ქართული ტანისამოსი და, დამერწმუნეთ, ეერ გამოარჩევთ აქაურ, ჩვენებურ გლეხობაში, როდესაც პირველად მეწვივნენ ქ. ისპაანში და მე ისინი ყოვლად სამღდელო ისაიასთან ავიყვანე სანახავად, ყოვლად სამდვდელო (ასეა!) გაკვირვებული შესცქეროდათ (ასეა!): ნეტა ესე კარგა როგორ შეინახეს ტიპი ამ შიგ შუაგულ სპარსეთში ამოდონა ხნის განმავლობაშიო. ნამეტნავ იმათში ერია ერთი ხანი ზემო მარტყოფიდან, ხოდარამი, რომელიც გარეგნობით, სახით თუ გულით, რომელიც მის თვალებში და სახეზედ აღიბეჭდებოდა, იმ ტანისამოსითაც კი, ნამდვილი, რომ იტყვიან, პირიდან წამოვარდნილი ქართველი იყო.

ტანის მოყვანილობა ისეთივე აქვთ, როგორც აქაურ ქართველობას: არიან დაბალნიც, მაღალნიც, შუა ტანისაც და მსუქანი და სქელი კი არავინ. ტანადობით შესანიშნავნი არიან შაანათის მცხოვრებნი, ყველა მათგანი სახოვანია და ზოგნი ხომ მდევის ნაგლეჯებსა ჰგვანან.

ქალთა სილამაზით უფრო ბოინი იხსენიება, თუმცა საზოგადოდაც არა უჭირთ-რა. რასაკვირველია, ამ ღირსებით უნდა აიხსნებოდეს, რომ ორიოდე წლის წინად თვით ზილისულთანს მოწიწებით წაუყვანია ზემო მარტყოფიდან ერთი უბრალო ქართველის ახუნდის ქალი თავისი შვილის საცოლოდ.

სცხოვრობენ ძალიან ღარიბად, გარდა რამდენიმე სოფლისა და მიზეზი ამისი აი რა არის:

სპარსეთში ერთი ჩვეულება აქვთ. ყოველივე სამსახური, ყოველივე თანამდებობა, ყოველივე საქმე, კერძო იყოს იგი თუ სახელმწიფო, სულ საიჯარადრო ნიადაგ-

ზეა დამყარებული. მაგალითად, თქვენ გინდათ გუბერნატორი გახდეთ ანუ ფოსტის მეუფროსე ანუ სხვა რამ, უნდა შეაგროვოთ საკმარისი ფული და დაუწყოთ ვაჭრობა მთავრობას. ვთქვათ მთავრობა მოგრიგდათ ერთ ან ორ მილიონ ყრანად, თქვენ დაუყოვნებლივ უნდა წარმოადგინოთ ეს ფული და შეიქმნებით იმ საქმის მეუფროსე. სხვა არავითარი საქმე აღარა აქვს-რა თქვენთან მთავრობას, როგორცა გნებავთ ისე დაიბრუნეთ ეგ თქვენი ფული, როგორცა გნებავთ, ისეთი გააწერეთ ხალხს ხარკი, როგორცა გნებავთ, ისე გაეცით თქვენს ხელ-ქვეითებზედ იჯარით თქვენი საბრძანებელის ნაწილები და უბნები. აი ეს არის სისტემა და მთელი ფილოსოფია სპარსეთისა, რომლითაც იგი განაგებს დღეს მთელ სახელმწიფოს და ეს არის იმისი მიზეზიც, რომ დღეს ქართველები ესე უმოწყალეო ღარიბები არიან. სადაც კი მიველ, ყველგან პირველი საჩივარი იმათი ის იყო, რომ ჰოქემები (მოურავნი, გამგებელნი) გვაწუხებენ, ერთი სულის მეტი აღარა დაგვრჩომია-რა პირში და ლაძის არის, ესეც ამოგვახდინონო. მაგრამ ამ უბედურობაში ერთი დანაშაული თვით ქართველებსაც მიუძღვით.

როდესაც იგინი შაჰაბაზს აქ დაუსახლებია, ალბად, რაიმე ფირმანსაც გამოსცემდა მათ შესახებ, თორემ ესრე რომ არა ყოფილიყო, იმ თავით დღემდე სულ ამისთანა შეწუხებაში იქმნებოდნენ. „ამ შაჰის ტახტზედ ასელამდის კარგა, მშვიდობიანად ვცხოვრობდითო ჩვენთვის, არავინ გვაწუხებდაო და ეხლა კი ლამის კეფიდან ტვინი ამოგვწოვონო“, მეუბნებოდნენ აფუსელები. სჩანს, აქამდე რომ თავისუფლად ყოფილან, რაიმე უწინდელი ბრძანების ძალით იქმნებოდნენ. ხოლო რა იქმნა ეხლა ეს ბრძანება, ვინ გადაელობა, არ იციან, ჰქონდათ თვითონ ხელში და დაკარგეს, თუ სადმე წინაშე მეფეთა ინახებოდა და, როდესაც საჭიროებამ მოითხოვა, გააუქმეს მათ დაუკითხავად, ეს ეხლა, რასაკვირველია, ძნელი გამოსაცნობია. ერთის სიტყვით, ასე იყო. თუ ისე, დღეს მიდის იმათ სოფლებში ჰოქემი და, უკეთუ დღემდე სოფელს 10 თუმანი ჰქონდა გადასახადი, ეუბნება: დღეიდან სახელმწიფო გადასახადი ასი (100) თუმანი უნდა წარმოადგინოთ. შემოიტანთ – კარგია, არა და – აიყარენით აქედანაო. რა ქმნას მაშინ გლეხმა კაცმა და ისიც ისეთმა გლეხმა, როგორებიც არიან ყველგან და ყოველთვის ქართველები?

ამ გარემოებისა გამო შესდგომია იქაური ქართველობა მამულების ხაზინიდან გამოყიდვის საქმეს. ვიდრე ჯერ მე ისევ ისპაანში ვიყავ, ზემო მარტყოფელებმა გაათავეს ყველაზედ უპირველესად ეს საქმე. მერე გამოიყიდეს მამულები ბოინმა და თოლერმა და ეხლა, როდესაც მე ფერეიდანში ვიყავ, სიბაქისა, ტაშკესანისა და აფუსის მამასახლისები წავიდნენ ისპაანში ამ საქმის დასაბოლოვებლად. ასრევე ფიქრობენ ყველა სხვა სოფლებიც, მაგრამ როგორ დაბოლოვდება ეს მათი საქმეები, არავინ უწყის, წინადვე გადაჭრით თქმა იქაური რამ საქმისა ყოვლად შეუძლებელია.

ჩვეულებანი, რომლითაც იგინი უნდა განსხვავდებოდნენ დანარჩენ სპარსელთაგან, ძლიერ მცირედი რამლა აქვთ შერჩენილი. სახლებს იშენებენ ისე, როგორც ქართლში იციან, ხოლო იმ განსხვავებით, რომ იმათი სახლი მიწის ზევითა სდგას, მაღლა. ძალიან ხშირად შეჰხვდება აგრეთვე კაცი უწინდელ ჩვენებურ დარბაზებს რამდენიმე სვეტით:

ოთხით, ექვსით, თორე რვა სეეტითაც. მთელს ირანში, გარდა ამათი, არავინ იშენებს ასეთ სახლებს. ეხლა სახლი, მართალია, სპარსელებმაც ბანიანი იციან, მაგრამ ამათი სახლის ბანი რამდენიმე გუმბათს წარმოადგენს და ქართველებისა კი ყოველთვის ბრტყელი ბანიანია და შიგ შუა ადგილას, როგორც ვთქვით, სანათური ატანია. ეხლა ბევრგან მიუყვიათ ამათის წაბაძვით ხელი ასეთი სახლების შენებისათვის და სახელსაც „გურჯი ფუშს“ (ქართულად დახურულს) ეძახიან.

აქვთ ამათ აგრეთვე ქართული, ნამდვილი ჩვენებური ურემი. აქვთ აგრეთვე ზოგიერთ იმათ მეზობლებსაც, იქაურ სომხებს. ურემი ამათი საკმარისად დიდია ჩვენებურ საძნე ურემზედ და შეყენებული აქვს თავისი შესაფერი გორგოლები, მაგრამ ისეთი მაღლები კი არა, როგორც ეს იციან თათრულის ცხენის ურმებისათვის. ამ ურმებს მარტო მძიმე საქმეებში ხმარობენ და ადვილი საქმეებისათვის კი ამათაც ვირები იციან. ეს ხალხი შიგ მთის წვერებში სცხოვრობენ, ამათი ადგილი ძალიან ბევრად ნაკლები ვაკეა, ვიდრე ქაშაანიდან[35] მოყოლებული ყაზვინამდე, სრული 460 ვერსის სიგძეზედ, მაგრამ მით მაინც ამათ მეტი არავინა ხმარობს ურემს მთელს სპარსეთში.

დღემდე თავის ქალებს აქაური ქართველობა არ აძლევდა სხვა ტომის ხალხს და არც თითონ მოჰყავდათ ცოლებად სხვათა ქალები. დღეს კი ამ ჩვეულებას რამდენიმე სოფელი-ღა ადგა. დანარჩენებს ცოტ-ცოტაობით დაურღვევიათ ეს ჩვეულობა და ეს არის სწორედ იმისი მიზეზიც, რომ იმ სოფლებში, როგორც ზევით მოვიხსენეთ, ენაც კი დაჰვიწყებიათ. თითქმის ყველა იმისთანა სოფლებში სადაც ქართული აღარ იციან, ხალხი არეულია, რადგან ყველაზედ ადრე იმათ დაუწყიათ არაქართველთათვის ქალების ძლევა.

საკვირველია, რომ სპარსეთში, სადაც საზოგადოდ გვარები (თაიფები) არ არის ხმარებაში და სადაც კაცი იცნობება მხოლოდ თავისი საკუთარი სახელით, ქართველებს წმინდად შეუნახავთ თავის გვარები. გვარები წმინდა ქართულია და ყოველი მათგანი დღემდე ისევა სცოცხლობს საქართველოში.

ერთმა ახალგაზდა ყმაწვილმა მითხრა აფუსში, როდესაც შეეტყო ჩემი გვარი, რომ თქვენ ჩემი ნათესავი ჰყოფილხართო. როგორა-მეთქი-და—მეც აღიანთი ვარო. ეგ სხვა გვარია, მაგ გვარის ხალხიც ბევრი გვყავს საქართველოში, თავადებიც არიან-მეთქი. მაგრამ იმან მიპასუხა, არ მინდა არც თავადები, არც სხვები, მე მინდა შენი ნათესავი გაგხდე და ჩემს გვარში დღეიდან „ნარსაც“ ჩავუმატებო. ჩვენ ყველამ გავიცინეთ და მე ვუთხარ, რომ დიდად სასიამოვნო იქნება, თუ ეგ სპარსული „თააროფი“ ქათინაური“[36] არ იყო და გულის წმინდით ამბობთ-მეთქი.

აი იქაური გვარები, რაც კი შევკრიბე: აღიაანი, ბათუაანი, ბასილაანი, ბურციაანი, გორბინაანი, გუგუნაანი, გულიაანი, დარისპანაანი, ელარზაანი, ვარდიაანი, ზეკოკიაანი, თამაზაინი, თარვერდაანი, ლაჩინაანი, ლობიტაანი (იოსებაანი), მათიაანი, მამუკაანი, მარტიაანი,.ონიკაანი, სამადაანი, სეფიაანი, სულიკაანი, ფოცხვერაანი, ქევსიაანი,

35. ქ. ქაშანი

36. წიგნში, სქოლიოში გატანილია განმარტება: *) კომპლიმენტი

ქურდაანი, შოშიაანი, ხადიკოიაანი, ხატიკაანი, ხუციცაანი. აქვთ აგრეთვე ახალი გვარებიც, სულ სამი შემხვდა ამისთანა, შეითანიანნი – ქურდაანთ გვარის განაყოფნი არიან, ასლანიანნი – ალიანთ გვარის განაყოფნი და ისჰაანიანნი.

ხმარობენ გვარებს იშვიათად ვიღრე ჩვენში და ხმარება ისრევე იციან, როგორც ჩვენმა გლეხებმა. მაგალითად: ალი მირზა ხანი ხუციცაანთი, ხოდარამ ხანი ონიკაანთი, ასადოლლა ქურდიაანთი, მაჰმუდ სულიკაანთი და სხვა.

შეჰრჩომიათ აგრეთვე ორი ჩვეულობა, მათის ქრისტიანობის დროიდან, თუმცა დღეს მათ სრულიად აღარ ესმით მათი წინანდელი მნიშვნელობა და ასრულებენ ისე, როგორც ერთ რამ უბრალო ჩვეულობას. ერთი არის ის, რომ, როდესაც ცომის ზელას მორჩებიან, ზედ ჯვარედინად დაჰკრავენ ხელს. ეს ჩვეულობა მე თვითონ არ მინახავს. ნაამბობი მქონდა ზოგიერთ სომეხთაგან და როდესაც დავეკითხე თვით ქართველებს თოლერსა და მარტყოფში, იმათაც კერი დამიკრეს – მართალია, ეხლაც ესე ვიცითო.

მეორე ჩვეულობა არის სულთმოფენობა. ეს ისეთს დღეს მოდის, როდესაც მთელს სპარსეთში არავითარი დღესასწაული და სამხიარულო დღე არ არის. მაგრამ ესენი და ბევრი სხვა ფერეიდანელნიც იყრებიან იმ დღეს ქართველებთან ერთად, ირთვებიან სრულიად ახალის ტანისამოსით და გადიან მინდორ-მთებში სალხინოდ, დროს გასატარებლად. ჰკრეფენ ყვავილებს და მთელი დღე სახლში არავინ შემოდის. ვერ მივუსწარ მე ამ დღესასწაულს, თუმცა იმათ სწორედ ამ დღისათვის დამპატიჟეს. საშინლად აქებს ყველა ამ დღესასწაულს, არა თუ ქართველები, არამედ სომხები და სპარსელებიც, ვინც კი ოდესმე დასწრებია ამ ამბავს და ვისაც თავისის თვალით არ უნახავს, არც ის აქებს სხვებზედ ნაკლებად, რადგან მუდამ ჰსმენია მნახავთაგან ქება და აღტაცება. ამ დღესასწაულს, როგორც მახსოვს, ყვავილების დღეს ეძახიან.

სხვა რამ ქართველური, გარდა ამ ზემორე აღნიშნული საგნებისა, არა შემიმჩნევია-რა, ჩემს იქ მოკლე ხნის მყოფობაში. სჯული მაჰმადისა აქვთ და ყველანი შიიტები არიან. სჯულის სიმტკიცეში მათ გადაუჭარბებიათ თვით სპარსელებისათვისაც. ძალიან მკაცრი მორწმუნენი არიან მაჰმადისა. ჰყავთ თავისი მოლები და ახუნდები, რომლებიც გულითა და სულით ჩინებული ქართველები არიან და ძალიან კარგადაცა ლაპარაკობენ ქართულად. ჰყავთ თავისი დარვიშები და „თაზიეს" მთქმელნი. მე ვნახე ამ „თაზიეს" მთქმელი ქართველები ქ. ხუნსარში და, როგორც თვით სპარსელებმა დამარწმუნეს, ერთი მათგანი, ახალგაზდა ბიჭი, რომელიც ალიაქბერის როლს თამაშობს, განთქმულია თითქმის მთელ სპარსეთშიო. სულ 18-19 წლისა არის, ჰყავს ცოლი და ორი შვილი, შესანიშნავი ლამაზია, წმინდა ქართული სახისა.

ტანისამოსი ქალსა და კაცს მთლად სპარსული აქვთ, მხოლოდ ახალოხი ბევრად მოკლე იციან სპარსელებზედ, უფრო ჩვენებურსავით.

სახელები აგრეთვე ყველას სპარსული სახელები აქვთ. ვიკითხე სახელები მარტყოფში, ბოინში და თოლერში და არც ერთი ქართული სახელი არ შემხვედრია. აი ნიმუშად რამდენიმე სახელები ქალებისა და კაცებისა, რომლებიც მე ბოინში ჩავიწერე: იადოლლა, ასადოლლა, ეინოლლა, ჰაფასულლა, ურუჯალა, რომყია, თააჰარა, აბელინ, ებრაჰამ (აბრამ), ჰალიმა, ფერია, მინავარა, გულია, ლეილა, ბანაშა, ზოჰრა, ხალნანა,

შატასან, ნანაჯან, ალაჯან, აყოლია, მაბაბან, მუშაჯარ, ზარბანუ, მესკინა, ქორსუმ, სოლრა, ფათმანისა, შარაფა, მასმან, თურატ.

ჭამა-სმა. ჭირი თუ ლხინი, მამულების მოვლა თუ საქონლის შენახვა ყოველისფერი სპარსული აქვთ და თუ რაიმე განსხვავებაა, ისე მცირედი, რომ სათქმელად არა ღირს.

არც თუ საჭიროა, რომ ძალიან გამოვეკიდნეთ იმისთანა წვრილმან საგნებს, სულ ერთია, მარჯვენა ხელით იღებენ წყალს დასალევად თუ მარცხენათი? იპარსავენ თმას და იკვეცენ ულვაშებს (მართალია, ქართველები ულვაშს არ იკრეჭენ) თუ არა? საკმარისია სრულიად მარტო ის სამი ელემენტი, რომელიც მათ დღემდე მათ ძალიან კარგადა აქვთ დაცული.

პირველი მათგანი არის ენა. ჩინებულად ლაპარაკობენ ნამეტნავ რამდენიმე სოფელში. როგორც წუნი არ დეედვის ჩვენ-მიერ ქართულ ლაპარაკს ხევსურისას, ქიზიყელი გლეხისა ანუ რომელიმე ტეტია სოფლელისას ქართლ-კახეთის კუთხე-კუნჭულებიდან, აგრედვე წუნს ვერ დავდებთ იქაური ქართველების ლაპარაკს. აქცენტი მათი ლაპარაკში სწორედ ისეთივეა, როგორც ჩვენებური სოფლელი გლეხისა ნამეტნავ ქიზიყელისა და ხევსურისა (ფშავისა). და საკვირველი ის არის, რომ ეს აქცენტი მარტო ქართულ ლაპარაკში აქვთ ესეთი.

მეორე ელემენტი არის ის, რომ ყოველი მათგანი, დიდი თუ პატარა, ქალი თუ კაცი, ბავშვი თუ მხცოვანი, ალიარებს თავის თავს წმინდა ქართველად. ვერავინ გაუბედავს მათ სხვაფრივ მოხსენებას, თუ არ გურჯი. მას ესმის, რომ ის გურჯია და ესმის სრულის შეგნებით. ესმის და თავი მოსწონს ამითი. პირველი ქართველი მას ჯერ თავისი თავი ჰგონია და მერე სხვები. ჩვენ შეგვიძლიან უფრო შორს წავიდეთ ამ შემთხვევაში და ვთქვათ, რომ მას არამც თუ არ დაუკარგავს დღევანდლამდე თავისი ნაციონალური სიამაყე და მედიდურობა, არამედ ნამდვილი პატრიოტული გრძნობაც შეჰრჩენია.

მესამე ელემენტი არის ტიპი და ზნე: კეთილი და სათნოიანი, სტუმართ მოყვარე, პატიოსანი. თავ-მოყვარე, მამაცი, გამბედავი, შემბრალებელი (ლმობიერი) და პირში მთქმელი. გასაკვირველია, რომ ამ სპარსეთის ქვეყანაში, სადაც ამოდონა ჭირი და მწუხარება გამოუვლიათ, სადაც სრულიად უძლურნი და უღონონი ესე უპატრონოდ ღვთის ანაბარობაზედ იყვენენ მიტოვებული ამ სამასი წლის განმავლობაში, მათ სპარსული ფლიდობა და პირფერობა არ შეუთვისებიათ. აქ, სადაც ეს საზიზღარი თვისებანი ესე გადმდებ სენსავით არის მოდებული, როგორც სპარსთა, აგრედვე სხვა ერთა შორისაც, აქ ქართველი იგივე გულ-ახდილია, ჭირში მთქმელი და გულუბრყვილო. ის არ ადგას არც აქ გამორჩომის გზას და ისრეთივე უანგაროა, როგორც მის მომძე ქართველი გლეხი, მის ძველს სამშობლოში, მის საქართველოში მცხოვრები.

არავითარი ქართული წარწერა სასაფლაოზედ, არავითარი წიგნი დაწერილი ქართულს ენაზედ ქართული ასოს მოხატულობით არ შემხვედრია. შეიძლება ეს იმითი აიხსნებოდეს, რომ, რადგან საშინელი მკაცრი მაჰმადიანნი შექმნილან, თვითვე შეემუსროთ იმ პირველ ხანებში ყოველივე იმისთანა ძეგლი თუ სახსოვარი, რაც კი მათ ძველს რჯულს მოაგონებდა. თუმცა საფიქრებელია ამასთანავე, რომ შეიძლება

ჰქონდეთ კიდეც ზოგიერთი რამ – და ჩემთან კი არ გამოეჩინოთ, რადგან იმ ცოტა ხნის მყოფობაში, რაც უნდა ძალიან ყვარებოდი და პატივისმცემელნი ყოფილყვნენ, ჯერ კიდევ გულსა და სულს ისე ვერ გამისწორებდნენ, რომ მე ის სრული მათი ნდობა ჯერ კიდევ არა მქონდა მოპოებული, მე შემდეგის გარემოებიდან დავრწმუნდი: როცა რომელიმე სოფელში მივიდოდი, ასობითა და ორასობით დედაკაცები დამეხვეოდნენ ხოლმე და მათი გამოკითხვა და ლაპარაკი საქმეს მიჭირებდა, მაგრამ როგორც კი ვეტყოდი, უნდა თქვენი სურათი გადავიღო-მეთქი, აღარავინ მეკარებოდა და თუ მნახავდნენ, რომ აპარატს გამოვიტანდი და მე ჩემსას არ ვიშლიდი – სულ წანაჯოგად იკარგებოდნენ. ისრე შემოვიარე მთელი ფერეიდანი, რომ ვერც ერთი დედაკაცის სურათი ვერ გადავიღე.

სამასი წელიწადია ძალმომრეობით აყრილნი არიან თავისი მიწა-წყლიდან და მოშორებულნი თავის თანა მოძმეებს, დანატრულებულნი თავის საყვარელი სამშობლოს ხილვას. სამასი წელიწადია ჩასახლებულნი არიან უცხო მხარეს, უცხო ქვეყანაში, ობლად, ობრად, უპატრონოდ მიტოვებულნი. სამასი წელიწადია ჯოჯოხეთის ცეცხლში ყრიან და ტანჯვითა და ვაებით ატარებენ თავის უსიხარულო წუთი-სოფელს მხოლოდ იმისთვის, რომ იგინი ქართველნი არიან. მაგრამ ისინიც აღჭურვილან სამასის წლის მოთმინებითა და უყველდრულად იტანენ ყოველივე ჭირსა და ბოროტს, დაბრიყვებას და თავგასულობას თავის ძალმომრეთაგან, რომ ეგების ოდესმე კვლავ ელირსოთ მათ თავისი საყვარელი სამშობლოს მიერ მშობლური, საშველად გაწვდილი, ხელის ხილვა და თავის მოძმეთა შორის ტკბილი, ალერსიანი სიტყვის გაგება ამისათვის, როდესაც მე იქ მოველ და მნახეს, საზღვარი არა ჰქონდა იმათ სიამოვნებას, დაფეთდნენ მეტის სიხარულით. მთელი იმ სოფლის კაცი და ქალი ზედ მეხვეოდა ყველას უნდოდა დავენახე და გავესინჯე; ყველას უნდოდა გაეგო ჩემი ხმა, ჩემი ლაპარაკი. ყველას უნდოდა დაეთვალიერებინა ჩემი ხელის ალებ-დაღება, ფეხის გადადგმა, პირის გდება ყველას უნდოდა დაელაპარაკებოდა. ეკითხნა რამე. ღღესაც ყურებში მიბჟუის იმათი კითხვები. იქაც მოდის ტყემალი? რა გქვიან შენ სახელი? შენ ძმაო რალა გქვიან? გაქეთ იქაც ჩვენისთანა წყლები? რა სახელები ჰქვიანთ თქვენს ქალებს? მოგყავთ კაკალი? იციან იქაც ვენახები? ცივა იქ თუ ცხელა? გვარებიცა გაქვთ თუ არა? ჰხმარობთ თუ არა ურემს? იცის იქაც თოვლი თუ არა? აძლევთ ქალებს რუსსა და სომეხს? გყავთ იქაც კატა, ძაღლი, ძროხა, ცხვარი, ვირი? და სხვა-დასხვა – მრავალი. ერთის სიტყვით, იმათ ყოველისფერი ეინტერესებოდათ, ყოველისფერი უნდოდათ გაეგოთ.

პირველად მე ვფიქრობდი შემეტყო მათი აწინდელი გარემოებანი და შემეკრიბა ყოველი ძველი ცნობა, რაც კი დღემდე მათ შორის დარჩომილა და შენახულა, მაგრამ, როდესაც საქმე ესე ვნახე, გავანებე თავი იმ ჩემ პირველ განზრახვას და ვცდილობდი, რაც კი შეიძლებოდა, შემეტყობინებინა მათთვის მათი თანა მოძმეთა ამბები და მათი თავგადასავალი, რომ უფრო გამემხნევებინა და უფრო მტკიცედ დამენერგა მათს გულში ეროვნული სიამაყე და სიყვარული მათი სატრფო სამშობლოსადმი. ამის გამო მე ველარ მოვახერხე შემეკრიბნა მათი ზეპირსიტყვაობითი გარდმოცემანი ანუ, თუ რაიმე ჰქონდათ, ისტორიული თქმულებანი.

თავიანთ გადმოსახლებაზედ არა ახსოვთ-რა; ისინი პირიქით მე მეკითხებოდნენ, თუ რადა და რისთვისა ვართ ჩვენს ქვეყანას მოწყვეტილნიო. უკეთუ მე დავასწრობდი ვისმეს ამის კითხვას, მეტყოდა მხოლოდ ამას: ამბობენ, შაჰაბაზისაგანა ვართ გადმოსახლებულნიო და სხვა არაფერს.

ამ გადმოსახლების შესახებ მქონია მე ერთხელ ლაპარაკი ერთ ინტელიგენტ სომეხ ყმაწვილთან, იმან გადმომილო თავრიზელი არაქელ არხიმანდრიტის ისტორია და მითხრა: I, III და XXXI თავებში სწერს ამაზედ, ეს დრო ყოფილა 1586 წელიწადი, როდესაც ქართლში მჯდარა სვიმონ მეფე და კახეთში ალექსანდრეო. „ამ დროს აქა ყოფილან, მოგვითხრობს ისტორიკოსი, ალექსანდრეს შვილი კოსტანტინე და სვიმონის შვილები ქალი და ვაჟი. ამ დროს გადმოსულან სომხები და ამავე დროს ქართველები და ამაზედ წინ – შაჰაბაზის დროსაცაო". მე ეს ფაქტი არ მიმაჩნია სარწმუნოდ! ისრევე, როგორც არ არის, ჩემის აზრით, დასაჯერებელი არავითარი ცნობა საზოგადოდ, რაც კი რამ სომეხთა მიერ არი აღნიშნული ქართველების შეასახებ (ასეა!). შესაძლებელია, რომ რაც სომხებზედა აქვს, მართალი იყოს, რადგან სომხებს უყვართ ამგვარი გადასახლება ერთი ქვეყნიდან მეორეში. სადაც უფრო მეტ სარგებლობას და გამორჩომას გამოელოდდა, სომეხი იქ მიესწრაფოდა, მაგრამ, რომ ქართველი ნებით თვისით აყრილიყოს და გადასახლებულიყოს, ამისთანა მაგალითი თუ არა ვცდებით, ქართველთა ცხოვრებაში და ისტორიაში არც კი მოიპოვება ქართველი კაცი მიჯაჭვულია თავის მიწა-წყალს და სულ რომ ოქრო-ვერცხლი დაუფინონ, ის მით თავის ქვეყანაში რჩეობს პირსა და მწუხარებას სხვის ქვეყნის ლხინსა და ნეტარებასთან შეიძლებოდა თითო-ოროლა კაცი წასულიყო, მაგრამ მრავალთა აყრა და წასვლა ნებით თვისით, როგორც იწერება, – „მოსულანო" – სრულიად დაუჯერებელ საქმედ მიგვაჩნია. ვერ მივიჩნევთ იმ, ყოვლად პატივცემულ არაქელ ისტორიკოსის-მიერ აღნიშნულ ცნობას მით უმეტეს, რომ იგი ბრძანებს: „და ამაზედ წინ – შაჰაბაზის დროსაც" გადმოსულან ქართველებიო, რომელი იყო ეს ამაზედ წინ შაჰაბაზის დრო? შაჰაბაზი გამეფდა სწორედ ამ წელიწადს და „დრო შაჰაბაზისა" იწყობა იმ 1586 წლიდან და, მაშასადამე, არც შეიძლებოდა, რომ ამაზედ წინა დრო „დროდ შაჰაბაზისად" მოეხსენებინა.

იციან იმათ ნამდვილად მხოლოდ ის, რომ პირველ ხანებში ისინი იქ, სპარსეთშიაც ქრისტიანები ყოფილან. დღესაც მოუთხრობენ იქაური ქართველები, რომ ხუციცაანთ გვარში ჰყოლიათ ერთი „ხუცი"[37] (ხუციცა), და ამ სიტყვიდან წარმოსდგება თვით გვარიცაო, ახსოვთ აგრედვე, რომ ყოფილა ერთს დროს მღვდელი „მათია" (მათე), რომლის სახელიდანაც გაკეთებულა შემდეგში გვარი მათიაანი. არის აგრედვე, შაურდის გვერდზედ ერთი ადგილი, რომელსაც სპარსნი „ყარაქეშიშს" (შავი მღვდელი) ეძახიან და აი რას მოუთხრობენ ამ ადგილის შესახებ ყველა იქაური ქართველები და აგრედვე სპარსელებიც.

37. *) ასე ეძახიან მღვდელს.

ჰყოლიათ ქართველებს ერთი შავი მღვდელი, რომელსაც სპარსეთიდან საქართველოში გამოპარვა მოუწადინებია". როდესაც ეს სპარსელებს შეუტყვიათ, დასდევნებიან და იქ, შაიურდის ახლო დაუჭერიათ. უკითხავთ, აქ რას აკეთებდი, რა გინდოდა? იმას უპასუხნია, – არაფერს, ღორებს მოვდევდი დასაჭერადაო და მას აქეთ თვით იმ ადგილისათვისაც „ყარაქეშიში" დაურქმევიათ.

თვით ამ ღორების დევნა და ღორების ხორცის ჭამა ამტკიცებს, რომ ადრევ ისინი ქრისტიანები ყოფილან. დღესაც ყმაწვილსაც რო ჰკითხო, ისიც გეტყვის, რომ უწინ ამ მთებში მათ ღორებზედ სანადიროდ უვლიათ, ღორის ხორცი ძალიანა ჰყვარებიათ. იმასაც კი უმატებენ ზოგიერთნი, რომ ჩვენ უწინ ნეჯეფაბადში ვყოფილვართ დასახლებული, ხოლო, რადგან ამ მთებში დიდძალი გარეული ღორი სცოდნია, ჩვენ ამ ღორებს გამოვყოლიეართ ცოტ-ცოტაობით, გამოვშლილვართ ამ მთებში და სოფლები აგვიშენებიაო. მაგრამ, ჩვენის აზრით, ეს მიზეზი უბრალო შედეგია უხეირო ოცნებისა. მიზეზი მათის დასახლებისა ამ მთებში და თვით ნეჯეფაბადშიაც, რამოდენადაც მე დავაკვირდი იქაურობას, სრულიად სხვა არის.

ეს მთები, ეს უღელ-ტეხილი ერთად-ერთი გზა არის ლორეთიდან (ლორისტანი) ისპაანისაკენ, რომელიც დიდებული ტახტის ქალაქი იყო დიდებული ყეინებისა. ლორეთი, როგორც ვიცით, ბუდეა ერთის მხრივ რაინდი და გმირული ხალხის ბახტიარებისა და მეორე მხრივ, წუწკი, ზნეობა-დაცემული მეკობრული ხალხის, ლორებისა, ბახტიართაგან მუდამ ძრწოლვა და შიში ჰქონდა სპარსეთს, როგორც თავისუფლების მოყვარე და თანაც შეუპოვარ მეომარი ხალხისაგან; ხოლო ლორთაგან – მუდმივი შეწუხება და უბრალო უსიამოვნებანი. ამისათვის საჭირო იყო ჭირში მიეცა მათთვის და კრიჭაში ჩაეყენებინა სწორედ ისეთივე მძლავრი და გულადი ხალხი, როგორებიც იყვნენ თვით ბახტიარნი და ლორნი; საჭირო იყო კარის შებმა ამ უღელტეხილისათვის, რომ საიმედოდ დეეკეტნა ის ერთად-ერთი მარჯვე გზა იმ დროს დედა ქალაქის, ისპაანისაკენ მიმავალი. სწორედ ამითი უნდა აიხსნებოდეს, რომ შაჰბაზმა (ასეა!) აქ ჩაასახლა ესე დიდძალი ქართველობა. აქ ყოფილა, როგორც დღესაც სჩანს, ოც და ათი მეტი სოფელი ქართველებისა ერთად, ერთ ადგილს მოჯგუფული, თითქოს შაჰბაზს ჰსურდა მათთვის ახალი რამ სამშობლო გაეკეთებინაო. არაოდეს კი არ ყოფილა, რომ რამდენიმე სოფელი უცხო ხალხისა, როდესაც მათი გაწყვეტა და აღმოფხვრა სდომნებოდეთ, ესე ჯგუფად ერთს ადგილს დაესახლებინოთ. ერთს სოფელს ან ერთ უბანს რომ ჰამადანთან ჩაასახლებდნენ, მეორეს – ქირმანთან, მესამეს – შირაზთან, მეოთხეს – თეირანთან, მეხუთეს-გილანში ან მაზანდარანში, მეექვსეს – ხორასანში.

ახირებულად მოუთხრობენ ისინი ამბავს თავის გამაჰმადიანებისას. აფუსში ვიყავ ჩამომხდარი ერთ შუა ხნის კაცთან, ქერბალაი ალი მირზა მამუკაანთან (მამუკაშვილთან), რომელმაც მიამბო ამ საგნის შესახებ შემდეგი.

ყოფილან ორნი ძმანი, ასლანი და გორგინი. ასლანს დაუწყვია ყორანის სწავლა და ძალიან კარგადაც შეუსწავლია. ეს საქმე არ მოსწონებიათ იმის ნათესავებს და საზოგადოდ ყველა ქართველებს, მაგრამ ასლანს, მიუხედავად ამისა, სწავლა ყორანისა ჭეშმარიტად ალუარებია და მუსულმანობაც მიუღია. მაშინ იმის ძმას,

გორგინს გადაუწყვეტია, რომ, რადგან ესეა, მე ჩემი ძმა ასლანი ჩემის ხელით უნდა მოვკლაო. ერთხელ გორგინი სანადიროდ მომზადებულა, გაუტყუებია თან თავისი ძმა, ასლანი, წაუყვანია დიდი ამალა და წასულან.. მთებს რომ კარგა გადასცდენიან, მიჰბრუნებია გორგინი თავის ძმას და უთქვამს: „რად მიიღე მაჰმადის სჯული, ეხლავე უარი უნდა განაცხადოვ; თუ მოუბრუნდები ისევ ჩვენს სჯულს – ხომ რა კარგი, თუ არა-და, ეხლავ აქვე ჩემის ხელით უნდა მოგაკვდინოვო!“ ასლანი მარტო ყოფილა, უნახავს – ძალით ამათთან ვერას გახდებოდა და მოუწოდებია მეშველად თავისი ღმერთი: ღმერთო დიდებულო: შენ მოუელინე ამათ სასწაულთ-მოქმედება შენი, რომ ალიარონ ამათაც ღმერთი ჭეშმარიტი და მოიქცნენ სწორე გზაზედ“, და იმავე წამს იმათ თვალწინ გაჩენილა უჩინარად ერთი ხონჩა, სავსე ყოველის სანოვაგით. ხალხი და თვით იმისი ძმა გორგინი დიდად გაოცებულან. ამ სასწაულთ მოქმედებაზედ. მოსხდომიან მერე გარეშემო ამ ხონჩას და დროება გაუტარებიათ. როდესაც უკან დაბრუნებულან და უამბნიათ ეს შემთხვევა ხალხისათვის, მთელ ქართველ ობას მაჰმადის სჯული უწამებია. ასლანს კი ხონჩა დაუმალავს თავის სახლში და მერე თავის კედელში დაუტანებია. ამისათვის არისო, ამბობენ აფუსელები,რომ ასლანის ოჯახში ყოველთვის ოღური (დვრიტა) ტრიალებსო (გვ. 192-207).

...

მათი ზეპირ-სიტყვაობითი გარდმოცემიდან ერთი ლექსის მეტი არა გამიგონია-რა. ეს მითხრა ერთმა მოხუცებულმა კაცმა თოლერში. მომყავს სიტყვა-სიტყვით, სრულიად უცვლელად:

„ქალათა გეცო ჯელზეგა[38],
მიხვიდოდი კალოზეგა,
მამალი ჩახტა ფილჩიგა,
არ ინა[39] წავიდა ძილშიგა.

---

38. *)ხმარობენ გამოთქმაში ზოგიერთ სიტყვებში მაგარ „ჯ“, რომლის მაგიერად ახლად შემოღებულია ჩვენში ყველგან „ხ“. დღესაც მთელს კახეთში და ნამეტნავ ქიზიყში ამბობენ: ჯელი, ჯარი, ჯელადა, საჯრე“ და სხვანი, მაგრამ რასაკვირველია, ეს ხმა ძალიან უხეირო გამოსათქმელია, შიგ ყელში და ცოტა აუშნოებს ლაპარაკს. „ჯელზეგა“ – არის იგივე ჩვენებური „ხელზედა“, როგორც „ფილშიგა, ძილშიგა“ – არის იგივე დღევანდელი ჩვენი შემოკლებული სიტყვა ფილში, ძილში. ში, შიგ, შიგან ერთი და იგივეა. უპირველესი მისი ფორმა არის შიგან, რომლისაც პირველი შემოკლება „შიგ“ დღევანდლამდე შერჩენიათ. ჩვენ კი უფრო წინ წავიწიეთ. ჩვენი ენა ამ ხნის განმავლობაში და უფრო ხშირად ვხმარობთ ეხლა ჩვენ ამ სიტყვის მეორე და უკანასკნელ შემოკლებას „ში“. ხოლო დასაელეთ საქართველოში დღემდე ხმარობენ ისევე პირველ შემოკლებას , იმ განსხვავებით, რომ მათ „გ“ შეუცვლიათ და „დ“ -სახლშიდ, წიგნშიდ...“ და როგორცა სჩანს, ამ ორი ასოს შეცვლა ერთმანეთში შესაწყნარებელი ყოფილა ქართულს ენაში. როგორც დასაელეთ საქართველოში შეცვლილა განი დონად, აგრეთვე სპარსეთის ქართველობისაგან შეცვლილა დონი განად, მაგალითად ამ ლექსში – „ხელზეგა, კალზეგა“, აქ უნდა ყოფილიყო „ხელზედან“, რომ ეხმარათ უპირველესი ფორმა სიტყვისა, და „ხელზე“ – ეხლანდებურად, მეორე შემოკლებით.

39. *)ინა არის შემოკლებული სიტყვა – ინანა, ასე ამისწნეს თვითონ მთქმელთ.

აკვანი გ[ა]ქონდა[40] სიარული,
შიგ იწევ[41] დახატული.
მე შენ ყურნანი[42], ყურბანი!
კაბები გაქონდა ბურმა-ბურმა,
თოლები გაქონდა სავსე სურმა...

ეს ლექსი დიდი ყოფილა, მაგრამ სისრულით ალარ მახსოვსო, მითხრა მოხუცმა. ენა იმათი განსხვავდება ჩვენიდან ჯერ პირველად იმითი, რომ მისალმება და მოკითხვა სპარსული სიტყვებითაა აქვთ აჭრელებული. რომ შეგხვდება, შემოგძახებს – „სალამ“ გამარჯობის მაგიერ და რომ ახლოს მოვა, მოგიყვება: „აჰვალი[43] როგორა გაქვ? ჩალი[44] ხომ ლამაზადა[45] გაქვ ანუ ხუბი[46] ხო კარგა გაქვსო? სპარსულ სიტყვებს ურევენ აგრედვე, ასრედ წოდებულს, ქცევა ყოფით ლაპარაკში. თუ უნდა გკითხოს, როდის მოჰბრძანებულხარ ანუ სათ მიჰბრძანდებით, გეტყვის: თაშრიფი[47] როდის მოგიტანია? თაშრიფი სათ მიგაქვსო? ერთი სიტყვით, ვერ მოახერხებს თავისი ქართულით ჩვენებურ სიტყვა-პასუხს: დაბრძანდი, მიირთვი, გიახელ, უბრძანე, მოგახსენე, წაბრძანდი, გახლავართ, გენაცვალე, შენი ჭირიმე, ბატონო, დიაღ... სძულს, თუ რაღაც არის, აგრედვე მრავლობითი რიცხვი და თავისის ენით, საპატიო თქმაც რომ ეწადოს, ასე გეტყვის: აიღე, შაჭამე, წამო, ჰო, გინდა, მოდი, ადე, დაჯე, დაიძინე... ეს განსხვავება, ჩვენის აზრით, აიხსნება მხოლოდ იმითი, რომ იქ გადასახლებული ქართველობა სულ გლეხობა ყოფილა, სოფლებიდან აყრილი და ქცევა-ყოფით ლაპარაკი არა სცოდნიათ. ხოლო როდესაც ისინი ჩაცვივნილან ისეთი ენის პატრონ ხალხში, როგორიც არიან სპარსელნი თავისი სიტყვა-პასუხით, მაშინ იმათაც მოუნდომებიათ მათსაებ ზრდილობიანი ლაპარაკი და, რომ თავისად ვერ მოუხერხებიათ, უსესხნიათ სპარსელებისაგან და შეუტანიათ თავის ენაში ამის გამომხატველი სიტყვები ანუ პირდაპირ სპარსულად ანუ ქართულად ნათარგმნი სპარსულიდან, როდესაც ამბობენ: „აქ რად დაჰგდებულხარო“ (ეს ჩვენ ზევითა გვქონდა მოყვანილი).

---

40. *) შემინიშნავს ხანდისხან, რომ როდესაც რამდენიმე უხმობგერა შეჰხვდებათ ერთად რიგზედ, შიგ ანს ჩაუმატებენ ხოლმე, მაგრამ სისრულით კი არა, ნახევრად უხმო ასის მოსდევს ხმოვანი ნახევარის ანუ სრულის გამოთქმით.

41. *) იწევ – იწექ, იწექი – მეორე პირთანა აქვს საქმე, ეითომ შენ იწექიო.

42. *) ყურბანს მნიშვნელობა აქვს უფრო მსხვერპლსა და ჩვენებურად იქმნება მე შენ გენაცვალეო. ეს სტრიქონი განიმეორება ყოველი ტაეპის შემდეგ.

43. *) აჰვალი – გარემოშბანი (ასეა!), მდგომარეობა.

44. *) ჩალი – გუნება.

45. *) ლამაზი – კარგი

46. *) ხუბ – კარგი; ხუბი – სიკარგე, კარგამყოფობა.

47. *) „თაშრიფი“ საპატიო სიტყვაა და დერვიშის მხოლოდ „წასვლას“ და „მოსვლას“. ქართულად რომ ითარგმნოს „ქეითაშრიფ მიბერით“, ასე გამოვა – როდის მიგაქვთ (თქვენი) წაბრძანებაო.

მეორე და უპირატესი განსხვავება მათის ენისა გამოიხატება იმაში, რომ რაც ამ სამასის წლის წინადა ყოფილა იგი ჩვენი საქართველოს სოფლებში იმადვე დარჩომილა და არავითარი წინსვლა არა ჰქონია ამოდონა ხნის განმავლობაში. ამის გამო ბევრი იმათი სიტყვა გაირჩევა ჩვენიდან ლექსიკონურის მხრივ, ესე იგი ხმარობენ ისინი ბევრ ისეთ სიტყვას, რომლებიც ჩვენ უკვე დაგვივიწყნია და არ ესმით ისეთები, რომლებიც ჩვენ ანუ ახლად შემოგვილია და ანუ რომელთათვისაც დროს განმავლობაში მეტი უპირატესობა მიგვიცია ძველს უწინდელ სიტყვებთან შედარებით, ამავე მიზეზის გამო ზოგიერთ შემთხვევებში განსხვავდება მცირეოდნად თვით მოქცევაც კი მათის ენისა! სხვაფრივ მათი ენა წმინდა ქართული ენაა და მასთან ძველებურიც,ურევენ, მართალია, კიდევ ორიოდ სხვა სიტყვას, მაგრამ უფრო ნაკლებადა აქვთ გარყვნილი მათ ენა, ვიდრე ჩვენ ამ ასის წლის განმავლობაში.

ა ზოგიერთი რამ, რაც კი მე შევნიშნე იმათს ენაში.

ბევრსა ხმარობენ ლაპარაკში „ყე"-სა და „ჯ„-ს, როგორც ეს დღესაც იციან კახეთში საზოგადოდ და ნამეტნავ ქიზიყში.

ზმნის ფორმა – „წავიდის", „მოვიდის", ძალიან მიღებულია. თანდებული „ში"-ს მაგიერ იხმარება უფრო მომეტებულად „ჩი": სახლში – სახლჩი, ხელში – ჯელჩი...

კარგის მაგიერ ამბობენ ლაპარაკში მუდამ ლამაზს, თუმცა იციან ეს უკანასკნელი სიტყვაც და ცუდის მაგიერ – გონჯს.

სიტყვა „ცუდი" არც ერთხელ არ გამიგონია! ამისათვის, რომ გითხრას იქაურმა კაცმა – ხო ლამაზათა ხარო", ეგ ის იქმნება, ვითომ, ხომ კარგადა ხარო.

შვილის მაგიერ იხმარება ბიჭი, როგორც ჩვენს სოფლებშია დღემდე, თუმცა ესმით იმ პირველი სიტყვის მნიშვნელობაც.

არ ესმით სრულიად, რას ჰქვიან: ქართველი, საქართველო (გურჯი, გურჯისტანი), ბატონ (ალა, ჯანაბ), ბატონო (ბაალე)! – დიაღ (ჰო, ბაალე, არე), არ ესმით აგრედვე – გამარჯობა, ცუდი, ლაპარაკი, ხოლმე, მტრობა, ბუმბული, საზამთრო.

ხმარობენ ბევრი ჩვენი უხეირო ანუ უცხოთაგან შემოტანილი სიტყვების მაგიერ ნამდვილ ძველ ქართულ სიტყვებს – ლაპარაკის მაგიერ ამბობენ უბნობას და აქედან წარმომდგარ სიტყვებს: „უბნობს, ებნას, ვუბნობ, ნუ უბნობ". თოკის მაგიერ „საბელს", თუმცა ესმით თოკიც. საბელს ეძახიან დღეს კახეთში მხოლოდ იმ მოკლე მატყლის თოკს, რომელსაც საქონლის უღელში შესაბმელადა ხმარობენ. ბუმბულს ერთ ცალს ეძახიან „ფთეს" და როცა უნდათ, რომ ბევრი ბუმბული თქვან, ამბობენ „ფოთოლს". (ეს მითხრეს თოლერელებმა). ძაფს ეძახიამ ქედს „შენ კედის წინდები გაცვიაო?" მითხრა ერთმა ყმაწვილმა ბოინში. ამბობენ ნამდვილ ქართულ სიტყვას – „მეკობრე" ჩვენებური „ავაზაკისა, ყაჩაღისა, თულისა, და ფირალის" მაგიერ, რომელთაგანაც არც ერთი არ არის ქართული. მტრობის ადგილას ხმარობენ. „შულლს , თამაშობისა – შუშპრობას"[48] ასე ზემო მარტყოფში ერთმა ახალგაზდა ყმაწვილმა, ალაჯან ბეგმა, ხოდარამ ხანის ონიკაშვილის შვილმა მითხრა: თქვენც

48. ტექსტში სიტყვა შუშპრობაში პ-ს ნაცვლად წერია პ. კორექტურას ჰგავს.

იცით ერთმანეთში შუღლობა“-ო? და მერე თვითონვე დაუმატა: კარგი არ არის შუღლი; აი ჩვენ სულა ვშუშჰრობთო“.

ამბობენ ძველებურად „თოლი, ცხორა“ ჩვენი თვალი, ცხვარის მაგიერ, როგორც დღესაც იციან ფშავ-ხევსურეთში და სამეგრელოში. ეს ვთქვათ, მთელ საქართველოშიაც დღემდე ჯერ კიდევ შეუმუშავებელია: ერთგან სადმე რომ ამბობენ გვალვა, კვამლი, ხვარბალი, – მეორე ადგილას იტყვიან გოლვა, კომლი, ხორბალი.

იტყვიან „ბლენა“ ბნელას მაგიერ და „ლურბელი“ ლრუბელის მაგიერ და ეს ასოების გადასმა-გადმოსმა ჩვენებშიაც ჩვეულებრივი მოვლენაა. მეგრულში მაგალითად, თავის დღეში არ გაჩერებენ ერთად სიტყვაში „რ“ და „ბ“ და უსათუოდ გა დაჰსხავ-გადმოსხამენ: ერბო – ებრო, ორბი – ობრი, და სხვა.

ხმარობენ აგრედვე ზოგიერთს სიტყვებს მცირედის შეცვლით: ბუზი (ბზუკი) – „ბუზუკი“, სტაფილო – „სტაფილი“, და უფრო მეტის შეცვლით: ბაყაყი – „ბაყბაყი“ „ბაბაყუა’; გოგრა „გეგრა“, „გუგურა“; ალი (ცეცხლისა) – ალვი“.

აქვთ აგრედვე ისეთი სიტყვები, რომ თითქო ახალი მოგონილიაო: საზამთრო – „ზამთრული“ (ყველა სოფელში), ხერხი – „ფხაჭი-ფხუჭა“ (ზოგ სოფელში), ციბრუტი – „თაუშტერა“ (ზოგ სოფელში), კაკალი – „ხატრუკი“ (ზოგ სოფელში).

შევნიშნე აგრედვე, რომ ზოგიერთ საგნებს სხვა-და-სხვა სოფელში სხვადასხვა ნაირ სახელს უწოდებენ, მაგალითად: ქალს, ქალსავე ეძახიან და ზოგგან კი „ყორ“-ს; ციბრუტს მარტყოფში – „თაუშტერას“ და თოლერში – „შალფის“; კაკალსა და ხერხს ასრევე ეძახიან ყველგან, მხოლოდ ახჩაში და აფუსში, პირველს, – „ხატრუკს“ ეტყვიან, მეორეს – „ფხაჭი-ფხუჭას“; ნიტრას ახჩაში და აფუსში ეძახიან „სურას“, თოლერში – „ყარყარას“ და მარტყოფში „ჭურჭელს“.

ამგვარად, როგორც შეატყობდით ამ მცირედის მაგალითებითაც, მათი ლაპარაკი უახლოვდება უფრო კახურს, მის ძველებურის გამოთქმით, რომელიც უფრო უკედ არის დაცული დღეს ქიზიყში და ნამეტნავ ფშავ-ხევსურეთში. აქედან შეიძლება გამოგვეყვანა ის დასკვნაც, რომ იგინი კახეთიდან ყოფილიყვნენ გადასახლებულნი, მაგრამ საფიქრებელია ერთი სხვა გარემოებაც. ეს საქმე არის 300 წლის ამბავი. მწერლობას იმ დროისას თავისი საკუთარი სახე ჰქონდა შემუშავებული და ხალხის უბრალო, ცხოველ ენასთან თითქმის არავითარი კავშირი და დამოკიდებულობა არა ჰქონდა. სად ან როგორ ლაპარაკობდა იმ დროს უბრალო ხალხი, ჩვენ ამაზედ არსად არავითარი ცნობა არ მოგვეპოვება. უკეთუ ჩვენ ისე, ჩვენად ვიფიქრებთ-და, შესაძლებელია, რომ სწორედ ამ 300 წლის წინ, როდესაც იგინი აქედან აჰყარეს, ყველგანაც და ნამეტნავ ქართლ-კახეთის ყველა კუთხეში სწორედ ისეთი ლაპარაკი ყოფილიყოს, რომელიც დღემდე იმათ შერჩენიათ. მაშინ, რასაკვირველია, იმ პირველ ჩვენ მოსაზრებასაც მოკლებული ექმნება ყოველი საფუძველი, თუმცა მომეტებული მათი გვარები და სახელწოდება ზოგიერთი სოფლებისა, რომლებიც დღემდე ჯერ კიდევ წმინდად დაუცავთ (ზემო და ქვემო მარტყოფი, ძველი რუსთავი და რუისპირი და აგრედვე (ქუდუბანაქი) ნინოწმინდა, ამართლებს იმავე აზრს, რომ იგინი გარე-კახეთიდან ანუ ივრის ხეობიდან უნდა იყვნენ წაყვანილნი.

ყოფილა იქ ჩემზედ ადრე, ამ ორი-სამი წლის წინად, ერთი ვილაც ჩვენებური კაცი. ხოლო ვინა ყოფილა, ვერ მანიშნეს კარგა. ზოგი ამბობდა, სახელად ალექსი ერქვაო. ზოგი კი – ზაქარიო; კარტუზიან ქუდს იხურავდაო; ხელობით აბრეშუმის მოვაჭრე იყოვო. რა საქმე უნდა ჰქონოდა იქით, იმ მხარეებში აბრეშუმით მოვაჭრეს, მე დღესაც ვერ გამიგია. თბილისელი ყოფილა. ქართული არა სცოდნია კარგა. „ის სხვა ქართულს უბნობდა, ჩვენ არ გვეყურებოდა; არც იმას ეყურებოდა ჩვენი ქართულიო“, მითხრა ხოდარამ ხანმა მარტყოფში, – „აი შენი ქართული რა ლამაზად გვეყურებაო.“ როდესაც ამათ უთქვამთ ან შენ არ იცი ქართული ან ჩვენი ენა ქართული არა ყოფილაო, იმას უპასუხნია: მე პატარა ვიყავ, როცა რუსეთში გამგზავნეს სასწავლებლად, მე იქ გავიზარდე და ქართული დამავიწყდაო, მაგრამ რუსული და ენები ძალიან ვიციო.

საზოგადოდ ეს, ალექსი თუ ზაქარა, რაღაც უცნაური, თავისებური რამ კაცი ყოფილა. – როდესაც ისინი (ლოცვას) ნამაზს შეუდგებოდნენ, ისიც, თურმე, მოჰყვებოდა ლოცვას ყოველ დილა საღამოს. ისინი რომ სამხრეთისკენ იზამდნენ პირს, ეს კიდევ ჩრდილოეთისაკენ მიბრუნდებოდა. როგორც ისინი ალაპყრობდნენ ხელებს და მუხლს იყრიდნენ, ისიც ისე იქცეოდა. აფუსში მკითხა ერთმა ქალბალამ: „რატო შენ კი ნამაზს არ აკეთებო“? მე ვუთხარი, რომ ჩვენ, ქართველები ქრისტიანები ვართ და ქრისტიანებში ნამაზი არ იციან-მეთქი“ – „მაშ ზაქარო ბიჭი რო აკეთებდაო“? ეგ არ ვიცი, იქმნება ის ქრისტიანი არც კი იყო-მეთქი.

მოჰყოლია ეს ეაუბატონი და, ვინ იცის, რა არ უთქვამს ამ საწყლებისათვის – რას აკეთებთ, რა დაგრჩომიათ აქა? ადექით, აიყარენით, მე ყველას წაგიყვანთ იქაო“. ისე მოგივლით, ისე გიპატრონებთ, ერთის სიტყვით, დაჰპირებია ისეთ რამეებს, რაც მაჰმადის სამოთხეშიაც არ იყოს აღთქმული. თქვენი სახლები, კარღიანი, გამოსცქერიან თქვენს გზას; თქვენი გუთნები, თავაშვებულნი, დგანან მინდვრებში და ელიან თავის ძველ პატრონებს; თქვენი სოფლები, დაცარიელებულნი მგლოვიარესავით არიან მოწყენილნი და შეჰყურებენ თქვენს დაბრუნებასაო. ერთის სიტყვით, თქვენი ქათმებიც კი ჯერ ისევ იქვე დაკრახკრახებენ მწუხარებითა და ძალლები განუწყვეტლივ ღმუიან მოუსვენრადაო. ამ საწყლებსაც დაუჯერებიათ ზოგიერთი მისი ბოდვა და ისე სოფელში არ მივიდოდი, რომ პირველ საკითხავებად ესენი არ მოეხალებინათ ჩემთვის ჰირში: „აბა, მოხველ ჩვენ წასაყვანად“? ლამაზი სოფელია ჩვენი იქაური „დაოშქესანი“, „ნოღანიო“, და სხვა და სხვა. თურმე ამასვე აუხსნია ამათთვის, რომ ყველა აქაური სოფელი დღესაც იქაც ისევ არის, მშვენიერი სოფლებიაო. ამისათვის გამოუძებნია ყველა იმათი სოფლის სახელებისათვის თითო რამ შესაფერი სიტყვა ანუ, თუ ის ერთბაშად ვერ მოუხერხებია, ერთი რამ სხვა სიტყვა და დაურწმუნებია, რომ ეს სოფელი არის ეხლა იქ და თქვენ იქიდანა ხართ გადმოსახლებულიო. მაგალითად, აფუსი – აუზსა ჰნიშნავსო, იქ არის ეხლაც ეგ სოფელი და აფუსელები იქიდან არიან გადმოსახლებულიო. ტაშკესანა – დაოშქესანიდან არი, შაიურდი – ნოღანიდან, თოლერი თელავიდან და სხვა და სხვა. ისე გაუვრცელებია ეს რაღაც თავისი უაზრო მითქმა-მოთქმა და ისე დაუჯერებია ეს გულუბრყვილო ხალხი, რომ, როდესაც მე ეკითხულობდი რომელიმე სოფელში, თუ საიდან არის მაგ

თქვენი სოფლის სახელი? საიდანა ხართ თქვენ თითონ გადმოსახლებული? ვის რა გაგიგონიათ თქვენი ძველებისაგანა-მეთქი? ისინი იმ ალექსოს ლაპარაკს მომიყვებოდნენ და ნამდვილი იმათი რამ კი აღარა მესმოდა-რა. ბევრი და უბრალო შრომა დამჭირდა, დამერწმუნებინა ხალხი, რომ იმისი ლაპარაკი თავიდან ბოლომდე სიცრუე ყოფილა და ის თითონაც ქართველი არა ყოფილა-მეთქი.

მოგიყვანთ აქ ნიმუშს ჩვენი ლაპარაკისას ერთ სოფელში.

– „მაშ ჩვენი გუთნები ალარ არისო, მაშ ჩვენი სახლები რა უყვესო"?

– თქვენი გადმოსახლება სამასი წლის ამბავია, როგორც თქვენც იცით, და ის თქვენი სახლები, თუ ხისა იყო – დალპებოდა, თუ ქვითკირის იყო დაინგრეოდა და რკინაც რო ყოფილიყო, ამდენი ხანი მზესა და წვიმაში, უპატრონოდ დატოვებული, იმასაც ჟანგი შესჭამდა და მტვრად ჩაიშლებოდა მიწაში-მეთქი".

– „სწორედ უბნობს აი, სწორედ უბნობს... ლამაზად (კარგა) უბნობსო" იტყოდა ერთი და მერე იმის ნათქვამს იმეორებდნენ ერთად ორმოც-სამოცი კაცი, „იალლა! მართალს უბნობს" სწორედ უბნობსო"...

– „მაშ ეხლა რომ მოვიდეთ, ჩვენ ბაღებს, ჩვენს სახნავებს არ მოგვცემენო?"

– ვინ მოგცემთ, რად, მოგცემენთ-მეთქი. თქვენ რომ წამოსულხართ, იქ სხვები დასახლებულან და ისეე სოფელი აუშინებიათ. ეხლა რომ იქაური მარტყოფი პნახო, ორჯელ დიდია აქაურ მარტყოფზედ. სამასი წელიწადი ეხლა ისინი ცხოვრობენ იქა: სამასი წელიწადია ოფლსა ჰღვრიან შიგა, თავებს იხოცავენ შიგ მუშაობით ღა განა სულელები (გიჟები) არიან, აილონ და მზა-მზარეულად თქვენ მოგართონ-მეთქი?!

– ,.რა ვქნათ, – რო ჩვენები იყო? უნდა მოგვცენ, მაშაო?"

– კარგი! ეხლა თქვენ ამ ახალ თოლერშია სცხოვრობთ, თქვენზედ წინ ხომ აქ სხვა სალხი იქნებოდა-მეთქი და – „ჰოვო". – ეხლა თქვენ სამასი წელიწადია აქა ხართ; საცა ბაღი არ იყო – ბაღი აგიშენებიათ, საცა სახნავი არ იყო – სახნავები გაგიმართნიათ, საცა სახლი არ იყო – სახლი და კარი მოგიწყვიათ; რამდენი გიტანჯნიათ და სწვალებულხართ, ხელმწიფისათვის და ჰოქემებისათვის ამდენი ხარჯი გიძლევიათ, მტრისა და მეკობრისთვის პასუხი გიძლევიათ-ღა ეხლა რომ მიწიდან თავი ამოყოს იმ ძველმა პატრონმა და გიოხრას: წადი აქედან, ეს სუყველაფერი ჩემი იყოვო,"მისცემთ-მეთქი?

– „სულელი ვარ? აბა, რათ მივცემ?"

– მაშ, განა იქაური ქართველები კი სულელები არიან, რომ მოგცენ-მეთქი? და მოჰყვებოდნენ თავისთვის ერთმანეთში ლაპარაკს: ერთი-მეორეს უმეორებდა ამ ჩემ ნათქვამს, მეორე მესამეს, მესამე მეოთხეს და მთელი ხალხი გაიძახოდა: „იალლა! სწორეს უბნობს აი! რა ლამაზად უბნობსო!"

– „მაშ ი რატო უბნობდა იგრეო?"

– თქვენ ხომ ჭკუიანები ხართ და ის რომ მაგისთანებს ამბობდა, თქვენ თითონ რატომ არ უთხარით, რომ ქათამი და ძაღლი სამასი წელიწადი ვერ იცოცხლებდა-თქო? და მოჰყვებოდნენ ისეე ერთმანეთში ჩემი სიტყვების გამეორებას.

– „მაშ ეხლა რო იქ მოვიდეთ, არ მიგვიღებთ?"

– რატომ, სტუმრად თუ მოხვალთ, ძალიანაც გაგვიხარდება, თუნდა წლობით იცხოვრეთ იქა. აი ჩემი ადრესი და ძალიან კარგი იქმნება, თუ წამოხვალთ. აყრა და გადმოსასახლებლად წამოსვლა კი არ ევარგება. ეხლა რომ ესე წამოხვიდეთ, აბა რა გიყოთ, კისრებზედ ხომ არ შეგისხამთ ჯერ უნდა თქვენთვის ადგილი ვიფიქროთ, ყველაფერი მოგიმზადოთ და მერე ბატონი ბძანდებით-მეთქი.

– „ქალებს არ მოგვცემთო?“ – მითხრა მაშინ აყოლია ბეგმა, ალი-მირზა-ხანის შვილმა და გადიხარხარა ხალხმა.

– რატომ, რატომ! ისეთ ლამაზ ქალებს მოგცემთ, რომ გაგიკვირდეთ, მაგრამ ერთზედ მეტს არ მოგათხოვებთ და არც გაგდების ნება გექმნება, ვიდრე არ მოკვდეს-მეთქი.

– „უჰ! უჰ! ეგ ხო გონჯათ არი, ჩვენებურათ ლამაზიაო!“

მითხრა იმანაც სიცილითა და ხუმრობით /გვ 208-216 /.

...

ქართველები დიდძალი ყოფილა სპარსეთში გადასახლებული. მაგრამ, საუბედუროდ, არსად, როგორც სჩანს, გარდა ფერეიდანისა არ შეჰრჩენიათ მათ დღემდე ქართველობა. და მიზეზიც ამისი ის არის, რომ არსად ესე ჯგუფად, როგორც აქ, არ დაუსახლებიათ. ერთგან, ერთ მაზრაში ანუ გუბერნიაში რომ ერთ სოფელს ასახლებდნენ, მეორეგან, მეორე მაზრაში მარტო ერთ უბანს და თანაც დაუყოვნებლივ უცვლიდნენ ძალით სჯულს. როგორ შეეძლო თავის შენახვა ამისთანა მოსახლობას? რასაკვირველია, არც როგორ ნევჯეტაბადში, ისპაანს ახლო არის დღემდე ერთი უბანი, რომელსაც ქართველის უბანს ეძახიან (გიურჯი მაჰალა)! შირაზსა და ქირმანშას[49] ახლო ყოფილა აგრედვე თითო სოფელი, რომლების შესახებ რიგიანად ვერა გავიგერა, მაგრამ ის კი დარწმუნებით მითხრეს, რომ ქართული არა იციან-რაო. ხორასანთან (მეშხედი) ყოფილა რამდენიმე ქართული სოფელი, სადაც ხალხი დღევანდლამდე წითელ გულისპირებს იკეთებენ, მაგრამ ქართული ერთი სიტყვა აღარ იციანო. ვერამინთან, თეირანის ახლო. ყოფილა აგრედვე ქართული სოფელი, ქართული არ იციან. ჰამადანის ახლო ყოფილა რამდენიმე სოფელი, ქართული არ იციანო, მაგრამ ერთმა მეგობარმა სომეხმა მითხრა თეირანში, რომ, მე ვიყავ ერთ იმათ სოფელში, „ჰარზანფუთში[50]“, სადაც ასი კომლი ქართველობა მოსახლობს, ასე მითხრეს, რომ დღევანდლამდე ქართული იციანო და ეხლა თუ დაიეწყეს, ეგეც არ ვიციო. გილანში ყოფილა ერთი სოფელი „გიურჯი მაჰალა“[51] (ქართველის უბანი) სადაც 400 კომლი სულ ქართველი მცხოვრებლები არიანო.

საუბედუროდ, არ მქონდა ისეთი შემთხვევა რომ მე თვითონ შევსულიყავ ყველა

---

49. ქირმანშახი

50. არზანფულ-ი / არზანფუთ-ი

51. გორჯი-მაჰალე

ამ ადგილებში და დავრწმუნებულიყავ ჩემის თვალით, იციან ქართული და ანუ მოსდგამთ კიდევ რამ ქართველობისა თუ არა და ვერ შევიარე მხოლოდ იმისთვის, რომ ყოველი მათგანის არსებობის ამბავს მცნობელობდი მუდამ ისეთ დროს, როდესაც უკვე გამოსული ვიყავ ხოლმე იმ არე-მარედან და დიდად დაშორებული. ასრე მაგალითად, როდესაც ისპაანიდან გამოველ, პირველი სადგური მქონდა შიგ ნეჯეფებადში და, როდესაც ერთი კვირის მოგზაურობის შემდეგ აველ ფერეიდანში, ქართველობაში, იქა ვცან მხოლოდ, რომ თურმე ნეჯეფებადშიაც ყოფილა ერთი უბანი ქართველობის მოსახლობა. როდესაც სულთან-აბადსა და ჰამადანს გავცდი და მიველ თეირანში, იქ შევიტყე, რომ ჰამადანს ახლო ყოფილა რამდენიმე სოფელი ქართველებისა. როდესაც გამოვეთხოვე თეირანს და მოველ რაშტში, იქ გავიგე, რომ თეირანის ახლო და გილანში ყოფილა თითო მოსახლობა ქართველობისა. მე რომ თეირანში მცოდნოდა ეს ამბავი, რასაკვირველია, იმ თეირანის ახლო სოფელსაც ვნახამდი და იქიდან პირდაპირ ბარფრუშში[52] გადავიდოდი, რომლის ახლოც ყოფილა თურმე ის მეორე მოსახლობა და ეს გზაც ჩემთვის ბევრად უფრო მოკლე იქნებოდა, ვიდრე რაშტის გზა.

მიზეზიც იმისი, რომ ესე გვიანა ვტყობილობდი ამბებს, ის იყო, რომ მე პირველში არ ვიცოდი სპარსული ენა და არც ვცდილობდი მის შესწავლას ზოგიერთ მოსაზრებათა გამო. შევუდექ ენის შესწავლას ორის თვით წინ, ვიდრე ისპაანიდან გამოვიდოდი ღა ისიც იმისთვის, რომ მინდოდა ხარჯი შემემოკლებინა და მოენეები ალარ მეთრია. რომ მცონოდა ენა, მაშინ ეს ამბებიც აქედან გავლაშივე მეცოდინებოდა და საქმესაც იმის დაგვარად დავიჭერდი. მაგრამ, მადლობა ღმერთს, რაკი ერთი ნავსი გატყდა, იმედი მაქეს, ქართველობა ამ საქმეს დაუბოლოებლად არ დასტოვებს. ერთიც იქნება, გამოჩნდება ვინმე და დაადგება ამ საქმეს. მართალია, დღეს სპარსეთში მოგზაურობა ძალიან ძნელია, რადგან არ არის იქ არსად რიგიანი გზები და რადგან თვით ქვეყანაც მეტისმეტი თავისებურია, მაგრამ თვით საგანი იმოდონად მრავალ-მნიშვნელოვანია, რომ ამისთანა უბრალო დამაბრკოლებელ მიზეზებს ვერა ქართველი ვერ დეერიდება / გვ. 219-221/.

...

მთელი ფერეიდანი, როგორც ზევითა ვსთქვით, განიყოფება ოთხ ნაჰაიად და არც ერთ მათგანს არა ჰქვიან სომეხთა ნაჰაია და არც „გიურჯი ნაჰაია“ იქმნებოდა, თუ რომ ქართველობა ისე ცოტა ყოფილიყო, როგორც სჩანს, უწინ მეტნი ყოფილან, ესე იგი ის დღევანდელი სომხები და რამდენიმე სხვა ერთა სოფლები იგივე ქართველები ყოფილან და მთელის ნაჰაიასათვის ქართველთა ნაჰაია უწოდებიათ. მაგრამ დროთა ვითარებისა გამო ზოგს მათგანს სომხის სარწმუნოება მიუღია და სრულიად გასომხებულია და ზოგსაც მაჰმადისა და ანუ სპარსად სცნობს დღეს თავს, ანუ ქურთად,

52. ქ.ბარფორუში – ახლანდელი ქ. ბაბოლი

მაგრამ მომეტებულნი გამაჰმადიანებულთა შორის ისევ ქართველებად დარჩომილან /გვ.226/.

...

როდესაც მე მიველ სოფელ აფუსში, ძალიან დაღლილი ვიყავი, ცოტა სიცხეცა მქონდა და გუნება-მოშლილი. ჩამოვხდი აფუსის სასაფლაოების გვერდზედ ჩრდილოებში და ცოტა ხანს შესვენებას ვაპირობდი. ვიდრე ბიჭი გამიშლიდა რასმეს და მომიმზადებდა, მოგროვდა აქაც ჩვეულებრივად აუარებელი ხალხი. მნახეს იქ წამოწოლას ვაპირობდი, თავები გადაიკლეს: ყველა მეხვეწებოდა, არა ჩემთან წამობრძანდი, არა – ჩემთანაო. მაგრამ ყველაზედ ძალიან გულმოდგინედა მთხოვდა ორი კაცი: ერთი იყო ქალბალაი ალი მირზა მამუკაანთი და მეორე სომეხი სოფელ დაუნიდან. რადგან ალი მირზა მამუკაანთი იქვე მეზობლადა ცხოვრობდა, მე ვარჩიე ისევ იმასთან წასვლა და ეს ამოღენა ხალხიც, რასაკვირველია, თან ამედევნა.

მოვიდა იქვე ის სომეხიც. ძალიან. გულნატკენად იყო, რომ თხოვნა არ შეეუსრულე და სულ ისე დაღონებულივით, თავჩაკიდებული იჯდა. მე თუმცა ლაპარაკის გუნებაზე არ ვიყავ, მაგრამ მაინც ბოდიში მოვიხადე იმ ჩინებულ კაცთან და ერთი-ორიოდ სიტყვა გამოველაპარაკე.

ძალიან ვწუხვარ დღეს, რომ მე მაშინ უქეიფოდ შევხვდი ამ შემთხვევას და მერეც კიდევ დრო აღარა მქონდა გადავსულიყავ იმათ სოფელში და დაწვრილებით გამომეკითხნა ზოგიერთი რამ ამბავი.

იმან შემატყობინა პირველად, რომ ჩვენ, სომხები ასე ვიწერთ პიჯვარსაო (ასეა!) და ჩვენებურად კი დაიწერა პირჯვარი. მე გავუსწორე, ვუთხარ: სომხურად პირჯვრის დაწერა ესე არ შეიძლება, ასე უნდა-მეთქი და მაგალითიც ვუჩვენე. იმან დაცინვის კილოთი გაიღიმა და იგივე გაიმეორა სიტყვითაცა და საქმითაც. აფუსელებმაც და თვით ჩემმა ქალბალამაც ყველამ დაუმოწმეს, რომ ასეა, ესენი, დაუნელები ესე იწერენ პირჯვარსაო.

იმისაგანვე შევიტყე, რომ მათ ნამაზისებაც რაღაც ჰქონიათ: ყოველი მათგანი დილით მზის ამოსვლისას პირს იქმს, თურმე, აღმოსავლეთისაკენ და პირჯვარის წერით, მუხლის მოყრით და ქრისტიანულის რაღაც ლოცვით ასრულებს თავის ნამაზს. თვით მღვდელის მოვალეობებზედაც ძალიან სხვანაირი ლაპარაკი დაიწყო, მაგრამ მე ყურის გდებაც კი აღარ შემეძლო და ვთხოვე სახლის პატრონს, მამუკაშვილს, მცირეს ხნით ხალხი დეეთხოვნა /გვ. 229-230 /.

ლადო აღნიაშვილი

***

„სპარსეთში დატყვევებული“ – ამ ლექსისა ავტორია ქართველი პოეტი ქალი ლიდია მგალობლიშვილი (1878-1968), რომლის პოეტური ფსევდონიმი იყო „იმერელი ქალი“. სწორედ მის 1960 წელს გამოქვეყნებულ კრებულშია შეტანილი 1896 წელს დაწერილი ეს ლექსი სათაურით „სპარსეთში დატყვევებული“.

იმერელი ქალი (ლიდია მგალობლიშვილი)
სპარსეთში დატყვევებული

„ამას ამბობდა ქართველი,
სპარსეთში დატყვევებული.
რაც უნდა მტანჯონ, მაწამონ,
მე არ გავხდები სპარსელი.
ხეზე მიმაკრან, გარს ცეცხლი დამინთონ,
ნელა ვიწოდე, იქიდან ვეტყვი ჩემს მტარვალს,
მე ქართველი ვარ, იცოდე.
რა უთხრა ისეთ ქართველსა,
ვის ტანჯვა გაძნელებია,
ქეთევან, შალვა, დიმიტრი, ბიძინა დავიწყებია,
ანდა ისეთსა, რომელსაც დიდება გაკვირვებია
და მოურავი გიორგი ერთხელ არ მოჰგონებია.
არა, ასეთ შვილს არ შობდა
ჩემს სამშობლოში ქართველი.
და თუ წარმოშვა ის არის იუდა ისკარიოტელი“

ლიდია მგალობლიშვილი, 1896 წელი

***

ზაქარია ჭიჭინაძის წერილი არქიმანდრიტ ევსევი ცაბაძის გარდაცვალების შემდეგ არის გამოქვეყნებული. სწორედ ეს წერილი ადასტურებს, რომ სომხურ პრესაში „მშაკსა“, „ნორდარსა“ და „არარატში“ გამოქვეყნებულ წერილებში ნახსენები სასულიერო პირი სწორედ ევსევი ცაბაძე უნდა იყოს. ზაქარია ჭიჭინაძე საუბრობს მის ღირსებებსა და დამსახურებებზე საქართველოსა და ქართველი ხალხის წინაშე.

ზაქარია ჭიჭინაძე
†არქიმანდრიტი ევსევი (ცაბაძე)[53]

(ცნობის ფურცელი, 1898, 16 სექტემბერი, N 630, გვ.1-2)

ბევრს ქართველთაგანს იქნებ ამ პატივცემულის განსვენებულის არქიმანდრიტის ევსევის (ცაბაძის) სახელი არც კი გაეგონოს. ამის მიზეზი იფარება იმაში, რომ მ. ევსევი იყო წყნარი კაცი და გარდა ამისა მთელი თავისი საუკეთესო დრო სპარსეთში გაატარა რუსეთის ელჩთან.

იგი იყო ერთი წარჩინებული ქართველი არქიმანდრიტთაგანი, განვითარებული, მცოდნე აღმოსავლეთის ენებისა და ნამეტურ სპარსულისა, მასთანვე მცოდნე ქართულის საეკლესიო და საერო ისტორიისა და მწიგნობრობისა; იგი ყველა ქართულ საზოგადო საქმეთა მიმდინარეობასაც თვალყურს ადევნებდა, ქართველთ ნაკლებულებაზე გული დიდად შესტკივოდა. მოვიყვან მცირე რამ ცნობებს, რაც კი რამ ვიცი მე დიდად პატივსაცემ ქართველ არქიმანდრიტის ცხოვრებიდან.

ერთ დღეს წერა-კითხვის საზოგადოების სამმართველოში გიახლათ განსვენებული. ამ დროს აქვე ბრძანდებოდა პატივცემული ი. ს. გოგებაშვილი. განსვენებულს არქიმანდრიტს ძრიელ ესიამოვნა ი. გოგებაშვილის ნახვა. მცირე საუბრის შემდეგ მან საზოგადოების მდივანს გარდასცა 100 მ. სამუდამო საწევრო ფული და ბ. გოგებაშვილს თავაზიანად მოახსენა შემდეგი:

– ჩემი სამშობლო ქვეყანა, ქართველი ერი და მისი საქმეები მე ჩემს გულში წმინდა ტრაპეზად მაქვს მიღებული, ამ ტრაპეზს მე ისე ვცემ პატივს და ვადიდებ, რომ ეს წვლილი შემომაქვს ჩემის მხრით მის წინ საკმევლის დასაკმევად. ეს მცირეა, მაგრამ არა უშავს, რა, მე ჩემის მხრით ყოველთვის მზად ვიქმნები (ასეა!), რომ ჩვენს საქმეებს არსად ვულალატო, შეძლებისა დაგვარად (ასეა!) ვემსახურო.

სპარსეთში ყოფნის დროს განსვენებულს ცალი ხელი საქართველოს საქმეებისაკენ ჰქონდა გამოწვდილი. ერთხელ ცნობები ამის ქველ-მოქმედების შესახებ ქართულ გაზეთებშიც იყო გამოცხადებული.

სპარსეთში ყოფნის დროს იგი დაუახლოვდა მცხოვრებ ღარიბ ქართველთ, რომელნიც მეჩვიდმეტე საუკუნიდან აქ სახლობენ, ეს ბედ-შავნი კართველნი (ასეა!) შაჰთა მაზის (ასეა!) და შაჰ-აბაზისგან იქმნენ გადასახლებულნი. განსვენებულის დაახლოვება სპარსელ ქართველებთან მოხდა 1876 წელს.

განსვენებულის მოქმედების შესახებ, 1877 წ. სომხურს სასულიერო ჟურნალ „არარატის" წიგნებში სპარსეთის სომეხთა კორესპონდენტი სწერს შემდეგს: – ამ

53. ევსევი ცაბაძის შესახებ იხ. ანტონ ეაჭარაძის სტატია „ირანში რუსეთის იმპერატორის მისიის ეკლესიის საქმიანობა საქართველო-იმერეთის სინოდის კანტორის საარქივო მასალების მიხედვით", კრებულში „ქართველები თეირანის დულაბის ქრისტიანულ სასაფლაოზე" (რედ. ნ.ნახუცრიშვილი, გ.სანიკიძე. თბილისი, 2019). გვ. 38-49.

დღეებში ჩვენდა საოცრათ აქ, ქ. თეირანში ვნახეთ ქართულს ენაზე მოლაპარაკე ქართველნი, რომელნიც, სპარსთა ჯარის კაცებში ერიენენ, იგინიც ჯარის კაცებივე იყვნენ, როგორც ქართული ენის მცოდნე, ძრიელ გავკვირდი, მაშინათვე მიველ ჯარის კაცებთან და ქართულად დაველაპარაკე.

ჩემი ხმის გაცემა მათ ძრიელ გაეხარდათ, ჩვენ ერთმანერთი გავიცანით, იგინი გათათრებული ქართველები აღმოჩნდნენ. მათ მთხოვეს მე, თუ აქ, თეირანში ვინმე ქართველი სცხოვრობს გვაჩვენეთ, რომ ქართულად ველაპარაკოთო. მე დავფიქრდი და დიდად შევწუხდი, რომ აქ, თეირანში, მთელს სპარსეთში, რუსეთის კარის ერთის არქიმანდრიტის ძეტი სხვა არავინ იყო.

მე მალე წაველ არქიმანდრიტთან და ეს გათათრებული ქართველებიც თან წავიყვანე, მაგრამ ზაფხულის სიცხეების გამო არქიმანდრიტი იქავე თეირანის ახლოს მდებარე ერთს სოფელში წასულიყო, მე მაშინათვე კაცი გავუგზავნე სოფელში და ყოველივე შევუთვალე. არქიმანდრიტი საჩქაროთ ჩამობრძანდა თეირანში და ნახა ქართველები, არქიმანდრიტის სიხარულს კაცი ვერ ასწერს, მათ ქართულად დაიწყეს ლაპარაკი, ლაპარაკის დროს „დიდი სიხარულის სამთელი აინთო მათ შორის".

განვლო მას შემდეგ დრო-ჟამმან, ამაევ ქართველებზე სამი წერილი „მშაკსა და „ნორ-დარში"-აც დაიბეჭდა, მცირე ხნის შემდეგ განსვენებულიც დროებით ტფილისში ჩამობრძანდა. ჩემსას გიახლათ, წიგნები უნდოდა, მე გავიცანი იგი და საუბარი გავმართეთ: მე დავეკითხე, 1877 წ. „არარატში" დაბეჭდილი წერილის შესახებ, მან ყველაფერი დაამოწმა და თავის მხრით დაუმატა შემდეგი:

ჩემის გაცნობის მცირე ხნის შემდეგ, თეირანიდან მე დამპატიჟა ერთს მხარეში სომეხთა კარაპეტ ეპისკოპოსმა. მე ვეახელ მას, ამ შემთხვევით ვისარგებლე და იმ სოფლებშიც გადაველი, სადაც ქართველები სცხოვრობდნენ. ქართველებმა დიდის სიამოვნებით მიმიღეს, მათ სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, დიდად გამიმასპინძლდნენ, მოხუცნი ჩემგან კურთხევას იღებდნენ, იქიდან ალარ მიშვებდნენ, სოფლებში გაავრცელეს ისეთი ხმა, რომ ვითომც მე იქ სპარსეთის მთავრობის ბრძანებით ვიყავ გაგზავნილი ქართველების მღვდლად. რამდენიმე დღის შემდეგ მე მათ გამოვესალმე, იგინი დიდად შესწუხდნენ ჩემის მოშორებით და მეც ბევრი ვიმწუხრე, ბევრი მწარე ცრემლები დაველვარე.

რამდენიმე ხნის შემდეგ ზოგიერთი ქართველნი ჩემსას მოვიდნენ. ჩვენ ლაპარაკი დავიწყეთ საქართველოს და ქართველების შესახებ. მალე[54] მე ვკითხე მათ:

– თქვენი გადასახლება რომ შეძლებოდეს, საქართველოში არ გადასახლდებით?

– რატომ არა, დიდის სიამოვნებით, თუ-კი ვინმე ამ წყალობას მოგვიხერხებს. მითხრეს იმათ. მე გული ამიდუღდა.

ბევრის ლაპარაკი და მასპინძლობის შემდეგ იგინი წავიდნენ თავიანთსას და წაილეს გადმოსახლების ცნობები. მე ეს ამბავი დაწვრილებით ვუამბე რუსეთის ელჩს. მან[55]

---

54. ტექსტში კორექტურაა: სალე.

55. კორექტურაა: ელჩწმან.

გადმომცა, რომ თუ საქართველოში გადმოსახლების[56] სურვილი აქვთო, დასწერონ საერთო თხოვნა, ეს თხოვნა მე მომიტანონ და მერმე ამ თხოვნის ძალით დავიწყებ შუამდგომლობას, რომ იგინი საქართველოში იქმნენ დაბრუნებულნიო.

მცირე ხნის შემდეგ ხსენებული ქართველნი ჩამოვიდნენ ჩემსას, მათ სხვებიც მოჰყვნენ თან. დავიწყეთ ლაპარაკი და მალე საქართველოში გადასახლებაზე გადავედით. მე მათ ვუამბე ელჩის რჩევა. მათ ტირილი მოუვიდათ. მერე პასუხი ვკითხე; მათ გადმომცეს დიდიდ მწუხარებით შემდეგი:

—ჩვენ ამას ვერ ვიზამთ. ასეთი თხოვნის ამბავს გაიგებენ თუ არა, სპარსნი მაშინათვე შაჰის ბრძანებით თავებს დაგვჭრიან. ეს ძნელია ჩვენთვის, დიდად გვეშინისო.

მეც დიდად შევწუხდი. შემდეგ კიდევ გვქონდა ამაზე ლაპარაკი, მაგრამ ელჩი უსაფუძვლოდ საქმის დაწყებას არ შვრებოდა და ბედშავ ქართველებს კიდევ საერთო თხოვნის დაწერა ვერ გავაბედვინე. ასე განვშორდით ერთმანერთს გულხელ დაკრეფილნი.

განსვენებულისაგან წარმოგზავნილი ცნობები სპარსელ ქართველთა შესახებ ერთ დროს ქართულ გაზეთებშიც დაიბეჭდა. მე მგონი ეს ცნობები საკმარისად გაცნობს მკითხველს განსვენებულის მალალ თვისებებს. უნდა ითქვას, რომ განსვენებული იყო მალამო დაწყლულებულთა, სანთელი უსინათლოთა და წრფელი, პატიოსანი მამული შვილი.

საუკუნოდ იყოს სსენება შენი, პატიოსანო ღირსო მამაო!

ზ. ჭ.

---

56. კორექტურაა: გადმოსახლები.

XX საუკუნე

***

სპარსეთის შირაზის მხარისკენ – შირაზელი ქართველების შესახებ ცნობები საკმაოდ მწირია და მეცხრამეტე საუკუნისთვის თითქმის ალარავინ საუბრობს მათ ზე, ამდენად ნებისმიერი ცნობა, თუნდაც მცირე, ძალზე მნიშვნელოვანი ხდება.

(ცნობის ფურცელი, 1901, N1623. გვ.2)

სპარსეთის შირაზის მხარისკენ, გათათრებულ ქართველ მაჰმადიანებში რამდენიმე ქართული ძველი წერილები აღმოჩენილა. ეს წერილები და ავგაროზები იქ მოუპოვნია ქართველს პატრს და ზარისტების[57] ძმობის წევრს ბართლომე ნებიერიძეს, რომელიც აქ მქადაგებლად არის გაგზავნილი.

***

ძვირფასი ცნობები სპარსელ ქართველების შესახებ – ცნობის ფურცელში გამოქვეყნებული ინფორმაციის შემდეგ იმავე წელს გაზეთ „ივერიაში“ წერილს აქვეყნებს ზაქარია ჭიჭინაძე. იგი ბართლომე ნებიერიძის ცნობებზე დაყრდნობით დაწვრილებით აღწერს ქრისტეს რჯულისთვის დასჯილი ერთი ქართული ოჯახის უფროსის ტრაგიკულ ისტორიას.

ზაქარია ჭიჭინაძე
ძვირფასი ცნობები სპარსელ ქართველების შესახებ, გვ.2-3

ნაამბობი სპარსეთში მყოფ კათოლიკეთა მქადაგებლის „ლაზარისტების ძმობის“ პატრის ბართლომე ნებიერიძის-მიერ

(ივერია, 1901, N 239)

მოგახსენებთ, რომ „ქართლის ცხოვრება“-ში ბევრს ალაგას არის ნათქვამი: „სპარსთა შაჰნოშაჰი მოვიდა, ქართლი აჰყარა და სპარსეთს გადაასახლა“, ანუ შაჰთამაზი მოვიდა და ქართველნი გადაასახლა“, შაჰაბაზი მოვიდა და ქართლიდამ 120 ათასი ქართველი გადაასახლა“, ზოგის თქმით 100 ათასი, ზოგის თქმით მეტ-ნაკლები. ამ სამწუხარო ცნობებს იმ დროის ევროპის მოგზაურთა მოძღვარნიც

57. კორექტურაა, უნდა ეწეროს „ლაზარისტების“.

ასაბუთებენ, ნამეტურ დელავალე, შარდენი და ბევრნიც სხვანი. დელავალეს თქმით, სპარსეთში ქართველ ყარიბთაგან შემდგარი ყოფილა ცხენოსან ლაშქართა გუნდი, რომლთა რიცხვიც 30 ათას კაცამდე ადიოდა თურმე. ასეთი გარდასახლება ჩვენს ქვეყანას ხშირად მოჰვლენია ხოლმე...

თუმცა ეს კაცთა ბოროტებით აღვსილნი ნადირნი თავიანთს მოსვლას ქართველებზედ უწყალოდ ხმარობდნენ და მით ჩვენს ქვეყანასაც აუძლურებდნენ, მაგრამ ეს იყო მხოლოდ დროებითი, წუთიერი, სამუდამოდ-კი აქ ფეხს ვერ იმაგრებდნენ, მალე ქურდულად მიიპარებოდნენ, თორემ ქართველთაგან ისეთი მუსრი გაევლებოდათ, რომ ბოლოს აქედგან ერთი კაციც ალარ დაბრუნებულა სპარსეთში. ქართველებიც სამაგიეროს მალე უხდიდნენ და ხშირად ანანებდნენ ხოლმე ჯავრს. ვისაც ჩვენი ისტორიული წიგნები უკითხავს, იმას უთუოდ ასობით და ორასობით ექმნება ისეთი ცნობები წაკითხული, სადაც ქართველთა გმირობა და ვაჟკაცობაა პირუთვნელად აღწერილი. ეს რომ ასე არ ყოფილიყოს, მაშინ, მერწმუნეთ, ქართველიც ისევე შემცირდებოდა და მოიპობოდა, როგორც ეს სხვა ქრისტიან ერებს ეწვიათ მუსლიმთაგან.

სპარსელ ქართველთა შესახებ საკმარისი საბუთები გაგვაცნო ანტონ ფურცელაძემ თავის ისტორიულს გამოკვლევაში „ბრძოლა საქართველოს მოსპობაზედ“ და ვ. ალნიაშვილმა თავის ვრცელს მოგზაურობაში, რომელიც იმ აზრით წავიდა განგებ სპარსეთში და ქართველთა შესახებ ბევრი რამ ცნობები შეჰკრიბა და ანუსხა (ასეა!). თუმცა სპარსელ ქართველთა შესახებ ცნობები გვაქვს აქა-იქ ისტორიულს წიგნებშიაც და უკანასკნელს დროსაც აღმოჩნდა ზოგი რამ მასალა, მაინც ეს საქმე ისე არ არის გამოკვლეული, როგორც საჭიროა და გვენატრება. აი, ეხლაც მოგვყავს შემდეგი ცნობები, რომლებიც გადმოგვცა პატივცემულმა ქართველ კათოლიკეთა მოძღვარ მქადაგებელმა და ლაზარისტმა ბართლომე ნებიერიძემ.

ურიგო არ იქმნება აქ რამდენიმე სიტყვა თვით ამ ლაზარისტ ბართლომე ნებიერიძეზედ ვსთქვათ. ბართლომე ნებიერიძე ქართველი კათოლიკეა, ახალციხელი, რომში გაზრდილი. იქაურ კათოლიკეთა სასულიერო სასწავლებელში უსწავლია, შემდეგ პატრათ კურთხეულა და ლაზარისტების“ ძმობის წევრად შესულა. შემდეგ კურთხევითა პატრი „ლაზარისტის“ ძმობას სპარსეთის მქადაგებლად დაუნიშნავს და ესაც მალე გამგზავრებულა სპარსეთში.

სპარსეთში პატრი დაიარება აქ-იქ შორეულს კუთხეებში, სადაც ქრისტიანი ქალდაველნი და სხვა ტომის ერნი სცხოვრობენ. კარგა ხანია, რაც ეს მქადაგებელი პატრი აქ იმყოფება. 1900 წ. საქართველოში ჩამოვიდა. გამაცნო იგი დონ გაბრიელ ასლანიშვილმა. გაცნობის უმალვე ამ პატრმა სიტყვა ქართველობაზედ ჩამოაგდო, შემდეგ ქართველ სპარსელებზედ დაიწყო საუბარი და შემდეგ მიამბო:

სპარსეთში, ზოგიერთ ალაგას, ქრისტიანებმა და თათრებმაც კარგად შეიტყეს, რომ მე ქართველი ვარ. ერთ ალაგას ორმა თათარმა რალაც დახვეული პერგამენტები მომიტანა და მომცა:

– ჩვენ შევიტყეთ, რომ თქვენ ქართველი ბრძანდებით. აი, ეს ტყავის ქაღალდები მოვიტანეთ თქვენთან, რომ ეგები გაშინჯოთ, შიგ თქვენებურად ლოცვები სწერია;

გვინდა შევიტყოთ, რა ლოცვებია, რადგანაც იგი ჩვენი ძველების გაკეთებულია და ჩვენ-კი არ ვიცით, თუ შიგ რა სწერია, რა ლოცვებია, ჩვენები ამას გულზედ ატარებდნენო.

მე გადაუშალე ეს დახვეული პერგამენტის ფურცლები და ძველადრომ „ავგაროზათ“ ჰქონიათ მიჩნეული, შიგ ქართულად მხედრულის ხელით ნაწერები აღმოჩნდა. მე მართლაც ლოცვები მეგონა, როგორც საზოგადოდ იცოდნენ ხოლმე „ავგაროზებში“ ჩაწერა; დავიწყე კითხვა და ლოცვების მაგივრად სულ სხვა აღმოჩნდა. და აი, ამის შესახებ პატივცემულმა პატრმა სიტყვიერად რა გადმომცა:

ერთის ქართველ ოჯახისათვის გათათრება დაუპირებიათ, მაგრამ ოჯახის უფროსს არ უქნია, არ გათათრებულა და მთელი სახლობისთვისაც იგივე დაუვალებია, რომ არც ისინი გათათრებულიყვნენ და ქართველობაზედ მაგრა მდგარიყვნენ. მაშინ სპარსეთში, მოგეხსენებათ, დიდ-ძალი ქართველობა სცხოვრობდა, რომელნიც ძალად იქმნენ გათათრებულნი. რამდენისამე ხნის შემდეგ ზემოთ-ხსენებულ ოჯახის უფროსი წევრი სპარსეთის შაჰის ბრძანებით დაუჭერიათ და დაუპატიმრებიათ; ციხეში მისთვის სატანჯველიც მიუყენებიათ, ძალას თურმე ატანდნენ – გათათრდიო. ეს ამბავი მის შვილებსა და სხვა ქართველებს შეუტყვიათ. შვილებს განუზრახავთ, მამის ნახვა, გამხნეყება სდომებიათ, მაგრამ სპატიმროში არ მიუშვიათ, არ უჩვენებიათ. ამავე მოხუც ქართველთან სხვა ქართველებიც ყოფილან დაპატიმრებულნი. ესენიც დიდს ტანჯვაში ყოფილან ჩაცვივნულნი.

უკანასკნელთ, რაკი ველარა გაუწყვიათ-რა, აი რა საშუალება მოუგონიათ: გაუკეთებიათ ეს „ავგაროზი“ და ციხეში მიუტანიათ, ციხის მცველისათვის უთხოვნიათ, რომ ეს „ავგაროზი“ ამა-და-ამ მოხუცს გარდაეცით, რადგანაც მის საკუთრებას შეადგენს, გულზედ უნდა ატაროსო. ციხის მცველთაც შეუტანიათ ციხეში და აღნიშნულის მოხუცისათვის გადაეციათ. მასაც გადაუშლია ეს „ავგაროზი“, შიგ ნაწერი ამოუკითხავს და შემდეგ ესეეე „ავგაროზი“ ამ მოხუცსაც დაუბრუნებია თავისს შვილებისათვის. ერთ ავგაროზში, რომელიც შვილებს გაუგზავნიათ მამისათვის, წერებულა შემდეგი:

„მამაო, შევიტყეთ, რომ შენ თურმე მანდ ციხეში დიდად გტანჯავენ. ძალიან ვსწუხვართ ამასა და სასტიკად ვიტანჯებით, რომ ჩვენის სჯულის გულისათვის მოხუცებულს მამას მანდ გვიტანჯამენ. მაგრამ იმედი გვაქვს, ღვთით რომ შენ ყველა ამ ტანჯვას მხნედ აიტან და ციხედამაც მოესწრები განთავისუფლებას. იმედია, ჩვენს მტერს ღმერთი სამაგიეროს გარდახდევინებს, შენ იყავ ოღონდ მაგრა და მტერს ნუ შეუშინდები, ნუ გატყდები.“

მეორე „ავგაროზში“ სწერია შემდეგი:

„შვილებო, შევიტყე, რომ თქვენ თურმე თქვენის მოხუცებულ მამის პატიმრობისა და ტანჯვის გამო სასტიკად იტანჯებით; რა გაეწყობა. მე მაგრა ვარ, არა მიშავს-რა, თქვენ იყავით ოღონდ კარგათა და ჩემთვის ნუ სწუხართ. იმედი მაქვს, ღმერთი ჩვენს მტერს არ შეარჩენს, მალე გამოჰკითხავს სამაგიეროს, მეც მეშველება გამოსვლა. თქვენ ჩემზედ ნუ სწუხართ, ნუ დარდობთ. თქვენ მოხუც მამას ვერ გაათათრებენ

და ვერც გასტეხენ, ოლონდ თქვენც ასე მაგრა იდექით სჯულზედ და მტერმა არ დაგძლიოთ.“

აქ მოყვანილ ცნობებს გარდა სხვა-და-სხვა ცნობებსაც ატყობინებენ ერთმანერთს, მაგალითებრ: შვილები მამას იმ დროის სპარსთა მთავრობის გარემოების ცნობებს ატყობინებენ მთავრობის წინააღმდეგ ხალხი როგორ ჩოჩქოლშია და მით ამათაც ეძლევათ შაჰბაზის დაცემის იმედები. ასევე მამა ატყობინებს შვილებს საპატიმროს ზოგიერთს ცნობებს. ორივე „ავგაროზი“ ერთის ზომისანი არიან, სხვა-და-სხვა ხელით ნაწერი, ქართულის კარგი მხედრულის ასოებით. ნაწერიდამა სჩანს, რომ მისნი დამწერნი მწიგნობარნი უნდა ყოფილიყვნენ. ასე და ამგვარად, ასეთის ოსტატობითა და „ავგაროზებით“ უცნობებიათ ერთმანეთისათვის სხვა-და-სხვა ცნობები. ეს ოსტატური საქციელია და სპარსნი ასეთ „ავგაროზების“ გაგზავნ-გამოგზავნით ვერაფერს ეჭვს აიღებდნენ, ყოველთვის საღმრთო ხასიათს მისცემდნენ, რადგანაც ეს მათშიაც ძრიელ იყო გაერცელებული და თითქმის ყველა სპარსს ჰქონდა გულზედ „ავგაროზი“ ჩამოკიდებული. ასეთი „ავგაროზები“ მითხრეს მომტანთ, ჩვენში ბევრს ალაგს არისო, ბევრს ოჯახში აქვთ დაშთენილიო. ყველგან იმასა ფიქრობენ, რომ მასში ლოცვები სწერია. აქედგან კარგადა სჩანს, რომ ხსენებულ კუთხის მცხოვრებთა შორის ქართველთა შთამომავალნიც მრავლად უნდა იყვნენ, ძალით გათათრებულნი და ქართველობისათვის დაკარგულნიო. მქადაგებელმა აი, კიდევ რა დაუმატა:

– არ შეიძლიან გარდმოგცეთ ის მწუხარება, რაც ამ „ავგაროზების“ კითხვის დროს ვიგრძენი. ტირილი მომივიდა, ბევრი რამ გამახსენდა ჩვენის ტომის უბედურ ისტორიიდამა. მაყურებელ სპარსთ ძრიელ უკვირდათ ჩემი ამ გვარი გარემოება, მაგრამ აბა რას მიჰხვდებოდნენ!

პატრს ბართლომე ნებიერიძეს დიდს მუდარებით დავავალე, რომ აღნიშნული „ავგაროზები„ეგების იშოვნოს ფასითა და გამოგვიგზავნოს, ხოლო თუ შეძენა ვერ შეძლოს, მაშინ გადმოგვიწეროს. მაინც პატრმა სრული თანხმობა აღიარა: სრული იმედი გვაქვს, პატივცემული პატრი ბართლომე ნებიერიძე დაპირებას აასრულებს და მალე თუ არა, ოდესმე მაინც გამოგვიგზავნის ამ ძვირფასს ცნობებს. სრული მოიმედენი ვართ, რომ იგი სპარსეთში ყოფნის დროს შესამჩნევს მამულისშვილობას გამოიჩენს და, ხსენებულს ცნობებს გარდა, სხვა რამ ცნობებსაც შეჰკრებს. ცნობებს ძებნა უნდა, თორემ იქ უთუოდ აღმოჩნდება, რადგანაც ისტორიიდგან ვიცით, რომ სპარსეთში დიდ-ძალი ქართველობა სცხოვრობდა, მათ იქ დიდი ტანჯვა გამოიარეს, ბევრიც საგმირო საქმე ჩაიდინეს. ბევრი ცნობები უნდა დარჩენილიყოს თუ წერილობით, თუ ქართული წიგნებითა, სხვა-და-სხვა ნივთებითა და ზეპირ გარდმოცემითაც. ამას მხოლოდ სპარსულ-თათრულის ენების მცოდნე კაცისაგან მოძებნა და შრომა უნდა.

ზ. ჭ.

***

წერილი სპარსეთიდგან – იმავე წელს გაზეთ „ივერიაში“ დაიბეჭდა „წერილი სპარსეთიდგან“. ამ წერილის ავტორია ქართველი კათოლიკე ბერი რაფიელ ნებიერიძე. მასში საინტერესო ცნობებია ისპაჰანში მცხოვრები ქართველების შესახებ, ასევე ნახსენებია სოფელ ხოსროვში ერთი ქართველი დიდებულის საფლავიც.

რაფიელ ნებიერიძე
წერილი სპარსეთიდგან

(„ივერია“ 1901 წელი, N279, 23 დეკემბერი, გვ.3)

ხოსროვი. 23 ნოემბერს. ამ მოკლე ხანში ქ. ისპაჰანს გახლდით, სადაც რამდენსამე ხანს დავყავ. ამ ხნის განმავლობაში გავიცანი ისპაჰანში მცხოვრები ქართველი მაჰმადიანები (შეის[58] სარწმუნოებისა), როგორც ისტორია მოგვითხრობს, ეს ქართველნი XVII საუკუნეში საქართველოდგან შაჰ-აბაზს გადმოუსახლებია და სპარსეთის შორეულს ადგილებსა და ქვეყნებში დაუსახლებია. ეს ამბავი თვითონ სპარსელმა ქართველებმაც კარგად იციან. როგორც სჩანს, ისპაჰანის ქართველებს ქართული ენა კარგა ხანს შეუნახავთ სუფთად, შემდეგ კი საგრძნობელად შეზღუდულა. ურთ-ერთშორის (ასეა!) სალაპარაკო ენად ქართულის მაგიერ ამ ჟამად სპარსული გაჰხდომიათ, ასე, რომ დღეს ისპაჰანის ქართველნი მცირედ-ღა ლაპარაკობენ ქართულს ენაზედ, სპარსულს სიტყვებს მრავლად ახმარებენ.

ამავე ისპაჰანის ქართველებში ვნახე ქართულად დაწერილი თამასუქის წერილები, ზოგი მარტოთ ქართულის ასოებით დაწერილი და ზოგიც სპარსულთან ერთად. ამ თამასუქის წერილებს მე უსათუოდ მოვიძევ და გაახლებთ. მასთან სხვა ცნობებსაც შევკრებ. ისპაჰანის ქართველნი ნამდვილ სპარსთაგან დიდად განირჩევიან; ქართველთ თავიანთი შთამომავლობის სახე აქამდე კარგად შერჩენიათ. სპარსნი უფრო მოშავო კანის არიან, მასთან დაბალის ტანისანი, ქართველნი-კი უფრო მოთეთრო და მაღალის ტანისანი.

აქაურ ქართველთა სიტყვით, საქართველოდან შაჰ-აბაზს ჩვენი ძველები იმიტომ გადაუსახლებია სპარსეთში, რომ სპარსთა ტომის გამშვენება სდომნიაო. სწორედ ესრეთ ამბავი აღწერილია ერთს სპარსულს წიგნში. ესეთი ამბები სპარსელ ქართველთ გარდმოცემით იციან.

ქ. ხოსროვში, ერთს სასაფლაოზედ, დიდის ხნიდგან დარჩენილია ერთის ქართველ თავადის საფლავი, რომელსაც გათლილი ქვა აძევს და ზედ გამოხატული აქვს ლეკური. ამ თავადის შესახებ ძველ კაცებში ვიკითხე ამბავი და აი, მიამბეს: ეს თავადი სპარსეთში საქართველოდგან იყო მოსული და აქ, ხოსროვს, ჩვენ ფაშად იმყოფებოდა;

58. შიიტური.

ამის სიცოცხლის დროს და შემდეგაც აქ მოდიოდნენ სხვა-და-სხვა ქართველი დიდი კაცები, მაგრამ დროებითა რჩებოდნენ და მერე ისევ უკან ბრუნდებოდნენო. უმეტესად ეს ქართველები თეირანიდგან მოდიოდნენო.

დანარჩენს ცნობებს მერმე გაუწყებთ. მე აქეთ მქადაგებლად გახლავართ გამოგზავნილი „ლაზარისტების ძმობისაგან“.

ქართველი კათოლიკე
პატრი რაფიელ ნებიერიძე

***

ნარკვევი – სომხურ წყაროზე დაყრდნობით გაზეთი „ივერია“ მეოცე საუკუნის დასაწყისში გვაწვდის ცნობებს მაზანდარანელი ქართველების შესახებ, რომლებიც თავს შაჰ-აბასის მიერ გადასახლებული ქართველების შთამომავლად მიიჩნევენ. სამწუხაროდ, არაფერია ნათქვამი იმაზე, ქართული ენა შენარჩუნებული აქვთ თუ არა, საგულისხმოა, რომ გაზეთი იქვე ახსენებს ფერეიდნელ ქართველებსაც, რომელთა შესახებაც მეტი ინფორმაცია ჰქონდა ქართულ საზოგადოებას ათამ ონიკაშვილისა და ლადო აღნიაშვილის დამსახურებით.

ნარკვევი

(ივერია, 1902, N183, გვ.4)

ბ-ნი ავაკიანი ამა აგვისტოს 25 რიცხვში „მშაკში“ იწერება სპარსეთიდგან, სხვათა შორის, შემდეგსა:

ორიოდე სიტყვაც უნდა ვუძღვნა ერთ ამბავს: იმ ხანებში მომიხდა მაზანდარანის სპარსთა სოფლების დავლა. გავიარე ერთ დიდ სოფელთან, სადაც 800 მოსახლე მკვიდრობს. ვკითხე ერთ სპარსელს, ეს რა სოფელია-მეთქი? გიურჯი მაჰლა (ვითომ ქართველთა სოფელი), ჩვენც თქვენებური ვყოფილვართ, ჩვენი მამა-პაპა შაჰაბაზს გიურჯისტანიდგან (საქართველოდგან) ტყვედ წამოუსხამსო, „მივიღე პასუხად“. მცხოვრებთ სახეზე ეტყობოდათ სრული მსგავსება ქართველებისა, ნამეტურ ქალებსა, რომელთაც შერჩენიათ ქართველ ქალების სილამაზე. ძველის ქრისტიანობისა ის დარჩენიათ დღეს, რომ მოდედებულ პურის ცომზე ჯვრის ნიშანს აკეთებენ ხელითა.

ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან, რომ სპარსეთში რამდენიმე სხვა სოფელიც არის ქართველებისა, რომელნიც შაჰ-აბაზს გადაუსახლებია საქართველოდგან. დაწვრილებულნი ცნობანი იმათ შესახებ გვაუწყა პირველად იქიდგან გადმოსახლებულმა განსვენებულმა ათანასი ონიკაშვილმა, ხოლო შემდეგ დაწვრილებით აღწერა ეს სოფლები და მათში მცხოვრებნი ქართველნი აწ უნუგეშოდ ავადმყოფმა ვლ. (ლადო) აღნიაშვილმა.

***

ქართველები სპარსეთში, საკუთრად სოფელს ხოსროვაში. ეს წერილი მეფე ერეკლეს ვაჟის, ალექსანდრე ბატონიშვილისა და მისი მხლებელი დიდებულების სპარსეთში დასახლების ამბავს ეხება. 1801 წლის შემდეგ, როდესაც რუსეთის იმპერიამ გააუქმა საქართველოს სახელმწიფოებრიობა, ალექსანდრე ბატონიშვილი გაიქცა საქართველოდან და რუსეთის წინააღმდეგ დაიწყო ბრძოლა. სამწუხაროდ, 1832 წლის შეთქმულება მარცხით დამთავრდა. გაზეთ „ივერიის" კორესპონდენტი ეყრდნობა სოფელ ხოსროვაში 110 წლის მარიამ ხანუმის ნაამბობს, იგი ჩამოთვლის იმ ქართველების სახელებს, რომლებიც ალექსანდრე ბატონიშვილთან ერთად იყვნენ.

წერილი სპარსეთიდგან (საკუთარი კორესპონდენტისაგან) ქართველები სპარსეთში, საკუთრად სოფელს ხოსროვაში[59]

(ივერია, 1904, N71, გვ.3)

ყველამ ვიცით, რომ სპარსეთში დიდი ძალი ქართველობა იქმნა წამოყვანილი ტყვედ სპარსელებისაგან. ამ ბოლო ხანებში, სპარსეთში, სოფელ ხოსროვაში, ვნახე ერთი მოხუცი დედაკაცი ას-ათის წლისა, სახელად მარიამ ხანუმი. ამ მოხუცმა რა დამინახა, თვალები ცრემლებით აევსო და ტირილით მითხრა: „მადლობა უფალსა, რომ კვალად ჩემმა თვალებმა ნახეს ქართლის შვილი ამ უცხო ქვეყანაში. ამ სიტყვებით გაკვირვებულმა დავუწყე მას ლაპარაკი ხალდეულის ენითა. მაშინ მიამბო თავისი თავგადასავალი. დიდხანს ვესაუბრე, მითხრა: ვალიხანი და გარსევან ბეგ ქართველები იყვნენ, მოსულნი საქართველოთგან იმის გამოისათა, ვალიხანი უკანასკნელი ერეკლის ქართლის მეფის შვილი გარდმოსახლდა საქართველოთგან ერთი პატარა ჯგუფითა. შაჰხმა (ასეა!), სპარსეთის მეფემ, რა შეიტყო ერეკლე მეფის შვილის მოსვლა სპარსეთში, მაშინათვე დაადგინა იგი თავის ვეზირად ოთხს სოფელზედა, ე.ი. ხოსროვაზედ, არუვანზედ, საერაზედ და გულისანზედ.[60] ვალი-ხანის ცოლი ერევნიდგან იყო მოყვანილი, და სახელად ერქვა სოშეხ, მისგან ეყოლა ერთი შვილი, სახელად არაქელ-ხანი. ვალი-ხანთან იყვნენ ორმოცდაათი წარჩინებული ქართველები, თავადთაგანნი. ბოლოს ვალი-ხანი რომ თეირანში გამგზავრდა, თავის მომაგიერედ ამ ოთხ სოფელზედ დანიშნა გარსევან-ბეგი, ქართველი. ვალი-ხანი თეირანში გარდაიცვალა და გარსევან-ბეგი ხოსროვაში. ამ გარსევანის საფლავი ვნახე,

59. წერილს სქოლიო აქვს: ებეჭდათ ამ წერილს ორთოგრაფიულ ფორმათა შეუცვლელად.

60. "ირანის გეოგრაფიული ლექსიკონის" (რედ.ა.რაზმარა, ტ.4,გვ.191) მიხედვით ხოსროვა შეიძლება იყოს სოფელი ხოსროვაბად-ი, ქ.ხოის სიახლოვეს, სადაც ცხოვრობენ შიიტები და ქრისტიანები. არუვან=ურუმან?; გულისან=გოლესთან-ი; საერა=სარუბად?

ერთი დიდი ლოდი ადევს, მაგრამ სრულობით არავითარი ნაწერი არ აქვს ამ ქვასა. გარდა გარსევან ბეგისა, როგორც ამ მოხუცმა მიამბო, ხოსროვაში გარდაცვლილან ქართველები სახელდობრ: რაფაელ-ხანი, ფარშან-ბეგი, ჟილო-ხანი, შაქარ-ბეგი და ნუნი (ე. ი. ნინო).

ამ ცნობების გამო ვიფიქრე, რომ თუ ამოდენა ქართველები აქ ყოფილან, რატო მათი ყოფნა ამ სოფელში არ დამტკიცდება და, რასაკვირველია, შევუდექი დოკუმენტების ძებნასა.

ორი სამი თვე დავდიოდი აქეთ იქით, ვათვალიერებდი და ვეძებდი დაკარგულ რამესა. შემდეგ დიდი ჯაფის გამოვლისა, ერთმა ჩემმა მეგობარმა, სახელად მირზა იაკოფმა, რომლის დიდიდედას აქ უნახავს ქართველები, მომიყვანა ყაფხაში.[61] ეს რა ვნახე, მაშინ დავრწმუნდი ქართველების აქ ყოფნაზედ და შევუდექი ხალდეული წიგნების ჩხრეკასა. ერთ დღეს ღმერთი ისე შემეწია, რომ შევხვდი ერთ წიგნსა, ურმიაში დაბეჭდილსა, ხალდეულს ენაზედ; ყალა-ხანზედ და ესრედ სწერია: სოფელი ხოსროვა ებარა ვალი-ხანსა, ერეკლე უკანასკნელი ქართლის მეფის შვილსა. ვალი-ხანი იყო კაცი ბრძენი, მშვიდი და კეთილი ქრისტიანი. ხოსროვის მცხოვრებნი ძალიან მადრიელნი ყოფილან მისგან და ამ ჟამადაც ხოსროვის მოხუცებს ახსოვთ ვალი-ხანის სიკეთე; მრავალს მეჯლისებში (ასეა!) ლაპარაკობენ იმაზე და ამბობენ: ვალი-ხანი დაუძახებდა მრავალ პაწაწინა ყმაწვილებსა და ურიგებდა ფულებსა ხილის სასყიდლად. მარტო სოფელი ხოსროვი აძლევდა წელიწადში ვალი-ხანს: ათას შვიდას მანეთსა, რვაას ოც-და ათს თუმანსა აქაურს ფულსა, სამას ოც ცალს ხორბალსა, ქერსა ცხენებისათვის და შეშასა დასაწველად. კვალად სოფელი ხოსროვა აძლევდა წელიწადში ვალი-ხანსა: ათას ორას ორმოც-და ათს ქათამსა და სამი ათას კვერცხსა, მაგრამ ვალი-ხანი მრავალ გზის აპატიებდა ხოლმე, გლახაკებსა და ქვრივებსა. არამც თუ აპატიებდა, არამედ შეწევნას აძლევდა და ინანებდა. ვალი ხანის სახლი იყო იმ ადგილას, სადაც ამ ჟამად ჰგიებს შემწე რიგის ქალწულების სადგომი. ვალი-ხანს დიდი გავლენა ჰქონდა შახთან და იცვამდა[62] (ასეა!) ყველა ქრისტიანებსა დევნულობისაგან. ბოლოს რომ გაემგზავრა თეირანში, დანიშნა თავის სამაგიეროდ გარსევან ბეგი, ქართველი. ვალი-ხანი გარდაიცვალა თეირანში, გარსევან ბეგი კი — ხოსროვაში.

პატრი რაფიელ ნებიერიძე

***

შავი დრო. — ზაქარია ჭიჭინაძის წიგნიდან ამ ამონარიდის ჩართვა „ფერეიდნულ ქრონიკებში“ აუცილებლად მივიჩნიეთ, რადგან მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავს სპარსეთში გადასახლებული ქართველების შესახებ. ისტორიული მიმოხილვის

61. აქ ცინკოგრაფიით გადაღებული სურათის ადგილია.

62. იცავდა.

შემდეგ ავტორი წარმოაჩენს იმდროინდელი ფერეიდნის ცხოვრების ისეთ ფაქტებს, რომელიც საინტერესო უნდა იყოს როგორც ქართული საზოგადოებისათვის, ისე თავად ფერეიდნელთათვის, რომლებიც აქ ამოიკითხავენ ას თორმეტი წლის წინანდელ ცნობებს საკუთარი წინაპრების ყოფის შესახებ. წერილი კარგად გამოხატავს მეოცე საუკუნის ქართული საზოგადოების ემოციურ ბმას გადასახლებული ქართველების ტკივილიან ბედთან.

ზაქარია ჭიჭინაძე
შავი დრო

(ამონარიდი წიგნიდან „ქართველები სპარსეთში“, 1907)

ქართველებმა მეჩვიდმეტე საუკუნეს „შავი დრო“ უწოდეს: ამაზეა ნათქვამი:
„შავთა დროთ ვერა შესცვალეს მის გული ანდამატისა,
იგივ მხნე, იგივ მღერალი, მებრძოლი შავის ბედისა“

ზოგნი იტყვიან ასეც: – „მოყვარე თავის მიწისა“ და სხვანი. დიახ, ეს ასე გახლავსთ და ქართველი დიდი მოყვარეა თავის მიწისა. ამ შავს დროს, ანუ ქართველების მეტად ბნელს და უბედურს საუკუნეზედ თვალთ საჩინო წიგნი გვაქვს ჩვენ ქართველებს. ეს წიგნი გახლავსთ ანტონ ფურცელაძისაგან დაწერილი „ბრძოლა საქართველოს მოსპობაზედ“, ანუ დიდის მოურავის გიორგის ცხოვრება. ეს ისტორიული გამოკვლევა არის საფუძვლიანი წიგნი XVII საუკუნის შესახებ. დამწერმა „შავთა-დროთა“ მაგიერ იხმარა „ბრძოლა საქართველოს მოსპობაზედ“ და უნდა ითქვას, რომ ეს უფრო ზედ-გამოჭრილია ხსენებულს საუკუნეზედ, რადგანაც მაშინ დაიწყო ქართველთ ტყვევნა, გარდასახლება-ემიგრაცია, სრულიად მოსპობა თავის მიწა მამულზედ, გაწყვეტა.

მთელის აღმოსავლეთის ერთა პოლიტიკა XVII საუკუნეში იმით დაგვირგვინდა, რომ სამცხე-საათაბაგო და იმერეთი ოსმალეთს უნდა დაეჭირა და გაეთათრებინა და ქართლი და კახეთი სპარსეთს დაეპყრო, ქართლის ერი ამოეწყვიტა და კახელნი სპარსეთში გადაესახლნათ. ამის მეთაურობას სწევდა ბარბაროსულად გასდილი (ასეა!) შაჰაბასი, ქართველის ქალის ნაშობი. დედა ამისი შალიკაშვილის ქალი გახლდათ. დედამ დასწყევლა ეს ბარბაროსი როცა საქართველოს ასაკლებად წამოვიდა. მიზეზები საქართველოს ამოგდების და მოსპობის იყო ორ ნაირი მხარე. ერთი, ქრისტეს სჯული, რომელიც მუსულმანებს დიდათ სძულდათ და მეორე, ქართველების რუსებთან დაახლოება XVII საუკუნეში, კახელ მეფეთა მიწერ-მოწერა მათთან და რომთან, რაც სპარსელებს ძრიელ აშინებდა. ასევე ეშინოდათ ოსმალთაც. საქართველოს მოსპობა აღმოსავლეთის თათრებმა ერთის მხრით მიტომაც გადაწყვიტეს, რადგანაც საქართველო სხვა სამეფოებივით ადვილად ვერ დაამხეს, ვერ მოსპეს. მართალია, ქართველებს ათი სამეფო ერთად ეცემოდენ: ოსმალნი, სპარსნი, არაბ-

ნი, ქურთნი, შირვალნელნი, ავღანელნი, სამარყანდელნი, თურქმენნი, კავკასიის მთიელ-ველურნი და სპარსეთის სხვა და სხვა თემთა თათართა სამთავროები, მაგრამ მაინც საქართველოს ვერ იმორჩილებდნენ ისე, როგორც დაამხეს არმენია XI საუკუნეს, ბიზანტია XV საუკ. ძველის-ძველად ქალდეველნი, სლავიანთა ტომთა სამეფოთა ბოლგარეთი, სერებია (ასეა!), რუმინია, ჩერნოგორია, ბოსინია, დალმაცია და ბევრიც სხვანი. მიზეზი ამისი იყო ქართველების განუსაზღვრელი გმირობა, მამულისათვის ბრძოლა, ერთი ბეწო მტკაველი მიწის არავის დათმობა, წართმევა და სხვანი. ქართველებს არც სხვებისაგან წართმევა მოსწონდათ და არც თვით ეცილებოდნენ სხვებს წასართმევად. ამიტომაც თათრები ვერ ახერხებდნენ ქართველების სრულიად დამხობას. ვერ ახერხებდნენ მიტომ, რადგანაც საქართველოში, ქართველებში, ყოველი პირი აი ასეთის მცნებით იყო სავსე;

დედები თავიანთ პატარა შვილებს აკვანზედ დამღერდენ ქვეყნის შვილობას და ერთგულებას. ასეთ ერთგულ ძლიერებას კარგად ასაბუთებს სიმონ მეფის ერთის წერილის შემდეგი სიტყვები, რომელ წერილიც მას რომის პაპისათვის მიუწერია. აი – „მრავალ გზის შევებით ოთომანებს. ვგონებთ თქვენც (პაპს) შეიტყობდით, რაოდენი შეწუხება და ტანჯვა გამოვიარეთ, მაგრამ მაინც გული არ გავიტეხეთ. ჩემს თავს გავსწირავ ერთიანად და აგრეთვე ჩემს ქორფა შვილებს. დავღვრი ჩემს სისხლს ვიდრე უკანასკნელს წვეთამდე, ვიდრე პირში სული მიდგა ხელს არ ავიღებ ოსმალების წინააღმდეგ ომზედ“. და სხვანი მრავალნი ამ გვარნი, რაც ცხადათ ასაბუთებს მაშინდელთ ქართველთ მამულიშვილების სულის ძლიერებას.

არავინ იფიქროს, რამ ასეთის განუსაზღვრელის გმირობით მარტოდ მეფენი და მთავარნი იყვნენ. არა, თითქმის ყველა ქართველი ასეთის ცნებით იყო ავსილი. მიტომაც სწირავდენ იგინი თავს მსხვერპლად. საქართველოს მიწა-მამულს აკვდებოდნენ და ერთ ბეწო ალაგს არვის უთმობდნენ. თუ არ ასეთი შეერთებული პირობა მთელის ქართველის ერისა, თუ არა ასეთი თავ-განწირვა, უამისოდ დღეს ქართველის ხსენება საქართველოში გამქრალი იქმნებოდა და მისი ტერიტორიაც დაკარგული. მაშინ კი გადავრჩით შავს დროის მახვილს და ეხლა კი ვკარგავთ ყველაფერს და ვესალმებით საყოველთაოდ საქართველოს ერთობას, ქართველ ერის მიწამამულს და მივდივართ გუდა-ნაბად მოკიდებული საიქიოს ჯანდაბისაკენ, ვესალმებით ყველაფერს, ვყიდით, ვფლანგავთ, განუსაზღვრელის მიწა-მამულის მოყვარე გლეხ-კაცობასაც გულს უცრუებთ საქართველოს მიწა-მამულზედ მჭიდროდ ყოფნისათვის და გულში უნერგავთ გულ-ცივობას საქართველოს ერთობის, მიწის სიყვარულის და მასზედ მკვიდრად ყოფნის.

უნდა ითქვას რომ XVII საუკუნე არის შავი-დრო ქართველთა, შავზედ უფრო მეტიც. სისხლის წვიმების დრო, როგორც თქმულა „ნუგზარ ერისთვის დროსაო, სისხლის წვიმების დროსაო“, ქუდზედ კაცის ძახილი, მღევარი, დედაკაცებთაგან მეომართა დედების გამოყვანა, თვით მღვდელნი და ბერნიც იბრძვიან, ბრძოლას არც მღვდელ-მთავარნი ერიდებიან, საქართველოსთვის დგება დიდი განკითხვის დღე. ამ დროს უნდა გადასწყდეს ქართველ ტომის არსებობის ბედი, ამ დროს უნდა აღიგავოს

საქართველოს პირზედ ქართველის ხსენება, ამიერიდამ უნდა მოისპოს ქართველობა და ეს ძვირფასი კუთხეც, ქართველების სისხლით მორწყული და გაპოხიერებულიც მუსულმანთა ტომის საბინადროთ უნდა გადაიქცეს. სწორეთ მიტომაც წამოვიდა საქართველოში შაჰაბაზი და თან წამოიყვანა აუარებელი აღმოსავლეთის ტომთა ჯარი, რომელთა საშუალებით გადალახა მთელი საქართველო. ესეთი მაგალითი იშვიათი იყო ხოლმე, რომ ყეინი თვით წასულიყო საომრად საქართველოზედ. ეს ბარბაროსიც თაეის მამის მსგავსად თამამად მოვიდა საქართველოში. მართალია, წადილი შეისრულა, მაგრამ მაინც ისე ვერ, როგორც სურდა. კახეთი კი დაამხო, წელში გაწყვიტა, გადაასახლა.

მას სურდა მთელი ქართლის ერის ამოწყვეტა და კახელთა და ბერდუჯელთა სრულიად სპარსეთში წაყვანა. პატრი ავითაბოლის სიტყვით[63] ყეინმა დაწო ქალაქები, დაბები, ხოცა ხალხი უღმერთოდ და უსამართლოდ, მთელს ქართლს ზარდასაცემი სურათი ეშალა თავზედ. დაამხო ყველაფერი, მოსპო, გააუქმა, დაანგრია ტაძრები, წაბღალა ყოველივე, როგორც ხელოვნური ჩუქურთმა, ისევე ფერადი ხელოვნური მხატვრობა. მოიტაცა ძვირფასი ნივთეულობა, დასწვა და დადაგა ბევრი რამ ქართული ძველი წიგნების, ერთის სიტყვით მთელს ერს მძლავრი მეხი დაარტყა და დაუძლურა, ბევრს თვალთაგან ცრემლები ადენინა, ბევრს აუგო ულვთოდ ანდერძი, ბევრს გამოსჭრა ყელი, ბევრის სისხლის სმით გაძღა მისი სვავი გული. იგი იყო შეუბრალებელი ტირან-დესპოტი და ტირანულადაც მოქმედებდა. მართალია, აღისრულა საწადელი, დანგრეულს და დაქცეულს საქართველოს სიამოვნებით უმზერდა, ბევრს ქართველს აღვრევინა მწარე ცრემლები თაეის დანგრეულს და დაქცეულს საქართველოზედ, ბევრმა დაღვარა იერემიას გოდება, ბევრმა ქართველმა დაანთხია სისხლის ცრემლები, მაგრამ რას იზამდენ, ერთზედ ათი, ოცი მოდიოდა და აბა რა უნდა ექმნათ (ასეა!).

მაინც არც ქართველები დაეცნენ სულით, ესენიც მძლავრად უხვდებოდნენ წინ და ბარბაროსთა ბრბოს გმირულათ ეომებოდნენ, ზედ აკვდებოდენ და უკან კი არ იხევდენ. ამათაც კარგად აენეს, ამათაც ისე გადუხადეს სამაგიერო, რომ შაჰაბაზს ქართლის ამოწყვეტის თავდარიგის შესრულება ველარ განუხორციელდა, ქართლიდამ ძლეული და თითქმის გაბრაზებული თფილისზედ დაბრუნდა, თფილისიდამ კახეთზედ გაიანდირა და ისრულა მისმა სვავმა გულმა თაეის წადილი. ეს შესძლო მან მხოლოდ შიგნით კახეთის ერთის ნაწილზედ, ბოდბეს, საინგილოს, გარეთ-კახეთს და მასთან ბერდუქისკენ, ანუ აწინდელს ბორჩალოს მაზრას. აქედამ მოკრიბა 80 კომლი ქართველი, უფრო ისეთის კუთხიდამ, სადაც განაპირა ადგილებში სოფლები შორი შორს იყო. დაჭერილებს სპარსელ ყარაულებ ქვეშ აპატიმრებდა და მერე რამდენსამე სოფლის ერს ერთად ამგზავრებდა სპარსეთისაკენ. ასე არა უმეტეს ათი სოფლის, ისე რომ მათ დანაც კი აღარ ეძლეოდათ. ერთ წყობას რომ გაისტუმრებდა, მის რამდენიმე დღის შემდეგ მეორე წყობას, მერე მესამეს და მეოთხეს.

63. სქოლიოში მითითებულია მ. თამარაშვილის ჩანაწერები.

გეგმა ისე ჰქონდა მოხერხებული, რომ გარდასახლებულნი გზაში ერთმანერთს ვერსად შეხვდებოდნენ, რომ ერთმანეთის ნახვით შეერთება არ მოეხდინათ და უკან არ დაბრუნებულიყვნენ. ეს საქმე ბარბაროს ისე აქვნდა მოწყობილი, რომ ქართველთ სულ არ იცოდნენ, თუ კახეთიდგან ვის და სად ასახლებდენ. ყოველ გარდასახლებულს მხოლოდ საშუალება ეძლეოდა, რომ სპარსეთში შაეტყო ქართველთ გარდასახლებულთ საქმე, ამასაც ზოგი შეიტყობოდა, ზოგი ვერა, რადგანაც საქართველოდამ ჩაყვანილებს მარჯვნივ და მარცხნივ ახევდნენ ისე, რომ მცირე ხნის შემდეგ ერთმანეთის ცნობაც კი ალარ იცოდნენ. გარდასახლებულთ ყოველს ყოველთვის თან ახლდნენ სპარსთა ჯარის კაცნი, გარემოცულნი. უმეტესი ნაწილის ბარგი-ბარხანა საქონლით და ურმებით მიჰქონდათ, ზოგს ჯორი და სხვა საქონელიც ახლდათ, ამასთან სხვაც ბევრი რამ, მაგრამ ყოველივე ესე მათ გზაში უწყდებოდათ ისე, რომ სპარსეთში ჩასვლისას მათ იქ ალარა ჩაჰყვებოდათრა (ასეა!), თითქმის ყოველივე გზაში ესპობოდათ და ეხოცებოდათ. თვითონ ხალხი კი ფეხით მიდიოდა. ამათაც ეკიდათ ზურგზედ ბარგი-ბარხანა. ამათში ერივნენ ყველა წრის კაცნი, ქალნი, ახალ გაზდები, პატარები, შუახანს შესულნი, ასევე მოხუცნიც. გზაში ისინი დიდს გაჭირებას, დიდს სიმშილს ავადმყოფობას და სიკვდილს სცდიდნენ. ამათ გარდა აქვნდათ გოდება საქართველოზედ, მწარეს ცრემლებით ტირილი. ყოველს მათგანს გული უტირდა მტრის მახვილისა და ჯავრისაგან, ყოველს მათგანს სული უშფოთავდა მასზედ, რომ დაუძინებელი მტერი მათ ასალმებდა თავიანთ სამშობლო ქვეყანას, მამა-პაპათა სახლ-კარს, ბაღს, ბოსტანს, ყანას, მთას, ბარს, ნაშთებს, ციე-წყაროებს, სუფთა ჰაერს, მამა-პაპათა საფლავებს, თანა მემამულეთ, ქართულ ენას, ქართველ ერს და საქართველოს მიწა-მამულს, რასაც ისინი თვალით ველარ ნახავდნენ. რამდენი ტიროდა ამისთვის, რამდენი გლოვობდა, რამდენი ღვრიდა ჩუმათ მწარე ცრემლებს ისე, რომ ეს სპარსთა ჯარის კაცებს არ შეემჩნიათ, რამდენი სწყევლიდა მტრის გაჩენის დღეს და იმ წუთს, როცა იგი ჩაესახა მის დედას გვამში, ყველა ამას კაცი ვერ მოსთვლის...

მგზავრობის დროს ძრიელ ხშირად ქართველნი დაღალულნი სიმშილისა და სიცივისაგან ავად ხდებოდენ. სპარსეთის მთავრობაც გზაში არაფერს დახმარებას აძლევდა, უმეტესათ ქართველნი სიმშილით მგზავრობდენ. ამიტომ ძრიელ ხშირად გზაში სტოვებდნენ უპატრონოდ თვით ისეთ ქართველთაც, რომელთაც სიარულის თავი ალარ აქვნდათ. ბევრს ალაგას გზაში უპატრონოდ დაუტოვებიათ ავადმყოფნი მოხუცნი და გზაში ველარ უტარებიათ. ესენი შარა გზაში ყრილან ავათმყოფნი, უღვრიათ მწარე ცრემლები, უწყევლიათ თვისი ამგველი და ასე და ამგვარათ დაულევიათ ცის ქვეშ ტანჯული სული. ასევე დიდის ტანჯვით და სულის აღშფოთვით დაულევიად გზაში სული ბევრს თვით ახალგაზდებსაც, რომლებიც ავად ყოფილან და სიარულის თავი არ ჰქონიათ და მიტომ მათ გზაში ტანჯვით თრევას, ისევ ერთს ალაგას გდება ურჩევიათ და ტანჯვით სიკვდილი. რაც ამ გვარად ქართველი სნეული კაცი და ქალი მომკვდარა გზაში, ყველა ამას ჩვენ ვერ ავნუსხამთ. რაც შეეხება პატარა ყმაწვილების რიცხს (ასეა!) და ესენიც ხშირად იხოცებოდნენ. ვინც ავად იყო და იმათ ტარება მშობლებისთვის ისე ძნელი იყო, რომ თავიანთ ბავშვებს თვითვე ულებდენ ბოლოს

და მით თავისუფლდებოდნენ მათი ტანჯვა საცოდავების მზერას და ტანჯვისაგან. ასე და ამ გვარად ჩვენ ვიცით, რომ ბედშავ ქართველთაგან გზაში მგზავრობის დროს იღვრებოდა მწარე ცრემლები საქართველოზედ და ამაზედ უარესი კიდევ მასზედ, რომ მრავალთ მათგან გზაში უცხო ალაგას და უპატრონოდ ელებოდათ ბოლო. ამათ საფლავებიც აღარ ელირსებოდათ და ბოლოს ცოცხალ-მკვდარნიც კი ნადირის საჭმელნი გახდებოდნენ. ყოფილა ისეთი მაგალითები, რომ გზაში უპატრონოდ დატოვებულ ავად-მყოფ სულთ მობძვავის ქართველის მგლებს დაუწყვიათ ჭამა და ღრღნა. ამისთანა შემთხვევები ერთობ ხშირად ყოფილა და ამიტომ მის გამო ბევრი მეტად მწარე ცრემლებიც დაღვრილა. როგორს ტანჯვასაც ქართველები სპარსთა წყალობით გზაში სცდიდენ, როგორს მწუხარებასაც აქ გზაში მზერდნენ, სპარსეთში ჩასვლის დროსაც არა მასზედ ნაკლები ელოდათ და იქ ჩარეკილნი, ნაღირს, გაუგებარს ერში სწორეთ პამპულები იყვნენ, საწყლები დიდს სულის მღელვარებას სცდიდენ და ტანჯვებს, მაგრამ რას იქმოდენ, ემორჩილებოდნენ მძლავრს მტერს. ქართველების დიდს გადასახლებას მოჰყვა დიდი უძლურება ქართველთა, მთელი სპარსეთი გაივსო საბრალო ქართველებით. მათ სპარსთა მთავრობა არაფერს დახმარებას აძლევდა. თუ მისცემდა რამეს და მაშინათვე სჯულის გამოცვლას სთხოვდა. მთელის სპარსეთის ქალაქები სავსე იყო ქართველთა მათხოვრებით, ცუდათ და უსაშველოდ მოსულთაგან. მერე ყაენმა ყველა ამ უბედურებს ის მოწყალება უყო, რომ ორ ორი ქართველი თითო შეძლებულ სპარსთა ოჯახებს მონებად მისცა. მონად დარიგების წყალობით სრულიად დაიქსაქსა ქართველობა და გაწყალდა, მაგრამ შემბრალე და პატრონი არ ვინ იყო. მთელს სპარსეთში ყველა ხედავდა ქართველების ცრემლს და ტანჯვას. ამ გარემოებას მკაცრად ყურადღება მიაპყრეს სპარსეთში მყოფ ლათინის პატრებმა და პაპების წინაშე მოხსენებათა გზაენა დაიწყეს. ასეთია მაგალითებრ პიეტრო დელა ვალე, რომელმაც სპარსეთში მყოფ ქართველთ ტანჯვები ანუსხა და პაპს აუწყა რომში 1624 წ. პატრი ავითაბოლე, პატრი იაკობი, პატრი თადეოზი და ვინ იცის, რამდენი კიდეც სხვანი, ენით მოუთვლელნი, რომელნიც იმ დროს სპარსეთში სცხოვრობდნენ და ქართველთ ტანჯვა ვაებასაც ყურადღებას აპყრობდნენ.[64]

სპარსეთში პყრობილ ქართველთ ტანჯვა-ვაებამ აამღელვარა ქეთევან დედოფალი, სადაც ყეინს შაჰ ბაზს ქართველთა განთავისუფლებას ავედრებდა, სთხოვდა საბრალო ტანჯულთა შინ, საქართველოში დაბრუნებას. ამ გარემოებამ შაჰბაზის გული ისე გააბოროტა, ისეც მხეცი ისე გაამხეცა, რომ ქეთევან დედოფალი პატიმარ ჰყო და უბრძანა ხმის გაკმენდა და, სჯულის გამოცვლა, რათა მის მაგალითით სხვა ქართველთაც მალე დაეთმოთ სჯული. ქეთევან დედოფალმა ეს არა ქმნა, იგი მაინც მაგრა იდგა და ქართველების საქართველოში დაბრუნებას ითხოვდა. ეს გარემოება შაჰბაზმა ველარ აიტანა და ქეთევან დედოფალი ქ. შირაზს, 1622 წ. აწამა. ჯერეთ შანთით დადალა, ძუძუები დასჭრა, სხვა ნაწილები და მერე სულ დაკუწეს ნაჭერ-ნაჭერ. წამების დროს ქეთევან დედოფალმა ციხის მცველს უფროს სთხოვა, რომ დედაკაცისთვის ჯა-

64. სქოლიოში მითითებულია: *) ისტორია მ. თამარაშვილისა.

ლათის წინაშე შიშველი არ არის კარგი რომ იყოსო და ამიტომ ვითხოვ, რომ ტანზედ ერთი სუდარა შემარჩინეთ და ისე დამდალეთო. სასჯელის წინეთ დედოფალმა ანბანთ ქება სთქვა ლექსად „გაფი“ ამით მოსთქვა სპარსეთში მყოფთ ქართველთ პატიმრობა: „ან ამას ვსტირი, ბან ბნელსა მჯდომი, გან გულმდუღარე დონ დანატირიო“ და სხვანი. სწორედ ამ დროსა და ხანაზედ ითქმის იოსებ სააკაძისაგან თქმული: „თავო ჩემო ვით გასულო, სევდიანო, როგორ წყლულო,

საქართველის სჯულისათვის ათას ფერად წამებულო“.

ჩვენგან შეუძლებელია ქართველთა შავი დღეების დაწვრილებით ანუსხვა, მას დიდი, ერცელი ისტორია აქვს. სპარსეთში ქართველნი თუ რა ტანჯვას იტანდენ, რა წამებას, რა ცხარე სისხლის ცრემლებს ღვრიდენ, როგორ მოსტიროდნენ თავიანთ სამშობლოს და ან როგორ წყდებოდნენ უღვთოდ, ეს კარგადა სჩანს იმ დროის ლათინის პატრებთა აღწერისაგან. ქართველები რიცხვით სპარსეთში ერთს მილიონამდის არის წაყვანილი, მეტიც. მერე რა იქმნა ეს ხალხი? რა იქმნა და ზოგი გზაში გაწყდა, ზოგი შიგ სპარსეთში, ზოგი გადაგვარდა და ამით მოისპო ყოველივე. თავი შეირჩინეს მხოლოდ აი აქ ანუსხულთ სოფლის ქართველთა, რომელნიც შაჰაბაზმა სპარსეთის განაპირა ადგილებში დაასახლა საყარაულოდ და სადაც სპარსთ მათში მისვლა-მოსვლაც არ აქვნდათ. აი ამ გარემოებამ დასტოვა ეს ხალხი დღემდე თავის ენით, თორემ ესენიც რომ სხვებივით დაეფანტა აქა იქ მთელს სპარსეთში, მაშინ ალარც ხსენება იქნებოდა ამათი.

აი ეს ქვემოთ მოყვანილი სოფლები, რომლებიც ეხლა გვაცნობეს სპარსეთიდამ მოსულ ქართველებმა. ამ სოფლის სახელების (ასეა!) ვ. ალნიაშვილმაც აღწერა, ჩემი წიგნის შეცდომებიც გაასწორა. მისის ანუსხვით ფერეიდანის კუთხის ქართველთა ნაწილის ადგილებში 26 სოფელი ყოფილა. ამათში რვა სომხისა, ზოგი თურქის და ზოგიც თათრის, დანარჩენი ქართველების არის. სომხების შესახებ ვ. ალნიაშვილი ამბობს, რომ იგინი ქართველთ შთამომავალნი უნდა იყვნენო, ხოლო გათათრების დროს სომხის სჯულზედ გადასულნი, რათა მით ქრისტიანად დაშთენილიყვნენ, ეს მაშინ ადვილად მოხდებოდაო, რადგანაც იმ დროს იქით სომხის ერი და სამღვდელოებაც იყო და იგინი არც დევნაში იყვნენო, მეორე თვით მათი ტიპიც ძალიან გავს ჩვენს ტიპსა და მესამე პირჯვარსაც დღემდე ქართულად იწერენ და არა სომხურადაო. ესეც შეიძლება სრულ ადვილად. ჰაზრია, რომ მთლად ამ 26 სოფლის მცხოვრებთ შორის ქართველნი მრავლად უნდა იყვნენ, ხოლო მათ დაკარგული უნდა აქვნდეთ თვისი ენა, ვინაობა და სხვა. ასეთი მაგალითები ხშირად ყოფილა სპარსელ ქართველებთ შორის.

1) ჯაყჯაყი ქართული სოფ. 200 კომ.
2) სიბაქი 250
3) ჩულურეთი 200
4) ზემო მარტყოფი, ახორა 1200
5) ქვემო მარტყოფი, ახორა 200
6) დიესური 150
7) ნინო-წმინდა 200

8) შეშკანი 150
9) ტაშკეშანა 250
10) აფუსი, ძველად რუის-პირი ეწოდებოდა 700
11) თელავი, ანუ თოლერი 600
12) ბოინი 800
13) შაურდი 200
14) ვაშლოვანი?
15) აბას-აბადი მეშედისკენ სძევს, ენა დაკარგეს.
16) არზამპოლი, ჩამადანთან[65] ახლოს, ენა დაკარგეს.

ლილო, ნორიო, პატარძეული – თეირანსა და თავრიზს შუა სძევს, ენა დაუკარგავთ.

ზემო ხსენებულს სოფლებთ შორის 9 სოფელში ქართული[66] ენა დაკარგულია. ქართულს ლაპარაკობენ მხოლოდ შვიდს სოფელში. ცხადი საქმეა, აქაც მალე დაიკარგება ეს ენა, რადგანაც მისი სხეული გახრწნილია და ენის აგებულება, მნიშვნელობა და საჭიროებაც მკვდარი. აქამდის დარჩათ ამათ ეს ენა და დღეის შემდეგ კი ალარა გვგონია, ესენი ამ ენის შენახვას ველარ შესძლებენ.

თუ არ გვინდა რომ ეს ასე მოხდეს, მაშინ ამ ხალხის საქმეებს და ენის მფარველობის შრომას ჩვენგან ყურადღება უნდა მიექცეს. მაშინ კი შეეძლებათ ამათ, რომ თავიანთი შრომის ნაყოფის შედეგი ნახონ, ქართული ენის და წიგნების საშუალებით სპარსულ წიგნებზედ უფრო უკეთესად დაუახლოვდენ ევროპიულს რიალურს განათლებას, ქართული ენის და ქვეყნის მამულისშვილობას, ქართულ მოქალაქობას.

ჩვენს უძლურებაში ხშირად სპარსელთ ჩვენი მეზობელნი ლეკნიც ეხმარებოდენ. მაგალითებრ შაჰ აბაზმა პირველ მოსვლის დროს საქართველოში ჯერეთ ერევანი აიღო და მერე აქედამ კახეთის მეფეს ალექსანდრე და გიორგის კაკი ჩამოართვა და მის მაგიერ მათ წელიწადში 700 თუმანი დაუნიშნა. ამ საქმის მოხერხებაში ლეკნიც იღებდენ მონაწილეობას. მეორედ მოსვლის დროს (ქართ. ცხოვრებით 119 გვ. ტ. II) შაჰაბაზმა გაწყვიტა მთელი კახეთის ხალხი. ამ უბედურებაში მას დიდათ ეხმარებოდნენ ლეკნიც. ვინც მტერს გადარჩა კახეთში, მათ თავი შეაფარეს თუშ-ფშავ-ხევსურეთში. კახეთიდამ აყრილის ზოგი მაზანდარანს დაასახლა, ზოგი ხორასანს, ზოგიც ფრეიდანს (იქვე 118 გვ. II ტ.).

შაჰ აბაზმა საქართველოში თავის მოადგილედ ფეიქარხანი დატოვა, რომელიც აგრეთვე ქართველებს ასახლებდა სპარსეთში და მათ სოფლებში თათრები და ლეკები შეჰყვანდა და აბინავებდა. ასევე ბოროტად ჰყრიდა და ასახლებდა სალიმ ხანიც, ამან გაავსო საქართველო თათრებით. ლეკებისგანაც ისეთივე აოხრება ეძლეოდა კახელთ როგორც თვით სპარსთაგან, ლეკებმა ისე გაიმაგრეს ფეხი სპარსთა წყალობით, რომ მათ საინგილოს ქართველთ 1720 წლიდამ სუნის სჯულით გათათრებაც დაუწყეს. ამ სჯულის ვრცელებში (ასეა!) სპარსეთი არაფერს დავას უწევდა, ოღონდ

65. არზანფულ-ი/არზანფუთ-ი. ჩამადან-ი - უნდა იყოს ჰამადან-ი (ავტ).

66. წიგნში კორექტურაა: ქათული.

კახეთი მოსპეთ, გაათათრეთ და რაც გენებოთ, ის ქენითო. გამხეცებულ ლეკნიც ქართველებს ხშირად იტაცავდენ და დალისტანშიაც რეკავდენ, სადაც რასაკვირველია მათ ათათრებდენ. ასე და ამ გვარად, ქართველთათვის XVII საუკუნე არის ისეთი ტყეობის, გარდასახლების და მოსპობის ხანა, როგორც ძველად ისრაელთა, ქალდეველთა, ჰაოსიანთა და სხვათა ამ გვარად დაჩაგრულების აოხრება, დაპნევა, ემიგრაცია.

უნდა შევნიშნოთ, რომ ხშირად ჩვენი მეისტორიენი სცდებიან, როცა სპარსთა გადასახლებულთ სულობით მოიხსენებდენ, უნდა იხსენებოდეს კომლობით. ისიც ცხადია, რომ შაჰ აბაზმა 80 კომლი გადაასახლა და არა სული. ამასვე ასაბუთებდენ იმ დროის სპარსეთში მყოფ ლათინის ბერები. იმავე დროის ლათინთ პატრი ორსინეს აღწერით: შაჰ ბაზს საქართველოდამ სპარსეთში გადუსახლებია 80 ათასი კომლი. ამათ ალაგას მათ მაგიერ დაუსახლებიათ სპარსელები და სომხები (87 გვ. მ. თამარ). თუ რამდენად უბედური იყო სპარსეთში წაყვანილთ ქართველობა და თუ როგორ სწყდებოდნენ იგინი, ამას ასაბუმებს (ასეა!) იმავ დროს რომის პაპთან დელა ვალე 1624 წ. „ქართველთა დიდს გადასახლებას მოჰყვა საზარელი წყვეტა-ქლეტა, რამდენი სიკვდილი გაჭირვებისაგან. რა გლეჯა, რა გახრწნა, რა ძალდატანება, რამდენი ჩვილი ყმაწვილები თავიანთ მშობლებმა დაახრჩეს ან წყალში ჩააგდეს სასოწარკვეთილებისაგან. რამდენი სხვა მოჰკლეს სპარსელ ჯარის კაცებმა მიტომ, რომ ისინი სასიცოცხლო არ იყვნენ. რამდენი ძალით მოგლეჯეს დედის ძუძუს და დააგდეს შარაზედ მხეცების საჭმელად ან მხედრების ცხენების და აქლემების სასრესად. მხედრებს არა ერთხელ უვლიათ ქართველთა მიცვალებულთა ლეშებზედ. რამდენი მიცვალებულის გვამი მგელს, ძაღლს და ნადირს უხრია და უგლეჯ-უჯიჯგნია. რამდენჯერ მამა – შვილს, ქმარი – ცოლს, ძმა – და მოაშორეს ისე, რომ იმათ იმედიც არ შერჩენიათ როდისმე ერთმანეთის ნახვისა. ამ სამწუხარო შემთხვევაში რამდენი ქართველი ქალი და კაცი იყიდებოდენ ყველგან პირუტყვებზედ უფრო იაფად. რამდენი ამისთანები სხვა მოხდა, ღირსი შებრალებისა, მაგრამ ვინ მოსთვლის, ყველას თქვენის უნეტარესობის და წმიდის ფერხთა წინაშე“. „ივერია“ 1879 წ. დელა-ვალეს მოხსენება.

აი სურათი იმ უდიდეს რიცხვ ქართველებისა, რომელნიც სპარსეთში იყვნენ გადასახლებულნი და რომელნიც ასე საცოდავად სწუხდებოდენ და ისპობოდნენ. ესეთი გარემოება რომ არა, მაშინდელს მთელს სპარსეთში არ იქნებოდა არც ერთი ქალაქი და სოფელი დაშთენილი, რომ იქ ქართველთაგანი არვინ ყოფილიყო, ეხლა კი იქ ამისი ალარაფერია სრულებით.

1907 წ. იანვრის პირველს რიცხვებში სპარსეთიდამ თბილისში ჩამოვიდნენ სპარსელ ქართველნი: ყოლა მუსეინ ონიკაშვილი და ყოლა ამრეზ ხუცისშვილი[67]. ამათი მოსვლა ქართველთათვის იყო მეტად უცხო და არ მოსალოდნელი. ამათ ნახვამ და ლაპარაკმა დაგვისაბუთა სიდიადე ქართველის ერისა, რომლის ზოგიერთ შვილთ შესძლებიათ, რომ უცხო, შორს ქვეყნებში თავიანთი ენა შაენახათ.

67. უნდა იყოს: ყოლამ (ი)უსეინ ონიკაშვილი და ყოლამ რეზა ხუციშვილი.

ამ სპარსელ ქართველთ მოსელის ამბები ადგილობრივ გაზეთებშიაც იბეჭდებოდა. 11 იანვარს ვნახე ეს ქართველ სპარსელნი. გავიცანით, ლაპარაკი დავიწყეთ და მათგან ბევრი რამ მოვისმინეთ. ესენი მოთავსებულნი არიან ჩვენში კარგად ცნობილ მოღვაწე ლუარსაბ ბოცვაძესთან. ორივე ესენი აღმოსჩნდნენ სოფ. ზემო მარტყოფელები, 30 წლებს მიახლოვებულნი, ორივე დანიშნულნი, მაგრამ ისე დატოვებულ იქ მათი საცოლონი და ესენი საქართველოში წამოსულნი, ორივ თავიანთებურად ნასწავლები არიან სპარსულს ენაზედ, ქართულს ეხლა სწავლობენ და აი რამდენსამე დღის განმავლობაში ქართული კითხაც (ასეა!) ისწავლეს.

კილო ამათის ლაპარაკისა არის ასე: წავიდის-ყე, მოვიდის-ყე და სხვანი, უფრო ქიზიყურია, ანუ როგორც „ამირან-დარეჯანიანია“ ნაწერი, „დილარიანი“ და სხვა ძველი მოთხრობები. ამათი წამოსვლის მიზეზი საქართველოში ის ყოფილა, რომ მათ დიდი სიყვარული ჰქონიათ საქართველოს გაცნობის და ნახვის, პატარაობიდანვე ამთ (ასეა!) დიდი ტრფიალება ჰქონიათ თავიანთ სამშობლოს ნახვის. მათში თურმე ზამთარში ბერი კაცები და დედაკაცები ახალგაზდებს მოუთხრობენ თვის გადასახლების ამბებს, თავიანთ ძველების ცნობებს, ახალგაზდებიც სიამოვნებით ისმენენ მოთხრობილ ცნობებს. მათ საკვირელად აქვსთ მიღებული თვისი გადასახლების საქმენი და კარგად არ იციან მიზეზები გადასახლებისა. ის კი იციან, რომ მათი დამრბევი და გადამსახლებელი შაჰ აბაზი ყოფილა. ამ მეფეს დიდათ ემდურიან და წყევლაკრულვით მოიხსენებენ. რას ემართლებოდა, რომ ჩვენს მამაპაპებს სამშობლოდამ ასე შორს ასახლებდაო.

ამ პირთა სიტყვით, სპარსელ ქართველნი თუმც მუსულმანები არიან, მაგრამ დიდი სიყვარული აქვსთ თურმე ქართველებისა. საქართველო და ქართველი ამათ აჭარლებივით არა სძულსთ, არამედ საქართველოს დიდის პატივით იხსენიებენ და ქართველიც სანაქებოდ მიაჩნიად. ის რაც სამცხე-საათაბაგოს ქართველ მაჰმადიანებში მკაცრად იგმობა, იგი ამათში იქება და ილიდება. მიზეზი ამისი ის უნდა იყოს, რადგანც სპარსელ ქართველნი საქართველოდამ ერთობ შორს არიან წაყვანილნი და მეორე, როგორც გადასახლებულთ და შორს-მყოფთ გულში დარჩენიათ ნაბერწკალი თავიანთის ქვეყნის სიყვარულისა, ხომ მოგეხსენებათ, შორს მყოფს უფრო უცხოველდება მამულისშვილური გრძნობები. სპარსელ ქართველთ არამც თუ უყვართ საქართველო და ქართველი, არამედ საპატიოთაც მიაჩნიათ იგი.

ყოლა მუსეინ ონიკაშვილმა მიამბო: ჩვენში ერთი მოხუცი ბრმა კაცი ავად გახდა, მალე შეწუხდა. ჩვენ ვნახეთ და ვკითხეთ: იქნება გსურს რამე, გვითხარ და ჩვენც მოგართმევთ მასაო. მოხუცს უთქვამს: მე მინდა ერთი რამ, მცირე დროით თვალი გავახილო და მის მერე ერთი ისეთი კაცი ვნახო, რომელიც საქართველოს ამბებს მიამბობს და მასთანავე იმასაც დამანახვებს, თუ საქართველო რომელ ქვეყნის კუთხეში სძევს. აი ეს მინდა, ეს მენატრება. ასეთ სიტყვებს და ნატვრას იქ მყოფ ქართველებზედაც ერთობ კარგი გავლენა ჰქონია. ონიკაშვილს და ხუციშვილსაც უფრო მომატებიათ გულის ძგერის ძალანი. ესენი ამით უფრო აღფრთოვანებულან საქართველოს მოძებნის სიყვარულის ძალით. დიახ, სპარსელ ქართველნი თურმე

დიდათ მოყვარულნი ყოფილან საქართველოსი. დღემდე მათ სანაქებოდ მიაჩნიათ ის გარემოება, რომ სპარსელნი მათ გურჯებს ეძახიან, სპარსელები ამათ სხვა და სხვა ბარათებში და საქმეებში ქართველთ იხსენიებენ, როგორც ქართველთ. თვით ეს პირნიც თავიანთ პასპორტებში ქართველებად არიან ხსენებულნი, თვით სავაჭრო საქონლის გასაყიდ-გამოსაყიდ ბარათებშიც კი ესენი ქართველად არიან მოხსენებულნი. ასეთი სავაჭრო ვაჭართა ბარათები ამათაც აქვსთ.

ამ პირთა თქმით, ვლადიმერ ალნიაშვილი მათს სოფელში 12 დღეს დარჩენილა.[68] მაშინ ჩვენ ახალ გაზდები ვიყავითო, როცა ის ჩვენში მოვიდაო. მისი დიდი მადლობელნი ვართო. მან ბევრი რამ გაგვაცნო საქართველოს და ქართველების შესახებ კარგი ცნობებიო. მან გადმოგვახედინა ჩვენის სამშობლოსაკენაო. თუმცა მის მოსვლამდისაც ვიცოდით რომ საქართველო იყოვო, ხოლო ის კი არ ვიცოდით, თუ ეს ქვეყანა სათ იყოვო. ამიტომ ეს პირები განსვენებულს ვლადიმერ ალნიაშვილის სახელს ქება-დიდებით და სიყვარულით მოიხსენებენ, მის ამაგს და პატივის-ცემას ჩვენ არ დავივიწყებთო.

ათამ ონიკაშვილის შესახებ ამათ ვერა სთქვეს რა, იგი ჩვენგან 1870 წლებს უნდა იყოს წამოსულიო, რადგანაც მაშინ ჩვენში დიდი მოუსაქლობა და შიმშილი ყოფილა და ამიტომაც მრავალნი აქეთ-იქით გადაცვივნულანო. ბევრს, ერთმანეთი დავიწყებიათ და ალარც შინ დაბრუნებულანო. ვგონებთ, რომ ეს ათამაც მაშინ უნდა იყოს ჩვენის ქვეყნიდამ კარში გასული და მერე აქეთ წამოსული და საქართველოში მოსულიო.

სთქვეს ამათ, რომ მათში თურმე ყველას აქვს სურვილი საქართველოს ნახვის და ქართველთან ქართულად ლაპარაკის. ასეთ ნატვრით ავსილნი არიან თვით ის ქართველებიც, რომელთაც ქართული ენა დავიწყებიათ და დღეს სპარსულადღა ლაპარაკობენ. თვით ესენიც კი ქართველებათ იწოდებიან, ამათაც კი აქვთ სურვილი ქართული ლაპარაკის შესწავლისა. რამოდენიმე ალაგას, ასეთ ქართველთ ხსენებულის პირებისათვის დაუვალებიათ, რომ ეგები საქართველოში თქვენ ქართული ლაპარაკი და წერა-კითხვა კარგად ისწავლოდ და მერე ჩვენც გვასწავლოთო. სთქვეს ამათ, რომ ჩვენებურს ქართველთ სპარსეთის ყეინები ძრიელ სძულთო. მათ კრულვით იხსენიებენ მის გამო, რომ საქართველოს რათ ანგრევდენ და აქცევდენო. ყეინებს თურმე ყოველთვის ჩაკდომით იტყვიან და არა სიკვდილით. ქართველებში თურმე ბევრი რამ ამბებია ზეპირ დაშთენილი მასზედ, თუ მათ წინაპართ რა წვალება გამოუვლიათ აქედამ გადასახლების დროს, რა ტანჯვა, ცრემლის ღვრა და სხვანი. ეხლა ჩვენ რომ წამოველით და გამოვიარეთ იმოდელი გზა, ეხლა ჩვენ რომ ვნახეთ ჩვენი წვალება და უძლურება, ეხლა წარმოვიდგინეთ ის მწარე უძლურება და საცოდაობა, თუ ჩვენი ძველები რა ტანჯვას გაიკლიდენ, რა მწუხარებას და საშინელს მდგომარეობაში იქნებოდენ მგზავრობის დროს, ისიც იმ დროს, XVII საუკუნეს. მათი ტანჯვის ანუსხვა შეუძლებელიაო. ამათ ფრეოლანიდან თეირანამდე 27 დღეს უვლიათ

68. წყაროში ეს წინადადება შეცდომითაა: ამ პირთა თქმით ელადმერ ალნიაშვილს მათს სოფელში 12 დღეს დარჩენილა.

და იქიდამ სპარსეთის სამზღვარამდე 10 დღეს და მერე საქართველოში მოსვლაზედ რამდენიმე დღე.

თქვეს, რომ ჩვენში, ვისაც კი ვნახამდით ხოლმე საქართველოსკენ მყოფ სპარსელს თუ სომეხს, ყველას იმასა ვკითხამდით, თუ საქართველო საით სძევსო? ზოგი გვეტყოდა, რომ საქართველომდის აქედამ ექვსი თვის სავალიაო, ზოგი იტყოდა ხუთი თვისაო, ზოგი მეტს და ზოგი ნაკლებსო. დღემდე ჩვენ ამ ქვეყნის არაფერი ვიცოდითო, დღეის შემდეგ კი გაგვეხსნა გზა და ამის შემდეგ ჩვენს ქართველებს დაწვრილებით გავაგებინებთ ჩვენი სამშობლო ქვეყნის ვითარებასო. ჩვენი ნალველა აქამდის იყოვო, რომ ჩვენ ისე დავკარგულვართ, რომ ცნობაც არა გვქონდა ჩვენი სამშობლო ქვეყნისაო. ეხლა კი ეს ნალველა მოგვესპობაო.

საქართველოში წამოსვლა, ქართველთ მოძებნა და ნახვა ჩვენ პატარაობიდამვე გვქონდაო. ვიტყოდით ხოლმეო: ჩვენ, თუ ჩვენს სამშობლო საქართველოს ვერ ვიპოვნითო, უამისოდ ჩვენი ყოფნა შეუძლებელი იქნებაო. განვიძრახეთ, მოვიწადინეთ ჩვენის ქვეყნის და ქართველთა პოვნა და ნახვა, ეს შეგვსძელით კიდეც, მოვახერხეთ, გველირსა, მოვახწიეთ ჩვენს სამშობლომდისო. ამ განძრახვის შესრულება მოგვცა შემდეგ მიზეზებმაც: ჩვენს სოფელში ყაჩაღები დაგვეცნენ და გაგვცარცვეს, მოგვპარეს 1.700 მანეთი. ამ ფულის და ყაჩაღების გამო ჩვენ თეირანში მოგვიხდა ჩასვლა და ყეინთან საჩივარიო. ჩვენ იქ მოვისაქმიანეთ ფულის გამო და მის მერე მივეცით ზრუნვას, რომ სადმე ერთი კაცი გვენახა ვინმე და მის საშვალებით ქართველი კაციც გვეპოვნა და მისგან შეგვეტყო რამე ცნობები ჩვენი ქვეყნის შესახებ. ჩვენ მალე ვიპოვნეთ ერთი სომხის მღვდელი და ამასა ვკითხეთ. ამ მღვდელმა ჩვენ მიგვასწავლა ერთ ღვინის გამყიდველ სირაჯთან. ჩვენ ამასთან მალე მიველით, გავიცანით ერთმანეთი. იგი აღმოჩნდა საქართველოს სომეხი, კახელი. ჩვენი გაცნობა ძრიელ გაეხარდა. იგი გაგვიმასპინძლდა, დაგვპატიჟა და გვესაუბრა. მალე თავისთან დაიბარა ნაცნობები და გაგვაცნო. ჩვენი გაცნობა ყველას დიდათ გაეხარდათ. მალე გავიცანით იასონ მენაბდე, თეირანის რუსის ბანკში მოსამსახურე; იასონს ძრიელ გახარებია ქართველების ნახვა. ასევე ამათ მალე გაუცვნიათ გაბოც. თეირანში სულ ათამდე ქართველი ყოფილა. ყველანი გაუცვნიათ მალე. იასონასთან მთელი ღამეები უთიებიათ ლაპარაკში. საუბარი სულ საქართველოზედ ჰქონიად. იასონსვე დაუყენებია ესენი საქართველოს გზაზედ, ბევრი რამ დარიგება მიუციათ და მასთან საქართველოს ამბებიც უამბნიათ, ქართული ანბანიც კი დაუწერიათ ამათვის (ასეა!) იქ და სწავლება დაუწყებინებიათ. მალე ფულით დახმარებაც ამოუჩენიათ და საქართველოს გზაზედაც დაუყენებიათ.

ბევრი მგზავრობის შემდეგ ესენი მოსულან ბაქოში. აქ ამათ გაუცვნიათ ალექსანდრე ბერელაშვილი. ალექსანდრეს[69] ამათვის შესანიშნავი სალამი, პურ-მარილი და თავაზი გაუწევია. ამისი და იასონის დიდი მადლობელნი არიან. ბაქოდან ესინი(ასეა!) თბილისში ჩამოვიდნენ და გაიცნეს ქართველები. ამათი ცხოვრების და ზრუნვის საქმე ჩვენმა საზოგადოებამ იკისრა. მალე მათ მასწავლებელიც მიუჩინეს

69. დედნში კორექტურის შეცდომაა – ალაქსანდრეს.

და ქართული წერა-კითხვის სწავლებაც დაწყებინეს. ქართულ წერა-კითხვაში მათ კარგი ნიჭი გამოაჩინეს და მოკლე დროის განმავლობაში ისე დახელოვდნენ, რომ მათ თავისუფლად დაიწყეს ქართული წიგნების კითხვა. ყოლა მუსეინ ონიკაშვილმა თავიანთ მოგზაურობაც დასწერა, რომელიც დაბეჭდილია 1907 წ. გაზეთ „ისარის“ №112 113 და სხვა შემდეგ ნუმრებში. ამავე პირმა 24 ივნის, 1907 წ. თფილისის საკრებულო დარბაზში საჯაროდ წაიკითხა თავიანთი ქვეყნის ანუ ქართველ სპარსელების ცხოვრება, რამაც საზოგადოება აღტაცებაში მოიყვანა. ასევე ამათ მიმოვლეს საქართველოს ზოგიერთ ქალაქებში და იქაც ამ გვარად გააცნეს საზოგადოებას თვისი ცხოვრების ამბები. რადგანაც ამათი ნაწერები ცალკე დაიბეჭდება, ამიტომ აქ მოკლედ ვსჭრით საუბარს.[70]

სპარსელ ქართველთა გადასახლების დიადი ისტორია ერთობ ღარიბია, ამიტომ ჩვენ აქ კიდევ გადასახლებულთ შესახებ ვისაუბრებთ. სპარსეთში დღემდე დაშთენილთ ქართველთ ერთმანეთის იქ ცხოვრების ცნობაც არ იციან. თვით აი ამ პირებმა სთქვეს, რომ ჩვენის მგზავრობის დროსა. სპარსეთის კუთხეებში რამოდენიმე ალაგას შეგვხვდა ქართველთა სოფლებიო. იქ მცხოვრებნი ქართველნი არიან, ხოლო ქართული ენა კი დაკარგული აქვთო. ზოგ ალაგას ასეთ ქართველთ ენის დაკარგვის გამო სინანული გაუცხადებიათ, და ამათვის დაუვალებიათ, რომ საქართველოში ეგება თქვენ ისწავლოთ ქართული წერა-კითხვა და მერე ჩვენ დაგვასწავლოთ. ვიტყვით, რომ სპარსელ ქართველნი გადასახლების დღიდანვე ისეთ გასაველურებელს გზას დაადგენ, ისეთ დასალუპს და გადაგვარების, რაისგამო სადღეისოდ მათ გულსა და ხსოვნაში ისეთი ცვლილება დანერგიათ, რითაც მათში მკაცრად აღმოკვეთილა მისი ცნობიერებაც, რომ ვითომ ქართველებს თავიანთი საკუთარი ანბანიც კი ჰქონდესთ. მათ ამის წარმოდგენაც აღარ ჰქონიათ. ჰგონებიათ რომ ქართველებსაც მათებურად არაბული ანბანი აქვსთ მიღებული, ამასვე ასაბუთებს ვ. ალნიაშვილის ცნობა. იგი სწერს: როცა ამათ ქართული ანბანი ვუჩვენე, იგინი ამით დიდათ გაკვირდენ და სთქვეს, რომ ეს ჩვენ არ ვიცოდით, თუ ქართველებს თავიანთი ანბანი ჰქონიათო.[71]

„შავთა-დროთ ვერა შესცვალეს, მის გული ანდამატისაო“ ეს თქმულა, მაგრამ ვიტყვით, რომ ეს თქმა სწორე შეხედულების მომასწავებელი არ არის. ქართველები უკვე შესცვალა შავმა დრომ და კისერიც მოადრეკინა როგორც სპარსთა მონების წინაშე, ისევე თავისიანების და გადაგვარების. ეს რომ ასეა, ამას ასაბუთებს ის გარემობაც, რომ თვით ზემოხსენებულ პირთა თქმით სპარსელ ქართველებში დღეს მხოლოდ რვა სოფელშილა იციან ქართული, დანარჩენში ამოვარდნილია და ყოველივე ისე დაკარგულა, რომ მათ თვით ქართული ანბანის არსებობის ცნობაც კი არა ჰქონიად. ესე გადაგვარება, ესე მორჩილება შავის-ბედისა, სწორედ უნდა ითქვას, რამდენიც ქართველთ უძლურებით აიხსნება, იმდენადვე სპარსთა მახვილის და მონებისაგან, რაც ამათ შავს დროს უმორჩილებად და ცბიერის შაჰაბაზის ბოროტებას და მახვილს

70. სქოლიოში მითითებულია: *) გაზ. „ისარი“

71. სქოლიოში მითითებულია: *) სპარსელი ქართველები. ვ. ალნიაშვილისა.

გულსა და სულშიაც დიდის შიშით უნერგავდა. სომხურის წყაროების ცნობებით, მე არ მაქვს იმედი, რომ დღეის შემდეგ სპარსელ ქართველთ შორის შეინარჩუნოს ვინმემცა თავისი ენა და ცნობიერება. თუ ეს ასე არ მოხდა, მაშინ სწორედ საკვირველება იქმნება. აქამდის თუ ქართველი კაცი ადვილად ჰკარგავდა თავის ძველს სჯულს და ახალს უერთდებოდა, აქამდის თუ იგი ადვილად არა ჰკარგავად თავის მიწა-მამულს და ენას, დღეს კი გარემოება ისეა მოწყობილი, რომ ქართველი კაციც ადვილად სთმობს თავის ენას, მიწა-მამულს და ეთვისება სჩვისას. ამის მაგალითია სპარსელ ქართველთ ვითარება, რომ იქ დაკარგეს თავისი ენა, სჯული, ქვეყნის ხსოვნაცკი, თვით ქართული ანბანისაც და მის მაგიერ შეითვისეს სხვისა, თვის მოსისხარე მტრის. ასევე მოხდა ოსმალოს საქართველოში და აქაც დაკარგა თვისი ღვიძლი ენა მათმა ნაწილმა. ყველა ეს მაგალითები ცხადი საბუთია, რომ ასე ეიფიქროდ. 1873 წ. თფილისში სპარსეთიდან ათამ ონიკაშვილი რომ ჩამოვიდა, მაშინ ნიკოლოზ ყიფიანმა „დროებაში“ პატარა ფელეტონი დაბეჭდა და მერე ცალკე წიგნათაც დასტამბა. იქ ის აზრი გაატარა, რომ სომეხი კაცი ყოველთვის იცავს თავის სჯულსა და ენას კი ჰკარგავსო. ქართველი კი ჰკარგავს სჯულსაო და ენას კი იცავსო.[72]

ეს არ არის სწორედ, სომეხი თავის სჯულს მაინც იცავს და ქართველი კი ადვილად სთმობს სჯულს და მასთან თავის ენას და მწიგნობრობასაც. ყველა ეს ჭეშმარიტია, რადგანაც მაგალითებიც თვალთ წინ გვაქვს, განა შეიძლებოდა, რომ იმოდლა ქართველებს, როგორც იყო ოსმალეთში, რომ ისე ადვილად დასთმეს ქართული ენა და ხსოვნა, როგორც ქართველებმა. რასაკვირველია არა. მაგრამ დასთმო ქართველმა მიტომ, რადგანაც მიზეზი ზოგი ოსმალ-სპარსთ მონება, დევნა და ტანჯვა გახლდათ და ზოგიც ის გარემოება, რომ ქართველ კაცს ამ დროისთვის უკვე ადვილად გადაებნა გულიდამ თავის ვინაობის, სამშობლო ქვეყნის და მის ისტორიის ხსოვნის მაღალი სხივები.

ცბიერის აბაზის გულიც სწორედ ამით იყო სავსე. მან ქართველების გმირობა კარგად იცოდა და მიტომაც ელტოდა ამათ გადასახლებას, სპარსეთში დასახლებას და გადაგვარებას თვით სულიერადაც, რათა მის მერე კახელ ვაჟკაცთ გმირებიც ჰყოლოდა. სწორედ მიტომაც დაეცა საქართველოს ორჯერ, ველურად შემოვიდა დიდის ჯარით, ორჯერვე კახეთის ნახევარი პირქვე დაამხო და 1617-18 წლებს საკმარისად დიდი რიცხვიც წაგვართვა და წაიყვანა. ამ მანქანების ცბიერებას მით უფრო შვრებოდა, რადგანაც XVII საუკუნეში ოსმალეთმა დიდათ იწყო ამაღლება და ამათი ძალა თვით სპარსეთსაც ერთხმებოდა გარს და ანიავებდა. ამის დროს ოსმალეთს სპარსეთის რამდენიმე ადგილებიც აქვნდა დაპყრობილი. გარდა ამისი შაჰ-ბაზი იმ მიზნითაც მტრობდა ქართველებს, რადგანც მთელი სამცხე-საათაბაგო ოსმალეთის მეხარჯე საკუთრებას შეადგენდა და იმერეთიც უხდიდა ხარკს. მეორედ მოსვლის მიზეზი სულ ეს იყო. მიტომაც მან აჭარლებსაც დაუწყო ბრძოლა, სიდამაც ძლეული დაბრუნდა.

---

72. სქოლიოში მითითებულია *) ქართველების კოლონია სპარსეთში, 1873 წ. თფ.

საქართველოს დალუპვის და შაჰ-აბაზის შემოსევის და აოხრების საქმეში დიდს ბრალსა სდებენ დიდ მოურავს გიორგი სააკაძეს. ზოგნი მოღალატეს უწოდებენ, ზოგნი მფარველს. ამის შესახებ 1907 წ. გაზეთ „ისარში“ მ. ჯანაშვილმა წერილი დაბეჭდა და მას საქართველოს მოღალატე უწოდა.[73] ანტონ ფურცელაძე კი მხსნელად ხატავს. ეხლა ხან აღმოჩნდა რომში ერთი ცნობა და მოურავის სურათიც, რომელიც ერთ ლათინის ბერს XVII საკ. დაუბეჭდია. სურათს ბოლოზედ აწერია ასე: „საქართველოს მხსნელი გიორგი მოურავი.„[74] ამიტომ გიორგის მკიცხველი სცოდავს საქართველოს ისტორიას. თვით სტამბოლში ყოფნის დროსაც გიორგი მოურავი ეხვეწება ლათინის მოგზაურს ბერებს, დარიგებას აძლევს და გზავნის საქართველოში და ავალებს მათ, რომ თქვენ წადით საქართველოში, თემურაზ მეფესთან მიდით და უშველეთ რამე, თორემ დაილუპა საქართველოო. თქვენ შეგიძლიანთ მისი ქვეყნის შველაო. თქვენ დიდს სიკეთეს უზამთ მის ხალხსაო.[75] უნდა ითქვას, რომ ყველა ამ უბედურების მიზეზნი იყვნენ თემურაზ მეფე და ლუარსაბი, რომელთაც თავიანთ დროს ვერ გამოაჩინეს დიდი პოლიტიკური ნიჭი და შაჰ-აბაზს ვერ გაუგეს ეშმაკური ცბიერება.

შაჰ აბაზმა ლუარსაბს თავი მოჰკვეთა რუსების დახლოვების გამო,[76] ქეთევანი აწამა სპარსეთიდამ ქართველების დაბრუნების თხოვნის გამო და თემურაზს ორი შვილი დაუსჭურისა და აუოხრა ქვეყანა მის გამო, რომ თეიმურაზმაც ოსმალეთს და რუსეთს მიმართა კახეთის საკავშიროდ და სპარსეთს უჭკუ-უოსტატოდ ქიშპობა დაუწყო. მიზეზები ქართველების გადასახლების პირდაპირ ედება შაჰ აბაზის გველურს პოლიტიკას და თეიმურაზის უხეირობას. ეს ცხადათ სჩანს თვით იმ გარემოებიდამ, რომ თეიმურაზი იმ დროს რალაც უგვან ლექსებს ჯღაბნიდა, სთარგმნიდა ვარდ-ბულბულიანს, გაზაფხულისა და შემოდგომის ბაასს და სხვა ასეთებს. ქვეყანა აუოხრა შაჰ აბაზმა, ხალხი გადაუსახლა (ასეა!) და ამაზედ კი კრინტიც არა აქვს დაძრული! ასევე ქარაფშუტა და გულის ამყოლ ლუარსაბსაც კი მიეწერება.

ასე იყო თუ ისე, ქართველთ გადასახლების საქმეში რამდენადაც ჩვენი მტერია დამნაშავე, იმდენადვე ჩვენი მეფეებიც გახლავან. აქამდის სპარსელ ქართველები ჩვენთვის დაკარგულად მიმაჩნდა. რაკი ამ ბოლო დროს იქიდამ კაცები მოვიდნენ, ამიტომ ჩვენ ახლა აწინდელ დროზედ ვილაპარაკებთ.

ყოლა მუსეინ ონიკაშვილი, შესმენილი პირია. მამა ამისი აბდულ მაშადი გახლავს † 1901 წ. დედა ამისი ფათემა ნაჯაბ ონიკაშვილის ასული † 1906. ამ პირთ ხშირად უამბნიათ პატარა ყოლა მუსეინასთვის საქართველოს ამბები და ამათის ცნობებით გალეიძებია ამას სამშობლო ქვეყნის სიყვარული, მოგონება და ამის პოვნა და ნახვაც კი. იმედია, რომ ყოლა მუსეინა საქართველოში ყოფნას კარგად გამოიყენებს, საქართველოდამ დაბრუნებული სპარსეთში თავის თანა-მედროვე ქართველებში

73. სქოლიოში ნიშნით *) მითითებული „ისარი“ 1907 წ.

74. სქოლიოში ნიშნით **) მითითებულია მ. თამარაშვილის ნაწერები და სურათები 1906 წ. რომი:

75. სქოლიოში ნიშნით *) მითითებულია „ისარი“ 1907 წ.

76. სქოლიოში მითითებულია: *) ბრძოლა საქართველოს მოსპობაზედ 1893 წ. თფილისი.

ძირითად ცვლილებას შეიტანს. ყოლა ამრეზა ხუციშვილი, ზემო მარტყოფელი, 30 წ. მამა ამისი აღამჯუნა ხუციშვილი და დედა თამარნისა სეფიაანთ ქალი. ამათ გვარში დარჩენილი ყოფილა ამბათ, რომ ჩვენის აქ გადმოსვლის დროს ჩვენ ოჯახში ერთი მღვდელი იყოვო, რომელსაც სახელად ალავერდა ერქვაო, ზოგნი სფირიდონათაც იტყვიანო. ამათ მაშინ თავიანთ პატარა საყდარიც ჰქონიათ. ამ საყდრის შთენი დღესაც არის თურმე დაშთენილი. ამ პირს მშობლებიც ხშირად მოუთხრობდენ თავის ძველს საქართველოს ცნობებს, ქართველთ ამბებს და სწორედ ამათის წყალობით გაღვიძებია ამას გული და სული თავის სამშობლო ქვეყნის სიყვარულის ალებით. იმედია, რომ ესენი თავიანთ თანა მექვეყნეებს დიდს ამაგს გაუწევენ საქართველოს გაცნობით.

ქართველები როცა დაკავშირებიან ისლამს, იმათ იმ დღიდანვე დაუწყვიათ ცდა თავიანთ საკუთარ მეგვარტომე სასულიერო წოდების ყოლას. პირველ დროების გათათრება, როგორც ვიცით კათოლიკის მოგზაურ ბერებისაგან, უნდა მომხდარიყოს 1660 წლებში. თუმცა ისიც ვიცით ქეთევან დედოფლის ცხოვრების აღწერით, რომ ქართველთ სპარსეთში წაყვანილთ და პატიმართ გათათრება 1620 წლებიდამ მოხდა, მაგრამ ამ დროის გათათრება იყო კანტი-კუნტად, ხოლო ფრეოლანის ქართველთ გათათრება კი 1660 წლიდამ იწყება. ამიტომ ამ წლიდამ ქართველთა მოისპო ყოველივე, მათ მაგიერ გაჩნდა ისლამის სასულიერო პირთა რიცხვი არა მარტო ერთის ხარისხის მექონი, არამედ ყველასი, ეს იგი მთელი სასულიერო წოდების: მოლები, იმამები, ხოჯები, ყადები, მუშტეიდი, ახუნდნი და შეხულ-ისლამიც[77], მთელი რიცხვი ისლამის სარწმუნოების სასულიერო წოდების კრებულისა. ასე და ამ გვარად ფრეოლანის ქართველებში თვით ქართულ გვარის ისლამის სასულიერო პირთა გამოსვლის დრო მიეწერება 1670-1680 წლებიდამ, ამაზედ უგვიანეს არა. პირველად ქართველებს ასეთი უცხო სჯულ-წესების შეთვისების აღსრულება უძნელდებოდათ, მაგრამ ყველანი კი მაინც ეხვეოდენ, რადგანაც ამისთვის მათ მიჩენილი ჰყვანდათ სპარსეთის მთავრობისაგან მცოდნე მღვთის მეტყველ სასულიერო სპარსნი. იმავ-თავიდგანვე ქართველ სპარსელებში სასულიერო პირთა რიცხვი იმოდონად შემდგარა, რისა გამო მათვის 1680 წლებიდამ სხვა და სხვა ტომის მოლები და ხოჯები საჭირონი აღარ-ყოფილან. ქართველებს ყველა სოფლებში ჰყოლიათ თავიანთი ტომის ხოჯები, მოლები და ახუნდები, რომელნიც ხალხს ალოცებდენ ყოველთვის. სადაც ქართველებს სპარსულს და არაბულ ენაზედ კარგად გაგება უჭირდებოდათ, იქ ქართველ გვარის მოლები და ახუნდები ქართულს ენასაც ხმარობდენ, ქართული ენით უხსნიდენ. სადღეისოდ ქართველ სპარსთა სოფლებში, სადაც კი ქართული ენა დავიწყებას მიეცა, ეს ბრალდება არის ისეთ გარემოების და მოლების და ახუნდების, სადაც ქართველ გვარის მოლები და ახუნდები მუდმივისად არ ჰყვანდათ და მათში მსახურებდენ ისეთ სპარსთა სასულიერო პირნი, რომელთაც ქართული ენის არა იცოდონ რა (ასეა!) და ქართველებსაც უადვილებდენ ერთობ სპარსული ენის შესწავლას.

77. მოლა, იმამი, ხოჯა, ყადი, მოჯთაჰედი, ახუნდი, შეიხ ოლ-ესლამი.

დღეს ქართველ სპარსელებს თავიანთ შორის მოლები ხოჯები და ახუნდები სულ ქართველები ჰყავსთ. ესენი სწავლას იღებენ თავიანთშივე დაარსებულ სასულიერო სასწავლებელში. ასეთი სასწავლებელი მათ გახსნილი აქვთ ზემო მარტყოფში, სადაც 1200 კომლი სცხოვრობს. დღეს, ქართველ სპარსელთა სასულიერო საქმეებს მარტოდ ქართველთ გვარის პირნი ასრულებენ. ამათში უხვად არიან მოლები, ხოჯები, ახუნდები, მუშტეიდი და შეიხულ ისლამიც. სჯული აქვსთ შეასი[78], ესე იგი ალი სწათ (ასეა!) უპირველეს მოციქულად. სასულიერო პირნი მათში საკანონდებულო თანამდებობასაც ასრულებენ, მეჯლიში ყადებიც ესენი არიან, შარიათსაც ესენი წარმოადგენენ. მეჯლიში ამათგან შესდგება და ქართულ ენასაც ხმარობენ. დღემდე კი ეს ასეა და დღეის შემდეგ როგორ იქნება, ეს უწყის საქმემ და სპარსეთის კონსტიტუციამ. ქართველთ სპარსელთ სასულიერო პირნი ქებულნი არიან დიდათ არა მარტო ქართველებში, არამედ თვით მეზობელს სპარსელებშიც.

დღევანდელ ქართველ სპარსელებში არის ჰაჯი შეიხულ ისლამი, მოლა ალი ასყარა, გვარად მობონაშვილი. ეს არის დიდი მუშტეიდი მთელს ფრეოდანის მხრის როგორც ქართველ სპარსელებში, ისევე სხვებშიაც. იცის კარგად ქართული ენა, კარგი მოლაპარკეა, სათნო მოსამართლე, ჭეშმარიტად საქმის ამწონ-დამწონი. მის გადაწყვეტილებას თურმე ვერავინ დაარღვევს ადვილად.

მეორე ასეთივე კანონმდებელი და პატიოსანი, მადბალარა[79] გვარად ზუბიტაშვილი, უწარჩინებულესი პირი და კარგად მცოდნე ქართული ენის. მაინც როგორც სთქვეს ამ პირებმა, მათში ქართული ენა სასულიერო პირებში თითქმის ყველამ იცის კარგად, ხმარება ყოველთვის სუფთად და კანონიერად ვინმეც ერის კაცთა. სასულიერო პირთა შორის ყოლას ქართველ სპარსელ ნასწავლს უწოდებენ თურმე. ქართველ სპარსელებში სპარსული სკოლები დაუხსნიათ იმ დღიდგან, როცა ესენი ისლამს მტკიცედ დაკავშირებიან. მანამდისკი თურმე მათში შინაურულად სწავლობდენ ქართულ ანბანს და ქართული ანბანი მათში თვით გათათრების შემდეგაც კარგა ხანს შენახულა. ქართული ანბანი მათ შენარჩუნებიათ თითქმის 1700 წლამდე, მის მერეკი მოსპობილა, ქართულს ასწავლიდენ ხელთნაწერებით და ხშირად ჩუმათაცკი. მეთვრამეტე საუკუნის დამდეგიდამ ქართველ სპარსთათვის ქართული ანბანი უცხოდ შეიქმნა. მათში ამის მომგონებელ რიცხვიც შემცირდა. თუმცა ქართველებს სპარსეთში მისვლა-მოსვლა ხშირად აქვნდათ და მთელი სპარსეთის ქალაქები ქართველ ტყვეებით და პატიმრებით სავსე იყო, მაგრამ მაინც მათ შორის სპარსთა მახვილის წყალობით მალე დაირღვა ქართული ანბანის მფარველობის ძალა. თუმცა ისიც კარგად ვიცით, რომ სპარსეთში მცხოვრებ ქართველნი და ზოგნი მათში ისლამთანაც დაკავშირებულნი ხშირად სთარგმნიდნენ არაბულის და სპარსელის ენიდამ სხვა და სხვა ძველს წიგნებს. ასეთ თარგმანთა ნაწერებიდამ გადაწერილების სპარსეთში და მერე საქართველოში მოტანილი წიგნების (ასეა!) მეც მინახავს მრავლად, მქონია

78. შეა – შია – შიიზმი.

79. მოჰამად-ბაყერ

კიდეც. ასეთ ძველი ხელთნაწერების სამთელ გავლებულს ქალალდზედ ნაწერების ზოგი ქართული ასოებით და სპარსული სიტყვებითაც ყოფილა მთელი წიგნები. „ლელიანი“, „იოსებ ზილიხანი“ და სხვა.

სადღეისოდ ქართველ სპარსელებში ქართული წერა-კითხვა მოსპობილია. მათ სამრევლო სკოლებში ბავშვებს არაბულს ენაზედ ასწავლიან. ყმაწვილებს არაბულის ანბანის შესწავლა ძრიელ უჭირდებათ, მაგრამ მეტი რა გზა აქვსთ. სწავლა სწარმოებს გაველურებულის წესებით, უწესოდ და უგვაროდ. მასწავლებლად მოლები არიან. სწავლისთვის დრო მათში არ არის განსაზღვრული. სკოლაში როცა და ვისაც კი მოუნდება, მაშინ შევა. მოკლედ რომ ითქვას, რაც წესები ოსმალეთის ქართველთ შორის არსებობს, იგივე იქ ყოფილა ამათში. ეხლა ყოლა მუსეინ ონიკაშვილი და ყოლა ამრეზ ხუციშვილი მეცადინეობენ და ჩვენებური სკოლის წესებს სწავლობენ, რომ მერე იქ მათ ეს წესები შეიტანონ და სპარსელ ქართველთ სკოლის საქმეები ჩვენებურად მორთონ, შიგ ქართული სახელმძღვანელო წიგნების სწავლება დაიწყონ, ქართულის წიგნებით გამოსწურთნონ თვისი მოძმენი.

თუ ეს ასე არა, უამისოდ ვიტყვით და კიდევაც გვითქვამს, რომ ქართველ სპარსელთ ქართველად ხსენება და საუბარი უბრალო იქმნება. მართალია აქამდის შეინახეს ქართული ენა და ქართველად სთვლიან თავს, მაგრამ ეს არ კმარა. მათ უნდა შეისწავლონ ქართული ენა, საქართველოს ისტორია, სამშობლო მწერლობა, ნამეტურ მათი გადასახლების ისტორია და ყველა ის ტანჯვა-წამება, რაც მათ გამოუვლიად.

ქართველ სპარსელებთ შორის როგორც მამაკაცებში, ისევე დედაკაცებში, ზოგი რამ ქართული სახელები დღემდეც დაშთენილა, მაგალითებრ: თამარი, გულო, ჯეირანა (დარეჯანი) მარიამი, ასო, ისო, სესე, ბოლგრა და სხვა. მამაკაცთ შორის: როსტომა, კოლა, ბეჟან, თეიმურაზ, ფერიდან (ფრიდონ) გივი, მუსა, მერაბ, ხოსროვა, ასკანდარ და სხვანი. ამ ქალთა და კაცთა სახელებს სპარსნი სრულებით არ არქმევენ თავიანთ ხალხს, ეს მარტო ქართველებშია დაშთენილი ჩვეულებათ. სპარსელ მამაკაცთა და დედაკაცებს თავიანთ სახელების დაფარვის ნატერა იმ ისტორიულის ტრფიალების ხსოვნითაც აქვსთ, რომ მათ ახსოვთ თავიანთი ძველ მამა-პაპათა ვინაობის ვითარება, იციან ისიც კარგად, რომ მათი ძველები საქართველოდამ ჩაურეკიათ იქ სპარსელებს ფეხით და ამას გარდა დიდთაც უტანჯავთ და უწვალებიათ. მათ წვალებას ფასი არ ჰქონია და აი სწორედ ასეთ წვალებულ მამა-პაპათა სახელების ზოგი მაინც ჩვენც მოვალენი ვართ, რომ შევინახოთ და არ დავივიწყოთ. ასეთ საქმეთა არ დავიწყებას ქალნი თუ კაცნი დიდის მორიდებით და თავაზით ეპყრობიან, ამაში იგინი ხედვენ თავიანთ ზნეობრივ ვალს.

სამწუხაროდ, სპარსელ ქართველ კაცთა და ქალთა სახე შესცვლიად. ტიპზედ ბუნებას თავის ადგილ-მდებარეობითი გავლენა მოუხდენია, იგინი გარდაუქმნია სახით იმოდენად, რომ დღეინდელი სპარსელ ქართველნი უფრო სპარსელებს ჰგვანან. იგინი გაირჩევიან მხოლოდ ქართული ენის ხმარებით. მამა კაცებს დღემდე შერჩენიათ ქართული ტანთსაცმელი, ხოლო ეს ტანთ საცმელი (ასეა!) ძველი ქართულია და არა აწინდებური. ძველებური მოკლე კაბები, ქულაჯები, ჩოხები და სხვანი მათში

იხილება დღემდე, ნაბდის ქუდები კი გადასცვლიათ სპარსულს ქუდებზედ, ჩუსტები, ქალამნები მათში დღესაც იციან. ტანთ-საცმელს (ასეა!) გარდა სხვაც ბევრი რამ ძველებური ნივთებია მათში დაცული, ბევრიკი შეცვლილა. როგორც კაცთა შორის, ისევე ქართველ სპარსთა ქალებშიაც ბევრი რამ ნიშნებია ქართველობის დაშთენილი, ხოლო ტანთ საცმელიკი შესცვლიათ. ტანთ საცმელი როგორც ამბობენ სპარსული ანუ თათრულად სცმიათ, პირბადეკი არ ხურებიათ. ამით იგინი სპარსთა ქალებისაგან დიდათ განირჩევიან. ლაპარაკი, მითქმა-მოთქმა და ყოველივე ასეთნი მათ აქვსთ იმ სახით, როგორც ეს მათ წინაპრებს აქვნდათ საქართველოდამ გადასახლების დროს სპარსეთში. ქალთა და კაცთა შორის, ზემო ხსენებულ ჩვეულებათ გარდა, ბევრიც სხვა რამ ძველებურ ქართულ გარდმოცემანია თურმე დაცული. ბევრს რამეს ძველებურს ამბებს იტყვიან და თან დაუმატებენ, რომ „ამას ჩვენი ძველ მამა-პაპანი ასე იტყოდნენო“. ასეთის ამბების მოყვანა როგორც კაცებში, ისევე ქალებშიაც ერთობ მრავლად სცოდნიათ. ბევრს ლხინსა, სადღესასწაულო საქმეებში და ჭირმიაცკი იციან ქართული ჩვეულების მოგონება და გახსენებაო. ნამეტურ ქორწილში ბევრს მოიგონებენ ქართულსაო.

დღემდე ქართველ სპარსელებში თუ ქართული ენა კიდევ არსებობს სადმე, ეს არის მიზეზი ქართველ სპარსელ ქალებისა, რომელთაც დედეულთაგან მძიმედ იცავდენ ქართულ ენასაო. ამას გარდა მათში ბევრი ძველებური ექიმობა და ქართული შელოცვებიც ყოფილა დაშთენილი. პურის გამოცხობის დროს გუნდებს ჯვარს უკეთებენ, მოიგონებენ ალდგომას, ამაღლებას, ვარდის-ფენობას და სხვა ასეთს დღეებს. ქართველ ქალნი დღეის შემდეგაც კარგა ხანს შეინახვენ ქართულ ენას, რადგანაც თავიანთ პატარებს აკვანზედვე დამღერიან ქართულ ნანას. ნანას თქმა მათში ადრე თურმე ლექსთაც იცოდენ, მაგრამ სადღეისოდ იქ გალექსილი ნანების თქმა სუსტად იციან, უფრო სიტყვების გაბმით მოუთხრობენ პატარა ფრეოდანელ ქართველებს.

ხვნა, თესვა, მკა, ლეწვა და სხვა ამ გვარნი, მთელი სამეურნეო და საოჯახო საქმენი სპარსელ ქართველთ ქართულად ჰქონიათ. სამეურნეო იარაღის სახელებიც სულ ქართული სახელებით არის დღემდე დაშთენილი. ხმარებაც ისევე იციან, როგორც ეს მათ ძველებს კახეთში სცოდნიათ. ჩვენებურთ „ონჩახარის“ მსგავსი მათაც სცოდნიათ. კალოობას თურმე ვინც ხელ მოკლე არიან, იმათ გაკითხვაც სცოდნიათ. ამით თურმე ქართველ სპარსელნი განთქმულნი არიან. თუმცა მათ ცუდი ადგილები უკავიათ, მაგრამ იგინი მაინც ღარიბთათვის არას იშურვებენ და ვისაც რით შეუძლიან, მით ეხმარებიან ხელ-მოკლეთ, რაისა გამო მათში ესენი მძლავრად არც არიან დაჩაგრულნი.

დრო ხვნა-თესვის, ალება, გალეწვაც ისეთსავე წესებით იციან, როგორც საქართველოში. ხოლოდ იქ თავთავის დროის კვალად, რადგანაც დრო იქ სხვა და სხვა ნაირია და არა ჩვენებური. დღემდე ყოველ სამუშაო იარაღს და საქმიანობას ძველებური ქართული ნიშან წყალი სცხიაო.

ჭამა-სმა და საჭმელების კეთებაც ქართულად ჰქონიათ. ესენი ბევრს ისეთ საჭმელებს ხმარობენ, რაც სპარსთა სულ არა აქვსთ. ურმები, მიწის ფლობის პირობებიც

ამათ კარგად ჰქონიად. ამათში თითქმის მამულის საერთო მფლობელობა ყოფილა დაცული ჩვენებურად, ეს როგორც ადრე კახეთსა და ქიზიყში არსებობდა. ასეთი მიწის ფლობის წესები სპარსელებს თურმე სრულებით არა აქვსთ. ამ წესების შესახებ ერთხელ ვრცლად გვიამბეს. მასში ბევრი ისეთი უცხო ძველებური ქართული საერთო წესებია დაცული, რაც ღირს, რომ იგი კარგის მცოდნესაგან იქმნეს გაცნობილი და აწერილი. ეს წესები კარგად ალაპარაკა მიხეილ ვახ. მაჩაბელმა, ცნობილმა ქართველ მოღვაწემ და ამ საქმის მეტრფემ. ქართველები სახლების კეთებასაც კარგად მისდევენ. ამათი სახლები ბევრად გაირჩევა სპარსელთა სახლებისაგან. სპარსელნი სულ ღრმა მიწურ სორებში სცხოვრობენ და ქართველნიკი ჩვენებურ კახურად გაკეთებულ სახლებში. ქართველთა კეთება ისე იქება და იდიდება სპარსეთში, რომ სპარსელთ ამისთვის საკუთარი სახელიც უწოდებიათ „გურჯი ფუშ“. სახლების კარგად კეთებას ესენი ძველადგანვე კარგად შესდგომიან. ამიტომ თურმე მათში მოიპოვება ბევრი ისეთი ძველი სახლები, დღესაც მკვიდრად მდგარი, სადაც ხალხიც სცხოვრობენ. ასეთ ძველ სახლებზედ იტყვიან თურმე ქართველნი, რომ ეს სახლები ჩვენს ძველებს მაშინ გაუკეთებიათ, როცა იგინი შაჰ-აბაზს საქართველოდამ აქ მოუყვანიათო.

მაუწყეს, რომ ძველის საფლავის ქვებზედაც ძრიელ ხშირად მოიხსენებიან ქართველნიო. ზოგს ქვის წარწერა მოწმობს ასეთ მიცვალებულის შესახებო – „ადე ერთი და გადმოხედე თუ ქართველები როგორ არიან, როგორ სცხოვრობენო“. მოხუცებულნი ასეთ ამბებს გულ ჩათხრობილნი მოუთხრობენ ახალ-გაზდებს. იგინი სწუხან დიდათ და შაჰ-აბაზის წყევლაც იციან ხშირად თვის აყრის და იქ გადასახლების გამო.

ერთი საყურადღებო ცნობა მოჰყავს ვლ. აღნიაშვილს თავის წიგნში. ამაზედ ჩვენც ვიტყვით რამეს. ფრეოდანის ქართველ სპარსელთ გვერდით სცხოვრობენ თურმე სომეხნიც, ქრისტიანები, რომელთაც საყდარში და ისეც კარში პირჯვარს ქართულად იწერენ და არა სომხურად. ეს გარემოება ვ. აღნიაშვილს აფიქრებინებს, რომ იქნება ეს სომეხნი ქართველობიდამ არიან სომხობაზედ გადასულიო. ამას ეჭვი არ უნდა, მასვე ასაბუთებს თვით ამისგანვე მოყვანილი მეორე ცნობა ქართველის თავადის საგინაშვილის შესახებ, რომელიც სპარსეთში ყოფილა 1830 წლებს. იქ ამას სომხის ქალი შეურთავს ცოლად, შვილები სომხურად დაუნათლავს და დღეს ესენი საგინიანად იწოდებიან და თავიც სომხად მიაჩნიად.

მიზეზი ამისი ის გახლდათ, რომ სპარსეთში ადრე არ იყო ქართული ეკლესია. მეორე, სპარსთა მთავრობა სომხებს სჯულის გამო არც სდევნიდა, არ ათათრებდა. უეჭველია, ქართველიც ამ სჯულს მიეკედლებოდა, იგი ქრისტიანობით დაშთებოდა კიდეც ხელ შეუხებელი. სპარსთა მთავრობა ასევე არ სდევნიდა კათოლიკის სარწმუნოების მალიარებელთ, მარტოდ ქართველებს ატანდა ძალას სჯულის გამოცვლის გამო. ძალიანაც შეიძლება, რომ ქართველს ხალხსაც ქრისტიანობიდამ ისლამზედ გადასვლა მორიდებოდა, ამიტომ იგი სახეს შეიცვლიდა, სომხის ან კათოლიკობას შეუერთდებოდა და მით იგი ქრისტიანობით დაშთებოდა. ფიქრი არ უნდა, რომ ასეთი მაგალითები ხშირად მოხდებოდა მათში და ბევრი ქართველი გადავიდოდა ადვილად მათს სჯულზედ. ჩვენ ეს

ჰაზრები სხვაგანაც გვაქვს ნათქვამი, ამიტომ აქ ესეც კმარა. ნახეთ ამაზედ ჩემი წიგნი „ქართველი გრიგორიანები.“ გამოცემა 1906 წ. თფილისი. 1800 წლების შემდეგ სპარსეთში ქართველთა მისვლა-მოსვლა სრულიად შეეწყვიტეთ. ვინც იქ ქართველნი სცხოვრებდენ ხსენებულ დროს გადასულნი, იმათაც დროის განმავლობის წყალობით განელეს სოფელი და მათის მოსპობით მოისპო ქართველთა კვალი სპარსეთში. ერთი მაგალითი იყო ვლადიმერ ალნიაშვილის და მეორე ქართველებში კარგად ცნობილის ილია ზარაფიშვილის. სოფლის უწესოებისაგან დეენილმა სპარსეთში ირჩია წასვლა და იქაურს ქართველებზედ შორიდამ მაინც გადახედვა. ამის წერილები სპარსეთიდამ 1906-1907 წ. „ცნობის ფურცელსა“ და „ისარშიაც“ მრავლად იბეჭდებოდა. დღეის შემდეგ უეჭველია ქართველნი ხშირად მიმოიხილვენ სპარსეთს და მის საშუალებით სპარსელ ქართველთა ცხოვრებასაც ზომიერს სინათლეს მიჰფენენ.

თვით ცნობიერება ქართველებში საკმარისად იდგამს ფეხს. სპარსელ ქართველთა მოსვლას საქართველოში ქართველებმა კარგის ისტორიულის თვალით შეხედეს. თფილისის თავადაზნაურთა კრებამ 600 მ. გადასდო სპარსელ ქართველებში სკოლის გასახსნელად, ასევე ქუთაისის თავად აზნაურთა კრებამ და ჭიათურის შავი-ქვის სამრეწველო საბჭომ 1500 მ. ამით გადააჭარბეს მათ თავიანთ ზნეობრის ვალს. ყველა ეს ცხად საბუთს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ დღეის შემდეგ სპარსელ ქართველთ გაღვიძების და განახლების ზარიც დაირეკება, ახალ ცხოვრების უღელში შეებმენ. ახლა მათი ვალია, რომ თავიანთი შვილები საქართველოში მრავლად და ხშირად გამოგზავნონ სასწავლებლად, რადგანაც მათსა და ჩვენს შორის გზა გაიხსნა, ხიდი გაკეთდა და ამ ხიდის ბურჯებათ უნდა ჩაითვალონ ყოლა მუსეინ ონიკაშვილი და ყოლა ამრეზ ხუციშვილი.

ზ. ჭიჭინაძე

***

ფერეიდნელი ქართველების შესახებ – გიორგი ლასხიშვილი იყო პუბლიცისტი, რედაქტორი, საზოგადო მოღვაწე, სოციალ-ფედერალისტთა ერთ-ერთი ლიდერი. მისი მემუარებიდან ამოღებულია ორი ნაწყვეტი ფერეიდნელი ქართველების საქართველოში ჩამოსვლის შესახებ. პირველში (გვ.151) აღწერილია, როგორ ესტუმრნენ ისინი გამომცემლობაში. ამ შემთხვევაში ყურადღებას იპყრობს ის ფაქტი, რომ ნახსენებია სამი ფერეიდნელი, ჩამოსული სპარსეთიდან: „ონიკაშვილი და ხუციშვილები“. დანარჩენ შემთხვევებში ყველგან საუბარია სპარსეთიდან ჩამოსულ მხოლოდ ორ ფერეიდნელ ქართველზე, მეორე, პატარა ამონარიდში (გვ.169) კი კარგად ჩანს, რომ მათი ჩამოსვლის მიზეზი რევოლუციურ მოძრაობასთან იყო დაკავშირებული; ფერეიდნელთა ჩამოსვლის დროს ის არ უთითებს, თუმცა ფაქტი, რომ იმ დროისთვის დახურა გაზეთი „მეგობარი“ გასაგებს ხდის, რომ საუბარია 1907 წელზე, როცა გაზეთ „მეგობრის“ ნაცვლად დაიწყო გაზეთ „ისრის“ გამოცემა.

გიორგი ლასხიშვილის მემუარები 1885-1915; გამოცემის წელი – 1934
ფერეიდნელი ქართველების შესახებ

[...] ამ დროს დაკეტეს ჩვენი გაზეთი „მეგობარი“. შემდეგი გაზეთის ორგანიზაციის საქმიანობას შევუდექით, როცა სამი უცნაური ტიპის, შეხედულების და ტანსაცმელის კაცი შემოვიდა რედაქციაში. ერთი უკვე სანში შესული, ორი ახალგაზრდა. იმ დღეებში გაგებული გვქონდა, რომ ტფილისში სპარსეთიდან ჩამოვიდენ ფერეიდანელი ქართველები. მაშინვე მივხვდით, რომ რედაქციაში სწორედ ესენი მოვიდენ. გაგვეცნენ – სპარსელი ქართველები ვართო ონიკაშვილი და ხუციშვილებიო. დავსვით. ჩვენი საქმე მიეატოვეთ და გარს შემოვუსხედით; სტამბიდან გამოვიდენ ჩვენი ასოთამწყობებიც და შემოგვიერთდენ. ყურს ვუგდებდით ამათ უცნაურ ბაასს და მეტად საინტერესო ამბებს შორეულ ქართველების შესახებ. დაფიქრებული და თან გაკვირვებული ვუსმენდი მეც ონიკაშვილის საუბარს. არ მჯეროდა და ჩემს თავს ვეკითხებოდი: ნუ თუ ეს იმ მრავალ კახელთა შთამომავლობაა, რომელიც 300 წლის წინად სპარსეთის მპყრობელმა შაჰ-აბაზმა საქართველოს მოსწყვიტა და შორს, ირანის მთებში გადასტყორცნა? როგორ შეინარჩუნა ამ ხალხმა არსებობა, როგორ შეინარჩუნა ენა და ზნე-ჩვეულება? 80-იან წლებში სპარსეთში გაემგზავრა ჩვენი მწერალი ლადო აღნიაშვილი საგანგებოდ ფერეიდანის დასათვალიერებლად. თავისი მოგზაურობა და ფერეიდანელ ქართველების ცხოვრება მან აგვიწერა ჟურნალ „მოამბეში“, ონიკაშვილს ენახა მაშინ ლადო აღნიაშვილი და, მგონი, იმის წაქეზებით გაებედნათ საქართველოში წამოსვლა. ფერეიდანელების ჩამოსვლამ დიდი სენსაცია გამოიწვია მაშინ ქართველ საზოგადოებაში. შესდგა კომიტეტი, რომელსაც დაევალა მათთვის მზრუნველობა. წაიყვანეს კახეთში და საქართველოს სხვა კუთხეებშიაც; შემდეგ შეაგროვეს ფული, შეიძინეს „დედა-ენა“ და სხვა სახელმძღვანელოები, საკითხავი წიგნები, მოიწვიეს მასწავლებლები იმ განზრახვით, რომ ფერეიდანში ჩვენი წერა-კითხვის საზოგადოების სახელით პირველი ქართული სკოლა გაეხსნათ. თითქმის ერთი წელიწადი დაჰყვეს სპარსელმა ქართველებმა საქართველოში და დაბრუნდენ მასწავლებლის თანხლებით, მაგრამ ეს უკან დაბრუნება უბედური გამოდგა; საზღვარზე მათ თავს დაესხა ავაზაკთა ბრბო, გაძარცვეს, მასწავლებელი დასჭრეს და ის იძულებული გახდა უკან დაბრუნებულიყო. რამდენიმე წლის შემდეგ ერთი მათგანი კვლავ ესტუმრა საქართველოს, მაგრამ ყოველი გეგმა კავშირის დაჭერისა და იქ ქართულ სკოლის დაარსებისა სრულ დავიწყებას მიეცა...

...აღვნიშნავ აქვე რომ ჩვენი გაზეთის გამოსვლა ერთი დღითაც არ შეჩერებულა, თუმცა მთელი რედაქცია დაგვაპატიმრეს. ჩვენს შემდეგ რედაქციაში ჩამდგარიყვნენ: გერონტი ქიქოძე, სვიმონ მაჭავარიანი და სხვები; იყვნენ გადარჩენილებიც, როგორც მაგალ. არჩილ ჯაჯანაშვილი. რამოდენიმე ხნის შემდეგ მეტეხში, რედაქციის ეს ახალი შემადგენლობაც მოიყვანეს და გაზეთის გამოცემა განაგრძო არ. ჯაჯანაშვილმა.

ამრიგად, მეტეხის პატიმრებს მოემატნენ გერონტი ქიქოძე და სვ. მაჭავარიანი. მასთან ერთად დააპატიმრეს ფერეიდნელი ონიკაშვილი, რომელიც სპარსეთიდან მეორედ იყო ჩამოსული; ონიკაშვილიც, როგორც სოც.-ფედერალისტი იყო დატუსაღებული, ძლივს-ძლივობით მოხერხდა მისი განთავისუფლება.

გ. ლასხიშვილი

***

სპარსელი ქართველები ტფილისში – გაზეთი „ისარი" პირველი აცნობებს ქართულ საზოგადოებას ფერეიდნელი ქართველების საქართველოში ჩამოსვლის ამბავს. ის ფაქტი, რომ „ისარი" იყო ქართული ყოველდღიური ლიტერატურულ-პოლიტიკური გაზეთი, სოციალ-ფედერალისტთა ცენტრალური ორგანო, მეტყველებს იმაზე, რომ ფერეიდნელი ქართველების ყოლამრეზა ხუციშვილისა და ყოლამოსეინა ონიკაშვილის სტუმრობა ითავეს სოციალ-ფედერალისტებმა, რასაც სხვა დოკუმენტებიც ადასტურებენ, ამასთან ნათელი ხდება, რატომ იყო რეეოლუციური განწყობა ფერეიდნელ ქართველებში.

სპარსელი ქართველები ტფილისში

(ისარი, 1907, N5, 11 იანვარი, გვ.2)

გუშინ-წინ სალამოს ბაქოს გზით სპარსეთიდან ტფილისში ჩამოვიდა ორი სპარსელი ქართველი – ყოლამრეზა ხუციშვილი და ყოლამოსეინა ონიკაშვილი. გუშინ დილით წერა-კითხვის საზოგადოებაში იყვნენ, მერე ჩვენს რედაქციაში შემოვიდნენ. ორივე მოლაა. საკმაოდ შეგნებულები არიან.

მეტად საინტერესოა მათი წამოსვლის მიზანი და მოგზაურობა. წამოსულან მხოლოდ იმ აზრით, რომ აქაური ქართველობა გაიცნონ, ქართული წერა-კითხვა შეისწავლონ, მერე უკან დაბრუნდნენ და თავიანთებში გაავრცელონ ისპაჰანის პროვინციიდან, სადაც ისინი სცხოვრობენ. თეირანში ჩასულან, იქ ბევრი ძებნის შემდეგ, უპოვნიათ ერთი ქართველი ბანკის მოსამსახურე, ბათუმელი მენაბდე, რომელსაც აუხსნია ყველაფერი და წერილი გამოუტანებია წერა-კითხვის საზოგადოებაში. უმოგზაურნიათ ოთხი თვე, მთელი სპარსეთი ფეხით გამოუვლიათ და ჩამოსულან ბაქოს და მერე ტფილისს.

როგორც თვითონ გადმოგვცეს, ქართველობა ისპაჰანის პროვინციაში სცხოვრობს, ერთად სულ 14 სოფელია და იქნება ორმოცი ათასი სული. ექვს სოფელს უკვე დავიწყებია ქართული, დანარჩენები კარგად ლაპარაკობენ, განსაკუთრებით დედაკაცებიო. სოფლებს ყველას ქართული სახელები აქვთ. ჩამოსულები ზემო-მარტყოფე-

ლები არიან: მარტო ამ სოფელში 1200 კომლი ყოფილა. ჩამოსულები კარგად იცნობენ ლადო ალნიაშვილს, ჩვენს სოფელში თორმეტი დღე დარჩაო.

ბევრი რამ საინტერესო გადმოგვცეს სპარსელ ქართველების ცხოვრებაზე, სპარსეთის ახლად მოწვეულ პარლამენტზე, ადგილობრივ გადასახადებზე და სხვაზე. ყველა ამას შემდეგ გავაცნობთ მკითხველებს.

საოცრად გაოცებულები არიან ჩამოსულნი – არ გვეგონა თუ ამდენი და ესე განათლებული ქართველობა იყო აქაო. გადასახლების ამბავი კარგად სცოდნიათ. ჩვენაო შაჰ აბაზმა გადაგვასახლა სამას ცხრამეტი წლის წინად. სპარსეთში ქართველებად ვითვლებით და ყველანიც ქართველებს ეძახიანო. ტანისამოსიც ძველი ქართული ჰქონიათ.

სპარსელი ქართველები ჯერ-ჯერობით სასტუმროში არიან დაბინავებულნი. წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობას განზრახვა აქვს, ცალკე დაბინაოს ესენი და მასწავლებლებიც მიუჩინოს.

***

სპარსეთის ქართველები და მათი სამშობლო – „ისარი“ აქტიურად ეხმიანება ფერეიდნელი ქართველების საქართველოში ჩამოსვლის ამბავს. მოსე ჯანაშვილის ინტერვიუს მიზანი იყო თანამოძმეების გაცნობა ქართული საზოგადოებისათვის, წერილის ბოლოს წარმოდგენილი ისტორიული პასაჟები კიდევ ერთხელ შეახსენებს მკითხველს, რა მოხდა საუკუნეების წინ და როგორ აღმოჩნდნენ ქართველები სპარსეთში.

მოსე ჯანაშვილი
სპარსეთის ქართველები და მათი სამშობლო

(ისარი, 1907, N8, 14 იანვარი, გვ. 2-3)

გუშინ ბედნიერება მქონდა მენახა სპარსეთის ქართველების წარმომადგენლები.
– გამარჯობა!
– გაგიმარჯოს.
– თქვენი გვარი?
– ხუციშვილი.
– შენი?
– ონიკაშვილი.
– საიდან ხართ?
– ისპაანს იქით ლურისტანის ხრიდამ.

– იქ რამდენი სული იქნებით?

– ჩონ ვიქნებით 40,000 სული.

– თქვენს სოფელს რა ჰქვიან?

– მარტყოფი.

– თქვენსას?

– ზემოჲ მარტყოფი.

– ყველანი ეგრე წმინდად ლაპარაკობთ ქართულად?

– ჩონ ენაჲ ქართულია, ყმაწვილობამა და დედაკაცობამ მარტო ქართული ენა იცის, ამმა[80] მამაკაცობამ ფარსულიც იცის.

– თათრული?

– თათრული ჩონ არ ვიცით.

– რისთვის გასჯილხართ და მოსულხართ?

– საქართველოს სანახავად და აქაურ წიგნის შესასწავლად.

– თქვენში ქართული წიგნის მცოდნე არ არის?

– ჩონში არც ქართული წიგნია, აღარც მისი მცოდნე.

– ღმერთმა ხელი მოგიმართოთ!

– გმადლობთ.

...

ამ ჩვენი ძმების შეხვედრა ჩვენს თვალწინ კვლავ გადაჰშლის შესაზარ სურათებს.

აგერ ერევანი.

შიგ ოსმალთა ლაშქარია.

გარს – ქართველ-სპარსთა ჯარი.

საშინელი ბრძოლაა.

ქართველები სტეხენ ციხეს და შიგ შედიან. სპარსელები მათ მიჰყვებიან.

იმართება ხელ-ჩართული ბრძოლა, უწყალოდ ჟლეტა ადამიანებისა.

ქართველ-სპარსელები იმარჯვებენ და ამ გამარჯვებით სწყდება (1601 წელს) სპარსთა და ოსმალთა შორის ამტყდარი დავა საქართველოს დაჩემებისთვის: ამერეთი რჩება შაჰ-აბაზს, იმერეთ-მესხეთი ოსმალეთის სულთანს.

ქართველების დახმარებით გამარჯვებული ყეენი ქართლის მეფეს გიორგის ართმევს ლორის მხარეს, კახეთის მეფეს ალექსანდრეს – კაკ-ელისენს (ზაქათალის ოლქის აღმოსავლეთ ნახევარს, საინგილოს); ქართველებისავე დახმარებით ხონთქარი ამაჰმადიანებს აჭარა-მესხეთის ერს, ანგრევს მათს საყდრებს, ანადგურებს ადგილობრივს საქრისტიანო კულტურას.

---

80. ამმა – სპ.-არაბ. მაგრამ.

...

1604 წელიწადია. კაკ-ელისნის სოფელ ბაზარს ჩამომდგარა ბატონიშვილი კოსტანტინე სპარსთა ლაშქარით.

ამ გამაჰმადიანებულ მოლალატეს შაჰ-აბაზისაგან დავალებული აქვს დახოცოს თავისი მამა-ძმა და გამეფდეს კახეთში.

აგერ მისი კარავიც. იქვე ჰყრია მისი მამის ალექსანდრეს და ძმის დავითის გვამები; იგინი მიიწვია მოტყუებით და სპარსელთ დაახოცინა. იქით ზის თვით მამა-ძმის მკვლელი და თავის რძალს და ძმის ცოლს ქეთევანს წერს: „მე მებოძა ტახტი კახეთისა, მამა ჩემი ალექსანდრე და ძმა ჩემი დავით მკვდარ არიან და შენ ჩემზე გამოთხოვდი.“

იფრინდას მიაქვს წერილი სატახტო ქალაქ გრემს.

მყის გამოდის კახელობა საომრად.

იმართება მრისხანე და მძვინვარე ბრძოლა.

სპარსნი მარცხდებიან. განგმირული კოსტანტინე რჩება ბრძოლის ველზე. გამარჯვებული კახელები მეფედ აცხადებენ უდროოდ დაქვრივებულს ქეთევან დედოფალს...

ამის მსმენი შაჰ-აბაზი აწამლვინებს (ასეა!) ქართლის მეფე გიორგის, რომელიც მალე კვდება (1605 წ.).

...

შაჰ-აბაზის გაჩირაღდნებულს დარბაზში სტუმრობა-მეჯლისია. ყეენი ზის ტახტზე და მასპინძლობს მთელ ისპანიის დიდკაცობას. იგი ღეს მეტისმეტად გახარებულია და სურს სამაგალითოდ დაჯილდოვოს ამ სიხარულის მიზეზად გამხდარი საქართველოდან მოსული ჯაშუში.

იქვე ჰყრია გუდები, სავსე ოქრო-ვერცხლით.

ბედნიერი ხელმწიფე იწვევს ერთს დევისტოლა კაცს, გუდებზე უთითებს და უბრძანებს: „კარგი ამბები მახარე, დამიჯილდოვებიხარ, აიღე, რამდენსაც მოერევი“.

იგიც დაეწაფა ამ გუდებს და მერე ასრე კვეხულობდა:

„თვითო (ფულით სავსე გუდა) მხარზედა გადვიდე, ერთი თავზედ დავიდე, თვითო ღლიასა (ასეა!) შევიგდე, ორი ვქენ ხელკიდებული, ერთი კბილშია დავიჭირე, და მერე ავდეგ, კარამდის წავიღე, მემძიმა და ხელმწიფემ ბძანა: ნუ მოჰკლავთ ჯაშუშსა! მოვიდნენ ჩემი ყმები და ოთხასის თუმნის ტვირთი გამომართვეს“.

ეს ჯაშუში გახლდათ მოურავი გიორგი საკაძე.

დაჯილდოვა-რა ჯაშუში, ყეენმა უბრძანა თავისს ამირსპასალარს თავდარიგს შესდგომოდა საქართველოს გასალაშქრებლად.

1615 წელიწადია. შაჰ-აბაზმა „შემოჰკრიბა მხედრობა თავისი, აიყარა ისპაანიდამ, თან გამოიყოლა დამრიგებელი ბოროტისა და ქვეყნის აღმაოხრებელი მოურავი, მოვიდნენ და დაიბანაკეს ყარაბაღში“ – განჯას, და მერე „შაჰ-აბაზს წამოუძღვა მოურავი, გაუკაფა გზა და შემოიყვანა კახეთში“...

...

კახეთში და სპარსეთის გზაზე.

სასტიკი, თავგანწირული ბრძოლაა. იჟლიტება 100,000-მდე კახელი, 30,000 უკვალოდ იკარგება, ინგრევა აყვავებული კახეთის ქალაქები, სოფლები, დაბები. ცოცხლად გადარჩენილ კახელობას დედაბუდიანად ერეკებიან სპარსელები, ბარგი-ბარხანით სხამენ მათსავე ურმებში და სპარსეთისკენ მიმავალ გზას უყენებენ...

კახეთი ჯოჯოხეთად ქცეულა... ყოველ მხრივ ისმის გულშემზარავი გმინვა, გოდება, ტირილი, კვნესა, ვაება...

ლალად არის მხოლოდ კაცის სახით მოვლენილი ბოროტი სული თავის ნაზირ-ვეზირებითა და ჯაშუშებით...

...

ლურისტანსა და ფარსისტანს 1616 წელს.

მოდის ურემი ურემზე, ჯარად, მწკრივად. სულ ასი ათასი ქართველობაა. მოქანცულა ხალხიც და საქონელიც. გრძელ გზას, შიმშილს, წუხვილს (ასეა!), შიშს და ნაღველს ცოცხალ-მკვდრებად უქცევია ეს ამოდენა ჯარი ხალხი.

ახ მათი ახალი სამშობლოც. ამიერიდან ლამაზ და შვენიერ (ასეა!) კახეთის მაგიერ აქ, სპარსეთის უდაბურ, ცხელ და ხრიოკ ადგილებში უნდა იცხოვრონ...

მოდიან მარტყოფიდან აყრილები ერთს ადგილას და იქ იმართება ახალშენი მარ-ტყოფივე, მოდიან ხაშმელები, იმართება ხაშმი, მერე თოხლიაური, ყალაური და სხ.

...

1622 წ. 20 მარტს სპარსეთის ქალაქ შირაზს.

„ვარდის წყლის ციხიდან“ გამოჰყავთ შვენიერის შეხედულობის ვაშკაცი (ასეა!). ეზოში მოლებია, ჯალაოები, მაყურებლები. ყველა ესენი „ძალღებრ გარემოადგნენ ჭაბუკს და ილრჭენდენ კბილითა თვისთა“.

ჯალათთა უფროსი. ვაშკაცო, შეიწყალე სიჭაბუკე და შვენიერება შენი და ნუ ურჩ ექმნები ჩემის ხელმწიფის ბრძანებას – ირწმუნე მაჰმადი.

ვაშკაცი. უკეთუ ყოველი ქვეყანა მომცეო, არა თავს ვიღვა სიტყვა და ქადაგება თქვენი. რად გნებავს ყოფად ჩემდა, ჰყავთ და აღასრულეთ ბრძანება მისი.

გადმოლგა ჯალათი შვილდის საბლის მუხრუჭი ყელზედ მოსდო და მოაშთო...

ეს იყო ქართლის მეფე ლუარსაბი, რომელიც ტყვედ წაიყვანა შაჰ-აბაზმა 1615 წელს.

...

1624 წ. 13 სექტემბერს ქალაქ შირაზსვე.

მოედანი გაჭედილია ხალხით.

უმშვენიერესი არსება, მაღალი ქალი გამოჰყავთ ციხიდან, მოჰყავთ და აყენებენ მოედნის შუა გულს. ხალხი ქოთქოთებს, ბობოქრობს.

აგერ გააშიშვლეს ქალი, გაუჭიმეს ხელნი, მარწუხებით დაჰგლიჯეს ძუძუები, წყლულებზე დადეეს გახურებული საჭები, წვეტიან ლურსმებზე გაართხეს, ზურგით მკერდამდე გაუტარეს შამფური, გახურებული ჯაჭვი შემოარტყეს, თავზე ჩამოაცვეს ცეცხლით გაწითლებული დიდი ქვაბი...

ამ ქვაბ ქვეშ დალია სული ქეთევან დედოფალმა, დედამ კახეთის მეფის თეიმურაზ პირველისა. ესეც დაილუპა იმავე შაჰ-აბაზის ბრძანებით, იმ ბარბაროსისა, რომელმაც იქვე ისპაანს მიიყვანა თეიმურაზის შვილები ალექსანდრე და ლევანი, გამოასჭურისა და დალუპა.

ყველა ამ სურათებისა და სცენების მხილველის ბრბოს კი უხაროდა, რადგან არ ეყურებოდა, რომ ჯალათი, რომელმაც დღეს თავისუფლება და სიცოცხლე მოუსპო კახელებს, ხვალ თავის მახვილს მოუქნევს მათს თავისუფლებასაც, თუ თაყვანი არა სცეს, ვით ქვეყნიურ ღმერთს.

...

არ გაუმართლდა მტარვალს განზრახვა. ერანს გადასახლებული ქართველობა არ გადაგვარდა. მათ, მიუხედავათ იმისა, რომ სამასი წელიწადია, რაც ტყვეობაში არიან, შეინახეს ძვირფასი საუნჯე – ქართული ენა და დღეს თავიანთ წარმომადგენლების, ხუციშვილისა და ონიკაშვილის პირით, გველაპარაკებიან თავიანთ ძმებს...

მ. ჯანაშვილი

***

სპარსეთიდან ჩამოსულ ქართველების შესახებ – საქართველოში ჩამოსულ ფერეიდნელ ქართველებზე ზრუნვა წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ აილო თავზე.

ახალი ამბავი

(ისარი, 1907, N11, 18 იანვარი, გვ.2)

სპარსეთიდან ჩამოსულ ქართველების შესახებ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობამ დაადგინა, ონიკაშვილისა და ხუციშვილისათვის დაქირაოს ბინა, გადასდოს მათ სახარჯოდ საჭირო ფული და მიუჩინოს მასწავლებლები. ლაპარაკი იყო აგრეთვე სპარსეთში წერა-კითხვის სკოლისა და ბიბლიოთეკა-სამკითხველოს დაარსების შესახებ. გამგეობამ დაადგინა ამაზე შემდეგ იქონიონ მსჯელობა და ამასთან შეჰკრიბოს საჭირო ცნობებიც იმის შესახებ, შესაძლებელია თუ არა ამ განზრახვის განხორციელება.

***

ილია ჭავჭავაძის გარდაცვალების გარშემო – ეს პატარა მონაკვეთი ამოღებულია სამსონ ფირცხალავას პუბლიკაციიდან „ილია ჭავჭავაძის გარდაცვალების გარშემო“. იგი იყო ქართველი საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე, პუბლიცისტი, საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებელი. სამწუხაროდ, საზოგადოების პარტიული დაყოფა ხშირად ისეთი საქციელის მიზეზი ხდება, რომლის შესახებაც სინანული ადამიანს სიცოცხლის ბოლომდე მიჰყვება. ეს პატარა ეპიზოდიც, სამსონ ფირცხალავასა და ფერეიდნელი ქართველების შეხვედრისა ილია ჭავჭავაძესთან, ამის დასტურია...

ფირცხალავა სამსონ
მოგონებათა ფურცელი

ილია ჭავჭავაძის გარდაცვალების გარშემო, (1915) 1988.

პირადად ილიასთან მე არასოდეს მქონია საუბარი და არც ის ვიცი, თუ რა აზრის იყო ჩემი ნაწერების შესახებ. ერთხელ გადმომცეს მხოლოდ, რომ ილიას მოსწონებოდა ის ჩემი წერილი, სადაც ლაპარაკი მქონდა „სამშობლოსთანა“ პიესების წარმოდგენის მნიშვნელობაზე ჩვენი ხალხის ეროვნულ გამოფხიზლებისა და აღზრდისათვის.

ამგვარი ურთიერთობისა და სულიერი განწყობილების ნაყოფი იყო ის სამწუხარო შემთხვევა, რომლის გახსენება ყოველთვის მწვავე ტკივილებს მაგრძნობინებს ხოლმე.

1901 წ. სპარსეთიდან ჩამოვიდა ორი ფერეიდნელი ქართველი – ონიკაშვილი და ხუციშვილი. ბაქოში მოსულიყვნენ გემით, ქართველები მოენახათ და იმათ თბილისში წერა-კითხვის საზოგადოებაში გამოეგზავნათ. მე კანცელარიაში ვიჯექი. კანცელარიის წინ წიგნის მაღაზია იყო. ვხედავ, მაღაზიაში შემოდის ორი სპარსულად გამოწყობილი კაცი და მოსამსახურეთ ქართულად მიესალმნენ. გულმა მაშინვე მითხრა, რომ ესენი სპარსეთში მცხოვრებ ქართველთაგანები იყვნენ. სიხარულით მივეგებე. დასხდნენ. გამოვკითხე მოგზაურობის ამბავი. მიამბეს მოკლედ ფერეიდანის ქართველების ცხოვრების შესახებ. მერე წავიყვანე და დავაბინავე სასტუმროში, მუხრან-ბაგრატიონის სახლში (ახლა კავშირგაბმულობის სახლი რომ არის). იქ ცხოვრობდა პედაგოგი და ჟურნალისტი ლ. ბოცვაძე. იმ დღეს ერთად ვისადილეთ. საღამოს მათი ამბავი ვუამბე საზოგადოების თავმჯდომარის ამხანაგს და შევთანხმდით, რომ წერა-კითხვის საზოგადოება იკისრებდა ამ სპარსელ ქართველების ზრუნვა-პატრონობას. ეს ონიკაშვილი და ხუციშვილი იმ ზაფხულს საქართველოში დამყავდა, ვმართავდი საღამოებს, რომელზედაც მოკლე ლექციის შემდეგ, შაჰ-აბაზის შემოსევების და ქართველების სპარსეთში გადასახლების შესახებ, ონი-

კაშვილი და ხუციშვილი უბრალოდ უამბობდნენ საზოგადოებას ფერეიდანის ქართველების ამბებს. ყველგან დიდძალი ხალხი გვესწრებოდა, ყველანი სიყვარულით ეგებებოდნენ დაკარგული ძმების წარმომადგენლებს და უხვი ქართული სუფრითაც გვიმასპინძლდებოდნენ.

ერთი ასეთი მოგზაურობის დროს მცხეთის სადგურზე მოულოდნელად შევეჩეხეთ ილიას. ის ალბათ საგურამოდან თბილისში მოდიოდა. ილია ბუფეტიდან გამოდიოდა, ჩვენ ბუფეტში შევდიოდით. მივესალმე ილიას. იგი ყურადღებით ჩააცქერდა ჩემს თანამგზავრებს, მიხვდა, ვინც იყვნენ, შევატყვე, უნდოდა მათთან გაბოლპარაკება, მაგრამ მე რატომღაც უხერხულად მივიჩნიე გაჩერება და მაშინვე ბუფეტში შევედი ჩემი თანამგზავრებით.

მალე ვიგრძენი ჩემი შეცდომა და საყველური ვუთხარი ჩემს თავს. რატომ ვიყავი ასე ტლანქი, ვერ გამოვიჩინე უბრალო ზრდილობა და თავაზიანობა და არ მივეცი საშუალება მოხუცს, დამსახურებულს მოღვაწეს, დიდს პოეტსა და მამულიშვილს დამტკბარიყო ცოტა ხანს მაინც საქართველოს მოწყვეტილ ქართველებთან შეხვედრით და საუბრით? რატომ? იმიტომ, რომ ილია ვითომც «მემარჯვენე» იყო და მე ჩემი თავი «მემარცხენედ» მიმაჩნდა?

მე მინდა ფაქტების და ამბების ფსიქოლოგიური ახსნა. იმ წლებში, ვიმეორებ, ყოველდღე ვლამობდი სამოთხის კარის გაღებას, დაავადმყოფებული ვიყავით «მემარცხენეობით», ვფიქრობდით, რომ აბსოლუტურ ჭეშმარიტებას დავეუფლეთ და მტრად მიგვაჩნდა ყველა, ვინც რაიმე წუნს სდებდა ჩვენს სიტყვას და საქმეს. რასაკვირველია, დღეს სულ სხვანაირად მეჩვენება მაშინდელი ამბები. ცხადია, ჩვენს მამებს არ დაუმსახურებიათ შეუწყნარებლობა და ჩვენს შორის არსებული უთანხმოების გამო მტრული განწყობილება არ უნდა გვქონოდა მათთან. უნდა გამოგვეჩინა ტოლერობა. განსაკუთრებით ეს უნდა ითქვას ილია ჭავჭავაძის შესახებ.

სამწუხაროდ, მოხდა სულ წინააღმდეგი.

***

კიდევ სპარსელ ქართველების შესახებ – სტატიის ავტორია ილია კურტანიძე, რომელსაც ორი წელი მოუწია სპარსეთში ცხოვრება. იგი საუბრობს სპარსეთის სხვადასხვა კუთხეში გაბნეული ქართველების შთამომავლების შესახებ, რაც მკითხველს წარმოდგენას უქმნის სპარსეთში ქართული დასახლებების მასშტაბსა და გეოგრაფიაზე.

ილია კურტანიძე
კიდევ სპარსელ ქართველების შესახებ

(ისარი, 1907, N19, 27 იანვარი)

მე, როგორც ორი წელიწადი სპარსეთში ნამყოფი, ცოტა რამ ვიცი იქაურ ქართველების შესახებ და მინდა მკითხველსაც გავუზიარო.

ყველას კარგად მოეხსენება, რომ მხნე, გმირმა – ბარბაროსმა შაჰ-აბასმა ყოველივე ღონე იხმარა და მრავალი ქართველი გადაასახლა სპარსეთში. რა თქმა უნდა, ამ ტყვეებს მან საქართველოსთანა ადგილი არ აღირსა და ყველანი უწყლო, უნაყოფო ადგილებში მიფანტ-მოფანტა. შაჰ-აბასმა ის სიკეთე უყო მხოლოდ ტყვეებს, რომ უწყლო სოფლებში დამართა ქიარიზები[81] და წყალი გაიყვანა. ამის წყალობით თავისებურად აყვავდა ისეთი ადგილები, სადაც წინად კაცს ფეხიც კი არ დაუდგამს. სულ უნაყოფო ადგილებში მცხოვრებთ დაუნიშნა წლიური ჯამაგირი, რომელიც შეადგენდა კომლზე ორ-სამ ხალვარ[82] პურსა და რამდენსამე სპარსულ თუმანს (ხალვარი 19 ფუთს უდრის, თუმანი კი 1 მან. 65 კ. ან 1 მან. 70 კაპ. ბანკის კურსით. ნომინალური ფასი მისი 2 მანეთს შეადგენს). სოფელ აბას-აბადში, შაჰრუთის[83] მახლობლად, მცხოვრებთ ეხლაც ეძლევათ წელიწადში 750 სპარსული თუმანი და 75 ხალვარი პური. ამგვარ ადგილებში დაასახლა ქართველები იმიტომ, რომ თეჰირანის და მეშედის მოკლე, მაგრამ უწყლობით გაუვალი, უდაბნო ადგილებს აეყვავებინათ. ეს უდაბნო ომში მიმავალ ჯარისთვის მოკლედ სჭრიდა გზას. იგი მოხერხებული იყო ავრეთვე სპარსეთიდან მეშედში სალოცავად მიმავალისათვის. გზაში დამართეს ღამის სათევი ქარვასლები.

უმრავლესობა ქართველებისა დასახლებულია თეჰირანისა და შაჰრუთის შუა ადგილებში, ისფაჰანისა და სემენის[84] ოლქებში, რომლის მახლობლადაც არის სოფელი არადანი. მცირე ნაწილი ქართველობისა გაიყვანეს მეშედისკენ, მეშედს იქით ავღანისტანისკენ, თურბეთ-შეიხჯამამდის[85], ზოგიც დააქვეითეს სეისტანისაკენ (ინდოეთის მხარეს), სადაც არის ამ ჟამად სოფელი კახი[86], და გაჰფანტეს აქა-იქ ფარსების სოფლებში. ბედმა ქართველებს ეს არ აკმარა და საკუთრად ხორასანის ქართველები მეტ უბედურებაში ჩავარდნენ. ეს ხდებოდა მაშინ, როდესაც სპარსეთი უძლურდებოდა და შაჰ-აბასის, ნადირ-შაჰის და აღამაჰმად ხანის სიკვდილის შემდეგ მეფდებოდნენ უნიჭო და ღვთის მოყვარე მეფენი, რომელნიც დროს ლოცვაში და

---

81. ქარიზ – მიწისქვეშა წყალგაყვანილობის ტრადიციული სისტემა ირანში.

82. ხარვარ – ირანული წონის ერთეული.

83. ქ.შაჰრუდ-ი

84. ახლანდელი სემნანის პროვინცია.

85. დღევანდელი ქ. თორბათე-ჯამ ქ. მეშედიდან 144 კმ.-ზე, სადაც არის შეიხ ჯამის აკლდამა.

86. სოფელი ქერმანის პროვინციაში, ქ. რაფსანჯანიდან აღმოსავლეთით 39 კმ.-ზე (ირანის გეოგრაფიული ლექსიკონი, ტ.8, გვ.310).

ყურანის კითხვაში ატარებდნენ, სამეფოს ყურს არ უგდებდნენ და სანამ მტერი სასახლეში ლაცვის დროს თავს არ წაადგებოდა, ვერ გებულობდნენ იმის შემოსევას. ამ გარემოებით ყოველთვის სარგებლობდნენ თურქმენები, ტეკინელები და ავღანელები. ესენი სპარსეთს თავს ესხმოდნენ და მიჰქონდათ აუარებელი პური და ფული და მიჰყავდათ ქართველი ტყვეები. რადგან ეს ხალხები ხორასნის მოსაზღვრენი არიან, ამიტომ ეს უბედურება უფრო ამ მხარეს ატყდებოდა თავს და ქართველი ტყვეები, როგორც უფრო ლამაზი და შნოიანი ხალხი ბარბაროსების მსხვერპლნი ხდებოდნენ. ქართველი ტყვეები გაჰყავდათ შუა აზიის ქვეყნებში: ტაშქანდში, სამარყანდში, მერვში და თითქმის ხივის და ბუხარის სახანოებშიაც კი. აი, სწორედ ამ მიზეზით შემცირდა რიცხვი ხორასნელ ქართველებისა. დანარჩენი ნაწილი ფარსებს შეერია და დაივიწყა თავისი ჩამომაყალობა.

ამან, რასაკვირველია, არ მოსპო სპარსელ ქართველების რიცხვი. იგი არა თუ 40 ათასს, ასი ათასსაც აღემატება. ის ქართველები, რომელნიც დარჩნენ თეჰირანისა და ისფაჰანისა, სემენისა და შაჰრუთის ოლქებში, სოფელ აბას-აბადში, ჰუსეინ-აბადში, ყადრაბადში, რიონში, არადანში, სილნაღში და მრავალ სხვაგან ამ ჟამად მშვენიერად ლაპარაკობენ ქართულს. ქალის გათხოვება და თხოვნა ერთმანეთში აქვთ მხოლოდ. ქალებს ჩადრები არა ჰხურავთ, ქართულად აცვიათ. ქრისტიანები ძალიან უყვართ და მათთან არა ფიცავენ, რომ იგინი ოდესმე ქართველები ყოფილან.

სპარსელ ქართველებში ყველა წოდების ხალხი მოიპოვება. გადასახლების დროს ყველამ თავ თავისი ადგილი დაიჭირა: მღვდლები მოლებად აქციეს, თავად-აზნაურობას სამსახური მიანიჭეს, მუშა ხალხმა კი თავის შრომას მიჰყო ხელი.

მხოლოდ ზოგი აქციეს ყმებად, რომელთაც მდიდარი სპარსელები ერთმანერთში ჰყიდიდნენ. როგორც უენო საქონელსა. ვაჭრები დასახლდნენ ქალაქებში.

ორი სამი წელიწადი იქმნება, რაც გარდაიცვალა შარიფაბადის გუბერნატორი – ქართველი. 15 წელი იქნება, რაც გარდაიცვალა ისპაჰანში მდიდარი ვაჭარი ქართველი, რომელმაც რამდენიმე მილიონის შეძლება დასტოვა. თურმე ეს ვაჭარი ბატონიშვილი იყო გვარად, როგორც მე მითხრეს, ერეკლე მეფის ჩამომავალი თუ რალაც ნათესავი. ამან სიკვდილის წინ, რადგან მემკვიდრე არა ჰყავდა, კახეთიდან გაიწვია ვიღაც ნათესავი, მაგრამ იმის ჩასვლამდე გარდაიცვალა. დაუსფლავებია ერთ ღარიბ სპარსელს, რომელსაც დარჩენია მისი ავლა დიდება. კახეთიდან ჩასულმა ბევრი იცა თურმე თავში, ბევრი ეცადა, თითქმის შაჰსაც კი მიჰმართა, თავისი გარემოება აცნობა აგრეთვე რუსის მისსიაში თეჰირანში, მაგრამ ვერას გამხდარა. ყოველთვის ერთსა და იმავე პასუხს აძლევდნენ თურმე: „თუ მაჰმადის სარწმუნოებას მიიღებ და სპარსეთში დარჩები, გაკუთვნებთ მემკვიდრეობას და კარგ სამსახურსაც მოგცემთო“. შემდეგ აღარავინ იცის იმ კახელის ვინაობა, სად წავიდა ან რა მოუვიდა.

ქალაქ თურბეთ-ჰეიდარში[87] ერთმა თავრიზელმა სომეხმა, მნაცაკან აკოფის-ძე გრიგორიანცმა მიამბო შემდეგი: ზემოხსენებულ აბასაბადში სცხოვრობს თურმე ერთი მოლა, ქართველიც ჩამომავალი, რომელსაც უამბია მნაცაკანისათვის: საქართვე-

87. ქ.თორბათე-ჰეიდარიე

ლოდან ერთი ჩემი ნათესავი მესტუმრებოდა ხოლმე, რომელიც ყოველთვის მთხოვდა საქართველოში გადასახლებას, მაგრამ რადგანაც აქ რუსეთისა ძალიან გეშინია, ვერ გაებედე წასვლაო.

ილია კურტანიძე

***

მოძრაობა სპარსეთში და ფერეიდანის ქართველობა – როგორც რედაქტორის მინაწერშია აღნიშნული „ამ წერილში მოთავსებული ცნობები ამოღებულია ფერეიდანის ოლქის სოფელ მარტყოფის მცხოვრების მადუსენ[88] ყალაბეგიშვილის წერილიდან, რომელიც ეხლახან მიიღეს ტფილისში ჩამოსულმა სპარსელმა ქართველებმა“. წერილში აღწერილია ფერეიდნის მარტყოფელთა ბრძოლა აქიმის (გუბერნატორის) წინააღმდეგ ბრძოლა და საკუთარი უფლებების დაცვა.

წერილში ნახსენებია რამდენიმე ფერეიდნელის გვარი, რომელთა შორისაცაა გვარი ჭავჭავაძე, რაც სხვა წყაროებით არ დასტურდება. აქ ჩამოთვლილ ქართველთა შორის დღეს ფერეიდნელმა ქართველებმა შეიძლება თავიანთი წინაპრებიც ამოიცნონ.

მოძრაობა სპარსეთში და ფერეიდანის ქართველობა[89]

(ისარი 1907 წლის 17 აპრილი, N85 გვ.2-3)

რევოლუცია სპარსეთში განსაკუთრებულ პირობებში ხდება. იქ მთელი ხალხი თავითფეხამდე შეიარაღებულია და რევოლუციის მეთაური ანჯუმები[90] მტკიცედ და მხნედ ამხობენ საზიზღარ წესებს და ამყარებენ ახალს. ძველის რეჟიმის წარმომადგენელნი ძალზე შეაფიქრიანა ხალხის მოძრაობამ. მათ ბევრჯერ მოისურვეს ხალხთან გამკლავება და მოძრაობის ჩაქრობა, მაგრამ მათდა საუბედუროდ, ძალა არ შესწევდა არც მომხრენი ჰყავთ, თითო ოროლას გარდა. სპარსეთის პარლამენტი მეჯლისი დღეს თუ არა ხვალ გასწყვეტავს კავშირს წარსულთან და ძველის და მალალის კულტურის მქონე ხალხი შესძლებს ევროპის ცივილიზაციის სპარსეთის ნიადაგზე გადატანას და ცხოვრების გაუმჯობესებას.

სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, რომ სპარსეთის ფერეიდანის ქართველობა არა თუ მხნედ ჩარეულა განმათავისუფლებელ მოძრაობაში, მეთაურობაც-კი გაუწევია ფერეიდანისა და თითქმის მთელი ისპაჰანიის პროვინციის მცხოვრებთათვის, წინად

88. მოჰამად-ჰოსეინ

89. *) ამ წერილში მოთავსებული ცნობები ამოღებულია ფერეიდანის ოლქის სოფელ მარტყოფის მცხოვრების მადუსენ ყალაბეგიშვილის წერილიდან, რომელიც ეხლახან მიიღეს ტფილისში ჩამოსულმა სპარსელმა ქართველებმა. რედ.

90. ანჯომან – გაერთიანება, ასოციაცია.

ფერეიდანის ქართველობა მოგერებითი პოლიტიკას მისდევდა, ეხლა კი პირდაპირი იერიშიც მიუტანია ადგილობრივ ბიუროკრატიაზე, რასაც შედეგად მოჰყოლია ისპაჰანის მბძანებელის, ეხლანდელ შაჰის ბიძის ზელე-სულთანის[91] (ნამესტნიკი) თანამდებობიდან გადაყენება და ისპაჰანიდან გაძევება.

მოგეხსენებათ, სპარსეთში დღემდე სულ სხვა წესია გუბერნატორის ან სხვა რაიმე თანამდებობის მისაღებად. უფრო ხშირად ეს თანამდებობები ხელში უვარდებათ გაიძვერა და ხალხის სისხლის მწოველ ვაჟბატონებს. გუბერნატორის ადგილის მაძიებელი უმაღლეს მთავრობას აძლევს რამდენსამე ათას მანეთს და ისიც ადგილზე ნიშნავს. ჯამაგირი გუბერნატორს არ ეძლევა და რა თქმა უნდა, ისიც ხალხს ატყავებს. ასევე ჩაუგდია ხელში ფერეიდანის გუბერნატორობა ბახტიარს ტომით, ფათოლა ხანს, მეტ სახელად ზეიღმე სელთენას (ნიშნავს სულთანის ღომს) 1906 წლის გაზაფხულზე. ამ გუბერნატორს (სპარსულად აქიმს) დიდი და აუტანელი შეწუხება მიუყენებია მთელ საგუბერნატოროსთვის. ამასთან ნამესტნიკის – ზელე სულთანისაგან ზურგი გამაგრებული ჰქონია.

ამ გარემოებას ფრთა შეუსხავს ფათოლა ხანისათვის და შესდგომია ხალხის წამებას. სულ უბრალო მიზეზი, სადმე გაგონილი ჭორი საკმაო ყოფილა, რომ მთელი სოფლები გაენადგურებინა. ხშირად გუბერნატორი თვითონ სთხზავდა მიზეზებს ამა თუ იმ სოფლისგან კერძო პირთა შესახებ დ მერე ტყავს აძრობდა. გადასახადს ერთი სამად და ოთხად მეტს აწერდა ხალხს. თუ ვინმე მოკვდებოდა, ნახევარი დარჩენილ საცხოვრებელისა ფათოლა ხანს უნდა წაელო. დააბრალებდნენ ვინმე შეძლებულ კაცს, შენ ავაზაკობა ჩაგიდენიაო, და ჯარიმად შეაწერდა 500 მანეთს და მეტსაც. ფათოლა ხანს ეჭვი აუღია სიფტიგანის სოფლის უფროს აჯი ასან ალა ხანზე,[92] ვითომ მას ზელე სულთანისთვის საჩივარი უნდა შეეტანოს გუბერნატორზე. დაუპატიმრებია აჯი ასან ალა ხანი და ათი დღის განმავლობაში საშინელი ტანჯვა მიუყენებია[93]. ... [...] ათას ორასი თუმანი (სპარსული თუმანი 2. მ. 60 კაპ. უდრის). თოხმახლუს მიწაში (ფერეიდანის ნაწილია) სპარსელების 31 სოფელი აუკლია და შეუწერია უზომო გადასახადები და ჯარიმები. ფათოლახანს 800 შეიარაღებული ქურთი მხლებლად ჰყოლია და მათის მეოხებით აუკლია ეს სოფლები.

გუბერნატორი ამას არ დაკმაყოფილებულა. იგი გურჯისტანში ასულა და ახლა იქ დაუწყვია თარეში. სოფელ მარტყოფში დარჩენილა ათ დღეს. 700 თუმანი ჯარიმა გამოურთმევია ამ სოფლის მამასახლისების ალი მირზა ხან ონიკაშვილისა და ხოდარამ[94] ხან ხუციშვილისაგან. თვით სოფელ მარტყოფს გადასახადი შეწერილი ჰქონია 400 თუმანი, გუბერნატორს კი 8000 თუმანი, ანუ ჩვენებურ ფულად 17,000

91. ისპაჰანის პროვინციის მმართველი, წინა ხელისუფალის ნასერ-ედ-დინ შაჰის ძმა მასუდ-მირზა, წოდებული „ზელ ოს-სულთანად", რომელიც ფლობდა ფერეიდნის ქართულ სოფლებსაც და 30 წელზე მეტი ხნის განმავლობაში ძალიან ავიწროებდა ადგილბრივებს.

92. ჰაჯი ჰასან ალა-ხან

93. აქ ერთი სტრიქონი აკლია გაზეთიდან. არ იკითხება.

94. ხოდარამ

მანეთამდე გადაუხდევინებია. რაღაც დაუბრალებია სოფელ თელავის მცხოვრებთათვის, მისულა, ეკზეკუცია ჩაუყენებია და მთლად გაუნადგურებია სოფელი. სოფელს ვაშლოვანში დაუჭერია აჯი რასულა[95] და აჯი მიროსეინ[96] გოგიჩაშვილები და მათის საგვარეულოსათვის 600 თუმანი გადაუხდევინებია. ეს სულ იმიტომ, რომ თქვენ უბანში ქურთმა მგზავრებმა ჩამოიარეს და კარგი მასპინძლობა არ გაუწიეთო. ასეთ ძალმომრეობას ხალხის მოთმინების ფიალა აუვსია. გუბერნატორს სცოდნია, რომ თარეშს ქართველები არ აპატიებდნენ, ადრე თუ გვიან სამაგიეროს მიუზღავდნენ და ამიტომ ბოლო დროს საჩუქრებს უგზავნიდა თურმე ხანებს (ოთხი სოფელი აბარია) ალი მირზა ონიკაშვილს და იმის თანაშემწეს ხოლარამ (ასეა!) ხუციშვილს, მასიტაშვილებს და სხვებს, რათა მოელბო მათი გული. მაგრამ ხალხი სამაგიეროს გადახდისთვის ემზადებოდა. მარტყოფის მამასახლისები ხოდარაბ (ასეა!) ხანის ხუციშვილისა და ალი მირზა ხან ონიკაშვილის მეთაურობით მოულაპარაკნიათ გურჯისტანის და საზოგადოდ ფერეიდანის სხვა ხანებს და გადაუწყვეტიათ გუბერნატორის დაპატიმრება და გაძევება. შეუტყობინებიათ სოფლის მეთაურებისათვის დანიშნულ დროზე გამოცხადება, მართლაც შეიარაღებული მცხოვრებნი გურჯისტანში შეკრებილან. ამ ხალხს გასძღოლიან ს. მარტყოფიდან ალიმირზა ონიკაშვილის უფროსი ვაჟი – აყოლი ხანი[97] და ხოდარამ ხანი ხუციშვილი, სოფელ აფუსიდან – რეიმ ხანი[98] ჭავჭავაძე, ქვემო მარტყოფიდან – მადსადე[99] ხანი და მირზა ხანი მასიტაშვილები და ჩაუვლიათ ქურთების სოფლებში. იქ ქართველებს შეერთებიან თურქები სოფელ ჩადიგნის უფროსის აჰმად ყული ხანის მეთაურობით, გზაზედ სპარსელებიც მიმატებია და წასულან სოფელ დარანში თავიანთი კეთილის მყოფელ გუბერნატორის დასაპატიმრებლად და შემდეგ გასაძევებლად.

გუბერნატორს გაუგია ეს ამბავი, შეშინებია, აუკრავს თავისი ბარგი ბარხანა და მხლებლებით ისპაჰანში გაქცეულა, შეიარაღებულთა ერთი ნაწილი ონიკაშვილის და ხუციშვილის მეთაურობით გუბერნატორს კვალ და კვალ დაჰდევნებია ისპაჰანში. გუბერნატორი უნახავთ ზელე სულთანის შვილის აქბარ მირბას (ასეა!) სახლში, დაუპატიმრებიათ და შემდეგ ისპაჰანის წარმომადგენლებთან ერთად გუბერნატორისთვის ანგარიში მოუთხოვნიათ ქართველებს 8000 თუმნამდე იქვე გადაუხდევინებიათ გუბერნატორისთვის და მარტყოფში გაუგზავნიათ მომავალი წლის გადასახადის გასასტუმრებლად. ისპაჰანელების საერთო კრებაზე გამორკვეულა, რომ გუბერნატორის თავ აშვებულობაში დიდი ბრალი მიუძღოდა სპარსეთის შაჰის ბიძას ოპაჰნის (ასეა!) ზელე სულთანს. ისპაჰანისა და გურჯისტანის წარმომადგენლებს მარტის პირველ რიცხვებში გადაუწყვეტიათ ზელე სულთანის სრულიად გაძევება

95. ჰაჯი რასულ

96. ჰაჯი მირ-ჰოსეინ

97. ალიყოლი ხანი

98. რაჰიმ ხანი

99. მოჰამად სადეყხანი

ისპაჰანიდან და ფერეიდანის გუბერნატორის, ფათოლა ხანის დაპატიმრება და საპყრობილეში ჩაგდება.

წარმომადგენლებს დეპეშით უცნობებიათ სპარსეთის მეჯლისისათვის ზელე სულთანის გადაყენება და სრულიად გაწვევა ისპაჰანიდან, რაც, როგორც დეპეშებიდან უკვე იციან ჩვენმა მკითხველებმა, მეჯლისს კიდეც შეუსრულებია.

***

ახალი ამბები

(ლახვარი 1907, 24 მაისი N35, გვ. 3)

წ. კ. საზოგადოების გამგეობამ გადასწყვიტა დაარსოს ერთი ქართული სკოლა სპარსეთის ქართველებში.

***

ჩონი თავგადასავალი პარსეთიდან საქართველოსაკენ მოგზაურობის დროს – ეს ვრცელი წერილი გაზეთ „ისრის“ რამდენიმე ნომერში იბეჭდებოდა. აქ აღწერილია ფერეიდნელი ქართველების ფერეიდნიდან თეირანში, იქიდან კი აქაური ქართველების დახმარებით საქართველოში წამოსვლის ამბავი. წერილს აშკარად ატყვია რედაქტორის კვალი, თუმცა შიგადაშიგ გვხვდება ფერეიდნული დიალექტისთვის დამახასიათებელი საინტერესო ფორმები, ლექსიკა.

ყოლამოსეინ ონიკაშვილი
ჩონი თავგადასავალი პარსეთიდან საქართველოსაკენ მოგზაურობის დროს[100]

(ისარი, 1907, N111-115)

ეხლა მეოთხე თვეა, რაც ჩონ ჩამოვედით პარსეთიდან საქართველოს დედაქალაქ ტფილისში. ჩონ გვინდა ჩონს მოგზაურობაზე ცოტა რამ ვუამბოთ აქაურებს, ჩონს

100. საგაზეთო სტატიას ახლავს კომენტარი: *) ეს წერილი ეკუთვნის სპარსეთიდან ჩამოსულ ყოლა მოსეინ ონიკაშვილს. სულ მეოთხე თვეა, რაც ონიკაშვილი და იმისი ამხანაგი ხუციშვილი ჩამოვიდნენ. ქართულ წიგნისა და წერა-კითხვისა სულ არა იცოდნენ-რა. მაგრამ გულმოდგინედ ჩაუსხდნენ წიგნს და მშვენიერად შეისწავლეს კითხვაც და წერაც. ეს წერილები ონიკაშვილისა, ვფიქრობთ, რომ მკითხველისათვის ინტერესს მოკლებული არ არის. ენას წერილისას გაუსწორებლად ვსტოვებთ. რედაქცია.

ძმებს ქართველებს, რადგანაც, როგორც ვიცით, ბევრს უნდა, რომ გაიგონოს ჩონი მოგზაურობის ამბავი. შემდეგაც მკითხველებს გავაცნობთ-ყე პარსეთის ქართველებს. ეხლა მკითხველებსა ვთხოვთ, რომ ყველა შეცდომა გოპატივონ, რადგანაც ვიცით, ის ჩონი შეცდომები ჩონი პარსეთჩი დაკარგულობის ბრალია, რადგანაც სამას-ორმოც წელიწადზე მეტია, რაც ჩონ არც წერა-კითხვა და არც ქართული წიგნი თვალით აღარ გვინახავს.

გამოველით სახლიდან მარიამობისთვის შუვა რიცხვში ჩონ ორნი კაცნი, და პირველ წავედით ქურთებისა ანუ ბახტიარების სოფლებში. ვიყიდეთ იქ ას-ოცი ცხორი, ათი ვირი და დავბრუნდით ჩონ სოფელჩი ღამის გასათევად. დილას პირუტყვებსა შაუწყერით და სახლიდან გამოველით. სახლჩი უთხარითყე: ჩონ მიედივართ ხომსარჩი[101], რომელიც ჩონთან ახლო ქალაქია, ძევს სამოცი ვერსის მანძილზე, იმ დღეს მოველით ერთ სომხის სოფელჩი, სანგი ბარანჩი, ღამე იქ გავათენეთ, დილას მივველით ერთ ჩონ ქართულ სოფელჩი, რომელსაც ჰქიან ბოინი. იქ ერთი კარგი ამხანაგი გყვანდა, სახელად ასადოლა. იმ დღეს აღარ გოგუშო და ღამეს იქ დავრჩით. ასადოლას ყვანდა იმ ღამეს ოთხი დარვიში სტუმრად; ღამით საათის ორამდის ვისხედით და თრიაქის წევაჩი ვატარებდით დროს. დილას გამოველით. დღე უნდა გაგვეველო ოცი ვერსი გზა, მაგრამ ჩონ პირუტყვებს ძოვნა-ძოვნით მიუწყრებოდით და ნელ-ნელა მოვდიოდით, საღამოს მოვწვდით ხომსარჩი. აქაც ბევრი ნაცნობი გყვანდა, ჩონ დავდექით ერთ ნაცნობთან, ნასროლასთან. ჩონი პირუტყვიც სულ იმას ეზოჩი დალაგდა. იმ ღამეს მოვიდნენ ამხანაგები, რომელთაც ქონოდათ სუყველანაირი საკრავი. პარსეთის მიწაზე ყველგან თრიაქის წევა გახშირებულია. იმ ღამეს დილამდინ ვისხედით და სულ ხუმრობა-სიცილით ვატარებდით დროს. დილას მოვიდნენ ჩონი მუშტრები, მაგრამ ცხორს ნისიად თხოულობდნენ და ჩონ არ მიეცით. ხომსარზე მობმულია ერთი სოფელი, რომელსაც ჰქიან თივკანი. იქიდან ყასაბების უფროსი ჰაჯი აბულ ყასუმასაყენ საწერი ამოგვივიდა თქვენი ცხორის სასყიდლად. ჩონი ცხორით ამ ჰაჯისთან წავედით. იმან მოიტანა ორას თუმნამდი[102] პარსეთის ფული. იყიდა ოცი ცხორი და ორი ვირი ძლივს-ძლივობით შევჯერდით. სხვებმაც იყიდეს ჩონი ცხორი.

იმ ღამეს დავრჩით ჰაჯის სახლჩი. ღამით ბევრი რამ გველაპარაკა, ჰაჯიმ გვიამბო თავისი თავგადასავალი მექას მოგზაურობისა. ჰაჯიმ გვიამბო: მექადან წამოსლა მოგუხდა იმ გზაზე, რომელსაც ჰქიან ჯაბალის გზა. ის სულ მთა გორა გახრუკული ადგილებია და სულ აქლემით სავალი წყალი სულ არ იპოება. სამი ან ოთხი დღის სიარულის შემდეგ, ნახავ ერთ ჭას, რომელჩიგაც ცოტა მლაშე წყალი ჩამდგარა. უნდა მგზავრებმა მეორე ჭამდინ საკმარისი წყალი აიღონ. სოფელს კი ათ დღე ან თორმეტ დღეჩიგაც ვერ ნახავთ. ამ გვარად მოვდივართო. ერთი დღეს მოველით ერთი ტყეან ადგილზე ჩამოვხდით. ძალიან სიცხე იყო. ჩემმა ამხანაგებმა დაიძინეს, მე არ მეძინებოდა. ავდექ ნელ-ნელად მივიდვარ, იქ ვნახე ერთი კაცი, რომელიც ერთნაირ

101. ქ.ხანარი

102. *) პარსული თუმანი ორი მანეთი და სამი აბაზი.

ბალახს ამტერევდა – იმ ბალახს რძე გამაიდიოდა. ის კაცი იმ რძეს აგროვებდა ერთ ჭიქოჩი. ბეური ხვეწნის შემდეგ მითხრა, რომ ეს რძე წამალიაო; რომელ ქალსაც ყმაწვილი არ მაჰყავს – ეს რძე რო დაალევინო, ვეჭოლად ყმაწვილი მიეცემისო. მე ვცადე ეს და მართალი გამოდგა.

ახლა მეორე იმას ლაპარაკი ეს იყო, რომ მოვედით ქალაქ შამჩი, ვიყიდეთ ცხენები და ორი ამხანაგი მოვნახე ერთი იყო სეედი[103] და ერთიც იმისი ბიჭი. ჩონ მახლობელ სოფლისანი ვიყნევით. მხიარულად სახლისკენ მოვდივართ ერთ დღეს დიდი მანზილი გამოვიარეთ. სალამოს კიდეც მინდორჩი ვიყნევით. ძალიან დაღლილნი ვიყნევით. ჩამოვხდით ცხენებსა აყე. ბიჭმა ჩქარა ცხენებს თოფრა მიჰცაყე. მანყალი მოიტანა, ჩაი გააკეთა. ჩაის შემდეგ ბიჭმა დაუწყო ბარგს შაქუჩება; ჩონაც შავსხედით ცხენებზედ თუ არა, მაშინ მოვიდა ერთი დავრიში, მალალი, შავი ერთი დოგოთვარიალა და უცებ მანყალს გადაწვა, ჩონ ძალიან შავშინდით, ჩქარა შავსხედით ცხენებზე, ბიჭმაც ის ცეცხლი დაცალა დავრიშის წინ და შევჯდა თავის ცხენზე. ვნახეთ, რომ დავრიშის უბიდან ერთმა ვეებერთელა მცურავმა თავი გამოყო: იმ ცეცხლის სითბოზე გახურვებულიყო. მცურავმა დევრიშს უცებ უკბინა კისერზე, დაეხვია და მაშინვე მოჰკლა. ჩონ ცხენებზედ ვისხედით და შორიდგან ვუცქეროდით. თურმე დევრიშს უნდოდა ის მცურავი გაახურვოს და ეს სამნი კაცნი დოგხოცნეს. ეს ნამდვილი ამბავია პარსეთის მიწაზე. გაგებული კი არა, ვხედავთ, რომ ვისაც როგორ შეეძლოს და რომელი იარალი ამუშავოს თუ იხმაროს, უნდაყე ერთ მეორენი დახოცოს და რაც აქვს, წაართოს ყოველ დღეს პარსეთჩი ამისთანა ამბავები ხდება.

ჰაჯი ტკბილად გულაპარაკებოდა, ჩონაც ყურს უგდებდით. შუა ღამე იყო. ამ დროს შამოვიდა ჰაჯის ეზოში ერთი კაცი ცხენით და მალალის ხმით დაუძახა: ჰაჯი გამო სახლიდან, გამო ჩქარაო. ჰაჯიმ გულ გახეთქილმა საჩქაროდ გაირბინა კაცთან. ცოტა რამ მოილაპარაკეს, ჰაჯი შამოვიდა ოთახჩი და რამეს ეძებდა. ის კაცი ეზოდან ჰაჯის შამაილანძღებოდა და აჩქარებდა. ჰაჯიმ ერთი სამი თუმანი ფული გაუტანა და მადლობაც უთხრა. კაცმა ფული გამაართო და წავიდა. ჰაჯი შემოვიდა ოთახჩი, ძალიან გამწარებული დავჯდა. ეს იყო ჰაქიმის[104] კაცი, მოვიდა, ჩონ შოგოტყობინა, რომ დილას ჰაქიმი მოდის. სამი თუმანიც ყულული[105] გამომართო და თითონ კი წავიდა, რომ ხომსარჩიაც უთხრასყე. ადეგით სოფელს შეატყობინეთ და ათი ცხორი მოამზადეთ, რომ დილას ჰაქიმის წინ ყურბანი[106] ვქნათო. კაცნი ადგეს, სოფელს უთხრეს ჰაქიმის ამბავი. ღილამდის იმ საწყალ ხალხმა არ დაიძინეს. იმ ხალხის და იმ ჰაჯის სიმწარეობა ჩონაც გოწუხებდა. ხალხი შაიკრიბა, ათი ცხორი დაამზადა. იმისი ფასი და სხვა ხარჯები თავიანთ შუვა გაყვეს. იმ ღამეს არც იმ ხალხმა დაიძინა და არც ჩონ. დილასაც არავინ უნდა გავიღეს საქმეზე, იმიტომ რო უნდა ჰაქიმის მოსლის

---

103. *) სეედი -შაჰმადის ჩამომავალი იყო. ყ. ო.

104. *) ჰაქიმი ქართულად ნიშნავს გუბერნატორს.

105. *) ყულული ბრძანების ფულია.

106. *) ყურბანი მსხვერპლია.

დროს სალხი ქუჩის პირზე უნდა დადგნენ და ჰაქიმი შუაზე რომ გაიელის სულთავი ძირს დაუკრან და ერთ ხმით გამარჯობა და სალამი მიჰცენ. სალხის დასხლეტით იმ ცხორებს ათივეს ჩქარა თავები უნდა დაჰჭრან და თავები დაყარონ გზის ერთ ნაპირს და ლუშები მეორე ნაპირს. რა დროსაც სისხლჩი ფორთხალობენ, ჰაქიმმა უნდა შუაზე გაიაროს.

დილას საათის შვიდი იყო, როდესაც მოვიდა ერთი ოცამდის ჯორი, რომელთაც იმ ჰაქიმის ბარგი ეკიდა-ყე. დავინახეთ ერთი ყათერჩი ანუ მეჯორე უკან მოდის. ჰაჯიმ ჰკითხა, აბა მითხარ ჰაქიმი როდის მუვაო. მეჯორემ ერთი შამათორიალა და რადგანაც ჩონ სამთ გარდა არავინ ნახა, ერთი საშინელად ამოიოხრა. მეჯორემ სთქვა, ერთი თვეა, რაც ჩონ თეირანჩი დაგვიჭირეს. ჩოვნი საპალნე ისპაჰანის სოვდაგრისა იყო. სულ დაგოყრევინეს ერთს ქარავანსარაჩი და ჩონ ჯორებითურთ წამოგვიყვანეს, რომ ამათი საპალნე და ბინა ავკიდოთ. ეხლა ერთი თვეა, რაც ჩემი ჯორები და ჩემი ნოქრები ამით საპალნეს ვატარებთ, ჯერაც ერთი კაპეიკი ჩონთვის არ მოუციათ. ყოველ დღეს გოგინებენ. ჩემი ჯორების ზარები დ ავშარები სულ ჰაქიმის კაცებმა დამპარეს. რა ვქნა, ნეტამც ფეხები მომტეხიყო და სახლიდგან არ გამოვსულიყავ. ორი ჩემი ჯორი დაკოჭლებულა. თითო ორმოც თუმნად მიყიდია. ეხლა ალარც-კი ვარგიან. ღმერთს გეფიცებიყე, თუ დღესვე თავი დამანებონ და ქირაც არმომცენ (ასეა!), კიდეც მაღლობელი გავხდებიო. ჩემი ცოლ-შვილისა და სახლის იმედი ეს ორი პირუტყვი იყო და ესეც ხელთ გამივიდა, ამზამთარ (ასეა!) ყმაწვილები სიმშილით დამეხოცებიანო. და დიდ ხანს ღმერთს შაჰტირა.

ეს, რასაკვირველია, მთელ პარსეთჩი ასეა. როდესაც ჰაქიმი ერთ ქალაქიდან უნდა წავიდეს, მაშინ ბეური უდედმამო მუქთახორა ხალხი ეხვევა. ისიც უბრძანებსყე, წადით ჯორი აქლემი დაიჭირეთო. ამ ერთ სიტყვაზე, როგორც გაცოფეული მგელები, გამოცვივიან და სადაც ქარვანსარა არის, შავლენ და სადაც ნახონ აქლემი, ჯორი, ცხენი დაიჭირონ. იმ საწყალ ქარავანას ხალხს სულ აშინებენ, რომ თქენც უნდა წაგიყვანოთყეო. ისინიც შიშით თითო-თითო ჩუმად ფულს აძლევენ. ამ ნაირად ჰაქიმის კაცები ხალხს დიდ ფულს ართმევენ და იმით ცხოვრობენ, რადგანაც იმათ სხვა ჯამაგირი არაყე. ვინც ფულს ვერ მისცემს, ის ცეცხლჩი ვარდება. ერთი იმ ცეცხლჩი ჩაფლობილებსაყე ის არის, რომელიც ჩონა ვნახეთ. აი, ასეთია საწყალი ხალხის ცხოვრება პარსეთჩი.

ამის შემდეგ შვიდობა უთხარით ჰაჯისა და წამოვედით. ჩონი პირუტყი გამოვრეკეთ ახლო სოფელჩი, რომელსაც ჰქიან ვანიშანი. იქაც ცოტა ცხორი გავყიდეთ. სალამოს იქავრი ბალების დასათვალიერებლად გავედით. ამ სოფელს ხევის წყალიც აქვს და ქაჰრიზიც;[107] იმით ირწყვის იქავრი დიდი მამული და ბალები. იქავრი მამული ბევრად ჯობია ჩონი ფერედანის[108] მამულს. ემ სოფელს ბევრი ბაღი აქვს, აქავრი ყურძენი ყველგან გათქმულია. ბალებჩი მოდის სუნაერ ხეხილები. მოჰყავთ ჰური, ბამბა,

107. *) ქაჰრიზი არის მიწაში გაყვანილი წყლის მილი

108. *) ფერეიდანი ჩონი პატარა საქართველოა

თამბაქო და არის კარგი ბოსტანი. აქავრებს ყველაფერი თავის მამულჩი მოულდისყე. დედა-კაცებმაც სულ ხელობა იციან ხალიჩის ქსოვა და ხამისა იმით ტანისამოსი და საგებელი სულ ხამია თავიანთ ხელთ-ნაკეთები. ადგილი ბუნებით მდიდარეა, ხალხიც გამრჯელი, მაგრამ ბევრი ღარიბიც არის, რადგანაც გადასახადი ბევრიაყე. ეს გადასახადი წლივ და წლივ მატულობს. ამ სოფლის მინდორჩი ერთნაირი ევლის ბუჩქი იზრდება, როცა ეჩოით დაჰკაპვენ, ამ ბუჩქს წებო გამოდის, აგროვებენ და ჰყიდიან. ამ სოფლის საკუთარი მინდორი, სადაც ის ბუჩქი ხარობს, ჰაქიმს (გუბერნატორს) მიუყიდია ქირშანშას[109] ქალაქის ხალხისთვის და დიდი ფული აულია. ეხლა ხამი თვეა, რაც ეს უცხო ხალხი შესევია ამ სოფელს და იმ წებოს იჭერს. მინდორი სულ მოუსპიაყე, რადგანაც წებოს კრეფელები ყოველ დღეს იმ მინდორს თხრიან. იქავრი მცხოვრებლები ძალიან შაწუხებულები არიან, რადგანაც ათასამდის უცხო ხალხს იმით საკუთარი მინდორი საბლით გოუყოფიაყე.

ამას გარდა იმოდენა ხალხს ბევრი ცხენი, ჯორი, ვირი ჰყავს; ესენი სულ იმით მამულჩი გაუშვიაყე და ყანა თუ ბალახი იმათ ფეხთ ქვეშ გასულა. ჰაჯიმ შემომჩივლა, რომ ერთი თვის წინ ოცამდი კაცი ემ სოფლისა წაველით ჩონ ჰაქიმთან და ვთხოვეთ, რომ ეს ფული, რაც ჩონ მინდორის გასყიდვისა აულია, ნახავარი ჩონ ივჯარაჩი გათვალოს, მაგრამ ლანძღვით გომოგრეკნა და კიდეც დაგობარა, რომ ეს ხალხი არავინ არ შეაწყინოს, თორემ იმათ შამწყენელს ოცი თუმანი ჯარიმა ექნებაო. აბა რავქნათ, კალიაზედ უფრო მოზარალე გამხდარა ეს ხალხი ჩონთვისაო. მე უპასუხე: ამ ხალხის ბრალი კი არ არის, რასაც ხედავთ, თქენ ჰაქიმის თვალით დაინახე მეთქი. ახლა ის მეენება, სუ ღმერთის ბრალიაო.

მეორე დღეს იქიდან წამოვედით გულფეიგანის[110] სოფლებჩი. გულფეიგანი არის პატარა ქალაქი. ის დოქრჩა ზემოთ და ჩონ სოფლებჩი დავდიოდით. ერთ სოფელჩი ნაცნობი გყვანდა ჰაჯი მადალია.[111] ღამით იმის სახლჩი დავრჩით. დილას ჰაჯიმ ოცი ცხორი იყიდა და იქიდან სხვა სოფლებჩი გავიარეთ. სოფლები ერთმანეთზე ახლო ახლო არის. გულფეიგანს დიდი მამულ-წყალი აქვს. ძოსავალი კარგი იცის, მეტად მოდის ყურძენი და ბამბა და ბოსტანი. მაგრამ იმით მინდორს ბალახი სულებით არ მოჰყავს და უბალახობის გამო პირუტყვი ძალიან ცოტა ჰყავყე.

მივედით ერთ სოფელჩი, რომელსაც ჰქიან იმამზადა. იმამზადა ანუ მოჰამადის წმიდა ნათესავის საფლავი. იქა ცხოვრობს ოცი კომლი ღარიბი უმამულო ხალხი. იმათ საცხოვრებელი ის არის, რომ ვინაც იმამზადას სალოცავად მუვა და რაც იმამზადას შაჰწირონ, იმ ხალხმა ისარგებლოს. ღამით ერთ სახლჩი ვიყნევით. ამ სახლის პატრონს ჰყავს ექსი პატარა ვაჟი და ორი ქალი. ძლიერ ღარიბია, ის თავის ოჯახი ტიტველ-შიშველები ჰყავს, რომ ხელის ოდენა ხამი ენატრებათ. ბევრი შამომჩივლა თავის სიღარიბე. ბოლოს სთქვა, მეტამც ორი ეს ბავში შენ წაიყვანო და

109. ქ. ქერმანშა-ი

110. ქ. გოლფაიგან-ი

111. ჰაჯი მოჰამადალი

შენები იყნენო. ძალიან გული დემეწო. ღამეს იმ ყმაწილების გასახარებლად ერთი თხა დავკალით. ვხედავ, რომ იმ ყმაწვილებს დიდი სიხარული მეცაყე. თავიანთ მამას ეხეწებიან, სტუმრებს ნუ გოვშებთო. მამა ებნებისყე, ამ სტუმართ ორი თქენყე მიჰყავთ გასაზრდელადო. დილით ავდეგით, მივდივართ, ბავშები დიდს მოლოდინჩია, რომ წავიყვანთ. ჩონაც გული დაგვწყდა, მაგრამ დავპირდითყე: გამოიველით და წაგიყვანთყეო. ისინიც დამშიდებულნი დარჩნენ.

ჩონ წავედითყე ერთ პატარა ქალაქჩი, სახელით ხომეინი. ისიც მონაწილეა ერთი ჰაქიმისა. გზაჩი შავედით ერთი ჩაიხანაჩი. იქ დოგხვდა ორი ჩონი ქართველი, რომელთაც ცხორი გეყიდაყე და მობრუნებულიყნენ. იმათ სოფლის ამბავი გამოგვკითხეს.

სალამოს მოვწდით ხომეინჩს[112]. მეორე დღეს ყასბებმა იყიდეს ორმოცდა ორი ცხორი და ოთხი ვირი. ხომენჩი დავრჩით ექსი დღეს. მოვიდომეთ სულთან აბაჩი[113] წასვლა; ორი დღის სავალია. საღამოს სოფლის განზეგ გნახეთ ქარავანი, რომელიც მიდიოდა სულთან აბადს. ისპაჰანის ხალხები იყნეს – 6 კაცი ტყავის საპალნებით მიდიოდა ჰამადანის ქალაქჩი სავაჭროდ. ჩონაც იმ ქარავანას გაეყევითყე. ჩონ გექონდა სამას ორმოცდა ცამეტი თუმანი პარსული ფული (917 მანეთი და 80 კაპეიკი). იმ ღამეს დანარჩენ პირუტყვებით მოველით ქარვანასთან. შუაღამისას ქარავანი და ჩონ გაულექით გზას. ცოტა ხნის შემდეგ მოგოწივა ორი ცხენიანი და გეკითხა, ვინა ხართ და სად მიიდითო. უპასუხეთ მივდივართ ქალაქჩი. მაშ ამხანაგები ვართო. სახელი გამოვკითხეთ. იმანაც სთქვა, ეს არის ფათოლა ხანი და იეჯარის ფული მიაქვს ჰაქიმთანო. ეს ხანი არის სოფლის მამასახლისი და მეორე შეიარაღებული იმის კაცი. გავიარეთ სოფელი კარჩა. ორი ცხენიანი წინ მიდის. დაახლოვებით ქარავანი და ცოტას დასხლტით ჩონ. სოფელს გაეშორდით ორი ეჯი. ის ცხენიანი ერთ სერს გადაეფარნეს. ქარავანიც უკან მიიდევს. ერთ დროს ვნახეთ, რომ ცხენიანები გაჩნდეს. პირველად ორი, კიდევ ოთხი. კიდევ კიდეე ოთხი და ჩონ გარშემო შაკრეს და თოფები დოგოყარეს. მე ცოტა გზას გავიქე. სამი ცხენიანი წამოვიდეს ჩემყენ და ორი თოფი მესროლეს. როდესაც მივიხედე ხმალამოღებულნი მამაწყდეს, ფიცხლავ ორნი გადმოხტეს ცხენებსა და ავშარა მიჰსცეს იმ მესამეს და გინებით დამიწყვეს ხელების შაკვრა. ვხედავ, რომ ჩემი ამხანაგი ყოლამრეზაც დაუჭერიაყე და იმ ქარავანასაც დარევიან. უცებ თვალები მომაკრეს სარტყელით და ხელებზე ძალიან გამიჭირეს, როდესაც მაგრა განასკა, ერთი ჯოხიც დამარტყა და გინებით მითხრა, შენ უნდა უეჭოლად თავი მოქჭრათო. იმ მეორემ შალანძღა, ხელ შეკრულ კაცს ნუ სცემო. ეხლა ერთმა მომკიდა ხელი და მივდივართ, სადა, – სადაც იმ გზას დაშორებით ჩუყური ლულბია. ყოლამრეზაც ჩემთან ახლო მაჰყავყე. თვალ მოკრული როდისაც წამოვაწყდებით, ან წავიქცევით, დაბალის ხმით გოგინებენ და გოჩქარებენ. დიდ ხანს გოტარეს. ერთ ალაგას მე დამსვეს და ყოლამრეზა ცოტას დაშორებით. ეხლა ეგრე მეგონა, რომ ემ სამ კაცის გარდა ჩონთან არავინ არის. სხონი იმ ჩონ ამხანაგებს და

112. წერილში წერია: ხომეინს და ჩ გადაშლილია.

113. სოლთანაბად – დღევანდელი ქ. არაქ-ი

იმით საქონელს სინჯავდეს. მე დავიძახე, ყოლამრეზა აბა სად ხარ, იძრახე მეთქი. ამანაც ხმა მომცა. იმ დროს ორი მეკობრე ჩონთან გაჩნდა. გინებით მეფიცების, რომ თუ ხმა ამოგილიაყე, ორთავ ტყვიით დაგხოცავთყეო.

მე იმ დროს ათასი ფიქრი მიტრიალებდა თავჩი. ვამბობ თუ თოფ-იარალი მქონიყო, ემ დღეს არა ვნახევდი მეთქი, თუ იარალი თან მქონოდა, ან მოვკვდებოდით ან ხუთავ ამოვწყედიყე, თუმც ჩონზე მეტი იყნეს. დიდ ხანს ვეყარენით. მეკობრების ხმა გასწყდა. იმ დროს მე კლავებმა ძალიან გამიჭირა აგრერო სუსტი შავიქენ. თვალები და ყურები ერთად მოკრული გქონდის, რომ ალარც ვხედავდი და ალარც მესმოდის. ავდექ და უკივლე ყოლამრეზას, აბა სადა ხარ მეთქი. ცოტად მესმის, შორიდგან ამის ხმა მოდის. ეხლა ნელ-ნელა ფეხების ცურვით, რომ არსად ჩავვარდე, სიფრთხილით მივდივარ. თან და თან ყოლამრეზაც ხმას იქს. დიდის ხან ძებნის შემდეგ ერთმანეთი მოვნახეთ. მე ძალიან შაწუხებული ვიყავ გაჭერილ კლავებისაგან და ყოლამრეზა ჩემზედ უფრო შაწუხებული. პირველ კბილით ერთმანეთს თვალები გაუხსენით. ახლა ხელების გახსნას დავადექით ორ საათამდინ ჩონ ძლივ ძლივობით ხელები გავიხსენით, დიდს ხანს თვალები გუჭრის და არც ხელები გუჭირებს. ვისხედით გახურებულნი. ავდექით, ჩონ ახლო დავათვალიერეთ, ის ჩონი პირუტყები იქ იყნეს. შავაქუჩეთყე. ხურჯინი ფულებით წეელოყე. ხან ვამბობთ, რო ჯანდაბას იყოს ფული; თუ ჩონი თავი დეხოცაყე, ხელის შამტაცებელი ვინ იყო; ხან ვამბობთ – უფულო კაცი მოკლულიაო. თავ მწარედ ვფიქრობდით. მაგრამ შაწუხება და ფიქრი კაცს არაფერს უშელის. ბოლოს იმ ჩონ პირუტყს შაუწყერით. ცოტა გზას რომ ჩამოვედით, საპალნე და პირუტყი დაეინახეთ. ახლო მივედით, ვნახეთ სულ ხელფეხ შაკრულები ყრიან. შასაბრალოდ, ცალკე ცალკე. ფიცხლავ ხელები დაუსხენითყე. ცოტა ხნის შემდეგ თავიანთი საპალნები დათვალიერეს. ერთბაშად ჟივილ-კივილი დაუდგათყე: ზოგი ტირილით უბნობს, ჩემი ფულიო, ზოგი – კაი ჩემი თრიაკი. მეორე ორეს ხელით თავჩი იცემს: ვაი ჩემი აბრეშუმი, ჩემი ფულიო. ზოგი შაჰტირის, ნახე, ნახე, რა დღე დოგუდგაო. ვირჩივეთ დაბრუნება უკან, დილანდელ სოფელჩი. იმათაც თავიანთი საპალნები აჰკიდეს. ერთი ხმა მოგოსმა. ვნახეთ: ის ორი ცხენიანი, რომელიც ჩონ წინ იყნეს, იქ ყრიან. მიევედით. ვხედავთ, იმ ხანს ხელები შაკრული აქვს. როდისაც გვინდოდა გახსნა, ვნახეთ სისხლი გასდის და ძალიან დასუსტებულია. სამგან წელის დანა დაეცაყე. მკლავის გვერდი და კაჩა დაჰჭრიყო. იმის კაცი მეორე მხარესყე ეგდო. ისიც ავაყენეთ, იმისი თოფ-იარალი წაელოყე. დაუწყევით იმას ლანძღვა, რაისთვის თოფი არ ესროლეყეო, მაგრამ იმას ენას ჩავარდნიყო შიშით, აღარაფერს არ უბნობდა. ბოლოს შავიკრიბენით და მოვედით იმ დილანდელ სოფელჩი. იყო შუვა ღამე. ფათოლა ხანმა სთქვა, მე წავალ და კაცებს გაეგზავნი მეკობრების საძებნელადაო. ჩონ და იმ ქარავანას იმ ღამეს არავინ ალაგი არ მოქცა, ერთი კედლის ძირს გავათენეთ. სოფელი ცუდად გვიყურებდის. ვისაც შავჩივლეთ, გვითხრა: მოგშორდით აქიდან; ჩონ სოფელში ჯერ მეკობრე არ შამოსულაო. ერთი ნამგრევი ქარვასლა იყო. იმ ღამეს დილამდის იქ ყარაულობა გავზიდეთ, რადგანაც სახლებჩი არავინ ალაგი არ მოქცა და იმ ნამგრევჩიაც გოშინოდა, პირუტყვი არ დაეპარათ. იმ დროს ძალიან სურვილი მქონდა,

ოცი ის ჩონი შეიარალებულ ბიჭები იქა მყოლიყო. რომ რაც ჩემს გულს უნდოდა, იმ სოფლისთვის თაუზე მომეტანა. ეხლა რა ვქნა მარტო კაცი უიარალო. მეორე დღეს ბევრი ვეძებეთ, მაგრამ მეკობრებისა ვერაფერი გავიგეთყე, იქიდან წამოველით ქალაქჩი. იქ ჩონი დანარჩენი პირუტყვი დავყიდეთ, მაგრამ ძალიან იაფად, იმიტომ რომ გული არ გქონდა ლაპარაკისა. ჩონ გვინდოდა ჰაქიმთან ჩივილი, მაგრამ ამბავი დოგხდა, რომ ქალაქის ჰაქიმი ფახრელ მოლქი[114] იმ დღეებჩი მიდიოდა თეირანს. გზაჩი დადგომიან ოთხასი ცხენიანი, რომელთაც იმ დღეებჩი ბევრი ქარავანი გაუცარცვაყე, ის ჰაქიმიც იმ დღეებჩი გეცარცვაყე, სამოცი ათას თუმანი ფული და კიდეც რამოდენი თოფი და ბარგი ჰაქიმისა წაელოყე. სხო და სხო სოვდაგრებისა კი არ ეტყობა რამდენი სავაჭრო საქონელი წასულა. ემ ამბავების გაგებით, ჩონ იმედი მოგოჭრა, რადგანაც ჰაქიმის საქონელი, ფული და ბარგი წაილონ, ჩონ რათიღა გული დავიკლოთ.

ერთ დღეს გავიგეთ, რომ თეირანითგან მოსულა ორ-ორასი ცხენიანი იმ მეკობრების მოსანახავად. დამდგარან ერთ სოფელჩი. იმის ახლო ის ხალხი და ჰაქიმი გაუცარცვაყე. ჩონ მოვინდომეთ წასვლა საჩივრად. ფურგუნი დავიქირავეთ, რომელიც პირდაპირ ყუმის ქალაქჩი მიდიოდის. ის სოფელიც, რომელჩიაც ის ცხენიანები მდგარან, იმ გზაზედ არის. ჩავსხედით ფურგუნჩი. დღე და ღამე მივდივართ. მესამე დღეს იმ სოფელს მოუახლოვდით. ვხედავთ ვინც გზაჩი მოდის, სულ გოვნება, რომ ეს ცხენიანები გამლელ გამომლელს ცორცვენო, ჩონ არ ვიჯერებთ. საღამომდი ათამდი კაცი ვნახეთ, რო სულ გეცარცვაყე. წეელოთ ჩაი-შაქარი, თრიაქი, ჩითი, ფული. ვისაც რა აქვს, ართმეევენო. ჩონ შიშით იმ სოფლის განზე ჩამოხდით. მეფურგუნემ ცოტა რამ შეაჭამაყე თავის ცხენებს და მალე გაუდექით გზასა. წავედით ყუმის ქალაქჩი, რადგანაც იმ საშინელ გზაზე უკან დაბრუნება არ შაგოძლო. მაგრამ გზაზე ქარავანი შომოგოყარა, რომელსაც გზაჩი მეკობრე გარდადგომიყო. დოგობრუნეს უკან იმ სადგურჩი. მეორე დღეს დიდი შიშით ჩონ და იმ ქარავანმა ის არე მარე გავიარეთ. მესამე დღეს მოვწდით ყუმჩი: ერთ სასტუმროჩი დავბინავდით. მინდა მოგახსენოთ იმ სოფლის ამბავი, რომელჩიგაც ის ცხენიანები მისულიყნეს მეკობრების მოსანახად. ის ვაჟკაცები კი არ იყნეს, რომ მეკობრე მეენახაყე. ისინი სოფელს დასცემიყნეს, ვინაც იმ სოფლის ხალხი დეენახვაყე, დაეჭირათ, დანარჩენანი გამოქცეველიყნეს ემ ბასტჩი. ვხედავთ, რომ სულ გლეხი, მიწის მუშა ხალხი იყო ორმოცამდინ კაცი. სარტყელები მოუბამყე კისრებზე დ თავიანთ თავი გამოუბამყე იმ ბასტის ფანჯრებზე. ხმა მალლა ყვიროდის: ხალხო გამაიკითხეთ, რა გუქნია რომ ცხენიანები დოგოქცნენ და ჩონი ცოლ შვილი დაუნებებიაყე; ჩონი საქონელი სულ დაკლეს, დაჭამეს და დაყიდეს და სახლები სულ დოგუწეს, რადგანაც გობრალებენ რომ ჰაქიმის მეკობრები თქვენა ხართო. დილიდგან საღამემდის იქ დაბმულები ყრიან. ხალხიც ჭიანჭველასავით შადის და გადის, იმ საწყლებს კი არავინ ყურს არ უგდებდის. ამისთანა სამართალია პარსეთჩი. მესამე დღეს მოვიდა სეედი იმ იმამზადეს უფროსი, რომელსაც აბარია იმამზადესათვის შეწირული ძვირფასი ნივთები, და კარგად გაცნობილია შაჰთან.

114. ფახრ ოლ-მოლქ-ი

იმ სეედმა დაბმულ ხალხს უბრძანაყე ადექითო. მე საქმეს იგრე მოვახერხებ, რომ ცხენიანები უკან დაბრუნდნენო. მაგრამ ის ცხენიანები თითონაც წამოვიდოდეს, რადგანაც იმ სოფელჩი აღარც საჭმელი ებადებოდა და არც სხორამე.

ათ დღეს დავჩით ყუმჩი. იმ დროს ხმები გოსმოდა, თეირანჩი მეკობრები დაუჭერიაყეო. მოვინდომეთ წასვლა თეირანჩი. იმ დროს ყუმჩი ვნახე სამი კაცი, ისინი იყნეს ჩონი ხრიდგან მოსულ ქურთები, რომელთაც დიდი ვაჭრობა აყე ცხორისა, ვკითხეთ ჩონი სოფლის ამბავი. მერე წერილი ჩონი ამბავის მივწერე სახლჩი და იმ ქურთებს გავატანეყე. არ ვიცი მიჰწდა, თუ არა. ღმერთმა ნურა კაცს უცხო ალაგას საქმე ნუ გაუჭიროს. ჩონ ბევრი ვიტანჯეთ. ერთი დილიჯანი დავიქირავეთ, რომელიც მიდიოდა თეირანის შუვა გზიდან. ოთხი დღე საჯალია და ეს გზა ძალიან ცხელი და უწყლოა. მეორე ღამეს მოვედით ერთ სადგურჩი, რომელსაც ჰქიან ყალა მამდალი ხანი.[115] აქ არის ერთი პატარა წყარო და ცოტა ბაღები. შორით ვხედავთ, რომ იმ სადგურის გარშემო ალაგ ალაგას ცეცხლი ანთია, სადგურჩიკი მარტო ჩირალი ბჟუნტობს. როდისაც გამოვკითხეთ ცეცხლის ანთების მიზეზი, გუპასუხეს, რომ ცურავისა და მორიალის შიშით ავანთეთყე, რადგანაც ისინი ღამით იმ სინათლეს ეხოვიან და სადგურჩი არ შამოდიანო. ღმერთმა დაიფაროს კაცის იქ ცხოვრება. ჩონ იმ ღამეს დილამდინ შიშით თვალი არ მოგუხუჭნია. დილას კაცის თავს სამ-სამი მანეთი გარდოგხდევინეს. მეორე დღეს მივედით უკანასკნელ სადგურჩი, სადაც დილიჯანი დადგა. იქ დავიქირავეთ ჩალანდარი. ჩალანდრებს საპალნე მიაყე თეირანჩი, იმათ მარტო ჩონი ბარგი აჰკიდეს და ჩონ ფეხით წავედითყე. როგორც იყო მეოთხე დღეს მოვედით თეირანს. ერთი ქარავან სარაჩი დავბინავედით.

ჩონ დიდი იმედი გვქონდა, ის ჩონი ფერეიდანის ქართველებისა, რომელნიც შეშანიდან[116] მოსულიყვნენ თეირანჩი ჩივარით. ქართველი შვიდი იყო. იმათი უფროსი სახელით შეიხ მადალი იყო. გამოვკითხეთ შეიხ მადალიას[117] მანზილი და, როგორც იყო, მოვნახეთ. ბევრ ამბვის გამოკითხვის შემდეგ, ის ჩონი თავს გადასავალი სულ უამბეთყე. შეიხ მადალია ძლიერ გამწარდა, მაგრამ ნუგეში გუთხრა და გული დოგუდვა. მეორე დღეს მოვიწყევით საჩივრად წასლა სადრ-აზამთან[118]. სამ-ოთხ დღეს დილას და სალამოს იქ მიევდიოდით. ბოლოს ძლივ ძლივობით გამოვაცხადეთ ჩონი საჩივარი და ჰოქმის მოცემა გამოვიპარეთ. ერთ დღეს გუთხრეს, თქვენი ჰოქმი ერთ ხანთან არისო, ჩონ წავედით ჰოქმის გამოსართმელად. ის ხანი ათი თუმანს ითხოვდა. ბოლოს ხუთი თუმანი მივეცით და ჩონი ჰოქმი გამოვართით. ჩონ ბეური ვიარეთ, მაგრამ იმდენ ხალხჩი არვის ჩონთვის გული არ დაეწო და არავის ჩონი ლაპარაკისთვის ყური არ დაუგდია.

რამოდენიმე დღის შემდეგ მოვინდომეთ საქართველოდან მოსულ ქართველის

---

115. *) ამ ნიშნით სქოლიოში წერია: მამდილი ხანის აშენებული; (ყა'ლეიე მოჰამადალი-ხან – მოჰამადალი-ხანის ციხე. ავტ.).

116. სავარაუდოდ, სოფ. შეშ-ეკავანია ფერეიდანში.

117. შეიხ მადალი და შეიხ მადალია ორივე არის შეიხ მოჰამადალი.

118. მთავრობის მეთაური – კანცლერი.

მოძებნა, რადგანაც, ჩონ ვიცით, რომ თუმც ქართველი თეირანჩი იქმნება, დიდ სამსახურჩი უნდა იყოს. წინად გაგებული გქონდა, რომ ყოფილა თეირანჩი ქართველი, სახელით მანუჩეჰრხანი, ჰყოლია შვილები – ჯონგირ ხანი და სულეიმან ხანი, რომელთაც დიდი საქმე სჭერიათ ხელჩი. მანუჩეჰრ ხანი ყოფილა პარსეთის სეფაჰ-სალარე[119], ჯონგირხანი – თოფ-ხანის უფროსი[120] და სულეიმან ხანი – ისპაჰანის ჰაქიმი. ესენი დღესაც ახსოვსყე ზოგიერთ ჩონ მოხუც კაცებს, რადგანაც იმ დროს მას ჩონი ქართველები კარგად შაუნახავს. ჩონ დიდი იმედი გქონდა, რომ თეირანჩი საქართველოს ქართველი იქმნებოდა. ერთ დღეს ბაზარჩი შემხდა სომხების ერთი ღდელი; მინდოდა იმისთინ მეკითხნა ქართველის ამბავი, რადგანაც პარსელმა არ იცის გარჩევა-რომელია რუსი, სომეხი ან ქართველი. გამოვკითხე, მიპასუხა – მე კი არ ვიცი, მაგრამ ერთ ალაგას, რომელსაც მანუჩეჰრხანის ბაზარს ეუბნებიან, მარტო სომხები ცხოვრობენ. იქ გამოიკითხეთ, ისინი უეჭოლად გოსწყალიანო. დილას მოვნახეთყე ის სომხები, თითო-თითო დაუვარეთ და ვკითხეთ. არავის არაფერი არ ცოდნოდა. ბოლოს ერთმა სთქვა: ალაე დოვლას ქუჩაზე ერთი მედუქნე არის და იმან ქართული იცისო.

ჩონ სიხარულით გავეშურნეთ იმის საძებნელად. სალამოდი ვისაც ვკითხეთ, არავინ იცნობდა იმ ქართულ მოლაპარაკესა. მეორე დღეს ბევრი ძებნით მოვნახეთ. ის იყო სომეხი მედუქნე, ღვინოს ვაჭარი. ქართულად დეველაპარაკე, ერთი ცოტას ქართულს ხელ-ფეხს ამტვრევდა. პირველ საქართველოს ამბავი ვკითხე, ვხედავ, რომ თვალები აევსო ცრემლით და ერთი ამოიკვნესა. ცოტას ხნის შემდეგ მიამბო მარტო თფილისის ამბავი და აქავრი ქართველებისა. ამობაჩი ერთი სომეხი შამოვიდა და იმასთან დაიწყო ლაპარაკი. იმ მეორე სომეხმა მითხრა: მე ოთხი ქართველი ვიცი და თუ გინდა, წაგიყვანო, ძალიან გამიხარდა, მადლობა უთხარ და წრაფლ წამოვარდი. იმასთან ერთად გამოვედით ერთი სხვა ქუჩაზე, სადაც ერთი სომხის სასტუმრო იყო, კარჩი ივკდა ერთი მოხუცი სომეხი, ჩონმა სომეხმა უთხრა, ესენი ქართველები არიან და მოსულან ქართველები ნახონო, ისიც ქართულად დემელაპარაკა, მეც ამასთან ცოტა ვილაპარაკე, მაგრამ ჩემმა გულმა არ ინდომა იმასთან ლაპარაკი. ბოლოს მითხრა: ეხლა აქ არიან, ვისაც შენ ეძებო, ღამით მოვლენო. მე ის ალაგი დავნიშნე, სიხარულით ფეხზე ველარ ვიდექით.

თეირანჩი იყო ერთი მაყაშვილი, ჩონგან მოსული ოცის წლის წინ; თეირანჩი ცოლი შოურთავ. იმას ვიცნობდი, ჩქარ გავიქეცი, ვახარე, რომ ჩონ ქართველები მოვნახეთყე მეთქი. ისიც მოვიდა, სალამოს ერთად წავედით იმ სასტუმროჩი. ეხლა არ ვიცით, რომელ ნომერჩი იყნენ. ყოლამ რეზამ იმ კარჩი დაიკივლა: ქართველებოო. ერთბაშად, ვნახოთ, ორმა ქომოთ ნომრიდგან და ორმაც ზემოთიდგან ჩამოირბინეს. ესენი ქართველები იყვნენ ალექსიმ და ლავრენტიმ ყოლამ რეზა წაიყვანეს, მე და მაჰმუდა მაყაშვილი გაბოს და მელიტონას წავყევით. როგორც კაცმა დაკარგული ღვიძლი

119. სპასალარი, სარდალი

120. არტილერიის უფროსი

ძმა მონახოს და გაიხაროს, ისე ჩონ ნახევარ საათამდის ერთმანეთს უყურებდით და ლაპარაკი არ შოგოძლო სიხარულით. მას უკან ეკითხეთ ერთმანეთს, როგორ მოგუხდა იქ მოსლა. ვილაპარაკეთ. ვხედავთ, გათენდა, მზე ამოვიდა: ჩონ არ გავიგეთ, ღამემ როგორ გაიარა. ესენი იყნეს ქუთაისის გუბერნიიდან მოსულნი, თავრიზის გზა ეკეთაყე. ეს გზა ეხლაც კეთდების თეირანამდის. იმათ ფული მისალები ჰქონდაყე თეირანჩი.

ამათ გუთხრეს, რომ აქ კიდევ არის ჩონი ქართველი – იასონა, რომელიც რუსის ბანგჩი მსახურობს; დღეს კირა არის და იასონაც მოცლილია, წავიდეთო, წაველით: გაბო წინ გაიქცა, იასონას შეატყობინოს ჩონი მონახვა. თურმე იმ ჩონ ძებნაზე იმათაც ჩონი მოსლა გეეგოთყე და იმათაც ეძებნაყე. გახარებული ერთი ბაღის კარჩი ერთმანეთს დავხვდით. იასონას ნახვამ ძალიან გამახარა, პირველ ხელ იმ ბაღჩი სიარულს გაუდექით. ბაღჩი ერთი პატარა გამოყვანილი წყალი შამოდის და გარშემოს უვლის. ბოლოს შადის ერთს დიდ ჰავზში, რომელიც იმ ბაღის შუვაზეა. ბაღჩი ყველაფერი ხეხილია მოყვანილი. შუა და შუა ათასნაირი ყვავილები და ბიბილები სთესია. იმ ბაღის შუაზე ერთი კარგი შენობა არის, რომელჩიაც იასონა და იმისი ამხანაგები ცხოვრობენ. შაველით ოთახჩი, დავსხედით. ეხლა რომ ქართველებსა ვხედავყე და იმათი ლაპარაკი მეყურება ყველაფერი მავიწყდება. თუ გაცარცვა მენახა-სულ დამავიწყდა. მალ-და-მალ ის ჩონი მაყაშვილი დაიძახებს: „ღმერთო! აბა სიზმარია თუ ცხადი, თქვენი ჭირიმე, ქართველებო, თქვენ ილაპარაკეთ, მე ყური გიგდოყეო“. საღამემდი იასონას მანძილზე ვიყნევით, ბოლოს შიდობა უთხარით და წამოველით.

მეორე ღამეს კიდევ წაველით იასონასთან, იქ მოვილაპარაკეთ იმ ჩონი თავის გადასავალზე – ჩონი ამბავი რომ გაიგონეს ძალიან შაწუხდეს. დაიწყეს ლაპარაკი რუსულად. ცოტა ხანს უკანს გამო და მელიტონა მეფიცებიან, „თუ ჩონი ფული მალე მივიღეთ, შენ დაკარგულ ფულებს ჩონ მოგცემთო“. მე უპასუხე: „ძმაო, ბევრჯერ ეგეთი ფულები მინახავ, მაგრამ არა დროს ეგეთი სიხარული არ მომცემია, როგორც ეხლა მეთქი.“ იასონამ სთქვა: ჯობელია, წავიდეთ ამირაჯიბთან, იქმნების იმან საქმე როგორმე მოახერხოსო, დილას ერთად წაველით ამირაჯიბის სახლჩი. კარჩი იდგა ოთხი სალდათი ყარაულად, ჩონ იმ ყარაულებს უთხარითყე, რომ შაჰზადას ბიჭს უთხარი გამოვიდეს. ყარაულმა ბიჭს დაუძახა, ჩონ ვუთხარით შაჰზადეს აცნობე ქართველები მოსულანო. შაჰზადეს ებძანა შამოვიდენო, ჩონ შაველით. ის უფროსი კაცი თავის ოთახის კარამდინ მოგოგება; ძალიანად გახარებულიყო ბძანა: ამოდით, ამოდითო. აველით და შაველით მშვენიერ მოწყობილს ოთახჩი, რომელიც სულ ძირფას ხალიჩებით დაგებული იყო. ამირაჯიბმა მკითხა ჩონი ქართველების ცხორების ამბავი. მეც, რაც ვიცოდი, უთხარი. ის ამირაჯიბი ქართველი იყო და ძალიან გაუხარდა ჩონი ნახვა. შემდეგ მოვილაპარაკეთ იმ ჩონ ფულისა. ამირაჯიბმა პირობა მოგვცა გუშელს. იმ დღეს შიდობა უთხარითყე და გამოველით.

მესამე დღეს კიდე წაველით ამირაჯიბთან. შაველით თუ არა, თავის ბიჭს უბრძანა, წადი და იმ ჩემ ამხანაგს უთხარ – მოვიდესო, სახელობრივ ჩააბარა. ცოტა ხნის შემდეგ მოვიდა ერთი სეედი, რომელიც არის იმ საადრაზამის (ასეა!) მწერალი და

ყველა საჩივრის საქმეებჩი ხელი ურევია. ამირაჯიბმა იმას მიაბარა ის ჩონი საქმე და სთხოვა: აგეთი ჰოქმი უნდა გამოურთოყე, რო მე მომეწონოსო. სეედი წავიდა, მეხუთე დღეს ერთი ჰოქმი მოგუტანა. ის იყო გარდაცემული იმ სამიწავოს ჰაქიმზე: უვეჭოლად უნდა მეკობრე მოენახა და ჩონი ფული წეერთმევნა, ან გარდეხდევნა იმ სამიწაოსათვის. ის ჰოქმი, დღესაც თანა მაქვს, ჰოქმი დაბეჭდილია შაჰისა დასადრაზამისა (ასეა!). ჩონ იმ სეედს, რომელმაც ის ჰოქმი მოგუტანა, ორი თუმანი მიეცით საჩოქარი, იმანაც დოგჯერდა ამირაჯიბის ხათრისთვინ. სეედი მაშარეზდის, რომ ჰოქმი ჰაქიმს მიაწდინე და შენი ფული გამორთმეულ იქნებისო. ვფიქრობდი: აბა მგელს დუმა წეერთმევის მეთქი. მეორე ეს, რომ იქმნება იმ ჰაქიმმა რამდენიმე სოფლის ხალხი, სულ გლეხი და უდაენაშაო, აწვალოს და იმ ჩემ ჰოქმის სახელზე რამდენი ფული წაართოს ხალხს და ბოლოს ან ჩემი ფული მომცეს, ან ნახევარი. ეს ფიქრები მომდიოდა, რადგანაც იქაურს სამართალს ვიცნობდი.

როდესაც დრო გოქონდა, შემოიყრებითყე ქართველები და სულ საქართველოზე ვლაპარაკობთ. მე მიტაცებდა საქართველოს ნახვის სურვილი ისე, რომ ყველაფერი მავიწყდებოდა. და ვფიქრავ, ჩემი თავი საქართველოჩი მგონია. როდისაც ისინი დაიწყობდენ საუბარს, სულ გზის ამბავს ვკითხავდიყე, თუ როგორ უნდა წავიდეს კაცი მეთქი. მევნებიან: რას აქნევ გზის ამბავს? ვებნებიყე: მინდა წავიდე, იქავრობა ვნახო მეთქი. აბა შენ როგორ წახოლ, იქ წასვლა ადვილი არ არისო. მე უთხარყე – კაცის სურვილი ყველა ზადს გაადვილებს მეთქი. მაგრამ ერთ რამეზე ფეხნი უკანა მციეიან, რომ ფული ცოტა გოქს მეთქი. თუ კი საგზაო ფული გექნებათ, როდესაც მიხვალთ საქართველოჩი, იქ სუ რამე ადვილიაო. კიდევ მითხრეს, რომ ბაშბორთი თქვენთვის საჭირო არისო, უბაშბორთო კაცს არ შეუძლიან საზღვარის განზე გავიდესო. მე ვთქვი: ისიც ადვილია მეთქი და საღამოს წაველით იასონასთან. იმასაც ჩონი წამოსლა გავაგებინეთ. იასონამ სიხარულით მითხრა: აჰ კაცო, რა ბედნიერი კაცი იქმნები, თუ მართლა ეგეთი საქმე ჰქნათო. მეც წერილს გაგატანთ იქ ჩემ ნაცნობებთან კარგა მიგიღონო და წერა-კითხვა გასწავლონო. აი ჩონი წიგნებიო, და ადგა მამიტანა რამდენიმე წიგნი და დაიწყო მშენივრად კითხვა. მე ერთი წიგნი ავიღე. არ ვიცოდი თავი რომელია, ბოლო რომელია; რამდენსაც ვეცქერები, ვერაფერი ვერ გამირჩევია, მაგრამ იასონა და სხო ჩონი ბიჭები გოვბნებიან: ემ წიგნებს უეჭოლად ისწავლითო. იასონამ უთხრა გაბოს: შენ მოცლილი ხარ და ან-ბანი დაუწერეყე, ნელ-ნელა ისწავლიანო. იმავე საათჩი დოგვიწერეს ან-ბანი, მეც ასოების ქეშ პარსული დაუწერე და მე და ყალამრეზამ თითო ერთი ჩავიდევით უბეჩი. ეხლა გზას ვკითხავყე და გზის ხარჯს ესენი ძლიერ მიახლოვებენ.

ავდექით წამოველით იმ ჩონ მანზილზე, იმ ღამეს ჩემ თვალზე ძალიან (ასეა) მოსულა, დიდი ფიქრები მომდის. ხან სახლისა, ხან გზასი, ხან იმ ჩონი საქმეებისა. ფულებისა. კინამღ იმ ღამეს გავგიჟდი. ბოლოს გადავწყვიტე საქართველოჩი მოსვლა. დილას წაველ შეიხ მადალიასთან და უთხარ, მე მივალ საქართველოჩი მეთქი. როგორ თუ მიდიხარო. აგრერო ჩონი ძმები კარგად მიჩენებენ გზას და მიახლოვებენ, ეხლა ერთი საქმეა საჭირო, რომ შენ მიშველო და ბაშფორთები გამოგურთო. შეიხ მადალიას

ძალიან მოეწონა და მითხრა: კაცო, ნეტამც მეც ქართული მცოდნიყო და წამოგყოლიყავო, იმ დღეს პარასკევი იყო, დილას უნდა წასულიყნევით ბაშბორთის გამოსართმევად. იმ ღამესაც ცოტას ხან ჩონი ბიჭები მოვიდნენ და მიამბეს რაღაც, რო სურვილი დამიმატა. მაგრამ ზოგი ერთ საუბრებს უბნობდნენ: აქაურ არეულობის ამბებს, ან გზის შიში, ან სომხების ან თათრების ჩხუბი, ან ქალაქჩი ქუჩაზე კაცის კვლაო. მე უთხარყე: კაცო, რაც თელ საქართველო, მეცა; აბა მარტო ჩემთვის კი არ არის მეთქი.

დილას წავედით შეიხ მადალიასთან ერთად სადაც ბაშბორთს აძლევენ. იქ არის შაჰის სასახლე. ის კაცი, ბაშბორთებს რომ აძლევს, სახელით აბდრა ზაყხანი[121], იმან გუთხრა, თუ სადრე აზამის ბარათს არ მაიტანთ, მე ბილეთს არ მოგცემყეო. შეიხ მადალიამ გვითხრა, დაღექით და მე წავალ ბარათს მოვიტანო. წავიდა, ერთი საათის შემდეგ მოვიდა, მაგრამ ბარათი ვერ მოიტანა, იმიტომ რომ სადრე აზამს ებძანა, უნდა იმათ იგეთ კაცისაგან ბარათი მოიტანონ, რო მე ვიცნობდე, თუ არა და არ შაიძლებაო. რადგანაც იქმნება ესენ იყნენ საიდანმე გამოქცეულნი, ან ვინმე მეეკლათ და ეხლა მიდიან რუსეთჩიო. ეს ამბავი ჩონ ძალიან გოწყინა და მინდოდა მეთქო: ნეტამც ეს ძალა და ეს სიმართლემ თქვენ სახლის გარდა, სხოგანაც გქონდესყე, იმებთან, რომ მთელ პარსეთი აიკლეს, მაგრამ ვერ ვიტყოდი. დავბრუნდით. იმ ღამეს არ ვიცი როგორ გავათენე. დილას ისევ წავედით შეიხ მადალიასთან, ისიც თავის ამხანაგებით წავიდა ემამე ჯომასთან[122], რადგანაც ვიცით, რომ იმის ბარათს სადრე-ააზამი მიიღებდა. ეს ემამე ჯომა არის ქალაქ თეირანის მსაჯული და დიდი ნაკითხი, ყველ დღეს შაჰთან წასვლა მოსვლა აქვს; იმისი სახლი არის ბასტი, როგორც წინ მოგახსენეთყე, იმ წმიდანების საფლავები ვინაც იმის სახლჩი შეასწროს, თუ კაციც მეეკლას, ვერავინ ხელს ვერ წაწვდის. ის ჩონი შეიხები შევიდნენ და ჩონ კარჩი დავრჩით. მიზეზი ის იყო, რომ ემამე ჯომას ჩონ თავი არ უნდა ენახვა, რადგანაც იტყოდა: ესენი ჯეილებია, იქნება რამე დაუშავებიაყეო. ეხლა არ იქნების სუყელასთან ჩონი გული გავშალოთ და პირველსაყე მოვუყვეთ. შეიხ მადალიამ უთხრა, ბარათის სიტყვა და სთხოვა, რომ დაეწერა. ამან მოგუთხოვა, ჩონაც შავველით. ოთახი სავსე იყო ხსელი (ასეა!) და ახუნდებით. პირველ მამე ჯომამ მიბრძანა; სადაური ხარო. ისპაჰანის გუბერნიასი მეთქი. სად მიდიხართო? ბაქოჩი. რასათვის? – ჩონი ძმა იქ ავად არის, გვინდა ვნახოთ. თქვენი ძმა იქ რას იქს? ვაჭრობს. რასაო? წიგნების მალაზია აქვს რაის წიგნისა? ვუთხარ, მალაზია წიგნით არის სავსე, რა ვიცი რაის წიგნი აქვს. ახლა სხოსთან ილაპარიკის, ხან ყალიონი მოწივის და რამოდენიმე ხნის შემდეგ კიდევ ერთი სიტყვა ილაპარიკის და ბოლოსაც იმის თქმა ესები იყვის, რომელიც ვერც თითონ გაიგო რა მკითხა და ვერც მე, იმ დროს ჩემი ამხანაგებიც გამოვიდნენ. შეიხ მადალიამ მითხრა: კაცო, შენ ეს კაცი ბოლოს ძლიერ შეილანძღე; მე შემეშინდა ჩონთვის ხიფათი არ მოეცა, რადგანაც ეგეთ მაგრა პასუხს ვერავინ მისცემსო. მე ვუთხარ: კაცს სიტყვა რომ მოადგა, უნდა სთქვოს, რაც იქმნება კარგი მეთქი.

---

121. აბდ ორ-რაზყხანი

122. ემამ-ჯომ'ე – მთავარი სპარასკევო ლოცვის წამყვანი სასულიერო პირი

იმ დღესაც ვერაფერი გავაკეთეთ. დიდ ხანს საქმე გოგუჭირდა იმ ბილეთების გამორთმევაზე. წავედით სხვა მოშტაჰედთან და გამოვართით ბარათი, მაგრამ ის არის მიიღეს, სხოგან და სხო ალაგებჩი წავედით. ძლივ ძლივობით ოცდახუთი დღეს უკან შვიდი თუმანი მიეციით და ბილეთები გამოვართითყე. მესამე დღეს წავედით რუსის ყონსოლთან[123], სამ-სამი მანეთები მიეციითყე. რუსული მარკა დააკრეს. ეხლა დამეჯერა ჩონი მოგზაურობა. მეორე დღეს თავრიზიდგან ჩამოვიდა ერთი ჩონი ქართველი, მიხა ჯულაბოვი. წავედით იმის სანახავად, ისიც ბევრად მემეწონა, ერთმანეთი გავიცანით, მასუკან ის ჩონი აზრიც ვუთხარით, ამასაც ძალიან მოეწონა ჩონი სიტყვა, ნუგეში გუთხრა. მიამბო საქართველოს ცხოვრება, მდგომარეობა და წერა-კითხვის გავრცელება, ერთი მეორეს დახმარება და სხოდასხვა. იმის ახალ ამბებმა ძალიან გამახარა და გული გამიმაგრა.

ერთ დღეს ჩონ ქართველები შამოყრილნი ვიყნევით ჩონ ოთახჩი; მე გამუველ კარჩი, ვხედავ ერთი მალალ-მალალი ბიჭი ქართულ ტანისამოსჩი გამოწყობილია, ნაბადი, ჩოხა, მასრები, ხანჯარი, რომელიც ოქროჩი დაჭედილი იყო, მაგრამ მარტო ტანისამოსი კი არ აგვანებდა ქართველს – იმისი მშვენიერი ნამდვილი ქართული სახე, რომელმაც მე გამაკირვა. ჯერ ეს კაცი არ მენახა; ცოტა ხან ვუცქერე და ბოლოს ქართულად დავილაპარაკე. მინდოდა გამეგო, მართლა ქართველია თუ არა. ჩემ ლაპარაკზე ვნახე მომიახლოვდა და მკითხა პარსულად – ეს რა ენა იყო, შენ რო დაილაპარაკეო. მე ქართულად გამარჯობა უთხარ. ეს კაცი გაგიჯდა[124] (ასეა!): მეცქერების, შენ ვინა ხარო. მე ქართველი მეთქი და დავპატიჟე იმ ჩონ ქართველებთან; მინდოდა გემეცნობინა ჩონი ძმებისთვის. შავედი ოთახჩი, იმათ იცნეს. მეენებიან, საიდან მაინახე ეს კაციო და როგორ თუ გაიგე, ეს ქართველი არისო. ამ კაცს ყაზვინის გზა ეკეთა და ეხლა მოსულა მეშხედის გზის საქმეს ასაღებლად. იმ დღეს ცხრამდის შავიყარენით. სალამოს მივდივართ იასონასთან, ჩონი ბარათები დავაწერინოთ.

მეორე დღეს გავიგეთ ერთი ქარავანა მიდის ხომსარჩი, რომელიც იმ ჩონ ფერეიდანთან ახლოა, ერთი ბარათი მივწერე სახლჩი იმ ჩონ საქართველოს წამოსლისა და ჩავაბარე ქარავანს. ეხლა მზათა ვარ წამოსვლისათის. იასონამაც მეორე დღეს წერილები მოქცა და რაც საჭირვო იყო, ჩოგობარა ჩონაც შიდობა ვუთხარით და გამოვედით. გაბო წამომყვა, სადაც ფურგუნები ლაგდებოდნენ. ერთი ფურგუნი დავიქირავეთ, თითო კაცზე რვა თუმანი-ნახევარი ფული მიეციით. იმ ღამეს მეშედი მაჰმუდასთან ვიყნევით. დილას საათის ათზე ავიღეთ ჩონი ბარგი და ის ჩონი ბარგი და ის ჩონი ქართველები სუყელანი ვნახეთ. გამოგაცილნეს, სადაც ფურგუნები გოლდებოდეს. ერთი ვერსის დაახლოებით გამოგყვეს. ერთმანეთისთვის გული ვერ ოგუსხლტია. ბოლოს როგორც იყო, ისინი დაბრუნდეს და ჩონ წამოვედით. ამ დღეს სამოცი ვერსი გზა გოქვს; ღამით მოვედით ერთი სადგურჩი.

ჩონა ვიყავით ოთხი ფურგუნის მოგზავრები. სუნივ იმ სადგურჩი ვართ. მე იმ

123. კონსული

124. სპარსულშია „გიჯ“ – გიჟი.

ხალხს ვსინჯავდი, მინდოდა ჩონი გულის ამხანაგი მემენახვა, რადგანაც ყველას კაცი ვერ ენდობის. იქ ჩონ ერთი კაცი შავნიშნეთ, კარგა მომივიდა თვალჩიგა. თანაც ჰყავდა ორი შვილი, რომელნიც მიჰყავდა სტამბოლჩი სასწავლოდ. იმ ჩონთან ახლო ალაგი ვუჩენე დამჯდარიყო. ისიც, მახლობელი, თავის შვილებით დავჯდა. როდესაც ლაპარაკი დაიწყო, ცოტა ნასწავლი იყო. იმისი სახელი მირზა ალია, თეირანელი. ოთხი ფურგუნი რო მოგახსენეთყე, ერთჩი ისხდეს რვა სალდათი, რომელნიც ორ წლის ვადაზე ყოფილან შირაზჩი და ეხლა მიდიან თავიანთ სახლჩი. იმ დღეს ფურგუნები გიან მივიდეს სადგურჩი. ჩამოხდით. როდესაც გვინდოდა ჩონი ბარგი სადგურჩი შოგოტანა, მელუქნემ გვითხრა, კაცზე ორი მანეთი ქირა უნდა მაიცეთ, ვისაც ეზარებანუ შამუვაო, ეხლა გარეთაც სიცივე, წვიმა, შემოდგომის ღამეებია, სხვა ალაგიც არ არის კაცმა მიმართოს, დაღლილი ხალხი ვართ, უნდა მივცეთ და მადლობაც ვუთხრათ. შაველდით, დავლაგდით, მელუქნე იფიცავს: დიდ იჯარას მართმევენ დუქნისას, ჩემ ბრალი არ არის ეს თქვენ ფულის გამორთმაო. იმ ღამეს იმ სალდათებმა ათასი შულლით თითო მანეთები მელუქნეს მისცეს. ჩონაც ის ღამე, როგორც იყო, გავათენეთ.

სულ ემნაირად მოვდივართ. მოვედით იქ, საიდანაც ერთ დღე გოვლო ყაზვინის ქალაქამდინ. ერთი სადგურია სახელით ყალასულეიმანი. ცოტა დაშორებით არის სოფელი. იმ სადგურჩი შასლის დროს მელუქნე მოგოგება და სხოებსავით ალაგის ქირა გვთხოვა. ჩონაც მიჩვეულები ვიყნევით, დავყაბულდით, გარდა იმ სალდათებისა, რომელთაც პასუხიც არ გასცეს და შამოვიდნენ სადგურჩი. ერთი ოთახიც ამათ დაიჭირეს. როდისაც ჩონ ხუთნი ვახშამზე ვისხედით (ორნი ჩონ და ის ამხანაგი თავის შვილებით), მოვიდა მელუქნე მაითხოვა ოთახის ქირა. ჩონაც მივეცით და სუფრაზეგ დავპატიჟეთ. იმან მადლობა სთქვა და გავიდა. ახლა შავიდა სხვა და სხვა ოთახებჩი და ფული გამართოყე. რიგი მიეღგათ სალდათებს. იმათ რომ ფული მაჰთხოვაყე, გინება შამოუთვალეს. იმანაც შეაგინაყე. წამოუცივდნენ სალდათები მელუქნეს და სამგან ხანჯრით თავი გაუჩეხეს. კაცი წაიქცა. ერთი მელუქნე გაიქცა სოფელჩი საშინელი ღრიალით, არიქა მგზავრებმა დოგხოცნესო. იმ დროს ოცამდი შეიარალებული კაცი იმ სოფლიდგან გამოცვივდა, სუნივ გაბრაზიანებულნი, სუნივ ჯულს და ღმერთს იგინებოდნენ. შამოვიდეს პირადპირ ჩონი ოთახისა, როდისაც ის დაჭრილი კაცნი ნახეს, უფრო გაბრაზდეს. დაგვაყარეს თოფები, ჩონ შევეფარენით კედელსა ოთახის კარიდგან რვამდი ტყვია შემოვიდა, რომელმაც ჩონი ამხანაგის სამოვარი დახრიტა. იმ კაცის ბავშვებს ჟივილ-ხივილი ჩოუბიათყე, რომ ყურჩი ხმა არა ვარდების. ერთი მელუქნე მოვიდა, უთხარყე – უდავნაშაველონია, გარდა იმ სალდათებისაო. მიბრუნდეს იმით ოთახისაყე საშინელი ხმა დააყენეს იმათ ცემისა. ცოტა ხნის შემდეგ ჩონაც გაველდით შუაკაცობისა და გაშელებისათვინ, მაგრამ იმ დროს ყველას თავისი ძალა დეცადა. როდისაც გაშელდნენ, იმ სალდათებისა ოთხი კაცი დაჭრილიყო. ერთი მელუქნე მოვიდა ჩონთან და გვთხოვა: მოდით შოგორიგენითო. თურმე ეშინოდა, რომ დილას იმ სალდათებმა ქალაქ ყაზვინჩი გენერალთან არ უჩივლონ. ჩონაც ვითომ შოვარიგენითყე; საქმე იგრე მოვახდინეთ, რომ მელუქნემ ათი თუმანი მისცაყე იმ დაჭრილებს. შუაღამეს ჩონ იმ არემარეს მოვშორდით და იმათ კი არ ვიცით, რა ქნეს.

იმ დღეს მიველით ყაზვინჩი, რომელიც არის ლამაზი მოზდო ქალაქი. ერთ სასტუმროჩი დავბინავდით. იმ დღეს მოვიარე ბაზრები, სულ მინგრევულ-მონგრეულიყო, ჭუჭყიანი, ტალახიანი. კაცი ერთ საათს თუ იმ ბაზარჩი ივლიდა, ქუდიდან ფეხსაცმელამდი ტალახჩი მოილურტებოდა. თუმც თითო დუქანი ან მაღაზია სუფთა ოპოვება, ისიც პარსელისა არ არის – ან სომეხი, ან რუსი ან ინგლისელისა. სალამოს ჩონ სასტუმროჩი შამოვიდა რამდენიმე კაცი, ნაცნობი ბახტირებისაგან მოსული. ესენი არიან თეირანიდგან გამოგზავნილნი ყაზვინჩი საქმისათვის. როდესაც ერთმანეთი ვნახეთ, იმათ ძალიან გაეუხარდათყე. ისენი დიდი ხანია თავიანთ სახლს დაშორებულან ერთი ცოტა ამბები ერთმანეთს უთხარით. იმ ღამეს ის ქურთები ჩონთან დარჩეს; ერთი წერილიც იმათ მიეცითყე, რომ თავიანთ წერილებთან გეეგზავნათყე მეორე დღეს ყისაც რალა საგზაური ნასყიდი ჰქონდა, დამზადეს და მესამე დღეს ყაზვინსაყე გამუველით. ზოგი მგზავრი ყაზვინჩი დარჩა და იმათ მაგიერ სხონი ჩამჯდარიყნეს, მიდიოდეს რეშტჩი[125] იმ ჩონ ფურგუნჩი ხუთნი ვისხედით. ერთი ის, რომელიც წინ მოგახსენეთყე თავის შვილებით. ყაზვინის დაშორებით იმ კაცმა ამაილო ორი ბოთლი არაყი, დაასხა ჭიქოჩი და მომაწოდა. მე ვუთხარ, გმადლობთ, არა დავლევ მეთქი, ძალიან დემეკიდა, ახლა ყოლომრეზას. ვუთხარით სიცხვა და არ შეგვიძლიანო. ბოლოს თითონ და მეფურგუნემ დაიწყეს სმა. შუვა დღეა, თბილი მზე. ცოტა ხნის შემდეგ მსმელნი დათრეს. ის ამხანაგი მეუბნების: ნება მაქვს ფურგუნიდგან ჩასლისაო. ვუთხარ ფრთხილად მეთქი. მეფუგუნემ ცხენები შაინახა, ის კაციც მიეიდა ფურგუნის წინ და ერთბაშად გარდახტა იმ ცხენების ფეხების შუა. ცხენები დაფრთხეს და იმ მეფურგუნემაც გარდიხარხა და ცხენებს დასჭეხა. ცხენებიც გაიქცნენ, კაცი მაჰყვა ფურგუნის ქვეშ. როდისაც ცხენები შაეინახეთ, და უკან მეეიხედეთ, ის კაცი, როგორც ქათამს თავი მოსჭრა, ისე ფორთხალებდა. გალმოვხტით, ვნახეთ – ორგან ფეხი მოჰტეხიყო, ერთი კოჭთან და ერთიც მუხლის თავზე. ავაყენეთ, სისხლი გასდიოდა. როგორც იყო ფეხი შოვხუვეთ, შავდეეით ფურგუნზე. იმ დროს ჟივილ-ხივილი დაუდგაყე იმ ბავშვებს! ის კაცი დასუსტებული იწვა სალამოდის. როდისაც მოველით სადგურჩი, ჩამოვსხით შამამტირის ხეწნით; რომ ერთი წამალი გემეკეთებინა. ერთი მანყალი ცეცხლიც მოვიტანეთ, რომ გამთბარიყო. ცოტა წამალიც დავადევით, ის მედუქნეც იმის მექალაქე გამოდგა. ის ღამეც გავათენეთ. დილას, როდისაც გვინდა გამოვიდეთ, მედუქნე ორ-ოლ მანეთს ჩონ გვართმევს და ავადმყოფ კაცს რვა მანეთს და კიდეც ებნება: მე შენი მექალაქე ვარ, თორემ შენ დიდი ხარჯი უნდა მოგეცაო. დიდის ანგარიშის შემდეგ შაერიგდით. ის კაცი შავდეეით ფურგუნჩი და მოვდივართ.

ოთხი დღეს ემგვარად ვიარეთ. ღამით რა უადგილობა, რა სიცივე, იმ საწყალ კაცისა და ყმაწვილების კნესა გოწუხებდა. ასე მოვდივართ რამდენიმე დღე: დღისით ფურგუნი და ღამეც სადგურები. მანჯილჩი[126], რომელიც ლამაზი მოზრდო სოფელია, რამდენიმე დუქანიც იყო. სასყიდი, ვისაც რა ჰქონდა, იყიდა. დილას გაუდექით გზას. ის გზა არის სულ კლდეებჩი გაყვანილი, რომელიც მიდის სეფიდ რუდის ნაპირს;

125. ქ. რამთი

126. ამჟამინდელი ქ. მანჯილ-ი

ზოგი ერთ ალაგას სულ თავქეა, ზოგან პირალმა. იმ დღეს კიდე მეფურგუნემ დაიწყო არყის ლევნა ჩონაც გვპატიჟებს. მე უვარი უთხარ და ვუსაყვედურე, რომ იმ დღესაც დაილიევეთ და კაცი დაამტვრიეე მეთქი. მეფურგუნეს ჩემ სიტყვაზე გული მოუვიდა, დაიწყო ცხენების ცემა და ფურგუნის კანკალი, მიხლა-მოხლა. უთხარით, ეგრე ნუ არბენყეო ცხენებს ემ ოლრო-ჩოლრო გზაჩი ფურგუნი არ გადმააბრუნოთო. გუპასუხა ნუ მეენებით, თორემ ცხენებს ემ კლდესყე მივაბრუნებო, და უფრო დაუშინაყე ცხენებს. იმ დროს მე დავუწყევ გინება, წავართი ცხენების ავშარა ლა ცხენები შავინახე. მინდოდა გამელახა, მაგრამ ყოლომრეზამ იმ სხვა ამხანაგმა არ გამიშეს. ბოლოს ჩონ ორნი ჩამოველით ფურგუნსაყე და ვუთხარ, წადი და სალამოს ერთმანეთს შავხვდებით მეთქი. ის წავიდა და ჩონ ფეხით მოვდივართ. როდესაც თავიანთი ფურგუნების უფროსი მოგოწივა და გამარჯობა გუთხრა – ჩონი ფეხით სიარული გამაკითხა, ჩონაც ვუთხარით; იმან თავის ფურგუნჩი ჩოგსხნა და მიგუყვანა სადგურჩი. იმ ბიჭს უთხრა: აქ ნულარ დაიდგებიო და ცემას ვუპირებდა. ის ბიჭი კიდევ ჩონთან მოვიდა შოგოხეწა. ბოლოს, როგორც იყო, შავარიგეთყე.

ორის დღის შემდეგ ჩამოველით დოშამბა ბაზარჩი[127], რომელიც ერთი დღის სავალზეა ქალაქ რეშტიდან. იქ ფურგუნები გაჩერდეს. ჩონ დილას ორი აქლემი დავიქირავეთ, შავსხედით, სალამოს ჩამოველით რეშტჩი. ერთ ქარვან-სარაჩი დავბინავდით, მაგრამ ფული აღარა გოქვს. ერთი დურბინტი და საათი გოქვს. გუნდოდა გოგოყიდა. ერთი ნაცნობიც ყვანდა რეშტაჩი, ის იყო ხომსრული (პირველ რომ მოგახსენეთყე – ჩონთან დაახლოვებით ქალაქი). ეს კაცი მოვნახეთ თავის წიგნის მაღაზიაჩი. ერთმანეთის ამბავის გამოკითხვის შემდეგ, ვირჩივით, რომ ის ჩონი საათი, დურბინდი და ოთხი წიგნი იმასთან დავაგირავოთ. სამოც მანეთის ფასის ნივთები თორმეტ მანეთად დავაგირავეთ. დავიქირავეთ ორი აქლემი და ჩამოველით ფირ-ბაზარჩი. მეორე დღეს დავიქირავეთ ერთი ნავი, რომელმაც იმ მდინარესაყე სალამოს ჩომოგუყვანა ერთი პარახოდჩი. პარახოდით მეორე დღეს მოველით ენძელჩი[128]. ღამე ენძელჩი დავრჩით. დილას სხო პარახოდჩი ჩავსხედით. გამოვიარეთ ასტარა და ლონქორონი და მოველით ბაქოჩი.

მადლი ღმერთს რომ ემოდენა მწუხარებისა და გაჭირვების შემდეგ ჩონი სურვილი ასრულდა და მოვნახეთ ის ჩონი საყორელი მამა პაპის სამშობლო, რომელიც სამასის წლის გამომავლობაჩი სახელისა მეტი არა გოგვიგია რა, ეხლა ჩონი აზრი ის არის, რომ ვისწავლოთ ქართული წერა-კითხვა და წავიღოთ წიგნები და ჩონ ძმებს ვასწავლოთყე. იქაც გავხსნათ ქართული სკოლა და ქართველობა გავაახლოთ; ექავრი ამბავი გავაგებინოთყე ჩონ ძმებს, რომელთაც, მარტო ტფილისის და მარტყოფის სახელი მეტი არ გაუგონიაყე, იმედით გოქ, რომ ქართველები არ დოგუეწყებენ და ცოტა რამ შამწეობას მოქცემენ ერთი პატარა სკოლა გაიხსნას ჩონში.

ყოლამ ოსეინ ონიკაშვილი

127. ბაზარი, რომელიც იმართება ყოველ ორშაბათს.

128. საპორტო ქალაქი ანზალი.

***

ინფორმაცია შემოწირულობის შესახებ – ალექსანდროპოლი ძველი სახელია ქალაქ გიუმრისა, რომელიც მდებარეობს სომხეთის რესპუბლიკაში. ეს წერილი გვიჩვენებს, რომ ფერეიდანში ქართული სკოლის დარსების საკითხი მნიშვნელოვანი იყო არა მხოლოდ საქართველოში მცხოვრები ქართველებისთვის, არამედ მის ფარგლებს გარეთ მყოფთათვისაც.

ინფორმაცია შემოწირულობის შესახებ

(ისარი, 1907, N132, 20 ივნისი, გვ. 2-3)

„წერა-კითხვის საზოგადოებამ მიიღო ალექსანდროპოლიდან იქაურ ქართველებს შორის შეგროვილი 30 მან. და 80 კაპ. ფული უნდა მოხმარდეს ქართული სკოლის დარსებას სპარსეთში.

შემომწირველთა სია: ილია პეტრ. გურგენიძე – 2მ., ალექსანდრა დავითხერხეულიძისა – 1მ., დავით ვლად. ხერხეულიძე – 1მ., ხარიტონ ურუშაძე – 1მ., იოსებ თევზაძე – 1მ., ანდრო ჩანტურია – 1მ., ალ. ნარ. ჩხეიძე – 1 მ., ნიკ. შარაშენიძე – 1მ., ბეს. დეკანოსიძე – 1მ., -მშვენიერაძე – 1მ., მიხ. ვეშაპიძე – 1მ., ვანო ჟორდანია – 1მ., როჩაიენკო – 50კ., თეიმურაზ ტუსკაძე – 50 კ., რაბილ. კალანდაძე – 50 კ., ბერძენიშვილი – 50 კ., ანტ. მაჰერ – 50 კ., იოს. ადამსკი -50 კ., ვლად. ალ. ქარცივაძე – 50კ., ლევ კაპანაძე – 50კ., ივ. კიკვაძე – 50კ., ლადო კორკია – 50კ., ხაბეიშვილი – 50კ., ილ. კაკაბაძე – 50კ., პაე. მალაშხია – 50 კ., ნიკოლ. ქვლივიძე – 50 კ., ალექსანდრე ტატიშვილი – 50 კ., ორჯონიკიძე – 50 კ., ბრონისლავ მოწკევიჩ – 50 კ., კუკუა კალატოშია – 50კ., დ. ჟორდანია – 50 კ., ქუთათელაძე -50კ., ნეს. მარჯანაშვილი (ასეა!) – 50 კ., გრ. დიმ. კობიაშვილი – 50 კ., ივლ. აბესაძე (ასეა!) – 50 კ., ვანო ხომასურიძე – 50 კ., კოსტავა – 50კ., მირონა თვალჭრელიძე – 50 კ., რუსიევი – 50 კ., არკად ჩანჩალეიშვილი – 50 კ., ანდ. ვლადიმიროვ. – 50 კ., ტინო სატილარი – 50 კ., ფეოდ. ლარიონოვ – 50კ., თეოფ. ლომინაშვილი – 50 კ., ბახვა ოჩიგავა – 50 კ., იოსებ ალშიბაია – 50 კ., ვასილ მირანიუკი – 50 კ., მიხეილ გაგარაძე – 30 კ.

***

სალიტერატურო დილა

(ისარი 1907, N133, 21 ივნისი, გვ. 2)

სალიტერატურო დილა. კვირას, 24 ივნისს, ტფ. საკრებულოს დარბაზში (მუხრანისეულ სახლში), დილის 11 საათზე გაიმართება სალიტერატურო დილა სპარსეთის ქართველების შესახებ. ბ-ნი დავ. კარიჭაშვილი წაიკითხავს რეფერატს

ქართველების გადასახლების შესახებ შაჰ აბასის დროს. იაკობ ცინცაძე (ია ეკალაძე) ვლ. აღნიაშვილის მოგზაურობის შესახებ სპარსეთსა და იქაურ ქართულ სოფლებში, ყოლამ ჰუსეინ ონიკაშვილი (სპარსელი ქართველი) წაიკითხავს სპარსელ ქართველების ეხლანდელ ყოფა-ცხოერების შესახებ.

***

კვირას, 24 ამ თვეს – ამ გაზეთში დანიშნულია სალიტერატურო დილა თბილისში, ღონისძიება, რომელიც ეძღვნებოდა სპარსეთში მცხოვრებ ქართველებს. ამ სხდომაზე დანიშნულია დაეით ,კარიჭაშვილის მოხსენებაც. ავტორის ხელნაწერი შენახულია გიორგი ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმში, მისი გაციფრებული ვერსია კი ქვეყნდება ამ კრებულში.

(დილა, 1907, N6 24 ივნისი. გვ. 1)

კვირას, 24 ამ თვეს, თფილისის საკრებულოს დარბაზში დილის 11 საათზე გაიმართება სალიტერატურო დილა სპარსეთის ქართველების შესახებ.

1) დავ. კარიჭაშვილი: ქართველების გადასახლება სპარსეთში შაჰ-აბაზის დროს.

2) იაკ. ცინცაძე: ლ. აღნიაშვილის მოგზაურობა სპარსეთში იქაურ ქართულ სოფლებში

3) ყოლამ ჰოსეინ ონიკაშვილი: სპარსეთის ქართველების ყოფა-ცხოვრება.

4) ფასი 1 მან. 50 კაპ.-დან 20 კაპეიკამდის

3-უ-2[129]

***

მოვაგონებთ ჩვენს მკითხველებს – ისარი შეახსენებს მკითხველებს სალიტერატურო დილის შესახებ და განსაკუთრებულად გამოყოფს ყოლამ-ჰუსეინ ონიკაშვილის მოხსენებას, აწვდის ამ მოხსენების მცირე რეზიუმეს.

(ისარი, 1907 წლის N136, 24 ივნისი)

მოვაგონებთ ჩვენს მკითხველებს, რომ დღეს, დილის 11 საათისათვის დანიშნულია სალიტერატურო დილა სპარსეთის ქართველების შესახებ. საჭიროდ მიგვაჩნია გავაცნოთ მკითხველებს მოკლე პროგრამა სპარსეთელ ქართველის ყოლამ-ჰუსეინ

129. ეისი ფსევდონიმია 3-უ-2, სამწუხაროდ, ვერ დავადგინეთ.

ონიკაშვილის მოხსენებისა: 1. გადმოცემული ამბები ქართველების სპარსეთში გადასახლებისა და იქ დასახლების შესახებ; სჯულის გამოცვლა და დარჩენილი ძველი ჩვეულებანი; ავლანის შემოსევა, ნადირშაჰის დრო, ქართველების მოლონიერება, ქერიმ ხანისა, ალამაჰმადხანის და ფატალი შაჰის სიკვდილი და თურქების მიერ ქართველთა სოფლების აკლება და დაწვა, განდევნა თურქებისა; მაჰმად შაჰის დრო და ხალხის დამშვიდება, ნასერედინ შაჰი, შიმშილობა, გაყიდვა საყვინო მამულებისა და ხალხის დამონავება, მიწის მფლობელობა. ახლანდელი ცხოვრება, სახლების აშენება. ცხოვრების სურათები ზამთარ-ზაფხულ, სახლების გათბობა ზამთარში; გადასახლები; განსხვავება ქართველებსა და სხვა მცხოვრებთა შორის. სწავლა-განათლება, სპარსული სკოლები, მათი ნაკლულევანება, სწავლების წესი, არაბული სწავლება, სწავლის სიყვარული ქართველებში და შაჰნამეს გატაცებით კითხვა და სხ.

***

სალიტერატურო დილა სპარსელ ქართველების შესახებ – „ისარი“ მკითხველს აცნობს ჩატარებული სალიტერატურო დილის შესახებ. საკმაოდ დიდი იყო ინტერესი ქართული საზოგადოებისა, განსაკუთრებით ყოლამ ჰოსეინ ონიკაშვილის მოხსენების მიმართ, რომელმაც ისაუბრა როგორც ფერეიდნელ ქართველთა ისტორიაზე, ისე მათ თანამედროვე მდგომარეობაზე, ყოფაზე, ჩვეულებისა და ტრადიციის შესახებ.

სალიტერატურო დილა სპარსელ ქართველების შესახებ

(ისარი, 1907, N137, 26 ივნისი, გვ.1.2)

კვირას, 24 ივნისს ტფ. საკრებულოს სადგომში გაიმართა სპარსელ ქართველების შესახებ სალიტერატურო დილა, რომელსაც იმდენი ხალხი მოაწყდა, რომ დარბაზი გაიჭედა. პირველად ბ-ნმა დავით კარიჭაშვილმა გააცნო დამსწრეთ შაჰ-აბასის მიერ მე-16 საუკუნეში ქართლისა და კახეთის აკლების ამბავი. შაჰ-აბაზმა 60,000 სული აქვე ადგილობრივ გაეხლტა და გადასწვა სოფლები და ქალაქები; სპარსეთისაკენ ტყვედ წაიყვანა 120,000 სული. ტყვედ წაყვანილთა უმრავლესობას ქალები და ბავშვები შეადგენდნენ თურმე. დიდი ნაწილი გზაში ამოწყვეტილა; ვინც გადარჩენილა, ისინიც საქონელივით დაუყიდნიათ.

ბ-ნ კარიჭაშვილის შემდეგ იაკობ ცინცაძემ დამსწრეთ გააცნო განსვენებულ ლ. ალნიაშვილის მოგზაურობა სპარსეთსა და იქაურ ქართულ სოფლებში. ალნიაშვილი ამ ათის წლის წინად იყო სპარსეთში, მოგზაურობა ცალკე წიგნად გამოსცა და აღწერა ფერეიდანის ქართველების ცხოვრება. ალნიაშვილი იწვევდა ქართველ საზოგადოებას, დახმარებოდა სპარსელ ქართველებს, შეეტანა იქ წერა-კითხვა. ი. ცინცაძე, სხვათა შორის შეეხო ლ. ალნიაშვილის წიგნის ამ ნაწილს და სთქვა,

რომ დღემდე აღნიაშვილის მოწოდება დარჩა ხმად-მღაღადებელისა უდაბნოსა შინა. განსვენებულმა 40,000 ქართველი იპოვნა, ჩვენ კი თანამოძმეების გაცნობა, მათი ცხოვრების შესწავლაც ვერ შევძელითო.

უმთავრეს ინტერესს ამ „დილაზე“ ყოლამ ჰოსეინ ონიკაშვილის ლექცია წარმოადგენდა. სინამდვილემ მოლოდინს გადააჭარბა. ყველა გაოცდა, როდესაც ონიკაშვილმა მაღალის ხმით და წმინდა ქართული ენით მკაფიოდ და გარკვევით დაიწყო ლაპარაკი.

ონიკაშვილი შეეხო ფერეიდანის ქართველების ყოფა-ცხოვრებას. მე ბედნიერად ვსთვლი ჩემს თავსაო, სთქვა ონიკაშვილმა, რომ სამას წლის წინად გადახვეწილ და ტანჯულ სპარსეთის ქართველთაგან პირველად მე მხვდა წილად პატივცემულ ქართველ საზოგადოების წინაშე გამოსვლა და ფერეიდანელ ქართველების ყოფა-ცხოვრების გაცნობა. როგორც გადმოცემით ძველებისაგან გაგვიგია საქართველოდან შაჰაბაზს 100,000 ქართველზე მეტი წაუყვანია ტყვედ. ქართველ ტყვეებს ძალზე მიერეკებოდნენ თურმე, ვიდრე მდინარე არეზს[130] გადავიდოდნენ. ამ დროს დიდძალი ქართველობა უნდა გამწყდარიყოს, განსაკუთრებით ქალი და ბავშვი. ვისაც ისპაჰანამდე მიუღწევია, სხვა და სხვა ადგილებში დაუსახლებიათ. ქალთა და ბავშვთა დიდი ნაწილი დაყიდულა მონებად. სპარსეთის ხანებს ქართველი ქალებით აუვსიათ თავიანთი არამხანები. ერთი ნაწილი დაყიდულა მონებად. ერთი ნაწილი დაუსახლებიათ ისპაჰანის ასე 40 ვერსის მანძილზე. შემდეგ შაჰაბაზ აქედანაც აუყრია ქართველები და ჩაუსახლებია მთებში, ბახტიარების საზღვარზე. ქურთი ბახტიარები დღემდე მოუსვენარი და თითქმის ველური ხალხია და უმთავრესად ცარცვა-გლეჯით სცხოვრობს. სპარსელებს ამ ბახტიარებისაგან მოსვენება არა ჰქონიათ, ამიტომ ქართველები ისეთ კუთხეში ჩაუსახლებიათ, სადაც სპარსელებს იცავდნენ, როცა ქურთები სპარსელების დასარბევად მოდიოდნენ, პირველად ქართველთა სოფლები უნდა გადაელახათ. დღემდე ქურთებისაგან შეწუხებულნი არიან ფერეიდნელი ქართველებიო.

შემდეგ ონიკაშვილმა მოიყვანა ამბები ქართველთა მიერ სჯულის გამოცვლის შესახებ; მოკლედ გააცნო დამსწრეთ ფერეიდანელ ქართველთა ცხოვრება ყეენების შააბაზიდან დაწყებული დღემდე. რამდენჯერმე აუკლიათ ქართველობა თუ ავღანის შემოსევის დროს, თუ ქურთების. თუ თვით სპარსეთის შაჰებს. ალა მაჰმად ხანს, საქართველოდან დაბრუნების შემდეგ სრულიად გადაუწვამს და გაუნადგურებია ქართველები. მრავალი დახოცილა, მრავალი სხვა კუთხეებში გაქცეულია. ბოლოს ისევ დაბრუნებულან, ცოტა მოლონიერებულან, სახლ-კარი განუახლებიათ და ნელნელა მიწასთან გასწორებული 14 სოფელი აუშენებიათ და აუვსიათ.

უფრო საინტერესო იყო ონიკაშვილის მოხსენების მეორე ნაწილი, რომელიც შეეხებოდა ფერეიდანის ქართველობის ეხლანდელ ცხოვრებას. ხალხი მეტად გაჭირვებულ მდგომარეობაშია მიწა-წყლის სიმცირითაო. უმრავლესობა ხვნა-თესვას მისდევს, მაგრამ მიწა ყველას არა ჰყოფნის და ამის გამო ზოგს ფეხზე ვაჭ-

130. მდინარე არაქსი

რობა დაუწყია, ზოგს მეცხვარეობისათვის მოუკიდნია ხელი და სხვ. ფერეიდნის ქართველობას მოჰყავს პური, ქერი, დიკა, მუხუდო, ლობიო, ოსპი და. სხვა. ზამთარი ხუთ თვეზე მეტი იცის და ხანდახან ისეთი დიდი თოვლი მოდის ხოლმე, რომ ხალხი ხშირად მთელის თვეობით კარში ვერ გამოდის. ტყე არსად მოიპოვება და ხალხი შეშის მაგივრად ხმარობს წივას ან ეკლიან ბალახის ბუჩქებს, რითაც ზამთრისათვის თითო მოსახლე ორ საბძელს მაინც ავსებს ხოლმე. ამ საშეშო ეკლის მოსაგროებლად ხალხი ხშირად 20, 40 ვერსის მანძილზე მიდის. ასევე გაჭირვებულია საქონლის საკვების მოტანა. არც ყანებში შეიძლება თავისუფლად მუშაობა. სამუშაოდ ქართველები თავით ფეხამდე შეიარაღებულნი მიდიან, რადგან მუდამ წამს მოსალოდნელია ქურთების თავ დასხმა. ქართველებმა რამდენჯერმე შეისყიდეს ადგილები. ექვსი სომხებით დასახლებული სოფელი საკუთრება ყოფილა ფერეიდნელ ქართველებისა. სომხებს იჯარით აქვთ აღებული ადგილი.

ქრისტიანობის დროსა ბევრი ჩვეულება დარჩენილა ფერეიდანის ქართველობაში. მაგალითად, ახალ წელს დღესასწაულობენ ისე, როგორც ჩვენ. როცა გაზაფხულის 4 დღე გავა, დღესასწაულობენ აღდგომას წითელ კვერცხების შეღებით; დღესასწაულობენ ამაღლებას და სხვ. მნიშვნელობა კი ამ დღესასწაულებისა არ იციან.

ქართველები ცოლად არ ირთავენ სხვა ტომის ქალსა და არც იმათ აძლევენ ქალებს. მრავალ-ცოლიანობა ქართველებმა არ იციან. სპარსელებისა და სხვა მეზობელ ხალხებისაგან ქართველები განირჩევიან სახით, ტანისამოსით, პურადობით, გულადობით, თავმოყვარეობით, იარაღის ხმარებით და ერთმანეთის დახმარებითა და გამტანობით. ქურთებთან მუდამ ბრძოლას და აგრეთვე დიდ გარჯა-შრომას ისე გაუფოლადებია ფერეიდანის ქართველობა, რომ მთელს ისპაჰანის პროვინციაში სახელი აქვთ გათქმული.

სწავლა-განათლების საქმესაც, სხვა მეზობელ ხალხებთან შედარებით, ქართველები მუყაითად მისდევენ. 4 სკოლა ჰქონიათ მარტყოფში, ორი აფუსში და აგრეთვე სხვაგან. თუმცა ქართველებს სკოლები საკმაოდა გვაქვს, მაგრამ ამ სკოლებში მიღებული ცოდნა ცხოვრებისათვის სრულიად გამოუსადეგარიაო, სთქვა ონიკაშვილმა. ვსწავლობთ, მაგრამ არ ვიცით რისთვის. თვითონ სკოლა ცუდად არის მოწყობილი, ბავშვები ძირს მიწაზე სხდებიან, ხოლო მასწავლებლები ჯოხებით ხელში თავზე ადგანან. ისეა სწავლების საქმე, რომ არც მასწავლებელმა იცის, რას ასწავლის და არც მოსწავლეს გაეგება რამ მასწავლებლისა, სწავლა სპარსულსა და არაბულ ენებზეაო.

ონიკაშვილმა თითქმის ორი საათი ილაპარაკა და საუცხოო შთაბეჭდილება მოახდინა. დასარულ სთქვა, ამის შემდეგ იმედი გვექნება ფერეიდანის ქართველების საქართველოსთან დაახლოვებისა. ვიმედოვნებდ, რომ ჩვენი ძმები დახმარებას გაგვიწევენ ფერეიდანში სწავლა-განათლების შეტანითაო.

ონიკაშვილი რამდენჯერმე ტაშიც ცემით დაჯილდოვეს.

***

ფერეიდანელი ქართველები – დავით კარიჭაშვილის არქივში დაცული ხელნაწერები, სავარაუდოდ, მოხსენების შავ ვერსიას უნდა წარმოადგენდეს. ნუმერაცია რამდენჯერმეა გადაკეთებული და ამ ნუმერაციითვე ჩანს, რომ ნაკლული ფურცლებია. შესაბამისად, გაძნელდა ერთიანი სურათის აღდგენა. გაჭირდა თანმიმდევრობის დაცვაც, რადგან ფურცლები რამდენჯერმე იყო გადანომრილი და ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, თითქოს ორი ან რამდენიმე სტატიის შავი ფურცლები იყო ერთად თავმოყრილი. ამიტომ ფერეიდნულ ქრონიკებში შევამცირეთ ისტორიული ნაწილი და აქცენტი გავაკეთეთ იმ ინფორმაციაზე, რომელიც უშუალოდ ეხებოდა ქართველთა გადასახლების ამბავს, მიგრანტთა ცხოვრებას სპარსეთში. ის წყაროები, საგაზეთო სტატიები, რომლებსაც ეყრდნობა დავით კარიჭაშვილი, შეტანილი გვაქვს ამ კრებულში, მაგრამ მაინც გადავწყვიტეთ მისი ნაშრომის გამოქვეყნება, რადგან მასში ნათლად ჩანს, რა იცოდა ქართულმა საზოგადოებამ სპარსეთში გადასახლებული ქართველების შესახებ. ვფიქრობთ, სწორედ ამ მასალაზე დაყრდნობით წაიკითხა მან მოხსენება 1907 წელს, 24 ივნისს, თბილისში, საკრებულოს დარბაზში (მუხრანისეულ სახლში), სალიტერატურო დილაზე, სპარსეთის ქართველების შესახებ. ხელნაწერი დაცულია გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში და მას ახლავს შემდეგი ანოტაცია: „4265 ; ფურცელი რ. 15. ზომა 21,5 x 34,5; კარიჭაშვილი დავითი. ფერეიდნელი ქართველები. ავტოგრაფი. მელანი (შავი) ნაწერია 15zv. ფურცლები ლურბიანია. საუბარია ქართველების გადასახლებაზე სპარსეთში შაჰ-აბასისა (მე-17 ს-ის დასაწყისში) და ნადირ შაჰის (მე-18 ს.) დროს. აღწერილია ქართველების საქმიანობა სპარსეთში, კერძოდ, მისდევდნენ სოფლის მეურნეობას: ხვნა-თესვას, საქონლის მოვლას. ისინი იშვიათად ვაჭრობდნენ. ჰქონდათ ცოტა-ცოტა ვენახებიც და ხეხილის ბაღებიც. დაზიანებულია, ფურცლები გახეული და გაყვითლებული“.

დავით კარიჭაშვილი
ფერეიდანელი ქართველები 1907 წელი

ქართველი ხალხი სულ ძველ დროში წარმოადგენდა საკმაოდ მრავალსახეოვანის და ღონიერის მოდგმის, აგრეთ წოდებული იაფეტიდების, ნაწილს. ეს მოდგმა დიდხანს აწარმოებდა მხნე და დაუცხრომელს ბრძოლას თავის მეზობლებთან, რომლებიც, ისევე როგორც თვით იაფეტიდები, ვერ მიხვედრილყვნენ, რომ ადამიანთა ნათესავს შეუძლიან ჰპოვოს ბედნიერება არაერთმანეთის (ასეა!) მტრობით და ხოცვა-ჟლეტით ან დამონებით, არამედ ერთმანერთთან მშვიდობიანის თანამშრომლობით და ერთმანეთის დახმარებით. ხანგრძლივს ბრძოლაში იაფეტიდების მოდგმა დამარცხდა, მის ერთი ნაწილი ამოწყვეტილ იქნა, მეორე ნაწილი გადაგვარებულ იქნა დამპყრობელთაგან, ხოლო მესამე ნაწილი, რომელმაც კაეკასიის

მთებში და ამ მთებსა და შავის ზღვის ნაპირებს შორის მოიკიდა ბინა, გადარჩა განადგურებას. ამ გადარჩენილ იაფეტიდთაგან ქართველმა ხალხმა იმის ზურგს უკან მობინადრე თანამონათესავეებთან ერთად განაგრძო არსებობისათვის ბრძოლა და მიუხედავად მის მტერთა მრავალრიცხოვანობისა (ასეა!) კიდევაც გასძლო დღევანდლამდე, როდესაც ძირიან-ფესვიანად შეიცვალა როგორც მისი შეხედულობა ისე მის მეზობლებისა იმის შესახებ, რომ ხალხნი ბედნიერდებიან და ვითარდებიან არა ერთმანერთთან (ასეა!) ბრძოლაში, არამედ მშვიდობიანის ურთიერთობით, არა ერთმანერთის ჩაგვრით და ჟლეტით, არამედ ერთმანერთის პატივისცემით და დახმარებით. მაგრამ ვიდრე ამის შეგნებამდე მივიდოდნენ ხალხნი, კერძოდ ქართველები და მათი მეზობლები, ბევრი მწუხარება და უბედურობა განიცადეს მათ არა-გონივრულის და არა-ადამიანურის ურთიერთობის გამო, რომელიც მათ შორის არსებობდა.

ქართველი ერის ერთი ძველისძველ მეზობელთაგანი იყო სპარსელი ერი. ამ ორი ერის ურთიერთობა დამყარებული იყო იმ პრინციპზე, რომელიც ძველად და ბევრგან ახლაც მდგომარეობს ძლიერისგან სუსტის ჩაგვრაზე, ღონიერისგან ულონოს დამორჩილებაზე და შეუბრალებლად იმათ ამოწყვეტაზე, ვინც არ ნდომულობს მორჩილებას და ესწრაფის თავისუფლებას. სპარსეთი უფრო დიდი ქვეყანა იყო ვიდრე საქართველო, სპარსელები სჭარბობდნენ რიცხვით ქართველებს და ამიტომ ის პირნი, რომელნიც ბატონობდენ (ასეა!) სპარსეთში, ცდილობდნენ ებატონათ მის მეზობელს საქართველოშიც. ქართველი ხალხი და მაზედ გაბატონებული პირები, არ ურიგდებოდნენ სპარსეთის ხელმწიფის საქართველოში გაბატონებას, რადგან ეს ბატონობა საზარალი (ასეა!) იყო როგორც ქართველი ხალხისათვის ისე მაზედ გაბატონებულ პირთათვის. ეს საზოგადო ინტერესი მათ აერთებ-[131] უცხოელებთან ბრძოლაში. მეტად სახარბიელო იყო სპარსეთის მფლობელებისთვის საქართველო. იმის გარდა რომ ეს ქვეყანა იყო ნაყოფიერი და მდიდარი, სამოთხის მსგავსის ბუნებით, როგორც სპარსთა ისტორიკოსები იტყვიან, იგი დასახლებული იყო მშვენიერი მოყვანილობის და თვალწარმტაცის სილამაზის ხალხით. ქართველების სილამაზე შნოიანი მოყვანილება ნამეტნავად აღიზიანებდა სპარსეთის მეფე-დიდებულთა სურვილს ქართველის ხალხის დამორჩილებისათვის, რადგან იმათ ამ დამორჩილებით ეძლევოდათ საშუალება, როცა უნდოდათ და რაოდენიც (ასეა!) უნდოდათ, ეშოვათ ლამაზი მონები და შინა მოსამსახურეები, ცოლები და ხასები. ამას გარდა სპარსეთის მთავრობას პოლიტიკური და სტრატეგიული მოსაზრებაც უღვიძებდა საქართველოს დამორჩილების სურვილს. საქართველოს დაფლობით სპარსეთის სამძღვრად ხდებოდა კავკასიის მთები და მათი გასავალ-შემოსავალი გზები მთლად სპარსეთის მფლობელთ უვარდებოდათ ხელში, რაიცა უზრუნველ ყოფდა მათ კავკასიის იქითა ქვეყნებითგან მტრების შემოსევისა და თავდასხმისაგან. საქართველოში ბატონობა სპარსეთს დიდს

131. აერთებდა ?(სიტყვა აერთებ- ასე წყდება ამ გვერდზე, აქეს გადატანის ნიშანი, მაგრამ მეორე გვერდზე არ მთავრდება)

უპირატესობას აძლევდა მის დასავლეთით მდებარე სახელმწიფოებთან (მაგალ. რომთან, ფიზანტიასთან (ასეა!), ოსმალეთთან) ლაშქრობაში. აი ყველა ეს გარემოებანი საქართველოს ხდიდნენ მუდამ სანატრელად სპარსეთის ხელმწიფეებისთვის. ამით აიხსნება ის დაუცხრომელი და გამუდმებული თავდასხმანი და შემოსევანი, რომელთაც სპარსელები აწარმოებდნენ ქართველებზე მთელი იმ ხნის გამავლობაში (ასეა!), რაც ისტორიას ახსოვს.

მაგრამ რაოდენადაც გამუდმებული და დაუცხრომელი იყო სპარსეთის სურვილი საქართველოს დამორჩილებისა და ამ მიზნით შემოსევა საქართველოში, იმდენად მედგარი და თავგანწირული იყო ქართველების ბრძოლა სპარსელებთან თავის დამოუკიდებლობის დასაცველად. სპარსელების ყოველს შემოსევას საქართველოში თან მოსდევდა აკლება-აოხრება სოფლებისა და ქალაქებისა, გადაწვა ტყე-მინდვრებისა, ხოცვა-ჟლეტა ხალხისა და ტყვეების წაყვანა. მაგრამ სპარსელებს და მათ ბატონებს მუქთად არ უჯდებოდათ ყველა ეს მათგან ჩადენილი ვერაგობა. ქართველი ხალხი, თავის ქვეყნის ბუნებრივს სიმაგრეზე, ხელოვნურად აგებულს ციხეებზე და თავის საკუთარს ვაჟკაცობაზე დაყრდნობილი, შესაფერს პასუხს აძლევდა შემოსეულებს და იღერებოდა უბრალო სისხლი როგორც ერთის ისე მეორე მხრით. მოშეტებულ ნაწილად სპარსეთის ყაენი და მისი სარდლები ბრუნდებოდნენ უკან თავიანთ მიზნის მიუღწეველად და საქართველოს სათიბებსა და ველშინდვრებში (ასეა!) სტოვებდნენ აუარებელ დახოცილ ჯარისკაცებს, იარაღს, სურსათს და ავლა-დიდებას. მაგრამ ხანდახან მიზანსაც აღწევდნენ, იმორჩილებდნენ საქართველოს ან მთლად ან ამა თუ იმ მის ნაწილს, ადებდნენ ქვეყანას ხარკს, მიჰქონდათ აუარებელი ნაცარცვი ოქრო-ვერცხლი, თვალ-მარგალიტი და საქონელი, და ათასობით მიჰყავდათ ის ლამაზი თვალწარმტაცი ტყვე-ქალაჟაი, რომელთა დანახვაზე მათ თრთოლა მოზდიოდათ.

გამარჯვებული სპარსეთის მფლობელები იძულებულ ჰყოფდნენ ქართველის ხალხის მფლობელებს, დამორჩილებოდნენ (ასეა!) და ეძლიათ ყოველწლიური ხარკი როგორც ფულად, ისე საქონლით და ტყვე ყმაწვილი ქალ-ვაჟებით. ამ მოვალეობის პირნათლად შესრულების სათავდებოდ სპარსეთის ხელმწიფეებს ერთის მხრით მიჰყავდათ მძევლები მეფისა და დიდებულთა გვარების წევრთაგან, მეორე მხრით საქართველოს ზოგიერთს ციხე-ქალაქებში სტოვებდნენ ჯარს. ასეთი დამორჩილება ქართველი ხალხისა დიდხანს არ გასტანდა ხოლმე. ქართველები სპარსელების უკან გაბრუნების შემდეგ შეუდგებოდნენ ხოლმე თავიანთ აკლებული ქალაქებისა და სოფლების მოშენებას, მცირეოდნად მოლონიერდებოდნენ თუ არა ეკონომიურად უარს აცხადებდნენ სამარცხვინო ხარკის ძლევაზე და აძევებდნენ საქართველოთგან სპარსეთის მეციხოვნე ჯარს. ქართველი ხალხისგან მორჩილებაზე ხელის აღების და ხარკის ძლევაზე უარის გამოცხადებას სპარსეთის ხელმწიფეები ხშირად ძალა-უნებურად მდუმარებით ხვდებოდნენ, რადგან მოშეტებულ ნაწილად მათ გართულებული ჰქონდათ ხოლმე პოლიტიკური ურთიერთობა სხვა მეზობელ ქვეყნებთან ან თვით საკუთარს ქვეშევრდომ ხალხთან, რის გამო მათ არ შეეძლოთ დაუყოვნებლად რამე ზომის მიღება საქართველოს წინააღმდეგ (ასეა!) და ამ დროს საქართველო ფაქტიურად დამოუკიდებელი ხდებოდა

და მშვიდობიანად ცხოვრობდა. ეს მშვიდობიანობა გრძელდებოდა იმ დრომდე ვიდრე სპარსეთის მფლობელთა მდგომარეობა ისე არ შეიცვლებოდა, რომ სხვა მეზობლებთან დავიდარაბისაგან თავისუფლები და თავის საკუთარის ქვეშევრდომების მორჩილად ყოფნით უზრუნველყოფილნი, არ განიზრახავდნენ ხელახლად თავიანთ მფლობელობის აღდგენას საქართველოში. მაშინ იწყებოდა ხელახალი შემოსევა სპარსელების ჯარისა საქართველოში და ჩაღდებოდა ხელახალი სისხლის ღვრა ორივე უდანაშაულო ხალხისა – სპარსელებისა და ქართველებისა და აკლება აოხრება (ასეა!) ჩვენის დიდის შრომით ეკონომიურად მოღონიერებულის ქვეყნისა. ასეთს სურათს წარმოგვიდგენს საქართველოს და სპარსეთის პოლიტიკური ურთიერთობა მთელის ჩვენის ისტორიის გამავლობაში (ასეა!).

როგორც ვსთქვით სპარსელებს ბლომად მიჰყავდათ ქართველთა ტყვეები თავიანთ ქვეყანაში. ჩვენი მატიანე ყოველი მათი შემოსევის ამბავს თითქმის მუდამ ერთნაირად აგვიწერს ამ სიტყვებით: <u>სპარსელები შემოვიდნენ, აიკლეს და აოხრეს ქვეყანა და მოსწყვიტეს და მოსტყვენნეს ქართველები და წავიდნენ</u>. რას უშვებოდნენ სპარსეთში ქართველს ტყვეებს? წესით ტყვეების ერთი-მეხუთედი (თუ მეათედი?) შაჰის მონებად ხდებოდა, დანარჩენნი ურიგდებოდნენ ჯარის უფროსებს. შაჰიც და ჯარის უფროსებიც საუკეთესო ლამაზს ქალვაჟებს (ასეა!) თვითონ იტოვებდნენ – ქალებს ჰარამხანისთვის, ვაჟებს მოსამსახურეებად, დანარჩენებს ზოგს ჰყიდდნენ, ზოგს ფეშქაშად ურიგებდნენ თავიანთ ნათესავებს და მეგობრებს. ამნაირად წაყვანილი ტყვეების რიცხვი საუკუნეების გამავლობაში აუარებელი გროვდებოდა სპარსეთში. იშვიათი იყო ისეთი დიდ-კაცის ოჯახი სპარსეთში, რომ არ ჰყოლოდათ ქართველი ტყვე ქალვაჟები ჰარამხანაში შაჰის სასახლეში ხომ მუდამ ბლომად იყვნენ და ხშირად ქართველი ქალის შვილები შაჰის ტახტზედაც მჯდარან. ამას გარდა შაჰები ქართველი ტყვეებისგან ადგენდნენ განსაკუთრებულს ჯარის რაზმებს, რომლებიც მის პირად მცველობას ეწევოდნენ (ასეა!). ქართველს ქალებს ხომ სპარსელები ცოლებად და ხასებად ისვამდნენ, ქართველი ვაჟები თავის მხრით სპარსელს ქალებს ირთავდნენ ცოლად. ამნაირად ხდებოდა მთელის საუკუნეების გამავლობაში შეუწყვეტელი არევა ქართველთა და სპარ-[132] სისხლისა, რის შედეგი არის ის, რომ იშვიათად იქნება ისეთი სპარსელი, რომ მის სისხლში არ ერიოს ქართველი კაცის ან ქალის სისხლი ყველაზე მეტად კი ქართული სისხლი ურევია, რასაკვირველია, დიდკაცობას, რომელსაც ყველაზე მეტი საშუალება ჰქონდა ქართველი ტყვე-ქალები ჰყოლოდა თავის ჰარამხანაში.

განსლო (ასეა!) საუკუნეებმა და სპარსეთის და საქართველოს ურთიერთობა ვერ მოგვარდა ისე, რომ მათ შორის დამყარებულიყო მშვიდობიანობა და კეთილგანწყობილი მეზობლობა. სპარსეთის მფლობელებს უთუოდ უნდოდათ, რომ ქართველი ხალხი სავსებით დამორჩილებოდა მათ, როგორც ყურმოჭრილი მონა და საქართველოც მათი საკუთრება გამხდარიყო. ქართველი ხალხი ამაზე არ თანხმდებოდა და არჩევდა მუდამ

132. სპარსთა? [გადატანის ნიშანია, მაგრამ მომლენო გვერდი სხვა სიტყვით იწყება]

შეიარაღებულს უკუეგდო მათი გაბატონების ცდა. სპარსეთის მფლობელები ძალით რომ ვერას ხდებოდნენ, ცდილობდნენ სარწმუნოებრივ დაემორჩილებინათ, ეგება მაშინ მაინც შეურიგდნენ ქართველები ჩვენს ბატონობასაო. ამას ისინი ცდილობდნენ ხან ძალით, ცეცხლისა და მახვილის საშუალებით, ხან დაყვავებით, სხვადასხვა შეღავათების და წყალობის დაპირებით და მოსყიდვით. ეს საშუალება თუ ხანდახან სჭრიდა ხოლმე მეფეებსა და დიდებულებზე, ქართველს ხალხზე იგი ვერ მოქმედებდა, რადგან ხალხმა მშვენივრად იცოდა, რომ სარწმუნოებრივ დამორჩილებას პოლიტიკური დამორჩილებაც თან მოჰყვებოდა და ამიტომ ახლო არ იკარებდა მუსულმანურის სარწმუნოების მოქადაგეებს. თითო-ოროლა სუსტი და ლაჩარი ხალხის შვილი თუ თანხმდებოდა ხოლმე სარწმუნოების გამოცვლას. სპარსელები დარწმუნდნენ რომ ქართველი ხალხი სარწმუნოებრივადაც ისეთივე დამცველი იყო თავისებურობისა როგორც პოლიტიკურად. თავიანთ მიზნის მისაღწევად სპარსეთის უძლიერესს და უფრო გაბედულს მფლობელებს ჭკუაში მოუვიდოდათ ხოლმე ხანდახან ისეთის უკიდურესის საშუალების ხმარება, როგორის არის მთელის ქართველობის ამოწყვეტა ან აყრა და მის გადასახლებასპარსეთის შორეულს კუთხეებში. ხოლო მათ ადგილზე სპარსელების ჩასახლება საქართველოში. ამისი ქმნა ნამეტნავად ძნელი იყო სპარსეთის მფლობელობისთვის, რადგან მტრის ყოველი თავდასხმის დროს, თუ ვერ შესძლებდნენ პირდაპირ გამკლავებას, თავს აფარებდნენ მიუდგომელს და მაგარს ადგილებს, სადაც მტერს არ შეეძლო მისვლა და თავის განძრახვის შესრულება. ამიტომ ქართველების სავსებით გაწყვეტა ვერ ხერხდებოდა. უფრო ძნელი მოსახერხებელი იყო ქართველების აყრა და გადასახლება. ნაწილობრივ ამოწყვეტა ქართველებისა, ვინც კი დაუხელთებიათ გაუხიზნელი, ხშირად ყოფილა. აყრისა და გადასახლების შესახებ კი ცნობები არ გვაქვს ორის შემთხვევის გარდა, რომელთაგან ერთი მოხდა მეჩვიდმეტე საუკუნის დასაწყისში შაჰ აბაზის დროს, მეორე მეთვრამეტე საუკუნეში ნადირშაჰის დროს.

შაჰაბაზი სპარსეთის ისტორიაში ერთს უდიდეს ხელმწიფედ ითვლება, როგორც თავის სახელმწიფოს გამაძლიერებელი პოლიტიკურად, მის გამადიდებელი ეკონომიურად და მზრუნველი მის ამშენებლობისთვის. მის ასეთს დახასიათებას თითქოს აქვს საფუძველი – მართლაც შაჰ-აბაზმა დაუძლურებული სპარსეთი პოლიტიკურად მძლავრს სახელმწიფოდ გადააქცია, ის ცდილობდა სახელმწიფოს კეთილდღეობისთვის მით, რომ გაყავდა გზები, აშენებდა არხებს, ხიდებს და ქარვასლებს, ასახლებდა უნაყოფო და უდაბნო ადგილებში ხალხს, მაგრამ ყველა ამას ჩადიოდა ის არა ხალხის სიყვარულით, არამედ თავის საკუთარის ინტერესით, თავის ტახტის და მფლობელობის გასამაგრებლად, რისთვისაც არ ერიდება მთელის ერის მოწყვეტას და აკლება-აოხრებას, რაცა ცხადად ჩანს იქიდგან, რაც მან მოიმოქმედა საქართველოში.

...

შაჰაბაზმა, როგორც მართლა საქმიანმა და გამჭრიახმა პოლიტიკოსმა, დაინახა, რომ ქართველი ხალხის სამუდამოდ დამორჩილება და გაერთგულება შეუძლებელი იყო იმ გზით, რა გზითაც მის წინამორბედები ცდილობდნენ ამას, და ის საქართველო-

ში დროგამოშვებით შესევა და მის აკლება-აოხრებით და ხოცვა-ჟლეტით. მართალია, ამით ნამეტნავად სუსტდებოდა ჩვენი ხალხი, მაგრამ ეს ხდებოდა თითქოს დროებით. რავდენიმე ხნის შემდეგ ის ისევ წელში იმართებოდა და წინაალმდეგობის გაწევის უნარს იძენდა. ამნაირად გადიოდნენ საუკუნეები და სპარსეთის ხელმწიფეებს არ უსრულდებოდათ თავიანთ სურვილი ქართველი ხალხის დამორჩილების. დამორჩილების გზაზედ დაყენების მაგიერ ქართველი ხალხი დადგა სულ სხვა გზის ძიებას. ეს გზა იყო კავშირის დაჭერა იმისთანა ხალხთან, რომელიც მას გაუწევდა მეგობრობას და დახმარებას ალმოუჩენდა. მის დამოუკიდებლობის მტრების წინააღმდეგ. ასეთს ხალხად მან დაინახა რუსის ხალხი და სწორედ იმას მიმართა [...]

თვით რუსეთის ხალხიც არ იყო ნამდვილად დამოუკიდებელი და ემორჩილებოდა თავის შინაურს მფლობელებს, მეფეს და დიდებულებს. მიმართა ამ უკანასკნელებს. ქართველი ხალხი და მისი შინაური ბატონები ფიქრობდნენ, რომ რუსეთთან დაკავშირება უმჯობესი იქნებოდა ვიდრე სპარსეთის შაჰების მორჩილება. ასეთი აზრი დატრიალდა საქართველოში და მის განხორციელების ცდას შეუდგნენ ქართველები სწორედ შაჰაბაზის მეფობის დროს სპარსეთში. ეს მოვლენა შეუმჩნეველი არ დარჩა გამჭრიახს შაჰაბაზს და იგიც შეუდგა ამ აზრის განხორციელების საწინააღმდეგო ზომების მიღებას. ასეთს ზომებად მან სცნო ორი საშუალება: 1. საქართველოს მეფეების და დიდებულების გამუსლიმანება და 2. საქართველოს ხალხის თუ მთლად არა, ნაწილობრივ მაინც, აყრა და გადასახლება სპარსეთს, ხოლო მის მაგიერ საქართველოში სპარსელების ან რომელიმე სხვა მათი ერთგულის ხალხის დასახლება. მეფისა და დიდებულების გამუსლიმანებით იმედი ჰქონდა მათი გაერთგულებისა და იმ სოლიდარობის მოპოვებისა, რომელიც არსებობდა ქართველს ხალხს და მის შინაურს ბატონებს შორის უცხო მტრების წინააღმდეგ. ქართველის ხალხის აყრით და სპარსეთს გადასახლებით, ხოლო მის ნაცვლად საქართველოში მუსულმანების დასახლებით მას იმედი ჰქონდა საქართველოს მიწაწყლის თავის საკუთარ საბრძანებლად გახდენისა და იქ მმართველებად თავის საკუთარის მოხელეების გამწესებისა. როგორც ერთის, ისე მეორე საშუალების განხორციელება სამუდამოდ სპობდა საქართველოსა და რუსეთის დაკავშირების შესაძლებლობას.

შაჰაბაზის აზრი თითქოს მიზანშეწონილი იყო და მის ზედმიწევნით გახორციელებას შაჰაბასისას სასურველი შედეგები უნდა მოჰყოლოდა, მაგრამ საქმე ის არის, რომ ხსენებულის აზრის სისწორით შესრულება ადვილი შესაძლებელი არ შეიქნა იმისთანა მძლავრის და გონიერის კაცისათვისაც, როგორიც იყო შაჰაბაზი. მთელის ხალხის ბედი, მართალია, უტრიალებიათ კერძო პირებს თავიანთ ჭკუაზე, მაგრამ ეს ყოფილა მხოლოდ დროებითი და არც სავსებით ისე, როგორც მათ სურვებიათ. თუ დროებით მიუღწევიათ მათ თავიანთ მიზნისთვის და თავიანთ წადილი ცოტად თუ მეტად შეუსრულებიათ, საბოლოოდ მაინც მათ უსამართლო ზრახვები ჩაფუშულან და დარჩენილა მათ სახსოვრად მხოლოდ ის აუარებელი ტანჯვა-წამება, რომელიც გამოუვლია ხალხს მათი მეოხებით.

ასეთი ბედი ეწია შაჰაბაზის ზრახვებსაც საქართველოს მიმართ. შაჰაბაზმა თა-

ვის ზრახვათა განხორციელება კახეთიდგან დაიწყო, სადაც მეფობდა ალექსანდრე, რომელმაც პირველად გამართა რუსებთან მოლაპარაკება დაკავშირების შესახებ. ამ დროს სპარსეთში ცხოვრობდა მძევლად გაგზავნილი ალექსანდრეს შვილი კონსტანტინე, გამუსულმანებული და სრულებით გადაგვარებული. შაჰაბაზმა გაუზიარა მას თავისი ზრახვა და დაჰპირდა კახეთის მეფობას იმ პირობით, რომ მოეკლა თავისი მამა ალექსანდრე და ძმა გიორგი. ამ აზრით მიანდო მას შირვანისკენ გალაშქრება. შირვანს მიმავალი კონსტანტინე გზად უნდა შესულიყო კახეთს ვითომ თავისიანების სანახავად და უნდა მოტყუებით მოეკლა მამა და ძმა და კახეთის მეფედ გამოცხადებულიყო. კონსტანტინე ასეც მოიქცა. შირვანისკენ მიმავალი შევიდა კახეთს. ალექსანდრე მეფემ დიდი სიხარულით მიიღო დიდის ხნის უნახავი შვილი და გაუმართა ნადიმი. კონსტანტინემ ამ ნადიმობის დროს მოღალატურად მოაკვლევინა სპარსელებს თავის მამა და ძმა, აგრეთვე ზოგიერთნი მათთან მყოფნი და თავისთავი გამოაცხადა კახეთის მეფედ. მაგრამ კახელებმა არ იყაბულეს მისი ავაზაკური გამეფება, გაუდგნენ მამის მკვლელს და კიდეც მოკლეს. ამაყი შაჰაბაზი იძულებული შეიქნა შერიგებოდა ამ მარცხს და თანახმად კახელების მოთხოვნისა დაებრუნებინა კახეთში გასამეფებლად მის კარზე მყოფი ჯერ კიდევ ახალგაზრდა ბატონიშვილი, კონსტანტინეს ძმისწული, თეიმურაზი დავითის შვილი. თეიმურაზი გამოდგა დიდი და შეურიგებელი მოწინააღმდეგე შაჰაბაზისა და დამცველი თავის ქვეყნის დამოუკიდებლობისა. შაჰაბაზს ნამეტნავად შესძულდა დამოუკიდებლობის მოყვარე თეიმურაზი და ამიტომ გულში ჩაიდო როგორც იმისი დალუპვა ისე მის ქვეშევრდომი ხალხის მოსპობა გაჟლეტით თუ აყრით და სპარსეთში გადასახლებით, ხოლო მათ ნაცვლად სპარსელების დასახლება და კახეთის თავის პროვინციად გახდენა. შაჰაბაზი გულში რომ სხვადასხვა ჯოჯოხეთურს ზრახვებს ატარებდა და სხვადასხვა ხრიკებს ხმარობდა თეიმურაზის დასაღუპად, ცხადად მას ეალერსებოდა და მეგობრობდა. როდესაც ამ ხრიკებმა ვერ გასჭრა, შააბაზმა მოიმიზეზა ვითომ შეურაცხყოფა თეიმურაზის მიერ მისთვის მიყენებული და გამოილაშქრა კახეთის წინააღმდეგ იმ განზრახვით, რომ მთელი კახეთი აეყარა. მაგრამ რაკი იცოდა, რომ მის ჯარებს კახეთის მცხოვრებლები თავიანთ ბინებზე კი არ დაუხვდებოდნენ ქედმოხრილები, არამედ გაიხიზნებოდნენ მაგარს და მიუდგომელს ადგილებში და მედგარს წინააღმდეგობას გაუწევდნენ, მან იხმარა შემდეგი ხრიკი: კახეთის საზღვარზე მისვლისთანავე მოსყიდული აგენტების საშუალებით ქართველ ხალხში გაავრცელა ხმა, რომ ის შედიოდა კახეთში არა ქვეყნისა და ხალხის წასახდენად, არამედ მის ურჩი და შეურაცხმყოფელი მეფე თეიმურაზის დასასჯელად. ამ ხმების სიმართლის დასამტკიცებლად შაჰაბაზი რომ კახეთის [...] შევიდა, ყველანი, ვინც კი მის ჯარს ტყვედ ჩაუვარდა მისი განკარგულებით დაასაჩუქრეს და გაუშვეს, თან დააბარეს ხალხისათვის გადაეცემად, რომ ყაენი ხალხს არას ერჩის და რომ ის არის მოსული მხოლოდ თეიმურაზის დასასჯელად. ამ ხრიკით შაჰაბაზს აზრად ქონდა დაეჯერებინა ხალხისთვის, რომ ხოცვა-ჟლეტისა და გაცარცვის შიშით არ გახიზნულიყო და ჩამოეგდო განზეთქილება ხალხსა და მეფეს შორის. პირველს ხანში შაჰაბაზმა მიაღწია მიზანს. ხალხის კარგა დიდმა ნაწილმა დაიჯერა შაჰაბაზის განცხადება, არც

გაიხიზნა და არც მოინდომა შებრძოლება სპარსელებთან. ბევრმა, რასაკვირველია, არ დაიჯერა შაჰაბაზის დაპირება და გაიხიზნა მაგარს და მიუვალს ადგილებში. ხოლო მცირეოდენმა თეიმურაზთან თავი მოიყარა საბრძოლველად, მაგრამ ამ უკანასკნელთა რიცხვი ისე მცირე იყო, რომ თეიმურაზმა ვერ მოახერხა შებმა შაჰაბაზთან და იძულებული შეიქნა ქართლს გადასულიყო ლუარსაბ მეფესთან. შაჰაბაზმა გაქცეული თეიმურაზის მაგიერ მეფედ გამოაცხადა მისი ბიძაშვილი იესე, გამაჰმადიანებული. ხალხის გულის მოსაგებად ყაენმა მისი ტახტზე ასვლა ქართული წესით გაამართვინა. შემდეგ გამოაცხადა რომ ვინც კი გახიზნულია, ყველას შეუძლიან დაუბრუნდეს თავის სახლკარს და დაიწყოს მშვიდობიანი ცხოვრება, სპარსელები მათ არაფერს დაუშავებენო, ხოლო ვინც არ დაბრუნდება, მათ წინააღმდეგ გაიგზავნება ჯარი და ამოხოცილნი იქნებიანო. ამ განცხადებამ გასჭრა და ბევრი დაბრუნდა თავის ბინაზე. სპარსელებს მათთვის ხმა არ გაუციათ. ასე გასინჯეთ, შაჰაბაზის განკარგულებით მათ ყარაულებიც კი მიუჩინეს ვითომ იმ აზრით, რომ სპარსელებს არაფერი დაეშავებინათ მათთვის. მათ წინააღმდეგ კი, რომელნიც არ დაბრუნდნენ სახიზარითგან და ამნაირად არ დაემორჩილნენ მისგან გამეფებულს იესეს, შაჰაბაზმა გაგზავნა რაზმები და ყველგან აკლება-აოხრება და ხოცვა-ჟლეტა გამართა. ბოლოს კახეთი რომ მოიმორჩილა, შაჰაბაზი გაემართა ქართლს, სადაც გადავიდა თეიმურაზი. ლუარსაბ და თეიმურაზი ამპირებდნენ შაჰაბაზის შესახვედრად მომზადებას, მაგრამ კახელებმა და ქართლელებმა არა ჰქნეს, რადგან ქართლშიც შაჰაბაზმა იმნაირივე განცხადება გაავრცელა როგორც კახეთში, რომ ის არაფერს დაუშავებდა მათ, ვინც თავის ბინაზე დარჩებოდა და არ გაუწევდა წინააღმდეგობას მას, რომელიც ცდილობდა ვითომ მხოლოდ თეიმურაზის ხელში ჩაგდებას. ამასთან ის არ უცხადებდა ლუარსაბს სამდურავს. გაკვირვებას გამოსთქვამდა, რომ ის აჰყვა თეიმურაზს და გაიქცა იმერეთსო.

ქართლელები ამისთანა განცხადების გამო არც გახიზნულან და არც წინააღმდეგობა გაუწევიათ შაჰაბაზისთვის, რომელიც მხოლოდ იმას ცდილობდა რომ თეიმურაზთან ერთად იმერეთს გაქცეული ლუარსაბ მეფე ჩაეგდო ხელში. ამ აზრით რამდენჯერმე გაგზავნა მასთან მოციქული იმერეთს და შეუთვალა, რომ მას არაფერი აქვს მის საწინააღმდეგო, რომ იგი მას უყვარს, როგორც შვილი და რომ დაბრუნდება თუ არა თავის სამეფოში, ისიც სპარსეთისკენ იბრუნებს პირს დარწმუნებული ლუარსაბის მეგობრობაში და ერთგულებაში. ლუარსაბს არა სჯეროდა შაჰაბაზის გულწრფელობა და პირველსა და მეორე მოციქულობაზე უარი შემოუთვალა ქართლში დაბრუნებაზე. ვიდრე შაჰაბაზი არ გავიდოდა ქართლითგან, მაგრამ მესამე მოციქულობამ ლუარსაბი დააჯერა და დაბრუნდა ქართლს. აქ შაჰაბაზი დახვდა მას დიდის პატივით და სიყვარულის გამოცხადებით და გაიპატიჟა სანადიროდ ჯერ ყარაიში, ყარაიითგან ყარაბაღში და ყარაბაღითგან მაზანდარანში და თან ისეთს პირობებში ჩააყენა, რომ ლუარსაბს არ შეეძლო უარი ეთქვა. ყარაბაღითგან რომ მაზანდარანში გასაყოლად მიიწვია შაჰაბაზმა, ლუარსაბი მიხვდა შაჰაბაზის ხრიკს, მაგრამ რასღა იზამდა, უკვე იგი მის ხელთ იყო და ვერც გამოეპარებოდა, რადგან ყარაულები ჰყავდა მიჩენილი ვითომ მის პიროვნების დასაცველად. მაზანდარანში შაჰაბაზმა ალარ დაუმალა

ლუარსაბს, რომ ის იყო მისი ტყვე და რომ მას ის დაბრუნებდა უკან თუ მაჰმადიანობას მიიღებდა. ლუარსაბმა რჯულის გამოცვლაზე უარი უთხრა და შაჰაბაზმა გაგზავნა შირაზში, ხოლო ქართლის მეფობა მისცა გამაჰმადიანებულ ქართლის ბატონიშვილს ბაგრატს. ამნაირად შაჰაბაზმა შეასრულა თავისი პოლიტიკური გეგმის ერთი ნაწილი: ქართლისა და კახეთის მეფეებად დასვა გამაჰმადიანებული, მისი მორჩილი ქართველი ბატონიშვილები.

მაგრამ გეგმის ამ ნაწილის შესრულება არ გამოდგა საკმარისი შაჰაბაზის მიზნის განხორციელებისათვის, ე.ი. საქართველოს მკვიდრად დამორჩილებისათვის. პირიქით გეგმის ამ ნაწილის შესრულებამ უფრო ააშფოთა და ააღელვა ქართველი ხალხი მის წინააღმდეგ. შაჰაბაზი, თუმცა ჭკვიანი კაცი იყო, მაინც ვერ მიხვედრილიყო, რომ ქართველი ხალხი ყაბულობდა თავის მეფეებს იმდენად, რამდენადაც ისინი იცავდნენ მის ეროვნულს ინტერესს, გარეშე მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში მას სელმძღვანელობდნენ და პატივს სცემდნენ მის სარწმუნოებას და ჩვეულებას. შაჰაბაზისგან გამეფებული რენეგატები კი, როგორც შაჰაბაზის ყურმოჭრილი მონები, იცავდნენ მხოლოდ მის ინტერესს, ხოლო ქართველის ხალხის ინტერესს სთრგუნავდნენ, შეურაცხჰყოფდნენ მის სარწმუნოებას და აბუჩად იგდებდნენ მის ჩვეულებას. ცხადია, ქართველი ხალხი ვერ მოუთმენდა ამისთანა მეფეებს და აღარჰყოფდა (ასეა!) როგორც მათ, ისე მათ მომავლის ბედს უცხო ქვეყნის ხელშწიფეს. კახელებმა იმდენად აგრძნობინეს იესე მეფეს თავიანთ უკმაყოფილება, რომ იგი იძულებული იყო გაქცეულიყო საჩივლელად შაჰაბაზთან და სამეფო მიეტოვებინა იქ ჩაყენებული სპარსთა ჯარის უფროსების სათარეშოდ. ამან უფრო ააღელვა კახელები და გადააწყვეტინა აჯანყებულიყვნენ და იარაღით გაეძევებინათ სპარსთა ჯარი კახეთიდან. მოთმინებითგან გამოსული ხალხი თავს დაესხა სპარსელების ჯარს, მის ერთი ნაწილი გაჟლიტა, ხოლო მეორე აიძულა გაქცეულიყო. კახელების წინამძღოლებმა სპარსელების განდევნის შემდეგ შეუთვალეს იმერეთში მყოფს თეიმურაზ მეფეს დაბრუნებულიყო კახეთს. თეიმურაზიც დაბრუნდა და შეუდგა მეფობას.

ახალი მარცხის ამბავი ელდასავით მოხვდა შაჰაბაზს და გაგებისთანავე გამოგზავნა კახეთის წინააღმდეგ ჯარი, ხოლო ცოტა ხანს შემდეგ თითონაც უკან გამოჰყვა სხვა ჯარით. წინდაწინ გამოგზავნილს ჯარს კახელები მედგრად დახვდნენ და დამარცხებული უკან გამოაბრუნეს. მაგრამ როდესაც შაჰაბაზი მიადგა კახეთს ერთის მხრით და თან დაღისტნის ლეკები დიდის ჯილდოს დაპირებით მიუსია მეორე მხრით, კახელების ერთი ნაწილი შეშინდა და წინააღმდეგობაზე უარი თქვა იმ იმედით, რომ შაჰაბაზი წინაწლის მაგალითით მათ ხმას არ გასცემდა. შაჰაბაზი პირველად მხოლოდ მათ წინააღმდეგ მძვინვარებდა, ვინც წინააღმდეგობას უწევდა, ხოლო როცა ისინი ამოხოცა ან იძულებულ ჰყო მიუვალს ადგილებში შეეფარებინათ თავი, მშვიდობიანად მცხოვრები ხალხი აჰყარა დედაბუდიანად – დიდი თუ პატარა, ქალი თუ კაცი, საქონლით და საცხოვრებლით, ვისაც რა გააჩნდა, და გაუყენა სპარსეთისკენ. თვით სპარსეთის ისტორიკოსთა სიტყვით [...] სპარსელებმა ამოხოცეს 70,000-ამდე ქართველი, ხოლო 120,000-მდე აჰყარეს და გადაასახლეს. კახეთის მმართველად დააყენა სპარსელი

ხანი და განკარგულება მოახდინა, რომ აძოწყვეტილი, გახიზნული და სპარსეთს გადასახლებული ქართველების მაგიერ კახეთში დაესახლებინათ მუსულმანები – სპარსელები თუ თათრები. ამით შაჰაბაზმა შეასრულა თავისი პოლიტიკური გეგმის მეორე ნაწილიც და ეგონა ახლა კი სამუდამოდ დავიმორჩილე კახეთი და ის ხელითგან ველარ წაუვა სპარსეთის ხელმწიფესო. თუ რაოდენად შემცდარი იყო შაჰაბაზის იმედი, ეს ცხადია არამც თუ დღეს, არამედ მისთვისაც ცხადი შეიქმნა სულ რავდენისამე წლის შემდეგ. მაგრამ ჩვენ აქ ამაზე აღარ გავაგრძელებთ ლაპარაკს და შევუდგებით იმის მოთხრობას თუ რა დაემართათ იმ კახელებს, რომლებიც აჰყარა შაჰაბაზმა და გაუყენა სპარსეთისკენ.

ვახუშტი, თავის ისტორიაში მოკლედ ამბობს: „შემდგომ დაუტევა (შაჰაბაზმა) ფეიქარხან სპითა კახეთს და თვითონ წარვიდა და წარიყვანა აყრილნი კახნი ტყვედ და დასხნა რომელნიმე მაზანდარანს, ხვარასანს და ფერიას.

შაჰაბაზისგან აყრილი და გადასახლებული ქართველების რიცხვს სპარსეთის ისტორიკოსი ისკანდერ მუნში [...] ანგარიშობს. საინტერესოა, როგორ მოეწყვნენ ქართველები უცხო ქვეყანაში და რანაირად წავიდა მათი საქმე. დელავალლე 1627 წ. სწერს: „აქ მათ მიუჩინეს ის ადგილები, რომელთაც უფრო ეჭირვებოდათ დასახლება...

...ამათ (ტყვეთა) შორის იყვნენ მამაკაცები და დედაკაცები, თავადაზნაურები და გლეხებიც, დიდები და პატარებიც, ყოველ წლოვანებისა, ყოველ წოდებისა და ყოველ მდგომარეობისა. ესენი თავიანთ ხიბაკით, რამოდენის წამოღებაც შეეძლოთ, დააყენეს ჯარის წინ და სიჩქარით წაიყვანეს სპარსეთისკენ, სადაც მშვიდობით მიიყვანეს. აქ იმათ მიუჩინეს ის ადგილები, რომელნიც ძლიერ დაშორებულნი იყვნენ საქართველოზედ რომელთაც უფრო ეჭირვებოდათ დასახლება. აი საიდგან არის ის, რომ დღეს საკუთად თქმული სპარსეთი, მაგალითად კირმანი ან კარმანია,[133] მაზანდერანი ყასპის ზღვის ნაპირებზედ სპარსეთის სახელმწიფოს სხვა ადგილები სავსენი არიან ქართველებით, ჩერქეზებით, უკანასკნელები რამდენიმე ხნით წინ გადმოვიდნენ თეიმურაზის სამეფოში, თავის ქვეყნის სიახლოვედ და დაესახლენ ქართველებთან, რომლებთანაც ისინი დანათესავდნენ და სრულებით შეერთდნენ, და როგორც ქართველები, იგინი მეფის ქვეშევრდომნი გახდნენ, მაგრამ ზემოხსენებულ არეულობის დროს, როგორც ვსთქვი, იგინიც წაიყვანეს სპარსეთში და დასახლეს სხვადასხვა მხარეებში.

...დღეს იგინი თავისუფლად ცხოვრობენ სპარსეთის ქვეყნებში, როგორც სხვა ქვეშევრდომები სპარსეთისა. თავს იგინი ირჩენენ იმ მიწებით, რომელნიც დაუნიშნა მათ ხელმწიფემ და რომელთაც იგინი ამუშავებენ. ამ მიწებისთვის იგინი იხდიან, როგორც სხვა მაჰმადიანები მცირე ღალას. უმეტესი ნაწილი იმ ხალხებისა არიან ქრისტიანები და ქრისტიანებად დარჩნენ ჩვენს დრომდე, მაგრამ აგერ ახლა ისინი თითქმის არავის არ ემსახურებიან. იქნება ამის მიზეზი ის იყვეს, რომ მათ არა ჰყავთ მღვდლები და უფროსები, რომელთაც მათი სწავლება შეეძლოთ. რაც არიან, ისინი არ კმარან ამდენი ხალხისათვის, რომელნიც მასთანავე ამდენს სხვადასხვა ადგილებზე გაფანტულია, თავად-აზნაურებმა, რომელნიც არ არიან დაჩვეულნი

133. ქერმან-ი

მოთმინებას, მხედრების უმეტესმა ნაწილმა და ბევრმა სალხთაგანმაც მიიღეს მაჰმადიანობა. ზოგმა პატივისმოყვარეობის გამო და ზოგმა სიხარბის გამო, რადგანაც სჯულის გამოცვლისათვის მოელიან რამე საჩუქარს ხელმწიფისაგან, რომელიც ამ შემთხვევაში ძლიერ გამცემია, ზოგიერთები კი იძულებულნი არიან მაჰმადიანობა მიიღონ, რომ სიმშილით არ დაიხოცნენ (ივერია, 1879 წ. N3).

...ამდენად დღეს ხელმწიფის მხედრობაში ოცდაათიათასზე მეტი ქართველია, რამდენიმე ჩერქეზი და ცოტაოდენი სომეხი. უკანასკნელებსაც თავისი რჯული მიტოვებული აქვთ.

„გარდა ზემოხსენებულ ქართველებისა, რომელნიც სპარსეთში ცხოვრობენ თავისუფლად, არიან მრავალნი იმისთანანი, რომელნიც მონადჩაუვარდნენ სპარსელებს იმ არეულობის დროს, რომელიც მოხდა სპარსეთის ხელმწიფის შემოსევისა და მცხოვრებთა სამშობლოიდამ ძალ-დატანებით გარდასახლების თაობაზე. ამათი რიცხვი ისე დიდი იყო, რომ დღეს არ იპოვება არც ერთი სახლი მთელს სპარსეთში, რომელიც სავსე არ იყოს ამისთანა ქართველებით, მამაკაცებით და დედაკაცებითაც. იქ არ არის იმისთანა დიდი-კაცი, რომელსაც არ სურდეს, რომ ყველა მისი ქალები ქართველები იყვნენ, იმიტომ. რომ ესენი მშვენიერები არიან. თვით ხელმწიფეს გავსებული აქვს თავისი სასახლე მათის კაცებით და ქალებით და სხვებს თითქმის არ იმსახურებს (იხ. ივერია, 1879 წ. N3).

მხოლოდ ზოგი აქციეს ყმებად, რომელთაც მდიდარი სპარსელები ერთმანერთში ჰყიდდნენ, როგორც უენო საქონელსა. ვაჭრები დასახლდნენ ქალაქებში."

1885 წ. ივერიის N7-ში დაბეჭდილია არაქელის ისტორიის თარგმანი, სადაც სწერია:

„და ყოველნი აყარეს თავ-თავიანთი ადგილიდამ და რომელსაც აჰყრიდნენ, მიჰყვანდათ და დააყენებდნენ მტკვრის მდინარის პირს, იმ ადგილს, რომელსაც უწოდებდნენ ღაბრი, რამეთუ მუნ დაადგინეს ბანაკი. ესრეთ ჰყვეს ვიდრე რომ ყოველი აღწერილი შაჰისევანი აჰყარეს და როდესაც აღსრულდა მძლავრობით აყრა მათი, იმ წერილითა აჰყარეს იქიდამ და წაასხეს სპარსეთში და მიიყვანეს ვიდრე ქალაქ ყაზმინამდინ[134] და იქიდამ წაასხეს ქალაქ ფარაბათს[135], და როდესაც მიაღწევინეს ფარაბათს, მათგანი ზოგი ფარაბათს დაასახლეს ქართველნი თუ სომეხნი, თუ მაჰმადიანნი, თუ ურიანი და სხვანი მრავალნი მათგანნი დაასახლეს სოფლებში და მისცეს მათ ყოველთა ადგილი სასახლისა და საბაღე და სახნავი და ამ საახით ააოხრეს ქვეყანა ქართველთა-კახეთისა და გრემისა და წაასხეს ელი ქვეყანასა ფარაბათს.

„ეს წაყვანილნი ერნი არ გამრავლდნენ მას ქვეყანაში, ამისათვის რომ არ იყვნენ შეჩვეულნი ნედლსა და ცუდს ფშვინვის (სუნთქვის) დამაბრკოლებელს მძიმე სუნიანს ჰაერსა იმ ქვეყნისასა და აგრეთვე არც სასმელსა და არც საჭმელსა, და არც ცხოვრებას იმ ქვეყნისასა, რომელთ იწყეს გაწყვეტა და დახოცვა. მცირეს დროს

134. ქ.ყაზვინი

135. ქ.ფარაბადი მაზანდარანში. შაჰ-აბასის საზაფხულო რეზიდენცია.

ესოდენი დაიხოცნენ და გაწყდნენ, რომ სახლში ათიდამ ერთი ძლივ დარჩა. და ვინც გადარჩნენ, შემდგომ დროების ავადმყოფობისა და სატკიერისაგან შეიწროებულ განცვეთილ და სნეულ იქნენ. ასე რომ არ ძალუძდგათ ხორციელად მოქმედება საქმისა სასარგებლოდ თავიანთ ცხოვრებისათვის და უმეტესად უცხოებისა და სიღარიბისათვის გამო, შეიქმნენ გლახაკნი და უქონელნი და რაიც აქვნდათ, განჰყიდეს და სჭამეს და უქონლობისა გამო იწყეს საჩივარი ქართველთა ნათესავმან შაჰთან, იმ დროს ფარაბათს მყოფთან, რასაც უქონლობას და სიმშილს ითმენდნენ. შაჰმა უპასუხა: ოლონდ დაუტევეთ თქვენი სარწმუნოება და იქმენით მაჰმადის სჯულისა და მე მოგცემთ თქვენ მრავალს ქონებას, რომლითაც იცხოვრთ და სჭამოთ. და იგინი, ძლეულნი საჭიროებისათვის სიმშილისა, იძულებულ იქმნენ და აღასრულეს ბრძანება შაჰისა და იქმნენ მაჰმადიანნი. ხოლო შაჰმა არ მისცა მათ აღთქმული ქონება, არამედ მოატყუა იგინი, მხოლოდ თვითოეულს სულს, დიდს თუ მცირესა, მისცა თვითო-თვითო დეკანი და განუტევა თვის-თვის სახლებში (იხ. გვ. 49-51).

„რაც გიამბეთ თუ შაჰი როგორ მოეპყრო კახელებს, რომელნიც შაჰისევნად დაეწერნენ, ესევე უნდა გიამბოთ ქართლელების შესახებაც, შაჰისევანად დაწერილებისა, რომელთა ზედ შაჰმა დააყენა მხედრობა და მხედართმთავარნი, რომელიც პირველის აღწერილობის ქალალდით აღსწერეს თავთავის ადგილიდამ ან წარასხეს სპარსეთში, გარნა ამ ერისაგან ქართლელებისაგანი არავინ წაიყვანეს ფარაბათს, არამედ ისპაანს წაასხეს და დამკვიდრეს ისპაანიის ციე სოფლებში, სადაც სომხებიც იყვნენ დასახლებულნი და აწინდელს დროს, სომეხთ მრიცხველობით 1107 წ. ხოლო ქრისტესით 1659 წ., როდესაც ეს მოთხრობა დავსწერეთ, ის ქართველნი ყოველნივე უკუიქცნენ თავიანთის სარწმუნოებისაგან და მიიქცნენ მაჰმადის სჯულსა ზედა. ან ესოდენ მტარვალნი შეიქნენ ქრისტიანეთა ზედა, რომ ოდეს შეგვემთხვეოდნენ ჩვენ სადმე გზასა ზედა, ჩვენს გამარჯვების თქმას მშვიდობისასა არ მიიღებდნენ ხოლმე, არამედ გმობით და შეურაცხყოფით იხსენიებდნენ მამათა და წინაპართა თვისთა, რამეთუ იგინი ურწმუნონი იყვნენო და ურწმუნოებაში დაიხოცნენო... ამ ქართველთაგან, რა დროსაც ახლად მიყვანეს ისპაანში, მაშინვე გაყვეს და რაოდენიმე ნაწილი შირაზისაკენ წაასხეს, იმ ადგილს ეწოდება ასუფას. და ესენი დაიხოცნენ სხვადასხვა სახით და დანაშთენი ყოველნივე ერთობ მიიქცნენ სჯულსა ზედა მაჰმადიასა.“ (იხ. გვ. 51-52).

არაქელ თავრიზელის თქმით, მაზანდარანში დასახლებულ ქართველობას ვერ წაუვიდა კარგად საქმე, რადგან ადგილები, სადაც დაასახლეს, იყვნენ ნესტიანი და ხაშმიანი, იქაურს საჭმელს, სასმელს და სხვა საჭირო ნივთებს არ იყვნენ შეგუებულნი. იხოცებოდნენ, ნელნელა ჭკნებოდნენ. მალე ათითგან ერთი ძლივს დარჩა. ამათაც, დასუსტებულებს და დაავადებულებს, აღარ შეეძლოთ თავიანთ სარჩოს მოსარეწავად საჭირო შრომის გაწევა. ქეყნისთვის უცხონი და უმწეონი გალატაკდნენ, გაჰყიდეს რაც კი ებადათ და აღებული ფული შეჭამეს. გაჭირვებაში მყოფმა ქართველობამ მიმართა საჩივრით ყაენს, რომელიც იმ დროს ფარაბადში იმყოფებოდა და გააგებინა თავის მდგომარეობა. ყაენმა უპასუხა: „მიატოვეთ თქვენი სჯული და მიიღეთ მაჰმადიანობა და მე გაგიჩენთ სარჩოს და მოგცემთ უხვს დახმარებას.“ სიმშილით შეწუხებულებმა მაჰმადიანობა მიიღეს, შაჰის

ბრძანებისამებრ, მაგრამ შაჰმა დაპირებულის უხვის დახმარების მაგიერ დაურიგა სულზე მხოლოდ თითო დრაჰკანი.

ისპაჰანის მხარეში დასახლებულ ქართველებზე არაქელი ამბობს, რომ 1757 წ., როდესაც ის სწერდა თავის წიგნს, ყველა ქართველებს მიტოვებული ჰქონდათ ქრისტიანობა. ხოლო იმათ შესახებ, რომელნიც შირაზსა და ასუფის მხარეში იქნენ დასახლებულნი, არაქელი ამბობს, რომ ისინი თანდათან ამოწყდნენ და ვინც გადარჩნენ, მათ მიიღეს მუსულმანობა.

...

ქართველებმა იცოდნენ მათი ძმების ყოფნა სპარსეთში იმ სანამდე, ვიდრე არ შესწყდა სპარსეთსა და საქართველოს შორის პოლიტიკური ურთიერთობა, ხოლო ამ ურთიერთობის შეწყვეტის შემდეგ [...] მეცხრამეტე საუკუნის დამდეგითგან ქართველებს სრულებით ავიწყდებიან სპარსეთში მცხოვრები მათი ძმები და მხოლოდ მეცხრამე (ასეა!) საუკუნის ბოლოს კანტი კუნტად ვრცელდება ცნობები მათ შესახებ. ამ ცნობებს მე-70-ე წლებში ადასტურებს ერთი სპარსელი ფერეიდანელი ქართველი, რომელიც რაღაც შემთხვევით მოვიდა საქართველოში 1871 წ. და მოუთხრა სპარსეთის ქართველების ყოფა-ცხოვრების ამბავი. ეს კაცი იყო ათამ ონიკაშვილი. იგი სამუდამოდ დასახლდა ჩვენში და აქვე გადაიცვალა 1880 წ. ამ კაცის მოსვლამ საქართველოში და მისმა ნაამბობმა, აგრეთვე ტფილისურს სომხურს გაზეთში მოთავსებულმა ცნობამ აუძრა სურვილი ლადო აღნიაშვილს წასულიყო სპარსეთს და ადგილობრივ ენახა და გაეცნო იქ მობინადრე ქართველების ცხოვრება. ლადო აღნიაშვილმა ამ მიზნით იმგზავრა სპარსეთში, 1895 წ. და მოიარა ქართველებისგან დასახლებული ერთი კუთხე ფერეიდანი და აღწერა ყველაფერი რაც კი ნახა და გაიგო მათ შესახებ. მეოცე საუკუნის დამდეგს კი თვით ფერეიდანელი ქართველები მოვიდნენ საქართველოში, თავიანთ წინაპრების სამშობლოს სანახავად და თავიანთ ძმა ქართველი ხალხის ყოფა-ცხოვრების გასაცნობად. ამის გამო ჩვენ ყველაზე კარგად და დანამდვილებით მხოლოდ ფერეიდანის ქართველობას ვიცნობთ. სპარსეთის სხვა ადგილებში მცხოვრები ქართველების შესახებ კი ჩვენი ცოდნა განისაზღვრება იმით, რაც ზევით იყო ნათქვამი.

ახლა გადავცემთ მკითხველს იმ ცნობებს, რასაც გვაძლევენ ლადო აღნიაშვილი და სხვები ფერეიდანის ქართველების შესახებ:

ფერეიდანში ანუ ფერიაში ქართველები [...] დღეს წარმოადგენენ ჯგუფად და ერთს ფარგალში მჭიდროდ დასახლებულს მოსახლეობას. ეს ქვეყანა მდებარეობს სამხრეთ სპარსეთში ძველის დედაქალაქის ისპაანის ჩრდილო-დასავლეთით და წარმოადგენს ირანის ვაკობის უმაღლესს დასახლებულს ადგილს. ქვეყანა [...] დაბალი მთა-გორაკებით, რომლებზედაც ზამთარ-ზაფხულ, ერთი თვის გარდა, თოვლი დევს და ამიტომ ზამთარი საკმაოდ გრძელი და სუსხიანი იცის. მთელი ფერეიდანი განაწილებულია ოთხს თემად ან ნაჰაიად, რომელთაგან ერთს სპარსულად ჰქვიან გურჯი-ნაჰაია, რაიცა ქართულად ნიშნავს ქართველთა თემს. ქართველები

სწორედ ამ თემში ცხოვრობენ. ქართველების სოფლები მდებარეობენ იქ სადაც მთები ერთმანეთზე მოშორებით არიან, მათ შორის, ჰაერი ძალიან წმინდაა და წმინდა წყაროს წყალი ბლომად არის. მცენარეულობა ძალიან ცოტაა. მარტო დაბლობებში მოიპოვება ბალახეულობა. ქართველების სოფლების რიცხვი თოთხმეტია, აი მათი სახელები: 1. შაანათი, 2. თოლერი, 3. ბოინი, 4. ტაშკესანა, 5. აფუსი, 6. ახჩა, 7. შაიურდი, 8. ჯალჯალი, 9. სიბაქი, 10. ჩულრუთი, 11. ზემო მარტყოფი, 12. ქვემო მარტყოფი, 13. დეესური და 14. ნინოწმინდა. ზოგიერთს სოფლებს ორ-ოლი სახელი ჰქვიან, მაგალ. ახორაბადი (ზემო მარტყოფი), ახორაფაინ (ქვემო მარტყოფი), დომბე-ქამარე (თოლერი) და ქულუბანაქ (ნინოწმინდა). ეტყობა, ყოფილა სხვა სოფლებიცა, რომელთა მხოლოდ ნაშთი და სახელიღა დარჩენილა, მაგ. აფუსის ადგილზე ყოფილა ორი სოფელი რუისპირი და რუსთავი. მცხოვრებთა რიცხვი ამ სოფლებში ზოგან მეტია, ზოგან ნაკლები, მაგალ. შაანათში 100 კომლი, თოლერში 220 კ., ბოინში 200 კ. ტაშკესანაში 100კ. აფუსში 260კ. ახჩაში 160კ. შაიურდში 150 კ. ჯალჯალში 100 კ. სიბაქში 140 კ. ჩულრუთში 40 კ. ზემო მარტყოფში 700 კ., ქვემო მარტყოფში 150კ. დეესურში 60 კ. ნინოწმინდაში 80 კ. ამ სოფლებში ყველა მცხოვრებლები თავისთავს გურჯებს ეძახიან და ქართულს ლაპარაკობენ გარდა ორიოდე სოფლისა სადაც თითქმის ნახევარმა ალარ იცის ქართული და ლაპარაკობენ ზოგან სპარსულს, ზოგან თურქულს, ზოგან ქურთულს და ზოგან ლორულს.

ქართველები მისდევენ ხვნა-თესვას, საქონლის მოვლას. ხელობა და ვაჭრობა ძალიან იშვიათია მათში. ცოტ-ცოტა ვენახებიც და ხეხილის ბაღებიცა აქვსთ. ყურძენს, რასაკვირველია, არა სწურავენ, არამედ სჭამენ როგორც ხილს. მოჰყავთ ხორბალი, ქერი, მუხუდო, ლობიო ფარონჯი და იონჯა. საქონელი ფერეიდანში ძალიან წვრილი მოდგმისაა. თხა და ცხვარი კარგი ჰყავთ. საზოგადოდ ხალხი ღარიბია და მხოლოდ ზოგიერთნი არიან შეძლებულნი.

ქართველების ტიპი შენახულია უცვლელად. ყოველნაირი ტანისანი არიან: მაღალი, საშუალო და დაბალი. ქალები საკმაოდ ლამაზები არიან. ვაჟკაცობა და მხნეობა ქართველური აქვთ. ყოფა-ცხოვრება ფერეიდნელებს თითქმის სულ სპარსული აქვთ შეთვისებული, მხოლოდ ზოგიერთი რამ შერჩენიათ ქართული. მაგალ. ქართული სახლების აგებულება, დარბაზი ქართული აქვთ დაჩენილი. ამას გარდა მათ შეუნარჩუნებიათ ქართული ურემი, რაიცა სპარსეთში სრულებით არ იციან.

ჩვეულებაც ბევრი არაფერი აქვთრა ქართული დაცული. ერთს ორს შემთხვევაში შეუნახავთ ძველი ქრისტიანობის დროის ჩვეულება. მაგალ., პურისცომზე, მოზელის შემდეგ ჯვარედინად დაჰკრავენ ხელს და ამნაირად სახავენ ჯვარს, აგრეთვე გაზაფხულზე იციან მინდვრად გასვლა და იქ ყვავილების კრეფა და იქვე დროს გატარება ლხინში, ისიც მოგვაგონებს სულთმოფენობას.

ტანისამოსიც მთლად სპარსული აქვთ, მხოლოდ ახალუხი უფრო მოკლე იციან ქართულის მსგავსი.

ქართული შერჩენიათ გვარები, თუმცა სპარსელებს არა აქვთ გვარები, ქართველებს

მაინც თავიანთ შორის დაუცავთ თავიანთ ძველებური გვარები ქართულის ფორმით, როგორც ახლაც. სახელები კი სპარსულები შეუთვისნიათ.

აღნიაშვილს აქვს ჩაწერილი 30-მდე გვარი, რომელთაგან ბევრი ახლაც მოიპოვება საქართველოში, მაგ. აღიაშვილი, ბათუაშვილი, ბასილაშვილი, გუგუნაშვილი, გულოშვილი, თამაზაშვილი, თევდორაშვილი, მათიაშვილი, მამუკაშვილი, ონიკაშვილი, სამადაშვილი, ს...კაშვილი, ფოცხვერაშვილი, შაშიაშვილი და სხ. მთელი გვარეულობის აღსანიშნავად იქაც ისეთი ფორმით იხმარებიან გვარები, როგორც ამიერ-საქართველოში. მაგალითად აღიანნი, ბასილაანნი, ონიკაანი, ფოცხვერაანნი და სხვ.

სარწმუნოებით ყველანი შიები[136] არიან და ძალიან მკაცრადაც ასრულებენ მუსულმანურს წესებს. ამის მიუხედავად ისინი უკანასკნელ დრომდე ძალიან მკაცრად ერიდებოდნენ სპარსელებთან და სხვა მუსულმანებთან შერევას ქორწინებით. არც ქალებს აძლევდნენ მათ და არც მათ ქალებს თხოულობდნენ. სწორედ ამ გარემოებამ შეუწყო ხელი იმას, რომ ქართული ენა წმინდად იყო დაცული ოჯახში და ყველანი ერთმანეთს შორის ქართულად ლაპარაკობდნენ. ფერეიდანელები, თუმცა მხურვალე მუსულმანები, იშვიათად ირთავენ ერთის მეტს ცოლს.

ფერეიდანელი ქართველი ქალი არა ჰგავს სპარსელს ქალს მით, რომ იგი არ იხურავს ჩადრს და არც პირბადეს იკეთებს. არ ერიდება მამაკაცებთან თავისუფლად შეხვედრას, ლაპარაკს და მინდორში მუშაობას. მამაკაცი პატივისცემით ეკიდება ქალს.

სამწუხაროდ, ამ ხალხში, რომელსაც ასე მტკიცედ ახსოვს თავის ქართველობა და დაუცავს ქართული ენა სრულებით არ ჰქონდა უკანასკნელ დრომდე წარმოდგენა ქართულს წიგნზე და წერა-კითხვაზე. იმათ მხოლოდ ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ თავიანთ ძველს სამშობლოზე და აღარ ახსოვთ თუ როგორ და რისთვის ყოფილან გადმოსახლებულნი სპარსეთში. იციან მხოლოდ რომ ისინი გადასახლებულნი არიან საქართველოთგან შაჰაბაზის მიერ და რომ მხოლოდ სპარსეთში მიიღეს მუსულმანობა.

...

გაზეთ „დროების“ 1872 წ. N13-ში დაიბეჭდა წერილი ნ. ყიფიანისა სათაურით *ქართველების კოლონია სპარსეთში*. ამ წერილში ნ. ყიფიანი სწერს „ამ დღეებში მე შემხვდა ერთი დიდად ღირსშესანიშნავი საინტერესო კაცი, სპარსეთიდამ ახალგადმოსული ქართველი, სახელად ათამა ონიკაშვილი. ეს კაცი არის იმ ქართველთა ჩამომავლობისა, რომელნიც შა-აბაზის დროს ბლომათ გადაუსახლებიათ სპარსეთში და გაუმაჰმადიანებიათ. ათამა წმინდა ქართულის ენით ლაპარაკობს, თუმცა კი ამისი მამაპაპაცა და თითონაც სპარსეთში დაბადებულან და მთელი თავისი სიცოცხლე სპარსეთში გაუტარებიათ.

„ისპაანიდამ ჩრდილოეთ-დასავლეთისკენ ხუთი დღის სავალზედ, ყულევას წყლის პირას, მდებარეობს ექვსი სოფელი, რომელთა მცხოვრებნი ქართველთ ჩამო-

136. შიიტები

მავლობისანი არიან და თითონაც ქართველად იწოდებიან. სპარსელები კი ეძახიან ამათ გურჯებს, რაიცა ნიშნავს სპარსულად ქართველებს. ამ სოფლების სახელები არის: მარტყოფი, ახჩა, ბოინი, ტაშკეშანა, აფუსი და თოლელი. სულ სოფლებში სცხოვრობს სამიათასი მეტი კომლი, – თხუთმეტი ათასი სული: –

„მარტყოფში ათასი კომლი, აფუსში შვიდასი, ახჩაში ორმოცი, თოლელში და ბოინში ცხრაასი და ტაშკეშანაში ხუთასი, სულ სამიათასასორმოცი (3140) კომლი.

„რასაკვირველია, ეს რიცხვები დაახლოვებით მომყავს, ათამა ონიკაშვილის სიტყვით, და დანარჩენი ამაბაიც, რაც ამ სპარსეთში მცხოვრებ ქართველებს შეეხება, ათამას ნაამბობია.

„ამ ქართველებმა იციან, რომ ორასის ან სამასის წლის წინათ არიან გადასახლებულნი საქართველოდამ სპარსეთში. აქამომდე ქართული არამც თუ არ დავიწყებიათ, ერთმანერთთან ლაპარაკში ქართულ ენას ხმარობენ. კაცებმა ქართულს გარდა იციან თათრულიცა; ქალებმა კი თათრული ძალიან სუსტად იციან. კაცებსა ახუნდები ანუ მოლები თათრულ წერა-კითხვას ასწავლიან: ათამა ონიკაშვილმაც იცის თათრული წერა-კითხვა. მოლებიც ანუ ახუნდებიც ქართველთაგანი არიან. ცოლსა ქართველები ანუ გურჯები ერთის მეტს ძალიან ძვირად ირთავენ და ვისაც ორი ან სამი ცოლი ჰყავს, ის ყველას ეჯავრება და „ლიუტს“ ეძახიან. ათამ ონიკაშვილის სოფელში მარტყოფში, ათას კომლში სამი ან ოთხი კაცი იქნება იყოს ორცოლიანი ან სამცოლიანი, მეტი არა. დედაკაცები ამ ქართულ სოფლებში სხვა გარემოებაში არიან, ვიდრე სპარსელებს შორის. ასე, კალოობაში, ლეწვაში და სხვა ამგვარ მუშაობაში დედაკაცები ეხმარებიან კაცებს და მუშაობენ. სპარსელებში კი საარემო საქმეებს გარდა არც ერთ სხვა საქმეს არ მოკიდებს დედაკაცი ხელსა. ამას გარდა სპარსელებში დედაკაცი პირბადეჩამოფარებული დადის. გურჯებში კი დედაკაცი, როგორც ჩვენში, პირახდილია.

„კიდევ ესეც არის შესანიშნავი, რომ გურჯები არასოდეს არ მიათხოვებენ თავის ქალებს სპარსელებსა და სპარსელები გურჯებსა, ე.ი. ქართველებსა.

„ამასთან ონიკაშვილის სიტყვით, ქართველები, სპარსეთში დასახლებულნი და ექვს სოფლად მცხოვრებნი, არ არიან კმაყოფილნი თავის ბედისა, რადგანაც იქაური ადგილობრივი მთავრობა ხალხს ძალიან აწუხებს, მეტადრე გურჯებს: ბეგარას ბევრს ართმევს, ჯარში ბევრი მიჰყავს ამათგან და სხვა. თითონ ონიკაშვილი იმისთვის გადმოვიდა იქიდამ, რომ საქართველოში დასახლდეს სადმე და მოინათლოს.

1889 წ. „ივერიის“ N62-ში მოთავსებულია მეთაური წერილი (ტფილისი, 21 მარტი), სადაც ნაქვამია, რომ ამას წინად სომხურს გაზეთს „ნორდარში“ დაბეჭდილი იყო რამდენიმე საინტერესო ცნობა სპარსეთში დასახლებული ქართველების შესახებო. სხვათა შორის გაზეთს მოჰყავს შემდეგი ცნობა:

„თეირანის მახლობლად, სულ ორასი ვერსის სიშორეზე, რვა სოფელია ქართველებისა. ამ სოფლებს ქართული სახელები ჰქვიან. აი ეს სოფლებიც: ა) ზევითი მარტყოფი – 700 კომლი კაცი, ბ) ქვევითი მარტყოფი – 200 კომ., გ) ტოლევი – 300

კომ., დ) ბოინი – 300 კომ., ე) აფუსი – 400 კომ., ვ) სიბაკი – 100 კომ., ზ) ცაღლაღი – 100 კომ. და ჱ) შახვურდი – 100 კომ."

1907 წ. „ისრის" N19-ში დაბეჭდილია წერილი ილია კურტანიძისა სახელად *კიდევ სპარსელ ქართველების შესახებ*, რომელშიც ავტორი სწერს:

„მე, როგორც ორი წელიწადი სპარსეთში ნამყოფმა, ცოტა რამ ვიცი იქაურ ქართველების შესახებ და მინდა მკითხველსაც გავუზიარო.

„ყველას კარგად მოეხსენება, რომ მხნე, გმირმა ბარბაროსმა შაჰაბასმა ყოველივე ღონე იხმარა და ქართლ-კახეთიდან მრავალი ქართველი გადაასახლა სპარსეთში. რა თქმა უნდა ამ ტყვეებს მან საქართველოსთანა ადგილი არ ალირსა და ყველანი უწყლო უნაყოფო ადგილებში მიფანტ-მოფანტა. შაჰაბასმა ის სიკეთე უყო მხოლოდ ტყვეებს, რომ უწყლო სოფლებში დამართა ქიარიზები და წყალი გაიყვანა. ამის წყალობით თავისებურად აყვავდა ისეთი ადგილები, სადაც წინად კაცს ფეხიც კი არ დაუდგამს. სულ უნაყოფო ადგილებში მცხოვრებთ დაუნიშნა წლიურიჯამაგირი, რომელიც შეადგენდა კომლზე ორ-სამ ხალვარ პურსა და რამდენიმე სპარსულ თუმანს (ხალვარი 19 ფუთს უდრის, თუმანი კი 1 მან. და 65 კ. ან 1 მან. 70 კ. ბანკის კურსით. ნომინალური ფასი მისი 2 მანეთს შეადგენს). სოფელ აბასაბათში, შაჰრუთის მახლობლად, მცხოვრებთ ეხლაც ეძლევათ წელიწადში 750 სპარსული თუმანი და 75 ხალვარი პური. ამგვარ ადგილებში დასახლა ქართველები იმიტომ, რომ თეჰირანის და მეშედის მოკლე, მაგრამ უწყლობით გაუვალი უდაბნო ადგილები აეყვავებინათ. ეს უდაბნო ომში მიმავალ ჯარისთვის მოკლედ სჭრიდა გზას. იგი მოხერხებული იყო აგრეთვე სპარსეთიდან მეშედში სალოცავად მიმავალისათვის. გზაში დამართეს ღამისათევი ქარვასლები.

„ბედმა ქართველებს ეს არ აკმარა და საკუთრად ხორასნის ქართველები მეტ უბედურებაში ჩავარდნენ. ეს ხდებოდა მაშინ, როდესაც სპარსეთი უძლურდებოდა... ამ გარემოებით სარგებლობდნენ თურქმენები, ტეკინელები და ავღანელები. ესენი სპარსეთს თავს ესხმოდნენ და მიჰქონდათ აუარებელი პური და ფული და მიჰყავდათ შიდ აზიის ქვეყნებში: ტაშქანდში, სამარყანდში, მერვში და თითქმის ხივის და ბუხარის სახანოებშიც კი. – აი სწორედ ამ მიზეზით შემცირდა რიცხვი ხორასნელ ქართველებისა. დანარჩენი ნაწილი ფარსებს შეერია და დაივიწყა თავისი ჩამომავლობა.

„ამით რასაკვირველია, არ მოისპო სპარსელ ქართველების რიცხვი. იგი არათუ 40 ათასს, ასიათასსაც აღემატება, ის ქართველები, რომლებიც დარჩნენ თეჰირანსა, ისფაჰანსა, სემენისა და შაჰრუთის ოლქებში, სოფ. აბასაბადში, ჰუსენ აბადში, ყადარ-აბადში, ართონში, არადანში, სილნაღში და მრავალ სხვაგან, ამ ჟამად მშვენიერად ლაპარაკობენ ქართულს. ქალის გათხოვება და თხოვნა ერთმანერთში აქვთ მხოლოდ. ქალებს ჩადრები არა ჰხურავთ, ქართულად აცვიათ. ქრისტიანები ძალიან უყვართ და მათთან არა ფიცავენ, რომ ისინი ოდესმე ქართველები ყოფილან.... გადასახლების დროს ყველამ თავთავისი ადგილი დაიჭირა: მღვდლები მოლებად აქციეს, თავად-აზნაურობას სამსახური მიანიჭეს, მუშა ხალხმა კი თავის შრომას მიჰყო ხელი."

„უმრავლესობა ქართველებისა დასახლებულია თეჰირანისა და შაჰრუთის შუა ადგილებში, ისფაჰანისა და სემენის ოლქებში, რომლის მახლობლადაც არის სოფელი არადანი. მცირე ნაწილი ქართველებისა გაიყვანეს მეშედისკენ, მეშედს იქით ავღანისტანისკენ თურბეთ-შეიხიჯამამდის, ზოგიც დაქვეითეს სეისტანისკენ (ინდოეთის მხარეს), სადაც არის ამ ჟამად სოფელი კახი, და გაჰფანტეს აქა-იქ ფარსების სოფლებში.

...

ასე იყო სულ უკანასკნელს დრომდე. მხოლოდ მას შემდეგ რამდენიმე ფერეიდანელი ქართველი ჩამოვიდა საქართველოში (ყოლამ უსეინ ონიკაშვილი, ყოლამ უსეინ ხუციშვილი, ჩოლალაშვილი[137] და რამდენიმე პირმა ისწავლა ქართული წერა-კითხვა. [...] უეჭველია საქართველოზე ასე თუ ისე სწორი ცნობები გავრცელდებოდა საზოგადოდ ფერეიდანელთა შორის. ფრიად სასურველია, რომ უკანასკნელს დროს დაწყებული მათი ჩვენთან და ჩვენი მათთან მისვლა-მოსვლა და ერთმანერთის გაცნობა განგრძობილ იქნას და ჩვენი ფერეიდანელი ძმები ეზიარნენ ჩვენი წინაპრების საშუალებით იმ გონებრივს წარმატებას, რომელსაც ჩვენ მივაღწიეთ, ხოლო მათ საშუალებით ჩვენ განვაახლოთ ის კულტურული ურთიერთობა, რომელიც არსებობდა ჩვენს და სპარსეთს შორის. არა მარტო პოლიტიკურად, არამედ კულტურულადაც ჩვენ წინად სპარსეთთან ვიყავით დაკავშირებული, სპარსულის ლიტერატურის და ხელოვნების გაცნობა დიდი იყო ჩვენში, ამიტომ სპარსეთის ძველი ლიტერატურის, ხელოვნების და პოლიტიკურის ცხოვრების შესწავლა ჩვენთვის აუცილებელია. აი ამ საქმეში ჩვენ უნდა დაგვეხმარნენ ჩვენი ძმები ფერეიდანელები, რომელთაც ქართულთან ერთად სპარსულიც მშვენიერად იციან და საქართველოს სიყვარულთან ერთად აქვსთ თავიანთ ახლანდელის სამშობლოს ნამდვილი სიყვარული. ისინი ამნაირად უნდა გახდნენ შემაერთებელ ხიდად ორის იმ თავითვე მეზობლად მცხოვრების სპარსელის და ქართველის ხალხისა, მათ მეოხებით და შუამავლობით დამყარდეს მათ შორის ახალი ურთიერთობა, დამყარებულ-დაფუძნებული არა ერთმანეთის ჩაგვრასა და ხოცვაჟლეტაზე (ასეა!), როგორც ეს იყო წინად, არამედ ერთმანერთის პატივისცემაზე და მეგობრობაზე. ეს კი შესაძლებელია მოხდეს მაშინ, როდესაც ფერეიდანელები გაიმართავენ სასწავლებლებს, სადაც სპარსულთან ერთად ქართულსაც ისწავლიან და როდესაც სპარსულს წიგნთან ერთად ქართულის წიგნის კითხვა მათ მოთხოვნილებად გადაექცევათ.

დავით კარიჭაშვილი

137. სახელის ადგილი გამოტოვებულია ამ გვართან.

***

ახალი ამბები – იდენტური ინფორმაცია მეორდება ჟურნალ „მწყემსის“ 1907 წლის მე-12 ნომერში, გვ.13

ახალი ამბები

(დილა, 1907, N8 27 ივნისი, გვ. 1)

როგორც „ისარი“ გადმოგვცემს, სპარსელი ქართველები კიდევ ორს თვეს დარჩებიან ჩვენში და შემდეგ, ასე სექტემბრის პირველ რიცხვებში, სპარსეთს დაბრუნდებიან. მათ სურთ მოიარონ საქართველოს უმთავრესი ნაწილები, ამასთან გადაწყვეტილი აქვთ, დაბა-ქალაქებში სალიტერატურო დილა თუ საღამოები გამართონ, რომ გააცნონ ყველას სპარსელ ქართველების ყოფა-ცხოვრება. ამ დღეებში გაელენ ქართლისაკენ და შემდეგ იმერეთში გადავლენ. 29 ივნისს სალიტერატურო დილა გაიმართება ქ. გორში; კვირას, 1 ივლისს, დაბა ჭიათურაში; 8 ივლისს ქუთაისში, შემდეგ ხონსა, ბათუმსა, ფოთსა, ოზურგეთსა, სენაკსა და სხვაგან. ქართლ-იმერეთის მოვლის მოვლის შემდეგ წავლენ კახეთისაკენ.

***

1905 სპარსეთის, ფრეოდანის ხეობიდამ საქართველოში ჩამოვიდნენ – თავის წიგნში „მრეწველობა, ვაჭრობა-ხელოსნობა საქართველოში. დავით ზაქარიას ძე სარაჯიშვილი“, ზაქარია ჭიჭინაძე საუბრობს დავით სარაჯიშვილის დამსახურებებსა და ღირსებაზე, მის ქველმოქმედებაზე და მაგალითად მოჰყავს სპარსეთიდან ჩამოსული ფერეიდნელი ქართველების ონიკაშვილისა და ხუციშვილის დავით სარაჯიშვილთან სტუმრობის ამბავი. სწორედ აქ გაიცნო მან სპარსელი ქართველები, როგორც თვითონ უწოდებს მათ. აქაც რატომღაც შეცდომითაა დასახელებული საქართველოში მათი ჩამოსვლის თარიღი. ნაცვლად 1907 წლისა, მითითებულია 1905 წელი. ეს სტუმრობა უფრო ფართოდ გააშუქა არტურ ლაისტმა გერმანულენოვან გაზეთ „კაუკაზიშე პოსტში“

ზაქარია ჭიჭინაძე

ამონარიდი ზაქარია ჭიჭინაძის წიგნიდან „მრეწველობა, ვაჭრობა-ხელოსნობა საქართველოში. დავით ზაქარიას ძე სარაჯიშვილი“

(1911წელი, გვ. 132)

1905 სპარსეთის, ფრეოდანის ხეობიდამ საქართველოში ჩამოვიდნენ ორი სპარსელ ქართველნი. ამათი მოსვლა ყველა ქართველთ ესიამოვნად, ამათ შესახებ გა-

ზეთებში წერილები დაიბეჭდა, მათი ამბის წიგნი: – „ქართველები სპარსეთში“ მესამედ დგავბეჭდე (ასეა!). ეს სპარსელ ქართველნი დავითმაც ისტუმრა, დიდი პატივი და ქომაგობა გაუწია, ნამეტურ დავით ზაქარიას ძის სარაჯიშვილის მეუღლე ეკატერინე ივანეს ასულმა. ამათ ნახვის შემდეგ მე ვნახე ეს ქართველ სპარსელნი, მქონდა მათთან ლაპარაკი და მათს მადლობას და პატივს საზღვარი არ აქვნდა, იგინი განცვიფრებულნი იყვნენ როგორც დავით ზაქარიას ძეზედ, ისევე მათის მეუღლის ეკატერინე ივანეს ასულის შესახებ.

ზ. ჭიჭინაძე

***

ერთი იშვიათი ნაბიმი – არტურ ლაისტმა გერმანულენოვან ჟურნალ „კაუკაზიშე პოსტში“ გამოაქვეყნა სტატია, რომელშიც აღწერა ცნობილი მეწარმისა და მეცენატის, დავით სარაჯიშვილის მიერ ორი ფერეიდნელი ქართველის პატივსაცემად გამართული დიდებული ნადიმი.

არტურ ლაისტი
ერთი იშვიათი ნადიმი

(Kaukasische Post. N52, 10. Juni, 1907, გვ. 8-9)
(გერმანულიდან თარგმნა ზაქარია ფურცხვანიძემ)

გასულ კვირას ერთობ უცნაურ წვეულებაზე მომიწია ყოფნა. იგი შედგა ბერლინელი პროფესორის კარლ ზაარის გეგმის მიხედვით აშენებულ გემოვნებიან სახლში, რომელიც ცნობილ ფაბრიკანტს დავით სარაჯიევს ეკუთვნის. ბატონი სარაჯიევი, რომელიც ჰალეს უნივერსიტეტის ფილოლოგიის დოქტორის ხარისხს ატარებს, არის არამარტო წარმატებული მეწარმე, არამედ ფართო განათლების მქონე პიროვნება, რომელიც ქართველი ერის ინტელექტუალური ცხოვრების შუაგულში რჩება და თავისი შემოსავლებიდან, გვარიანი თანხებით, წლიდან წლამდე აფინანსებს თანამემამულეების განათლებას, სკოლებს, ლიტერატურულ საქმიანობას და ასე შემდეგ. ამ სახლში, რომელიც ძველ გერმანულ სათავადო ეზო-გარემოს ედრება, ქრის ფრიად მეწარმეობრივი სული, და როგორც კი კარიბჭეს გადააბიჯებ, შეგეგებება მსუბუქად გამომაცოცხლებელი სიხალისე, რომლსაც მდიდარი ინტელექტუალური ცხოვრება ერწყმის. მწერლები, ხელოვანები და მეცნიერი მამები ქმნიან სტუმართმოყვარე მასპინძლის საზოგადოებას სუფრასთან. მდიდრულ სასტუმრო მაგიდას ხშირად უჯდა ორი უმნიშვნელოვანესი ქართველი პოეტი, ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი, ცნობილი მხატვარი გიგო გაბაევი, რომლის ტილოები მიუნხენის გამოფენებზეც მოწონებით სარგებლობს... ასევე სხვებიც, რო-

მელთაც ლიტერატურაში და ხელოვნებაში სახელი მოიხვეჭეს. ზოგიერთი ევროპელი, გერმანელი, რუსი, ფრანგი და იტალიელი საუნივერსიტეტო პროფესორები ასევე ყოფილან სახლის გემოვნებიან სივრცეში სასიამოვნო საათების გასატარებლად და მუდმივად გაკვირვებულან შორეულ კავკასიაში ამგვარი მაღალინტელექტუალური ურთიერთობის ხილვით. ამჯერად საპატიო სტუმრები არ ყოფილან განთქმული ადამიანები, არამედ ორი უბრალო გლეხი სპარსეთიდან. ამან შესაძლოა გააოცოს ვინმე თავმომწონე ყეყეჩი, რომელმაც ათასობით რუბლი იშოვა. მაგრამ სწორედ რომ ასე იყო: ის ორი საპატიო სტუმარი იყო ორი უბრალო გლეხი სპარსეთიდან და ამასთან, ქართველი. მეჩვიდმეტე საუკუნის დასაწყისში სპარსეთის შაჰ-აბასმა საქართველოსთან ომები წამოიწყო და კახეთიდან და ქართლიდან ასობით ოჯახი სპარსეთში იძულებით გაასახლა, სადაც ფერეიდნის მხარეში, ისფაჰანსა და შუშტარს[138] შორის ჩაასახლა. ეს მოხდა თითქმის სამასი წლის წინ და, მიუხედავად ამისა, ქართველებმა, რომლებიც თოთხმეტ სოფელში ცხოვრობენ, დღემდე არამარტო არ დაივიწყეს და სუფთად შეინახეს საკუთარი დედაენა, არამედ დიდი სიყვარულით და მონატრებით ფიქრობენ საკუთარი მამების ძველ სამშობლოზე. თვით ადგილებსაც კი ის სახელები დაარქვეს, საიდანაც ისინი გაასახლეს: თელავი, მარტყოფი, ნორიო და ასე შემდეგ. მათი არსებობა შორეულ მხარეში იყო ძალიან მძიმე და მხოლოდ საკუთარ ხალხთან ბმულობის და გამძლეობის შედეგად ისინი არ აითქვიფნენ სპარსულ გარემოში, პირიქით, მათ შეინარჩუნეს ენა და ბევრი სახალხო ჩვეულება. ასე გადიოდა ასწლეულები და სამშობლოდან მოწყვეტილები არ კარგავდნენ საკუთარი სამშობლოს სიყვარულს. მსოფლიო ხალხების ისტორიაში ამგვარი ეროვნული მდგრადობა იშვიათი მოვლენაა და ქართველები უნდა ამაყობდნენ თავიანთი ერთგული თანატომელებით. საკუთარ ქვეყანასთან კავშირების გაბმის მოთხოვნილება მუდმივად არსებობდა, თუმცა გრძელი და რთული მგზავრობა, ცუდი გზები და სატრანსპორტო საშუალებები სპარსეთში აბრკოლებდა ამ მოთხოვნილების ასრულებას. მაგრამ, აი, ორი თვის წინ ორი ახალგაზრდა კაცი, ონიკაშვილი და ხუციშვილი, გამოეშურნენ საქართველოსკენ. მათი მიზანია თბილისში ქართულ ენაზე წერისა და კითხვის შესწავლა, თანაც ისე, რომ მოგვიანებით თავიანთ სპარსულ-ქართულ სოფლებში სკოლების დაფუძნება შეძლონ, იმისათვის რომ ეროვნული განათლება მათ მიტოვებულ მხარეში მიიტანონ და თავიან პატარა სამყაროში ჩვენი დროისათვის შესაფერისი განათლება ეროვნულ საფუძველზე აყვავდეს. ამგვარი ამაღლებული გეგმებით დაიძრა ორი ქართველი გლეხი სპარსეთის შუაგულიდან გრძელ და სირთულეებით სავსე მოგზაურობაში საქართველოსკენ! განა არ არიან ეს კაცები ყოველნაირი პატივის მიგების ღირსნი? თბილისში მათ თანამემამულეებმა მეგობრული დახვედრა მოუწყვეს. რამდენიმე ინტელიგენტმა ქართველმა იზრუნა მათი ყოფა-ცხოვრებისა და საჭირო ფინანსური საშუალებებისათვის. როგორც კი მათი სამასწავლებლო სწავლა-განათლება დას-

138. ქალაქია ხუზისტანში.

რულდება და ქართულ ლიტერატურაში მათი განსწავლულობა საკმარისი იქნება, ისინი უკან, სპარსეთში დაბრუნდებიან და თან წაიღებენ დიდ განძს წიგნებიდან და გაზეთებიდან, რათა შეასრულონ თავიანთი საგანმანათლებლო მისია იქ. მომავალში ისინი მომარაგდებიან თბილისიდან ფულით, წიგნებით, გაზეთებით, ისე რომ, მათი სიყვარულისა და ერთგულების ფონზე სამშობლოს მიმართ, საქმის წარმატებაში ეჭვი არ უნდა შეგვეპაროს. ეს ორი კულტურის პიონერი რამოდენიმე დღის წინ წვეულების საპატიო სტუმრები გახლდნენ სხვა მწერლებთან, ხელოვანებთან და რედაქტორებთან ერთად. როგორც კი მათ ფეხი შემოდგეს დარბაზში, ჩვენ ყველანი ფეხზე წამოვიშალეთ იმისათვის, რომ ხელის მტკიცე ჩამორთმევითა და გულითადი სიტყვებით ჩვენი პატივისცემა გამოგვეხატა. არცერთი ამ ორიდან არ გახლავთ აზიურად შემოსილი. ისინი იმავე სტილის სამოსით არიან მოკაზმული, როგორც ჩვენი გერმანელი კოლონისტები. პირველ რიგში მათ დაათვალიერებინეს სახლის სხვადასხვა გემოვნებით მორთული ოთახი და, თუმცა მათი ინტერესი ყველგან დიდი იყო, ყველაზე დიდი ინტერესი მათში მაინც გამოიწვია სახლის პატრონის მდიდარმა ბიბლიოთეკამ. თითქმის ნახევარი საათის განმავლობაში აცნობდნენ მათ სხვადასხვა კარადის შიგთავსს. ისინი გაოცებული უსმენდნენ მონათხრობს მეცნიერებების დიდებული წინსვლის შესახებ. აქვე მივანიშნებ, რომ ეს ბიბლიოთეკა ასევე მდიდარია გერმანული სამეცნიერო ნაშრომებით და უმნიშვნელოვანესი გერმანელი პოეტების ქმნილებებით. მოგვიანებით მთელმა საზოგადოებამ თავი მდიდრულ სასადილო დარბაზში მოიყარა, რომლის ჭერი ძველ გერმანულ სტილშია შესრულებული და ყველაზე მზიან ამინდშიც ხავერდოვან შუქს სცემს მიდამოს. სუფრა მორთული იყო ცოცხალი ყვავილებით და ორი საპატიო სტუმარი ემოციურად განაწყო ამის დანახვამ. წვეულებამ სასიამოვნოდ ჩაიარა, წახემსების შემდეგ შესრულდა ქართული სიმღერები და მოგვითხრეს გრიგორ ორბელიანის ამბები. ბოლოს წამოდგა ერთი სტუმარი სპარსეთიდან, ონიკაშვილი, და ლამაზი სიტყვა წარმოთქვა, რომელიც მეოთხედი საათი გრძელდებოდა. უბრალო, მაგრამ პოეტური სიტყვებით მან დახატა თავიანთი თანასოფლელების ცხოვრება სპარსეთში, მათი მონატრება და იმედი, განათლებისა და კულტურის ხელშეწყობის გზით, კავშირი გააბან დედა სამშობლოსთან. ორივე სტუმრის ქცევა ყველა თვალსაზრისით პატივსაცემი იყო და მათი ტაქტიანი თავაზიანობა და თავმდაბლობა ყველაზე სასიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენდა. ჩვენ დავშორდით ერთმანეთს იმ განცდით, რომ ამ საუცხოო ნადიმზე შეეხვდით იშვიათ მეგობარს.

არტურ ლაისტი [თარგმანი ზაქარია ფურცხვანიძისა]

***

ახალი ამბავი

(ისარი, 1907, N158, 21 ივლისი, გვ. 2)

ხვალ, 22 ივლისს, დაასრულებენ სპარსელი ქართველები დასავლეთ საქართველოში მოგზაურობას. 22 ივლისს დათვალიერებენ ჭიათურას და გამართავენ სალიტერატურო დილას იმავე პროგრამით, როგორც სხვაგან იყო.

***

ამ წერილსაც აშკარად ატყვია რედაქტორის კვალი, თუმცა ჩარევის მიუხედავად, მაინც გვხვდება ფერეიდნული დიალექტისთვის დამახასიათებელი ფორმები

ყოლამ ჰუსეინ ონიკაშვილი, ყოლამ რეზა ხუციშვილი წერილი რედაქციის მიმართ

(ისარი, 1907, 15 აგვისტო N178, გვ. 4)

შვიდი თვე შესრულდა, რაც ჩვენ ჩამოველით ჩვენს საყვარელ სამშობლოში. ემოდენი ხანს და უფრო უკანასკნელ ხანებში, რაც მოვიარეთ საქართველოს ზოგიერთი კუთხე, გავიცანით ჩონი თანამოძმეები, უამბეთ ყე ამათაც ზოგიერთი ჩონი ამბები. იმოდენი სიამოვნება ენახეთ, რომ ჩონი ენა ვერ გამოთქომს და კალამი ვერ აღწერს იმ ტკბილ წუთებს ვერ გუპოვია ისეთი სიტყვები, რომ ღირსეულად მადლობა ვუძღვნათ ჩონ პატივცემულ ქართველებს ჩონი მეგობრულად და ძმურად მიღებისათვის. ეხლა მივდივართ უკვე ფარსეთში რომ ვახაროთყე იქაურ ქართველებს ჩონი სამშობლოს ამბები და ისინიც გავახაროთ ამ ამბებით.

გულითადს მადლობას უძღვნით ყველას პატივისცემისათვის და ძმურ მიღებისათვის. იმედი გოქს, ამას თქვენი მოძმენი ფარსეთის ქართველები დიდად დააფასებენ და ღეის შემდეგ ეს კავშირი ჩონ ორი ქართველების შუვა დარჩების, გაძლიერდების და ერთმანეთის ჭირსა და ლხინს შუვაზე გაიყოფენ. ეხლა ეეთხოვებით ქართველებს და კიდევ სავსე გულით ღრმად მადლობას წირავთ ყველას, ვისაც ნახვა გოღირსა და ვინც ვეღარ ვნახეთ, ვემშვიდობებით ყველას ერთობით, ნახვამდის ჩონო სათაყვანებელო სამშობლოვ, ნახვამდის პატივცემულო ქართველებო, გისურვებთ ბედნიერად ცხოვრებას და ჩონი სამშობლო ქოყნის აყვავებას ერთმანეთის დახმარებით.

თქვენი ღრმად პატივისმცემელნი:
ყოლამ ჰუსეინ ონიკაშვილი, ყოლამ რეზა ხუციშვილი

***

„ისარი" ამცნობს საზოგადოებას ფერეიდნელი ქართველების წასვლას საქართველოდან. შემდგომ წერილებში მათ მშვიდობიან ჩასვლას თეირანში, თუმცა სამწუხარო ამბის დაბეჭდვაც მოუწია, გაზეთმა აუწყა ხალხს თეირანში ხუციშვილის გარდაცვალების ამბავი.

ახალი ამბები
ქართველი სპარსელების წასვლა

(ისარი, 1907, N183, 22 აგვისტო, გვ. 2)

გუშინ, 21 აგვისტოს, სალამოს სამგზავრო მატარებლით ტფილისიდან სპარსეთში დაბრუნდნენ სპარსელი ქართველები ყ. ონიკაშვილი და ყ. ხუციშვილი, რომელთაც 7 თვემდე დაჰყვეს საქართველოში, გაიცნეს ჩვენი ცხოვრება, დაათვალიერეს ქალაქსოფლები და შეისწავლეს ქართული წერა-კითხვა. კვირას, 19 აგვისტოს, მათ სადილი გაუმართეს. სადგურზე ბევრმა გააცილა. რამდენიმე კაცი ბაქომდეც გაჰყვა. მგზავრებს აზრადა აქვთ, ბაქოშიაც გამართონ სალიტერატურო დილა.

***

ახალი ამბები
სპარსელი ქართველები

(ისარი, 1907, N218, 6 ოქტომბერი, გვ. 2)

სპარსელი ქართველები. თეირანიდან ორი წერილი მოგვივიდა ყ. ონიკაშვილისა და ყ. ხუციშვილისაგან. როგორც ამ წერილებიდან სჩანს, სპარსელი ქართველები მშვიდობიანად ჩასულან სპარსეთის სატახტო ქალაქს თეირანს. ბ. ონიკაშვილსა და ხუციშვილს გადაუწყვეტიათ თეირანის მეჯლისში მოხსენება შეიტანონ ფერეიდნელ ქართველთათვის მარტყოფში ევროპიულ სკოლის დაარსების შესახებ.

***

ახალი ამბავი
ყოლამრეზ ხუციშვილის გარდაცვალება

(ისარი, 1907, N220, 9 ოქტომბერი, გვ.1)

ყოლამრეზ ხუციშვილის გარდაცვალება. გუშინ-წინ ქართულ გიმნაზიის მასწავლებელს ბოცვაძეს თეირანიდან დეპეშა მოუვიდა, რომ ამას წინად საქართველოდან წასული ყოლამრეზ ხუციშვილი უეცრად გარდაიცვალაო. ერთ ჯგუფს საჩქაროდ ფული შეუგროვებია და ონიკაშვილისთვის გაუგზავნია განსვენებულის დასაკრძალავად.

***

ყოლამრეზა ხუციშვილი (ნეკროლოგი) – ლ. ბოცვაძე აქცეყნებს თეირანში გარდაცვალებული ყოლამრეზა ხუციშვილის ნეკროლოგს და საუბრობს მისი და ონიკაშვილის საქართველოში ჩამოსვლასა და მათ სურვილზე, დახმარებოდნენ ფერეიდნელ ქართველებს განათლების მიღებაში.

ლ. ბოცვაძე
ყოლამრეზა ხუციშვილი

(ნეკროლოგი)

(ისარი, 1907, N220, 9 ოქტომბერი, გვ.2)

გუშინ თეირანიდან ბ-ნ იასონ მენაბდისაგან სამწუხარო დეპეშა მოგვივიდა; იქ უეცრად გარდაიცვალა საქართველოდან ფერეიდანში მიმავალი სპარსეთის ქართველი ყოლამრეზა ხუციშვილი, რომელიც ონიკაშვილთან ერთად იანვარში ჩამოვიდა ჩვენს სამშობლოში, რომ ენახათ თავიანთი ძველი სამშობლო ქვეყანა და ქართველები. თეირანში ისინი უცდიდნენ ბარგს და შემდეგ უნდა წასულიყვნენ თავიანთ მარტყოფში, ისპაჰანის მახლობლად. თეირანიდან რამდენიმე წერილიც მოგვივიდა ბ-ნის ონიკაშვილისაგან, რომელიც იწერებოდა ხუციშვილის ავადმყოფობის ამბავსაც, მაგრამ არც ისე საშიში ავადმყოფობა უნდა ყოფილიყო.

ჩვენმა მკითხველებმა იციან, რომ ონიკაშვილმა და ხუციშვილმა ჩამოსვლისთანავე ძრიელ მალე შეისწავლეს ქართული წერა-კითხვა. ჩემს დღეში ისეთი მუყაითი, შრომისა და მწიგნობრობის მოყვარული ადამიანი, როგორც განსვენებუ-

ლი ხუციშვილი იყო, არ მინახავს არც მოზრდილებში და არც პატარებში; დღე და ღამეს სულ წიგნების კითხვაში ატარებდა და მართლაც ორნივე მალე ჩინებულად დახელოვნდნენ ქართულ წიგნების კითხვა-შეგნებაში. იმათ გადაიკითხეს თითქმის ყველა ჩვენი მწერლობის საუკეთესო ნაწარმოები, გაიცნეს კარგად ძველი სამშობლო ქვეყანა; გააცნეს აქაურს ქართველებსაც თავიანთი მოძმენი შავს დროს დატყვევებულნი, შაჰაბაზის მიერ გადასახლებულნი და დღეს შუაგულ სპარსეთში ქართველადვე დარჩენილები. როდესაც ორნივე მოემზადნენ ისე, რომ თვითონვე დარწმუნებულნი იყვნენ – ეხლა კი შეგვიძლიან სპარსეთის ქართველებში ქართული მწიგნობრობა, წერა-კითხვა გავავრცელოთ და ბევრი ახალი აზრები შევიტანოთ იმათ ცხოვრებაშიო, თვენახევრის წინად გაემგზავრნენ სპარსეთისაკენ, მაგრამ ერთს მათგანს ყოლამრეზა ხუციშვილს უმტყუნა ბედმა და არ დასცალდა ჩასულიყო ფერეიდანში, გადაეცა იქაურის ქართველებისათვის თავისი გულის-ნადები და გულითადი სალამიც ჩვენგან, მეორეს ონიკაშვილს კი იმავე შავმა ბედმა მოაშორა საუკეთესო ამხანაგი და თანამოაზრე და დასტოვა იგი მარტოდ-მარტო ბრძოლის ველზე.

ფრიად სამწუხაროა, როდესაც ახალგაზდა ყმაწვილი კაცი, სალის გონებითა და წრფელის, მაღალი აზრით გამსჭვალული, უდროოთ ესალმება წუთი სოფელს და ვერ აღწევს დანიშნულს მიზანს. სამშობლო ქვეყნის გატაცებულმა სიყვარულმა, იმ სამშობლოს, რომელიც დღესაც სალოცავად მიაჩნიათ სპარსეთის ქართველებს, გამოიწვია ონიკაშვილი და ხუციშვილი საქართველოსკენ; ისინი, ამ დიად გრძნობით გატაცებულნი, არ შეუშინდნენ არავითარს დაბრკოლებას, უგზოობას და ათასგვარ ჭირ-ვარამს, მშვიდობით ჩამოვიდნენ აქ, მაგრამ დაბრუნებისას ბედმა უმუხთლა საბრალო ხუციშვილს და თავისი აზრებიც თან ჩაიტანა თეირანის ციხეს სამარეში. სამწუხაროა ხუციშვილის უდროოდ გარდაცვალება, რადგან იგი, როგორც გონიერი, მშვიდი, უწყინარი, დინჯი და მოფიქრებული ყმაწვილი კაცი ყველაზე კარგს შთაბეჭდილებას ახდენდა და ონიკაშვილთან ერთად დიდს იმედს იძლეოდა სპარსეთისა და აქაურ ქართველების გაერთიანების საქმეში. ხუციშვილი და ონიკაშვილი იყვნენ პირველნი მოციქულნი – ძმობისა და ერთობის მქადაგებელნი ჩვენსა და სპარსეთის ქართველებს შორის და ამიტომაც დიდათ სამწუხაროა, რომ ამ ორ მოციქულს უდროოთ საუკუნოთ ჩამოშორდა ერთის აზრით გამსჭვალული ამხანაგი და მეგობარი. საუკუნოდ იყოს, ძვირფასო მეგობარო, ყოლამრეზ, შენი ხსენება. არ დამავიწყდება აკსტაფაში (ასეა!) გამოთხოვების დროს თვალცრემლიანი შენი სიტყვები: „მასწავლებელო, გეშორდებიო“! და ან რას წარმოვიდგენდი, რომ ეს იქნებოდა უკანასკნელი შენი სიტყვები და დაპირებისამებრ ერთმანეთს კიდევ ვერ შევხვდებოდით!

ლ. ბოცვაძე

***

კოლია ონიკაშვილი პერსია – რევოლუციონერი გიორგი (ვანო) ტატიშვილი იგონებს ფერეიდნელ ქართველებს ხუციშვილსა და ონიკაშვილს, როგორც რევოლუციონერებს, რომლებიც სპარსეთიდან სწორედ რევოლუციის მეთაურებმა გამოგზავნეს. მოვლენები ვითარდებოდა ორი პარალელური ხაზით: აღტაცებული და გულაჩუყებული საქართველო თავის დაკარგულ სისხლსა და ხორცს ეგებებოდა და იბრუნებდა, პოლიტიკოსები კი რევოლუციის ექსპორტს გეგმავდნენ და ის ორიც ამ ორიველ როლიდან ერთ-ერთს კი არ თამაშობდა – ორივეში ნატურალური იყო. ამასთან, ძალიან საინტერესოა, რომ ახსენებს არა ყოლამ ჰუსეინ ხუციშვილს, არამედ ფედო ხუციშვილს. თუ ლასხიშვილის მოგონებებს გავიხსენებთ, მასთან რედაქციაში მივიდა არა ორი ფერეიდნელი, არამედ სამი: ონიკაშვილი და ხუციშვილები. ფედო ხუციშვილის სახელი შემდეგ გვხვდება ქართველი რევოლუციონერების გვერდით. სტატიაში ნახსენები კოლია ონიკაშვილი და ყოლამჰუსეინ ონიკაშვილი კი ერთი და იგივე პიროვნებაა.

გიორგი ტატიშვილი
კოლია ონიკაშვილი პერსია

(საქართველოს ეროვნული არქივი, გიორგი ტატიშვილის პირადი ფონდი N267, N58 გვ. 1)

ეს ჩემი ისტორიაში დაუვიწყარი სახელი, წითელი რაზმელების დამსახურება იქნება არ დაიკარგოს სად პერსია, ოსმალეთის რევოლუცია და სადა საქართველოს წითელი რაზმელებიო.

აი დასაწყისი დამაჯერებელიც:

1907 წელს მეფის მთავრობის ნებართვით საქართველოში ჩამოვიდნენ დიდი ხნით ტყვეთ საქართველოდან დატაცებული ქართველები ახლა გამახმადიანებული – ფედო ხუციშვილი და კოლია ონიკაშვილი, მათ დაიარეს ბევრი სოფლები და ქალაქები, ბევრგან მიიწვიეს, შესახვედრი სალამოები გაუმართეს, ყველგან პატივის ცემით მიიღეს, სამშობლოდან ტანჯვა-წამებით გატაცებულნი. მათ დაიარეს და ნახეს თავიანთი სოფელი გორის გვერძე, სოფელი ხიდისთავი, ნახეს მოკეთე-ნათესავები და სახლისკაცები, ნახეს, მაგრამ მათი დავალება და მიზანი სულ სხვა იყო.

იქ, როცა შახის ჩამოგდების რევოლუცია იწყებოდა, რევოლუციის მეთაურებმა – სათარხანმა და მეორემ ბაგირხანმა[139] – გამოგზავნეს საქართველოს რევოლუციონერ კომიტეტთან, ხელშეკრულება დასდეს ამხ. იოსებ სტალინთან, სერგო ორჯონიკიძესთან, რომ აქედან იარაღით და წითელი რაზმელებით და ხელმძღვანელი რევოლუციო-

139. სწორი გამოთქმაა: ბაყერხან-ი

ნერები გაეგზავნათ და დახმარებოდნენ, ონიკაშვილის და ფედო ხუციშვილის ხელმძღვანელობით დიდის საიდუმლოებით იგზავნებოდა იარაღი და რევოლუციონერი ხელმძღვანელები და წითელ რაზმელები პერსიაში იგზავნებოდნენ განსაკუთრებით ის პირნი, რომლებსაც შავი რეაქციის გამარჯვების შედეგათ ციხე-ციმბირიდან სახრჩობელა ელოდათ. ეს ასეც მოხდა. ძალიან ბევრმა ტერორისტმა წითელ რაზმელებმა ძვირფასი სიცოცხლეც შეინარჩუნა და რევოლუციის უკვდავი ისტორიაშიც ჩაეწერა გმირის სახელიც დაიმსახურა.

ეს დიდი საიდუმლო მოქმედება მეფის ოხრანიკის ჯაშუშებსაც მხედველობიდან არ გამოპარვიათ, ამ დიდი საიდუმლო მოქმედების შტაბი იყო სოფელ წინამძღვრიან კარის სასოფლო – ილია ივანეს ძე წინამძღვრიშვილის დიდათ პატივცემულის სკოლა.

აი უტყუარი დამტკიცებული ისტორიული საბუთებიც.

1910 წელს 10 თებერვალს ღამე ამ სკოლას დაეცნენ მცხეთის ბოქაული უფროსი დუშეთის მაზრის შაშა ნათიშვილი რამდენიმე ასეული ყაზახებით და ჯარით სკოლას გარეშემო შემოარტყეს და მთელი ღამე ჩარეკეს და მაშინ იქ დააპატიმრეს კოლია ონიკაშვილი – როცა გაიგეს, რომ ის ონიკაშვილი იყო პერსიიდან, რომელიც აქედან წითელ რაზმსა და იარაღს პერსიაში აგზავნიდა – ბოქაულ ქუმსიაშვილს ეთქვა ჩვენ დიდი ხანია გეძებთ და ახლა მაინც შენ და შენს ამხანაგებს გაზღვევინებთო.

პერსიის რევოლუციის ხელმძღვანელი კოლია ონიკაშვილის დაპატიმრება ილია წინამძღვარის სკოლაში

1910 წელს თებერვალს ღამის 12 საათზე სოფ. წინამძღვრიანთ კარის სასოფლო სამეურნეო პოეტი ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძისა და ილია ივანეს ძე წინამძღვრიშვილის გახსნილ სკოლას მოულოდნელათ თავს დაესხნენ ერთი ასეული ყაზახებით და რამოდენიმე სტრაჟნიკ ჟანდარმ ჯაშუშებით. მთელ სკოლას გარედან ალყა ყაზახებით შემოარტყეს და გაჩხრეკა დაიწყეს. მე სკოლის ყარაულმა გიორგი გულბათაშვილმა შემატყობინა არიქა თაყს უშველეთ, თორემ დაგიჭერენო. მცხეთის ბოქაული ქუმსიაშვილი ყაზახებით მოსულაო და შაშა ნათიშვილიო. მე მაშინვე საჩქაროთ შინელი წამოვისხი და ტიტველა სკოლის ბაღში გადავხტი, დიდხანს მეძებეს. გადავრჩი, ველარ მიპოვეს, ჩემს ბინიდგან რაც წიგნები მქონდა ყველა წეელოთ, სკოლის გამგე ივანე მალალაშვილის სახლში ეძინა საქართველოდგან დიდი ხნის წინათ ტყვეთ მოტაცებულ გამახმადიანებულ ფედო ხუციშვილის ამხანაგ კოლია ონიკაშვილს. ის მაშინ დააპატიმრეს და დუშეთის ციხეში ჩასვეს. დაპატიმრების დროს კოლია ონიკაშვილისათვის ბოქაულ ქუმსიაშვილს ეთქვა დიდი ხანია რაც შენ გეძებდი მაინც კიდევ გიპოვიდი ჩემს ხელში ჩავარდით და შენ და შენს ამხანაგებს ეხლა მე ვიცი როგორც გაგისწორდებითო. ამ დროს ბოქაულ ქუმსიაშვილს თან ახლდა დუშეთის მაზრის სტრაჟნიკების უფროსი შაშა ნათიშვილი თავის სტრაჟნიკ ჯაშუშებით. მაშინ

დუშეთის მაზრა იყო 12 საზოგადო სამამასახლისო, სამი საბოქაულო ყავდათ მაზრის უფროსი და უთვალავი სტრაჟნიკები და ჯარი და ყაზახები. ჩვენ პარტიითგან იყო მთელი მაზრა 8 რაიონათ. მეცხრე იყო საგურამოს სამამასახლისო 24 სოფელი, საგურამოს რაიონი. მაშინ ამ რაიონის წითელი რაზმის უფროსი იყო ვასო იმერლიშვილი. მაშინ მე ვიყავი დუშეთის მაზრის ს.დ. პარტიის კომიტეტის თავჯდომარე, ჩვენ მაშინვე მაზრის კომიტეტის კრებაზე დავადგინეთ მცხეთის რაიონის ბოქაულ ქუმსიაშვილზედ და დუშეთის მაზრის სტრაჟნიკების უფროს შაშა ნათიშვილზე ტერორისტული აქტით სიკვდილი. ამის შესრულება დაევალა საგურამოს რაიონის წითელი რაზმის უფროს ილიკო იმერლიშვილს თავის წითელი რაზმით. იკისრა და შეასრულა კიდეც. დუშეთის ახლო ბაზალეთის ტყეში დაპატიმრებული ბოქაული ქუმსიაშვილი დუშეთითგან წაიყვანეს, ბაზალეთის ტყეში მოკლეს და შეშა დააყარეს და ცეცხლზე დაწვეს. მერე მისი ამხანაგი დიდი ბოროტების ჩამდენი შაშა ნათიშვილს სამაზრო კომიტეტის დადგენილებით სიკვდილით დასჯა ეპატია, რადგან ნათიშვილმა დიდი ძალი საიდუმლო მთავრობის ცნობები გადმოგვცა. როგორც მაშინ ისე შემდეგ სამსახურის დროსაც ამის წამკითხველს ვისაც სურს დამაჯერებლათ, გაიგოს მოიკითხოს ეს დიდი რევოლუციის ისტორიული საბუთი ნახოს დაიჯეროს დარწმუნდეს სიმართლეში იქ იკითხოს ქ. თბილისი ლენინის ქუჩა საქართველოს არხივი.

ძველი რევოლუციონერი ვანო ტატიშვილი

***

ხუთი ქართველის წერილი – 1907 წელი – ეს წერილები თეირანში მყოფი ხუთი ქართველის ხელმოწერითაა გამოგზავნილი. ესენი არიან გაბო ქართველიშვილი, ლავრენტი დავითიანი, ალექსი ხუხუა, მიხეილ იოსების ძე ჯულაბიშვილი და მოსე ბეჟუაშის ძე თოიძე. ისინი ახლოს იცნობდნენ ფერეიდნელ ქართველებს და დაეხმარნენ კიდეც მათ გამომგზავრებულიყვნენ საქართველოში. უკანა გზაზე კი, თეირანში ხუციშვილი მოულოდნელად გარდაიცვალა. თეირანში დროებით მყოფი ქართველები დაწვრილებით აღწერენ იმას, რაც საკუთარი თვალით ნახეს და მოისმინეს, აღნიშნავენ ბევრ საეჭვო ფაქტს ყოლაშრეზა ხუციშვილის სიკვდილში და ეჭვობენ, რომ ის მოწამლეს. წერილები ინახება საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში [N3016]. 5 საკანცელარიო ფურცელია, დაწერილია ორივე გვერდზე, სულ 10 გვერდია.

კონვერტზე, რომელშიც ინახება ეს წერილები, მცირე ანოტაციაა: „1907 წელი – წერილი 5 ფერეიდნელი ქართველისა (ადრესატი უცნობია) ერთ-ერთი ფერეიდნელი ქართველის მკვლელობის შესახებ. მელნით ნაწერი, ქართულ ენაზე ხელმოწერილი ნაპოვნი კ. მარტვილელის მიერ აჭარაში და გადაცემული მუზეუმისათვის 1927 წ.“ ქვევით ფანქრით მინაწერია: „ქართველიშვილი და სხვ“; ლურჯი პასტით კი თარიღი აზის: „1907 თეირანი“.

წერილის პირველ გვერდზე, მარცხენა ზედა მხარეს მიწერილი აქვს წითელი მელნით: „ნაპოვნი კ. მარტვილელის (კ. ოდიშარიას) მიერ 1926 წ. 8/XII აჭარაში. ძლვნად მირთმეული მუზეუმს მისგანვე. 16/VII -27. ქ. ტფილისი“.

პირველ სტრიქონზე წერია: „სპარსეთი ქალაქ თეირანი ოქტომბერი 1907წ.“

ეს წერილი მნიშვნელოვანია იმით, რომ თეირანში საქართველოდან ჩასულმა ქართველებმა ბევრი საეჭვო ფაქტი აღმოაჩინეს ყოლამრეზა ხუციშვილის სიკვდილში. ეს წერილები პირველად ქვეყნდება.

წერილებზე ხელისმომწერნი:

1. *გაბო ქართველიშვილი*
2. *ლავრენტი დავითიანი*
3. *ალექსი ხუხუა*
4. *მიხეილ იოსების ძე ჯულაბიშვილი*
5. *მოსე ბეჟუკის ძე თოიძე*

ხუთი ქართველის წერილი სპარსეთიდან ყოლამ რეზა ხუციშვილის მკვლელობის შესახებ

სპარსეთი ქალაქ თეირანი ოქტომბერი 1907

დილით, 1 ოქტომბერს, მოვიდა ჩვენთან მელიტონ ბჟალავა სახლში და გვითხრა მე გაბო პალატონის ძე ქართველიშვილს და მიხეილ იოსების ძე ჯულაბიშვილს: ყულამ რიზა უეცრათ მოკვდა ამ დილასაო, შევსწუხდით, გავკვირდით და ვკითხეთ სიკვდილის მიზეზი. მ. ბჟალავამ გადმოგვცა ამნაირათ: ყოლამ რეზა სომხებმა მოგვიწამლეს. ამ ამ სამის დიღის (ასეა!) წინათ რადგანაც ყულამ რიზა ცოტა ავათ გრძნობდა თავს. წაველით რუსის საავადმყოფოში. იქ ვნახეთ ერთი ჯეილი ექიმი, რომელსაც გამოკითხა ყულამ რიზას ვინაობა. ყ. რიზამაც უპასუხა ვინც იყო. მაშ თქვენ ხართ ის ფერეიდნელი ქართველები გაზეთში რო სწერდნენ თქვენ საქართველოს მოგზაურობას? ყ. რიზამ უპასუხა დიახ, ჩვენ ვართ, დავბრუნდით და ფერეიდანში მივალთ ამ დღეებშიო. ექიმმა სამი პარაშოკი წამალი მისცა თითო დილაობით თითო დალიეთ და თუ არ მორჩე, მოდი და სხვა წამალს მოგცემ. მოველით სახლში ყ. რიზამ გააკეთა ერთი კაფსული და დალია, მეორე დილას მეორე კაფსული გადაყლაპა. თავს კარგათ გრძნობდა. შემდეგ წაველით ბაღში ქალაქის გარეთ სასეირნოთ, იქ დავრჩი სალამომდინ, მოველით სახლში, შუალამემდინ კარტს ვთამაშობდით მე და რიზა. ავადმყოფობა არ ეტყობოდა. დღეს დილას ავდექით ადრე, ჩაი დავლიეთ, შემდეგ ყ. რიზამ თავი დაიბანა და ვემზადებოდით ბაღში წავსულიყავით სურათების გადასაღებათ, რისთვისაც ყ. რიზამ აპარატი გაამზადა, ყულამ გუსეინი კი აპირებდა წასვლას წისქვილში, სადაც ცხოვრობენ ორი ოჯახი ფერეიდნელი ქართველები. ამ დროს მე მესამე პარაშოკი გავამზადე, კაფსულში ცოტა მეც გავსინჯე ენით, მწარე იყო, ეხლაც ყელი მეწვის მე-

შინიან მეც არაფერი დამემართოს. ყ. რიზამ კაფსული გადაყლაპა ზედ თბილი წყალი დააყოლა თითქმის მაშინვე დაგვიძახა: მიშველეთ, თავი დამიჭირეთ. მე და ყ. გუსეინ ონიკაშვილი მივსცივდით, უსრისეთ ყურები ვასხით წყალი და არ გასულა სულ ნახევარ საათი, მოგვიკვდა კაცი. საშინელი სანახავი იყო რიზას ცქერა, სიკვდილის დროს ვერ გაუძელიო და გარეთ გამოვედით ორივე. ასე აგვიხსნა მ. ბჟალავამ ყოლამ რეზა ხუციშვილის გარდაცვალება. მაშინვე სამივე ჩავსხედით ეტლში და წავედით მიცვალებულის სანახავად. კარქა ხნის შემდეგ მივედით მიცვალებულის ოთახში იქ დაგვხვდნენ ფერეიდანელი მოლა შეიხ მამად ალი და სპარსელი სეიდა. მოლა გუსეინი მოგვეგება ტირილით: მოდით, ქართველებო, ნახეთ როგორ მოგვიკლეს კაცი ასე უცბათ, სამძიმარს შემდეგ დავათვარიელეთ მიცვალებული. გაშავებული ჰქონდა ყურები, საფეთქლები, ტუჩები და ზურგზედ წელიდან კისრამდენ. ბ. ჯულაბიშვილი დაბრუნდა მაშინვე ექიმის მოსაყვანათ. მოიყვანეს. იმან გასინჯა მიცვალებული და გვითხრა გადაჭრით, თუ არ გავსჭერი მიცვალებული, ვერ ვიტყვი არის მოწამლული თუ არაო. მე და ბ. ჯულაბიშვილმა შავეკითხენით ყოლამ გუსეინს და შეიხ მამად ალის, წინააღმდეგი ხომ არა ხართ რომ ექიმმა მიცვალებული გასჭრასო. იმათ გვიპასუხეს ჩვენ კანონი არ არის რო მიცვალებული გავსჭრათო. ამ სიტყვების შემდეგ ექიმი გავისტუმრეთ, ყოლამ გუსეინს უთხარით, აწი ჩვენ წავალთ, შენ მოილაპარაკე თქვენებთან, თუ თანახმა გახდებით, გაჭრის ნება აიღეთ შემოგვითვალეთ და მაშინ მოვალთ ექიმსაც მოვიყვანთ, მანამ ვ[ნა]ხამთ ექიმს და ფერშალსაც. თან საავდყოფოშიაც ვსთხოვთ საჭირო გასაჭრელი იარაღი გვათხოვონ. ამის შემდეგ ჩვენ დავემშვიდობეთ და წამოველით, თან გამოგვყვა მ. ბჟავალავა. გზაში გვითხრა ძაან მეშინიან, არაფერი არ შამხვდესო ნეტავ არ გადავსულიყავ, მე ეხლა იქ ყოფნა მეშინიან და თქვენთან უნდა გადმოვიდეო. ბ. ჯულაბიშვილმა უპასუხა ჩვენ ადგილი არა გვაქს, სასტუმროში დადექი დროებითო. სახლში რო მოველით იქ დაგვხვდა მოსე ბეჟუკის ძე თოიძე. ვსადილობდით, როდესაც სეიფოლა ხატიშვილი ფერეიდნელი მოვიდა ჩვენთან და გვითხრა ყულამ გუსეინმა გთხოვათ რომ ექიმი მოიყვანეთო. სადილი საჩქაროთ დავათავეთ, ბ. თოიძე, ბ. ჯულაბიშვილი და მ. ბჟალავა წავიდნენ ექიმთან. მეც წამოელი ვაპირებდი წასვლას მიცვალებულის სახლში გზაში შემხვდნენ ალექსი სიკოს ძე ხუხუა და ლავრენტი მათეს ძე დავითაია მათაც შეეტყოთ ეს სამწუხარო ამბავი. სურდათ მიცვალებულის ნახვა მაგრამ ბინა არ იცოდნენ ამიტომ სამივე ერთად წაველით.

გაბო პლატონის ძე ქართველიშვილი, მ. ჯულაბაშვილი

...

პირველ ოქტომბერს 11^{00} საათი იყო, სეიფოლა ხატიშვილი მოვიდა ჩვენთან და გვითხრა, ყულამ რიზა ხუციშვილს წამალი დაულევია ამ დილას და უეცრად მომკვდარაო. ჯულაბიშვილი ექიმის წასაყვანად წავიდა და თქვენ გთხოვთ წამოდით, ერთად შევიკრიბოთ მიცვალებულის ბინაზეო. რა თქმა უნდა ჩვენ მოვმე ერის გზაში დამარცხებამ დიდად შეგვაწუხა. ჩვენ მაშინვე წავედით მიცვალებულის სანახავათ.

გზაზედ გაბო ქართველიშვილი შეგვხვდა და მოწყენით გვითხრა, რომ გაიგეთ ყულამ რიზა გარდაიცვალაო. ჩვენ ქართველიშვილს ვსთხოვეთ ეჩვენებინათ მიცვალებულის ბინა. იმან გვითხრა, მეც იქ მივდივარ და წავიდეთ ერთათაო. და წაველით ერთათ, როდესაც ჩვენ იქ მიველით ფერეიდანის ქართველი შეიხ მამად ალი და სხვა სამი სპარსელიც იქ ისხდნენ და გუსეინი მიცვალებულის ახლო იდგა და შეწუხებული შემოგვტირა: ხო ხედავთ ძმებო, ყულამ რიზა მოგვიწამლესო. ჩვენ დიდათ შეგვაწუხა ხუციშვილის ასე უეცრათ გარდაცვალებამ. სამძიმრის შემდეგ დავეკითხეთ ონიკაშვილის მიზეზი ხუციშვილის გარდაცვალებისა მან ასე აგვიწერა სიტყვიერათ ყ. რიზა საქართველოშიც გრძნობდა თავს სუსტად და აქაც ხანდისხან სისუსტე ეტყობოდა, სამი დღის წინათ რუსის საავადმყოფოში წავიდა წამლის გამოსატანათ, იქ სომხის ექიმი ყოფილა და ის დაკითხებია: თქვენ ხართ სპარსელი ქართველები იმოგზაურეთ საქართველოში და გაზეთებში იწერებოდნენო? ყ. რიზას უთქვამს: დიახ ჩვენ ვართ და ეხლა ფერეიდანში მივდივართ. ექიმს სამი პარაშოკი მიუცია და უთქვამს, დილდილობით თითო პარაშოკი დალიე და თუ არ მორჩე, ისევ მოდი ჩემთანაო. ცხონებულმა ყ. რეზამ ერთი პარაშოკი შაფათს დალია. მეორე კვირა დილას თავს კარგად გრძნობდა სისუსტე არ ეტყობოდა. სმა ჭამის სიარულის მადა ჰქონდა. შემდეგ ჩაი დავლიეთ და საგულათ ქალაქის გარეთ წაველით ყ. რიზა მე და ბუალავა. დღე გულაობაში გავატარეთ, შემდეგ მოველით ბინაში მაგრამ ყოლამ რიზას არაფერი ეტყობოდა სისუსტის და ავათმყოფობისა დღეს რო ორშაფათია დილას ცოტა ადრე ავდექით პირი დავიბანეთ, ჩაი დავლიეთ მე მაშადი მაშუდა (ასეა!) ხატიშვილთან მინდოდა წასვლა ყულამ რიზა და ბ. ბუალავა ბაღში წასასვლელათ ემზადებოდნენ აბპარატი (ასეა!) ჩააწყეს ბაღში სურათის გადასაღებათ და როგორც ახლა მოგახსენებთ ისე ვიყავით მომზადებული ჩაი დავლიეთ შემდეგ ყ. კაფულში (ასეა!) გამზადებული წამალი დალია და თან თბილი წყალი დააყოლა. ამ წამსვე საშინელათ დასცხა ზმორება დაწყებინა და უეცრად დაიძახა მიშველეთ თავი დამიჭირეთ. ჩვენ აღშფოთებული მივეშველეთ, წყალი ვასხით ყურები უსრისეთ მაგრამ ტეხა, ზმორება და აღშფოთება უფრო თან და თან ემატებოდა მისი თვალების შეხედვა მომაკვდინებელ სურათს წარმოადგენდა ამ წვალებით ნახევარ საათში დალია სული. ყ. გუსეინ ონიკაშვილმა ასე დაგვისურათა ხუციშვილის გარდაცვალება. ამ დროს გარედან ლაპარაკი მოგვესმა შეიხ მამად ალი გარეთ გამოვიდა ოთხი თავ შახვეული სპარსელები შემოიყვანა, როგორც ონიკაშვილმა გადმოგვცა, მეჩკლისიდან იყვნენ გამოგზავნილნი და ერთი ექიმი ერია, ექიმმა ჯერ დაკითხა ონიკაშვილს. შემდეგ მიცვალებულს თვალი, ყური ცხვირის ნესტოები და ტუჩები გაუსინჯა. თვალის უბე, ყურის ძირი გაშავებული ჰქონდა. აქეთ იქით გვერდები და წელის ქვემო ტანი იმდენად არა ეტყობოდა რა. შემდეგ ექიმმა ითხოვა მიცვალებულის გადაბრუნება ბ. ქართველიშვილმა მიცვალებული გადააბრუნა წელიდგან დამოკიდებული, ვიდრე კისრამდის, ზურგი ძალიან ქონდა დაშავებული გვერდები და წელ ქვევით არ ქონდა დაშავებული. ჩვენ ექიმს დავეკითხეთ თავის აზრი. ექიმმა გვიპასუხა, ჩემის გარეგანის ცნობით უნდა იყოს მოწამლის მხოლოთ სინამდვილე და მოწმობის მოცემა არ შემიძლიან, რადგან სიკვდილის დროს არ დავესწარიო. ამ

დროს ბ. ჯულაბიშვილმა ხელმეორეთ რუსის საავადმყოფოდან ევროპაში განათლებული სპარსელი ექიმი ჩამოიყვანა თან ბ. თოიძეც მოყვა. ექიმმა ჯერ დაკითხვა მისცა ონიკაშვილსა. მან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ისე აუწერა მიცვალებული. ექიმმა ონიკაშვილმა პასუხი გასცა რუსის საავადმყოფოში სომხის ექიმი არ ყოფილა მე არ ვიცი თქვენ საიდან მოიყვანეთ სომხის ექიმი რუსის საავადმყოფოში იქ ერთი რუსის ექიმია უფროსი და ერთი მე ვარო ამ სიტყვებზედ ონიკაშვილს ლაპარაკი შეაჩერებინა შემდეგ ექიმმა მიცვალებული გასინჯა ყოველივე ათვალიერა და სთქვა ჩემის გარეგანის ცნობით უნდა იყოს მოწამლული და მხოლოთ დანამდვილებით მოწმობის მიცემა გაუჭრელათ არ შემიძლიანო. ბ ჯულაბიშვილმა ექიმს თხოვა გაჭრა მიცვალებულის დანამდვილებით შევიტყო მოწამლულია თუ არაო. ექიმმა მიუგო გაჭრის ნება უნდა იყოსო. მაშინ ჩვენ ყველამ ვსთხოვეთ ყ გუსეინს და შეის მამად ალის სპარსეთის მთავრობიდგან გამოეტანათ გაჭრის ნება, მაგრამ რაღაც უჩვეულო დაჯანჯლული იმედები მოგვაწოდეს ბ. ჯულაბიშვილმა განმეორებით სთხოვა, რაც შეეხება გასაჭრელი იარაღი საშოვარი არის მხოლოთ ჩვენ ყველა თეირანის დროებით ნაყოფი ქართველობა გთხოვთ გვაცნობოთ ვისგან უნდა ავიღთ გაჭრის ნება, რო დანამდვილებით შევიტყოთ ხუციშვილი მოწამლულია თუ არაო. მაშვინ ბ. ონიკაშვილმა თავის დაჯანჯლული შეპირება გამოაშკარავა და გვითხრა თუ შეგვიძლია სისხლის ფული მოვითხოვოთ მაშვინ კი შევეცდები გამოვიტანოთ გაჭრის ნებაო. რა თქმა უნდა ამ სიტყვების შემდეგ გაჩუმება ვარჩიეთ. მიცვალებულის ბედმა დაგვარწმუნა რო ჩვენი იქ ყოფნა ამაო იყო ყველამ გამოვემშვიდობეთ და წავედით ბ. ჯულაბიშვილმა უთხრა უკეთუ ნება არ გქონდა აღებული ექიმი რაზედ მომაყვანინე მეორეთა.

მეორე დღეს გულმა აღარ მოგვისვენა და წაველით მიცვალებულის სანახავათ მე და ბ. დავითაია. ონიკაშვილი და შეიხ მამად ალი იქ იყვნენ. ჩვენ მეორე ოთახში მიგვიღეს, მიცვალებულს წესს უგებდნენ, დღეს უნდა დავასაფლავოთო. ცოტა ხნის ლაპარაკის შემდეგ ბ. ონიკაშვილმა გვითხრა წუხელის კიდევ ორი ექიმი მოვიყვანეთ და გვითხრეს არ არის მოწამლულიო, მაგრამ თუ არა ვსცდებით ესეც საეჭვო შაიქნა ჩვენ წამოველით და ონიკაშვილს ვსთხოვეთ რო ბინაში მოსულიყო, ხუთ ოქტომბერს მოვიდა კარგა ხანს ვლაპარაკობდით, შემდეგ ბ. ონიკაშვილმა გვითხრა გუშინ საქართველოდგან წერილი მივიღე და ხუციშვილს საშიშარი ავათმყოფობა აქს და შეაჩერე ცოტა ხანს თეირანშიო. ჩვენც ვთხოვეთ, რო წერილი წეეკითხებინა. მან გვითხრა, ეხლა აქ აღარ მაქვს, შემდეგ მოგიტანთ წასაკითხადაო, მაშვინ მე ვკითხე ნეტა თუ რამე დარჩა საწყალს ობლების სარჩენათაო! მან მიპასუხა დასაფლავების დროს 25 ყრანი (5ტ) ჯიბიდგან ამოვიღეთ. შემდეგ ონიკაშვილი წავიდა. სხვათა შორის, შეგვპირდა, რო ამ დღეებში გნახამთ. გაიარა რამოდენიმე დღემ მაგრამ ონიკაშვილი აღარ მოსულა ოქტომბრის 13-ს ონიკაშვილს საქართველოდგან საქონელი მიელო. შემდეგ ჩვენთან მოვიდა. ცოტა ხანს ვილაპარაკეთ. მე შევეკითხე ნეტა როდის უნდა მოვიდეს თქვენი საქონელიო. ონიკაშვილმა სთქვა, იმედი მაქს, ათ თხუთმეტ დღეში მივიღებთო. ამ სიტყვების შემდეგ დაგვემშვიდობა და წავიდა. ნახევარ საათის შემდეგ მეზობელი მისი ხატიშვილი მოვიდა ჩვენთან თავისებურათ გვითხრა ბევრი ნამა საქონელი

მოიტანა ყულამ გუსეინმა დღესაო. ვკითხე გაკვირვებით, როდისო? განა არ იცი, ამ დილას, ნაპარის[140] ჭამამდის მოიტანა ოთხი ხუთი სამსე იყო ქეთაბებით. სხვა, უნდა მოგახსენო, დღემდის ონიკაშვილის ქცევამ და ხატიშვილის სიტყვებმა რაღაც ეჭვი დაგვიბადა. რათ სჭირდებოდა ბ. ონიკაშვილს ასეთი ცხადი სიცრუე. საღამოს 5 საათზედ წაველით მე და ბ. დავითაია ქართველების სანახავათ სადაც სცხოვრობენ ბ. ჯულაბიშვილი, ბ. ქართველიშვილი და ბ. თოიძე. ისინი სახლში დაგვხვდნენ და იმათაც შეეტყოთ, რო ყ. გუსეინს საქონელი მიეღო და არ ამხელდა 23 ოქტომბერს. თავის ბარგი აეკიდა მუშებზედა თან ოთხი ქართველები მისდევდნენ გვარად ხატიშვილები გამგზავრებული ბ. ონიკაშვილი ჩვენ შეგვხვდა ერთი მეორეს გამარჯვების შემდეგ გვითხრა, ეხლა მივსდივარ ფერეიდანშიო. ჩვენ ძრიელ გვესიამოვნა და ცოტა ხნის შემდეგ გამოვემშვიდობეთ. ჩვენ არ გვინდა შევეხოთ ბ. ონიკაშვილის პირადობას, მაგრამ ვხედავთ სპარსელ ქართველების დატანჯულ მდგომარეობას და გული გვეწვის. როგორც ყ. გუსეინ და ყ. რიზას მეზობლებმა გადმოგვცეს ფერეიდანითგან ჩამოსულ ქართველებმა ბ. ონიკაშვილის მიზეზი აქს და ფერეიდან თავის სოფელში ვერ ავაო.

[წერილს ერთვის ხელმოწერები: ალ. ხუხუა; ლავრენტი დავითაია]

...

1 ოქტომბერს შებინდებული იყო, როცა ჩვენთან მოვიდა ბ. იასონ სპირიდონის ძე მენაბდე, რომელიც არ ყოფილიყო სახლში და ეხლა შეეტყო ყ. რიზას სიკვდილი. კიდევ ამ დღეს მესამეთ წაველით მიცვალებულის ბინაზედ. მიცვალებული არ გვინახამს. მეზობლის ოთახში იყვნენ ყ.გუსეინი, შიეხ მამად ალი და რამდენიმე სპარსელები მათ ცოტა ხანს ველაპარაკეთ და დავბრუნდით სახლში. ორი დღის შემდეგ მოვიდა ყ. გუსეინი. მისი დღევანდელი სიტყვები არ ეთანხმებოდა გუშინდელ ლაპარაკს და ყველა ამ ჩვენთვინ ახალ და საკვირველ ლაპარაკზენ მ.ბ. დაუკითხავათ ეთანხმებოდა. ყ. გუსეინმა გვითხრა კიდევ მოვიყვანეთ იმ დღეს ორი ექიმი. მათ მიცვალებული გასინჯეს და გვითხრეს, მოწამლული არ არის. ყ. რიზა საქართველოშიც ძაან ავათმყოფობდა და გვარწმუნებდა, იმ ავადმყოფობით მოკვდაო. დიდი გულის ფრიალი ჰქონდა და იმან მოულო საწყალს ბოლოვო. კიდევ გვიანბო გუშინ წერილი მივილე საზოგადოებისაგან და ისინიც გვწერენ ყ. რიზას ხომ არ გაუახლდაო თავის ათმყოფობაო (ასეა!). გაუფრთხილდით და უწამლეთ ცოტა ხანს დარჩით თეირანშიო. ჩვენ არ ვეკითხებოდით და არც გვჭიროდა[141] ამ ამბების ლაპარაკი. ამიტომ წინადადება მივეცით, გვაჩვენეთ სად სწერია ეგ ამბავიო. ყ. გუსეინმა მოგვიგო, ბ. მენაბდეს აქს წერილი და მოვიტანთო. მ. ბუალავა დაუკითხავათ ემოწმებოდა. მეორე დღეს ბ. მენაბდეს შევეკითხეთ გვაჩვენეთ თბილისიდგან მოსული წერილიო. მან გვიპასუხა გამოვართმევ ყ. გუსეინს და გამოგიგზავნითო. სხვათ შორის, ყ. გუსეინმა [...] დროს ყ. რიზას დარჩა 25 кр (5р) და ერთი ხელის ტანისამოსი სიკვდილის შემდეგ ამ ფულს და

140. სადილის

141. გვჯეროდა გადახაზულია, ზემოდან აწერია გვჭიროდა.

ერთ ხელ ტანისამოსს იმას მიეცემ ვინც მის ობოლ ქალიშვილს უპატრონებსო. ცოლს არა უნდა რა მალე გათხოვდებაო. ისე, რო ყ. გუსეინის ლაპარაკი არ ეთანხმებოდა წინანდელ ლაპარაკს და არც ჩვენ ფიქრებს... ყულამ რეზა ხუციშვილი და ყულამ გუსეინ ონიკაშვილი ჩავიდნენ ოკტომბერში 1906 წ[142] (თეირანში). მათ თეირანში ჩამოსვლა შეეტყო ბ. ქართველიშვილს მოეძებნა ისინი და ჩვენ თეირანში მყოფ ქართველებს გაგვაცნო. ბ. ქართველიშვილი ასწავლიდა მათ წერა კითხვას, რაც ხანი აქ იყვნენ და ძაან მონდომებული იყო, რო ისინი საქართველოში წასულიყვნენ. ბევრი ცდის შემდეგ დაუფასდა თავის შრომა, რადგანაც ყ. გუსეინი და ყ. რიზა საქართველოში გაემგზავრნენ. ბ. მენაბდესა და ბ. ჯულაბიშვილსაც იმან გამოართო წერილები და გაატანა საქართველოში. მათი საქართველოში გამგზავრების შემდეგ ჩამოვიდნენ ფერეიდანიდგან ორი ქართველი... მათი მდევარი და გვითხრეს ყულამ რიზას სოფლითგან გამოატანეს ცხვრები გასაყიდათ 300 თუმნისა (500p). მას დამეგობრებია ყ. გუსეინი. ცხვრები გაუყიდნიათ და რადგანაც არც ფული გამოუგზავნიათ და არც თითონ ჩამოვიდა სოფელში და ხმაც დაუყრიათ, ფული მეკობრებმა წაგვართვესო. ამიტომ სოფლითგან ჩვენ ორი კაცი გამოგვიგზავნეს რომ ფული გამოვართვათ და მივსცეთ ცხვრების პატრონებს. საქართველოდან რომ დაბრუნდნენ, ყ. რიზა და ყ. გუსეინი აქ სასტუმრო ოთახში დაბინავდნენ და როგორ მე მოსე თოიძემ ისე სხვებმაც ურჩიეთ: ხელს არ მოგცემთ იქ ცხოვრება, რადგანაც სასტუმროს შემნახველი დიდი მცარცველი კაცია. მე და ბ. ჯულაბიშვილმა ვსთხოვეთ, ოთახი გვაქვს თავისუფალი და გადმოდით, რაც ხანს დარჩებით, იხმარეთ, ისეც ბ. ხუხუას და ბ. დავითაიასაც ეთხოვათ მათთვინ, როგორც ჩვენ, ისე იმათაც პირობა მოგვცეს, მაგრამ არც ჩვენთან გადმოვიდნენ და არც იმათთან. როდესაც მიცვალებული ყ. რიზას სანახავათ მოველით, სწორედ გამიკვირდა იმ სიშორეს და მივარდნილ ალაგს რაზედ გადასულიყვნენ. მათთან ერთათ გადასულიყო მ. ბუალავა, რომელიც მათთან მეზობლათ სცხოვრობდა. მ. ბუალავა გაუნათლებელი და უზნეო კაცია, ჩვენ აქ დროებით მცხოვრებ ქართველებს პატიოსან კაცათ არ მიგვაჩნია. ყ. რიზას სიკვდილს შემდეგ დიდი მეგობრობა აქთ ყ. გუსეინს და მ. ბუალავას და როგორც სჩანს ერთათ აპირებდნენ თეირანიდგან წასვლას.

მოსე ბეჟუკის ძე თოიძე

...

ყულამ რიზას ასრე უცრათ დაკარგვამ და ამ დღეებში მომხდარ გარემოებამ იძულებული კვყო უფრო მაგრა დავკირვებულიყავით მომხდარ გარემოებებს ამიტომ შევიკრიბენით ბ. ბ. დავითაია, თოიძე, ქართველიშვილი, ჯულაბიშვილი და ხუხუა თეირანში მყოფნი პატარა სჯის შემდეგ დავრწმუნდით, რომ ყველა ერთ აზრს ვყოფილვართ ყველაზედ დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია ყ. რეზას ასე უცრათ სიკვდილსა და იმ გარემოებებს, რომელნიც მოყვნენ იმის სიკვდილს. ამიტომ ერთ ხმათ

142. თითქოს ხუთიანი ექვსადა გადაკეთებული ან პირიქით.

დავადგინეთ მეორე დღეს სალამოს შავკრებილიყავით სუყველანი და მოგველაპარაკა რადგანაც ამ დროს ჩვენთან არ იყვნენ ბ. მენაბდე და ყოლამ გუსეინი. ამიტომ იმათ ჩვენ ყველას ხელი მოწერით ვიზიტან კარტოჩკა გაუგზავნეთ და ვთხოვდით ხვალ ოთხ საათზედ შევკრებილიყავით. ჩვენ გვსურდა ყულამ გუსეინსზედ მიგვეცა წინადადებები, რომელსაც აქ ვსწერთ. გვინდოდა მოგვესმინა კრებაზედ პასუხი და ახსნა წინადადებებისა ყ. გუსეინისგან.

წინადადებები: 1) აგვიწეროს დაწვრილებით ყ. რიზასი (ასეა!) 2) გუსეინის და მ. ბეალავას სხვა ვინ დაესწრო სიკვდილს 3) რა ჰქონდათ საბუთათ, რო ყველას გვარწმუნებდა, სომხებმა მოგვიწამლეს ყ. რიზაო 4) რა ანდერძი სთქვა ყ. რიზამ და ვის უთხრა 5) რა დარჩა ყ. რიზას სიკვდილის შემდეგ ან ფული ან სხვა 6) ვინ დარჩა ჭირის უფალი და სარჩენი.

ყ. გუსეინმა და ბ. მენაბდემ ჩვენ თხოვნაზედ ასეთი პასუხი მოგვცეს: ყულამ გუსეინ აბდულას ძე ონიკაშვილი (ვიზიტან კარტიჭკაზედ) მე ვემორჩილები იმას, ვინაც საქმე ჩამაბარა. გთხოვთ გამაგებინოთ, რის განკარგულებით მიბარებთ, ვინ მოგცათ მისი უფლება, მე მაცთუნოთ და მიბარებთ. ეს პასუხი მოგვივიდა ჩვენ გაგზავნილ ასეთ თხოვნაზედ ბ. ყ. გუსეინ უმორჩილესად გთხოვთ მობრძანდეთ საათის 4-ზედ ბალექასი ხუხუას სახლში დღეს თოთხმეტ ოკტომბერს. ამასთანავე ჩვენ გაგზავნილ თხოვნაზედ ბ. მენაბდემ დაწერა Возвращаю карточку так как она повсейвероятности (ასეა!) ошибочно одресована мне. Я Менабде.

ამ პასუხის შემდეგ ვალდებულათ ვცანით ეს ანბები თქვენთვის მოგვეწერა. 14 ოკტომბრის შემდეგ ისინი ჩვენთან აღარ მოსულან და არც ჩვენ მათთან. მხოლოდ ერთხელ მ. ბეალავამ მოიტანა ბ. ჯულაბიშვილთან. მოწერილი წერილი ბ. ბოცვაძისაგან ბ. მენაბდესთან ქართულად რუსულათ ნაწერი ბ. ჯულაბიშვილი კარებში მიეგება, არ უნდოდა წაკითხვა წერილის, რადგანაც ბ. მენაბდეს სახელზედ იყო მარა მ. ბეალავა დაბეჯითებით თხოულობდა მენაბდემ წასაკითხად გამოგიგზავნაო. მაშინ წაიკითხა ხმა მაღლა და ჩვენ სახლში მყოფებმაც მოვისმინეთ. მეორეთ მოიტანა კიდეე ტელეგრამა (...) ბ. მენაბდეს სახელზედ რუსულათა. Прошу принять мери ни кто не безпокоите Оникашвили веленно ему верить (ასეა!)

– ეს ანბავი საკვირველათ დაგვრჩა, უმორჩილესად გთხოვთ თუ რაიმე არის ჩვენ შესახებ მოწერილი, ჩვენგან იმის პასუხი მოითხოვოთ.

1) გაბო ქართველიშვილი
2) ლავრენტი დავითაია
3) ალექსი სიკოს ძე ხუხუა
4) მიხეილ იოსების ძე ჯულაბიშვილი
5) მოსე ბეჟუკის ძე თოიძე

***

წერილი სპარსეთიდან – საქართველოში ორი ფერეიდნელის სტუმრობა ფერეიდანში საქართველოს „პოვნად“ შეფასდა. მიუხედავად იმისა, რა განზრახვა ჰქონდათ მათ, ამაზე წერილიდან ჩანს, რომ მათ წაილეს კიდეც წიგნები საქართველოდან და შემდეგაც უგზავნიდნენ აქედან.

წერილი სპარსეთიდან

(ისარი, 1908, N 48, 29 თებერვალი, გვ.2)

სპარსეთიდან ყოლამ ჰუსეინ ონიკაშვილისაგან წერა-კითხვის საზოგადოების მდივანმა ამ დღეებში წერილი მიიღო. ონიკაშვილი სხვათა შორის იწერება: „დღეს რომ ხუთშაბათი და იანვრის მეექვსე რიცხვია, ამ წერილს ვწერ თქვენთან ფერეიდანსაყე და აქაური ამბავი, ასე რომ ჩონი ქართველები დიდად მოხარულნი ირიან (ასეა!) საქართველოს პოვნისაყე. ყველა სოფლებისაყე მოდიან ჩემ სანახველად და საქართველოს ამბის გასაგონებლად. რაღებსაც (ასეა!) მკითხავენ, მეც თითოს თავის გულის წადილს ვებნები და ყველას ნუგეშს ვაძლევ, თუმცა პირველად მოკვლას მიპირებდეს, რაღაც ემას ჯული გამოუცვლიაო. სპარსეთის ხალხი სუ იმას მეცადინეობს, რომ ცოტა მოისენონ, რადგანაც ეს ორი წელია ძალიან არეულობა არი ყველა ფარსეთის მიწაზე. ნამეტნარად ჩონ მხარეზე ქურთს ძალი უპოუნია. აღარც თავრობა არი ფარსეთში და აღარც მეჯლისი; ვინც ვის მერევა, მოჰკლავს ან აიკლებს. ზოგიერთები ჩონი ქართველები წერა კითხვას სწავლობენ, მეც ხან გრამაფონს უკრავ, ხან ქართულ წიგნებს ვკითხულობ. იმედია, საქმე კარგად წავიდეს. ყოველ ჩონ სოფლებიდან მეხეწებიან, რომ პირველად სკოლა ჩონ გოგუსხენო, მეც ყველას პირობას ვაძლევყე და ვნახოთ ზაფხულამდას რაქნდების“ (ასეა!).

***

წერილი სპარსეთიდან – საქართველოში ნამყოფი ფერეიდნელები ცდილობდნენ ისტორიულ სამშობლოში მიღებული პოლიტიკური ცოდნის გავრცელებას ფერეიდანში. ერთი კი ცხადია, რომ ონიკაშვილისა და ხუციშვილის სტუმრობამ საქართველოში გამოაცოცხლა ფერეიდნის ქართველობა. წერილში ჩანს, რომ ონიკაშვილმა დაიწყო ფერეიდნელ ქართველთაგან მასალის შეგროვება და ჩაწერა.

წერილი სპარსეთიდან[143]
სპარსეთის ქართველებისაგან

(განათლება, 1908, N 5-6, გვ.187-190)

დიდად პატივცემულო ბატონო სამსონ! თქვენი წერილი მივიღე, მერე ბატონი გრიგოლ ლომიძესი, ქაიხოსროსი. ყველა თქვენთაგანის მადლობელი ვარ და ვისურვებ ყველასთვის ყოველგვარ სიკეთეს და ჯანმრთელობას. აქაური ჩემი ამბავი, პირველისაგან დღევანდლამდის ასეა, რომ შემოდგომაზე მიველ ხომსარში, როდესაც თოვლი მოსულიყო, მაგრამ კიდევ შემეძლო ჩონი სოფლებში წასვლა. როდესაც ყური დაუგდე ჩონი მარტყოფის ხალხი მოკვლას მიპირობდეს, რომ რაღაც ეს კაცი სომეხი შაქნილაო და მოსულა მოლად ხალხი გაასომხოსო. მე დავრჩი ხომსარჩი და ყოველ დღეს მოდიოდიან ჩონი ქართველები და ზოგიერთი ის მევალები და რაღაც კბილის კრაჭუნებით მელაპარაკებოდიან. მეც რაღაც სახლჩი მქონდა დავაბარე ჩემ ძმამ გაყიდა და მთლად იმ მევალეებს, რაღაც შემეძლო მივეყე და მერე დვიწყევ იმ თითო მოსულ ჩონ ბიჭებთან ქადაგება და საქართველოზე საუბარი. ხან წიგნის კითხვა, ხან ქართული სიმღერების ჩენება ფონოგრაფით. ვისაცლა ენახა, წავიდა მეორეს უთხრა, ამან ამ სხოს და ბოლოს და ბოლოს ხალხს დავამიწყე ის თავიანთი აზრი და ჩავაგონე მთლად საქართველოსი ყოფაცხოვრება და გამოუცხადე ყველას საქართველოსი სიყვარული, ძმობა და ერთობა. მაშინ ვინაცლა ცოტა შეგნებული იყო გაიხარეს და მოინდომეს სწავლა წერა-კითხვისა, პირველად ჰაჯი შეიხულ ისლამმა და სხვა და სხვამ. მეც რაღაც შემეძლო იმ ჩონი ტკბილის ენით ლაპარაკი და ერთი ცოტათი ხარკის მიცემა ან ყალიონი, ან ჩაი, ან პური, მაგრამ იგრენ, რომ უნდოდა მქონიყო, არა მქონდა.

ჩემი სახლი ნივთიერობა და ერთი ბაღი გავყიდე და იმ ჩონ ხალხს დავახარჯე და ერთი სახლიც მაქვს, ისიც შანწირულია, რომ ღმერთის იმედით იქ სკოლა აშენდეს. ასეთი ჩემი ზამთრის ცხოვრება იყო, სანამ თოვლი იდგა გადაველ თელავჩი და რამდენიმე დღეს იქა და ბოინჩი ვიყავი და იქაც ყველა ხალხს უამბე საქართველოსი ამბავი, რომ ყველამ ტირილი დაიწყეიან და როდესაც სკოლის ამბებს მოვახსენებყე, ყველანი აღტაცებაჩი მოდიან და აბა როდის იქნება იგი დღეო. ერთი ცოტა თელავის ამბავიც მოგახსენოთყე, რო დღეს რა მდგომარეობაჩი არიან თელაველნი: იმ თურქმა, რომელიც მე მოგახსენეთყე რომ თელავის მამული იყიდა მეთქი, იმან აგრე შოუმიწროვაყე რო ესლა ოცი კომლი სომხები მოუყვანია და ჩონი ქართველების სახლებჩი დაუსახლებია და იმათი მამულები მიუცია. ჩონი ქართველები იმდენად ხელთ გასულან, რომ რო აღარ ვიცით რა ვქნათ. ჯერ ეს ამბები იყოს თავის დროზდის ჯერ დღევანდელები ვწეროთ,

---

143. წერილს სქოლიოში აქვს შენიშვნა: *) „ებეჭდავთ ამ წერილებს სრულიად უცვლელად. დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი ჟურნალის მკითხველები სიამოვნებით წაიკითხავენ და მიაქცევენ ყურადღებას ბ-ნი ონიაშვილის თავ-გამოდებით მუშაობას სპარსეთის ქართველებს შორის ქართული მწიგნობრობის შეტანაში და წერაკითხვის გაერცელებაში.“

დანარჩენები არა უშავთ კარგად არიან. მე ეხლა დავდივარ ქართულ სოფლებში და ამათი რიცხვსა ვსწერ, იმათი ძველებურ ამბებსა და იმათი ყოფაცხოვრებას და იმათი სურათები გადამილია. იმედია, რომ რამდენიმე ხნის შემდეგ ყველარერს (ასეა!) დავწერ, ჩამოვალ ისპაგანს და დეპეშას ვიქ და მთლად იმ წერილებს გამოვგზავნი. მერე რაც მე შემეძლო ზემო მარტყოფჩი რომ მესწავლებინა, ცოტაოდენი ვასწავლეყე და მერე იმ მასწავლებლებს ვასწავლეყე ქართული და წიგნები მიმიცია და ის ყმაწვილები ახლა სპარსულთან ერთად ქართულსა სწავლობენ. აი დღეს, რო წერილს ვსწერ ქვემო მარტყოფჩიგ ვარ და მად სადეხ ხანი[144] და სულთან ხანი და ბაბა ხანს ქართულად ვაკითხებყე თავიანთი შვილებითურთ. ასენი არიან მესიდაშვილები და ასეც არის მაჰმედ სადეს ხანის ხელნაწერი და სალამს მთელ საქართველოს და მეტად საზოგადოებას უძღვნის და მთხოვს, რომ ჩემი წერილი დავაწერინო და აი ასეა: „სულით გულით სალამს უძღვნი დიდად პატივცემულს საზოგადოების წევრებს და ყველა ჩონი ძმებს, ღმერთს ვსთხოვ ყველა თქვენთაგანისათვის ჯანმრთელობას და იმედია, რომ თქვენი სამშობლოდან მოწყვეტილს ძმებს არ დაგვივიწყებთ – ჩვენი ძმა ყოლამ ჰუსეინის მოსვლამ და საქართველოს სიყვარულმა ორმოციათასი ქართველი გააცოცხლა. თქვენი ერთგული ძმა მოჰამედ სადეხ ხანი მესიდაშვილი. ასეც თავისი ბეჭედი.

გულით სალამს უძღვნი პატივცემულ საზოგადოებას ხან ბაბახანი მესიდაშვილი თავისი ძმებით და დიდად სიყვარულს უცხადებს თავისი სამშობლოს, თავის ძმებს, ესეც თავისი ბეჭედი.

ყველა ქვემო მარტყოფელები სალამს უძღვნიან საზოგადოებას. მერე ას ხელნაწერი თუმცა კარგად არ არის, იმიტომ რომ მოცლა არ მაქვს ჯერ ჯერობით რომ კარგად წერა ვასწავლოყე, რადგანაც ათი დღეს და ხუთს ერთ სოფელში ვარ მარტო და მარტო კაცი და ერთი სოფელი რამდენს ვეყოფი, ძლივ-ძლივობით ან ვლაპარაკობ, ან საქართველოს ამბებს უამბობყე, ან ჩემი საქმეს ვაკეთებ – ვსწერ ამბებს ხალხს იმედს ვაძლევ და დიდ რამეებს ვპირდებიყე და იმედია, რომ პატივცემული საზოგადოება არ შემარცხვენს. აპარატის პლასტიკები იმ გადაღებისა და თავისი წამლები გამთავებია და არ ვიცი შეიძლება რომ ერთი რამდენიმე გამომიგზავნოთ თუ არა და თუმც პირს არ მომდის[145] იმის დაწერა, მაგრამ რადგანაც სხვა საქმე არაფერი ღა მაქვს ცოტა ხარჯი მომცემია და იმედია, რომ პატივცემული საზოგადოება უხარჯოს არ დამტოვებს და ერთი მე მარტოკას აქ მითმე შემინახავს. საქმე აქა რომ ყველა ხალხი მე მეხოვის და მეც არაფერი შემიძლია ხალხს მოვაკლოყე, მერე იმედია, რომ რამდენიმე ფარჩა ტილოს გამომიგზავნით, რომ ამას უკან რო სიარულს მოვრჩი, მაშინ უნდა დავჯდე. თუმცა არა მდიდრულად, ღარიბულად, რამდენიმე ხალხს კარგად ვაკითხებ და თუ ის ტილო იყოს, თითო ხალათები გადავაცოთყე. იმედია, რომ ამ წერილის პასუხს მალეზე მომწერთ, თუმც გაკეთებას შეუდეგით არ დავაგვიანოთ, სანამ თოვლი არ

144. მოჰამად სალყ ხანი

145. სპარსული კალკია „რუ-მ ნემიშავად“ – ჩემს პირზე არ მოდის, ანუ „ვერ ვბედავ / მრცხვენია თქმა“.

მოსულა. აი ამ წერილის წერაჩი ჩემი მასწავლებელის წერილი მოშწდა. მაშინვე აველი ზემო მარტყოფჩი – წერილი წავუკითხეყე. ყველამ გაიხარა. ზოგიერთებმაც პასუხი დაუწერეს ორიოდე სიტყვა. ბატონო სამსონ: თქვენ ეს იცოდეთ, რომ თუ საქართველსაყე არაფერი გამოჩნდა, რალაც მე აქ დავპირდიყე უთუოდ პირი გამიშავდების[146] და აღარ შემიძლიან ფერეიდანში დადგომა და არ ვიცი საიდან დავიკარგები, დამოკიდებულია თქვენზედ.

შენი ერთგული მეგობარი ყოლამ-ჰუსეინ ონიკაშვილი.

ძვირფასო ძმებო და მეგობრებო
სამსონ, ლუარსაბ და ქაიხოსრო!

ღმერთს ვსთხოვ თქვენი მრავალ სიცოცხლეს და ჯანმრთელობას, თქვენ წერილებს, რომელიც მოდის ჩვენ ძმას, ყოლამ ჰუსეინას, ყოველს დღეს ვკითხულობთ. დიდად მოხარული ვართ ჩონ ზემო მარტყოფელნი და მთელი ფერეიდანის ქართველები. იმედია არ დაგიმიწყებთ, რადგანაც ჩონი ყოლამ ჰოსეინას მოსელამ და საქართველოს ამბავმა ორმოცდაათი ათასი ჰამრი[147] ქართველი გააცოცხლა, ნუ დოგიმიწყებთ სკოლის გახსნისათვის და ერთი ჰექიმის გამოგზავნით, რომელიც ძლიერ საჭიროა ჩონთი. ყველა ხალხი მოელის თავიანთ ძმებისაგან შემწეობას. ჩონი გულით სალამი გადაეცით მთელ საქართველოს და საზოგადოების წევრებს და გელათის მონასტერჩი დიდად პატივცემულს ლეონიდე ეპისკოპოზს. იყავით გამარჯვებულნი.

თქვენი ერთგული ძმა და მეგობარი ჰაჯი შეიხოლ ისლამ მობინაშვილი.
6 ივნისი 1908 წ.

ჩემო საყვარელო მასწავლებელო, ღმერთსა ვსთხოვ თქვენს მრავალ სიცოცხლეს, თქვენი წერილი მივიღე, რომელმაც დიდი სიხარული მომცა. ქომო მარტყოფჩი ვიყავი, როდესაც წერილი მივიღე 8 გაზეთით. იძულებული შევიქენ ავსულიყავ ზემო მარტყოფჩი და რამდენიმე მოწაფესათვის სალამი მომეწერინა თქვენთან. ზოგიერთებმა, რომელთაც წერა იცოდნენ, დასწერეს და ბევრი არიან, რომ კითხვა იციან, მაგრამ წერა არ იციან, რადგანაც ჯერჯერობით ერთ ადგილას დაჯდომის მოცლა არ მაქვს. სხოდა სხოგანებჩი დავდივარ საქმეების გასაკეთებლად. მაგრამ ყველგან მეხვეწებიან სკოლისათვის და ერთი ჰექიმისათვის. თქვენი წერილი, რომელიც გამოგეკითხა სად უნდა აშენდეს სკოლა ან რამდენი ხარჯი აქვსო, პასუხი ასეა, რომ სკოლა ზემო მარტყოფჩი უნდა, რომელიც მისი ადგილი მომისაზრავ და ხარჯიც ორასი თუმანი უნდა რომ აგურით მაგრა გაკეთდეს. ხალხი ძალიან

146. სპარსული კალია – შეურცხვენი

147. ჰამრი – მკვდარი.

მონდომილია და ყოველ დღეს მე მეკითხვენ. ეს ხალხი პირველად იყნეს მთის წერზედ და არაფერს უახლოვდებოდეს, ათასი ნაირი პოლიტიკაით რალაც ენა შევასმენიეყე. ზოგიერთმა შუა ზამთარში მითხრეს: აბა თუ შენ ასები იციო ეხლა ჭერები გააკეთეო, აბა ეს თოვლი ფქილად აქციეო. მაგრამ მისაც რამე ესმოდა, როგორც ჩვენი ხანები, ან ჰაჯი შეიხულ ისლამის და ზოგები იმათ გაიხარიან ჩემი საუბარზედ. მეც რალაც შემეძლო ემ მინდრის ნადირებთან, მეტად ტაშქესნელებთან[148] და ახშაველებთან[149] ვიბრძოლე. აი დღეს საქმე კარგად მიდის, მინაც შეგნებული იყო და ვინაც არა, იმასაც შევასმინე, ეხლა დღეს დარჩენილუარ უხარჯოდ იმდენად, რომ ფოსტის ფული არ მაქვს მივსცე, თუმც პირს არ მომდის, მაგრამ ძალიან საქმე გამჭირვებია, იმედია რომ პატივცემული საზოგადოება არ დამიმიწყებს. თუ შემწეობისა რამე გულჩიაყე, თქვენ მალეზე მომწერეთ, რომ ჩამოვიდე ისპაგანს და ან სკოლის შესახებ, ან ჩემთვის იქიდან ტელეგრამით მოვილაპარაკოთ. თუმცა არაფერია, მე ნულარავის დავპირდე. იმედია ჩემო ძვირფასო მასწავლებელო, რომ ჩემი წერილს უპასუხოს არ დაიტოვებთ და რალაც საქმეა მალეზე მომწერთ.

მასწავლებელო რაისი პირობაც მე მიმიცია თქვენთვის, იმედია რომ ავათაყო და თქვენ იცით, მომიკითხე ძმა ქაიხოსრო, იაკობ ცინცაძე. ჩემი სალამი გადაეც ყველა საზოგადოების წევრებს, ყველა მასწავლებლებს, სამსონს, და ცხვედაძეს. ორივე შიოს, ვასოს, ნაკადულის კრებაზე ყველას, მარიამ დემურიას და მთლად რედაქციის ხალხს. მიხაკო წერეთელს, რომელიც არ მამიწყდების იმისი გამომშვიდება თავისი ამხანაგებითა, ოჰ, აბა რა ვქნა.

შენი ერთგული ძმა ყოლამ ჰუსეინ ონიკაშვილი

გულით სალამს უგზავნი ჩემი ძვირფასი მასწავლებელს ლ---ს.

შენი ერთგული მოწაფე ალიყოლი ონიკაშვილი.

პატივცემულო მასწავლებელო ლ.--- დიდად მადლობელი ვართ თესლის გამოტანებით, რომელმაც კარგი ნაყოფი გამოიღო.

მესიდაშვილი

ჩემო იმედო საყვარელო მასწავლებელო ლ. ... ღმერთსა ვსთხოვ თქვენი მრავალ სიცოცხლეს, დიდად მადლობელი ვართ შენი თესლის გამოგზავნისა, რომელმაც დაახლოების იმედი მოგვცა ჩონი მამაპაპის სამშობლოსთან და ჩონი ძმებთან. უკეთვი იყოს თქვენი პატივცემული სახელი. მოველით ქართულ სკოლას.

შენი ერთგული მეგობარი და მოწაფე აბას ონიკაშვილი.

დიდად პატივცემულო მასწავლებელო ლ. ვისურვებთ ყოველ გუვარი სიკეთეს და ჯანმრთელობას. დიდად მადლობელი ვართ თქვენი და მთლად საქართველოსი და მამაპაპის სამშობლოსი, იმედია რომ მალეზე ერთი მეორე გონახვოს.

შენი ერთგული მოწაფე სეაფოლა ასიაშვილი.

---

148. დაშქესნელები.

149. ახჩაველები.

პატივცემულო ძვირფასო მასწავლებელო ლ. ჩონი ძმა ყოლა ჰუსეინამ შენი ნაშრომი და ნაყოფი მოიტანა. მეც პარსული წერა-კითხვის მასწავლებელი ვარ და ეხლა ზოგიერთ ჩემი მოწაფეებს ქართულს ვასწავლიყე.

შენი ერთგული ძმა მად[150] ისმაილ გულიაშვილი.

***

ახალი ამბავი, სკოლა ფერეიდანელებისთვის

(ამირანი 1908, N145, 29 აგვისტო, გვ. 3.)

„წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების“ გამგეობაში მდივანმა მოხსენება შეიტანა ფერეიდანელ ქართველებისათვის სკოლის დაარსების შესახებ. როგორც მკითხველებს მოეხსენებათ, ადრევე გადასწყდა ფერეიდანის სოფელ მარტყოფში სკოლის დაარსება. ამისათვის 2700 მანეთამდე შეიკრიბა (ასეა!). მაგრამ ჯერჯერობით მასწავლებლის გაგზავნა და სკოლის დაარსება ვერ მოხერხდა რევოლიუციონურ (ასეა!) მოძრაობის გამო. მდივანმა გამგეობას აცნობა საქმის ვითარება და სთხოვა მატერიალური დახმარება გაუწიოს ყ. ონიკაშვილს, რომელიც ფერეიდანის სოფლებში მუშაობს ამ ჟამად იქ წერა-კითხვის გასავრცელებლად და სკოლების გასახსნელად ნიადაგის მოსამზადებლად.

***

ფერეიდნელთა მილოცვები აკაკი წერეთლისადმი იუბილეზე – სამი წერილია, მოლოცვის ფურცლებს არ აქვს ხელმოწერა, თუმცა შინაარსიდან ჩანს, რომ ფერეიდნელი ქართველები არიან, ეს წერილები სხვადასხვა ხელითაა ნაწერი. ფურცლის ერთ მხარეს წერილი დაწერილია ქართულის კარგი მცოდნის მიერ, ფურცლის მეორე მხარეს კი გაუწაფავი ხელითაა დაწერილი, შეცდომებით და ადგილ-ადგილ გასწორებული, პუნქტუაცია არ არის დაცული, მესამე მილოცვა ფურცლის მეორე მხარესაა, ლამაზი ხელითაა შესრულებული, პუნქტუაციის წესები არც აქაა დაცული, ფურცელი შუაზეა გახეული და, სამწუხაროდ, ამ წერილს ზედა ნაწილი აკლია. არც ერთ წერილს არ ახლავს ხელმოწერა.

150. მოამად

ფერეიდნელთა მილოცვები აკაკი წერეთლისადმი იუბილეზე

(დაცულია გიორგი ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმში 12852 –b, N108)

დიდებულო მგოსანო!

ბედნიერი არიან სპარსეთის ქართველებიც, რომ თქვენმა ნაწერებმა იმათ გულშიაც ჩააშუქა ბრწყინვალე სხივები. დედის ძუძუსაგან მოგლეჯილებს მწუხარება ეფანტებათ და სულს და გულს საყვარელის სამშობლოსაკენ იბრუნებენ. იმ თქვენ ძვირფას სარკეში იჭრეტენ და თანაც კითხულობენ. სამშობლოს მთვარე ვარსკვლავები თვალწინ ესახებათ და დიდის ღალადებით, გაიძახიან გაუმარჯოს საქართველოსო. ნება მიბოძეთ სამშობლოდან მოწყვეტილ ფერეიდანელ ქართველების სახელით მეც მოგილოცო ეს ბრწყინვალე დღესასწაული.

...

(დაცულია გიორგი ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმში 5244/4 51 /8)

დიდებულ მგოსანო ბედნიერია სპარსეთის ქართველებიც რომ თქვენს მშობლიურ ენას კითხულობენ და იმ დედის ძუძუთგან მოგლეჯილების მწუხარებაც თქვენმა ნათელი ჭკუა-გონება გამხიარულა და თქვენმა მხურვალე პოეტურ ნიჭმა ისევ მაბრუნა თავიანთ საყვარელ სამშობლოსაყენ როსაც კი იმ თქვენ ძვირფას დაწერილ სარკეჩი იჭრეტენ და თანაც კითხულობენ იმ დროსვე თავიანთ ძვირფასი სამშობლო და მთვარე ვარსკვლავებით თავის თვალ წინ ესახებათ და დიდის ღალადებით გაიძახიან ამ თქვენ სხვი მოფენის სხივ მოფენელ სამშობლო სამშობლოსა ნება მიბოძეთ სამშობლოდან მოწყეტილ ფერეიდანელ ქართველების სახელი მეც მოგილოცოთ ეს გვირგვინოსანი ღესასწავლი.

...

რომლებიც ეხლა სამას წელიწადია რაც მტერის ჯაფით სამუდამოდ მოწყვეტილან ტორფა სამშობლოსაგან და იწვიან თავიანთ სამშობლოს უნახველობით და მინატრიან თავიანთ მშობლიური ენას სწავლას და მამა პაპურ ჩოვლებას მაგრამ აქამდი არაფერი შეელა არაფერი იყო იმ საცოდავესათვის ეხლაკი იმედია რომ ქართველი მწორელი სიხარულად იქცეეა და ისევ ის ვარსკვლავები რომ ცას მაიშორებიან ისევ შაგროვდებიან თავიანთ მთვარეს გარს შემერტყმიან თურომ [151]

151. ამ წერილს არ აქვს დასაწყისი და დასრულებულიც არ არის.

***

წერილი ეხება ლადო ალნიაშვილის დამსახურებებს, რომელთა შორისაცაა სპარსეთში წასვლა და იქაური ქართველების მონახულება. ამ წერილში საინტერესო ინფორმაციაა დაცული: ლადო ალნიაშვილმა ჩამოიტანა უამრავი ფოტო ფერეიდნელი ქართველებისა, რომელთა ჩასმაც ვერ შეძლო წიგნში, სწორედ ამ ინფორმაციის გამო ვაქვეყნებთ ამ წერილსაც.

ალ. მირიანაშვილი
ლადო ალნიაშვილი

თეატრი და ცხოვრება 1914 წელი, N27 გვ. 5

(იხ. თ. და ც. N25-26)

ლადო ალნიაშვილმა შეადგინა და გამოსცა რჩეულ სიტყვათა ქართული „უბის ლექსიკონი“. იგი იყო ერთი უახლოესი სულის ჩამდგმელი და დამაარსებელი „ქართულ წიგნების გამომცემელთა ამხანაგობის“. 90-იან წლებში სოფელსაც მიხედა (საგარეჯოს მამასახლისად). მან საკუთარის ინიციატივით თბილისში დააარსა და ერთ დროს აწარმოვა სანოვაგის და უსაჭიროეს საქონლის გაიაფების მიზნით ქართული საამხანაგო სავაჭრო სახლი, სახელად „შუამავალი“.

მაგრამ ყველა მის ნამოქმედარს თავისის მნიშვნელობით და სიფართოვით სჭარბობს ორი მისი უდიდესი საქმე: პირველია – ქართველ მომღერალთა მუდმივ გუნდის შექმნა და მისი მტკიცე ნიადაგზე დაყენება, მეორე – სპარსეთში მოგზაურობა და იქ ქართველთა სოფლების აღმოჩენა და მათი აღწერა.

როგორც პირველის, ისე მეორე საგნის შესახებ ქართულ პრესაში თავის დროზე ბევრი დაწერილა. ვიტყვი მხოლოდ, რომ მარტო ფანატიკოსს თუ შეუძლიან არ დაზოგოს ის დაუშრეტელი ენერგია, დაუსვენებელი შრომა, აუარებელი ხარჯი, რაც განსვენებულმა მოანდომა მომღერალთა გუნდის დაარსებას. გუნდისთვის საჭირო იყო ნოტებზე გადაღებული ქართული სიმღერები, ნოტებისთვის საჭირო იყო მუსიკის მცოდნე პირები. ლადომ გამოძებნა ერთიცა და მეორეც. თავისს სამშობლო სოფელ შილდიდან ჩამოჰყავდა შესანიშნავი მომღერალი გლეხები, ხუთი-ექვსი ერთად, აბინავებდა სასტუმროებში, აჭმევ-ასმევდა, აძლევდა საგზაო ფულს, თვიურ ანუ კვირეულ ჯამაგირს, ამღერებდა ამათ და მათი ნამღერალის ნოტებზე გადასაღებად იწვევდა ხან ოპერის არტისტს და გალობის მასწავლებელს რატილს, აწ განსვენებულს ვიოლონჩელისტს და მემუსიკეს სარაჯიშვილს და ხან სხვას. რასაკვირველია, ამ უკანასკნელთაც შრომისთვის აძლევდა ჯეროვან სასყიდელს. უიმისოდაც მცირე ჯამაგირის პატრონს ხშირად ისე გამოელეოდა ხოლმე ფული, რომ პაპიროსის სყიდვაც აღარ შეეძლო, თუ ამას დაურთავთ იმასაც, რომ ამავე დროს

სხვა გაჭირვებულთაც – გიმნაზიელებს, სტუდენტებს, ქართველ არტისტებს და სხვ. დაუზოგავად უმართავდა ხელს, ადვილად წარმოვიდგენთ, რამოდენა ნივთიერი შევიწროვება და გაჭირვება გამოუვლია ლადოს თავის მოკლე სიცოცხლეში. მერე ვის გაუგია ამაზე მისი დაჩივლება? არავის. უჭირდა თუ არ უჭირდა, ჰქონდა თუ არა ჰქონდა, ლადო მუდამ მხიარული, მუდამ მომღიმარე, მუმად ოპტიმისურ გუნებაზე იყო, მუდამ ახალ-ახალ სამოქმედო გეგმებს და პროგრამებსა ჰთხზავდა.

სათავადაზნაურო სკოლაში მე და ლადომ სულ ორი წელიწადი დავყავით ამის შემდეგ ის გადავიდა მასწავლებლადვე ქართველ კათოლიკეთა სამრევლო სკოლაში, მე დავბრუნდი ალექსანდრეს სამასწავლებლო ინსტიტუტში. კათოლიკების სკოლიდან ილია ჭავჭავაძის დახმარებით ლადომ იშოვა სამსახური თბილისის ქართულ სათავადაზნაურო ბანკში. ამ ადგილების გაცვლა-გამოცვლის დროს არც ერთ დღეს მას არ მიუტოვებია ლიტერატურული შრომა და, სხვათა შორის, ჟურნალ „ჯეჯილისთვის“ სწერდა ბუნების მეტყველებიდან პატარა-პატარა წერილებს.

სპარსეთში მოგზაურობაზე ლადო აღნიაშვილი დიდი ხანია ოცნებობდა. ამ მოგზაურობის მიზნად მას დასახული ჰქონდა პოვნა, საკუთარის თვალით ნახვა და აღწერა იმ ქართველებისა, რომლებზედაც, გარდა ჩვენი ისტორიის მოწმობისა, ხშირად ჩამოვარდებოდა ხოლმე საუბარი როგორც რუსულს, აგრეთვე სხვა ევროპიულ პერიოდულ გამოცემებში.

ბოლოს, აგვისტოს 1894 წ., ლადომ ეს ოცნებაც სისრულეში მოიყვანა, სულ რაღაც ათის თუმნით (ისიც საკუთარის ნივთების გაყიდვით შეძენილი). იგი სწორედ ამერიკელის გაბედულებით, ნათესავების გამოუთხოვებლად, მოულოდნელად წავიდა სპარსეთისაკენ. რა შედეგი მოჰყვა ამ მოგზაურობას, ქართველმა საზოგადოებამ კარგად უწყის, ნამეტნავად ვისაც გადუკითხავს ლადოს მშვენიერი წიგნი: „სპარსეთი და აქაური ქართველები“ საუბედუროდ, ხელმოკლეობის გამო ეს წიგნი ლადომ ვერ დაამშვენა იმ აუარებელი სურათებით, რომლებიც ამ განზრახვით სპარსეთიდან ჩამოიტანა (ეს სურათები ახლა მე მაქვს). იგი ანუგეშებდა თავის თაეს იმით, რომ მეორე გამოცემისთვის „გველის ხვრელში გავძერები და სურათებს უეჭველად მოვათავსებ წიგნშიო“.

მაგრამ მისი ბედის ჩარხი სხვანაირად დატრიალდა: ბევრი ხანი არ გასულა ამ მოგზაურობის აღწერის შემდეგ, რომ ლადოს ჭკუიდან შერყევის ნიშნები აღმოაჩნდა. თანდათან შერყევამ იმ ზომამდე მიაღწია, რომ ნათესავები იძულებულნი შეიქმნენ იგი თბილისის მიხეილის საავადმყოფოს პსიხიატრიულ განყოფილებაში მოეთავსებინათ. აქ მან იავადა ოთხ წლამდე და 1904 წ. აპრილის თვეში, შობიდან 44 წლისა, სრულიად გამოესალმა წუთისოფელს. შემდეგ ნომერში მოვიყვან ლადო აღნიაშვილის წერილს, სპარსეთიდან მოწერილს.

ალ. მირიანაშვილი

***

პატარა საქართველო სპარსეთში – იაკობ გოგებაშვილის ეს წერილი გამოქვეყნებულია საგანძურში, როგორც გამომცემლები ამბობენ, ივარგებლეს 1912 წლის გამოცემით, წერილი დაწერილი უნდა იყოს 1908 წელს, რადგან აღნიშნავს, რომ წინა წელს ჩამოვიდნენ საქართველოში ხუციშვილი და ონიკაშვილი ფერეიდნიდან. ისინი კი, ცნობილია, რომ 1907 წელს იყვნენ საქართველოში. გარდა ამისა, ახსენებს ნასროლა ონიკაშვილსაც, რომელიც საქართველოში ნამდვილად იმყოფებოდა 1908 წელს, რადგან ის დასწრებია აკაკი წერეთლის იუბილეს და მიულოცავს კიდეც მისთვის. თავად ინფორმაციის წყაროდ მიიჩნევს ათამ ონიკაშვილს, ლადო ალნიაშვილს, ხუციშვილსა და ონიკაშვილს და ასევე ნასროლა ხატიაშვილს. თუმცა იაკობ გოგებაშვილი შეიძლება ეყრდნობოდეს მღვდელ ევსევი ცაბაძის ინფორმაციასაც, რადგან ის სტუმრებია წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში და უსაუბრია კიდეც მასთან სპარსელი ქართველების შესახებ.

იაკობ გოგებაშვილი
პატარა საქართველო სპარსეთში
(ისტორიული მოთხრობა)

საგანძური, 1982 (1912)

1. გადასახლება

თბილისიდან რომ ცხენით წახვიდე სპარსეთში, რომელიც სძევს სამხრეთით ჩვენი ქვეყნისა, ერთი თვის მოგზაურობის შემდეგ მიხვალ სპარსეთის სატახტო ქალაქ თეირანში. თეირანიდან რომ სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ გასწიო ცხენითვე და მთელი ორი კვირა იარო, მიაღწევ ერთს ქვეყანაში, რომელსაც ფერეიდანი ქვია. აქ, ამ მეტად შორეულს ქვეყანაში, აღმოაჩენ პატარა საქართველოს, სადაც ორმოცი ათასი ქართველი სცხოვრობს. შენ გაკვირვებას საზღვარი არა აქვს და კითხულობ: როგორ, რა მიზეზით და რა გზით გადმოხვეწილა სამშობლოდან ცხრა მთას იქით ამოდენა ქართველობაო?..

ისტორია გვიპასუხებს: მეჩვიდმეტე საუკუნის დამდეგში დიდი ბრძოლა იყო სპარსელებს და ქახელებს შორის. სპარსელი ხელმწიფე, ანუ შაჰი, მოწადინებული იყო დაემონაებინა ქახეთი, გაეთათრებინა, ქართველობა დაევიწყებინა და სპარსეთთან შეესისხლხორცებინა. ქახელები თავგანწირულად იბრძოდნენ, მათ ძმურად ეხმარებოდნენ ქართლელები და საქმეს უჭირვებდნენ შაჰსა. მაშინ სპარსეთის მბრძანებელმა გადასწყვიტა: მთელი თავისი აუარებელი ჯარით შემოსეოდა კახეთსა, დაეტყვევებინა მრავალი, გაეგზავნა სპარსეთში, იქ დაებინავებინა სამუდამოდ და

მათ ადგილას გადმოესახლებინა თათრები. ასეც მოიქცა. დაუსრულებელი ბრძოლით დაქანცულმა პატარა კახეთმა ველარ შესძლო დიდი სპარსეთის წინააღმდეგ წინანდებურად ეომა, მით უმეტეს, რომ ქართლელები კახელებს ძმურ დახმარებას ველარ უწევდნენ, რადგანაც თვითონ ქართლს ოსმალეთის ჯარი მოადგა. შაჰმა თითქმის ნახევარი კახეთი დაატყვევა და გაგზავნა სამხრეთის სპარსეთში, სულ შორეულს მის კუთხეში, რომ მათ სახელიც აღარ გაეგონათ სამშობლოსი და ქართველებისა, დაევიწყებინათ სრულიად საქართველო და გათათრებულიყვნენ სავსებით.

აი, ამ უდიერად გადასახლებული ქართველების ჩამომავალნი არიან ისინი, რომელნიც ახლა ბინადრობენ უშორეს ფერეიდანში.

შაჰი, ერთი მხრით, აყენებდა დიდ ტანჯვა-წამებას ახლად გადასახლებულ ქართველებსა, მეორე მხრით, აღუთქვამდა გათავისუფლებას ყოველგვარი ხარჯისაგან, თუ გადასახლებულნი გათათრდებოდნენ და თავის ქართველობასაც უარჰყოფდნენ, დაივიწყებდნენ. მაგრამ ეწია კი შაჰი თავის გულის წადილსა? მხოლოდ ნახევრობით. სარწმუნოება, მართალია გამოაცვლევინა, მაგრამ ქართველობაზე კი ხელი ვერ ააღებინა.

2. გამარჯვებული ბრძოლა გადაგვარების წინააღმდეგ

სამას წელიწადზე მეტია, რაც ფერეიდანელი ქართველები გარშემორტყმულნი არიან თათარ–სპარსელებით. სამას წელიწადზე მეტია, რაც ესენი სცხოვრობენ იმისთანა ქვეყანაში, რომელიც ჰავითა და ბუნებით დიდად განსხვავდება მათი სამშობლოდან. სამასი წლის განმავლობაში არც გადახვეწილებმა იცოდნენ ჩვენი ამბავი და არც ჩვენ ვიცოდით რაიმე იმათ შესახებ, რომ ძმურად ხელი გაგვეწვდინა. მიუხედავად ამისა, ფერეიდანელებს საკვირველი შეუნარჩუნებიათ ქართველობა, წმინდა ქართული ენა და ბევრი წინანდელი ჩვენებური ზნე-ჩვეულებანი. მათი დედები, ცოლები, დები მხოლოდ ქართულ ენაზე ლაპარაკობენ; კაცებმა თუმცა იციან სპარსული, მაგრამ წმინდა ქართულს ხმარობენ ყველგან – შინ და გარეთ. სახელები თუმცა სპარსული დაურქმევიათ მოლებს ჩვენი მოძმეებისათვის, მაგრამ გვარები ამათ ქართული დაუცავთ შეუცვლელად. ეს მით უფრო შესანიშნავია, რომ გამაჰმადიანებულმა ოსმალეთის ქართველებმა ქართული გვარები ვერ შეინარჩუნეს და ყველამ თათრული კუდი – „ოღლი“ მოიბა. მოგვყავს აქ უდიდესი სოფლის, მარტყოფის, მცხოვრებთა გვარები: ხუციშვილი, ონიკაშვილი, ხატიაშვილი, დავითაშვილი, დარჩიაშვილი, თავაზიშვილი, მასიტაშვილი, გოგიჩაშვილი, მაყაშვილი, მელაშვილი, ტარიელაშვილი, სულიკაშვილი, ველიშვილი, ჯორჯიაშვილი, ივანიშვილი, სიტოშვილი, ისოშვილი და სხვანი, ფერეიდანში თითხმეტი დიდი სოფელია, დაჭერილი ქართველებითა და თითქმის ყველა სოფელს წმინდა ქართული სახელი ჰქვია. ეტყობა, გადასახლებულებს ის სახელები დაურქმევიათ თავისი ახალი სოფლებისათვის, რომლებიც ერქვათ წინანდელს მათ სოფლებს კახეთში. მართალია, სპარსელებს სპარსული სახელები უწოდებიათ ამ სოფლებისათვის, მაგრამ ქართველებს არ მიუღიათ ესა და თავისი

ეროვნული სახელები შეუნარჩუნებიათ. მოგვყავს აქ სოფლების სახელები და რიცხვი მცხოვრებლებისა კომლობრივ. ზემო მარტყოფი იპყრობს 1200 კომლსა, ქვემო მარტყოფი – 800 კომლსა, ნორიო – 240 კომლსა, ჩუგრუთი – 600 კომლსა, ჯაყჯაყი – 300 კომ., თონეთი – 400 კომ., აფუსი – 300 კომ., ტაშკეშინა – 700 კომ., ნინო წმინდა – 600 კომ., აჩხა – 600 კომ., ყარაბალი – 400 კომ., კუთხე – 300 კომ., გალმა სოფელი – 500 კომ., ხევის პირი – 600 კომ., სულ თოთხმეტ სოფელში ირიცხება დახლებით 7000 კომლამდე. თუ თვითო ოჯახზე ჩავაგდებთ ექვს სულსა, რაც მეტი არ უნდა იყოს, რადგან აქ დიდ-დიდ ოჯახებად სცხოვრობენ, გამოვა რომ ფერეიდანის საქართველო იპყრობს 40.000 ქართველსა.

ამ ჩვენს მოძმეებს ფერეიდანის ბუნებაც კი გაუქართველებიათ. მთებისათვის დაურქმევიათ შემდეგი სახელები: მელას გორა, შავგორა, მთათაშვილი, ქოთან-ღელე, ბალების გორა, დიდ-წვერა. მდინარეებიც ქართულად მოუნათლავთ: წითელ-რუი, ბალების რუი, დიდრუი, გალმარუი, გალმა ხევი, გამოლმა ხევი, პირიქითა რუ და სხვა.

3. ყოფა-ცხოვრება ფერეიდნელ ქართველებისა

როცა აქაურ სოფელში შეხვალ, გეგონება ქართლ-კახეთის კარგ სოფელში მოვექეციო, ისეთი დიდი მსგავსებაა. სახლები ჩვენებურად არის აშენებული. კედლები ქვა-ტალახისა აქვს, ბანზე მიწა აქვს დაყრილი; სახლებში ნახავთ დიდ ოთახებს, რომელნიც ძლიერ გვანან ჩვენს ძველებურს დარბაზებსა. აქაურები ერთგულად მისდევენ ქართველი მთიულებივით ცხვრის ყოლასა, რასაც ხელს უწყობს იქაური ფართო იალაღი. თუმცა ღვინოს არა სმენ, მაგრამ ვენახების გაშენებას და ყურძნის მოყვანას მუყაითად მისდევენ თავისი ჩრდილოეთის მოძმეებივითა. ახალ წელიწადს ჩვენსავით დღესასწაულობენ და, სხვათა შორის, მეკვლე იქაც იციან. აღდგომასაც უქმობენ, გადიან მინდერად და ლხინში ატარებენ დროსა, მაგრამ მნიშვნელობა აღდგომისა კი ალარ ახსოვთ. ხვნა-თესვაც ჩვენებური აქვთ: სთესენ პურსა, ქერსა, შვრიასა. სიმინდის მოყვანას არ მისდევენ სრულიად და მხოლოდ ხილად ბოსტანში სთესენ.

მეტადრე ქალებს მტკიცედ დაუცავთ ქართველობა. ესენი პირახდილნი დადიან, მაშინ როდესაც თათრის ქალები პირს არავის აჩვენებენ, პირბადე აქვთ მუდამ ჩამოფარებული. თვით მეჩეთში ქართველი ქალები კაცებთან ერთად დგანან, სხვაგან კი ყველგან თათრის ქალებს ცალკე განყოფილება უჭირავთ მეჩეთში. თანსაცმელიც აქაურს ქალებს ქართული აქვთ; იცმენ ჩვენებურს კაბებს, ქათიბებს, თავზე იკეთებენ თაკრავს, ჩიხტიკოპსა, იხურავენ ბარლადს[152] და ლეჩაქსა. ერთი სიტყვით ძველებური ქართველი ქალებისაგან მხოლოდ სარწმუნოებით განირჩევიან. მეტად შესანიშნავია ისიც, რომ ოჯახში ერთცოლიანობა მტკიცედ დაუცავთ აქაურ ქართველებსა, თუმცა მრავალცოლიანობის უფლებას მაჰმადის სარწმუნოება ყველას აძლევს. ამ უფლების წყალობით, ყოველი მდიდარი სპარსელი რამდენსამე ცოლს ირთავს. თვით სპარსეთის ხელმწიფეს შაჰსა ასობითა ჰყავს ცოლი თავის ჰარამხანაში. ფერეიდა-

152. ტექსტში საკარაულოდ კორექტურაა. უნდა იყოს ჩარყად-ი - ქალის თავსაბურავის სახეობა.

ნელს ქართველებს კი სრულიად აუცილებიათ თავიდან ეს სისაძაგლე. რაც უნდა შეძლებული იყოს ფერეიდანელი ქართველი, იგი ერთი ცოლის მეტს არ შეირთავს.

საყურადღებოა შემდეგი მოვლენაც: აქაურს დიდს სოფლებში ყველგან არის დუქნები, სადაც ყველაფერი იშოვება, რაც კი ესაჭიროებათ აქაურ ქართველებსა და ეს დუქნები ყველა ეკუთვნის ქართველებსა და მარტო ქართველები ვაჭრობენ აქა. ვერც სპარსელს, ვერც ურიას, ვერც სომეხს და ვერც სხვას აქ ვერა ნახავთ. მთელს ქართულ ფერეიდანში, ყველა აქაურს თითხმეტ სოფელში, მხოლოდ ქართველები ბინადრობენ, სხვა ტომის მცხოვრების ჭაჭანებაც არ არის აქა. თავის წმინდა ქართველობას ჩვენი ფერეიდანელი მოძმეები სასტიკად იცავენ უმთავრესად იმით, რომ არც თვითონ თხოულობენ სხვა ტომის ხალხების ქალებსა და არც არავის მიათხოვებენ ხოლმე. თუმცა სარწმუნოების ერთობა სრულს ნებას აძლევს ამისას. ჩვენში კი სხვასა ვხედავთ: ქართველები არეულნი არიან ბევრგან სომხებში, ოსებში, რუსებში. ვაჭრობასაც მათ უთმობენ და მოყვარეობასაც არ ერიდებიან მათთან. ასე რომ, ჩვენს ფერეიდანელს მოძმეებს შეუძლიათ ჩვენს წინაშე სამართლიანად დაიქადონ წმინდა ქართველობა.

სპარსეთის შაჰმა დიდ უბედურებასთან ორი დიდი სიკეთე მიანიჭა ფერეიდანელს ქართველებსა. პირველად, იქ დაასახლა მხოლოდ გლეხკაცობა და არც ერთი თავადი ან აზნაური არ გაურია, მიწა საკუთრებად მისცა და გაათავისუფლა ღალის მიცემისაგან. ამითი მან ძირფესვიანად ამოფხვრა ბატონყმობა იქაურს ქართველებში სამასი წლის წინათ; ჩვენებურს გლეხობას კი, საუბედუროდ, დღესაც აწევს კისერზე მძიმე უღელი ღალისა, ბატონ-ყმობისა. მეორედ, სარწმუნოების გამოცვლისათვის ახლად გათათრებული ქართველები გაათავისუფლა ყოველი ხარჯისაგან და სალდათის მოკრებისაგან.

ფერეიდანელს ქართველებს შეუთვისებიათ ერთი ახალი ჩვეულება, რომელიც ჩვენებური სოფლებისათვის სწორედ მისაბაძია. ყოველს სოფელს აქვს აშენებული სასოფლო აბანო და საზოგადო ხარჯით დაქირავებული ჰყავს მეაბანე. დიდ სოფლებში რამდენიმე აბანოა. ყოველი ფერეიდანელი ქართველი აბანოში კვირაში ერთხელ მაინც გაიბანს ტანსა. ამასთან ქალებისათვის ცალკე დღეებია დანიშნული, კაცებისათვის – ცალკე. რა კარგი იქნება, რომ ჩვენებურმა სოფლებმაც შემოიღონ ეს ჩინებული ჩვეულება, მეტად სასარგებლო ჯანმრთელობისათვის.

საიდან ვიცით ყველა ესა? აი საიდან. ოცდათის წლის წინათ საქართველოში მოვიდა ფერეიდანიდან ერთი იქაური ქართველი – ათამა ონიკაშვილი. მან მოკლე ხნის განმავლობაში ისე კარგად შეისწავლა ქართული წერა-კითხვა, რომ გაზეთ „დროებაში“ ვრცლად აღწერა ყოფა-ცხოვრება ფერეიდანელის ქართველებისა. საუბედუროდ, ათამა მალე გახდა მსხვერპლი უბედური შემთხვევისა და მეტი ვერაფერი გააკეთა. მის შემდეგ ფერეიდანში აქედან შევიდა ლადო აღნიაშვილი, რომელმაც დაბრუნების მერე ვრცელი წერილი უძღვნა ჟურნალ „მოამბეში“ თავის მოგზაურობას და ფერეიდანის წინანდელს და აწინდელს მდგომარეობას. შარშან ფერეიდანიდან თბილისში მოვიდა ორი ქართველი: ყოლამ-უსეინ ონიკაშვილი და ყოლამ-რეზა ხუციშ-

ვილი. წერა-კითხვის საზოგადოებამ მხურვალე მონაწილეობა მიიღო ამ ძვირფასი სტუმრების ბედში. გადასდო საკმარისი ფული მათ შესანახად, დაუნიშნა მასწავლებლად საუკეთესო ქართველი პედაგოგი, რომელმაც სამიოდე თვის განმავლობაში საფუძვლიანად შეასწავლა ქართული წერა-კითხვა, გააცნო ზედმიწევნით ქართული ლიტერატურა, დაატარა საქართველოს სხვადასხვა კუთხეები და ჩინებულად მოამზადა სამოციქულოდ ჩვენსა და ფერეიდანელ ქართველებს შორის. ერთმა მათგანმა – ონიკაშვილმა – რამდენიმე წერილი დაბეჭდა ქართულ გაზეთში ფერეიდანის შესახებ და გაგვაცნო იქაური ქართველების ცხოვრების გარემოებანი და ვითარებანი. საფუძვლიანი მომზადების შემდეგ წერა-კითხვის საზოგადოებამ ჩვენი სტუმრები გაისტუმრა უკან სპარსეთში და თან გაატანა ქართული სახელმძღვანელოები, ბევრი ქართული წიგნი და ფულიც ქართული სკოლის დაარსებისათვის ფერეიდანში. სამწუხაროდ, ერთი მათგანი – ხუციშვილი – გულის ფრიალით გარდაიცვალა თეირანში, და მხოლოდ ონიკაშვილი დაბრუნდა თავის შორეულ სამშობლოში, სადაც იგი მხნედ შეუდგა მოღვაწეობასა. რამდენიმე თვის წინათ თეირანიდან მოვიდა ოცი წლის ყმაწვილი ნასროლა ხატიაშვილი, სოფელ მარტყოფის მცხოვრები, რომელიც საფუძვლიანად ემზადება სამოქმედოდ თავის სამშობლოში. ამ ნასროლას დაწვრილებით გამოვკითხე ყველაფერი ფერეიდანელი ქართველების შესახებ და ყველა საგულისხმიერო შევიტანე ამ წერილში.

სკოლა, რომლის დაარსება გადაწყვეტილი აქვს „წერა-კითხვის საზოგადოების“ გამგეობას სოფელს მარტყოფში, იქნება წმინდა პედაგოგიური. სწავლა საგნებისა იწარმოებს იმ ენაზე, რომელზედაც ლაპარაკობენ შინ და გარეთ იქაური ბავშვები, ესე იგი ქართულზე. მაჰმადის სჯულის სწავლებას ეჭირება საპატიო ადგილი და მის მასწავლებლად მოწვეული იქნება საუკეთესო მოლა. სპარსულს ენასაც, როგორც სახელმწიფო ენას, ადგილი ექნება სხვათა საგნებთა შორის. მარტყოფის სკოლაში მიიღებიან ყველა იქაური ქართული სოფლიდან რამდენიმე მოსწავლე, რომელნიც, კურსის დასრულების შემდეგ, თავის სოფელში გამართავენ წერა-კითხვის სკოლებსა. შემდეგში მარტყოფის ცენტრალური სკოლა გადაიქცევა საოსტატო სემინარიად.

სამართალი მოითხოვს ბოლოს ისიც დავუმატოთ იმას, რომ ფერეიდანიდან მოსული ქართველები ძლიერ ემადლიერებიან ახლანდელს სპარსელებსა, რომელნიც თურმე ძმურად ეპყრობიან ფერეიდანელს ქართველებსა და მათთან ერთად მეგობრულად ცდილობენ მოიპოვონ საყოველთაო თავისუფლება და კეთილდღეობა.

***

ქართველები სპარსეთში – წერილში გადმოცემულია სპარსეთში პატარა საქართველოს აღმოჩენის ამბავი. ცნობილია, რომ სწორედ პავლე ლორთქიფანიძე იყო თბილისში სეიფოლა იოსელიანის პირველი მასპინძელი, შემდეგ კი იგი სხვაგან გადაიყვანეს საცხოვრებლად.

პანლასი (პავლე ლორთქიფანიძე)
ქართველები სპარსეთში (წერილი სპარსეთიდან)

(სახალხო ფურცელი, 1916, N601, 17 ივნისი)

ომი, ეს ისეთი მოვლენაა, რომელიც ადამიანს ისეთ ადგილას ამოაყოფინებს თავს, სადაც ის შეიძლება თავის სიცოცხლეშიც არ იფიქრებდა ყოფნას. სპარსეთი... ეს სიტყვა საკმარისია ყოველ ცოტად თუ ბევრად შეგნებულ ქართველისათვის – ვინ იცის რამდენ სევდას წარმოშობს მის გულში – მაგრამ ადამიანი ხომ ყველაფერს ეგუება – და ჩვენც, ქართველები – მცნებას – „სპარსეთისას“ ამ ბოლო დროს არაფრად ვაგდებთ, მაგრამ თუ მოვიგონებთ ჩვენს წარსულს, მაშინ აშკარა იქნება ყველასათვის, თუ რა ფიქრებს მოგვრის სიტყვა „სპარსეთი“. სწორედ ამ ცნებით სავსემ ამოვყავი თავი სპარსეთში, და რა ვნახე?!!. სადაა ის ძველი, ძლიერი და ამაყი სპარსეთი?!. ნაცვლად სიამაყისა, ამ ძველ ბუმბერაზთა სამეფოში, შიში და თრთოლვაა გამეფებული. ხანი, რომელსაც ათიოდე ცხენოსანი ამალა ჰყავს, სრული მეფეა და მოქმედებს ისე, როგორც უნდა. ყველგან მხოლოდ პირადი ცხოვრებაა, დანარჩენი კი ვითომ წყალს წაელოსო, იტყვი, რომ ჩაუკვირდები მათ გარემოებას. კარჩაკეტილი ცხოვრობს „ხანი“ და ფუფუნებას ეძლევა. განა ვინმე გაბედავს რასმეს მის წინაშე?... არა... და ამას ისე შეგუებია ყველა, როგორც ულმობელ კანონს ცხოვრებისას. დრო არა მაქვს, ამ წერილის წამომღებიც მიჩქარის და სამსახურიც ისეთია, რომ „წინ, გასწით!“-ო გვიძახიან... გზაში ვარ... მაგრამ მაინც მინდა ქართველ მკითხველს გადავცე შემდეგი:

აქ ქალაქ ისპაჰანის მოშორებით გაშენებულია პატარა სამაჰმადიანო საქართველო თორმეტი თუ ცამეტი სოფელი... არაფერი არ ვიცოდი... შეველ ერთ სოფელში, მოგზაურობის დროს და ირგვლივ ქართულად ლაპარაკობდნენ... თავბრუ დამესხა, ომი ახალი შეწყვეტილი გვქონდა და გონსაც არ მოვსულყავი... ვიფიქრე ეს რა ამბავია, ნუ თუ საქართველოს რომელიმე კუთხეში ამოვყავი თავიმეთქი... მაგრამ სპარსული ტანისამოსი როგორღაც მეჩოთირებოდა... მეც ქართულად დავიწყე ლაპარაკი ქალი და კაცი შემომესია, რომ ტევა არ იყო... საიდანა ხარ ბატონო? გაიძახოდნენ. მხოლოდ მაშინ მომაგონდა შაჰაბაზის სიმხეცე და მისგან გადასახლებული ქართველები სპარსეთში. დედა-ენა ჩინებულადაა დაცული, დიდი და პატარა მხოლოდ ამით ამაყობს – ქართულად ვლაპარაკობთო... ჩვენი ქართველობა მხოლოდ დედაენით გამოიხატებაო... თხოულობენ „სკოლას“, ქართველ მასწავლებელს... ნუ თუო, ლაპარაკობენ: ჩვენი ქართველები ისე უგულო შეიქმნენ, რომ ჩვენზედ არ ფიქრობენო.

საჭიროა სკოლა, ქართული ჟურნალ-გაზეთები. ბევრი კარგად კითხულობს ქართულ ნაწერს... შეეხვდი აკაკის თხზულებებს, რომელიც გაზეპირებული აქვს ზოგიერთს... სთხოვენ ყოველ ქართველს შემწეობას ამ საქმეში... და იმედი აქვთ, რომ ამ მოკლე ხანში მიიღებენ ჟურნალ-გაზეთებს მაინც. მე, ჩემდა თავად, ვთხოვ „სახალხო ფურცლის რედაქციას“ მომაწვდინოს აქ ქალაქ ისპაჰანში (ისპაგანში) ჩვენი ქართული გაზეთები, რომელსაც მე მათ გადავცემ, თუ მე არ ვიქნები, აქ რუსის

საკონსულოში მსახურებს გ. აბიაშვილი[153], რომელიც ყოველ ღონისძიებას იხმარს მათ შორის ჟურნალ-გაზეთების გავრცელებისათვის.

ასეა საქმე და იმედი მაქვს ჩვენი ქართველი საზოგადოება არ დაიშურებს უკანასკნელ გროშს ამ ხალხის სულიერი დაკმაყოფილებისათვის, ჟურნალ-გაზეთები და წიგნები შემდეგი ადრესით უნდა გამოიგზავნოს: Персіа – Persie. Isfagan Российское Императорское консульство П. Лорткипанидзе.

წერილს ვწერ გზაში ღამე, მუხლზე, და არ ვიცი რა იქნება.

პანლასი

***

პატარა დღიური – სამწუხაროდ, ასე დამთავრა სოციალ-დემოკრატებს მიკედლებულმა ყოლამ ჰუსეინ ონიკაშვილმა თავისი ცხოვრება.

პატარა დღიური

(სამართლის გზა, 1917, N2, გვ.2)

ამჟამად თბილისში იმყოფება ფერეიდანიდან მოსული სპარსელი ქართველი, ძმა ყოლამ ჰუსეინ ონიკაშვილისა, რომელიც ამ რამოდენიმე წლის წინად იყო ჩვენში და ისევ გაბრუნდა თავის ახალ სამშობლოში. თავრიზში გზათ გავლის დროს იგი მიკედლებია იქ მოქმედ ქართველ სოციალდემოკრატებს და კვალის ასაბნევათ შესულა მოსამსახურეთ იქ დაბანაკებულ რუსის ბატალიონის ბუფეტში, სადაც ერთ მოსამსახურეს გაუცია იგი, როგორც სოციალდემოკრატი. სამხედრო სასამართლოს ყოლამჰუსეინისათვის ჩამოლრჩობა მიუსჯია, რაც აუსრულებიათ კიდეც მაშინვე. მისს ქვრივს განუზრახავს გათხოვება, მაგრამ მაზლს, ამ ჟამათ აქ – მყოფს, უთქვამს ამის ნებას არ მოგცემ, სანამ არ დავრწმუნდები, რომ ჩემი ძმის სიკვდილის ამბავი ნამდვილია.

***

ქართველები სპარსეთში – ყარამან კიკნაველიძესა და მის ძმებს სპარსეთში ჰქონდათ ხე-ტყის ბიზნესი. ის კარგად იცნობდა სპარსეთის ქართულ სოფლებს, ზაქარია ჭიჭინაძისთვისაც მიუცია ამ სოფლების ჩამონათვალი, თუმცა ამ უკანასკ-

153. საკარაულოდ უნდა გულისხმობდეს გიორგი ბიაშვილს, რომელსაც შემდგომ რამდენიმე წერილი აქვს დაწერილი ფერეიდნული ქართველების მდგომარეობის შესახებ.

ნელს დაპატიმრების დროს დაჭკარგვია 1913 წელს. წლების შემდეგ თავად აქვეყნებს ამ სოფლების ჩამონათვალს გაზეთ „სახალხო საქმის“ ორ ნომერში. ყარამან კიკნაველიძე იყო ერთ-ერთი, ვინც ფინანსურად დაეხმარა ახლად გახსნილ თბილისის უნივერსიტეტს. ყარამან კიკნაველიძემ გამოიყვანა სვეტიცხოველიდან პატრიარქი, როცა მას სიკვდილით დაემუქრნენ. სამწუხაროდ, ერთი ძმა სპარსეთში მოუკლეს, წლების შემდეგ კი ყაჩაღებმა სოფელ კიკნაველეთში მთელი ოჯახი ამოხოცეს: სამივე ძმა, მათი დედა და ყარამანის ახალგაზრდა ფეხმძიმე ცოლი.

ყარამან კიკნაველიძე
ქართველები სპარსეთში

(სახალხო საქმე, 1917, N17, 17 აგვისტო)

დუნდი კაბუნის თემში, ქართველი მაჰმადიანები უმეტესად მისდევენ ბრინჯის თესვას, ფორთოხლის მოშენებას, ხვნა-თესვას, მოჰყავთ პური, ქერი სიმინდი, ფეტვი და სხვ.

მაზანდარანის თემში (გუბერნია) ქართველები მისდევენ პურის თესვას, ქერის, ბრინჯის, ფეტვისა და სხვ. მუშაობენ ქართულ ჩვეულების მიხედვით. თავიანთ საჭიროების გარდა პურსა და ბრინჯს სხვებზედ ჰყიდიან. ფორთოხლის ხის მოშენებას ამ თემშიც მისდევენ.

სპარსეთის ბარსა თუ მთა ადგილებში მრავლად ყოფილა ძველად ქართველთა სოფელი. დღეს კი მათ ქართველობის აღარაფერი შერჩენიათ. დაუკარგავთ ენა, ცხადად ეტყობათ მხოლოდ ქართული მოდგმა, რითაც იგინი სპარსელებისაგან საკმარისად განირჩევიან. ის კი ახსოვთ, რომ იგინი ქართველის მოდგმისანი არიან და თავს ყველგან გურჯად, ქართველად აღიარებენ.

ჭალა-ადგილებში მცხოვრები ქართველი სპარსელები უმეტესად მეურნეობას მისდევენ, ხვნა-თესვას და ასეთ სამეურნეო ნაწილს მთიან ადგილებში მცხოვრები ქართველნი უმეტესად მისდევენ მეჯოგეობას, ჰყავსთ მრავლად ცხვარი, ძროხა, თხა, ხარი და სხ. აქ მისდევენ მერძევობას, აკეთებენ ყველს, ერბოს, დოს, მაწონს და სხვა.

კაზვინის ახლოს, ამავ თემის მიდამოებში, მცხოვრები ქართველი სპარსელნი, უმეტესად მისდევენ მევენახეობას და მეხილეობას, ვენახებს აკეთებენ ქართულად, ხილის ჩირს ახმობენ ქართულად, რაც სპარსელებმა სულ არ იციან, ამიტომაც ესენი გამხმარს ხილს, ანუ ჩირს მრავლად ასაღებენ.

მთელი სპარსეთის ადგილები სავსეა ქართველთა სოფლებით, ვერ ნახავთ ვერც ერთ კუთხეს, რომ იქ ქართველი ერის სოფელი არ იყოს. ყველა სოფლის ხალხს თქვენ ცხადად შენიშნავთ, რომ მათში ყველა სპარსნი არ არიან. გამოკითხვისას ირკვევა, რომ იგინი ქართველის შთამომავლები არიან. ამიტომ უნდა ვიცოდეთ, რომ სპარსეთში ქართველთა შთამომავალთა რიცხვის სოფლები დაშთენილებია

ასობით და არა თითო-ოროლა. ყველა ეს კიდევ ცხადად გვამცნევს იმ გარემოებას, თუ ძველად ქართველთა ძენი რა დიდის რიცხვით გადაუსახლებიათ ხოლმე სპარსეთში, ეს მოსაზრება საეჭვოთ არავინ მიიღოს, მე მოგახსენებთ ნამდვილ ცნობებს, ვინაიდან ჩვენ დავლილი გვაქვს მთელი სპარსეთის ადგილები. ბევრისათვის შეიძლება ეს მოსაზრება წარმოუდგენელიც იყოს, ამას ჩვენ შემდეგ გაეაქარწყლებთ, როცა მთელის სპარსეთის ქართველთა სოფლების სიას წარმოვადგენთ და მკითხველს გავაცნობთ დაწვრილებით. ჩვენი ლაპარაკი რომ ისტორიულ ჭეშმარიტებას მოკლებული არ არის, ამისათვის მოვიყვან შემდეგ ახალ ცნობას, რაც ხელ ახლათ ვნახეთ სპარსეთში.

ხორასანის თემში, მეშჰედის მიმავალს გზაზედ, არის ქართველთა სპარსელების სოფელი აბას-აბატი, ეს სოფელი კარი გახლავსთ მთელ სპარსეთისა, ამ კარში გავლას ვერც ერთი ქართველი სპარსელი ვერ ასცდება, სოფ. აბას-აბატში ქართველთ რიცხვი სცხოვრობს 800 კომლზედ მეტი, ეს ხალხი უმეტესად მისდევს აღებ-მიცემობას, ვაჭრობის გარდა მევენახეობასაც მისდევენ კარგათ.

საყურადღებოა ამათი აქ ის გარემოებაც, რომ ესენი ამ ცნობილი კუთხის გასავლელ კარს, ყოველთვის თვალ-ყურს ადევნებენ მგზავრებთა მიმოსვლას და მასთან იმასაც კითხულობენ, თუ მგზავრებში ქართველის ტომისანი ვინ არიან, იგინი სადა სცხოვრობენ, რამდენი კომლი და რა გვარ პირობებში არიან მოთავსებულნი. ამიტომ ამ სოფლის ქართველ სპარსელებმა უფრო ყველაზედ უკეთესად იციან ის გარემოება, თუ სპარსეთის ადგილებში სად რამდენი ქართველთ სოფელია დაშთენილი და მასში რამდენი მოსახლე ქართველნი სცხოვრობენ.

მთელმა სპარსეთის ერმა და ნამეტურ ქართველ სპარსელებმაც კარგათ იციან ის გარემოება, რომ სოფელი აბას-აბატი არის ერთათ ერთი გზა, რასაც ვერც ერთი სპარსელი და სპარსელი ქართველი ვერ ასცდება სადმე წასვლას, რომ ამ გზაზედ არ გაიაროს, ამიტომ ქართველ სპარსელნი თავიანთ თავის, თუ ქართველ სპარსელთა ვინაობის გასაცნობათ ამ გზას დიდს მნიშვნელობას აძლევენ და მართლაც ამ გზით ქართველებს შემთხვევა აქვთ ყოველთვის, რომ თვის თანამემამულეთა და თანამეტომეთა საცხოვრებელი ბინა სადგური ეძიონ და იცოდნენ თუ მთელს სპარსეთში ქართველთა შთამომავალნი დღეს სად ვინღა სცხოვრობს.

დიახ, სოფ. აბას-აბატელებმა კარგად იციან ის ისტორიული გარემოებანი, თუ სპარსეთის ვრცელს ადგილებში, ქართველთ სოფლები სად არის დაშთენილი და ქართველი ტომის მონათესავენი სად ვინ სცხოვრობს. ამბობენ იმასაც, რომ ზოგს სოფლებში ქართული ენა დღემდი აქვსთ დაცული, ასეთი სოფლების ცნობა ჩვენ არ მოგვეძევება.

ყარამან კიკნაველიძე

ყარამან კიკნაველიძე
ქართველები სპარსეთში (დასასრული)

(სახალხო საქმე, 1917, N18, 18 აგვისტო)

ჩვენ წავიკითხეთ წიგნები: „ქართველები სპარსეთში“ ზ. ჭიჭინაძისა მესამე გამოცემა 1908 წ. და ე. ალნიაშვილის „მოგზაურობა სპარსეთში“, მაგრამ არც ერთ ამ წიგნებში ჩვენ ვერ ვნახეთ ამ სოფლების აღნუსხვა, ამიტომ გაცნობებთ ამ სოფლების აღწერას.

კასპის ზღვის პირას, 7 ვერსის მანძილის სიშორით, სოფელ ზავადში სცხოვრობს 30 კომლი ქართველობა. ამ სოფლის ბეგს ეწოდება აინალ ბეგი, ტომით ქართველია.

ამ სოფლის იქით, ზღვის პირასკე, 100 ვერსზედ, ჩალუმის წყლის შეყოლება სოფ. ორანგში სცხოვრობს 200 კომლი ქართველი მაჰმადიანი.

ამ ჩალუმის წყლის პირიდან გზა გადის თეირანისაკენ, ამ გზას ეწოდება შაჰაბაზის ძველი გზა. ამ გზაზედ მალლა მთაზედ არიან სოფლები, სადაც სცხოვრობენ ქართველი მაჰმადიანები 540 კომლი. ეს სოფლები ეკუთვნის სეფერტარს, რომელიც დღემდე სამხედრო მინისტრი იყო თეირანს. აქეთვე არის სოფლები დილირ და ანგრო, სადაც სცხოვრობენ ქართველი მაჰმადიანები.

ამ სოფლების იქით, 40 ვერსზედ არაყის თემში არის სოფლები: შანაბარ, ახორ, ყოიმან და სხვა სოფლებიც მრავლად, სადაც სულ იქნება 5000 კომლი ქართველი მაჰმადიანები, ამ სოფლების ხანებიც ქართველები არიან ტომით.

კვალად კასპის ზღვის ნაპირებს, ჩალუმის წყლის შეყოლება, მაზანდარანისაკენ, სამოც ვერსზედ, სოფლებ ალამლე და სოლომლეში სცხოვრობენ ქართველი მაჰმადიანები, რიცხვი ვერ ავნუსხეთ.

ამ სოფლების მოშორებით, 50 ვერსის მანძილზედ, ბაგრუმის სიახლოვეს, სოფ. ამოლში სცხოვრობენ ქართველი მაჰმადიანები, რიცხვი ვერ შევიტყეთ.

ბაგრიდან ქალაქ საამისაკენ გზაში დაშთენილია სხვა და სხვა სოფლები, სადაც ცოტ-ცოტა ქართველები სცხოვრობენ.

საამიდან 50 ვერსზედ, მთაში, სავდიკურის თემში სცხოვრობენ ქართველი მაჰმადიანები, რიცხვით 400 კომლი. ეს ხალხი გადასახლებულნი უნდა იყვნენ შაჰაბაზის დროს, რადგანაც მისგან ბოძებული ფირმანებიც აქვთ მამულების შესახებ მიღებული.

სარადამ მაზანდარანს, ზღვიდან შვიდ ვერსზედ არის სოფლები გურჯი მეჰელე ე.ი. ქართველების სოფელი, სადაც სცხოვრობს 800 კომლი. ამ სოფლიდან 9 ვერსის მოშორებით, ზღვის სიახლოვეს, ქალაქ აბრაგში, არის დიდი სასახლე შაჰაბაზისა და ციხე. ამ სასახლეს და ციხის ირგვლივ არის ქართველების სოფლები, სადაც ცხოვრობენ 250 კომლი ქართველი მაჰმადიანები. აქედან 70 ვერსზედ, აშტრაბადის თემში, ზღვიდან ხუთ ვერსზედ, არის სოფლები, სადაც სცხოვრობენ თურქმენები. ამ თურქმენებში არის ერთი სოფელი ბაშუსტა. ამ სოფელში სცხოვრობს 200

კომლი ქართველი მაჰმადიანი. ესენი აქ გადმოსახლებულან აშტრაფოდან, ამიტომ ეს ქართველი მაჰმადიანები თავიანთ თავს აშტრაფელად იწოდებენ.

ყარამან კიკნაველიძე

***

სპარსეთის ქართველები – გაზეთი „კლდე“ მოკლე ინფორმაციას აქვეყნებს ქართველთა მდგომარეობის შესახებ სპარსეთში. როგორც ჩანს, ამ დროისთვის კონტაქტები სპარსეთში მცხოვრებ ქართველებთან აქტიურია. ქართველთა რაოდენობად დასახელებულია 100.000. წერილის შინაარსის მიხედვით, ამ სათვალავში შესაძლებელია ერთნაირად იგულისხმებოდნენ როგორც ახალი მიგრანტები საქართველოდან, ისე ძველი, ისტორიული მიგრანტების შთამომავლები.

სპარსეთის ქართველები

(გაზეთი კლდე, 1920, N13, გვ.2)

ქ. თეირანიდან გვწერენ, რომ მთელ მთლ სპარსეთში ქართველების მდგომარეობა უკანასკნელ დროს უაღრესად აუტანელი შეიქმნა; ქართველებს არსად არ ჰყავთ თავის უფლებების დამცველი; მთავრობა (განსაკუთრებით ადმინისტრაცია) უმართებულოდ ავიწროვებს ქართველობას, სპარსელები ქართველებს რუსების ქვეშევრდომებად სთვლიან, ბევრმა ქართველმა დევნა შეევიწროებისგან თავდასხწევად სპარსეთის ქვეშევრდომობაც კი მიიღო, საერთო, ცნობების მიხედვით ქართველობის რიცხვი მთელ სპარსეთში 100.000 მდე ადის.

***

ქართველები სპარსეთში – სოსო ასლანიშვილის წერილი მნიშვნელოვანია ორი თვალსაზრისით, მას უშუალოდ სეიფოლა იოსელიანისგან აქვს აღებული ინტერვიუ და საინტერესო ცნობებს აწვდის მკითხველებს. ამას გარდა, ის თავისი წერილის ბოლოს ათავსებს იოსებ ჭეიშვილის მიერ ფერეიდანში მოპოვებული მასალიდან რამდენიმე ნიმუშს. სამწუხაროდ, ჭეიშვილის მიერ ჩაწერილი მასალა მთლიანად დაიკარგა გაურკვეველი მიზეზის გამო და ამ ნიმუშებსაც ვერ ვნახავდით, სოსო ასლანიშვილს რომ არ გამოექვეყნებინა გაზეთში; წერილში კითხვა-პასუხი ზოგჯერ ერთ სტრიქონადაა წარმოდგენილი. ჩვენც ასევე დავტოვეთ, უცვლელად.

სოსო ასლანიშვილი
ქართველები სპარსეთში

ინტერვიუ სპარსელ ქართველთან სეიფოლა ხან იოსელიანთან

(ბახტრიონი, 1922, N18, ორშაბათი, 6 ნოემბერი, გვ.2-3)

გუშინ ჩვენს რედაქციას ესტუმრა სპარსეთიდან შაჰაბასის დროს (1617წ.) გადასახლებულ ქართველების წარმომადგენელი სეიფოლხან იოსელიანი. უკანასკნელი ჩამოვიდა საქართველოში ქ. ისფაჰანაში (ასეა!) მცხოვრებ ქართველ მოქალაქის პარმენ მანჯგალაძის დახმარებით, რომელსაც მოუვლია თვითონ სპარსეთის ის ერთი ნაწილი, სახელდობრ, ფერეიდანის მიდამოებში მყოფი ქართველთ სოფლები, გასცნობია მათ ცხოვრებას და სწორედ მის ახლო მონაწილეობის მიღებით სეიფოლ ხანთან ერთად გამომგზავრებულა ტფილისში. ერთი თვის განმავლობაში მოუხდათ მათ თურმე მგზავრობა ფერეიდანიდან. სამხრეთ სპარსეთიდან ისფაჰანით ქ. რეშტზე და იქიდან ბაქოზე. სეიფოლა-ხან იოსელიანია სათანადო თხოვნით, რომელზეც დასტური და სათანადო ბეჭდები აზის ფერეიდანის 14 სოფლის ქართველ მცხოვრებლების და მათი ხელმძღვანელობის, (უკვე წარუდგა საქართველოს მთავრობას)[154].

ჩვენ ვინახულეთ ჩვენთვის იშვიათი სტუმარი, რომელიც ეწვია გაზეთ „ბახტრიონი“-ს რედაქციას, და გვქონდა მასთან საუბარი.

სეიფოლახან იოსელიანი კარგად ლაპარაკობს ქართულად, იმ განსხვავებით რომ მას აქვს ძველი კილო.

ჩვენს შეკითხვებზე, მან მოგვცა სათანადო ახსნა განმარტება, რომელიც საჭიროდ მიგვაჩნია მკითხველთ გავუზიაროთ.

– რამდენი სოფელია ფერეიდანში ქართული?

თოთხმეტი ქართული სოფელია: ზემო მარტყოფი, ქვემო მარტყოფი, თელავი, ბონი[155], აფუსი, ჩუღრეთი, სიბაქი, ჯაყჯაყი, დაშქესანა, ნინოწმინდა, ახჩაი, შავუხრდი (ასეა!), ადაგოლი, ბაგდანი[156].

– რომელია ყველაზე დიდი სოფელი და რამდენი კომლით?

სოფელი ზემო მარტყოფი, სადაც მოსახლეობს ათასზე მეტი კომლი.

სულ რამდენი იქნებით ფერეიდანის მიდამოებში ქართველები. ახლა ვართ 30-32 ათასი (ასეა!).

სხვაგან კიდევ თუ არიან ქართველები სპარსეთში? არიან. მაგალითად ხვარასანისაკენ, თეირანის ზემოთ რეშტიდან სამხრეთის მიმართულებით, მაგრამ ისენი ჩვენგან ძლიერ დაშორებული არიან და ენაც დავიწყებული აქვთ.

---

154. წერილში ფრჩხილი დახურული არაა.

155. იგულისხმება სოფელი ბოინი, არასწორად ჩაწერილი.

156. იგულისხმება ბაღდანი, არასწორად ჩაწერილი.

ჩვენ სოფლებში ქართულს ლაპარაკობენ, ზოგიერთმა წერაკითხვაც იცის დარჩენილი გვაქვს ადრე ჩამოტანილი ქართული წიგნები.

სწავლის საქმე როგორ არის?

სახლებში სწავლობენ. მაგრამ ჩვენ გვინდა ქართველი მასწავლებლები, ასეთები კი არა გვყავს. საერთოდ ნასწავლი ხალხი ჩვენში არ არის.

რა გვარებია დარჩენილი თქვენში დღემდის?

იოსელიანი, ხუციშვილი, ბათუაშვილი, ბაბუნაშვილი, გუგუნაშვილი, მაყაშვილი, ბახშიაშვილი, ონიკაშვილი, გულიანი, მიქცაძე, გოგოჩაშვილი და სხ.

თქვენ ქართველები ეძახით თქვენ თავს?

ჩვენ ადგილს, იმ 14 სოფელს, საქართველოს[157] ვეძახით, ის ჩვენი საქართველოა; სპარსელები კი გურჯისტანს ეძახიან; ჩვენს გვარებს, როდესაც საქმე გვაქვს ვისმესთან, ყოველთვის თან ურთავენ სიტყვას „გურჯი“.

„ჩონი საქართველო სუ თქვენყე იყურება“ / ამბობს სეიფოლა ხანი. ჩვენ გვიყვარს საქართველო, ჩვენ ვიცით, რითია გამოწვეული ჩვენი სპარსეთში გადასახლება, რომელიც მოხდა შაჰაბასის დროს. ეს გიორგი საკაშვილის (ასეა!) ბრალია სულ, რომელიც მაშინ იყო ხელმწიფის კაცი. არასოდეს დაგვავიწყდება ჩვენ საქართველო. ჩვენში როდესაც ჩამოვა საქართველოდან ვინმე სპარსელი, სულ ხუთ საათს საქართველოზე ვალაპარაკებთ. ჩვენ გავიგეთ რომ საქართველოს უკვე რამდენიმე წელიწადია ქართველები განაგებენ, ეს ჩვენ გვახარებს. მე დიდი ხანია მინდოდა წამოსვლა საქართველოში, მაგრამ ვერ მოვახერხე და როდესაც გავიგე, რომ ისფაჰან ქალაქს რამდენიმე ქართველი ყოფილა, წავედი ამბის გასაგებათ, გავეცანი მათ, გავიგე ყოველივე, მაგრამ უნდა ისევ უკან წავსულიყავი, რადგან გავიგე რომ ჩვენებს ჩხუბი ჰქონიათ ბახტიარებთან. ეს იყო ზაფხულში. შემდეგ ჩამოვიდა ბატონი მანჯგალაძე ჩვენ საქართველოში და იქ აგვიხსნა ყველაფერი, რის შემდეგაც გამობრუნდა. ჩვენც დავწერეთ სათანადო ქაღალდი ყველა სოფლების დასტურით და ჩამოვიტანე ისფაჰანში, საიდან ერთად ორივენი მე და მოქ. მანჯგალაძე წამოვედით საქართველოში.

– რას მუშაობთ?

ყველანი მიწის მუშები და მწყემსები არიან. ვთესთ პურს და ქერს და ვეწევით მესაქონლეობას.

– შეძლებულათ თუ ცხოვრობთ?

გვაქვს ჩვენი მამული, სახლ-კარი გაჭირვებულად არ ვცხოვრობთ ამ მხრივ, ჩვენ საზრდო მუდამ გვაქვს, მხოლოდ ეს არის ბახტიარები?

ესენი არიან ქურთები, რომელთაც დიდ ძალი იარაღი და შეძლება აქვთ და ფერეიდანის მიდამოებში მათ ვერავინ ვერას აკლებს. ცხოვრობენ ბანაკებათ კარვებში და ჩვენ ზოგიერთ სოფლებს, რომელიც მათის გადაღმა მდებარეობენ ესხმიან, სახლებს

157. ლადო ალიაშვილის მოგზაურობისას მარტყოფში არ იცნობდნენ „საქართველოს“. სავარაუდოდ, სეიფოლა იოსელიანის მსჯელობა გიორგი საკაძეზეც წიგნებიდან შეძენილი ცოდნას ეყრდნობა და არა ფერეიდნელთა კოლექტიურ ისტორიულ მეხსიერებას.

სწვავენ, ართმევენ ცხვარს, მიჰყავთ ტყვეთ ჩვენები და მის გამოსაყიდ ფულს თხოულობენ. ხშირად გვაქვს მათთან ზაფხულში ომი, ჩვენც გვიხოცავენ ხალხს, მაგრამ არც ჩვენ ვაკლებთ. ეს არის, რომ იმათ იარაღი აქვთ ბლომათ. ინგლისელებიც ეხმარებიან.

ახლა ჩვენი სურვილია სპარსეთის მთავრობასთან, როგორც რომ სომხებს, ურიებს, რუსეთს ყავთ თავისი „პონსოლი“ (ასეა!), ჩვენც დაგვინიშნონ ესეთი კაცი რომელიც ჩვენს მაგიერათ ილაპარაკებს. ამასთანავე მასწავლებელი და ექიმი – ესეც ჩვენთვის აუცილებელია. მაშინ გვეცოდინება რომ ჩვენ ქართველებთან გვაქვს კავშირი. აი ამ მიზნით ჩამოვედით საქართველოში.

ასეთია განზრახვა ჩვენი უჩვეულო სტუმრისა, ჩვენი ძმისა, რომელიც ამბის გასაგებათ და თავის მოძმეთათვის სათანადო დახმარების მისაღებათ. (ასეა!) მაშ მივხედოთ მათ. ნუ ვაყოვნებთ. მთავრობამ უნდა მიიღოს სათანადო ზომები დაუყოვნებლივ.

სოსო ასლანიშვილი

II

ხალხური სიმღერები[158]

(ჩაწერილი ს. თოლერში ბალრხანისაგან)

I. კავები გაქ ბურმან ბურმა,
თოლები გაქ სურმა სურმა,
აკვანი გაქ ხიარული,
შიგა წევხარ დახატული.
II. მოხელე ქა-ტყე ჰაიარე
ჩემ გულჩი შენ გაიარე
წახელ და შემოიარე.
III ყოლბაღი გეცო ყელზეგა,
აშრაფი გება ყელზეგა,
ხელი მეგეცა ხელზეგა,
ან ერთი ხელი წელზეგა
შენა ხარ ჩემი დელბარი,
ხელსაყენ შემოიხსენ ტარი.
IV. გადაიოდნენ-გადმოდიოდნენ ჩიტები, მე შენ შეგეჭიდები.
გადიოდ გამოდიოდნენ კაკბები, შენ კი ჩაგეკოკები.
გადიოდ-გამოდიოდნენ ყორნები შენ კი შეგვეყარები.
გაჰხტიან-გამოხტიან ციცები, მე შენ ღაგეფიცები[159] (ასეა!).
ვაშლი დავდე კოკაზე მე გაკოცე ლოყაზე.

---

158. ამოღებულია ბ. იოსებ ჭეიშვილის დაუბეჭდავ თხუზულებიდან (ასეა!).

159. სავარაუდოდ უნდა იყოს „შენლა გეფიცები“.

ენქით მოვიდეს მელები მე შენ დაგემალები.
შენ რო იყავ ჩემი თოლი, შენ წაიღე ჩემი გული.
მე რომ ვიყავი შენი ხანი, შენ წაილე ჩემი ჯანი.
შენ იყავი ჩემი ძოლი, შენზე მეჭირა მე თოლი.
შენ რო იჯედ რუის პირზე, ხალი გეჯდა გულის პირზე.
V. მიხიდოდი რუზეგა,
მობრუნდი გეელო თავზეგა;
კალათა გეცო ხელზეგა
მიხიდოდი კალოზეგა. შენა ხარ ჩემი დილბარი,
დილბარი ხარ...
VI. მაღალ გომზე დაგინახე
ამანათი შეგენახე,
ბარი გეგედვა მხარზეგა
მიხიდოდი სარწყავზეგა.
გავრანი გეგედვა მხარზეგა,
მიხიდოდი სახნავზეგა,
მობრუნდი გეელო თავზეგა,
შენ ჩემი დილბარი,
დილბარი ხარ...

სიტყვების ახსნა

ბურმა ბურმა – ხუჭუჭი. ქა ტყე – ამ ქუჩისკენ, მოხელე – მოხველ. ყორი – ქალი. დელიბარი[160] – ვაჟკაცი. მეგობარი. ყოლბალი – სამაჯური. აშრაფი – ფარლული. ან[161] – ის. ტარი – თითისტარი. გოყმი[162] – ბანი. ამანათი – საიდუმლო. გავრანი – სახრე.

***

სეიფოლა იოსელიანი – ეს მოკლე ინფორმაცია სეიფოლა იოსელიანს ეხება, თუმცა ასევე ნახსენები არიან სხვა ფერეიდნელი ქართველები, რომლებიც საქართველოში ჩამოვიდნენ უფრო ადრე. მათი ჩამოსვლის წლები არასწორადაა წარმოდგენილი, 1871 წელს ჩამოვიდა საქართველოში ათამ ონიკაშვილი, 1907 წელს კი ჩამოვიდნენ ყოლამ ჰუსეინ ონიკაშვილი და ყოლამ რეზა ხუციშვილი.

160. დელბარი – გულის წამლები ანუ ლამაზი, ტურფა, სატრფო

161. შეცდომაა. უნდა იყოს ან.

162. შეცდომაა. უნდა იყოს გომი.

სეიფოლა იოსელიანი

(ბახტრიონი, 1922, N 20, გვ. 3. კვირა 19 ნოემბერი)

სეიფოლა იოსელიანი 34 წლისაა. აღზრდილია სპარსეთში. სწაელა განათლება მიიღო სპარსეთშივე. მშვენივრად იცის სპარსული, არაბული და სხ. ქართული წერა კითხვაც სპარსეთში შეისწავლა ღადო აღნიაშვილის მიერ ჩატანილ წიგნებიდან. ქართულს მეტად სუფთად ლაპარაკობს. ცოლშვილიანია, უპირებია შვილების წამოყვანა თბილისში და აქ სასწავლებელში მიბარება.

სეიფოლა იოსელიანის შუამდგომლობ(ა)ს მთავრობა დადებითად შეეგება და მოკლე ხანში ფერეიდანში გაიგზავნება მთელი ექსპედიცია მასწავლებლებისა ექიმებისა და სხვ.

აქვე მოვაგონებთ მკითხველებს, რომ ფერეიდანიდან პირველად ჩამოვიდნენ: ონიკაშვილი და ხუციშვილი 1874წ. შემდეგ ყოლა ჰუსეინ ონიკაშვილი და ყოლა მრეზა სუციშვილი 1904წ. ახალგაზრდა მოწაფე მაყაშვილი 1907წ. შემდეგ მამა და ბიძა მაყაშვილები სოლო დღეს ბ. სეფელა (ასეა!) იოსელიანი.

***

სეიფოლა იოსელიანი
სამშობლო

(გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი, 1922, N3, გვ.3)

სამშობლოს ხილვით აღტაცებული სეიფოლას ლექსი ხოტბა სამშობლოში[163]
სამას ორმოც წელს უკან
სამშობლოზე მოვსულვარ ეხლა!
ფეხი დავდგი სამშობლო ცხელი
თოლებსა-ყე წამოვიდა ცრემლი,
გულო რა გინდა ეხლა?
ფეთქავ სულითა ეხლა!
თავო ფიქრი რა გაქ შენ ეხლა
ყოფილიყავ ოჯახით ეხლა!
ველარ დავთმობდი გულს
გადავაბიჯო ეგეთ ალაგსა,
თოლო ხედავ რასაცა

163. *)სეიფოლა იოსელიანი ეხლახან გვესტუმრა სპარსეთიდან. ეთავსებთ მის ლექსს მართლწერის შენახვით.

ყოფილა ჩონ გვარისა.
ყურო რა გესმის შენა?
მე მესმის ქართული ენა!
სამშობლოზე გა, ვართო.
ჩონ ძმებანა ვართ ახლო.
გულო არამც დაგაკლდეს,
ფერო არამც მეგეხმოს,
კიდევ იმედი არი,
სამშობლოსი ვართ ერთ!..
გული მქონდა მე ცხელი,
საქართველოს მოველი,
თუკი შევიძელ ეხლა
კავშირს შევკრავ მე ეხლა,
ხელი არ აილებისა.
სამშობლოსი ძმებისა:
ხელი როგორ აეილოთ
ძმებათ უნდა მივილთ.
როგორც ყოფილა წინათ,
ყოფილა ჩონი მიწა!..
სეიფოლა იოსელიანი.

4 დეკემბერი
სასტუმრო „ნოე“.

***

ნიმუში ფერეიდანის ქართული ენისა – გაზეთ ლომისში გამოქვეყნებული ვარლამ თოფურიას სტატია ენათმეცნიერული ხასიათისაა. ზოგადი მიმოხილვის შემდეგ საუბარია ენობრივ თავისებურებებზე და დაანონსებულია არნოლდ ჩიქობავას გამოკვლევის დაბეჭდვა, ასევე ტექსტების გამოცემაც. როგორც ჩანს, ვარლამ თოფურია გულისხმობს სტატიას „ფერეიდნულის მთავარი თავისებურებანი“, რომელიც არნოლდ ჩიქობავას უნდა გამოეცა მუსლიმ ქართველთა კულტურული დახმარების საზოგადოების მიერ დაანონსებულ კრებულში ფერეიდნისა და ფერეიდნელი ქართველების შესახებ. ეს კრებული, სამწუხაროდ, არ შედგა და არნოლდ ჩიქობავამ მხოლოდ 1927 წელს დაბეჭდა ტფილისის უნივერსიტეტის მოამბის N7 ნომერში. ვარლამ თოფურია აქვეყნებს ფერეიდნულ ტექსტებს, რომლებიც სხვა ტექსტებთან ერთად მოხვდა 1961 წელს ქართული დიალექტების ქრესტომათიაში. ტექსტებს ახლავს ლექსიკური ერთეულების განმარტება, არნოლდ ჩიქობავას მსგავსად ვარლამ თოფურიაც სეიფოლა იოსელიანის ტექსტებს ეყრდნობა.

ვარლამ თოფურია
ნიმუში ფერეიდანის ქართული ენისა

(ლომისი, 1922, N16, 17 დეკემბერი)

ჩაწერილია ტფილისში ჩამოსული ბ. სეიფოლა ხანი იოსელიანის თქმით. იგი წარმომადგენელია ფერეიდანის (სამხრეთი სპარსეთი) ქართველთა თოთხმეტი სოფლისა, სადაც ისინი შაჰ-აბაზის მიერ 1617 წ. საქართველოდან გადასახლებულნი იყვნენ. დღეს რიცხვობრივად აღემატებიან 30-32 ათასს. დაუცავთ საქართველოში არსებული გეოგრაფიული ნომენკლატურა, გვარები, ზნე-ჩვეულება და ენა[1]; ამ უკანასკნელზე კი, როგორც მოსალოდნელი იყო, სპარსულს საკმაო გავლენა მოუხდენია. ფერეიდანის ენას პროფ. აკ. შანიძის დავალებით სწავლობს ბ. ბენედიქტე ჩიქობავა; გამოკვლევა და ტექსტი დაიბეჭდება ცალკე, ამიტომ ენის თავისებურობა არ იქნება აქ აღნიშნული. ენის შესწავლის განზრახვა დიდი სიმპატიით მოეპყრო ბ. სეიფოლა ხანი. [ქვემო დართული განმარტებული სიტყვები სპარსულ ლექსიკონს არაა შედარებული].

თქმანი[2]

1. პირალმათმა თქო რო: მე კაციო არ მინახაო, – ძრიალ ცოტა მინახაო; თავქემ უთხრა რო: მეო ნამარდი[3] არ მინახაო, რო არ კაცი იყოს.

2. ჯელი ჯელს დაიბანსო, ჯელი დაბრუნდების პირს დაიბანსო.

3. თოვლმა უთხრა ბალახსა რო: სადა ხარო, რო ზაფხულის იგრე ბიბინებდიო? – ბალახებმა და პიტნამ, ფამფარამ[4] და ყინწორამ[5] ოუკიელეს რო: მართლა ამბოფო? დღეს ხო შენ' დღენიაო. თუ ჩონ' დღეც მოიდაო, ახირ[6] გეტყიითო.

ნაურუზის[7] პირათ მზე რო დადგა თოვლებს, თოვლებმა რო დაიწყვეს გაწყალება, პიტნამ ომოუკიელა რო: აი, თოვლოო, რას აკეთეფ/ბო (ასეა!) და რა დღეჩიგა ხარო? თოვლმა ჩამოუკიელა წრილად: რა გითხრა, ამხანაგოო, ცეცხლი ჩამვარდნია გულ-მუცელჩიგაო, რო ალარა მესმის რაო. პიტნამ უთხრა რო: ნამაი[8] დღეჩიგა კი გნახეო. – თქო: მართლა ამბოფო!..

4. ციცა და შირი[9]

ერთი ციცა მივიდა შირთან. შირმა უთხრა რო: ციცავ, რას ეგრე დაჩაგრულხარო და დაბაიტავებულხარო[10]? უთხრა: რა ვიცი, ყეენი იყოს სალამათადაო[11]. რა გითხრაო, რო ერთ' აგეთი ადამიზადის[12] ხელჩიგა მიესულვარო, რო ხოშ[13] ესეც ღა ვარო. შირმა უთხრა რო: მაგი როგოია ადამიზადიო, მაგი რას იქსო? უთხრა: რა გითხრა ბატონოო, თუ მელი[14] გაქ – წავიდეთო და ნახეო, რაფერია ადამიზადიო. – წავიდეთო! აიყვანა და წამოვიდეს თავქე, მიადგეს ერთი მორწყავს და უთხრა რო: ეს არიო, ადამიანიაო. მივიდეს ახლო. შირმა უთხრა ადამიზადსა: ქენაო (sic!) რას ეგდენ ალონებყე ჩემ ჰამჯენსებსაო[15]? ადამიანმა უთხრა რო: მაგე თუ მინდოდესო, შენ კი ვერ გიზამ ეგრენაო. შირმა უთხრა: აბა მოდი ახლოო! ადამიანმა უთხრა რო: იციო რო ჩემი ესპაბი[16] თან არა მაქო და იმისთი მოდიო? მაშ დამაცალე, წავიდე, შუღლის იარაღი მოვიტანო და მაშინ ვიშულლოთო. შირმა უთხრა: წა, მაიტაო! კაცმა უთხრა: ჰა გინდა

გემექცეო თა[17] წავალ მოვიტანო? შირმა უთხრა რო: არაო, არ გეგექცეეიო. ადამიანმა უთხრა რო: მაშ იცი რას ვიქო? მაიტა მიგაკრავ ხეზეგაო, რო არ გემექცე თა მოიდეო. შირმა დაყაბულდა (sic!): ჰო, მოდიო, როგონაც გინდა მიმაკარ ხეზეგაო. წავიდა ეხლა კი კაცმა (sic!) და ერთი საბელი აიღო და შირი მიიყვანა ხესთან და უთხრა: მიგაკრავ, წავალ, ესპაბს მოვიტან და აგხსნი და ვიშეულლოთო. შირი ეეკრა ხეზე და იმან საბელი დაახუა შირსა და ხესა. ელა[18] რო დაამაგრა, რო არა ეეხსნებოდა შირი, გადგა ქენარზე[19] და მაიტაცა ბარი, დოუშინა შირსა. სცისყე და დაიღალისყე, დაჯდისყე რო დაისენოს, გერივ[20] ადგეს და სცეს. შირმა უთხრა რო: შენ ხო დამატყუილეო. სთქიო რო: „წავალ, ესპაბს მოვიტან და ვიშეულლებთ„ო. ადამიანმა უთხრა რო: ჩემი ესპაბი ელეს იყოო: რო შენ მიგაკრა ხეზეო, და დოუშინა გერივ. შირმა ციცას მიხედნა და უთხრა: ეი, ძმაო, აწ ღაო შენოდენი რო შავიქნები ი მაშინ კი გამიშებს ღაო? ციცამ უთხრა: რა ვიცი ბატონოო, თავის მორჩათზე[21]ლა ჰკიდიაო. და შირმა უთხრა რო: ძმავ, მართლა ამბობდიო, ჰაყი[22] გაქონდაო. იმ კაცმა სცა და ნაჰისაყე[23] გაიყვანა.

ვ. თ-ფ-ია.

14/XII-922 წ.

1) იხ. გაზეთები: „ტრიბუნა“ NN334, 337, 341, 344, 346; „ბახტრიონი“ N18; „კომუნისტი“ (ქრონიკაში) N255; „მუშა“ N22 და „ბრძოლა“ (დეკემბრის თვისა; გამოდის ბათომში). ლ. აღნიაშვილის წერილები ჟურ. „ივერია„-ში; ზ.ჭიჭინაძე, ქართველები სპარსეთში, თბილისი 1907 წ.

2) ტექსტი შდრ. „ბახტრიონ„-ში (N18) დაბეჭდილ ხალხურ ლექსებსა და ბ. სოსო ასლანიშვილის მიერ „ტრიბუნა„-ში მოყვანილ ციტატებს.

3) ნამარდი (სპ. ناموس) არა კაცი.

4) ფამფარა ძირიანი ბალახია, იჭმება. რაფ. ერისთავით Краткій груз. русско лат. словарь, Тфл. 1884) Scorzonera hispanica.

5) ყინწორა ბ. სეიფოლა ხანის ახსნით: „წმინდა ბალახია, რო ზაფხულის ქალები გაიშლებიან და დაჰკრეფენ და სჭამენ; თავის თეროსაც (ძირი), რო ძირი იყოს, იმასაც ამაილებენ მიწასაყე, ტკბილია, ისიც იჭმება=(?) (ასეა!) რ. ერისთავით (ibid) ყინტორა Chaerophyllum Sylvestris.

6) ახირ (არაბ. آخر) ბოლო, უკანასკნელი.

7) ნაურუზი (სპ. نوروز)[164] ახალი დღე, ახალი წელი). ნაურუზის პირი – გაზაფხულის პირი (1 მარტიდან). დრონი: ზამთარი, გაზაფხული (//თაუსტანი // თაბესტან სპ. تابستان).) და შემოდგომა (//ფაიზი სპ. پاییز).

8) ნამაი ღამაზი.

9) შირი (სპ. شیر) ლომი. ეს მოთხრობა ძალიან გავრცელებულია აღმოსავლეთში. შდრ. კატაჲ და ლომ (მ. ჯანაშვილი, საინგილო. ძველი საქართველო. ტ. II. ტფილისი 1911-1913. გვ. 184-186).

164. არასწორია. უნდა იყოს نوروز

10) ბაიტა ჰატარა

11) სალამათი (არაბ. سلامة) ჯანმთელი (ასეა!)

12) ადამიზადი (არაბ.-სპ. آدمیزاد[165] ადამიანი, გაჩენილი, არსება.

13) ხოშ (სპ. خوش) კარგი, სასიამოვნო.

14) მელი (არაბ. ملی) ნდომა, სურვილი.

15) ჰამჯენი (სპ. – არაბ. همجنس) ერთი ჯიში, ერთგვარი, ერთნაირი.

16) ესპაბი (სპ. اسپاسا)[166] იარაღი.

17) თა (სპ. تا) ვიდრე, სანამ.

18) ელა ეს (?) (ასეა!).

19) ქენარი (სპ. کنار) გვერდი, ნაპირი

20) გერივ კვლავ, ისევ. შდრ. თუშური: გარევ (ა. შანიძე, ქართული კილოები მთაში: კრებული, ტფილისი 1915, გვ. 196).

21) მოროვათი (არაბ. مروة) შაბრალება, სულგძელობა (ასეა!).

22) ჰაყი (არაბ. حق) სიმართლე, სისწორე.

23) ნაჰი (სპ?)[167] სიკვდილის პირამდი მიყვანილზე იტყვიან: „ნაჰი არა ჰქონდა“, ჰარაქათ გამოლეული; ძალზე მისუსტებული.

***

კულტურულ კავშირისათვის – საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს ყოველდღიურ გაზეთში გამოქვეყნებული ინფორმაცია ფერეიდნელი ქართველის ჩამოსვლისა და, ზოგადად, ფერეიდნელთა ქართულ საზოგადოებასთან ინტეგრირების შესახებ მეტყველებს იმაზე, რომ ახლადშექმნილი საბჭოთა მთავრობა მოხარულია ამ კონტაქტების აღდგენისა, ცდილობს, გაემიჯნოს რევოლუციამდელი ხელისუფლების პოლიტიკას და თავისუფლების იდეით უერთდება სპარსეთში მცხოვრებ ქართველებთან კავშირების აღდგენას.

როგორც სხვა შემთხვევებში შეგვხვდა, აქაც შეცდომითაა მითითებული ხუციშვილისა და ონიკაშვილის ჩამოსვლის წელი, ისინი ჩამოვიდნენ 1907 წლის იანვარში და რვა თვის შემდეგ უკან გაბრუნდნენ. ხუციშვილი მალევე გარდაიცვალა თეირანში, ხოლო 1910 წელს საქართველოში ონიკაშვილი ჩამოდის, რომელიც რევოლუციური იდეების გამო მართლაც დააპატიმრეს და ძლივს მოხერხდა მისი გათავისუფლება.

---

165. არასწორია. უნდა იყოს آزمده

166. სპარსული არაა, არაბულია.

167. ნაჰი არაბული სიტყვაა: نهی სპარსულში: რაიმესთვის წინააღმდეგობის გაწევა, შეკაება. ნაჰი არ ჰქონდა – არ ჰქონდა წინააღმდეგობის გაწევის უნარი.

კულტურულ კავშირისათვის

(გაზეთი მუშა, 1922 წ, 15 დეკემბერი, პარასკევი, გვ. 46)

ამ ჟამად ტფილისში იმყოფება სპარსეთის ქართველთა მოციქული მოქალაქე სეიფოლა იოსელიანი.

ის გამოუგზავნია იქაურ ქართველობას, რათა მან იშუამდგომლოს საქართველოს მთავრობის წინაშე, რომ მან მიიღოს ზომები ისტორიული უკულმართობის წყალობით უცხოეთში გადასახლებულ თანამოძმეთა კულტურულ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად.

ეს მეორედ აგზავნის სპარსეთის ქართველობა საქართველოში თავის წარმომადგენელს და მათი შემწეობით სცდილობს მჭიდროდ დაუკავშირდეს ქართველ ერს და ამნაირად გახდეს ქართველი ხალხის კულტურული საუნჯის მოზიარე.

პირველად, თვითპყრობელობის დროს 1908 წელს ასეთ მოქიცულობად ჩვენ მოგვევლინენ მოქ. ხუციშვილი და ონიკაშვილი, რომელთაც დიდი ხანი დაჰყვეს საქართველოში და კერძოდ თბილისში, გაიცნეს ჩვენი მაშინდელი ცხოვრება, საზოგადო მოღვაწენი და დაწესებულებანი.

მახსოვს – ერთი მათგანი კიდევაც დაჰპატიმრა ჟანდარმერიამ და სხვა პოლიტიკურ მომუშავეებთან ერთად მეტეხის ციხეში უკრა თავი, ხოლო იქიდან სპარსეთისაკენ გაისტუმრა დაპატიმრებულები.

ეს იყო 1910 წ.

ასე სამწუხარო ბოლო მოჰყვა სპარსეთის ქართველობის პირველ ცდას საქართველოსთან დაკავშირების საქმეს. მაგრამ, ეტყობა, ეს დაკავშირების სურვილი იმდენად დიდია, რომ ისინი არაფრად აგდებენ პირველ მარცხს და დღეს მეორედ ცდილობენ მათი სულიერი წყურვილის დაკმაყოფილებას.

დღეს ჩვენი ცხოვრების სინამდვილე სულ სხვა სურათს წარმოადგენს, ვინემ თვითმპყრობელობის დროს.

მაშინ საქართველოს მაჯლაჯუნასავით აწვა რუსეთის თვითმპყრობელობა და იმ დროს მამოძრავებელი ძალა – გამარუსებელი პოლიტიკა შეუბრალებლად სდევნიდა ყოველგვარ ეროვნულ კულტურულ მისწრაფებას ქართველი ხალხისა.

ასეთ პირობებში, რა თქმა უნდა, შეუძლებელი იყო რაიმე ნაბიჯი გადადგმულიყო სპარსელ თანამოძმეებთან დასაახლოვებლად.

სამაგიეროთ, დიდმა რევოლუციამ ნიადაგი გამოაცალა რუსულ კაციჭამიობის პოლიტიკას პატარა ერებისადმი და საქართველოს თავისუფალი ცხოვრება მიანიჭა.

ასეთ დროს, როდესაც ქართველი მშრომელი ხალხი თვით არის თავის თავის ბატონ-პატრონი, კულტურული ცხოვრების დარაჯი და ყავარჯენი, ჩვენს სპარსელ თანამოძმეთ და მათ მოციქულს მოქ. იოსელიანს შეუძლიანთ სრული დარწმუნებულნი იყვნენ, რომ საქართველოს მშრომელი ხალხი და მთავრობა უყურადღებოდ არ

დასტოვებს მათ სამართლიან და ბუნებრივ წადილს, ჩვენს შორის კავშირის გაბმის შესახებ და მიიღებენ ყოველივე ზომებს მათი ინტერესების დასაცავად.

სპარსეთი კულტურულათ და პოლიტიკურათ დღეს დაქვეითებულ ქვეყანას წარმოადგენს. იქაურმა ქართველობამ კი იცის, რომ საქართველო დღეს კაცობრიობის უმაღლეს იდეალების მატარებელი ქვეყანაა.

მაშ გაუწოდოთ ძმური დახმარების ხელი სპარსეთის ქართველობას და მით დავუმტკიცოთ სპარსეთის მშრომელ ხალხს, რომ საბჭოთა წყობილება ერთადერთია, რომელიც იღწვის და მუშაობს როგორც მშრომელი ხალხის ნივთიერ ინტერესების, ისე ერის სულიერი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლათ.

სალამი სპარსეთის მშრომელ ქართველობას და მის წარმომადგენელს მოქ. სეიფოლა იოსელიანს.

ე. ტო-ლა.

***

იშვიათი სტუმარი – სტატია საინფორმაციოა, ვარლამ თოფურია ამ სტატიით ბათუმის მოსახლეობას აცნობს ფერეიდნელ ქართველებსა და მათ მდგომარეობას, ასევე აცნობებს ბათუმში მათი წარმომადგენლის, სეიფოლა იოსელიანის ჩასვლას.

ვარლამ თოფურია
იშვიათი სტუმარი

(პროლეტარული ბრძოლა, ბათომი 1922, 20 დეკემბერი, N518, გვ. 2-3)

თვე ნახევარზე მეტია, რაც დედაქალაქ თფილისს ეწვია კარგა ხნის მძიმე მგზავრობის შემდეგ, სეიფოლა ხანი იოსელიანი. იგი წარმომადგენელია იმ ქართველთა, რომელნიც საქართველოდან შაჰ-აბაზის მიერ 1617 წ. გადასახლებულნი იყვნენ ფერეიდანის მხარეს (სამხრეთ სპარსეთშია; თეირანიდან 700 ვერსის მანძილზე). ამით გამჭრიახი სტრატეგი შაჰ-აბაზი ჰლამობდა ქართველოა აღგვას დედა-მიწის ზურგიდან და მათს გამაჰმადიანებასა და გადაგვარებას. – პირველს მიაღწია. მიუხედავად საქართველოდან სრული მოწყვეტისა და ეკონომიურად, თუ პოლიტიკურად სპარსეთისადმი დამორჩილებისა, ფერეიდანის ქართველთ დღემდისაც დაუცავთ ქართული ზნე-ჩვეულება, ენა, რომელსაც სპარსულის გავლენა განსაკუთრებით ლექსიკაში განუცდია. საქართველოში არსებული გეოგრაფიულ სახელწოდებებს და გვარებს რიცხვობრივად სპარსელი ქართველები წარმოადგენენ.

7- 8. 000 კომლს, ე.ი. 30-32 ათასს, რომელნიც შემდეგს სოფლებში მოსახლეობენ: ზემო მარტყოფი (ახურა ბალა), ქვემო მარტყოფი (ახურა ფაი), ჩულურეთი, სიბაქი, ჯაყჯაყი, თელავი, ბოინი, აფუსი, ტაშქესანი, ნინოწმინდა (ქუდგუნაგი), ბადიგანი,

ახჩაი, შაურდი, აღაგოლი. ჩამოთვლილი სოფლების მიერ დაკავებულ ტერიტორიას საქართველოს ეძახიან. აქ ქართველთა შემდეგი გვარებია: იოსელიანი, ხუციშვილი, სეფიაშვილი, ბათუაშვილი, ონიკაშვილი, ლაჩინაშვილი, გუგუნაშვილი, გოგიჩაიშვილი, დავითაშვილი და სხვა. ყველა ამ თოთხმეტ სოფელში მცხოვრებნი ქართულად მეტყველებენ; თუმცა სასწავლებელი იშვიათი მოვლენაა და იქაც სპარსულად ასწავლიან. მაგრამ მიუხედავად ამისა, ბევრმა იცის ქართულ ენაზე წერა-კითხვა. გადმოცემით იციან: თუ რა პირობებში და ვის მიერ მოხდა მათი გადასახლება, ამიტომ წყევლა-კრულვით იხსენიებენ შაჰ-აბაზს...

თვით სეიფოლა ხანი ოცდაათ წელზე მეტი ხნისაა, სპარსულად განათლებული და ქართული წერა-კითხვის მცოდნე. მათ კარგა ხანია ესმოდათ საქართველოს დამოუკიდებლობაზე და განზრახვაც ჰქონია აქ წამოსვლისა, რა მიზნითაც მას მიუღწევია ისფაჰანამდი, მაგრამ, ბახტიარების თავდასხმის გამო, უკანვე დაბრუნებულა. ბახტიარები მეტისმეტად ავიწროვებენ ქართველობას; ესხმიან თავს, ართმევენ ქონებას, ჟლეტენ და ხშირად ხელჩართული ომიც იმართება. განა მარტო ბახტიარები, თვით ქერიმ-შაჰიც შეჰსევია ჯარით და მრავალი ამოუხოცია, ათასობით ქალი და ბავშვი კლდიდან გადაჩეხილა. ამ ფაქტის მოგონება დღესაც შიშის ზარსა ჰგვრის ხალხს.

ამის გამო იქაურ ქართველობას დიდი ხნიდანვე სწადდა საქართველოსთან მჭიდრო კავშირი. რამოდენიმე წლის უკან ამ კავშირის დასამყარებლად საქართველოს ესტუმრენ ა. ხუციშვილი და მ. ონიკაშვილი, მაგრამ ნიკოლოზის ჟანდარმებმა მათ მწარე ხვედრი განუმზადეს. ამით არ შემდრკალან და დღეს მეორეთ გვესტუმრა მათი წარმომადგენელი.

დღეს ბათომში იმყოფება ეს იშვიათი სტუმარი, მას თან ახლავს ჩვენში კარგად ცნობილი მწიგნობარი ზაქარია ჭიჭინაძე, რომელსაც განზრახვა აქვს წაიკითხოს მთელი რიგი მოხსენებებისა მათი გადასახლების ისტორიიდან, ხოლო სეიფოლა ხანს სურს გააცნოს ქართველობას თავიანთი დღევანდელი ყოფა-ცხოვრება. ჩვენ დარწმუნებული ვართ, ბათომის ქართველი საზოგადოება გაეცნობა ამ მოციქულის პირით უკულმართი დროის ბედით განაწამებ ქართველობას, რომელნიც შავბედითმა წერამ გადასტყორცნა შორეულ მხარეს, მაგრამ ჩვენ მაინც ვერ დაგვაშორა, ხოლო მთავრობა ილონებს და, რის მოგვარებაც მათი ხვედრის შესამსუბუქებლათ შეიძლება, გააკეთებს.

ვ. თ - ია.

***

ქართველ სპარსელების მოციქული – სეიფოლა ხანის ჩამოსვლამ გააქტიურა ქართული პრესა, სტატიები იბეჭდებოდა გაზეთებში: ბახტრიონი, ლომისი, ტრიბუნა, მუშა, პროლეტარული ბრძოლა... ტრიბუნა ერთ-ერთი გაზეთი იყო, რომელიც აქტიურად ამუქებდა ფერეიდნელებთან დაკავშირებულ საკითხებს.

ზაქარია ჭიჭინაძე
ქართველ სპარსელების მოციქული

(გაზეთი ტრიბუნა, 1922 წ. ნოემბერი, N334)

ჩვენ ისტორიიდან ვიცით, რომ 1617 წ. საქართველოდან სპარსეთის შაჰაბაზმა ქართლ-კახეთიდან ქართველები აჰყარა და სპარსეთში გადაასახლა.

გადასახლებულთა რიცხვი ზოგის თქმით იყო 1000 კომლი, ზოგის 130 ათასი და მეტიც. ეს ხალხი იქმნა აყრილი და გადასახლებული ბორჩალოს მაზრიდან და ზაქათალის თემიდან. ქართველების მაგიერ იქ დასახლეს სპარსელები და სომხები.

ამის გარდა, იმავ შაჰამაზმა (ასეა!) ქართლიდანაც გადაასახლა ქართველობა სპარსეთში. ქართლიდან შაჰამაზის მამამ თამაზ ხანმა გადაასახლა 800 კომლი, საავალიშვილოდან გადაასახლა 5000 კომლი, საციციანოდან – 5000 კომლი, საერისთავოდან 5000 კომლი. სხვა ცნობები ჩვენ არ მოგვყავს აქ. ყველა ეს ქართველები დასახლეს ფერეიდანს, ხვარასანს და ასეთს შორს ადგილებში, ინდოეთსა და სპარსეთს შუა.

ფერეიდანის ხეობაში დღემდე თავი შეინახა ქართველმა ხალხმა 25 სოფელში, იქ ყველაზედ დიდი სოფელი არის მარტყოფი, სადაც 1873 წ. იყო 1000 მოსახლე. ეხლა იქ არის თურმე 1500 კომლი.

სოფელს მარტყოფში სცხოვრობს სახელოვანი გვარის კაცი, გვარად იოსელიანი. ამ გვარის კაცნი არიან მარტყოფში ხანის ღირსების. იქ მათში ყოფილა ერთი შეგნებული ქართველი, სახელდობრ სეიფოლა ხანი იოსელიანი 34 წლისა, რომელსაც სპარსული განათლება აქვს მიღებული და ქართული წერა კითხვაც იცის.

ამ პატივცემული კაცისთვის მთელის ფერეიდანის ხეობის ქართველთ ხალხს მიუციათ თავიანთი მინდობილობა ხელმოწერით და თავიანთ ბეჭდის დასმით და გამოუგზავნიათ საქართველოს ხალხსა და მთავრობისთვის თხოვნით, რომ ქართველმა ერმა და მთავრობამ ყურადღება მიაქციოს მათ.

საჭიროა, რომ მათს ცხოვრებას რამე წამალი დაედვას, ეს წამალი იქნება მათი იქ უზრუნველყოფა ცხოვრებით, რადგანაც იგინი სპარსთა ყაჩაღებისაგან ძლიერ ხშირათ იდევნებიან, ან საქართველოში მათის გადასახლებით, ან სხვა გვარ დახმარებით.

სეიფულა ხანს საქართველოში წამოსელის გზა და კვალი არ სცოდნია, მაგრამ ამ კეთილს საქმეში მას გამოსჩენია ერთი ქართველი კაცი, სახელდობრ პარმენ მანჯგალაძე, რომელიც კარგა ხანია საქართველოდამ წასულა თავის ცოლ-შვილით სპარსეთში და იქ თავის საქმეებს განაგებს.

ამ კაცს უდვია თავს ყოველი შრომა და ხელმძღვანელობა, ეს კაცი გამოჰყოლია თანა და ჩამოუყვანია ტფილისში. ეს ერთი კვირა გახლავთ რაც ეს ქართველი სპარსელი ტფილისში სცხოვრობს, მისი ბინა: მიხაილოვის ქუჩა, სასტუმრო „ნოე“ ოთახი N89. იმედია, რომ ამ კაცის დავალებას ქართველი ერი და მთავრობაც გამოეხმაურება და უყურადღებოთ არ დასტოვებს მას.

ზაქარია ჭიჭინაძე

***

სპარსელ ქართველების სოფლები – ზაქარია ჭიჭინაძე, რომელმაც 1895 წელს დაბეჭდა წიგნი ფერეიდნელი ქართველების შესახებ, შემდეგ კი გამოსცა მისი შევსებული ვერსია. სეიფოლა იოსელიანის ჩამოსვლით შთაგონებული 1922 წელს კვლავ აქვეყნებს სტატიას ამ საკითხებზე.

ზაქარია ჭიჭინაძე
სპარსელ ქართველების სოფლები

(გაზეთი ტრიბუნა, 1922 წ. N341, ნოემბერი)

„ქართველ სპარსელების“ შესახებ მოკლე ისტორია მე დავბეჭდე პირველად 1895 წ. იგივე წიგნი მეორედ დავბეჭდე 1890 წ. (ასეა!) და მესამედ 1906 წ. (ასეა!).

1873 წლის ცნობებით სპარსეთის სოფლებში შემდეგი რიცხვი იყო ქართველებისა:

სოფ. მარტყოფი 1200 კომლი, ათური (ასეა!) 800, თელავი 900 მოსახლე, ტაშკენაში 500, ახჩა 50, ბოინი 60, მელაანი 100, მაჩხაანი 200, ზემო აკურა 30, ქვემო აკურა 20.

გილანსა და თეირანს აქეთ გზაში არის შემდეგი სოფლები: პატარძეული 30 მოსახლე, ლილო 40, ნორიო 30.

1896 წ. ცნობებით ფერეიდანის თემში სცხოვრობენ ქართველი სპარსელები შემდეგ სოფლებში: ჯაყჯაყი ქართული სოფელი 200 მოსახ. სიბაქი 250, ჩულურეთი 200, ზემო მარტყოფი 1200, ქვემო მარტყოფი 200, ლიტური (ასეა!) 150, ნინოწმინდა 200, შემკანი (ასეა!) 150, ტამკენაში (ასეა!) 250.

აფური, ძველად რუისპირად ეწოდებოდა ამას 100 მოსახ,, თელავი ანუ ცოლერი (ასეა!) 600, ბოინი 800, ბაუსლი (ასეა!) 800, ვაშლოვანი 100.

აბასაბადი – ეს სოფელი აბადისკენ სძევს. ქართული ენა დაკარგეს.

არზამპოლი[168], ჩამადანთან[169] ახლოს სძევს, ქართული ენა დაკარგეს.

თეირანსა და თავრიზს შუა სძევს შემდეგი სოფლები:

ლილო 100 მოს., ნორიო 200, პატარძეული 300.

ყველა ამათ ქართული ენა დაკარგული აქვთ, ლაპარაკში კი მაინც თავს ქართველ ტომისათ ალიარებენ. ენის დაკარგვაზეც სწუხან დიდად.

ამ ცნობების გარდა მე მქონდა სხვა ცნობებიც, რომელიც შეეხებოდა სპარსეთში მცხოვრებთ ქართველი სოფლების ცნობებს. ეს ცნობები მე დავსწერე ყარამან კიკნაძის[170] ცნობებით, რომელიც კარგა ხანს სცხოვრობდა სპარსეთში და მას თითქმის

168. იგულისხმება არაზანტუთ-ი /არზანტულ-ი.

169. ჰამადანი

170. იგივე ყარამან კიკნაველიძე, რომლის შესახებ ზემოთაც იყო საუბარი.

მთელი სპარსეთი ქონდა დავლილი და მას სხვა ბევრს ალაგას ენახა ქართველი სოფლები.

ეს წერილი მე 1913 წელს დამეკარგა დაპატიმრების გამო. ამ ცნობებით არის დიდი ძალი სოფლები ქართველებისა, მათში მცხოვრებთა რიცხვი მილიონები არის და არა ასი ათასი.

***

ქართველები სპარსეთში და მათი წარმომადგენელი სეიფოლა იოსელიანი – სტატიის ავტორი ცდილობს მკითხველს გააცნოს ფერეიდნელ ქართველთა ცხოვრება, მათი მდგომარეობა და პრობლემები, სამწუხაროდ, ავტორის სახელი ცნობილი არ არის, სტატიის ბოლოს გამოხატავს თავის პოზიციას და მიაჩნია, რომ ქართულ სოფლებს სპარსეთში პატრონობა უნდა. ამიტომაც საქართველოს მთავრობამ უნდა გააგზავნოს იქ საკუთარი წარმომადგენელი მათთვის დახმარების აღმოსაჩენად.

ქართველები სპარსეთში და მათი წარმომადგენელი სეიფოლა იოსელიანი (1)

(ტრიბუნა, 1922 წ. ნოემბერი 14. N344)

სპარსეთში მყოფ ქართველებს, სახელდობრ ფერეიდანის მიდამოების 14 სოფლის მოსახლეობას და მათ მშვიდობიან ცხოვრებას და მუშაობას ხელს უშლის და ძლიერად უშლის ზოგიერთ მეზობლებთან ცუდი განწყობილება. ქართულ სოფლებს ხშირად ესხმიან იქვე მახლობლად მყოფნი ბახტიარები, რომელთაც ისფაჰანის მიდამოებში დიდი გავლენა აქვთ და ძლიერ ძალასაც წარმოადგენენ. კარგად შეიარაღებულები, მდიდრები, მასთანვე მებრძოლნი და მომთაბარენი, რომელნიც ხშირად ადგილიდან ადგილზე გადადიან და რასაკვირველია ბრძოლებიც აქვთ იმ თემებთან, რომელთანაც სიახლოვით დაბანაკდებიან და თავს დაესხმიან.

ბახტიარები სპარსეთში მყოფ იმ ქურთების მოდგმაარიან, რომელთაც აფლანგებს[171] ეძახიან და რომელნიც დარაზმულნი მთავრობის წინააღმდეგ მოქმედებენ და სპარსეთის მთავრობაზე უფრო ძლიერი ჯარი და გავლენა აქვთ. აღსანიშნავია ისიც, ქურთების მეორე ნაწილს შეადგენენ ეგრეთ წოდებული ჩალანგები[172], ანუ სპარსეთის მთავრობის მომხრე ელემენტები.

ყოველივე ეს ჩვენი აზრით აიხსნება იმ მოძრაობით, შეიძლება ითქვას რევოლიუციონერი მოძრაობით, რომელიც გლუხების, რომელთაც ისტორიული წარსულის

171. ჰაფთ-ლანგ-ი

172. ჩაჰარ-ლანგ-ი

უკულმართობის წყალობით მოქცეულან სპარსეთში და უმთავრესათ მის სამხრეთ ნაწილში – ფერეიდანში, აღსანიშნავია ისიც, რომ შეწუხებას განიცდიან მხოლოდ ქართველნი და არა სხვა იმავე მიდამოებში მყოფი სომხები, თათრები, სპარსელები.

ეს აიხსნება იმით, რომ ზემოხსენებულ თემებს ყავთ თავიანთ მეთაურები, ხელის შემწყობნი, „ნასწავლი ხალხი", – როგორც გადმოგვცემს სეიფოლა.

„ჩონჩი რომ ისე იყვეს, როგორც მაგალითად სომხები, რომელთაც ყავთ ნასწავლი ხალხი. ლუდლუბი, ვაჭრები, რომელთაც მისვლა აქვთყე სპარსეთის მთავრობასთან და მის განკარგულებით, რასაკვირველია, უფრო ხელუხლებელნი არიან სომხები. ჩონჩი კი არა გვყავსყე არც ერთი ნასწავლი კაცი და ამისთვის გვიჯაბნიანყე" – ამბობს სეიფოლა იოსელიანი.

ასე ყოფილა წინად, ასე არის ახლაც. საინტერესოა, მაგალითად, სეიფოლას მიერ გადმოცემული ამბავი ქერიმ შახის დროისა. ეს ყოფილა ას ორმოცდა ათი წლის წინად და მის შესახებ ხსოვნა დღემდის მწარე მოგონებათაა დარჩენილი ხალხში.

ქერიმ შაჰი წამოსულა ქართველ სოფლების გასანადგურებლად და მის მოსაზღვრე სოფლებიდან ქართველთ სოფლებიდან ქალი და ბავშვი სულ მთაში გასულა, ვაჟკაცნი კი შებრძოლებიან ქერიმ შაჰის ჯარებს, მაგრამ დამარცხებულან და მთის მწვერვალზე მყოფი ქალი და ბავშვი სულ ერთიანად ათასობით კლდეებზე გადაჩეხილან. „ის მთა ახლაც მწარე ცრემლებს იწვევს ჩონ საქართველოჩი".

ახლა კი ფერეიდნელ ქართველებს შეჯახება და თითქმის ბრძოლებიც უხდებათ ბახტიარებთან, უმთავრესად ზაფხულობით, როდესაც ხალხს საქონელი მთაში ყავს გაყვანილი. გაღმა მთის ფერდოებზე დაბანაკებული არიან ხოლმე ბახტიარები, გამოღმა კი არის ზოგიერთი სოფლები ქართველების; მაგალითად ჯაყჯაყი, სიბაქი და ჩუყურეთი და უმთავრესად ამ სოფლებს უხდებათ მათთან შეჯახება. მიუხედავად იმისა, რომ ბახტიარები ძლიერ შეიარაღებული არიან, მასთანვე ცხენოსნები, მაგრამ არც ქართველები ნებდებიან ისე ადვილად.

„ჩონჩი ძველი ქართული სული და სივაჟკაცე კიდევ შეგვრჩენიაყე – ამბობს სეიფოლა იოსელიანი – ისე ადვილად არ ვნებდებით, მაგრამ სახლებს გვიწვამენ და ფულსაც ბევრს გვახდევინებენ". თურმე თუ ვინმე ჩაიგდეს ტყვეთ, მოითხოვენ მის გამოსაყიდ დიდძალ თანხას და თუ კი ეს თანხა ვერ გადაუხადეს, აწამებენ ტყვეს. ძველებური საწამებელი იარაღები დღემდის არის იქ შერჩენილი. წელს ზაფხულში ერთ ხანობაზე ბრძოლის დროს ქართველებს ჩაუგდიათ ბახტიარების ტყვეები და ცხვრები, მაგრამ შემდეგში ისევ დაუბრუნებიათ. არ უნდათ მათთან დამოკიდებულების გამწვავება.

ბახტიარები, რომელნიც მომთაბარულად ცხოვრობენ, ერთ ადგილიდან მეორე ადგილას გადადიან, ცხოვრობენ საძოვრებში ბანაკებად თავისისვე საქონლით. მათ ყავთ თავიანთი უფროსები (თავადები), რომელნიც შეიარაღებულნი ცხენებზე ასიოდე კაცი მოადგება ხოლმე რომელიმე სოფელს და ძალათი კრებს ბანაკს. ეს

არის რასაკვირველია უმთავრესი, რაც ძლიერ შეწუხებაზე აგდებს იქაურ ქართველ მშრომელთ და საერთოდ მთელ მოსახლეობას.

„ჩონ რომ ვინ'ში გვყავდესყე ერთი კაცი, რომელიც ჩონი თავჯდომარე იქნება, ის მოაგვარებს ყოველივე საქმეს“

აღსანიშნავია ის, რომ ქართველები უკვე აძლევენ სპარსეთის ჯარში თანახმად მთავრობის განკარგულებისა ამ წლიდან ახალგაზდობას, მაგრამ ეს ჯარში მყოფი მათი შვილები სულ დანიშნულებით ყავს სპარსეთის მთავრობას, სადაც შეადგენენ ეგრეთ წოდებულ სპარსეთის მთავრობას, სადაც შეადგენენ ეგრეთ წოდებულ სპარსეთის ყაზახებს, რომელნიც ტყვიის მფრქვეველებზე მუშაობენ.

თითო ასეთ ახალგაზდას სოფელი ვალდებულია მისცეს ასი თუმანი (სპარსული ოქროთი) ჯარში გამოსაწყობად და მიუხედავად ამისა, მაინც ქართველთ სოფლებს არა აქვთ არავითარი დახმარება. მთავარი მიზეზი არის ის, რომ მათ იქ არა ყავთ ისეთი ვინმე, რომელიც გამოესარჩლება მათ და ხმას აღიმაღლებს მათ სასარგებლოდ. ასეთი კაცის გაგზავნა კი საჭიროა საქართველოდან წარმომადგენლის თუ ელჩის სახით. ერთი სიტყვით, უნდა იქ აუცილებლად გაიგზავნოს ვინმე და ამას კი შესძლებს და უნდა შესძლოს საქართველოს მთავრობამ.

***

ქართველები სპარსეთში და მათი წარმომადგენელი სეიფოლა იოსელიანი – ამ წერილის პათოსი წინა წერილის მსგავსია, ფერეიდნელთა მდგომარეობის აღწერა და ხელისუფლებისგან მათი დახმარების მოთხოვნა. წერილის ავტორი საუბრობს კომპლექსურ ექსპედიციაზე, რომლის შემადგენლობაშიც იქნებოდნენ ექიმები და მასწავლებლებიც. აქვე აღნიშნულია გიორგი ლეონიძის წერილი ი. ჭეიშვილის დამსახურებაზე... ჭეიშვილის მიერ შეკრებილი მასალა არ გამოქვეყნებულა. ფერეიდნულის შემდგომი კვლევა ამ მასალების მოძიებასაც გულისხმობს.

ქართველები სპარსეთში და მათი წარმომადგენელი სეიფოლა იოსელიანი (2)

(გაზეთი ტრიბუნა, 1922 წ. N346, 17 ნოემბერი)

მოქალაქე სეიფოლა იოსელიანს დიდი ხანია ჰქონია განზრახვა საქართველოში ჩამოსულიყო, მაგრამ აქეთ წამოსვლა გაძნელებოდა გამოუცდელობით. მხოლოდ ზაფხულში ეს გადაწყვეტილება სისრულეში ვერ იქნა მოყვანილი იმისთვის, რომ ისფაჰანიდან იძულებული შეიქმნა კვლავ ფერეიდანში დაბრუნებულიყო, ვინაიდან იქიდან მოსულ ცნობების თანახმად, ფერეიდანელ ქართველთა სოფლებს კვლავ

თავს დასხმოდნენ ბახტიარები, რომელთანაც ბრძოლის დროს ორივე მხით ყოფილან დაჭრილ-დახოცილები. იმის შემდეგ, როდესაც ფერეიდანს ესტუმრა ისფაჰანიდან მოქ. პ. მანჯგალაძე, უკანასკნელის მითითებით იქაურ სოფლების წარმომადგენლებს შეუდგენიათ სათანადო ქაღალდი თავის გაჭირვებულ მდგომარეობის აღსანიშნავად და სეიფოლა იოსელიანის ხელით გამოუგზავნიათ საქართველოს მთავრობასთან.

სპარსეთში მყოფ ქართველებზე და მათ გაჭირვებულ ცხოვრების მდგომარეობაზე მუდამ საჭიროდ მიგვაჩნია წერა და ამისთვის მოვიყვანთ ერთ ამონაწერს იმ წერილიდან, რომელშიც ერთი ჩვენი თანამემამულე მოკლეთ და სხარტად აგვიწერს მათ დღევანდელ მდგომარეობას:

„სეიფოლა იოსელიანი სისხლით და ენით ჩვენი თანამემამულეა – ქართველი, ბედის განგებით სამშობლოს მოწყვეტილი. შაჰაბაზის დროს მისი და მის თანამოძმეების წინაპრები, როგორც სამხედრო ტყვეები გადასახლებულნი იყვნენ ისფაჰანის მიდამოებში და გამაჰმადიანებული, მაგრამ შეინაჩუნეს – უფრო შესანიშნავი ქართული ენა და ჩვენი სამშობლოს მრავალი ზნე-ჩვეულება. საშინელ შევიწროებას განიცდიან როგორც მთავრობის მოხელეებიდან, აგრეთვე მეზობელ ბახტიარებიდან. შაჰ-აბაზის კანონით ისინი განთავისუფლებულნი იყვნენ გადასახადისაგან და სამხედრო ბეგარიდანაც, მაგრამ ეხლა კი იხდიან არაჩვეულებრივ გადასახადებს და ვალდებულნი არიან მიაწოდონ სპარსეთის ლაშქარში ვაჟკაცთა განსაზღვრული რიცხვი და მასთანავე თვითეულ გაწვეულთაგანს მისცენ ჩასაცმელად ასი თუმანი. ჯარში გაწვეული ახალგაზრდობა მსახურობს თავის მიდამოების გარეშე მაშინ, როდესაც მათი სოფლები, საქონელი და სხვა ხშირად ნადგურდება ბახტიარების მიერ, მთავრობა კი ამაზე ძლიერ სუსტად მოქმედებს. სასწავლებლები არა აქვთ. წერა-კითხვის მცოდნენი თითქმის არ არიან. მეჯლისში წარმომადგენელი არა ჰყავთ. მათ შორის მოხელეები სულ სპარსელებია და დიდძალ ქრთამს იღებენ მათგან. სრული უუფლებობა მეფობს. მათი მდგომარეობა დაჩაგრულია. ისენი შეადგენენ 12 სოფლის მოსახლეობას, სულ 32 ათას კაცამდე. ეს მხოლოდ ისფაჰანის მიდამოებში. მათ გარდა – რამდენადაც მე ვიცნობ – ქართველები მოსახლეობენ ზენდერგიაზთან[173] (2-3 სოფელი) მეშხედთან და ქერმანშახთან.

ეხლა იციან, რომ საქართველო დამოუკიდებელი და თავისუფალია. ისინი თავიანთ თვალს აქეთ მოაპყრობენ და დიდ იმედებით არიან საქართველოსადმი გამსჭვალული, რათა ასე თუ ისე გაიუმჯობესონ თავისი მეტად არა სასიამოვნო არსებობა. ამ კეთილ და პოლიტიკურად მნიშვნელოვან საქმის დასაწყისისათვის საჭიროა უპირველეს ყოვლისა შეიქმნას თეირანში წარმომადგენლობა (სწორედ კომისია) განსაკუთრებული დავალებით, რათა იზრუნოს ჩვენი თანამემამულეთა საქმეებისათვის, რომელნიც ისტორიულ ბედისა გამო ჩავარდნილან სპარსეთის ქვეშევრდომობაში. ეს კომისია ვალდებული იქნება ესწრაფოს მათი ცხოვრების

173. უნდა იყოს ბანდარგაზ-ი – სპორტო ქალაქი მაზანდარანისა და გორგნის მიჯნაზე, სადაც იყო და ახლაც არის ქართული დასახლებები.

გაუმჯობესებას, განათლების გავრცელებას მათ შორის, მოაგვაროს მათგან წარმომადგენლობა მეჯლისში, მჭიდრო კავშირი ჩამოაგდოს მათ და საქართველოს შორის, მათი ბავშვების გამოგზავნა საქართველოში სწავლის მისაღებად და სხვა. კომისია ანუ წარმომადგენლობა საქართველოდან ვალდებული იქნება, გაეცნობა ყოველმხრივ მდგომარეობას ადგილზე, თვითონვე გამოარკვევს მოქმედების გეგმას და თანახმად ამისა შეასრულებს მიმდინარე დავალებებს სპარსეთის მთავრობის წინაშე – სპარსეთის ქართველებიდან ამორჩეულ პირთა თანადასწრებით.

დარწმუნებულნი ვართ, რომ ქართველები გამოეხმაურებიან თავიანთ თანამოძმეთა ხმას და კაცთმოყვარეობის მიხედვით უარს არ ეტყვიან მათ ამ დიდ გულწრფელ და მხურვალე თხოვნაში“.

წერილიდან მოყვანილ ამ მცირე ამონაწერიდან სავსებით ნათლად სჩანს სპარსეთში მყოფ ქართველების მდგომარეობა და მათი ის მოთხოვნილება, რომლის შესრულება სრულიად უმნიშვნელოა საქართველოს მთავრობისათვის.

„ჩონ ფული ხომ არ გვინდაყე, ჩონთვის კაცია საჭირო, რომ თავს გვაჯდეს, იყოს ჩონი თავჯდომარე, სპარსეთის მთავრობასთან მოსალაპარაკებლად“ – ამბობს მოქალაქე სეიფოლა.

„ერთი, ორი მასწავლებელი, რომელიც ჩონც გვასწავლის და ჩონს ბავშვებსაც; ერთი აქიმი, რომელიც ჩონჩი იმუშავებს და თუ ორი კაცი გაკურნა, ხომ მთელი ხალხიც მას გაყვება“ – ასეთია მოქ. სეიფოლას განზრახვა.

საქართველოსადმი სიყვარული, ქართველ ხალხისადმი გულწრფელი ტრფობა, მათი სავსებით დარჩენილი წმინდა ქართული სულისკვეთება, ის შერჩენილი ზნე-ჩვეულება და ნამდვილი ქართული ადათები, რომელიც მათ დღემდის შერჩენიათ და დღესაც ყოველივე ეს აახლოვებს მათ ჩვენთან – სწორედ ეს გვიკარნახებს და გვეუბნება, რომ მივიხელთ იქით, შორეულ სპარსეთში, სადაც სამას ხუთი წლის განმავლობაში, მიუხედავად საქართველოს სიშორისა, მიუხედავად ჩვენი მათთან უკავშირობისა, არ გათქვეფილან იმ ზღვა უცხო მეზობელთ შორის, რომელნიც მრავალად აკრავან ირგვლივ და მათ ალაგმასაც კი ლამობენ.

დიახ უნდა მივხვდეთ იქ ჩვენს თანამოძმეთ, იმ საქართველოს, იმ ადგილს, რომელიც დასახლებულია ქართველებით და რომელსაც დღესაც ფერეიდანში მყოფი ჩვენი ძმები საქართველოს ეძახიან. „ჩონი საქართველო, ჩონ საქართველოჩი„- ამბობს ხშირად ბაასის დროს მოქალაქე სეიფოლა, როდესაც ფერეიდანის ქართველებზე ლაპარაკობს.

დროა მივხვდეთ მართლაც იმ „ჩვენ საქართველოს“, სადაც ჩვენი თანამოძმენი აღტაცებით ისმენენ ამბებს სამოთხის ქვეყანაზე, რომელიც მათ საქართველოს ჰგავს და იმათივე ენით ლაპარაკობს. სწორედ დღეს გვჭირია ჩვენ ლადო აღნიაშვილისთანა ხალხი, რომელიც სინათლეს და სიცოცხლეს შეიტანს ფერეიდანში, რომელიც წელში გაასწორებს ფერეიდანელ ქართველებს.

ლადო აღნიაშვილს დიდი მოწიწებით იგონებს მოქ. სეიფოლა. „ოჰო, ლადო აღნიაშვილი, დიდი ნასწავლი კაცი ყოფილა, ჩონჩი რომ ყოფილა, ყოლაფერი აუწერია

ჩონი ცხოვრება; ჩონს საქართველოჩი ძალიან იგონებენ ლადოს, უყვართ მისი სახელი". ასეთივე კარგათ იხსენიებს მოქ. სეიტოლა მოქ. იოსებ ჭეიშვილს, რომელიც 1919 წელს ყოფილა ტერეიდანში და შეუსწავლია იქაურ ქართველთ ცხოვრება, რომელთა შესახებ მრავალი მასალა აქვს შეკრეფილი, რომელიც ჯერ გამოუქვეყნებელია. ამის შესახებ 1920 წელში მოქ. გ. ლეონიძეს ჰქონდა კიდევაც მოთავსებული გაზეთ „კლდე"-ში წერილი, რომელიც შეეხებოდა სპარსეთის ქართველებს და ი. ჭეიშვილის შრომას. აუცილებელია ამ შრომის გამოქვეყნება, მით უმეტეს რომ ის არა მარტო სპარსეთის ქართველების აღწერით განისაზღვრება, არამედ ეხება მთელ სამხრეთ სპარსეთსაც, მიუთითებთ ამაზე ჩვენს სახელმწიფო გამომცემლობას. ეს სხვათაშორის.

ქართველთა ექსპედიცია, რომელის შედგენას და მათ გაგზავნის მზადებას დღესვე საჭიროა შეუდგეთ მით უმეტეს, რომ მსურველები უკვე არიან, უნდა გაემგზავროს სპარსეთისკენ სათანადო დავალებით აღჭურვილნი და მასთანავე წიგნებით, სამოსწავლო ნივთებით და წამლებით დატვირთული დაიმედებული იმით, რომ ასეთი განზრახვა და შრომა არ ჩაიელის უნაყოფოდ.

მაშ კიდევ სალამი ჩვენს მეგობარს და ძმას სეიტოლა იოსელიანს და სალამი მის სახით მთელ ქართველობას, რომელნიც სპარსეთში იმყოფებიან ტერეიდანის და სხვა მიდამოებში.

***

სოსო ასლანიშვილი
სხვა და სხვა ამბები

ფერეიდნელ (სპარსეთი) ქართველების წარმომადგენლის პატივსაცემათ

(გაზეთი მუშა, 1923 წ. N23, 19 აპრილი)

მაისის 3-ს 1.სახ. კონსერვატორიაში გაიმართება საღამო ფერეიდანელ ქართველების წარმომადგენელ სეიფოლა იოსელიანის პატივსაცემად. ზაქარია ჭიჭინაძე წაიკითხავს მოხსენებას სპარსელ ქართველების შესახებ. სიტყვას წარმოსთქვამს თვით იოსელიანი, შემდეგ გაიმართება ხალხური სიმღერების კონცერტი.

სოსო ასლანიშვილი

***

ხელოვნება

სალამო სპარსეთის ქართველთა წარმომადგენლის სეიფოლა იოსელიანის პატივსაცემლათ

(ტრიბუნა 1923, N449, 20 აპრილი, გვ. 4)

სალამო სპარსეთის ქართველთა წარმომადგენლის სეიფოლა იოსელიანის პატივსაცემლათ. ამ მოკლე ხანში განზრახულია სალამო სპარსეთის ქართველთა წარმომადგენელის სეიფოლა ხან იოსელიანის პატივსაცემლათ. სალამო გაიმართება სახელმწიფო კონსერვატორიის დარბაზში. წაკითხულ იქნება მოხსენებები. სპარსეთის ქართველთა შესახებ, სიტყვები, ლექსები, საკონცერტო განყოფილება ეროვნულ გუნდის მონაწილეობით და სხვ.

***

სეიფოლა იოსელიანის მოხსენება – გაზეთი იუწყება სეიფოლა იოსელიანის პატივსაცემად გამართული სალამოს შესახებ. ყურადღებას იქცევს ავტორის მიერ ნახსენები გიორგი არქიმანდრიტი, რომელიც სტატიის ავტორის თქმით, იყო სპარსეთში და ჰქონდა ცნობები იქაური ქართველების შესახებ.

სეიფოლა იოსელიანის მოხსენება

(ტრიბუნა 1923, N457, 29 აპრილი, გვ. 3)

პარასკევს, 4 მაისს, პირველ კონსერვატორიის დარბაზში (გრიბოედოვის ქუჩაზედ) შესდგება სპარსეთიდან ჩამოსულ ფერეიდანელი ქართველის სეიფოლა იოსელიანის მოხსენება სპარსეთში მცხოვრებ ქართველების შესახებ. აგრეთვე წაკითხული იქნება მოხსენება – „სეიფოლა იოსელიანის ჩამოსვლის მიზანი საქართველოში“, ზ. ჭიჭინაძის მიერ, რომელიც შეეხება ქართველების გადასახლებას სპარსეთში შაჰ-აბაზის მიერ 17 საუკუნეში (ასეა!); თუ რამ გამოიწვია აღმოსავლეთის მუსულმანთა ტომებში ქართველების გადასახლების მიზეზები. დელა-ვალეს ორსნეს და ლამბერტის ცნობები, ქეთევან დედოფლის წამება ქ. შირაზში 1622 წ. და იქ მყოფ გიორგი არქიმანდრიტის ცნობები ქართველების შესახებ. მოხსენება ერცლათ ეხება სპარსეთის ქართველების გადასახლების სხვა და სხვა ცნობებს.

***

ჩემი ფოთლები, სისხლმა სისხლი იცნო – ტრიბუნა აქვეყნებს სტატიას, რომლის ავტორიც 29 აპრილს გამართული სალამოს შთაბეჭდილების ქვეშაა, ჩვენთვის უცნობია, ვისი ფსევდონიმია „უდაბნოელი“, თუმცა, ფაქტია, ის კარგად იცნობს ფერეიდანის პრობლემებს. მისი აზრით, სეიფოლას ჩამოსვლით დაიწყო ახალი ხანა ფერეიდნელ ქართველებთან ურთიერთობაში, ამის იმედს აძლევს კერძო პირის მიერ დანიშნული სტიპენდიები ფერეიდნელი ბავშვებისთვის, შემოწირულობა და კომისიის არჩევა, რომლის მოვალეობაც ამ საკითხების მოგვარება იქნება.

უდაბნოელი
ჩემი ფოთლები
სისხლმა სისხლი იცნო

ზ. ჭიჭინაძისა და სეიფოლა იოსელიანის სალამო

(ტრიბუნა 1923, N462, 6 მაისი, გვ.1)

ერის აღორძინების საქმეს ისევ თვით ხალხის წიაღიდან წარმოშობილნი შვილნი იწყებენ.

არა მყვირალა სიტყვებით, ფართიფურთით, ბუნდოვანი გამოთქმებით, არამედ ხალხური წრფელი ღაღადისით.

ამაშია ჩვენი ქვეყნის აღდგენა-გამთელების საწინდარი.

საუკუნეთა განმავლობაში ჟამთა ვითარების გამო დაიწიწკნა სამშობლო ჩვენი.

რამდენიც უცხო მძლავრი ერი გვებატონებოდა იმდენი სარწმუნოებრივი მიმდინარეობა შეიქმნებოდა ხოლმე, ანუ თავდასაცავად ხალხის ერთი ნაწილი იმ სარწმუნოებას შეეფარდებოდა, რომელიც არ იდევნებოდა.

ქართველი მუსლიმანები, ქართველი კათოლიკენი, ქართველი გრიგორიარები (ასეა!), ქართველი მოსლიმანები და სხ. – აი ჩვენი საერთო ოჯახის – საქართველოს ერთი გვარტომი, სჯულით დაქუცმაცებული.

ჩვენი საუკუნის უმახლობელესმა წლებმა ამ დაქუცმაცებას ბოლო უნდა მოუღოს.

ამის ნიშნებსაც ვხედავთ.

ქართველი მუსლიმანები – აჭარა-ქობულეთელ შუშ-არტანელები, უკვე ჩვენსკენ მოიქცევიან, მალე ხელოვნურად შექმნილ ჯებირს გადალახვენ და საბოლოოდ შეგვისისხლხორცდებიან.

ამაზე უკეთაა ქართველ გრიგორიანთა, ქართველ კათოლიკეთა საქმე.

დღეს ამათ ემატება ქართველი სპარსელობა.

აი, ამის ნიშნებიც.

მაისის 4 ტფილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დარბაზში მრავლად შეკრებილ საზოგადოებას წარუდგა ჩვენი დაულალავი ზაქარია ჭიჭინაძე თავისი ისტორიული ამბებით.

სად, მარტივი, ყველასათვის გასაგები ენით საუბარი მისი ისეთივე თავისებური იყო, როგორც თვით ზაქარიაა თავისთავად.

მთელი მისი მონათხრობი სისხლით და ცრემლითაა შეზავებული.

ჩვენს წინ გარდაიშალა ის შავბნელი, ჯოჯოხეთური წარსული, როდესაც სპარსეთის ყოფილმა მტარვალებმა ცეცხლსა და ნავთს მისცეს ჩვენი კეკლუცი, მრავალჯერ დატანჯული ქვეყანა.

ცივ ჟრუანტელის ნექტარს გიტარებთ სხეულში ყოველი ნათქვამი ზაქარიასი.

გადასახლეს არა ათი და ასიათასი სული, არამედ რამდენიმე ასი და ასი ათასი კომლი, სოფლები მთელი ოჯახობით.

არა ერთხელ და ორჯერ.

ტყვედ წაყვანილთაგან მრავალი გზაში იხოცებოდა.

ვინ მოსთვლის ჩვენ დღეთ ამბავთ.

სისხლითაა დაწერილი ჩვენი ისტორიის ფურცლები.

მეთოთხმეტე საუკუნიდან მოყოლებული მეთვრამეტე საუკუნემდე გაბმულია ქართველი ერის დევნა-ტყვევნისა და წამების გრძელი ჭაპანი...

ამ ჭაპანის დაგრეხაში მონაწილეობდენ, როგორც აღმოსავლეთის მტარვალნი, ისევე ჩრდილოეთის გაიძვერა დიპლომატები.

საზოგადოებამ არა ერთხელ შეაწია მხურვალე ტაში ამ ჭეშმარიტ ხალხურ მოღვაწე-მწერალს ზაქარიას.

ასევე მხურვალე ტაშით შეხვდენ სეიფოლა იოსელიანს.

ეს არის სპარსელი ქართველი, ფერეიდანიდან ტიპიური კახელი.

გიზიდავთ მისი მშვენიერი გარეგნობა, თავისებური გამოთქმა სიტყვებისა.

30 წლის თუ იქნება. ფხიზელი, ცოცხალი, მოაზროვნე, მამულიშვილური გრძნობით გამთბარი.

დარბაზი სულ განაბული უსმენს.

სეიფოლა ლაპარაკობს ზეპირად, სასაუბრო კილოთი.

არავითარი ყალბი პათოსი, არავითარი გადამეტება.

სიტყვას იწყებს პოეტურად, ამკობს ფერადებით.

ყოველი ხაზი მისი ნათქვამისა საყურადღებოა, შინაარსიანი (ასეა!).

იგიც ადასტურებს ზაქარიას მონათხრობს.

სპარსთა მბრძანებლებმა ტყვედ წასხმული ქართველობა დაასახლეს მეტად საშიშ ადგილას, – იქ, რადგანაც სპარსეთის დედა ქალაქს ბახტიართა მოუსვენარი ტომი ესხმოდა.

– ამათ ქართველები თუ შეაკავებენო, თუ გასწყდებიან არც ამას უშავსრაო.

საზარელი იყო სამშობლოსგან გადასახლებულ, საშიშ მტრის პირში მიცემულ ქართველობის მდგომარეობა, – მაგრამ

„შავთა დროთა ვერა შესცვალეს
მის გული ანდამატისა!“

ქართველობამ არც აქ უღალატა თავის ჩვეულებრივ მამაცობას. ბახტიართა მოუსვენარ ტომს ლაგამი ამოსდო.

ტყვედ წაყვანილთაგან მარტო ამ ერთ მხარეში 16 სოფელი შეიქმნა, იმავე სახელწოდებით, როგორც საქართველოში იყო და დღესაცაა (მარტყოფი, ლილო და სხ.).

მიდიოდა დრო მწარე ტყვეობაში.

ხალხმა სჯული გამოიცვალა, მაგრამ ეროვნება – ენა კი არა.

მამანი შვილებს შთააგონებდნენ, ვინ იყვნენ, ვისი შთამომავალნი, რომელი ქვეყნის შვილნი და მუდამ დედა-სამშობლო საქართველოსკენ ეჭირათ თვალყური.

და ერთ ბედნიერ დღეს შეესმათ, საქართველოდან თეირანში მოსულა „ჩონი ქართველი, ჩონი ძმაო“.

ქართველ სპარსელებმა გაგზავნეს მოციქულები და თეირანში მისული ქართველი დიდის ამბით მიიპატიჟეს.

დიდი და პატარა, ქალი და კაცი, უზომო სიხარულით შეხვდა.

ეს გახლდათ ლადო აღნიაშვილი, ამ 25 წლის წინათ.

ლადო აღნიაშვილმა მოიარა ქართველ სპარსელთ სოფლები, ყველა ანუგეშა, წიგნაკები დაურიგა, მათი ამბავი და ყოფა-ცხოვრება სამშობლოს გაუზიარა.

მას შემდეგ ქართველი სპარსელები ელოდენ, დღეს არა ხვალ, მოგვიკითხავდენ „ჩონი ძმანებიო“.

რაგდენიმე გამოემგზავრა კიდეც, მაგრამ მიზანი მიუხწეველი დარჩა.

ბოლოს შეესმათ, საქართველომ კვლავ ააფრიალა საკუთარი დროშაო.

ამ დროშის ფრიალმა აჩქროლა ქართველ სპარსელთა გულიც.

თავის წარმომადგენლად აარჩიეს სეიფოლა-ხან იოსელიანი და დედა-სამშობლოს აახლეს მოციქულად.

იგიც ჰლალადებს:

– ჩვენ არ ვიცოდით სად იყო ჩვენი სამშობლო. მზე რომ ამოდის იქით, თუ მზე რომ ჩადის იქითკენ. ბევრი ტანჯვით მოვახწიე თქვენამდე. გნახეთ, სისხლმა სისხლი იცნო, გულმა გული... ჩონც გვინდა ჩონი სამშობლოს ერთი დროშის ქვეშ შევაფაროთ თავი... ხელი მოგვეცით.

სიტყვა მისი მთელი გულიდან აღმომსკდარია, გულწრფელობით სავსე. ქვა უნდა იყოს გული კაცისა, არ შეისმინოს.

საზოგადოება ხანგრძლივი ტაშით ავჯილდოვებს ამ თავისებურ მომხსენებელს, თავისებურ მღალადების ქართველთა გაერთიანებისათვის...

ყველა დამსწრეს გულის სიმები ერთ ჰანგზე აწყო.

ერთმა ქართველმა სამი სტიპენდია დაარსა (ასეა!) სპარსელი ქართველის ბავშვებისთვის.

მეორემ გამოაცხადა – აქვე ფული შევაგროვოთ ჩვენი ძმების – სპარსელ ქართველთა შესაწევრად, მესამემ – საგანგებო კომისია ავირჩიოთ ქართველ სპარსელთა და ჩვენ შორის ურთიერთობის დასამყარებლად, კულტურულ ძაფის გასაბმელადო და სხ.

აირჩა საორგანიზაციო კომისია.

იწყება დიდი საქმე და ამას დაყოვნება აღარ უნდა.

დროა ქართველ-მუსლიმანი, ქართველ-გრიგორიანი, ქართველ-კათოლიკე, ქართველ-ისრაელი და სხ. თვის საერთო კულტურულ კერას დაუბრუნდეს. ერთის გრძნობით ამეტყველდეს.

ერთმა ქართველმა – ლადო ალნიაშვილმა, ამ ოცდა ხუთის წლის წინად, გაცილებით მძიმე პირობებში თუ შესძლო ჩვენი დიდი ხნის გათიშულ, სჯულ გამოცვლილ ქართველთა შორის ეროვნულ ნაპერწკლის გაღვივება, ნუ თუ ჩვენ გაგვიჭირდება მათი გამოწვდილი ხელის ჩამორთმევა დღეს, როდესაც პირობები უკეთესია, სისხლმა სისხლი იცნო და ორივეს გული ერთის გრძნობით სცემს?! უნდა მივსდოთ, მივეპატრონოთ.

და ეს მიპატრონება უნდა იყოს საქმითი, სწრაფი.

ახლავე უნდა გაიგზავნონ მასწავლებელნი, ექიმნი, აღმზრდელნი, ქალნი და კაცნი.

სამოღვაწეო ასპარეზი ფართოა, სამკაული ფრიად დიდი.

ჩვენი უხუცესი ზაქარიას მოთქმა და სეიფოლას ღალადისი არ უნდა დარჩეს ხმად მღალადებლისად უდაბნოს შინა.

უდაბნოელი

***

უცხოეთის ქართველთათვის – გიორგი ბიაშვილი, რუსეთის საკონსულოს წარმომადგენელი სპარსეთში, კარგად იცნობდა ფერეიდნელ ქართველების ცხოვრებას სპარსეთში და, გარდა საგაზეთო სტატიებისა, ცნობილია მთავრობისათვის წარდგენილი მისი მოხსენება ამ საკითხზე. ამ წერილში გიორგი ბიაშვილი ახსენებს საზოგადოება „შუქურას“ დაარსების ამბავს. რომელსაც, მისი აზრით, შეეძლო მრავალი სასიკეთო საქმის გაკეთება. ავტორი იყენებს ტერმინს „რენაციონალიზაცია“ და აღნიშნავს, რომ სეიფოლა იოსელიანს ეს არ სჭირდება, რადგან მისი დარი ქართული, მსგავსად ოსმალეთში მცხოვრები ჭყონიებისა, ბევრმა თანადროულმა ქართველმა არ იცის.

გიორგი ბიაშვილი
უცხოეთის ქართველთათვის

(ტრიბუნა 1923, N463, 8 მაისი, გვ. 1-2)

ვინ არიან უცხოეთის ქართველნი? ქართველები სპარსეთისა, ოსმალეთისა და ბოლოს ჩრდილო კავკასიისა. ამ მცირე წერილში ჩვენ არ შევეხებით ზემოხსენებულ ქართველთა მშობლიურ ცის დატოვების და უცხოეთში გადახვეწის, უცხო ცის

ქვეშ მოქცევის ისტორიულ მწარე ამბავს. ეს ყოველი მოაზროვნე ქართველისათვის სავსებით ცნობილია. ჩვენ გვაინტერესებს ის კითხვა თუ რა მზრუნველობა მოითხოვს ქართველ ხალხისაგან და რა ესაჭიროება ფიზიკურად მისგან დაშორებულ თანამოძმეთ. უწინარეს ყოვლისა უცხოეთის ქართველებს უნდათ ჩვენთან სულიერ კავშირის გაბმა და ჩვენგან სულიერ საზრდოს მიღება: და ჩვენ ვფიქრობთ პრინციპიალად ზემო აღნიშნულ კითხვის დადებითად გადაჭრა ყველას გაეხარდება-ეამება. მაგრამ როგორ უნდა მოხდეს ამ კითხვის რეალ მოგვარება და მისი ცოცხალ საქმედ ქცევა.

შეიძლება ჩვენ გვითხრან, რომ ამ კითხვის რეალიზაციისათვის ლაპარაკი არის „peine veine[174]“ ვინაიდან უცხოეთის ქართველებმა რამდენიმე ას წელთა მანძილზე დენაციონალიზაციის ისეთი გავლება განიცადეს, რომ მათ რენაციონალიზაციაზე ლაპარაკი არის Bocoup de bruit pour rien“[175]. ამის შესახებ ჩვენ ვიტყოდით, რომ სპარსელ სეიფოლა იოსელიანებს და ოსმალეთის ჭყონიებს რენაციონალიზაცია არ ეჭირვებათ. მათი ტკბილი ძველი ქართული ბევრ თანადროულ ამაყ ქართველსაც კი ენატრება.

ისეთი სინამდვილის წინაშეც, რომ ვიდგეთ, რომ ჩვენი სისხლხორცი ძმები მთლად გათქვეფილი იყვენ უცხო ნაციაში მაშინაც კი არ უნდა დავიხიოთ ჩვენ უკან და ყველა ღონე ვიღონოთ, რომ გადაგვარებულ ძმებს აღუდგინოთ თავისი ეროვნული სახეობა, დღეს ეროვნულ რენენსანსის (ასეა!) ხანაში ასეთი ოპერაციები ჩვეულებრივ მოვლენად ითვლება. ჩეხიის ნაცია ამ სამ ათეულ წლის წინად მთლად გადაგვარდა, მაგრამ ეროვნულ ორგანიზაციების ყოვლის მძლე მოქმედებამ გაგერმანელებული ჩეხი სწრაფ გაჩერა. უცხოეთის ქართველებზე სისტემატიურ მზრუნველობისათვის აუცილებელია დაარსდეს „უცხოეთის ქართველთა საზოგადოება[176], რომელიც ისაქმებს უცხოელ ქართველთათვის სულიერ ტრანსპორტის მისაღწევად გააბამს მათთან ცოცხალ ურთიერთობის ძაფს და ეცდება რათა განსხეულება მიეცეს უცხოეთის ქართველთა სამშობლოსკენ ლტოლვას რე-მიგრაციას.

ქართველ ნაციის მარადიულობისათვის ასეთი აქტივობა ჩვენ აუცილებლად მიგვაჩნია, რაღაც სამ მილიონიანი ქართველი ნაცია ვერ უნდა ითმენდეს მის სისხლხორც უცხოეთის ქართველების ასი ათასობით დალუპვას. ჩვენ უსამძღვროდ გავახარებს საზ. „შუქურა“-ს დაარსება როგორც წავიკითხეთ გაზ. „ტრიბუნა“-ში საზოგადოებას ფრიად სიმპატიური მიზნები აქვს დასახული.

აწ ვინატროთ ამ მეორე ასე რიგადვე სასურველ და საჭირო საზოგადოების დაარსება, დაბადება.

ირ-დი.

---

174. უნდა იყოს peine vaine ფრანგ. ამაო გარჯა.

175. ფრანგ. დიდ ხმაური (აურზაური) არაფრის გამო.

176. *) ეს წერილი დაგვიანებით იბეჭდება. ასეთი საზოგადების დაარსება უკვე დაიგეგმა კრებამ მაისის ოთხს და არჩეულია საორგანიზაციო კომისიაც. საჭიროა ამ კომისიამ მუშაობა დაჩქაროს. ჩვენც იმ აზრისა ვართ, რომ უნდა დაარსდეს ისეთი საზოგადოება, რომელიც კულტურულ კავშირს დაიჭერს არა მარტო სპარსელ ქართველებთან, არამედ ყველა მათგვარ ქართველებთან. რედ.

***

ფერეიდანელი ქართველები – გიორგი ბიაშვილი ამ სტატიაში აუცილებლად მიიჩნევს ფერეიდანში განათლების დონის ამაღლებას და ამისთვის ითხოვს სკოლის გახსნას, ის საუბრობს საზოგადოდ სწავლა-განათლების დონეზე სპარსეთში და ისპაჰანში, ებრაელების უბანში „ჯუბარეში“ გახსნილი ებრაული სკოლის არსებობის შედეგები ებრაელთათვის მაგალითად მოჰყავს და იმედოვნებს, რომ საქართველოს ცენტალური აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებით ფერეიდანში აშენებული სკოლა და საავადმყოფო ხელს შეუწყობს ფერეიდნელი ქართველების ცხოვრებისა და სწავლა-განათლების დონის ამაღლებას.

გიორგი ბიაშვილი
ფერეიდანელი ქართველები

(ტრიბუნა 1923, N465 10 მაისი, გვ. 2)

თითქმის ნახევარი საუკუნე იქნება რაც ქართული პრესა დრო გამოშვებით ბეჭდავს ცნობებს სპარსეთში დასახლებულ ქართველ მაჰმადიანებზე და მოუწოდებს ქართველ საზოგადოებას დახმარების გასაწევად. მაგრამ აქნობამდის გასაკვირველი გულგრილობით ეკიდებოდა ჩვენი საზოგადოება ამ საქმეს. ამ ხნის განმავლობაში იყო რამდენიმე შემთხვევა, რომ თვით ფერეიდანელი ქართველები ეწვივნენ საქართველოს და ამ პირებს აქაური საზოგადოება უმართავდა ტრადიციულ მასპინძლობას კახური ღვინით, აძლევდნენ საჩუქრად წიგნაკებს და საგზაო ფულს და ეგრე ისტუმრებდნენ უკან. თუმცა აქნობამდისაც ადვილად შესაძლებელი იყო, რომ ფერეიდანელ ქართველებისთვის უფრო ფრიად თვალსაჩინო კულტურული დახმარება გაგვეწია, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენში არ გამოჩნდა არც ერთი პირი, რომ ეთავა ამ საქმის გაძღოლა.

თუ რა დიდ საჭიროებას შეადგენს ფერეიდანში სკოლების დაარსება, მე მინდა მოგახსენოთ.

როგორც ცნობილია, გარდა ფერეიდანში დასახლებულ ქართველებისა, უწინ სპარსეთის ბევრ ალაგას ყოფილან ჩასახლებული ქართველები. მაგალითად: ასტრაბადის პროვინციაში კასპიის ზღვის პირას სოფ. გურჯ-მაჰალეს და თეირან-მეშედის გზაზე სოფ. აბას-აბადის მცხოვრებნი ტომით ქართველები არიან, მაგრამ იმათში ქართული ენა აღარავინ არ იცის. არის აგრეთვე რამდენიმე სოფელი დასახლებული ქართველებით გალანის, მაზანდარანის და არლისტანის პროვინციებში. გარდა ამისა ბევრ სხვა ალაგასაც უნდა ყოფილიყვნენ ქართველები, რომლებიც ჟამთა ვითარების გამო უნიშანწყლოდ შეთქვიფნენ იქაურ ერებს.

დიდებული ინგლისელი მეცნიერი დარვინი თავის „ადამიანის წარმოშობაში“ სწერს, რომ ბოლო საუკუნოებში სპარსელების ტიპი შესამჩნევად გამშვენიერდა და თითქმის მთლად შეიცვალაო, რადგანაც ქართველების სისხლი ბევრი აქვთ შერე-

ულიო. ეჭვს გარეშეა აგრეთვე, რომ როდესაც სპარსელები აიძულებდნენ ხოლმე იქაურ ქართველებს მაჰმადის რჯული მიეღოთ, იქ სადაც ქართველების ახლო სომხებიცა ცხოვრობდნენ, არა ერთი და ორი ქართველი ოჯახი მიიღებდა სომხის სარწმუნოებას, რომ თავი ეხსნათ გამაჰმადიანებისაგან. და ალბათ, ეს არის მიზეზი, რომ ეხლა ბევრ სპარსეთის სომეხს ძალიან დაჰკრავს ქართული იერი.

სხვა სპარსეთის კუთხეებზე არას ვიტყვი, მხოლოდ რაც შეეხება ისპაჰანის პროვინციაში შაჰაბაზის მიერ გადასახლებულ ქართველებს ისინი კიდევ კარგა ხნის განმავლობაში უნდა დარჩენილიყვნენ ქრისტიანებად. შაჰაბაზის მეფობამდე თუ არა, მის დროს მაინც უნდა ჰქონოდათ საკუთარი ეკლესიები რადგანაც ცნობილია, რომ შაჰაბაზი სპარსეთში ქრისტიანებს არა სდევნიდა და გადასახლებულთა კარგად მოწყობისათვის ზრუნავდა და როგორც სომხები, აგრეთვე ქართველები საუკეთესო ადგილებზე დააბინავა. და თუ იმის მეფობის დროს სომხებმა ააშენეს ისპაჰანის გვერდზე მდებარე სოფ. ჯულფაში რამდენიმე საყდარი, ვგონებ, არც ქართველებს დაუშლიდნენ ამას. თუმცა უტყუარი საბუთები არა გვაქვს, მაგრამ ამას ცოტად მაინც მოწმობენ – გარდა ბევრი საფლავის ქვებისა ქართული წარწერებით, როგორც შიგ სოფ. ჯულფაში და სოფლის გარედ სასაფლაოზედაც, აგრეთვე ზოგიერთი ეკლესიური ნივთები, მაგალითად, სოფელი ჯულფის სომხების ერთ საყდარში ინახებოდა ფრიად შესანიშნავი ხელოვნების მხრივ გარდამოხსნა ქრისტესი ხუცური და მხედრული ზეწარწერით და ეს იშვიათი ისტორიული და მხატვრული ნაშთი ამ თორმეტი წლის წინათ სომხის სამღვდელოებამ მიჰყიდა შვიდას სპარსულ თუმნათ თეირანელ სომეხს ალათიანცს, რომელმაც მაშინვე პარიზში გაუგზავნა თავის კომისიონერს.

სპარსეთში გადასახლებულ ქართველებს გამაჰმადიანებამდე, რასაკვირველია, კარგად ექნებოდათ შენახული ქართული ენა. მხოლოდ რჯულის გამოცვლის შემდეგ კი ზოგგან (ასეა!) სრულებით დაივიწყეს სამშობლო ენა და მხოლოდ იქ, სადაც ერთ ალაგას ბევრსა ჰქონდათ მოყრილი თავი, როგორც მაგალითად ფერეიდანში, თუმცა აჭრელებული სპარსულ-არაბული სიტყვებით, მაინც შენახულია ქართული ენა, რომ სამშობლო ენის დაცვაში კულტურულ (ასეა!) მხრივ დაბალ საფეხურზე მდგარ ხალხში სარწმუნოებას და სამღვდელოებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ეს ეჭვს გარეშეა. ამის კარგს მაგალითს წარმოადგენენ სპარსეთშივე დაქსაქსული სომხები, რომლებიც ყველგან თავიანთ სამშობლო ენაზე ლაპარაკობენ. მე ამით, რასაკვირველია, იმის თქმა არ მინდა, რომ ამ ღმერთების აფეთქების ეპოქაში სპარსეთის ქართველებში ქრისტიანობის ხელმეორედ დანერგვას ვეცადოთ. ეხლა ჩვენ შეგვიძლიან და ვალდებულნიცა ვართ სწავლა განათლება შევიტანოთ იმათში და ამით ღირსეულ თანამემამულებათ (ასეა!) ამოვიყენოთ გვერდში.

ამ ჟამად ფერეიდანში (ქალ. ისპაჰანიდან 140 ვერსი იქნება) თოთხმეტი სოფელია ქართველებით დასახლებული. მცხოვრებლები მისდევენ ხვნა-თესვას და საქონლის მოშენებას. დიდ სიბნელეში იმყოფებიან და, როგორც საზოგადოთ მთელი სპარსეთის გლეხ-კაცობა, დიდ გაჭირვებას (ასეა!) განიცდიან ერთის მხრით მემამულეებისაგან

და მეორეთი მთავრობის მოხელეებისაგან. ამ უბედურ სპარსეთში, სადაც ყველა მოხელე მოქრთამე და მძარცვავი არის. უსინათლოა გლეხ-კაცის ცხოვრება.

სპარსეთში გარდა ქართველებისა და ზემოხსენებულ სომხებისა, ბევრი სხვა ტომის ხალხი სცხოვრობს. როგორც მაგალითად ასირიელები, ურიები და სხვანი.

მაგრამ არც ერთი ამათგანნი ისე არ არიან დაბეჩავებულნი, როგორც იქაური ქართველები. ყველა სპარსეთში მცხოვრებ ქრისტიანს უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენლები ესარჩლებიან და ხშირად დიდ დახმარებას უწევენ თავიანთი ავტორიტეტით, ურიებსაც კი ჰყავთ მოსარჩლე. ამ უკანასკნელ წლებში ურიათა საზოგადოებამ „Allure Izraelite“ სპარსეთის თითქმის ყველა დიდ ქალაქში დაარსა სასწავლებლები, რომელთა დირექტორები საფრანგეთიდან არიან. ეს დირექტორები თავიანთ თავს ურიების კოლონიების მამასახლისებათ სთვლიან და ყოველ საჭირო შემთხვევაში საფრანგეთის მთავრობის წარმომადგენლებისაგან დახმარებას თხოულობენ. აგრეთვე არც ერთი უცხო ტომის ხალხი სპარსეთში იგრე (ასეა!) არ არის დაქვეითებული, როგორც სომხები, აგრეთვე ურიები დიდი ხანია ბევრათ დაწინაურდნენ მკვიდრ მცხოვრებლებ სპარსელებზე, რადგანაც უცხო ქვეყნებიდან, როგორც სომხების, აგრეთვე ურიების საზოგადოებანი დიდ დახმარებას უწევენ თავიანთ ტომის ხალხს.

თეირანზე არას ვიტყვი, რადგანაც როგორც სპარსეთის დედა ქალაქში, გარდა მთავრობის სასწავლებლებისა, ბევრი ევროპიელების და ამერიკელების საქველმოქმედო საზოგადოებათა სასწავლებლები არსებობს.

მაგალითად მოვიყვან ქალ. ისპაჰანს, რომლის პროვინციაში ქართველებიც ცხოვრობენ. ისპაჰანის ერთი დიდი უბანი „ჯუბარე“ ძველის ძველი დროიდან დასახლებულია ურიებით, რომლებსაც სპარსელები უწინ პირუტყვზე უკეთესად არ ეპყრობოდნენ, მაგრამ მას შემდეგ, რაც ზემოხსენებულ ურიათა საზოგადოებამ გახსნა იქ სასწავლებელი, იმათი მდგომარეობა შესამჩნევად გამოკეთდა. სომხებმა ხომ დიდი ხანია, რაც ისპაჰანის გვერდზე მობმულ სოფ. ჯულცაში (ასეა!) გახსნეს რამოდენიმე სასწავლებელი ორივე სქესის ბავშებისათვის (ასეა!). ეხლა იმდენად დაწინაურებულია ეს სოფელი, რომ ამ ჟამად სატახტო ქალაქ თეირანშიაც არ არის იმისთანა თეატრი და წიგნთ საცავი სამკითხველოები, როგორც სოფ. ჯულფაში. არც ერთი ქალაქი ან სოფელი სპარსეთში არ არის იგრე მოწყობილი ყოველ მხრივ, როგორც ეს სოფელი. სისუფთავე ჯულფელების სახლ-კარ-ეზოებისა და ქუჩებისა განსაცვიფრებელია სპარსეთისათვის. აქვთ სამკითხველოები, კლუბი, ბურთის სათამაშო მეიდანი და სხვა კულტურული გასართობები. ყველა ეს შექმნა არა სპარსეთის მთავრობამ, რომელიც მუდამ მტერი იყო და არის განათლებისა, არც თვით ისპაჰანის სომხობამ, ესენი გამოაღვიძა და ფეხზე დააყენა რუსეთის სომეხთა საზოგადოებამ.

სკოლები იმათი ფულით აშენდა, მასწავლებლები იმათ გამოუგზავნეს და ბევრი სხვა შემწეობა გაუწიეს.

რუსის ძველი მთავრობა ზრუნავდა და ახალმა მთავრობამაც უფრო მეტი ყურადღება მიაქცია სპარსეთში მცხოვრებ რუსების განათლების საქმეს და ამ ჟამათ თეირანში და ენზელში აქვთ მშვენივრად მოწყობილი სასწავლებლები.

ის უბედური ქართველები კი ყველასაგან ყურმიგდებულნი არიან. და მით უფრო უნუგეშოა იმათი მდგომარეობა, რომ ჩვენს მეტი იმათთვის თავს არავინ არ აიტკივებს. და თუ ჩვენ არ ვიკისრებთ იმათთვის ძმურად ხელის გაწვდას, იგრე გადაგვარდებიან სამუდამოთ, როგორც გადაგვარდა არა ერთი ათასი ქართველობა სპარსეთში.

ეხლა როგორც ისმის, ფერეიდანელ ქართველებისთვის კულტურულ დახმარების გაწევა თავს იდვა საქართველოს ცენტალურმა (ასეა!) აღმასრულებელმა კომიტეტმა, რომლის განხორციელებას ამ მოკლე ხანში შეუდგება.

აშენებული იქნება სკოლა და საავადმყოფო.

რადგანაც ამ საქმის გაძღოლა უკისრია მთავრობას, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ საწყალ ფერეიდანელ ქართველებს მალე, აუსრულდებათ დიდი ხნის სურვილი და დაინახავენ თავიანთ „დიდ ძმებს" იმათთან დასახმარებლად მისულებს.

საზოგადოთ სკოლის და საავადმყოფოს გახსნა ძალიან რთულ რამეს არ წარმოადგენს, მაგრამ ფერეიდანში ამათ დაარსებას თავიდანვე ბევრი რამის გათვალისწინება დასჭირდება. და ამისათვის კარგი იქნება, რომ ქართველ საზოგადოების მიერ ამორჩეული იქმნეს კომისია, რომელიც მთავრობის წარმომადგენელთან ერთად შეიმუშავებს საჭირო გეგმას და ამ სასიქადულო საქმეს ჩაუდგამს მტკიცე საძირკველს.

გ. ბიაშვილი

***

ბაბილონის ტყვეობა – გაზეთი იუწყება საზოგადოების დაარსებას, რომელიც დაეხმარება ფერეიდნელ ქართველებს. იგულისხმება ქართველ მუსლიმთა კულტურული დახმარების საზოგადოება.

ბაბილონის ტყვეობა

(ტრიბუნა 1923, N466, 11 მაისი, გვ. 1)

ასი-ათასობით სპარსეთში გადასახლებულ ქართველთაგან ოციოდე სოფელი დარჩენილა ფერეიდანში, რომელიც თავის თავს დღესაც საქართველოს უწოდებს. ვერც რკინის ნაძალადევად გამოცვლამ, ვერც სამასი წლის გაუგონარმა მტარვალობამ ვერ წაშალა ამ განაწამებ ხალხში სამშობლო საქართველოს ხსოვნა, თუმცა არ იცოდენ (ასეა!), საით იყო მათი სამშობლო: მზე რომ ამოდის იქეთ, თუ მზე რომ ჩადის იქეთ.

მათ სწამდათ, შეურყევლად სწამთ დღემდის, რომ მათ იხსნის ამ ბაბილონის ტყვეობიდან უფროსი ძმები. როგორც ებრაელები ბაბილონის ტყვეობაში, ისე ფერეიდანელ-ქართველები სამშობლოში დაბრუნების იმედით სცხოვრობდნენ (ასეა!) და სცხოვრობენ. ჩვენ გვწამდა, რომ საქართველო აღსდგებოდა, განთავისუფლდებოდა

და ჩვენც გაგვიხსენებდა. „აბა სხვა რიგად როგორ შეიძლებაო“, ამბობს ფერეიდანიდან წარმოგზავნილი სეიფოლა იოსელიანი. მართლაც რომ სხვა ნაირად არ შეიძლება!

როდესაც გავიგეთ, რომ საქართველოში მუშებს და გლეხებს გაუმარჯვნიათო, განაცხადა ს. იოსელიანმა, გამომგზავნეს მთავრობასთან: ჩვენც მუშები და გლეხები ვართ, თქვენგან ძალად დაშორებული ძმები და გვიშველეთ რამეო.

40,000 ქართველი ეხლა აქეთ, საქართველოსაკენ იყურება და გულის ფანცქალით მოელის პასუხს უფროსი ძმებისაგან. რას ვიზამთ ჩვენ, როგორ შევხედავთ მათ მომართვას? რასაკვირველია მათ იმედი გაუმართლებათ და „სიხარულად შეეცვლებათ ამდენი ხნის გასაჭირი“. საქართველოს მუშურ-გლეხური მთავრობა უსათუოდ ყოველ შემთხვევას გამოიყენებს ფერეიდანელ ქართველთა სასარგებლოთ, მათი უკვდავი და დაუძლეველი სურვილის შესასრულებლად.

მაგრამ ყოველ მთავრობას ერთგვარ პირობებთანა აქვთ საქმე სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობის დროს და ამ პირობებს ვერ გადალახავს. ეს კარგად შეიგნო ქართველმა საზოგადოებამ და ამა მაისის 4 გადასწყვიტა საზოგადოების დაარსება, რისთვისაც არჩეულია კიდეც სორგანიზაციო კომისია. ჩვენ მოველით, რომ ეს კომისია სულ მოკლე დროში შეიმუშავებს საჭირო წესდებას და მოიწვევს საზოგადოების დამფუძნებელ კრებას.

ერთხელ კიდევ საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ ამ საზოგადოებას მიზნად უნდა ჰქონდეს არა მარტო ფერეიდანის, ან თუ გინდ სპარსეთის ქართველობა, ასეთები სხვა ქვეყნებშიაც არიან და უსათუოდ მათზედაც უნდა ვიზრუნოთ, რასაც ეფიქრობთ, არავისთვის სადავო არ უნდა იყოს.

***

ქართველი ხალხისადმი – გაზეთი ბეჭდავს სეიფოლა იოსელიანის წერილს უცვლელად, ამ წერილში გამოხატულია დიდი იმედი, რომ საქართველო არ მიატოვებს ბედის ანაბარა თავის შვილებს და დაეხმარება მათ.

სეიფოლა იოსელიანი
ქართველი ხალხისადმი

(ტრიბუნა 1923, N471, 16 მაისი, გვ. 1)

ჩონ, ფერეიდანის ქართველები, ეს რამდენი ხანია რაც გოდორტყოვცავ-ყე საქართველოდან, როგონაცრო დედის ძუძუდან მოგლეჯილი და გადაგდებული ყმაწვილი. ჩონ სამასი წლის განმოვლობაში (ასეა!) დაბნედილნი (ასეა!) ვიყავით და ეხლა ამოვფეთქეთ და შევტირეთ ჩვენ დედას, მაგრამ ვნახოთ ჩვენ ტირილს ყურს დოვგდებენ, თუ არ გუსმენენ, როგორც რო ექნობამდი და დამიწყებული ჰქონია-ყე.

მაგრამ ომიდი[177] გოქ, რომ უწინანდელი ქართველები გერივაც ფეხზედ იდგენ (ასეა!) და დგანან! ვაუკაცობაზე გათქმულნი ყოფილან და სამშობლოს მაყვარველნი. მართალია, რომ მუდამ მტერი ჰყოლია საქართველოს მაგრამ ვერმინ ჩონი დალოცილ სამშობლოს და საქართველოს ვერ მოსპობენ! ემის შამდეგ უნდა, რო სამშობლოს შვილებმა მოვიპოვოთ ერთმანერთი და მოიძებოთ (ასეა!) ის დაკარგული ძმები და შავიკრიფოთ და შავერთდეთ ჩონ ძველებულ ქეყანაზე (ასეა!). დიდ მოხარულნიც უნდა ვიყნეთ, რომ ემ რამდენი წლების განმოვლობაჩი დოგკარგიყო ჩონი ქართული თავრობა და ეხლა გუგუცოცხლდა ჩონი თავრობა. მაშ, უნდა ვიცოდეთ, რომ საქართველო გამარჯებული არი, უნდა ძალიან მოხარულნი ვიყნეთ მინაც, რომ თავს სთვლის სამშობლოს შვილად და ქართველადა და ჩონც ფერეიდანელი ქართველები დარწმუნებულნი ვართ, რო საქართველოს თავრობა და ერი ჩონ უყურადღებოთ არ დოგეაგდებს, ფერეიდანის ქართველებს ორმოცი ათასი სულამდი რო ვართ. ეს უნდა ჩონ ვიცოდეთ, რომ ყველა დედებს თავითი შვილებსა-ყე წინ არ ვინ არ უჭირავ და თუ კი შაძლება აქს გულით და სულით მახვოვს ხელებს. თავის შვილს მიიხუტებს თავის გულის-პირზე, და ჩონც ომიდი გაქ, რო თავრობა დოგეხმარება, რო ჩონ ძველ ძმებთან, ქართველებთან, კავშირი შავკრათ.

სეიფოლა იოსელიანი

შენიშვნა: წერილი გაშვებულია უცვლელად, რომ მკითხველმა წარმოდგენა იქონიოს, როგორი ქართულია დაცული დღემდის ფერეიდანში.

რედაქცია.

***

სეიფოლა იოსელიანის ნაამბობი – ავტორი აცნობს მკითხველს სეიფოლა იოსელიანის ნაამბობს იმის თაობაზე, როგორ შეხვდნენ სალოცავად წასული ფერეიდნელი ქართველები ბაღდადის ახლოს ოსმალეთში მცხოვრებ ქართველებს.

ვანო ბუთლიაშვილი
სეიფოლა იოსელიანის ნაამბობი

(ტრიბუნა 1923, N472, 18 მაისი, გვ.4)

სეიფოლა იოსელიანმა გადმომცა შემდეგი.

ამ სამი წლის წინად, როდესაც ფერეიდანიდან მრავალ პირთაგან შემდგარი ჯგუფი ფერეიდნელ ქართველებისა წავიდა ქერბალაიში სალოცავად, სადაც დასაფლავებულია მაჰმადის სიძე ალი შვილებით. აი ამ მგზავრობის დროს მათ უნახავთ

177. სპ. ომიდ – ქართ. იმედი.

ბაღდადის ახლოს მინდორზე ჩამომსხდარი სოფლელი ხალხი – ქალნი და კაცნი, ბავშვებით. როგორც ემჩნეოდათ იგი სოფლიდან აყრილნი იყო და მიჰყავდათ სხვაგან, ფერეიდანელ ქართველთ მიახლოვებისას ყური მოჰკრეს, რომ ეს ხალხი ქართულად ლაპარაკობდნენ. ამის გამგონე ფერეიდანელნი განცვიფრებულან და სიხარულით გამოლაპარაკებიან. უკითხავთ ვინაობა. პასუხათ მიუღიათ, რომ ესენი ქართველები არიან, და აქ ოსმალეთში ვცხოვრობთ ჩვენაო, ინგლისელების ჯარმა, რომელიც ეხლა უკან იხევს ჩვენ ტყვეთ წამოგვიყვანა ჩვენის სოფლებიდანაო!.. თავის მხრით აგრეთვე იმათაც გამოუკითხავთ ამათ ვინაობა, ფერეიდანელ ქართველთაც აუხსნიათ, რომ ესენიც ქართველები არიან სამასი წლის წინად შაჰ-აბაზის მიერ საქართველოდან გადასახლებულნი სპარსეთში და ამ ჟამად იქ მაცხოვრებელნი ამ უეცარი მოულოდნელი შეხვედრის ჟამს, მუხთალი ბედისაგან გადატყორცნილთ, ჩვენს თანამოძმეთ ცხარე ცრემლებით უტირნიათ შორს არაბეთის ველებზედ და ასე გულდათუთქულნი გამოსთხოვებიან ურთი-ერთს.

ვ. ბუთ – ლი.

***

ვისმინოთ გოდება თანამოძმისა – წერილი, ფაქტობრივად, მოწოდებაა საბჭოთა მთავრობისადმი, რომ უყურადღებოდ არ დატოვოს სეიფოლა იოსელიანის თხოვნა და მხარში ამოუდგეს ფერეიდნელ ქართველებს. სეიფოლას საქართველოში ყოფნისას გამოიკვეთა, რომ საბჭოთა მთავრობა არ აპირებდა მისი თხოვნის დაკმაყოფილებას. როგორც ჩანს, ეს დამოკიდებულება ნათელი გახდა ქართული საზოგადოებისათვის და ეს წერილიც მცდელობაა ხელისუფლებას კიდევ ერთხელ შეახსენოს ფერეიდნელთა დახმარების აუცილებლობა.

სოსო ასლანიშვილი
ვისმინოთ გოდება თანამოძმისა.

(სეიფოლა იოსელიანი).
(ტრიბუნა 1923, 25 მაისი, N478, გვ. 1)

საქართველოში მყოფი ჩვენი თანამოძმე ფერეიდანელი ქართველი სეიფოლა იოსელიანი თავის მოწოდებაში „ქართველ ხალხისადმი“ (იხ. „ტრიბუნა“ N471) სხვათა შორის სწერს: „ჩონ, ფერეიდანის ქართველები, ეს რამდენი ხანია რაც გოდოურტყოვცავ-ყე საქართველოდან, როგონარცო (ასეა!) დედის ძუძუდან მოგლეჯილი და გადაგდბული[178] ყმაწვილი. ჩონ სამასი წლის განმავლობაში

178. ტექსტში კორექტურაა, უნდა იყოს გადაგდებული.

დაბნელღნი[179] ვიყავით და ეხლა ამოვფეთქეთ და მეექტირეთ ჩვენ დედას, მაგრამ ვნახოთ ჩვენ ტირილს ყურს დოგდებენ, თუ არ გუსმენენ, როგორც რო ექნობამდი და და (ასეა!) დამიწყებული ჰქონია-ყე".

გულწრფელი სიტყვები, გულწრფელი გოდება, რომელშიც გამოსჭვივის ჩვენი წარსული და მასთანვე თანამედროვე ცხოვრების დუხჭირ პირობებზე აღმოცენებული ტკივილები. ისტორიის მწარე წარსული, რაც ასე მწარე დაღად აღბეჭდილა ქართველ მშრომელთა ცხოვრების ფურცლებზე, ნათლად სდგას ჩვენს წინაშე და გვამცნებს (ასეა!) იმ უბედურ სურათებს, იმ საშინელ წუთებს, რომელნიც რამოდენიმე საუკუნის წინად გადაუტანია საქართველოს, გადაუტანია ქართველ მშრომელთ, და მართლაც რა არის ბედი ქართლისა, თუ არა ტანჯვა-ვაება იმ სიერცეზე, რასაც ჩვენ ვეძახით კაცობრიობის ისტორიის მსვლელობას. ქართველ მშრომელთა სამშობლო, საქართველოდ წოდებული, მუდამ ლამაზად მორთულ კოშკს წარმოადგენდა, საითკენაც ყოველთვის გამოშვერილი იყო მტერთა გასისხლიანებული ხელები მის შესამუსრავად, მის გასაქრობად.

მაგრამ სიმტკიცე პატარა ხალხისა, სიმარდე ქართველთ ხალხისა არასდროს არ გამქრალა მის თავზე დატეხილ ჭირ-ვარამის დროს და მას მუდამ ბედის ვარსკვლავი გზას უნათებდა და უკაფავდა თავის საუკეთესო კარგ მომავლისაძი ტრფიალში. და სწორედ ეს ვარსკვლავი არის და იყო მუდამ წინამორბედი იმ ზრდა-განვითარებისა და წინმსვლებლობისა (ასეა!), რასაც ჩვეულებრივ ეტანებოდა ჩვენი ხალხის ბუნება.

მაგალითი ფერეიდანი – შორეულ სპარსეთის მიდამოებში მდებარე ერთი ადგილი, სადაც დღემდის შერჩენილი ქართველი კრებული, რომელიც სამი საუკუნის წინ შახაბაზის ურდღებს საქართველოს ერთი კუთხის განადგურების შემდეგ გადაურეკია თავის სამფლობელოში და სავსებით მოუწყვეტია თავიანთ სამშობლოს და „როგონაცრო დედის ძუძუდან მოგლეჯილი და გადაგდებული ყმაწვილი" მიუგდია შორს, სადაც არამც თუ მაშინ რამოდენიმე საუკუნის წინ, დღესაც, დღევანდელ კულტურულ ხანაში, ძნელი საქმეა მისვლა და მათთან კავშირის დაჭერა.

საქართველოს დარბევა ათასგვარ ურდღების შემოსევით, რასაკვირველია არ ნიშნავს მის სავსებით განადგურებას და ქართველ მშრომელთა აყრა და მოგლეჯა ჯერ კიდევ არ ნიშნავს სავსებით მათ გადაგვარებას, თუმც ასეთ ძალადობის წყალობით ნაწილობრივად, მაგრამ მაინც ნადგურდება ქვეყანა, რომელიც თავის კულტურის ზრდა-განვითარებაში რამოდენიმე საუკუნით უკან რჩება და ქვეითდება.

ფერეიდანელი ქართველობა, ფერეიდანის საქართველო, „ჩონი საქართველო", – მოქალაქე სეიფოლას გამოთქმით, ამის მაჩვენებელია, მაგრამ მიუხედავად ასეთი ჩვენგან მათი ჩამორჩენილობა გამოსწორებული იქნება, თუ კავშირი თანამედროვე საქართველოსი ჩვენს თანამოძმეებთან განახლდება და გამტკიცდება; თუ კი ჩვენი სიტყვები და ალფრთოვანება, რომელიც გამოთქმული და გამოსახული იყო ფერეიდანელ ქართველთა წარმომადგენლის სეიფოლა იოსელიანის წინაშე, არ დარჩება სიტყვად და განსახიერდება საქმითაც.

179. პირველი ასო არ იკითხება.

„ემის შემდეგ – როგორც მოგვიწოდებს სეიფოლა იოსელიანი – უნდა, რო (ასეა!) სამშობლოს შვილებმა მოვიპოვოთ ერთმანერთი და მოიძებნოთ ის დაკარგული ძმები და შავიკრიფოთ და შავერთდეთ ჩონ ძელებულ ქვეყანაზე“.

გულიდან ამოხეთქილ გრძნობით, ძველებური ქართულით, რომელიც დარჩენილა ამ უკანასკნელ 3 საუკუნის განმავლობაში ფერეიდანელ ქართველებში, გულწრფელად მოგვიწოდებს კავშირისაკენ, ძმური ქართულ კავშირისაკენ ჩვენი ძმა და მეგობარი სეიფოლა იოსელიანი.

ჩვენი ვალია და ამას გვიკარნახებს ჩვენი საუკეთესო მომავლისადმი ტრფიალი და წინსვლა, ამას გვიკარნახებს ჩვენ მშრომელთა ინტერესები, რომ მივხელთ მათ, ვინც ჩვენსკენ იწვდის სიყვარულით ხელებს, ვინც ჩვენდამი სიყვარულით და ლამაზ გრძნობებით გამსჭვალულა და ვაუწყოთ მათ ჩვენი წარმომადგენლის სახით, რომელიც საგანგებოთ იქნება იქ გაგზავნილი მათ წარმომადგენელთან, რომ საქართველოს მთავრობა და მთელი ერი მათ ყურადღებელს არ დასტოვებს და არ გაუცრუვებს იმ იმედებს, რომელსაც ამყარებენ ჩვენზე. ჩვენც ჩვენი მხრით უნდა მისივე სიტყვებით, უთხრათ მას, სეიფოლა იოსელიანს, როგორც ფერეიდანელ ქართველთ წარმომადგენელს.

რომ ყველა დედებს თავითი შვილებსა-ყე წინ არვინ არ უჭირავ და თუ კი შაძლება აქვს გულით და სულით მახვოვს ხელებს...

„რომ უწინანდელი ქართველები გერივაც ფეხზედ იდგენ და დგანან! ვაჟკაცობაზე გათქმულნი (ასეა!) ყოფილან და სამშობლოს მაყვარელნი (ასეა!). მართალია რომ მუდამ მტერი ჰყოლია საქართველოს, მაგრამ ვერ მინჩონი (ასეა!) დალოცილ სამშობლოს და საქართველოს ვერ მოსპობენ“.

სოსო ასლანიშვილი

***

ფერეიდან – სეიფოლა იოსელიანის ჩამოსვლამ და საქართველოში ყოფნამ ბევრ ქართველს გაუძლიერა ფერეიდანისა და ფერეიდნელებისადმი სიყვარული. ქართულ პრესაში გამოქვეყნებული ეს ლექსიც ამის დასტურია.

შოთა დუმბაძე
ფერეიდან

(ტრიბუნა 1923, 27 მაისი, N480, გვ.2)

მაწვალებს ფიქრი ფერეიდანზე,
ასეთი გრძნობა გაადნობს ფოლადს
და საქართველოს, ფერებით ტანზე,

შეეტირება დღეს სეიფოლა.
იყო წარსული სასტიკი ომის,
სადაც გადატყდა ივერი, ურჩი
და ზორაასტრას ამ სტიქიონის
მოვარდნას, ბედით თუ გადაურჩით.
ნამთვრალევია როგორც ჰაშიშით,
ძველ შაჰ-აბასზე ეს პარაბოლა,
და ივერიამ ასეთი შიში
საუკუნოებს თან გააბოლა (ასეა!).
ფერეიდანო! შენ თვალთა ალვას,
აქვს ლეგენდები საგმირონია.
ცეცხლს – და უდაბურ ტყეებში მალვას,
შერჩება მხოლოდ ეგ ირონია.
აღმოსავლეთში ამაყი გურჯი,
წინაპართ ხსოვნას აბარებ ურნებს.
თუ ხაშმიან მზეს შენ გადაურჩი
საქართველოსკენ გარეკავ ურმებს.
მაწვალებს ფიქრი ფერეიდანზე,
ასეთი გრძნობა გაადნობს ფოლადს
და საქართველოს, ფერებით ტანზე,
შეეტირება დღეს სეიფოლა.

შოთა დუმბაძე.

***

სალამი შორეულ ძმებს – ამ სავაზეთო წერილში საბჭოთა მოქალაქის პათოსითაა გამოხატული რწმენა იმისა, რომ საბჭოთა საქართველო დაეხმარებოდა ფერეიდნელ ქართველებს და გაამყარებდა მათთან ურთიერთობას.

ვანო ჭიჭინაძე
სალამი შორეულ ძმებს

(ტრიბუნა 1923, N443, 13 აპრილი, გვ. 4.)

ბევრი ცრემლი დავღვარე მაშინ, როდესაც წავიკითხე ლადო აღნიაშვილის შედგენილ წიგნში ფერეიდანელ ქართველების ყოფა-მდგომარეობა. ლადოს მაშინ ყოველად შემძლე დიდ ადამიანათ ვასახავდით. მხოლოდ მან ერთმა შესძლო აქნამდი

(ასეა!) მოღწევა და აქაური ყოფა-მდგომარეობის შესწავლა. პირველად ლადომ გაიბა ფერეიდანელ ქართველებსა და ჩვენს შორის შემაერთებელი ძაფი. განვლო დრომ და ჩვენს ქვეყანას ესტუმრენ ფერეიდანიდან ორი ქართველი, ონიკაშვილი და ხუციშვილი, იგინიც იმ განზრახვით გვეწვიენ, რომ უფრო მჭიდრო კავშირი შეექმნათ ჩვენს შორის.

მაშინდელი ნიკოლოზის მთავრობას აბა რაში ეპრიანებოდა ასეთი კავშირი, როდესაც ჩვენც დედა ენას გვისპობდენ და გადარუსებისაკენ მივჰყავდით. არ მოხდა ის, რაც გვინდოდა. დღეს კი თავისუფალი საქართველოა. მოვიშორეთ თავიდან საშინელი რეჟიმი თვითმპყრობელობისა. ამჟამად კარგი დროა და დღეს შეიძლება გავაკეთოთ ის, რისიც გაკეთება ვერ შევსძელითო მაშინ, როდესაც საშინელი თვითმპყრობელობა მძიმე ლოდივით გვაწვა თავზე. სულით და გულით ვუერთდებით სეიფოლას კეთილ განზრახვას. როდესაც მისი სურათი ვაჩვენე გაზ. „ტრიბუნა“-ში დასტამბული რაჭველ მეზობლებს, ბევრმა ცრემლი აფრქვია და ისურვეს ძმური კავშირი და დაახლოება ფერეიდანელ ქართველებთან. საბჭოთა მთავრობა, რომელიც ბუნებრივი მოსარჩლეა ყველა დაჩაგრულისა. იმედია დიდ დახმარებას გაუწევს გადახვეწილ მოძმეებს. სალამი სეიფოლა ხანს, სალამი საქართველოს ნაწილს ფერეიდანში.

ვანო ჭიჭინაძე
ს. წერო. (რაჭა).

***

სეიფოლა იოსელიანს – სეიფოლა იოსელიანის ჩამოსვლამ დიდი ინტერესი გამოიწვია საქართველოს მოსახლეობაში. ეს წერილიც ფერეიდნელი ქართველის მიმართ ქართული საზოგადოების დიდი სიყვარულის გამოხატულებაა.

ვანო ჭიჭინაძე
სეიფოლა იოსელიანს

(ტრიბუნა 1923, 29 მაისი, N481, გვ. 2)

ბედის უკუღმა ტრიალმა დაგვაშორა ერთმანეთს. ქართველების სისხლით გაუმაძღარმა შაჰ-აბაზმა რამდენიმე ათასი სული ქართველი მოსწყვიტა თავის საყვარელ სამშობლოს. ტყვეები ტირილით ეთხოვებოდენ (ასეა!) თავიანთ სახლკარს, თავიანთ მეგობრებს; იცოდენ თავის საყვარელ საქართველოს ნახვას ველარ ელირსებოდენ... თვალ-ცრემლიანი უცქერდენ მათ ნაცნობ ბორცვებს, ტყეს, ველს და მდინარეებს. ველარ იხილავდენ იმ ადგილს, სადაც თავის საუკეთესო დრო, სიყმაწვილე გაუტარე-

ბიათ, მიერეკებოდენ მათ სადღაც უცნობ ადგილისაკენ, მათ ფეხით უნდა გაევლოთ ათასი ვერსი მეტი მანძილი. ამტელი მანძილის გავლას, ორი სამი თვე მაინც მოუნდებოდა უბელური ტყვეები. როგორც ვიცით, საქართველოდან წაყვანილ ტყვეებს ნახევარსაც ვერ მიუღწევიათ დანიშნულ ადგილამდე: იხოცებოდენ გზაში, შიმშილით, სიცივით და დალლილობით. ქალაქებში გავლის დროს, მათ დასცინოდენ სპარსელი მოქალაქენი, პატარა ბიჭები გაჰკიოდენ „გურჯები მოჰყავთ გურჯებიო!“ ძახილზე ხალხი გარეთ გამოდიოდა ქართველი ტყვეების დასანახავათ.

შახის ბრძანებით ვინც ცოცხალი გადარჩა მგზავრობას, ისეთ ადგილზე დაასახლეს, საიდანაც მტრის საფრთხეს ელოდენ.

ასეთი ადგილები (ასეა!) იყო ფერეიდანი. მტერი თუ მოადგებოდა სპარსეთს, უმალ ფერეიდანი უნდა გაეთელოს. ყოველი გაჭირვება გადაიტანეთ და დღემდე ქართველი სული შეინარჩუნეთ, ვაშა თქვენს ქართველობას! ვაშა თქვენს მამულიშვილობას! ვერ წაგართვეს ის ენა.

ასი წლის რუსეთის მონობის დროს კინაღამ დავკარგეთ ჩვენი დედა-ენა. თქვენ კი 300 წლის სხვის ხელში ყოფნამ ვერ დაგავიწყათ ის.

ქართული ენისათვის არ გიღალატნიათ, ამას ამტკიცებს თქვენი საქართველოში მოსვლა და თქვენზე უმალ მოსულების ონიკაშვილის და ხუციშვილისა.

პატივცემულო სეიფოლა! დღეს ჩვენ, პროვინციელები, მთხოვნელები ვართ მოხვიდე ჩვენთან და გაგვაცნო ფერეიდანელ ქართველების ყოფა-მდგომარეობა. ასეთ საქმეში თქვენ გვერდს უნდა გიმშვენებდეს საქართველოს მოჭირნახულე მხცოვანი ზაქარია ჭიჭინაძე.

(რაჭა).
ვანო ჭიჭინაძე.

***

ქორწინება ფერეიდანში – სეიფოლა იოსელიანის ნაამბობი ქორწილის ტრადიციის შესახებ მრავალ საყურადღებო ცნობას შეიცავს ეთნოგრაფიით დაინტერესებულთათვის.

ვ. ბუთლიაშვილი
ქორწინება ფერეიდანში

(სეიფოლა იოსელიანის ნაამბობი)
(ტრიბუნა 1923, N513, 5 ივლისი, გვ. 3-4)

პირველად ქალი და ვაჟი გაიცნობენ ერთმანერთს, მაიწონებენ ერთ-მეორეს, ვაჟიანთა-ყე გაიგზავნიან ორ მარჯაკალს კაცებს, რომელნიცა-რო წავლენ ქალის დედ-მამასთან, და ისენი ნელ-ნელად შეუხსენებენ ქალის მამას და დედას, რო ჩონ

მოგზავნილი ვართო ფლანისაგან[180] თუ კი ნებას მოგვცემთ რამდენი სიტყვა გოქ მოგახსენებთო!

რასაკვირველია, რო ისინიც-კი შაიტყობენ, რო რა საქმე აქ-ყე. ეტყვიან თქითო, თუ კარგია ხო ჩონ თოლზე გაქყე ადგილივო! მარჯაკალებიც იტყიან რო ჩომ ფლანის ბიჭიო გთხოვთ-ყეო რო, იყაბულოთო თქენი ნოქრადაო, და თქენი ყორიო (გასათხოვარი ქალი) მისცეთ იმასაო[181], ლამაზი ბიჭიაო, ქალის დედ-მამაც იტყიან რო აბა ვნახოთო. ჩონ ბიძა, ბიძაშვილებიო, რას იტყიანო და გაცნობებთ-ყეო. იმ ღამით იმის-ყე მეტი საუბარი არ იქნების.

და მარჯაკლები ადგებიან წავლენ ბიჭიანთას. იქაც ელოდებიან რო აბა რა გოუკეთებიან-ყე და რა ამბავს წაილებენ, როდესაც მარჯაკლები მოვლენ ვაჟიანთას, მათა ჰკითხავენ, რა ჰქენითო? მარჯაკლები იტყიან ბალე (თანხმობა) ავიღეთო, მეორე ღამეს ქალის დედ-მამა დოუძახებს თავისიანებს და დეეკითხების-ყე რო ფლანიანი მოსულიყნეს ჩონ ქალსათინა რო ითხოვონ, ისენიც ეტყიან რაც რო თქვენ გიქონიაყეო ჩონ ყაბული გოქო! და დაინიშენენ ერთ ღამეს რო აცნობონ-ყე და მოვიდნენ მარჯაკლები რო „შირინი“ მისცენ. თა ის ღამე რომ დაუნიშნავ-ყე ერთ დღეს წინ შაატყობინებენ მარჯაკლებს რომ ხვალ ღამ მოდითო, ის ღამე რო შაიქნების, ქალიანთა-ყე თავისიანებს მაყვეენ, და შაქუჩდებიან ქალის სახლჩი, ბიჭიანთაყენაც თავისიანები რაცლა რო არიან მოუწვევია-ყე და დაქუჩებულან. ვაჟიანთას ვახშამს რო ჭამენ მარჯაკლები აიღებენ რამდენ თუმან ფულსა და, ერთი ბალგარა (ბელგა), ან ერთი კარგი ჩიქილა იქნების, ან კარგი „საყელური“ ძვირფასი თვლებით, და წავლენ ქალიანთ სახლჩი, შავლენ ისენიც ყოლანი შამოყრილნია. პატივცემულათ მიიღებენ დასხდებიან დაიწყობენ ხუმრობას, სიცილს, და ჩაის ლევნას შეექცევიან და ერთ საათის უკან ამაიღებენ ფულსა და ბალგასა დაჰყრიან თეფშზე და დოუდებენ ქალის დედას წინ, ისიც აიღებს იმეებს და შაინახავს. ნახევარ საათის უკან ქალის მამა ეტყის თავის ცოლსა ადეო ემაგ ფულის აღებასაო ნიშნელობა დიდიაქო! (ასეა!) ეტყობის რო „შირინს“ ითხოვენო ადგების ისიც წავა და სინზედ დაჰყრის ქიშმიშსა, ნუღლსა, და ერთი მთელი ყანისა[182] (თავი შაქარი) დაადებს ხილზედ მოუტანს-ყე და წინ დოუდებს მარჯაკლებსა. ამ დროს ყველა ვინაც იქ არიან ტაშს დოუკრავენ და იტყვიან „მობარექი“ იყოს (ბედნიერი იყოსო. „მობარაქი“ არაბული სიტყვაა). ამის შემდეგ ხილს აიღებენ მარჯაკულები (ასეა!) და წავლენ ვაჟიანთ სახლჩი, სადაც ვაჟიანი თავის სტუმრებით ელოდებიან მარჯაკლებს. როდესაც შავლენ სახლჩი ყველას გაუხარდება-ყე. შაიქნების მხიარულობა და სიცილი. ჩაის სმეულობა, იმ ყანდს იქ გასტეხავენ და ხილსაც წამაირიგებენ სტუმრები, ემას ქიან ნათხოვნის დანიშვნა. რამდენიმე თვის შემდეგ მინდორიდან რო შამაიკრიფებიან ყოლანი საქმე მინდორჩი აღარ არის სამუშაო, შამადგომას რო აგრილებდა (ასეა!), ვისაც რა შაძლება აქ იღებს ფულსა ან სხო რამეს ვისაც რაღა აქ, წავა ქალაქჩი რო „საახანძლო“ იყიდოს

180. ფლან-ი – მაყანი. ფოლანისაგან – მაყანისაგან.

181. კორექტურაა ტექსტში: იმახო.

182. ყანდ-ი – ნატეხი შაქარი

ნეფესათის, („საახანძლო“ ახალი რძალი პატარძალი) იყიდის ქალაქჩი-გა მოვა და დაიწყობენ „გაკეთვას“ („გაკეთვა“ იმას ჰქვიან რო წავლენ ქალის დედ-მამასთან და ეტყვიან რომ აბა რა მოგიტანოთო) ის ეტყის რო რაც რო გინდა-ყე მაიტათო. თა გადასწყვეტენ შიდი ცხორი, შიდი „გირი“ ხორბალი, (ამათი გირი უდრის თითო სამფუთს) შიდი ლიტრა ბრინჯი, (ლიტრა უდრის 16 გირვანქას) შიდი თუმანი ფული, შიდი ყანდი, შიდი ჩარექი ერბო (ჩარექი არის 4 გირი), ერთი ჩარექი ჩაი, ერთი საპალნე ფქვილი ერთიც მსუქანი ცხორი ამას ქიან „გაფეთვა“ ამაზედ გადასწყვეტენ, ხმა ჩავარდების ხალხში რო შიდ-შიდი გოუკეთიაყეო.

ამის შემდეგ დადგებიან ქორწილობას, ვაჟიანთას დაიწყობენ პურის ცხობას ორი-სამი დღე, თავისიანებიც შემოიკრიბიან ნეფიანთას რო სახლები დამზადონ, ქობები მოამზადონ, საკლავები დამზადონ. და აქვთ სიმღერა და თამაში. გაიგზავნიან სტირ-ნალარასათი და ჩონგურისათი. სომხებს მოვიყანთ დასაკრავათ, მოწვევარს გაიგზავნიან სხო სოფლებში. მააწიოს ნათესაები და ამხანაგები. მეორე დღეს მოვლენ სხო სოფლებიდანაც. სტირ-ნალარას აიყვანენ გომზე და დააკრევინებენ და „ჩოფს“ ჩააბენ კაცი და ქალი, („ჩოფი“ – ფერხული ცეკვა) დანარჩენებიც უცქერიან „ჩოფს“ დღეში ორ სამჯერ ჩაბენ.

მეშვიდე დღესაც დაჰკვლენ ხარებსა, ცხორებს, მააწევენ მთელ სოფელს, შეიქნების მეჯლისი, რაც ღა რო...

რო მოხუცებულებია და პატიოსანები იმ დღეს სადილათ დაპატიჟებულნია (ასეა!), ამ დროს ახუნდიც (ღვდელი) მოვა, სადილის შემდეგ ჩუნგურის დამკვრელი ჩუნგურს დაუკრავს მოხუცებულებში და თურქულათა მღერის, კაცებიც ყურს უგდებენ თან ჩაის სმენ და ყალიონს სწევენ.

სალამომდინ, სალამო ხანს ახუნდი ადგების, თან წაიყვანს რაცლა რო პატიოსანი ხალხია, და წავა ქალიანთას „აღდს“ წაიკითხავს „ქებინს“ დასწერენ და ყველა დაბეჭდავს („აღდი“ და „ქებინი“ არის ჯვრის წერა).

ამის შემდეგ რაც ღა მაჯლისის ხალხია წამოვლენ ვაჟიანთას და შაიქნების ქორწილი. ვახშამს გაიმართვენ მთელი საზოგადოება იქ იქნების. ვახშამის შემდეგ რაც რო შორეული ხალხია წავლენ თავით სახლებჩი. ვახშამთ უკან ზოგიერთი ახალგაზდები ნეფეს და „ნეჯიფის“ (ნეჯიფი ნიშნავს ნათლიას) წაიყვანენ აბანოში, რომ იბანონ, აბანოსაყენ გამოვლენ და სახლჩიგან გერივაც დაიწყობენ ჩაის ლევნას, შუშპრობას (თამაშს) და სიმღერას თა იქნობამდი რო მზემა ჰკრას.

სამ საათის შამდეგ მეფეს წაიყვანენ სხო უბანჩი და შაჰკმაზვენ (მორთაენ) ხანჯლებს გამაირჭმენ წელში ნეფე და ნეჯიფი. ათს სინს აავსებენ ხილით თითოზე მთელ ყანდს დასდებენ, ბიჭები შაიდგმენ თავზედან და მეფეს წინ გამოუძღვებიან, ეგრევე ქალებიც შუშპრობით წინ მოუძღვებიან ნეფეს და ასე მოიყვანენ სახლჩი. ყანდებს დაამტვრევენ, თეფშებზედ ხილს დაჰყრიან ზედ დაზდებენ დიდს ყანდის ნატეხს და ასე დაურიგებენ ხალხს, ამის შემდეგ ხალხიც თითო თავის შაძლებაზე ფულს ამაილებს და ანიჭიებენ (ასეა!) ნეფეს, ფულის შემდეგ გაიმართების სადილი სულ ცოტა რო ვთქოთ ხუთასმა კაცმა მაინც უნდა სადილი ჭამოს ქორწილჩი, სადილის შამდეგ მაიწყობენ მაყარის გაგზანას „ახანძალსათვის“ (პატარძალი) წავლენ ქალი

და კაცი სტირ-ნალარაითა შუშპრობით და სიმღერით ასიოდ კაცამდე, თან ახანძალს წოულებენ ახალს ტანისამოს, ამ ტანისამოსით შაჰკმაზვენ და დიდის ამბით და სიმღერით წამოიყვანენ ვაჟიანთან. თან ქალები წინ მოუძღვებიან შუშპრობით, ხელში „დასმლებით“ („დასმალი“ ხელსახოცია) ახანძალსათი ხელი მოუკიდია ერთ მხარეს ვაჟის ძმას, რომელსაც მარჯვენა ხელში ამოღებული ხმალი უჭირავს, მეორე მხარეს ქალის ძმას, და როდესაც მაახლოვდებიან ნეფიანთ სახლსა, ახანძალი დადგების და მაითხოვს ნეფეს, ვაჟიანთ სახლიდან ნეფე და ნეჯიფი გამოეგებებიან წინა და ასე წამოვლენ, როცა სახლის კარებთან მოვლენ ახანძალი მაშინ მაითხოვს თავის მამამთილ-დედამთილს. ამ დროს დედამთილი გამოუტანს ნულსა და ახანძალს თავზედ დააყრის.

ახანძალს როდესაც თავიანთ სახლიდან წამოიყვანენ თავზედ დადგამენ „კაკალას„[183] („კაკალა“ არის აბრეშუმის ქსოვილიდან შეკერილი „კოპი“ რომელიც ქართულ ძველებურს გვირგვის (ასეა!) თუ მოაგონებს) რომელსაც აგრედვე ვეძახით „კოკოშას“ რომლის ზემოდანაც ახანძალს ჩიქილა აქვს გადმოფარებული სახეზედ.

ამის შემდეგ ქალს შაიყვანენ სახლჩი. ამ ღამით გერივ გაიმართვენ ეახშამს. ემ ღამესა ჰქიან ქორწილის ღამე. მეორე დღით სტუმრები თავ-თავიანთ სახლებჩი მიდიან. რამოდენიმე დღის შემდეგ ახანძალთან სტუმრად მოდიან ქალის მშობლები და ნათესავები.

ასეთია ქორწილი ფერეიდანჩი.

ვ. ბუთლიაშვილი

***

ფერეიდანელ ქართველის შეხვედრა ბახტიარ ხოჯა-აბასხანთან – ეს ისტორია ფერეიდნელ ქართველებში საკმაოდ გავრცელებულია და ხშირად უყვებოდნენ მათთან ჩასულ სტუმარს ამ ამბავს.

ვ. ბუთლიაშვილი
ფერეიდანელ ქართველის შეხვედრა ბახტიარ ხოჯა-აბასხანთან

(სეიფოლას ნაამბობი)
(ტრიბუნა 1923, N519, 11 ივლისი, გვ. 2)

ერთი კარგი სიტყვა არის დარჩენილი ჩონ ფერეიდანელ ქართველისა, რომელსაც ძველად უცხოვრია მარტყოფჩი და რომლის სიტყვასაც ეხლაც ბევრჯელ მაიგონებენ სამაგალითოდ სხილ მაჯლისებში, იქ რო მინისტრები და გუბირნატრები (ასეა!)

183. უნდა მოლიოლეს სპარსული სიტყვიდან „ქაქოლ“ – გვირგვინი (მათ შორის, მაშლის ბიბილო).

შაკრებილნია, ხან დას (ასეა!) ხან ემ ლაპარაკს დაიწყობენ რო ხომ გაგიგია-ყეო იმ ქართველსაო რა სიტყვა უთქვამს. ბახტიარ ხაჯა (ასეა!) აბას-ხანისათინაო? და მოუყებიან ამ ქართველის ამბავს, რომელიც რომ არის შემდეგი, ძელათ ერთ საღამო დროს, ჩონჩი, ერთი ქართველი მინდორიდან წამოსული ყოფილა სახლსათი. ამ დროს სოფლიდან ორ სამი ვერსი დაშორებით შაჰხდომია ერთი დიდი ბახტიარების ხანი, ხაჯა აბას-ხანი, რომელსაც თანა ჰყოლია სამოცდა ათი ცხენოსანი და ყოფილა შაიარაღებულნი. პირველად როცა შემოჰყრია ქართველ კაცს მიუცია სალამი იმ უფროსისათინ და როცა პასუხი მიულია იმის შემდეგ დოუპატიჯნია რო ბატონოო ეხლა გიან არიო, მობძანდი ჩემ სახლჩიო ღამით დარჩიო და დილით წაბძანდიო! იმ ხანს უთქომ მადლობელი ვარო, ჰალუ გურჯიო! („ჰალუ“ ქურთულად ნიშნავს ბიძას) ეხლა გამოვცილებივართ სოფელსაო და მეჩქარების რო წავიდე ჩემ სახლჩიო. ამის შამდეგ (ასეა!) ქართველ კაცს შოუგინებია იმ ხანისათი, დედ-მამა!

ამის გამგონე ხანი გაოცებულა, და ხანის მხლებელნიც მომზადებულან რო იარაღით მოკლან ქართველი, მაგრამ ამ დროს იმ უფროს შეუჯნია თავის კაცებსათინ რო მაიცათო! არ ესროლოთ მე რამე უნდა ვკითხოვო. და უკითხაე ქართვლისათი (ასეა!) რო ჰალუ გურჯიო, ან ეს შენი სალამი რა იყოვო. და ეს დაპატიჯება რო. მე სამოცდა ათი ცხენიანი თანა მყა და ან ეს გაგინება რო დედ-მამა ამირიე ერთმანერთჩიო, ეს რა იყოვო?!

ქართელ კაცს უთქომს, მართალია ბატონო შენი ბძანებაო! სალამი მოგეო რო არა ჰთქოვო ქართველი სულელი იყოვო, დაგპატიჯე იმიტომ რო იცოდეთო ქართველის პურ-მარილი გათქმული არიო, და მუდამ სტუმრისათი კარი ღია აქო! და შემდეგ გაგაგინე იმიტომ რო არ გეგონოს-ყე ქენ ბევრები იყნევით და მე მარტოკა იმიტომ შემეშინდა, სალამი მოგეცი-ყე და დაგპატიჯეთო! ამის შემდეგ ის ხაჯა აბას-ხანი მისულა და მხარზე ხელის დაკრით უთქომს. მართალი ხარო, ქართველის ვაჟკაცობა ყოველგანს უნდა გამოჩნდესო! და შენც შენი ვაჟკაცობა გოჩვენეო. ამის შემდეგ გამომშვიდობებია, მშვიდობით იყავიო, და გაზდგომია ხანი თავის გზას. და როდესაც სპარსელებს ამ ქართველი კაცის სიტყვები მოჰყავთ, მსმენელნი გოკვირდებიან, და დაიწყობენ სიცილს.

ვ. ბუთლიაშვილი

***

ფერეიდანის საქართველო – ამ ტიპის სალამოებს უკვე საზოგადოებრივი გამოხმაურება მოსდევს. ამაზე მეტყველებს სტიპენდიის დანიშვნის, შემოწირულობის ფაქტები. გარდა ამისა, პაოლო იაშვილის ინიციატივით იქმნება სპარსელ ქართველთა დამხმარე კულტურული კომიტეტი.

ფერეიდანის საქართველო

(გაზეთი ლომისი, 1923, N34, 13 მაისი, კვირა, გვ.4)

პარასკევი. მაისის 4. სახელმწიფო პირველ კონსერვატორიის დარბაზი. სპარსეთში მოსახლე ქართველობაზე მოხსენებები წაიკითხეს: ზ.ჭიჭინაძემ და სპარსეთიდან – ფერეიდანიდან ჩამოსულმა ქართველმა სეიფოლ იოსელიანმა. საღამო ფრიად საინტერესო და მნიშვნელოვანი იყო. დამსწრეთა წინაშე ერთხელ კიდევ გადაფურცლა ზ. ჭიჭინაძემ ჩვენი ისტორიის ცოდვიანი სტრიქონები და მით უფრო აღმაფრთოვანებელი და თან ათას გვარ ფიქრების აღმძვრელი იყო ქართველ საზოგადოებისათვის მოესმინა სიტყვა იმ ქართველთა ძმისა, რომელიც საუკუნეებმა მოგვწყვიტა თვალთაგან. სეიფოლა იოსელიანის გამოსვლა მხურვალე ტაშის ცემას იწვევს დამსწრე საზოგადოებაში, რომელიც ძველი ქართული ენით, იმ ენით, რომელსაც არ აუცრია რუსული აკადემიის სენი, უამბობს დამსწრეთ იმ საშინელ სურათებს, რომელიც განიცადა ქართველობამ სპარსეთში შაჰაბაზის მიერ ტყვედ წაყვანილმა. ჩვენ მამა-პაპათ, ამბობს იოსელიანი, იდუმალი ცნება დასტოვეს, რომელიც გადმოდიოდა შთამომავლობაზე – დადგება დრო საქართველო გაიმარჯვებსო. ეს ანდერძი იყო ჩვენი მაცოცხლებელი, ჩვენი ეროვნული სიამაყის აღმზრდელი და აი სამი ოთხი წლის წინად ჩვენ ფერეიდანში მივიღეთ ცნობა – საქართველომ გაიმარჯვა, საქართველოს დროშა ფრიალებს ჩვენს სამშობლოში და მას შემდეგ „ჩონი გული აღარ ჩერდების იქ სპარსეთში, ჩონ გვინდა დავიჭიროთ ხელში საქართველოს დროშა, გადმოვლახოთ სპარსეთის საზღვრები და დაუბრუნდეთ ჩონ კერასო“. იგი მოითხოვს დახმარებას. იქ, სადაც ჩვენ დაგვასახლეს, სპარსელები იმ ადგილებს საქართველოს უწოდებენ, მაგრამ ჩვენ ვიცით სად არის საქართველო და ქართველებს საქართველოსკენ მოგვიხარიანო. დაუსრულებელი ტაშის ცემაში იკარგება მისი უკანასკნელი სიტყვები. მოქალაქე ბილანიშვილი აცხადებს საჯაროთ, რომ იგი ნიშნავს ორ სტიპენდიას სპარსელ ქართველთა შვილების აღსაზრდელად ტფილისში, რომ იგი იზრუნებს მათთვის როგორც შვილთათვის და მიაღებინებს საშუალო განათლებას.

შემოდის წინადადება დარბაზშივე გაიმართოს ხელის მოწერა სპარსეთში გადახვეწილ ქართველთა დასახმარებლად, აგრეძვე პ. იაშვილის წინადადებით დამსწრე საზოგადოება აარსებს სპარსელ ქართველთა დამხმარე კულტურულ კომიტეტს და საორგანიზაციო კომიტეტში ირჩევენ: პავლე საყვარელიძეს, იასონ ლორთქიფანიძეს, ვასილ გაბაშვილს, მ. ლალიძეს და ზ. ჭიჭინაძეს.

***

ს. იოსელიანის გამოთხოვება – წერილში ჩანს, რომ სეიფოლა იოსელიანი იმედგაცრუებული, თუმცა მომავალი ურთიერთობის იმედით ტოვებს საქართველოს. წერილის ავტორი იმედს გამოთქვამს, რომ ახლად დაარსებული ქართველ მუსლიმთა კულტურული დახმარების საზოგადოება დაიწყებს აქტიურ მუშაობას და შეასრულებს ალებულ ვალდებულებას. ამასთანავე კიდევ ერთხელ სვამს საკითხს, რომ ფერეიდანში გაიგზავნოს კ:გუფი, რომლის შემადგენლობაშიც იქნებიან ექიმი, მასწავლებელი, ფოტოგრაფი და ა. შ.

ვანო ბუთლიაშვილი
ს. იოსელიანის გამოთხოვება

(გაზეთი ტრიბუნა, 1923, 17 ოქტომბერი, ბუთლიაშვილი ვ. ს. იოსელიანის გამოთხოვება)

შაბათს, 13 ოქტომბერს, ხელოვანთა სასახლე (ასეა!) მოხდა სპარსეთიდან ჩამოსულ ფერეიდანელ ქართველის სეიფოლა იოსელიანისა გამოთხოვება, რომელსაც მეტად თბილი და ინტიმური ხასიათი ჰქონდა.

სალამო გახსნა მოკლე სიტყვით პოეტმა ი. გრიშაშვილმა საქართველოს ხელოვანთა კავშირის სახელით, შემდეგ ილაპარაკა თვით ს. იოსელიანმა, რომელმაც მსმენელთ გადასცა თავიანთი ცხოვრების ზოგიერთი ისტორიული ცნობები, იმის შესახებ სამშობლოდან გადახვეწილნი როგორის მედგრობით იცავდნენ საუკუნეთა განმავლობაში თავიანთ ეროვნულ სახეს, რამდენი ტანჯვა-წამება გადახდათ მათ.

შეეხო თავიანთ ზნე-ჩვეულებას, აწინდელ მდგომარეობას, თავის ჩამოსვლის მიზანს და, სხვათა შორის, გულის ტკივილით აღნიშნა თავის მისიის შეუსრულებლობა, მაგრამ სთქვა, რომ ჩვენ მაინც გულს არ გავიტეხთ. იმედი მუდამ გვექნება, ჩვენ შორის კავშირი კვლავ აღსდგებაო და დედა სამშობლო, საქართველო, მუდამ ყურადღებას მოგვაქცევს და ის თესლი, რომელიც ეხლა ჩავარდა უსათუოდ თავის ნაყოფს გამოიღებსო.

მეტად კარგი შთაბეჭდილება დასტოვა მსმენელებზე იოსელიანის უბრალო, სადა, მაგრამ მეტად გულწრფელმა სიტყვამ, რომელსაც საზოგადოება აღტაცებული უსმენდა.

საზოგადოებამ იგი მხურვალე ტაშით დაჯილდოვა. შემდეგ მოკლე სიტყვა სთქვა პ. საყვარელიძემ და გადასცა საზოგადოებას „საქართველოს მუსლიმანთა დამხმარე კულტურულ საზოგადოების დაარსების ცნობები, საორგანიზაციო კომიტეტი შესდგა წარსულ მაისის თვის 4-ს.

ამ საორგანიზაციო კომიტეტს დღემდე ვერ მოუწვევია დამფუძნებელი კრება, რადგანაც წესდების დამტკიცება მათ დამოუკიდებელ მიზეზთა გამო მეტად დაგვიანდა.

მან აღნიშნა, რომ დამტკიცებულ წესდებას მივიღებთ ამ მოკლე ხანში და მაშინვე მოვიწვევთ კრებასო. კრებაზედ აირჩიეს ამ კომიტეტის წევრად მოქ. ირ. ბილანიშვილი, რომელიც დაჰპირდა, რომ იგი თავისი ხარჯით გამოზრდის და ასწავლის 2 ფერეიდანელ ყმაწვილს. მან სთხოვა ს. იოსელიანს რომ გაზაფხულზედ უსათუოდ გამოგზავნოს ყმაწვილები. ს. იოსელიანი შეჰპირდა. მისი განზრახვაა, სხვათა შორის, თავისი უმცროსი ვაჟიშვილის გამოგზავნა. ი. ბილანიშვილმა აგრეთვე ნივთიერი დახმარება მისცა ს. იოსელიანს გამგზავრებისას.

დასასრულს გამოსათხოვარი სიტყვით მიმართა იოსელიანს და მადლობა გამოუცხადა გრიშაშვილმა. შემდეგ ს. იოსელიანმა გადაჰკოცნა მწერლები, მადლობა გადაუხადა ასეთი წრფელი და სიყვარულით მიღებისათვის, უსურვა ქართველ ერს გამარჯვება და სთქვა თვალცრემლიანმა, რომ „მართალია მე მივდივარ, მაგრამ სული კი თქვენთან მრჩებისო“. ს. იოსელიანმა აქვე გადასცა საქ. მწერალთა კავშირს გაზეთ „ხომლი“-სთვის წერილი „გამოთხოვება სამშობლოსთან“, რომელიც დაიბეჭდება მომავალი კვირის N-ში. ს. იოსელიანი დარბაზიდან ტაშით გამოაცილეს. მეორე დღეს, კვირას, დილის 10 საათის მატარებლით გაემგზავრა ს. იოსელიანი ფერეიდანისკენ ბაქოს გზით.

აქვე უნდა ავღნიშნო (ასეა!), რომ მეტად საჭიროა მალე შეუდგეს მუშაობას საქარ. მუსლიმანთა დამხმარე კულტურულ საზოგადოებამ“ (ასეა!), რათა ამ გზით მათ მაინც ჰქონდეთ საშუალება, რომ დაეხმარონ კულტურულად ფერეიდანის ქართველობას. ამ საქმეს საბჭოთა მთავრობაც დღეს ნივთიერ დახმარებას გაუწევს.

ს. იოსელიანმა განაცხადა, რომ მეტად საჭიროა და დიდ ნაყოფს გამოიღებს, რომ ფერეიდანში ჩამოვიდოდეს სანახავად ქართველ მოღვაწეთა ჯგუფი, რომელნიც ადგილობრივ შეისწავლის მათ ყოფა-ცხოვრებას და მდგომარეობას. ამ ჯგუფში უნდა იყოს მწერალი, ექიმი, მასწავლებელი, მხატვარი და ფოტოგრაფიო. ამ საქმესაც უნდა მიაქციოს თავისი ყურადღება „საზოგადოებამ.“

ვ.ბ.

***

ჩვენი დამოკიდებულება სპარსეთის ქართველობასთან – სეიფოლა იოსელიანის წასვლიდან ერთი წლის შემდეგ პრესაში ისევ განაახლეს ეს თემა. ჩნდება სპარსეთში ექსპედიციის გაგზავნის იმედი და იწყება ფერეიდანში წამსვლელთა ჯგუფზე ფიქრი. აგრეთვე დაკონკრეტების გარეშე ახსენებენ იმ ადამიანებს, რომლებიც ფერეიდანში იყვნენ ნამყოფი და ახლა მათი დახმარება გახდა საჭირო.

ჩვენი დამოკიდებულება სპარსეთის ქართველობასთან

(გაზეთი მუშა, 1925 წ, N 9,11 იანვარი)

ერთი წელიწადი შესრულდა მას შემდეგ, რაც უკან გაბრუნდა ფერეიდანში, სპარსეთიდან საქართველოს მთავრობასთან წარმოგზავნილი სეიფოლა იოსელიანი. სეიფოლას ჰქონდა ფერეიდნელ ქართველთაგან დავალება – აღეძრა საქართველოს მთავრობის წინაშე შუამდგომლობა, რათა ფერეიდანელ ქართველთათვის დაენიშნათ საქართველოს წარმომადგენელი, რომელიც დაიცავდა მათ ინტერესებს სპარსეთის მთავრობასთან.

ფერეიდანელ ქართველებს ძლიერ ავიწროებენ თურმე მოსაზღვრედ მცხოვრები ბახტიარები.

გარდა ამისა ფერეიდანელები ითხოვდენ საქართველოდან მასწავლებლებს და ექიმებს და ამნაირად სურდათ ჩვენთან კავშირი გაებათ.

სეიფოლა ერთი წელიწადი დარჩა საქართველოში. გაეცნო ჩვენს ცხოვრებას და დიდი სურვილი ჰქონდა ეს უსამართლოდ თავის ქვეყანას მოწყვეტილი ხალხი, რომელთაც სამასი წლის განმავლობაში განიცადეს ტანჯვა-ვაება და დღემდე შეინარჩუნეს მშობლიური ენა და ზოგიერთი ზნე-ჩვეულება, კვლავ დაკავშირებოდა თავიანთ სამშობლოს, საქართველოსთან კულტურული კავშირი აღედგინა. სეიფოლას თქმით, ფერეიდანელ ქართველთა „თოლი სამშობლოსაყე იჭრიტებისო“.

მეტად საგულისხმოა ის სიტყვები, რომლითაც სეიფოლამ გამოთხოვებისას მიმართა ხალხს: „ეს ორი წლის განმავლობაჩი ამბავი მოვიდა და დოგხვდა ყურჩი რომ საქართველო არი თავისუფალი და თავრობა თითონ ქართველები არიანო, ჩონ ფერეიდანელი ქართველები ძალიან მოხარულნი შავიქენით რომ სამშობლო გაუცოცხლდაო და იმედი არივო, რო ეხლა იმათი გამარჯვებამ ჩონ დახმარება მოქცეს და ის ძაფი რო ექამდი არ გაწყვეტილა, ემექთენ ტანჯვა დაჩაგვრაჩი, ემის შამდეგ ჩონ ძაფი აღარ გაწყდესო, ჩონ ძმებს ჩონსათი გული დაეწების და რამენაირათ დაგვეხმარებიან, სასწავლებელს გაგვიხსნიან, რომ ჩონმა შვილებმა ქართული წერა-კითხვა ისწავლიან და ჩონში ამას იქით გაისმება ძმური კავშირი და ის თესლი, რომელიც ეხლა ჩავარდა უსათოვოდ ნაყოფს გამოიღებსო“.

როგორც ვიცით, ჩვენი მთავრობა დიდის თანაგრძნობით შეეგება სეიფოლას ჩამოსვლას და ამასთანავე ნივთიერი საშუალება მისცა, რათა მას ეცხოვრა საქართველოში ერთი წლის განმავლობაში. ამასთანავე დაპირდა ყოველგვარ დახმარებას ყველა მათი თხოვნის განსახორციელებლად როგორც კი საამისოდ ხელსაყრელი პირობები შეიქმნებოდა. გარდა ამისა ამ საკითხის გამო დაარსდა „ქართველ მუსულმანთა დამხმარე კულტურული საზოგადოებაც“, რომელიც მთავრობასთან ერთად ეცდებოდა, რათა ყოველნაირად დახმარებოდა ჩვენგან მოწყვეტილ ძმებს.

ამ საზოგადოების თავჯდომარეთ საზ. დამფუძნებელმა კრებამ ამოირჩია განათ. სახალ. კომისარი დ. კანდელაკი.

როგორც ვიცით, ამ საზოგადოებას დღემდე არაფერი არ გაუკეთებია, დღეს კი, როგორც დანამდვილებით გავიგეთ, სახალხო განათლების კომისარიატის ერთ-ერთი განყოფილება დ. კანდელაკის განკარგულებით უკვე იღებს თხოვნებს სპარსეთში გასაგზავნ მასწავლებელთაგან.

ეს საკითხი იანვარში უსათუოდ გადაწყდება. სპარსეთში წასვლის მსურველნი ბევრნი არიან, მაგრამ ეს საკითხი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ მას უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება.

გარდა ამისა, ტფილისში არიან ისეთები, რომელნიც ყოფილან ფერეიდანში, უცხოვრიათ იქაურ ქართველებთან, იციან მათი ზნე-ჩვეულებანი, იქაური ცხოვრების პირობები და სხვა.

ან იმათი რჩევა და აზრიც დიდად სასარგებლო იქნებოდა ხალხის საკეთილდღეოდ, რათა გაწეულმა ხარჯმა და შრომამ უნაყოფოთ არ ჩაიაროს.

***

ქართველ მუსლიმანთა დამხმარე კულტურული საზოგადოება – ეს საზოგადოება შეიქმნა სეიფოლა იოსელიანის საქართველოში სტუმრობის დროს. 1923 წლის 4 მაისს კონსერვატორიის დარბაზში გამართულ სალამოზე პ. იაშვილის წინადადებით დამსწრე საზოგადოება ასრულებს სპარსელ ქართველთა დამხმარე კულტურულ კომიტეტს და საორგანიზაციო კომიტეტში ირჩევენ: პავლე საყვარელიძეს, იასონ ლორთქიფანიძეს, ვასილ გაბაშვილს, მ. ლალიძეს და ზ. ჭიჭინაძეს.

წესდება
ქართველ მუსლიმანთა დამხმარე კულტურული საზოგადოებისა

(ლიტერატურის მუზეუმი, ამბაკო ჭელიძის არქივი, 25808)

I მიზანი

1. ქართველ მულიმანთა დამხმარე საზოგადოება მიზნად ისახავს მეცნიერულათ შეისწავლოს და ყოველ მხრივ გამოარკვიოს ქართველ მუსლიმანთა ისტორიული და თანამედროვე მდგომარეობა, აგრეთვე აღმოუჩინოს მათ კულტურული და ნივთიერი დახმარება, როგორც საქართველოს საზღვრებში, ისე საზღვარ გარეთ სპარსეთსა და ოსმალეთში.
2. აღნიშნული მიზნის მისაღწევად საზოგადოება ა) აწყობს და აგზავნის ქართველ მუსლიმანებში სამეცნიერო კომისიებს მათი მდგომარეობის გამოსარკვევად. ბ) აშუქებს ფართო საზოგადოებაში მის თანამედროვე მდგომარეობას და ისტო-

რიულ წარსულს ყველა კანონიერი გზით – მწერლობით, კრებით, ლექციით. გ) აარსებს სპეციალურ ბეჭდვითს ორგანოს მუსლიმან ქართველთა კულტურული საჭიროებისათვის. დ) ნიშნავს პრემიებს საუკეთესო თხზულებებისათვის ქართველ მუსლიმანთა ისტორიული და თანამედროვე ცხოვრებიდან. ე) ზრუნავს მათ შორის სწავლა-განათლებისა და საერთო სულიერი კულტურის განვითარებისათვის (სკოლა, წიგნთ-საცავი, სამკითხველო, თეატრი). ვ) უწევს ღარიბებს ერთდროულ და მუდმივ ნივთიერ დახმარებას, როგორც ფულის, ისე სხვა სახით. აწყობს საექიმო და იურიდიულ დახმარების ორგანიზაციას. ი) ხელს უწყობს ლტოლვილთა და აყრილთა დაბინავებას და დახმარებას. კ) შუამდგომლობს საქართველოს სოციალისტური ხელისუფლების და სხვა დაწესებულებათა წინაშე ამა თუ იმ საჭიროების დასაკმაყოფილებლად.

II შედგენილობა

3. საზოგადოების წევრობა შეუძლია საქართველოს რესპუბლიკის ყოველ სრულუფლებიან მოქალაქეს განურჩევლად სქესისა და მდგომარეობისა.
4. წევრათ არ მიიღება, ხოლო თუ მიღებულია, გამოირიცხება ისეთი პირი, რომელიც ჩირქს მისცხებს საზოგადოებას და შეარყევს მის ავტორიტეტსა და გავლენას.
5. საზოგადოების წევრი სამ ნაირია: ა) ნამდვილი წევრი საზოგადოებაში შემოსვლისას იხდის 20 კაპეიკს ოქროთი, ხოლო ყოველ-წლიურათ 35 კაპ. ოქროთი. ბ) მუდმივი წევრი ერთდროულად იხდის არა ნაკლებ სამი (3) მანეთისა ოქროთი. გ) საპატიო წევრად შეიძლება არჩეული იქნეს ისეთი პირი, რომელმაც რაიმე განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვის საზოგადოების მიზნის განხორციელების საქმეში.
6. ნამდვილ და მუდმივ წევრად მსურველს იღებს საზოგადოების გამგეობა, ხოლო საპატიო წევრს გამგეობის წარდგენით ირჩევს თვით საზოგადოება კრების ორი მესამედის უმრავლესობით. წევრის გამორიცხვა ხდება გამგეობის წინადადებით და კრების დასტურით.

III საშუალებანი

7. საზოგადოების საშუალებას შეადგენს: ა) საწევრო მუდმივი, ერთდროული და წლიური შემოსავალი: ბ) შეწირულები, გ) მთავრობის სუბსიდია, დ) სხვაგვარი შემოსავალი / სალამო, ლექცია, წარმოდგენა /.

IV უფლება და მოვალეობა

8. საზოგადოების მოქმედება ვრცელდება საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე და უცხო სახელმწიფოთა იმ კუთხეებზედ, სადაც ქართველი მუსლიმანები ცხოვრობენ.
9. საზოგადოებას უფლება აქვს საჭიროებისამებრ ზოგან გახსნას ადგილობრივი

განყოფილება თავის მიერ შემუშავებული ინსტრუქციით, ზოგან კი იყოლიოს თავისი რწმუნებული.

10. საზოგადოება სარგებლობს იურიდიული პიროვნების ყველა უფლებით. მას შეუძლია შეიძინოს და განასხვისოს საკუთრება, მიიღოს მემკვიდრეობა, საჩუქარი, შეწირულობა, აიღოს იჯარა, დაიქირაოს, დასდოს პირობა და იკისროს ვალდებულება, იძიოს და პასუხი აგოს სასამართლოში და სხვა დაწესებულებებში თავისი გამგეობის თუ რწმუნებულის საშუალებით.
11. საზოგადოება თავისი მოქმედების დროს ხელმძღვანელობს ს.ს.ს. რესპუბლიკის კანონებით, განკარგულებით და დაგენილებით.

V საქმეთა მმართველობა

12. საზოგადოების საქმეებს განაგებს: ა) საზოგადო კრება ბ) გამგეობა.
13. საზოგადო კრება არის ჩვეულებრივი და საგანგებო. მას იწვევს გამგეობა.
14. ჩვეულებრივი კრება იმართება წელიწადში ერთხელ, ხოლო საგანგებო – საჭიროებისამებრ გამგეობის თაოსნობით, სარევიზიო კომისიის მითითებით და საზოგადოების წევრთა მეხუთედის წერილობითი განცხადებით.
15. საზოგადოების გამგეობა შესდგება 15 წევრისაგან და 5 კანდიდატისაგან, რომელთაც ირჩევს საზოგადოების კრება ორი წლის ვადით ხმების აბსოლუტური უმრავლესობით.
16. გამგეობის წევრნი თავიანთ შორის ფარული კენჭის ყრით ირჩევს პრეზიდიუმს: თავმჯდომარეს, თავმჯდომარის ორ ამხანაგს, მდივანს და მოლარეს.
17. გამგეობის ჩვეულებრივი კრება ხდება თვეში ორჯერ მაინც.
18. საკითხები წყდება უბრალო უმრავლესობით. ხმების გაყოფის დროს გადამწყვეტია თავმჯდომარის ხმა.
19. გამგეობა აღმასრულებელი ორგანოა. უძღვება საზოგადოების საქმეებს, ადგენს მოქმედების ანგარიშს, მომაელისათვის წინასწარ შემუშავებულ გეგმას და სხვ.
20. საზოგადოების კრების განსახილველი საკითხია: ა) განხილვა და დამტკიცება ანგარიშებისა, ბ) ხარჯთ-აღრიცხვა, გ) გამგეობის და სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევა. დ) წესდების შეცვლა და შესწორება. ე) მიღება საპატიო წევრთა. ზ) სხვადასხვა საკითხების განხილვა.
21. საზოგადოების ვალდებულებაა აწარმოოს წიგნები, სადაც შეტანილ იქნეს შემოსავალ-გასავალი, საზოგადო კრებების დადგენილებანი, წევრთა სია და სხვ.
22. საზოგადო კრება კანონიერად ჩაითვლება თუ დაესწრო წევრთა არა ნაკლები ერთი მესამედისა.
    შენიშვნა: წევრთა კანონიერი რიცხვის გამოუცხადებლობის გამო ხელმეორედ მოწვეული კრება კანონიერი იქნება, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს.
23. საზოგადო კრების მოწვევა უნდა ეცნობოს წევრთ სამი დღით ადრე დღის წესრიგის აღნიშვნით.

VI სარევიზიო კომისია

24. სარევიზიო კომისია შესდგება ხუთი წევრისაგან და სამი კანდიდატისაგან, რომელთაც ირჩევს საზოგადოების კრება სამი წლის ვადით ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით.
25. სარევიზიო კომიტეტის წევრნი თავიანთ შორის ირჩევენ თავმჯდომარეს, საზოგადოების საქმეთა რევიზიისათვის აუცილებელია თავმჯდომარის ორი წევრის დასწრება მაინც.
26. სარევიზიო კომისიის მოვალეობაა განიხილოს და შეაფასოს საზოგადოების მოქმედების ყოველი მხარე და სათანადო მოხსენება წარუდგინოს კრებას.

VII საზოგადო წესები

27. საზოგადოება იმყოფება შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის გამგებლობაში.
28. საზოგადოება იმყოფება ტფილისში. მას აქვს საკუთარი ბეჭედი ზეწარწერით: „ქართველ მუსლიმანთა დამხმარე კულტურული საზოგადოება“.
29. საზოგადო კრების მიერ მოწონებულ წესდებაში შესატანი დებულებანი წარედგინება მთავრობას დასამტკიცებლად დაკანონებული წესისამებრ.
30. საზოგადოება თავის მოქმედების ანგარიშს აქვეყნებს ყოველწლიურად.

VIII ლიკვიდაცია

საზოგადოების მოქმედების შეწყვეტა და მის საქმეთა ლიკვიდაცია ხდება მხოლოდ საზოგადო კრების 2/3 დაფენილებით. ლიკვიდაციას ახდენს გამგეობა, უკეთუ ეს არ დაევალება საზოგადო კრების მიერ არჩეულ განსაკუთრებულ სალიკვიდაციო ორგანოს.

***

ფერეიდანელ ქართველების დასახმარებლად – ამ წერილში ყურადსაღები ფაქტია მოცემული. მუსლიმ ქართველთა კულტურული დახმარების საზოგადოების კომიტეტი აპირებდა წიგნის გამოცემას, რომლის სათაურიც იქნებოდა „ქართველები სპარსეთში“, მასში უნდა დაბეჭდილიყო არნოლდ ჩიქობავას წერილი „ფერეიდნულის მთავარი თავისებურებანი“, ეს კრებული არ შედგა. სწორედ ამის გამო გამოქვეყნდა ჩიქობავას წერილი რამდენიმე წლის დაგვიანებით.

ფერეიდანელ ქართველების დასახმარებლად

(კომუნისტი, 1926, 16 იანვარი, N 12, შაბათი)

სამშაბათს, 12 იანვარს, განათლების სამინისტროს კომისრის, ამხ. დ. კანდელაკის თავმჯდომარეობით შესდგა ქართველ მუსლიმანთა კულტურული საზოგადოების

კომიტეტის სხდომა, სპარსეთში მყოფ ფერეიდანელ ქართველებისათვის კულტურული დახმარების აღმოჩენის საკითხების განსახილველად.

კომიტეტმა სპარსეთში მყოფ ქართველების ყოფა-ცხოვრების გასაცნობად წარგზავნა სპეციალური პირი[184], რომელსაც დაევალა გაიგოს, ფერეიდნელ ქართველების მდგომარეობა და ის, თუ რანაირ დახმარებას საჭიროებენ ისინი.

ამასთანავე გადადებულ იქნა 80 მანეთი წიგნის „ქართველები ფერეიდანში" გამოსაცემად. წიგნი, რომლის გამოცემა განზრახულია ამ მოკლე ხანში, შეიცავს ისტორიულსა და მეცნიერულ ცნობებს სპარსელ ქართველების შესახებ, სადაც მოთავსებული იქნება აქამდის დაწერილი ღირსშესანიშნავი ცნობები და ჩვენ მეცნიერთა გამოკვლევები. წიგნის გამოცემა დაევალა საგანგებოდ არჩეულ კომისიას.

საზოგადოების საშუალებათა გასაძლიერებლად და მისი მიზნების და მუშობის პოპულარიზაციისათვის კომიტეტმა გადასწყვიტა, ამ მოკლე დროში, თბილისში გამართოს საგანგებო სანახაობა – სალამო.

***

ქართველ მუსულმანთა საზოგადოება – სტატიაში საუბარია საზოგადოების საქმიანობის შესახებ. ამ წერილში იური მარის შესახებაც არის მინიშნება, რომელიც ფერეიდანში სამეცნიერო კვლევებზე მუშაობს, საუბარია ა. ჭელიძეზეც. საზოგადოების წარმომადგენელი სპარსეთში კი ყარანგოზიშვილი.

ქართველ მუსულმანთა საზოგადოება

(ახალი საქართველო, 1926, N24, 10 მაისი, გვ. 4, პარიზი)

1924 წელს საქართველოში სეიფოლა იოსელიანის სპარსეთში ჩამოსვლის დროს, დაიბადა ქართველ მუსულმანთა კულტურული საზოგადოების დაარსების აზრი.

1924 წლის 9 მარტს საერთო კრებაზე არჩეულ იქნა გამგეობა და პრეზიდიუმი ამხ. დ. კანდელაკის თავმჯდომარეობით.

საზოგადოება მიზნად ისახავს ქართველ მუსლიმანთა ისტორიის თანამედროვე მდგომარეობის მეცნიერულად შესწავლას და აგრეთვე ქართველ მუსლიმანებისთვის კულტურული და ნივთიერი დახმარების აღმოჩენას, როგორც საქართველოს საზღვრებში, ისე საზღვარგარეთ – სპარსეთსა და ოსმალეთში.

აღნიშნულ მიზნის მისაღწევად საზოგადოება აწყობს და აგზავნის ქართველ მუსლიმანებით დასახლებულ რაიონებში სამეცნიერო კომისიებს მათი მდგომარეობის გამოსარკვევად. აშუქებს პრესაში მათ თანამედროვე მდგომარეობას და ისტორიულ

184. იგულისხმება ნ. ყარანგოზიშვილი

წარსულს. აარსებს სპეციალურ ორგანოს მუსლიმან ქართველების კულტურულ საჭიროებათა შესასწავლად. ნიშნავს პრემიებს საუკეთესო თხზულებებისათვის, რომელიც გაარკვევს ქართველ-მუსლიმანთა ისტორიულ და თანამედროვე ცხოვრებას, ზრუნავს მათ შორის სწავლა განათლებისა და საერთოდ კულტურის შეტანაზე, უწევს ღარიბებს ერთდროულ და მუდმივ ნივთიერ დახმარებას, ნიშნავს სტიპენდიებს მამადიან-ქართველ (ასეა!) ნიჭიერ ბავშვთათვის, აწყობს საექიმო და იურიდიულ დახმარების ორგანიზაციებს, ხელს უწყობს ლტოლვილთა და აყრილების დაბინავებას და დასახლებას და სხვა.

ზემოთ ჩამოთვლილ ღონისძიებათა გატარებას საზოგადოება უკვე შეუდგა და ამ მხრივ პირველი ნაბიჯი გადადგმულ იქნა: საზოგადოებამ სპარსეთში გაგზავნა თავისი წარმომადგენელი იქაურ მდგომარეობის გასაცნობად.

27 იანვარს ამხ. დ. კანდელაკის თავმჯდომარეობით შემდგარ საზოგადოების გამგეობის პრეზიდიუმის სხდომაზე სხვა საკითხთა შორის მოსმენილ იქნა სპარსეთიდან ახლახან დაბრუნებული წარმომადგენლის მოხსენება.

ფერეიდანში სამეცნიერო გამოკვლევებზე მუშაობს ამ ჟამად ნიკო მარის შვილი.

ფერეიდანში (ასეა!) არსებულ რუსეთ-სპარსეთის ბანკის თანამშრომელმა მოქ. ჭელიძემ გამოგზავნა მდიდარი მასალები ფერეიდნელ ქართველთა შესახებ.

***

ქართველ მუსლიმანთა კულტურულათ დამხმარე საზოგადოების წერილი ამბაკო ჭელიძისადმი – ამბაკო ჭელიძისადმი მიწერილ წერილში წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წერილი ნათელს ხდის, რომ „ქართველ მუსლიმანთა კულტურულათ დამხმარე საზოგადოების კომიტეტისთვის“ ამბაკო ჭელიძე სპარსეთში მნიშვნელოვანი ძალა იყო, სწორედ ის ეხმარებოდა ამ საზოგადოებას ფერეიდნელებთან ურთიერთობასა და გარკვეული საკითხების გადაწყვეტაში.

ქართველ მუსლიმანთა კულტურულათ დამხმარე საზოგადოების კომიტეტის წერილი ამბაკო ჭელიძისადმი

(ლიტერატურის მუზეუმი ამბაკო ჭელიძის არქივი, 25808-4)

რუსეთ-სპარსეთის ბანკის თანამშრომელს თეირანში მოქ. ამბ. ჭელიძეს

პატივცემულო თანამემამულე,

„ქართველ მუსლიმანთა კულტურულათ დამხმარე საზოგადოების კომიტეტი“ გიდასტურებთ ჩვენს სახელზე გამოგზავნილ თქვენი ხელნაწერების სურათებითურთ მილებას, მაქედან დაბრუნებულ ჩვენი საზოგადოების წარმომადგენლის მოქ. ყარან-

ყოზიშვილის ხელით. კომიტეტი აღნიშნავს-რა თქვენ ხარისხოვან შრომისადმი ინტერესს, იჩქარის მადლობა გამოგიცხადოს ნაწერების კომისიის განკარგულებაში ძღვნათ გადაცემისათვის.

კომიტეტი შეეცდება ყველა მასალა შესაძლებლობის ფარგლებში დაბეჭდოს საქართველოს გამოცემებში, ხოლო მათ შორის „სპარსეთის ქართველ მაჰმადიანთა შესახებ“ წერილს უახლოეს დროში მოათავსებს „ფერეიდანელ ქართველების“ თაობაზე გამოსაცემათ გამზადებულ მეცნიერულ-ისტორიულ წიგნში.

კომიტეტი თაყვის დროზე დაბეჭდილ თქვენ შრომას გამოგიგზავნის თეირანში, ხოლო – ნაწერები ჩვენ მიერ იქნება შენახული.

ამის გარდა საზოგადოების კომიტეტი მხურვალს სალამს უძღვნის სპარსეთის ქართველ მაჰმადიანთ, განსაკუთრებით ყ. მიქელაშვილისა და ს. იოსელიანს, მაქ მომუშავე და მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეთ.

დასასრულ, კომიტეტი თქვენ სახელზე გზავნის ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობის გამოცემებს და სახელმძღვანელოებს და იმედს გამოთქვამს იგი თქვენ მიერ იქნება სათანადოთ გამოყენებული მსურველთა შორის რაციონალურათ განაწილებით.

კომიტეტი შეეცდება ყოველდღიურ გამოცემათა პერიოდულათ გადმოგზავნას და საზოგადოთ გთხოვთ იქონიოთ მასთან საქმიანი ურთი-ერთობა და ზოგი მისი დავალებათა შესრულება თავს იდვათ.

უახლოეს დროში და თანდათან იქნება გამორკვეული თუ რის შესაძლებლობა ექნებათ ჩვენს საზოგადოებას მაქ კულტურული მუშაობის განსახორციელებლათ და რის გაკეთებას შესძლებს კომიტეტი ხსენებულ მიმართულებით.

სასურველია თქვენ განაგრძოთ თქვენი წერილების მოწოდება უმთავრესათ ფერეიდანელ ქართველთა შესახებ კულტურულ საჭიროებისა, მდგომარეობისა და სხვ. შესახებ.

კომიტეტის თავმჯდომარე (დ. კანდელაკი)
კომიტეტის წევრი (პ. საყვარელიძე)
კომიტეტის მდივანი (ჟორჟოლიანი)[185]

***

ქართველ მუსულმანთა კულტურულად დახმარების კომიტეტის სხდომის ოქმი N7 – ოქმის მიხედვით, სხდომაზე წარმოდგენილი იყო სპარსეთში მივლინებული პირის საინფორმაციო მოხსენება, ამ საზოგადოების წარმომადგენელი იყო ნიკო *ყარანგოზიშვილი, თუმცა ამბაკო ჭელიძის თქმით, ის არასდროს ჩასულა ფერეიდანში. რა მოხსენება გააკეთა ან რის საფუძველზე, არ ვიცით. ის ფაქტობრივად, უფუნქციოდ იყო თეირანში და ელოდებოდა დირექტივებს, რომლებიც, როგორც ამბაკო ჭელიძე წერდა, არ*

185. წერილი დამოწმებულია ხელმოწერებითა და ბეჭდით, არ აქვს თარიღი.

ჩანდ. ამბაკო ჭელიძე ივანე ჯაჯანიშვილისადმი გაგზავნილ წერილებშიც ალნიშნავს, რომ ვერ გაეგო, რით იყო დაკავებული ყარანგოზიშვილი თეირანში.

ქართველ მუსლიმანთა კულტურულათ დამხმარე (ასეა!) კომიტეტის სხდომის ოქმი N7

ქ. ტფილისი 1926 წელი, 27 იანვარი
(ლიტერატურის მუზეუმი, ამბაკო ჭელიძის არქივი, 25808-4)

დაესწრნენ: დ.კანდელაკი /თ-რე/; ი.ლორთქიფანიძე /თ-რის მოადგილე/; პ. საყვარელიძე/წევრი/, ს.ჟორჟოლიანი /მდივანი/ და მოქ.ყარანყოზიშვილი /სპარსეთიდან დაბრუნებული ს-ბის რწმუნებული/.

დღის წესრიგი:
სპარსეთში მივლინებულ პირის საინფორმაციო მოხსენება,
თავმჯდომარე დ. კანდელაკი, მდივანი ს. ჟორჟოლიანი

მოისმინეს:	დაადგინეს:
1. სპარსეთში წარგზავნილი პირის საინფორმაციო მოხსენება ფერეიდანელ ქართველთა სულიერ განწყობილების და კულტურულ საჭიროებათა შესახებ –	1. მოხსენება მიღებულ იქნას ცნობათ. თავმჯდომარეს დაევალოს გამოარკვიოს სადაც ჯერ არს: რის გაკეთებაა დასაშვები სპარსეთში კულტურული მიმართულებით საზოგადოების მიერ და ამ საკითხის უფლებრივი მხარის შესახებ. მადლობა გამოეცხადოს მოქ. ყარანყოზიშვილს (ასეა!) გაწეულ შრომისათვის და სპარსეთში მყოფ მოქ. ამ. ჭელიძეს ნაწერების კომიტეტისათვის გადმოგზავნის გამო. ეთხოვოს განათლების კომისარიატს კომიტეტს დაუთმოს 1000-მ-მდე ღირებული სახელმძღვანელოები და სიტყვაკაზმული მოწერილობა და გადაეგზავნოს მოქ. ჭელიძეს გასავრცელებლათ. მოქ. ჭელიძის ნაწერები გადაეცეს პ. საყვარელიძეს და ეთხოვოს მას მიიღოს ზომები მათ დასაბეჭდათ.

თავმჯდომარე კანდელაკი
მდივანი ჟორჟოლიანი.[186]

186. ოქმი დამოწმებულია ბეჭდით, აქეს ხელმოწერები და წითელი კალმით არის შესრულებული მინაწერი: მოქ. ყარანყოზიშვილს!

***

ფერეიდანის ქართველობა – ამ წერილში იკვეთება საბჭოთა ხელისუფლების სურვილი, კულტურული ურთიერთობების გაღრმავების საბაბით კვლავ განაახლოს ფერეიდნული თემა. წერილში გამოთქმულია სინანული იმის გამო, რომ სახელმწიფო ვერაფრით დაეხმარა სეიფოლა იოსელიანს. ავტორი მოუწოდებს საზოგადოებას, იმოქმედოს ცენტრალური ხელისუფლებისაგან დამოუკიდებლად და გამონაბოს დახმარების რესურსი.

პ. საყვარელიძე
ფერეიდანის ქართველობა

(ქართული მწერლობა, 1926, N2-3, გვ.99-100)

ხალხის ისტორიული ცხოვრების სრბოლაში არის ხოლმე უსაშინლესი წუთები, როცა იგი უთანასწორო ბრძოლაში განგმირული, ღვთის ანაბარათ დატოვებული და განწირული დალუპვის უფსკრულისკენ მიექანება. ასეთი წუთები არასოდეს არ იშლება ხალხთა მეხსიერებიდან.

სწორეთ ასეთი საშინელი წუთი განიცადა ქართველმა ერმა მეჩვიდმეტე საუკუნის პირველ მეოთხედში, როცა მრავალმეფობით დაუძლურებულ საქართველოს შემოესია გამძვინვარებული, სპარსეთის სახელგანთქმული დიდმპყრობელი და იმპერიალისტი მეფე შაჰაბაზი – „ცბიერი, ხუანჯიანი, უნდო და მტერი ყოველთა მემკვიდრეთა“. შემოესია არა ჩვეულებრივ დასამორჩილებლათ და დასაპყრობათ, არამედ მთელი „ურჩი“ ერის შესამუსრავად და ამოსაწყვეტათ.

ისტორიული მოძრაობის მძიმე დოლაბი ბეერჯელ დატრიალებულა ჩვენი ხალხის თავზე. მრავალი საბედისწერო დღე გათენებია მას ხანგრძლივი წარსულის განმავლობაში, მაგრამ ასეთ საშინელებას საქართველოს გაჩენის დღიდან, ქართველი ერი არასოდეს არ მოსწრებოდა.

რისხვა დაატყდა თავზე აღმოსავლეთ საქართველოს, სისხლი დაწვიმა უმთავრესათ კახეთს.

ხალხის უდიდეს ტრაგედიას მემატიანე მშრალათ და მოკლეთ გადმოგვცემს:

„შაჰაბასმა მოსრნა, მოსტყვევნა, აყარნა და მოაოხრნა. ხოლო შემდგომად... წარვიდა და წარიყვანა აყრილნი კახნი ტყვედ და დასხნა რომელნიმე მაზანდარას, ხვარასანს და ფერიას“.

ქვეყანა დაცარიელდა. ისკანდერ მუნჯის[187] ცნობით მოიკლა 70.000-ზე მეტი. ხოლო აყრილ და გადასახლებულ იქნა ზოგის თქმით 150 000 სული. – ზოგის ცნობით კი 60.000 კომლი.

187. ტექსტში მცდარადაა წარმოდგენილი, უნდა იყოს მუნში.

აი ეს ამოდენა ტყვედ წაყვანილი ხალხი, – გზაში დალუპულთა გარდა, – განფანტეს სპარსეთის სივრცეზე. ჩაასახლეს ქვეყნის მიუვალ და დაუშენებელ კუთხეებში. ნაწილი ჯარში წაიყვანეს სამუდამოთ. ნაწილი კი მონებად დაარიგეს სპარსელთა ოჯახებში. უცხოელთა გადმოცემით სპარსეთში არ მოიპოვებოდა არც ერთი სახლი, რომელშიც ამისთანა ქართველები არ ყოფილიყვნენ. იქ ყოველი დიდი კაცი ცდილობდა ქართველი ქალები ყოლოდა ცოლებად. თვით შაჰის სასახლე სავსე იყო ქართველი ქალებითა და ვაჟებით.

ამას მოყვა ძალით გადარჯულების და გადაგვარების ნელი და შემაძრწუნებელი პროცესი, რომელიც სავსებით დღესაც არ დასრულებულა.

პირველად გატყდა შრომას დაუჩვეველი თავადაზნაურობა, – იძულებით, ანგარებით, პატივმოყვარებით პირველათ მან შეიცვალა ჯერ რჯული და მერე ენა. შემდეგ თანდათანობით მის გზას დაადგა დანარჩენი ხალხი, რომელიც რჯულდებოდა და გვარდებოდა უსასტიკესი ძალდატანების და აუცილებლობის გავლენით.

საქართველო კი ამ დროს ისეთს მდგომარეობაში იყო, რომ არა თუ დახმარება და ზრუნვა, უბრალო ფიქრიც ალარ შეეძლო შორეულ სპარსეთში გადასახლებულებზე. სულ მალე მას კიდეც გადავიწყდა გადაკარგული და განსაცდელში ჩავარდნილი თანამოძმენი.

დღეს, ამ გაუგონარი აყრილობიდან სამასი წლის თავზე გადაგვარებულთა ერცელ უდაბნოში იქა-აქ მხოლოთ მოლეგაო წინწკლები ჩანან, რომელნიც ოდნავ „გურჯობის“ უკანასკნელ ნიშან-წყალს ამჟღავნებენ კიდეც.

მაგრამ არის აგრეთვე ერთი მოზრდილი ოაზისი, სადაც ქართველი მოსახლეობა (რამოდენიმე ათეული ათასი სული) ჯერ კიდევ ვერ წაულეკია გადაგვარების ნიაღვარს, სადაც მას ჯერ კიდევ შეურჩენია ენა, ტიპი, ზოგი ნაციონალური თავისებურება და ერთგვარი შეგნება თავის ქართველური ვინაობისა. ეს არის ფერეიდანი ანუ ფერია, რომელსაც იხსენებს მემატიანე.

ფერეიდანის ქართველობის ამბავი პირველათ გასული საუკუნის მესამოცდაათე წლებში ჩამოიტანა ფერეიდანის (მარტყოფელმა) ქართველმა სახელათ ათამ ონიკაშვილმა, რომელიც ბედის ტრიალს თუ ისტორიული სამშობლოს ნახვის მოწყურებას საქართველოში გადმოეგდო.

მაშინდელ მოღვაწეთა თაობისათვის ეს იყო მთელი აღმოჩენა, ყველასათვის სასიხარულო და თანაც განსაცვიფრებელი. აღმოჩნდა, რომ დროთა უსამართლობას ოდესმე სპარსეთში ძალით გადასხლებულ ქართველთა ერთი ნაწილისთვის სავსებით ეროვნული სახეობა ვერ წარუხოცია. ამას მეტყველებდა ცოცხლად მთელი თავის არსებით ჩვენში ჩამოსული მათივე ჩამომავალი, რომელიც მხურვალეთ მოუწოდებდა მთელ ქართველ ხალხს ფერეიდნელი ქართველების საბოლოო გადაგვარებისაგან დასახსნელათ.

ცხადია, ამას დაუყონებლივ უნდა გამოხმაურებოდნენ ჩვენში და პრაქტიკული ნაბიჯებიც უნდა გადადგმულიყო სპარსეთის ქართველებთან სულიერი კავშირის აღ-

სადგენათ და საერთოდ კულტურული დახმარების აღმოსაჩენათ. მაგრამ ამ მხრით სრულიათ ვერაფერი ქნა თვითმპყრობელობის კლანჭებში მგმინავმა ქართველმა საზოგადოებამ, რომელსაც ამასთანავე თვითონ აკლდა საზოგადოებრივი თვითცნობიერება და გარკვეულობა.

მან მხოლოთ ოთხმოცდაათიან წლების პირველ ნახევარში გაგზავნა ფერეიდანში ლადო აღნიაშვილი, რომელმაც დიდი ღვაწლი დასდვა ჩვენი და ფერეიდნელი ქართველების დაახლოვების საქმეს. მაგრამ რეალური მუშაობა არც ამას მოყოლია ფერეიდანელ ქართველობაში კულტურული სინათლის შესატანად და მისი უმწეო მდგომარეობის შესამსუბუქებლათ.

1907 წელს სპარსეთის რევოლუციის შემდეგ ისევ ფერეიდანელმა ქართველებმა მოგვინახულეს და მოგვაგონეს თავისი თავი. ჰუსეინ ონიკაშვილმა და ამრეზ[188] ხუციშვილმა წელიწადი დაჰყვეს საქართველოში, კარგათ შეისწავლეს ჩვენებური წერა-კითხვა და ისტორია, რის შემდეგ ფერეიდანში დაბრუნდნენ და იქაურ ქართველებს შორის შეუდგნენ ქართული წერა-კითხვის და მწიგნობრობის გავრცელებას. ამ მუშაობამ სასურველი შედეგი გამოიღო. დღეს თუ ორი-სამი პროცენტი მაინც არის ფერეიდანში ქართული წერა-კითხვის მცოდნე, ეს უმთავრესათ მაშინ დაწყებულ საქმეს მიეწერება. მაგრამ შავი რეაქციის წყალობით ქართველ ხალხს არ მიეცა საშვალება ეს კულტურული მოძრაობა განეგრძო და გაეფართოებინა.

ბოლოს, სულ რამდენიმე წლის წინათ, საქართველოს ეწვია ფერეიდანელების წარმომადგენელი – სეიფოლა იოსელიანი, რომელმაც ჩვენი ხალხის ფართო მასაში დიდი ინტერესი და თანაგრძნობა გამოიწვია ფერეიდანელ ქართველების საქმისადმი.

მაგრამ ჩვენ მას ლირსეულათ ვერ შევხვდით. ე.ი. ვერ დავაკმაყოფილეთ, ვერ აღმოვუჩინეთ ის დახმარება, რომლისათვისაც ის იყო გამოგზავნილი ჩვენთან.

ის თხოულობდა მფარველს, მასწავლებელს, ექიმს, – ჩვენ კი ვერც ერთი ეს ვერ გავატანეთ უმთავრესად ჩვენი უთაურობის გამო. ს. იოსელიანის თქმით ფერეიდანელი ქართველები იმაზე ოცნებობდნენ, რომ „ჩონ ძმებს ჩონსათი გული დაეწების და რამენაირათ დაგვეხმარებიან, სასწავლებელს გაგვიხსნიან, რომ ჩონმა შვილებმა ქართული წერა-კითხვა ისწავლონ და ჩონჩი ამას იქით გაიბმება ძმური კავშირი. ამიტომ მე ჩონმა ფერეიდანელმა ქართველებმა გამომგზავნეს აქ ჩონ დაკარგულ სამშობლოში, რომლისაკენაც ეს სამასი წელიწადია, ჩონი სული და გული იჭრიტებისო“.

სეიფოლა იოსელიანმა კულტურული მოქმედების მთელი პროგრამა გადაგვიშალა, მაგრამ დღევანდლამდე არა თუ არც ერთი მუხლი არ შეგვისრულებია, საფუძვლიანათ არ კი შევდგომივართ მის განხორციელებას.

დღეს ჩვენში არსებობს ქართველ მუსლიმანთა დამხმარე კულტურული საზოგადოება, რომელიც სწორეთ სეიფოლას აქ ყოფნის დროს დაარსდა და რომლის

188. ყოლამ რეზა

ერთ-ერთ მთავარ მიზანს სპარსეთის ქართველების კულტურული დახმარება შეადგენს. მაგრამ ამ საზოგადოებას სხვადასხვა მიზეზების გამო მოქმედება დღემდე არ გაუშლია. მართალია წიგნები გაეგზავნა ფერეიდანელ ქართველებს, კაცი გვყავს გაგზავნილი თეირანში მათი საჭიროების გასაგებად და კავშირის გასაბმელად, მაგრამ ეს არავითარ შემთხვევაში არ კმარა და აუცილებლად საჭიროა დაუყოვნებლივ ნდობით აღჭურვილი კომისია გაიგზავნოს თვით ფერეიდანში ადგილობრივ მდგომარეობის შესასწავლად და გამოსაკვლევად.

ლაპარაკით აგერ ნახევარი საუკუნეა ვლაპარაკობთ. საკმარისია! ახლა უკვე ჩვენთვის სავალდებულოა კულტურული დახმარების ალმოჩენას რეალური და ხელშესახები ფორმები მივსცეთ. და ამ ნაირად, რაც შეიძლება დროით, მივეშველოთ და დავაკმაყოფილოთ ფერეიდანის ღარიბი, დაბეჩავებული ქართველი მოსახლეობის მოთხოვნილება.

ფერეიდანი დიდი ხანია გველის. ის გულის ფანცქალით ელის ჩვენგან საავადმყოფოს, კოოპერატივს, შკოლას, სახელოსნოს, სამეურნეო იარაღს, ყოველივეს, რასაც კი შეუძლია ნივთიერად და კულტურულად აამაღლოს და დააწინაუროს ჩვენგან მოწყვეტილი, ქართველი ხალხის საგრძნობელი ნაწილი.

ვფიქრობთ, ჩვენი რესპუბლიკის ყოველი კანსალი მოქალაქე, ყოველი მუშა და გლეხი, – პარტიული თუ უპარტიო, – ერთსულოვნად გამოეხმაურება ფერეიდანელ ქართველთა განუწყვეტელ ძახილს, და ამა თუ იმ სახით აქტიურ მონაწილეობას მიიღებს მათი კოლექტიური დახმარების საკითხის მოსაწესრიგებლად.

უმაღლესი ხელისუფლება ამ საქმეში უშუალოთ ვერ ჩაერევა. ეს არც საჭიროა. ეს უმთავრესად საბჭოთა რესპუბლიკის კულტურულ საზოგადოებრივ ორგანიზაციათა და მოქალაქეთა წმინდა მოვალეობაა. მათი მოვალეობაა შემოკრბენ არსებულ დამხმარე საზოგადოების გარშემო და აქტუალურად აღძრან ის თავის საპატიო დანიშნულების შესასრულებლად.

პ. დ. საყვარელიძე

***

საქართველოდან საქართველოში – ამ ლექსის ორი ვარიანტია შემონახული ამბაკო ჭელიძის არქივში. ერთი მათგანი სამ გვერდზეა და ბოლო გვერდზე თარიღად უზის 1927 წელი. ლექსის პირველ ვარიანტს, ორგვერდიანს, რომელსაც ეტყობა გადასწორების კვალი, 1926 წელი აწერია და გვერდის ბოლოს განმარტებულია: ფერეიდნელი ქართველები ხშირად ხმარობენ სიტყვას „დავსილო“.

ამბაკო ჭელიძის ლექსი

(ლიტერატურის მუზეუმი, ამბაკო ჭელიძის არქივი, 255811-2, სარა ჭელიძის დღიურები, საქართველოდან საქართველოში, გვ.19-21).

...ეს ლექსი ჩემმა ამბაკომ ზემო მარტყობში დასწერა, და სეიფოლა იოსელიანს წაუკითხა... რომელმაც ცრემლებით სავსე თვალებით უთხრა: უფრო კარგი იქნებოდა, რომ ასეთი რამაც ჩაგეწეროს: საწყალს ფერეიდნელს ქართველებს დიდი საქართველოს ჩარდახის ქვეშ ყოფნა უნდათ...

ამაზე ამბაკომ უპასუხა, რომ ამ ლექსს შემდეგში მრავალნაირათ გაასწორებდა, სადაც მისი აზრიც იქნებოდა გატარებული. არ ვიცი რატომ, ეს ლექსი ისე დარჩა რო-გორც დასწერა და აღარ გადაუკეთებია... თუმცა მუდამ ფიქრობდა მის შეკეთებას... (სარა ჭელიძე)

საქართველოდან საქართველოში

ირანის ცის ქვეშ „საქართველოს“ უწოდებ შენს თავს,
დროთა სიძუნწემ ვერ მოგიკლა ეგ სიყვარული
ბედთან ბრძოლაში ჯერ ქომაგი არავინა გყავს,
გაქვს საღი რწმენა, და ეკლებით გზა დაფარული.

დევნილი ბედით შორეული მთების ხიზანი,
წარსულის ფიქრში ლანდად ისევ ათევ ღამეებს,
და ტყვეობის დროს მწარე ოხვრით განვლილი გზანი
საქართველოზე შენ მოგითხრობს „რაღაც რამეებს“.

გაქვს სევდა ბევრი და ცრემლები დაულეველი,
მკერდით დაჭრილი ბევრჯერ სისხლით გაგიბანია
რამდენჯერ მწარედ შეგხებია სიკვდილის ხელი,
რამდენ ალმართზე სული კბილით აგიტანია.

ძველი წარსულის ნანგრევებზე გხედავ მოტირალს,
სახეზე შავი მწუხარება გაზის ბეჭედათ,
დაიქცეს ის დრო, რომელიღაც გვირგვინის ფირალს,
გამარჯვების დროს, როგორც დაცლა შენ ერგე ბედად.

დღეს საუკუნე ხელში შერჩა ქვასა და რკინას,
მომავლის თხემზე ყველა გზები შეერთდებიან,
და იქ მომავალს შენი ძმები შემოგხვდებიან,
და შენ იმათთან სამუდამოდ დაიდებ ბინას.

გაიგებ მაშინ ახალ სიტყვას, სიტყვას ქარაგმულს,
ახალ ქვეყანას შეეყრები გაპარსულ წვერით,
დასწეველი ძველად უნებურად ნაბიჯს გადადგმულს,
და გულის ტკივილს დაიმებ ტკბილი სიმღერით.

მარტო მყოფს გული მზის ჩასვლისას თუ გიღონდება,
ბედთან ბევრი რამ გქონია და გაქვს გასაყოფი.
„დავსილო“! ბევრჯერ, კიდევ ბევრჯერ მოგაგონდება
საქართველო და სიტყვა მისი, სიტყვა „მარტყოფი“!

1927

(ა.ჭელიძის შენიშვნა: ფერეიდნელი ქართველები ხშირად ამბობენ სიტყვა „დავსილოს“)

***

ამბაკო ჭელიძის წერილები ივანე ჯავახიშვილისადმი – პირველი წერილი ეხება ფერეიდნელ ქართველთა ყოფა-ცხოვრებას, ამბაკო ჭელიძე ივანე ჯავახიშვილს მიმართავს თხოვნით შეიტყოს, რა პასუხს აძლევს სახ. განათლების კომისარი დ. კანდელაკი მათ წინადადებაზე ქართული სკოლის დაარსების განზრახვასთან დაკავშირებით; 1927 წ. 2 თებერვალი, ისფაჰანი – თბილისი (1 ფურცელი საკანცელარიო რვეულის. ნაწერი 1 გვერდი. წერილი დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში.

ამბაკო ჭელიძის წერილი ივანე ჯავახიშვილისადმი I

(ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ივანე ჯავახიშვილის არქივი, N4089)

„დიდათ პატივცემულო მოქალაქე ივანე!

არ გიცნობთ, მაგრამ იმედია მოკითხვას მაინც მიიღებთ ჩემგან. ამასთანავე მინდა ცოტარამეზე შეგაწუხოთ. მოგეხსენებათ ალბათ ფერეიდანში ათი-თორმეტი სოფელია ქართულს ენაზე მოლაპარაკე. იციან აგრეთვე სპარსულიც, მაგრამ მიუხედავათ ამისა ერთი სპარსული სკოლაც არარის (ასეა!), არა თუ ქართული. აქედან მიხვდებით თუ რამდენათ ჩამორჩენილნი იქნებიან თვით სპარსულს ცხოვრებასაც კი. სეიფოლა იოსელიანი ახლა ისფაჰანშია. მოვილაპარაკეთ და გადავწყვიტეთ რამე ფერად ერთი პატარა სკოლა დავაარსოთ მთავრობის ნებართვით, რომ სპარსული წერა კითხვა მაინც შეისწავლონ. ამის შესახებ მივსწერეთ სახ. განათლ. კომისარს დ. კანდელაკს. ვსთხოვთ დახმარებას. მაგრამ არ ვიცით ჩვენი წერილები მოაღწევს მადნამდე (ასეა!) თუ არა?.. ამიტომ გთხოვთ გაისარკვოთ და მიხვიდეთ მასთან, გაიგოთ და მოგვწეროთ

პასუხი რაც შეიძლება დაჩქარებით. როგორიც უნდა იყოს ოღონდ პასუხი კი იყოს ამ ჩვენს წერილზე. შემდეგ ყველაფერს დაწვრილებით გაგაცნობთ. ჩვენ ვთხოულობთ ათასი მანეთის დახმარებას. თუმცა ეს ძალიან ცოტაა ამათი საჭიროებისათვის. მაგრამ პირველ დაწყებისას ესაც (ასეა!) დიდი სიკეთე იქნება. მთელს სოფლებში ერთი ისეთი შენობა არ არის, რომ სკოლისათვის გამოდგეს.

ბოლშის მოხდით ვართ პასუხის მოლოდინში.

დავშთები ამბაკო ჭელიძე

ჩემი მისამართი: Исфагань, Русперсбанк.

А. Челидзе

2 თებერვალი, 1927 წ. ისფაჰანი

***

ამბაკო ჭელიძის წერილი ივანე ჯავახიშვილისადმი – 1927 წ. 5 მაისი, ისპაჰანი – თბილისი, ხელნაწერი არის საკ. რეულის 3 ფურცელი. ნაწერი 6 გვერდი. დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში. ამბაკო ჭელიძე აცნობებს მუსლიმ ქართველთა მდგომარეობას, დაწვრილებით ალუწერს თავის გეგმებსა და საქმიანობას სპარსეთში და სხვ. ასევე ახსენებს მუსლიმ ქართველთა კულტურული დახმარების საზოგადოების წარმომადგენელს ყარანგოზიშვილს, რომელიც უქმადაა თეირანში, თითქოს თბილისშიც დაავიწყდათ მისი არსებობა – კიდევ ერთი „მოტყუება", არაფრად ჩაგდება, გულის გატეხა. მოსაძებნია ივ.ჯავახიშვილის საპასუხო წერილები, რაც მეტ ნათელს მოჰფენს ამ საკითხს. ლიტ. მუზეუმში ამბაკო ჭელიძის ფონდში ეს წერილები არ ჩანს.

ამბაკო ჭელიძის წერილი ივანე ჯავახიშვილისადმი II

(ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, N4090)

პატივცემულო ივანე, უწინარეს ყოვლისა გისურვებ გამარჯვებას და კარგათ ყოფნას. მივიღე შენი წერილი, რაზედაც დიდს მადლობას გიძღვნი. სიმართლე გითხრა, ალარც კი მოველოდი, რადგან ამ უკანასკნელს ხანებში ვისაც რა მივწერე პასუხი ველარ მივიღე. შეურიგდი მე იმ აზრს, რომ წერილები მიდიოდა უცხო ვინმეს ხელში, რომელიც ალბათ სხვა გზას უჩვენებდა. თუმცა შიგ ასეთი „საუცხოო" არაიყორა (ასეა!). შენმა წერილმა კი ეს აზრი რამოდენიმეთ შემიცვალა. და თუ ვინმემ პასუხი არ მომცა ამის მიზეზიც ექნება, და ყოველს შემთხვევაში ეს მისი ნებაა. ასეთს „ცოდვებს" მეც ვატარებ. ამიტომ ამისთვის საიმისოთ ვერავის დავემდურები. მხოლოთ იმის პასუხი, რაზედაც შენც შეგაწუხე, ჩემთვის ძალიან საჭირო იყო. ამიტომ გიძღვნი მადლობას განსაკუთრებულს. მე ალარ ვიცოდი ვისთვის მიმემართნა. თუ დამიჯერებ,

„შოვინისტი“ არავარ. ამ სიტყვაში მართლაც ბევრი უხეირობა გამოსჩანს. და ახლა ვინ არის ისეთი უხეირო, რომ ეს ვერ დაინახოს? ამას იმიტომ გწერ, რომ აქაურ სპარსელ მუსლიმან ქართველთა შესახებ ცოტა რამის თქმა მინდა. მე აქ 1923 წელში გამოველი. არავის ვაწუხებდი მაინდამაინც ჩემის „ქართველობით“. თეირანში ვიყავი, დაშორებული მანდაურს და აქაურს ქართველობასაც. რამდენიმე თვის შემდეგ მომძებნა ერთმა სპარს მუსლ-ქართველმა და შემდეგ სხვებმაც. ამის შემდეგ დაბრუნდა მაქედან სეიფოლა იოსელიანი. ამ დღიდან უფრო გახშირდა მათი მიმოსვლა ჩემთან. როდესაც მათს წარსულზე ჩამოვარდებოდა სიტყვა, თვალები ცრემლებით აევსებოდათ. მე მათ ვანუგეშებდი და არასოდეს არ დავპირებივარ „სამოთხეს“ საქართველოში. პირიქით ვეუბნებოდი – აწ ეცადეთ, ცხოვრება წინ წასწიეთ. შორს არავართ, ერთი აეროპლანი რამდენიმე კაცს რამდენიმე საათში გადაგაფრენთ საქართველოში და იმ დღესვე უკან დაბრუნდებით მეთქი. ჩვენც ხშირათ მოვალთ თქვენს „საქართველოში“ (ესენიც თავის სოფლებს „საქართველოს“ ეძახიან). ასე დაიწყო. ასე იყო და სანამ იქ ვიყავი რასაც ვხედავდი ან ვისმენდი აქედან ზოგ რამეებს ვსწერდი ჩემთვის. და თუ მაქეთ დაბრუნება მეღირსებოდა ვფიქრობდი მის გამოქვეყნებას.

1925 წელში, შემოდგომაზე თეირანში ჩამოვიდა ნ. ყარანგოზიშვილი, როგორც წარმომადგენელი საქართველოდან ფერეიდანელ ქართველების ყოფაცხოვრების გამოსარკვევათ. ამით მე გავიგე, რომ საქართველოში დაარსებულიყო „მუსლიმან ქართველთა დამხმარე კულტურული საზოგადოება“. სწორე გითხრა, ასეთ რამეს სრულიად არ მოველოდი და რასაკვირველია ძალიან გამეხარა. ყარანგოზიშვილი დღე და ღამე ეპირებოდა ფერეიდანში წასვლას, მაგრამ რაც უმთავრესი იყო სწორედ ის არ ჰქონდა ე.ი. ფული. ასე შორს წასასვლელად კი ცოტა არ კმარა. ყარანგოზიშვილი ისევ მალე დაბრუნდა საქართველოში. მე მას გამოვატანე ჩემი წერილები, რომელნიც შევსთავაზე ზემო ხსენებულ „კულტსაზოგადოებას“ თუ გამოადგებოდა. ყარანგოზიშვილი ისევ აქ ჩამოვიდა. სხვათა შორის მეც მადლობით საკმე წერილები ჩამოშიტანა. ჩემი წერილები დაიბეჭდა „მნათობში“. ყარანგოზიშვილის სიტყვით რედაქციამ „კულტმუსლსაზოგადოებას“ 15 ჩერვონეცი გადასცა ნაწერების ჯილდოთო. ესეც მესიამოვნა და ვფიქრობდი მართლაც რაღაცას გაკეთების შესაძლებლობა არის ალბად (ასეა!), რომ საქმე ამ ზომამდე მივიდა. ეს ყველაფერი გაიგეს ფერეიდანელმა ქართველებმა და ამის შემდეგ მიწერ-მოწერა და კავშირი არ შეწყვეტილა. ჩვენც და ისენიც რაღაც კარგისმოლოდინში (ასეა!) ვიყავით. ამისი საბუთიც გვქონდა მაქედან, რაზედაც არ ვიცი იჭვი რათ უნდა შეგვეტანა?

ნ. ყარანგოზიშვილი წარმოსადეგი კაცია. ცოცხალი ბუნების, საკმაოდ ლამაზი თვალტანადობის, ინტელიგენტი, წმინდა ევროპიული თავაზიანობით. მე მას აქამდე არ ვიცნობდი. მაგრამ ვინც ის ნდობით და საბუთებით აღჭურვა, ალბათ კარგათ (ასეა!) იცნობდა მას. იგი გამოჩნდა თუ არა თეირანის ქუჩებზე და საზოგადო ადგილებში მაშინვე მიიზიდა ყველას თვალი და ყური. დასაფიცავი არაფერი იყო. ყველამ იცოდა, რომ ის იყო წარმომადგენელი საქართველოდან ქართველ მუსლიმანთა მდგომარეობის გამოსარკვევათ და სხვ... ამის შემდეგ კიდევ უფრო გამოცოცხლდა

საქმე. აქაურ დროებ (ასეა!) მცხოვრებ ქართველებმაც თითქმის ყველამ განაცხადა დახმარების სურვილი. მაგრამ მათი თვალი და ყური მაინც მაქეთკენ იყო. გავიდა დრო. მოგვივიდა ერთი დიდი ყუთი ქართული წიგნები უფასოთ გასავრცელებლათ. ამან კიდევ უფრო გამოაცოცხლა საკითხი. ნაწილი ამ წიგნებისა თვით ფერეიდანელ ქართველებს გავატანე, რომელნიც იმ დროს თეირანში იყვნენ და ყოველ დღე ჩემთან დაიარებოდნენ. ნაწილი კიდევ ჩვენსავე ქართველებს დაურიგე. დანარჩენი ახლაც მაქვს დან (ასეა!) თან დავატარებ. ნ. ყარანგოზიშვილმა ისევ მეორეთ მოიარა თბილისი და კვლავ დაბრუნდა თეირანში. აი ამის შემდეგ გაუწყრა ღმერთი შენს მტერს! ყარანგოზიშვილი იჯდა თეირანში და ყოველ დღე ფულს მოელოდა, მაგრამ ვერსაიდან მიიღო. შეწუხდა, დავალიანდა (ასეა!), ავადაც გახდა. მაინც კი არავინ მოიგონა მისი იქ ყოფნა. საგამოცნოთ შეიქნა ყველაფერი. მუდამ იმის ფიქრში ვიყავი: რა იყო, რა ამბავია?.. ყველაფერი ეს ტყუილი იყო თუ ამ კაცმა დაშავა რაიმე?!. მას აქეთ კარგა ხანია და ახლაც არ ვიცი რაშია საქმე. ვერავისგან გავიგე მიზეზი. თვით ყარანგოზიშვილი არას ამბობდა გარკვევით გარდა იმისა, რომ ის „წარმომადგენელი“ იყო და ფულს კი აღარ უგზავნიდენ (ასეა!). თითქო იმანაც არ იცოდა მიზეზი თავისი ასე უპასუხოთ დარჩენისა. რაღა ბევრი შეგაწუხო, ასე მიჩუმდა ყველაფერი. ყარანგოზიშვილი დღესაც თეირანში ზის „წარმომადგენელის“ ტახტზე მუხლმოკეცილი. აღარ ვიცი ბოლოს და ბოლოს რაიმე პასუხი გასცეს თუ არა, თუ წინათაც იცოდა და მე არ მიმხელდა?.. მე სპარსეთში საკმაო ხანი ვარ. კარგა ხანია ვფიქრობდი სამშობლოში დაბრუნებას, მაგრამ არ მინდოდა ისე თუ ამ სპარსეთის ძველს დედაქალაქს – ისპაანს და აქაურ ქართველებს არ ვნახავდი. ვითხოვე და როგორც იქნა გადმომამწესეს აქაურ ბანკის განყოფილებაში. ახლა აქ ვარ, ისპაანში. ქართველების მიმოსვლა ფერეიდანსა და ისპაანს შუა მუდმივია, შეუწყვეტელი. მგონია ყველა მათგანმა იცის ჩემი სახელი და მისამართი. ჩამოვლენ თუ არა, დროს განურჩევლად მომადგებიან კარზე. „პატრონო“ მე ვარ გაალე კარი. შემომძახებენ მაღალის კილოთი, სწორეთ ისე, როგორც ჩვენებურმა ქართლელმა გლეხმა იცის. საუკუნოებს ვერ ამოუცლიათ მათი გულიდან ძველი ქართული უბრალოება. „პატრონო“, რასა იქთ. დამაყზე ხართ“?[189]. ე.ი. ღღეს ცხვირის დაცემინების დროს კარგი ნიშანი ნახეთ თუ ცუდიო. – ვერაფერი „პატრონი“ გყავარ. ტყუილა ნუ ხარჯავ მაგ სიტყვებს. – ვამბობ გულში და მეც ვესალმები მათებურად – „ვარ, შენის კარგათ ყოფნითა“. ერთი ჯარის კაცი ამ ჟამად აგერ ზის. მიუხედავათ იმისა, რომ დილაა, მე ჯერ პირიც არ დამიბანია, ის კი შემოვარდა ეზოში, მოდის და ჯდება არხეინათ დაულაგებელს ოთახში. იცინის, იღიმება. აიღებს ორს პაპიროზს ტყუპად ჩაიდებს პირში მოუკიდებს და ერთს მე შემომთავაზებს. ჯარის კაცები აქ კაი ბლომათ არიან. გამოიპარებიან საყარაულოდან, ყაზარმებიდან და ჩემთან ატარებენ დროს. ასეა თითქმის ყოველ დღე და რა უთხრა ახლა ამ ხალხს? „არა ვარ შენი „პატრონითქო?“ ჩამოუშო ცხვირი, შევკრა წარბები?.. არა და რა „პატრონი“ ვარ ერთი მკითხე, როდესაც არაფერი

189. სპარსულად არის: სარე დმაყ პასოიდ? – როგორ ხართ? დმაყ – ჯანმრთელობის მნიშვნელობითაა.

ჯერ მათთვის არ გამიკეთებია!.. ივანე, წერილი გრძელდება და მგონია, შეგაწუხებ, მაგრამ ბოდიშს მოვიხდი და იმედი მაქვს, როდესმე ამის წასაკითხად თავისუფალ დროს იშოვნი. რომ საქმე თავიდან ასე არ დაწყებულიყო რასაკვირველია არასოდეს ასე არ გავკადნიერდებოდი, მაგრამ ახლა რადგანაც სათქმელად შეიქნა რამდენიმეთ მაინც უნდა ითქვას რაც სათქმელია.

ვიცი, რომ დიდ კაცებს დიდი საქმეები აქვთ, დიდი დრო უნდა მათთან მისვლას, დაახლოებას. ასეთს პატარა საქმისთვის მათი შეწუხება არც კი ღირს და შეიძლება ერთგვარი ცოდვის ჩადენაც იყოს. ამიტომ დიდ კაცებს მაინდამაინც ნუ შეაწუხებ. ამ ჟამად აქ ბევრის გაკეთება არ შეიძლება. განზრახვა გვაქვს ჯერჯერობით ერთი სასკოლო შენობა ავაგოთ მარტყოფში. ამოდენა სოფელში ერთი შენობა არ არის, რომ სასკოლოდ გამოდგეს. ამისასაშენებლათ ბევრი არარის (ასეა!) საჭირო. დაახლოებით-კი 800 მანეთი უნდა. ზოგი იტყვის მად და ეს შენს წერილშიც არის მოხსენებული, ვითომც პოლიტიკური მოსაზრებით შეიძლება ცუდი შედეგი მოჰყვესო. ეს უსაფუძვლოა. ასეთი რამის გაკეთებას არავინ არავის უშლის. პირიქით. ამერიკელებს აქვთ სკოლა, ინგლისელებს, ფრანგებს, სომხებს და ებრაელებს აქ სპარსეთის ცენტრებში. ებრაელებს, მიუხედავათ იმისა, რომ ქალაქის ხალხია, ვაჭრებიც არიან, სკოლის ფონდი საფრანგეთიდან მოსდით. სკოლაც იქიდან არის დაარსებული, მაგრამ არავინ არას ედავებათ. ასევე უნდა ვიფიქროთ ჩვენზე. ეს სკოლის შენობა მათთვის კარგი სამახსოვრო საჩუქარი იქნება, თუ მოვახერხეთ მისი აშენება. არ იფიქრო თუ სილარიბის გამო ვერ აეშენებიოთ აქამდე. მართალია გლეხების მდგომარეობა წმინდა ბატონ ყმურია. გლეხს მიწა არ ეკუთნის ან თუ აქვს რამე ძალიან უმნიშვნელო რიცხვს და ისიც ცოტა შედარებით. მეტი წილი ხანების საკუთრებაა. ჰყიდის თავის სოფელს – გლეხებს ვისაც მოვლის თავი ალარ აქვს. ასეთივეა მთელი სპარსეთის გლეხთა მდგომარეობა. და ესენი როგორლა წაუვიდოდენ ამ კანონს? ის სოფლები, რომელნიც ალრევე გაყიდულან ბახტიარებზე ან სხვა არა ქართველზე, ენაც დაუვიწყნიათ თითქმის. ასეთია მაგალითად სოფ. აფუსი. იგი შეუძენია თუ არა ვინმე თურქს, მის შემდეგ ქართულიც დაუვიწყნიათ. მაგიერათ დიდს სოფლებში ენა დაცულია სათანადოთ. პირიქით რომელი სპარსელიც რაიმე შემთხვევით მათში ჩასახლებულა ან რაიმე კავშირი აქვთ, ყველამ კარგათ იციან ქართული ენა. ზოგმა იმათგანმა ქართული ანბანი მომთხოვა, რომ შვილებს შეასწავლოს. თვით სოფელ ჩულურეთის (ასეა!) მფლობელი ხანი თხოულობს ანბანს თავის შვილებისათვის შესასწავლად. ასე, რომ ქართველების და ქართული ენის ინტერესი არათუ გამქრალა ამ მივიწყებულ კუთხის ხალხში, პირიქით საკვირველად სათანადოთ შენახულა. მაგრამ დღემდე არავინ ცდილა, რომ მათში საზოგადო სწავლის სურვილი გაეღვიძებია. დღეს საერთოდ სპარსეთი განათლების გზას ადგება. სასკოლო პროგრამმა გააფართოვეს. ქალაქებში გახსნეს სკოლები ევროპიულ წესების მიხედვით. მაგრამ ეს წესი როდის მიაღწევს ფერეიდანის ქართველებამდე, ამის გამოცნობა არც ისე ადვილია, თუმცა მთავრობის მხრივ ამის დაპირება არის. ყოველს შემთხვევაში, რაც უნდა იყოს, ჩვენი ხელის შეწყობა მაინც ყოველთვის საჭირო იქნება. ვამბობ სოფელი არც ისე ღარიბია,

რომ სათანადო სწავლის სურვილი ჰქონდეთ საიმისო ფული ყოველთვის მოიძებნება. ამ წასულ თვეში რამდენიმე ქართველი მუსლიმანი ქალი და კაცი, რიცხვით თოთხმეტი, გაემგზავრენ მექაში სალოცავად, რომ მიილონ ჰაჯის წოდება და შემდეგ მათის სრულის რწმენით უსათუოდ ცხონდებიან. სამოთხე მათთვის გამზადებული იქნება. თვითეულ მათგანს გზის ხარჯათ მიის-მოის[190] დასჭირდება არა ნაკლებ ათასი მანეთისა შესაწირავ ხარჯიანა. ერთმა სრულიად გაჰყიდა თავის ქონება იმ იმედით, რომ მექადან დაბრუნების შემდეგ „ღმერთი ერთლუკმა პურს არ დაუკარგავს.“ ასეთი წასვლა-მოსვლა ხდება თითქმის ყოველ წლობით. ვისაც კი შეძლება აქვს როგორ იქნება მექაში არ წავიდეს?.. და იანგარიშე რამდენი სიმდიდრე გადის ყოველწლივ ამ სოფლებიდან, რითაც სკოლას კი არა რას არ დაიარსებდენ?.. – მექაში წასვლას მთელს სპარსეთში დიდი პატივი სდევს და ვისაც სხვა რამ ცოტა ან სულ არა გაუგია რა ამ გზას ვერ შეაცდევინებ ადვილათ. ქართველ მუსლიმანსაც ეს დაუნახავს და ამ გზითვე მიდის თავის ერთმორწმუნეებთან. ამ სოფლებში სპარსული წერაკითხვის სწავლა სწარმოებს ხოჯების მიერ, მაგრამ მას არავითარი წესი არა აქვს. აბუნდი იშოვის ერთს ან ორ თვალიან სახლს, დაუჯენს ძირს პაწია ბავშვებს და ყველანი ერთხმად დამღერიან თავაჩალუნული. ახუნდი ზის მოკეცილი და უგდებს ყურს. ვისაც რა შეეშლება ამ ალიაქოთის დროს თუ შენიშნა ან დაუყვირებს ან გრძელი ჯოხით ანიშნებს – შენ ესა და ეს შეგეშალაო. და რასაკვირველია ასეთი სწავლა ვერას მისცემს რიგიანს, რომ ის კაცი გახდეს შემდეგ. ასე არ არის სახელმწიფო სკოლებში. იქ სწავლა ახალს წესზეა.

ასეთია მდგომარეობა. მაგრამ ერთ რამეს კიდევ გეტყვი. შარშან ისპაანში ჩამოვიდა ვიღაც მაქედან გამოქცეული ქართველი. თავის ნამდვილ სახელსა და გვარს არ ამხელს. ამბობს რამიშვილი ვარ – თელავის მხრიდანო. სრულიად გაუნათლებელია, მაგრამ ეტყობა ეშმაკობის ნიჭი აქვს. ისპაანიდან ფერეიდანამდე დახლებით ორასი ვერსი ფეხით გაიარა. მივიდა სეიფოლა იოსელიანთან. ცოტა ხნის შემდეგ მიიღო მუსლიმანობა. სოფელმა სახლი უყიდა, ზოგმა მისცა სახლის მორთულობა, ზოგი ფულით დაეხმარა. შემდეგ ცოლი შეირთო. ერთი სიტყვით კაცი დაესახლა. ბევრმა გაუგო ესეთი ნიღბაფარებული საქციელი, მაგრამ მაინც ამბობენ – „ოღონდ ქართველი იყოს და რაც უნდა იყოს, ჩვენიაო.“ გამოდის რომ ჯერჯერობით ეგენი თვით გვეხმარებიან. მე ხუმრობით დავპირდი მაგისთანა გამოქცეულებს კიდევ ბევრს გამოგიგზავნი თქო და ამაზედაც თანახმა არიან. ასე რომ მაგათი რაინდობა ვერ გავტეხე.

გარდა ამისა, ივანე, თუ არსებობს კიდევ „მუსლმკულტსაზოგადოება“ (ასეა!) და თუ რამე შეუძლია დაგვეხმარონ. აგრეთვე კერძო პირთაც თუ მიჰმართავ პირად ან გაზეთის საშუალებით დარწმუნებული იყავი თუ ბევრს ვერას დაეხმარებით გამხნევებით მაინც გაამხნევებთ აქაურ ქართველობას. რასაკვირველია ასეთი წერილით ვერ გადმოგცემ ყველა იმას რაც სათქმელია. გიგზავნი სურათს აქაურ

190. მისვლა-მოსვლისთვის?

ქართველებისას, რომელნიც ჩემთან არიან გადაღებული. ვაპირებ ფერეიდანში წასვლას და ადგილობრივ სურათებს რომ გადავიღებ, იმათაც გამოგიგზავნი, ამასთანავე გიგზავნი სეიფოლას წერილს. პატივისცემით ა. ჭელიძე

ისპაანი, 5 მაისი, 1927წ.

***

ამბაკო ჭელიძის წერილი ივანე ჯავახიშვილისადმი – ამბაკო ჭელიძე ეხება ფერეიდნელ ქართველთა ცხოვრებას და თავის მოღვაწეობას ამასთან დაკავშირებით; 1927 წ. 16 ივლისი ისპაანი – თბილისი, წერილი დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში.

ამბაკო ჭელიძის წერილი ივანე ჯავახიშვილისადმი III

(ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ივანე ჯავახიშვილის არქივი, N4091)

ძმაო ივანე! შენი გამოგზავნილი წერილი მიეიღე. დიდი მადლობელი ვარ რომ პასუხი მალე მომწერე. მით უფრო, რომ რამდენიმე ჩემი წერილები დაიკარგა გზაში, რომელნიც ჩემთვის მაინც საინტერესო იყო. ძალიან მინდოდა მაგ წერილს რომ შენამდე მოეღწია და სურვილიც ამისრულდა. როგორც შენი წერილიდან სჩანდა ახლა ალბათ თბილისში იქნები. აქაურ საქმეზე თუ რამეს ეცდები ისე, რომ ზედ სხვა რამ ჭირი არ დაურთონ, უხეირო კუდი არ გამოაბან. თუ ასეთი რამ შენიშნო სჯობია თავი გაანებო, რადგან სიმართლეს არავინ დაგიჯერებს და ჭორებს კი ყველგან ბევრი გასავალი აქვს. მე ამ დღეებში ფერეიდანში ვიყავი, მუსლიმან ქართველების სოფელ ახორებალაში, ე.ი. ზემო მარტყოფში. ვნახე ერთი-ორი თვალის გადავლებით იქაურობა. გაავრცელეს ხმები ვითომც მე მათი „გასომხება“ მინდა და ვითომც მე იმათ ვასწავლი „ბოლშევიკობას“. ყველა ეს ხმები უმთავრესად ჩვენებურმა დროებით მცხოვრებმა ქართველებმა გაავრცელეს, ამით ძალიან შემიშალეს ხელი, რადგან ამ ხმამ მთავრობის ყურამდე მიაღწია. ამათ შესახებ განსაკუთრებულ საგაზეთო წერილს ვსწერ და თავის დროზე გამოვაქვეყნებ. სამწუხარო ისაა, რომ ასეთი წერილების გამოგზავნა ძნელია. გზაში იკარგება და შეიძლება ჩემს წამოსვლამდე ვერ მოვახერხო. ისე კი რაგითხრა (ასეა!). ასე გაჭირვებული, ასე ჩამორჩენილი ხალხი, როგორც მუსლიმანი ქართველები არიან, იშვიათია. ისინი ყველა თავის მეზობელ ხალხებს ჩამორჩენიან უკან, ყველაფრით. ერთი შეხედვით თითქო საკვირველია ეს, მაგრამ რა უნდა ექნა ამ ხალხს, რომელსაც ალბათ იმ თავიდანვე არ ჰქონდა შეგნება. ახალი ცხოვრების, გარდა ბატონ ყმობისა. ეს თვისება თავის საშინელებით

ახლაც მაგრათ არის აქ და კიდევ კარგა ხანს ვერ წარმოიდგენენ, რომ შეიძლება სხვანაირად ცხოვრება.

საზოგადოთ მე იქ საგანგებოთ წავიყვანე ფოტოგრაფი და რამდენი მათი დამახასიათებელი სურათები გადავიღეთ, რომელსაც თავის შესაფერ აღწერით ან გამოვგზავნი ან თვით მე წამოვიღებ, ხოლო არ ვიცი როდის მომიხდება წამოსვლა. ყოველ შემთხვევაში სამწუხაროდ ამ წელში არა.

შენ რომ სურათებს მთხოვ ჩემო ივანე ისეთები ისპაანში არ იშოვება. მე ვეცდები შევიძინო ისინი თეირანში და ადრე თუ გვიან უიმისოთ არ დაგტოვებ ცხადია. რასაც კი შევიძლებ აქაურ პირობების მიხედვით, აქედან ხელცარიელი არ წამოვალ.

გარდა ამისა ივანე შენთან ერთი კერძო შესახვეწი მაქვს. გთხოვ გაისარჯო და შემისრულო. უფრო დიდის მორიდებით გთხოვს ჩემი ცოლი, რადგან ამ სტრიქონებს მისი დავალებით გწერ. მად თბილისში იყო ჩემი ცოლის ძმა ლადო გიორგობიანი. ხომ იცით დას ძმა როგორ უყვარს. არაფერი იცის მისი ეს რამდენი ხანია და ველარ ისვენებს. მად ჩვენს „სანალოგო“ განყოფილებაში მსახურობს ლადო ბუჩუკური, რომელსაც ჰყავს ლადო გიორგობიანის და ცოლათ. მოინახულე რამე ფერად ეს კაცი და მოიწერეთ ამბავი. ამით მეც და განსაკუთრებით ჩემს მეუღლეს დაუვიწყარ ვალს დაგვდებთ.

თუ ბედი უკულმა არ გადატრიალდა და აქედან დავიძარი საქართველოსკენ საინტერესოს ბევრ რამეს გიამბობ, როცა დამშვიდებით ვიკდებით თბილისის სკამზე.

სანამ კარგათ იყავი და ვინატრი, გნახო მშვიდობით.

მარად პატივისცემით
შენი ამბაკო ჭელიძე
16/VII. 1927 წ. ისპაანი.

***

ამბაკო ჭელიძის წერილი ივანე ჯავახიშვილისადმი – ამბაკო ჭელიძე წერს ფერეიდანში ყოფნისას წარმოშობილი გართულებების შესახებ. 1927წ. 29 აგვისტო, ისპაანი – თბილისი; წერილი დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში.

ამბაკო ჭელიძის წერილი ივანე ჯავახიშვილისადმი IV

(ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ივანე ჯავახიშვილის არქივი, N4092)

დიდად პატივცემულო ძმაო ივანე, გისურვებ კარგათ ყოფნას, გამარჯვებას და ყოველივე კარგს. შენი წერილი მივიღე. წინა წერილის პასუხი მოგწერე და როგორც ჩანს არ მიგიღია. საზოგადოთ წერილებს არა აქვთ დამოუკიდებელი გზა – ვინც როგორც მოისურვებს ისე გადაისვრის. ამ გვარათ დაიკარგა ჩემი საგაზეთო ორი წერილი.

ამ ერთი თვის წინ ვინახულე ფერეიდანის ქართველობა თავიან სოფელში. ფოტოგრაფიც წავიყვანე და რავდენივე (ასეა!) სურათი გადავიღე. მხოლოდ ჩემმა წასვლამ მთელი აურზაური გამოიწვია. ასე დაფრთხენ (ასეა!), თითქო ქვეყნის დასაქცევათ მივდიოდი. ნამდვილათ კი უბრალო სტუმარი ვიყავი. მინდოდა კი რაც შეიძლებოდა გამეცნო მათი ცხოვრება, მენახა ყველა სოფლები. მაგრამ რასაც არ მოველოდი წასვლამდე, ის გამოჩნდა წასვლის შემდეგ. ამიტყდენ „კაიკაცები", პირველად ჩვენივე ქართველები. გააღეს პირი და პირველად არ ვაქცევდი ყურადღებას, მაგრამ ბოლოს საკმაო ზიანი მომაყენეს. სხვათაშორის აქ იყო ერთი ვინმე დავით აბაშიძე. ქართველი კომერსანტი, ამერიკელი მოქალაქე, ყველაზე მეტი ზიანი ამ კაცის უსაბუთო ლაპარაკმა მომაყენა. იგი მე სრულიადაც არ მიცნობდა, მხოლოდ ყურმოკრული ამბებით ხელმძღვანელობდა ალბათ. მას როგორც ამერიკელ მოქალაქეს, ინგლისელთა და სხვა უცხოელებთან ჰქონდა კავშირი. გამომაცხადა არა საიმედო პირად. გაიცნო თვით ფერეიდნელი ქართველები და ეუბნებოდა არ ეარნათ ჩემთან, რადგან მე იმათ „გავრყვნიდი" გლახა წიგნებით. დაწყისას[191] ეს თითქო არაფრად მეჩვენება, მაგრამ როგორც კი გავემგზავრე ფერეიდანში მაშინ სხვანაირად შეიქნა საქმე. გამოჩნდენ მზვერავები. სეიფოლა იოსელიანს კაცი გამოეგზავნა: შეჩერდი გზაშიო. მე მაინც არ დავიშალე, რადგან მე დანაშაულის ჩასადენათ არ მივდიოდი და უნდა ეს ჭორებიც გამექარწყლებია. ოთხი დღე დავრჩი მხოლოდ სხვა სოფლებში წასვლა ალარ შეიძლებოდა. უნდა კი გითხრა – ცუდი არავის უკადრებია, თუმცა მე არას ვაშავებდი. დავბრუნდი. მხოლოდ ამ ჟამად „დროებით" ნება არა მაქვს ფერეიდანელ ქართველებთან რაიმე კავშირი ვიქონიო. თვით სპარსელი მთავრობა არაფერს მედავება. ალბად იციან, რომ სადავო არაფერია. მე სპარსეთში ოთხი წელიწადი ვარ და არ შეიძლება, არ მიცნობდენ, თორემ ესენი რას მომერიდებოდენ. ასე თუ ისე ზოგს თვითონ შენ გაიგებ – მიხვდები. თუ რამე დამიშავდა ისევ იმათგან ვისგან შველას მოველოდი. ეს არის სასაცილო. ვისიც მეფიქრებოდა, იმათგან ყოველ შემთხვევაში, ტკბილი სიტყვის მეტი არაფერი გამიგონია. მაინც კი ტყუილუბრალოდ არ ჩაუვლია ჩემს წასვლას. როდესაც დავბრუნდები მაგათ შესახებ ორიოდ სიტყვას ვიტყვი და მათს სურათებსაც გაჩვენებთ.

ამ გვარად, ივანე, მად თუ რამეს მოაგროვებთ ამათ სასარგებლოთ, ნუ გამოგზავნი, სანამ ჩემგან დასტური არ მიიღოთ. ერთი სიტყვით, უნდა სრულიად გაიფანტოს ის ჭორები, რომელნიც ასე უბრალოდ გავრცელდა. უამისოთ არაფრის გაკეთება არ შეიძლება, რადგან თუ კი ქართველი ცუდს იტყვის ქართველზე სპარსელმა რალა უნდა ქნას?!. თვით ის გადმოხვეწილი ქართველი, რომელმაც მუსლიმანობა მიიღო და იქვე დაესახლა, საშინლად მლანძღავს, რომ არ მივეცი „ხუთასი თუმანი მეურნეობის დასწყებათ", მაგრამ იმდენი შნო არ აქვს, რომ ვინმემ დაუჯეროს.

191. დასწყისში, თავდაპირველად.

იქნება ეს ამბავიც ქართველების ბედთან არის დაკავშირებული?.. სხვები კი რალაცას აკეთებენ. თვით დღეს ჩვენს ბანაკში ორი სომეხი მოვიდა. გაშალეს უშველებელი სია – „ფერეიდანში სკოლა უნდა შევაკეთოთ, შეგვეწიეთო“. რასაკვირველია ხელცარიელი არ გასულან გარეთ. სხვისთვის შეიძლება, ჩვენთვის არა!..

ახლაკი გაგიმარჯოს. მეტს ალარ შეგაწუხებ ჯერჯერობით. წერილებს თუ მალმალე გამომიგზავნი პატივისცემას არ დაგიკარგავ.

მარად პატივისცემით ამბაკო ჭელიძე.

29/VIII ისპაანი

პ. მ. ამ წერილს ვინც წაიკითხავს ალბად საშინელი შოვინისტი ვეგონები და იქნება უფრო მეტიც.

ა.ჭ.

***

სეიფოლა იოსელიანის წერილი ივანე ჯავახიშვილისადმი (1927 წ. 26 იანვარი) – სეიფოლა იოსელიანი წერს შვილთან ერთად თბილისში ჩამოსელის სურვილის, სკოლის დაარსების განზრახვის, თანამოძმეთა სავალალო მდგომარეობის შესახებ. წერილში ჩანს, რომ სეიფოლა სკოლის გასახსნელად ითხოვს სპარსეთის მთავრობისგან დახმარებას და ამასვე სთხოვს საქართველოს. ის არ წყვეტს კავშირს საქართველოსთან, წერილში კარგად ჩანს სეიფოლას ზრუნვა ფერეიდნელ ქართველებზე, რომელთაც მისი იმედი აქვთ. წერილი დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში.

სეიფოლა იოსელიანის წერილი ივანე ჯავახიშვილისადმი I

(ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, N4066)

„პატივცემულო ძმავ ივანო

გისურვებ გამარჯვებას და კარგათყოფნას. ეს მეორე წერილია რომ თქვენ წერილის შამდექ გიწერ და ბატონ ამბაკოს წერილთან ვგზავნი იმიტომრო ფოსტას არ მაიაქ კარგათ ძმავ ივანო ემ ზამთარში ვეცდებოდი წამოსლას შვილით. ტბილისში და ჯერჯერობითკი ვერ მუახერხე და შვილი ჩამოვიყვანე ისპაჰანში დაწერილები გამოვგზავნეთ თავრობასთან დასახმარებლად შკოლასათვის თუკი ჩვენ დიდი ძმები და სამშობლოს ხალხი არდაგკარგავს ივანო იცი თქვენ მწერალებმა უნდა ეცადათ რო მეწყოს რაცღარო შაიძლება დროსხმარეთ შკოლასათვის იმიტომრო ჩვონ ბევრს არავთხოულობთ პატივცემული საზოგადება რატომ ექამდი არაფერს ჩვენ შესახებ არ

ეცლება მაგრამ იმიდი გოქვს რო არ გუმიწყებენ.

ძმავ ივანო მამიკითხე ყველა ძვირ ფასები ძმები და დები და ნაცნობები ჩემი ბატონი ზაქარია რაშობს ძალიან დიდათ მამიკითხე და ირაკლი ბილანიშვილი იცი ძმავ რამოდენი ჩვენ სამშობლოს ნახვა და ემანდავრ ძვირფასების ნახვამინდა იმოდენი წყალის დალევა არმინდა რაექნა საქმე ბევრია ემსაცოდავი ქართველებისა და მებრალებიან რო დავყარო და წამოვიდე ექავრი ამბავი გაცნობო კარგათ ვართ და მოსავალიც იყო მაგრამ ჯერკი თოვლი ძალიან ცოტა გოქვს ალარ ვიცი ემის უკან როგორ მაჰხდება თუ ძმა ხარ ფასოხი მალე მამწერე გიწერს

შენი ძმა სეიფოლა იოსელიანი
მარტყოფელი 26 იანვარი
1927 წ.
ივანო ყველა ნაცნობები
და ძმები ჩემმაგერ დაკოცნეყე

***

პატივცემულო ძმაო ივანე – სეიფოლა იოსელიანი ეხება ა. ჭელიძის ნაწერებს ფერეიდნელ ქართველთა შესახებ. აქვს მინაწერი ამბაკო ჭელიძის მიერ – სახ. განათლების კომისრის ნებართვაზე ს. იოსელიანის მიერ სკოლის გახსნის თაობაზე. დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში.

სეიფოლა იოსელიანის წერილი ივანე ჯავახიშვილისადმი II

(ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, N4067)

1927 წ. 9 მაისი
ისპაჰანი – თბილისი

პატივცემულო ძმაო ივანე გისურვებ გამარჯვებას და კარგათყოფნას (ასეა!) გითხრა კაცო ესრამოდენი ხანი იყო მეველოდებოდით თქვენგან ფასოხი მივიღოთ აბა ქალალდები რო გამოვგზავნეთ ჩამასწდომია მანდ თუარა. ეს ხუთი დღეარირომ თქვენი წერილი ბატონ ამბაკოსთან ვნახედა ძალიან გუგუხარდა რომ მაინც გზაგეება. თუ ძმახარ რაცღარო პატივცემულ ამბაკოს დღვწერია უნდა ეცადო რომ ეს შრომები არ დოგოკარგოს ყველანთ ფერეიდანის ქართველების შესახებ. ივანე თუარდეგეზარება ყველა დებიდა ძმებიდა ნაცნობები სამშობლოს ხალხი ჩემი პირობით მომიკითხე და მაახსენეთ რომ არ დუგუვიწყონ ესბატარა ფერეიდნელ ქართველები მაინც თქვენი

ნახლენჩნივართ თქო. იმედი არი რომ მალე მოგწერო ფასუხი. იყავით კარგათ და გამარჯვებულნი ყველა ქართველები. გწერს შენი ძმა სეიფოლა იოსელიანი

ფერეიდნელი მარტყოფელი 9 მაის 1927 წ.

ქ. ისფაჰანი დან .

[მინაწერი ფურცელზე]:

სახალხო განათლების კომისარმა ნება დართო სეიფოლას, ერთი სკოლა გააღოს დროებით შენობაში, იმ პირობით, რომ სასკოლო შენობის ხარჯებით ღარიბ ხალხს ნუ შეაწუხებო. სასკოლო აეეკი შეკვეთილი აქვთ. ამ ზაფხულში თვით განათლების კომისარი ინახულებს ფერეიდანს და მასწავლებელსაც გაგზავნის.

ა. ჭ.

***

სეიფოლა იოსელიანის წერილები ამბაკო ჭელიძისადმი – სეიფოლა იოსელიანის წერილებში კარგად ჩანს, რომ ამბაკო ჭელიძე მისი იმედია, ის მისთვის საქართველოსთან ურთიერთობის ხიდია, უზიარებს თავის პრობლემებს და ცდილობს მასთან ერთად ფერეიდნელ ქართველებს შეუმსუბუქოს ყოფა და მისცეს განათლების საშუალება; წერილების დიდი ნაწილი დაწერილია ამბაკოს ჩასვლამდე ფერეიდანში. გვხვდება ბევრი საინტერესო ფაქტი: სეიფოლა ახსენებს ფილიპე მახარაძის მიერ დაწერილ ნარკვევს ფერეიდანზე, ასევე ახსენებს სტეფანე ამილახვარს, რომელიც იყო სპარსეთში.

სეიფოლა იოსელიანის წერილი ამბაკო ჭელიძისადმი I

(ლიტერატურის მუზეუმი, ამბაკო ჭელიძის არქივი, 25809/1)

პატივცემულო ბატონო ამბაკო და ქალბატონო სარა გისურვებთ კარგად ყოფნას და გამარჯვებას ეს რამოდენი ხანიარო თქვენგან არაფერი ამბავი არა მაქვს რამდენ დღეს წინ მიველე წერილი და კარდიშკები მაგრამ ძალიან თქვენი ნახვა მინდა იმდროსარო ბზანდებოდით დრო არდროცა რო გულის ტკივილები მოგახსენოთ და ერთი ბინა დეგელეუა ჩემთი ღმერთმა ან ნუ მისცეს კაცს ფიქრი და აზრი ან ხელი მოემართას მე კი ძალიან წუხვარობაში ვარ ემჩონებულ ხალხში არვიცი რავქნა ნეტავი იმ დღესა რო კაცი სულელ ხალხთან დაშორებული იქნება – ძმავ საქართველოდან თუ ახალი არის მაცნობე ჰაჯიმაჰმადა ემსაღამოს მოსულა და ჯერ არ მინახავ თქვენგან ამბავი ვიკითხო ჰაშემა დილის ადრე მოდგოდა და გიწერ გამუვატანო.

სალამს გიძღვნის და გამარჯვებას დედა ჩემი და ცოლი და შვილები ყველანი რო იყნეთ კარგადვო ძალიან ნახვა გუნდა თქვენიცო ნეტავი ერთხელაც გონახვა ერთ მეორეცო

ძმავ ამბაკო ის მამაძაღლი ალიმაჰმადა არ მოვიდაღა თქვენთან არმილოთ ის

გაფუჭებული ტყუანი – ბატონო თუ არ დეგეზარება მალე მამწერე წერილი მაინც გული გაგრილდება ექხომ ძალიან დიდი თოვლი მუგუეიდა ერთ არშინ ნახევარი იყო ზამთარილარი თქვენ იყნევით კარგად და შვიდობით ყველა ქართველები

გიწერს თქვენი ერთ გულის ძმა სეიფოლა იოსელიანი მარტყოფელი ფერეიდანიდან

1927[192]

სეიფოლა იოსელიანის წერილი ამბაკო ჭელიძისადმი II

(ლიტერატურის მუზეუმი, ამბაკო ჭელიძის არქივი, 25809-2)

პატივცემულო ბატონო ამბაკო და ქალბატონო სარა გისორვებთ გამარჯვებას კარგად ყოფნას ეს რამოდენი ხანია არაფერი ამბავი თქვენ გან არამაქვს და არ ვიცი მიზეზი რო დეგეპირათ რო ჩამაიბრძანდეთ ხო არაფერი არ გამოჩნდა თგენგან მაგრამ კარგი იქნებოდა რო წერილი მამ წეროთ რო ვიცოდო როგოგონ ცხოროვთ ეს ერთი თვე არირო ქ. ისპაგანშიც ჩამოსულვარ საქმებისათი და თუკი შემეძლო შვილის საქორწილოსათვის მაგრამ ბევრი თოვლი მოსულა ფერეიდანში და წასლა მინდა ალარ ვიცი როგო წავალთ და გბატივჯავთ თუ შეგეძლებათ ჩამობრძანება მაგრამ ზაფხულიცრო იყოს თანახმა ვიქნები რამოდენი დღეარი წერილი გამოვგზავნე ბატონი ხოშტარიასთან ყონსორის[193] ქალალთან არვიცი მიიღო თუარა აბა იკითხეთ და ყველა ძვირფასები ქართველები ჩემგან სალამი და მოკითხვა გადაეცითყე ომიდიც მაქვრო ყველაფერი თუკი არ გეზარებათ მომწეროთ აბა ქართველები მინ არიან თეჰრანში და ახასაქართველოდან რაფერი ამბავები არი და საქმე როგონ მიდის ძალიან მენტერესების საქართველოს გამარჯვება და თქვენ სუთვესი კარგათ ყოფნა ის ყოლამოსეინა რო ემანდა იყო რას იქს მამიკითხეთ

თქვენი ძმა სეიფოლა იოსელიანი 1925 წ. არ ვიცი რაქთენია თვარე[194].

სეიფოლა იოსელიანის წერილი ამბაკო ჭელიძისადმი III

(ლიტერატურის მუზეუმი, ამბაკო ჭელიძის არქივი, 25809-3)

ძმაო ძვირფასო ამბაკო გამარჯვება და კარგად ყოფნა თქვენი და ყველა ამხანაგებისა ეს მეორე წელია თქვენგან მამსლია როძალიან გახარება მემეცემისყე მაგრამ პირველათ რო მივიღე დაგიწერე ქაღალდი ორი კვირია არი მივეცი ჩვენ

192. წერილს ბოლოს ერთვის ხელმოწერა.

193. კონსულის

194. არ ვიცი, რომელი თვეაო. სპარსულში მთვარე და თვე ორივე არის „მაჰ“.

ბიჭებსა რო ყაზალები არიან მოსაება და ნავრუზალა და ჰასანა ქვიანყე როგო არ მოვტანიათ ბევრი ვაბარე საჩიქარო გიახლოს და თუ შაიძლება მალე ამაიბძანდეთ იმიტომრო მალე მე ვერ გეახლებოდი რო საქმები დემელაგა და გეახლებით მაგრამ ბლომად თოვლი მოსულა მარტყოფის სოფლებში ძმავ თქვენ წერილთან დღეს ტფილისიდანაც მივიღე წერილი მაგრამ პასუღს არავწერავ იმიტომ რო წინ გემეგზავნა და მაინც წერს რომ ამხანაგი ფილიპე მახარაძე წიგნის წერს ფერეიდანის ქართველების შესაღებ და საზოგადოებაც დაიბეჭდავსო შენი ძმა სეიფოლა იოსელიანი 22 ნავამბერ 1926 წ.

პატივცემულო დავ სარა გამარჯვებათ თქვენი და კარგათ ყოფნა და გულგახარებულად ეს მეორე წერილია რო მოგახსენებ იმდღეს შამდეგრო თქვენგან წერილი მამსლია გული თქვენთან მაქვს და გზას ვათორიალებ მაგრამ თოვლმა თუარ ამოგუწყიტა ძალიან გონატრება ჩემ ოჯახობით თქვენი ნახვა მაგრამ ემიდი გაქვს თქვენი ნახვასი ერთი წერილი პატივცემულ სტეფანე ამილახვარს დეწერა არვიცი მანდ არი თუ წავიდა შირაზში კარგია თუმენახვა უთხარით და ყველას გამარჯვება და მშვიდობით თა[195] ნახვამ დი შენი ძმა

სეიფოლა იოსელიანი
22 ნოვანბერ 1926წ.

სეიფოლა იოსელიანის წერილი ამბაკო ჭელიძისადმი IV

(ლიტერატურის მუზეუმი, ამბაკო ჭელიძის არქივი, 25809-4)

პატივცემულო ძმაო ამბაკო გამარჯვებათ თქვენო ოჯახობით მივიღეწერილი თქვენ გან და თვალებში გამინათავდა სიხარულით თქვენი ჩამობრძანებისა ისპაჰანში მაგრამ დოვგიანებია 29 არი ღვინობის თვესი ემის შემდეგ წერილი დომბენეის ფოსტაზე მოგზავნეთ პირველი სოფელია ფერეიდანისა ძმავ როდისაც გინდა წამოსვლა ტილიფანით მაცნობე 25 ვერსი არი ჩვენამდი თქვენ ფეხი იქნება ჩვენ თვალზე ტილიფანი არი დარანს იქიდან მამიტანენ ძმავ რამოდენი ხანი იყო არაფერი ამბაკი არამ გონდა მაგრამ ემ წერილმა თალაფა გაიყვანა[196]

შენი ძმა
სეიფოლა იოსელიანი

ძვირფასო პატივცემული დავ სარა გამარჯვება გისურვებ კარგათ ყოფნას ისპაჰანში სუმუდამ გამოვიჭრიტელა მიხაროდის თქვენი ჩამობრძანება მაგრამ ეხლა შაიძლება ჩემი ოჯახობას იმოდენი გავხარდარო იძახოდა თუდაიგიანესო ჩვონ წაელათ სანახველადაო ემიდი მაქ რო მალმალე ვნახაედეთ ერთმანერთს მემინდოდა

195. სპარს. თა-, -მდე; ვიდრე

196. ამ წერილმა „უწერილობა" ანაზღაურა (გაქვითა).

ზამთარში წამოვიდე თეჰრანში და შვილი წამოვიყვანო ძალიანკარგირო შამოკლავდა გზა დამეტლა სიხარული...

შენი ძმა სეიფოლა იოსელიანი

29 ნოემბერ 1926 მარტყოფიდან

სეიფოლა იოსელიანის წერილი ამბაკო ჭელიძისადმი V

(ლიტერატურის მუზეუმი, ამბაკო ჭელიძის არქივი, 25809-5)[197]

ბატონო ამბაკო და ქალბატონო სარა

გისურვებთ გამარჯვებას და კარგათყოფნას ჩვენ კარგად ვართ ხუთი დღეს კი დაღუსალებული ვიყავლა საკითხში იმასრო ემამაძალლავი გავამტყუვე და ბოლოს გამამიშვეს მაგრამ არავის არავთხოვე დახმარება და არშევაწუხე ვინმე რაუყო დგომარეობა ეგეთია კაცსათი ქვეყანაზე მაგრამ ასერო გული დემეწორომ არაფერი ვლასა არ ჩემელინა და ემოდენი წუხვარობა ავიღე და ვიზარალე ეხლაც არა უშავ ბუნება ეგეთია ეს ოთხი დღეარი რო თავისუფალი ვარ და გუშინ ვეახლე თურქიას და ძალიან პატივი გცა ის ჩვენი ბატონ სადავი[198] არიყო წასულა ბაღდადსა კარგარეთელიც ვნახე და ძალიან მოგიკითხათ ესე ბატონო ერთ ათი დღეს შამდეგ წამუვალთ იყავით კარგად და ბედნიერად გიწერს შენი ერთი გულის ძმა სეიფოლა იოსელიანი

ქა თეჰრანი დან თე[199] არვიცი რარი

1928 [200]

ბინა ნასერის ხიაბანის თავში ქუჩაეარაბჰა ხანაე აბას ალა სასტუმრეში.[201]

სეიფოლა იოსელიანის წერილი ამბაკო ჭელიძისადმი VI

(ლიტერატურის მუზეუმი, ამბაკო ჭელიძის არქივი, 25809-6)

პატივცემულო ამბაკო და ქალბატონო სარა გისურვებთ გამარჯვებას და კარგად ყოფნას მივიღე თქვენგან წერილი ძალიან გახარება მოგოცა რომთქვენი კარგობას გაჩენებდა

შკოლას შესახებ ძალიან კარგად არი თუ ნამა მუვამზადეთ და ემრამოდენი დღეს

197. თაუზე აწერია საეარაულოდ დატუსაებული (მელნის ლაქა აზის სიტყვას შუაში და ძნელია გარკვევა დატუსაებული წერია თუ დატუსალებული)

198. თაუზე აწერია სადა; ბატონ სადაი – სადაი გვარი უნდა იყოს. სადა – ეს უკვე მერე ვიღაცამ (ამბაკომ?) დაწერა ზედ.

199. არ ვიცი, რომელი თვე არისო.

200. იქვე სპარსული მინაწერია: 1307 წლის დეი თვის 6, ანუ 1928 წლის 27 დეკემბერი.

201. მისამართი: ნასერის პროსპექტის დასაწყისში, არაბების ქუჩა, აბას-ალას სასტუმრო.

შამდეგ ვაპირებ გეახლოთ ისპაჰანში და ყველაფერს მოგახსენებთ მე დღეებში წამუალთ უფროსი შვილი უნდა ჩამოვიყვანო აქიმთან ცხენებს გამუვახმებთ და წამუვალთ თუ ემ სამ დღეში ვერ წამუველით თორმეთი დღეს შამდექ უსათოთ წამუვალთ და გეახლებით ძალიან თქვენი ნახვა მინდა ჩვენი ოჯახობა გამარჯვებას და სალამს გიძღვნის და ყველანი ხელებზეგ კოცნიან გამარჯვებით და შეიდობით იყვნეით

გწერთ თქვენი ძმა სეიფოლა იოსელიანი
ფერეიდნელი მარტყოფელი
ათი მარტი 1928[202]

***

ამირან პაპიაშვილის მშობლების გამოგზავნილი წერილი ამირანისათვის – ამირალა იგივე ამირან პაპიაშვილი ბოინელი ყმაწვილია, რომელიც ამბაკო და სარა ჭელიძეებმა საქართველოში ჩამოიყვანეს განათლების მისაღებად.

ამირან პაპიაშვილის მშობლების გამოგზავნილი წერილი ამირანისათვის საქართველოში

(ამბაკო ჭელიძის არქივი, ლიტერატურის მუზეუმი; 25809-7)

ამირალა ჩონ თვალების სინათლე ჩონ სულ და გულო შენდა წერილი ფოსტმა მაიტანა ელ არო გავიკითხეთ გავიგეთ კარგათხარ ბევრი გუგუხარდა დედა მამა შენ დები ამუები[203] და ტოლები კარგად არიან და სალამი გამოგიგზანეს[204]

***

ამირანის წერილი ამბაკო ჭელიძისადმი – ეს წერილი ამირანმა თეირანიდან გამოუგზავნა ამბაკო და სარა ჭელიძეებს. ის მამის თხოვნით არდადეგებზე წავიდა ფერეიდანში და უკან ველარ მოახერხა დაბრუნება. ორჯერ სცადა, ორ მეგობართან

202. ქვედა სტრიქონზე სპარსული მინაწერია. წინა წერილში თუ ირანული მზის კალენდარია, აქ ისლამური მთვარის კალენდარია გამოყენებული: თარიღი: 1346 წლის სიამის (იგივე – რამაზანის ანუ მარხვის თვის) მეჩვიდმეტე [დღე]. სინამდვილეში ერთი დღე ცდომილებაა, თუ მინაწერი სწორია, 10 მარტის მაგიერ უნდა იყოს 1928 წლის 9 მარტი, რაც უფრო სავარაუდოა სეიფოლას მუსლიმობის გათვალისწინებით.

203. სპ.არაბ. ბიძები

204. წერილის ბოლოს მელნით მიწერილია ამბაკო ჭელიძის ხელით: ამირანის მშობლებისგან გამოგზავნილი წერილი ამირანისადმი ფერეიდანიდან 1933, უკანა მხარეს კი სპარსულადაა დაწერილი.

ერთადაც წამოვიდა, მაგრამ დაიჭირეს საზღვარზე. წერილიდან ჩანს, როგორ გაუჭირდა თეირანში ჩასულ ამირანს, რატომ ვერ ახერხებდა ვერც ისპაჰანისკენ წასვლას და ვერც უკან დაბრუნებას. წერილში ნახსენებია პეპელა, რომელიც დაეხმარა მას და ასევე იაშვილი და ვინმე ბორისა, რომლის იმედიც ჰქონდა თეირანში ჩასულ ამირანს.

ამირანის წერილი ამბაკო ჭელიძისადმი

(ლიტერატურის მუზეუმი, ამბაკო ჭელიძის არქივი, 25809-8)

სალამი ბატონო ამბაკოს და სარას. სხვა როგორ ბრძანდებით იმედია კარგად იქნებით. ერთი წერილი მოგწერეთ არ ვიცი მიღეთ თუ არა, ეს მეორე წერილს გწერთ ჩემი მოგზავრობის შესახებ, ჩემი წამოსვლისას იქედან 6 – ივლის 9 – საათზე რომ გამოვედი იქიდან ქუთაისში[205] მივედი 5-ზე. როგორც იქნა მაშინვე მივედი ზღვაზე პარახოდთან. პარახოდი კი გადიოდა 5-საათზე. ბილეთის აღება დაგვიანებულიყო. როგორც იქნა ბილეთი ავიღე, პასპორტს უნდოდა რეგისტრაციაში გატარება როგორც იქნა გავატარე. ბილეთი ავიღე მე-2 კლასის ღირდა 30 მან.50 კაპ. საჭმელი შიგ არ შედიოდა ფული არ მეყო რომ საჭმლისაც ამეღო. ცოტა ფული დამრჩა არ გამატანეს იქვე ბუფეტში საჭმელი ვიყიდე. ჩამადანი გამიშინჯე თქვენი სურათი არ გამატანეს იქვე ფოშტიდ უკან გამოვგზავნე, ორი წერილი რომ მქონდა იქვე ვნახე ერთი ქართველი იაშვილი რომელიც თქვენ გიცნობდათ მივეცი იმა რომ ჩაეგდო ფოსტაში. პარახოდი 7 ივლის მოვიდა 5-საათზე. იქაური ვიზდა პარახოდზე რომ ვჯდებოდი წაილეს და არ მომცეს. პარახოდში კარგად ვიმგზავრე არაფერი არ მომსვლია, 8-ივლის დილის 12-საათზე მივედით ფეჰლევიში იქაც გამშინჯეს ბარგში ქირა გადამახდევინეს 1 ყერანი. ნასილჩიკს 1 ყერანი მივეცი ჩამადანი მიმიტანა გარაჟამდენ. გრუზავიკით წასვლა მინდოდა მთხოვეს 5. თუმანი ტეგრანში ჩამიყვანდა 3 დღეში საბარგოიყო, ამ სამდღეში ჭამა მინდოდა ის ფული სულ დამეხარჯებოდა. ფორდი გთხოვდა 15 თუმანს როგორც იქნა გაურიგდი 10 თუმნათ. ავტომობილში ვიჯექით 4 კაცი იმებს გადაახდევინა თითოს 15 თუმანი. სამი თუმანი იქვე მივეცი დანარჩენი პეპელას გამოვართვი და მივეცი. ხურდა ფული რომ მქონდა არ გამოდგა სპარსული ფული. ფეჰლევიდან გამოვედით 8 – ივლის 7- საათზე საღამოთი ღამე ვიარეთ გზაზე 9-ივლის დილის 11-საათზე ვიყავი ტეგრანში. ბორისა სახლში არ დამხვდა წასულიყო თავრიზში. ტეგრანიდან ისპაგანში წასასვლელათ ძალიან დიდი წვალება უნდა სამი სურათი ახალი პროპუსკი და არ ვიცი საქმეს ვინ გამიკეთებს. კიდევ განცხადება უნდა და კიდევ თავდები. არ ვიცი საქმე ვინ გამიკეთებს, ესენი თუ არ გაკეთდა არ გამიშვებენ და არ ვიცი რა უყო. ჩემი უკან დაბრუნების საქმეს არ ვიცი ვინ გამიკეთებს, ძალიან ძნელია, თქვენ თუ ჩამობრძანდებით თქვენ საქმეზე ჩემსაც გაკეთებთ თუ არა სხვა ვერ გამიკეთებს ძალიან ძნელია ახლა.[206] სურათი გადვიღე

205. წერილში გადახაზულია ქუთაისში და ყაენისფერი ფანქრით თავზე აწერია ბაქოში.

206. აქ გადაშლილია, ძნელად იკითხება: შახვდ მისვლა საზღვარ გარეთ არც უშვებენ მოზრდილებს მიჰყავთ ჯარში.

პეპელამ უთხრა ერთ თავიანთ ნაცნობს არ ვიცი გაკეთებს თუ არა ჯერ ჯერობით პეპელას სახლში ვარ. და არვიცი როდეს წავალ. მეზობლები ყველანი მოიკითხეთ წერილი მალე მომწერეთ.

11/VII 34 წელი.

ა. მირჯაზაი.

ამირან პაპიაშვილი

***

ფერეიდნელი ქართველის, ჰაჯი მაჰმადა თავაზიანის წერილები ამბაკო ჭელიძისადმი – ამ წერილებში კარგად ჩანს ფერეიდნელი ქართველის დამოკიდებულება ამბაკო ჭელიძისადმი. ის ამბაკოს თავიანთ მფარველად და პატრონად მიიჩნევს, შესჩივის საკუთარ გასაჭირს და მისი დახმარების იმედი აქვს.

ფერეიდნელი ქართველის, ჰაჯი მაჰმადა თავაზიანის წერილი ამბაკო ჭელიძისადმი I

(ხელმოწერა არ აქვს)
(ლიტერატურის მუზეუმი, ამბაკო ჭელიძის არქივი, 25809-9)

დიდა პატივცემულო ბატონო ამბაკო გამარჯობა და კარგად ყოფნა ჩემ შვილები და ცოლი სალამს გაძლევენ ბატონო სარა გაგიმარჯოს და კარგად იყავით ბატონო ამბაკო ძელი ქალალდი რო მითხარ ვერ ვნახე ია (ასეა!) და მოშაირი ქათრვეს ვაწერინებ რო გამოგიგზავნო მე ტი გაგიგიმარჯოს (ასეა!) უფალ მა სეიფოლახანი წავიდა ხოსარსა[207] შეიძლება წავიდის თერაში[208] ჰაჯი ჰადარა სალამს გიგზავნის.

ფერეიდნელი ქართველის, ჰაჯი მაჰმადა თავაზიანის წერილი ამბაკო ჭელიძისადმი II

(ლიტერატურის მუზეუმი, ამბაკო ჭელიძის არქივი, (25809-10)

ჩემ სალამი შენა
დიდა პატივცემულო ბატონო ამბაკო
გამარჯობა და კარგად ყოფნა შენა და ჩემს დას სარასა გამარჯობა და კარგად ყოფნა

207. ქ.ხანარი

208. თეირანში

ფათემა სალამს გიგზავნის დურადა სეიფოლა და მორთეზა და გოლჩერა ბატონო დიდად დღოლონა მთავრობამ დღეს რო ოცი დღე შემოდგომა არი მოუთხოვნია ყე ბოინჩი და მოლონებს მთავრობა და ფულსაც ითხოვენ და არც გუშელიან ჩონი უფროსები

გწერს შენი უმცროსი

მე ტი გამარჯო ბა ჰაჯი მაჰამადა თავაზანი

ვიც მაშ მული იყო და წელი მეტი ჰქონდა თითო 5 თუმან ან 6 ან 10 ან 20 წარ თ მევინეს ყვე ლასა გამ შე ლე ბე ლი არიყო ბედ შავი ქარ თვე ლისა

ორი სამი წერილი მოგიგზავნე და არა ფერი პასუხი არ მამე

ფერეიდნელი ქართველის, ჰაჯიმაჰმადა თავაზიშვილის წერილი ამბაკო ჭელიძისადმი III

(ლიტერატურის მუზეუმი, ამბაკო ჭელიძის არქივი, 25809-11)

ძრფასად მოსაგონარო ძმაო აბაკო გამარჯობა მოგიკითხავ შორიდან ხელის ჩამორთმევით

ეხლა მამიკითხე ძალ ვა ჩე მისარა

დიდის პატიოს ნობითა ეხლა მოგი კითხა თქვმა უცნობმა ძალმა

დიდი პატიოსნო ბითა მევლოდებით ღმერთის იმედით რო ამობრძანებასა ჩვენნ პატარა საქართველოსა

გადახედეთ რა დგომარეობაშია

ეხლა შვიდობით წავანდი (ასეა!)

მიპატივე არ ვიცი წერა კითხვა

გწერს თქვენი ძმა ჰაჯიმაჰმადა მათიყია-ძე თავადიშვილი

ფერეიდნელი ქართველის ჰაჯი მაჰმადა თავაზიანის წერილი ამბაკო ჭელიძისადმი IV

(ლიტერატურის მუზეუმი, ამბაკო ჭელიძის არქივი, 25809-12)

დიდათ პატივცემულო ბატონო ამბაკო გაგიმარჯოს ღმერთმა ახლა მამიკითხე ჩემი და სარა დიდი პატიოსნობითა

იმისუკან ექ რო ბრძანდებოდით ქენ ამბავი არ გაგიგონია და მენატრება ქენი ამბავის გაგება და იქნება ნამა ვერ დაგხვდით და გაგვიწყერით და იმიტომ არ გოცნობებ რა ვქნათ რომ ჩონ უსწავლელობა ეგეთია და უნდა გვაპატიოთ

მეცემდღებჩი წამოსლა მინდ

და გნახავთ ახლა შვიდობით

ნახვამდი გწეს (ასეა!)
ჰაჯიმაჰმადა თავაზიანი
ემ წერილს ვატან ჩონი ძმას ალი მაჰმადასა

***

გიგო ჩუბინაშვილის წერილები – გიგო ჩუბინაშვილი, ამბაკო ჭელიძის მეგობარი შუა აზიიდან უგზავნის წერილებს მას და, რადგან იცის მისი დიდი ინტერესი ფერეიდნელთა ცხოვრების მიმართ, აცნობს ინფორმაციას, რომელიც მიიღო თავისთან მომუშავე ფერეიდნელი ქართველისგან.

გიგო ჩუბინაშვილის წერილი ამბაკოსა და სარასადმი წერილი – 1

(ლიტერატურის მუზეუმი, ამბაკო ჭელიძის არქივი, 25810-11)

ძვირფასო ძმაო ამბაკო და დაო სარა ხოშგელდი გამარჯობათ, მივიღე წერილი მიხარის თქვენი ჩამოსელა და კარგათ ყოფნა მწერამ აქ მყოფი სპარსელი ქართველის ამბავი მაცნობეო, ძაან კარგი, მაგრამ შენ რომ წამოგიყვანია კარგი ბიჭუკა იქაური ქართველი რატომ მასზე არას იწერებით ან გაკვრით იქაურ ქართველებზედ. კულავს რომ მოიწერო, იქაური ქართველების ამბავი მოიწერე ხომ იცი მესიამოვნება. აქ რომ სპარსელი ქართველია, მას დავარქვით თედო დავითაშვილი თითონ კი იძახის ჯეჰაფ კულიას[209] შვილი ვარო სოფელ მარტყოფიდან. ორი თუ სამი თვე ჩემთან ზაფხულში მუშაობდა წლეულ აქ არის ხან მსახურობს ხან მუშაობს აგურებს აკეთებენ პირველში რო ჩამოვიდა სპარსული ტანისამოსი ეცვა, მარა ქართველს ძალიან გეანდა. ლაპარაკობდა თითქმის კარგი ქართულით ეხლა სუფთა და წმინდათ მაღალი წერწეტი ბიჭია მახვილი გამომეტყველება აქვს შეხუედრაზედ გადაგეხვია ვაკოცე ცოტა ფულიც მივეცი. არ იღებდა, მარა ავაღებინე. დავპირდი საქართველოში გაგზავნი მეთქი მარა სადღაც ჩაიყლაპა ორ თუ სამ კვირას მერმე მოვიდა ჩემთან ზავოდში, გამხდარი, ძაან ავათმყოფი, ძლივს ფეხზედ იდგა. მემაშინვე მივეცი საჭმელები ქუდი ტანისამოსი ფული ვიღაც სპარსელი ახლდა გავატანე მას აბანოში. რამდენიმე დღის შემდეგ მოვიდა გამოცოცხლებული.ალარ გაუშვი ჩემთან ვამუშავე. საქმე რომ გამითავდა სხვაგან დაიწყო მუშაობა ეხლაც აქ არის ხანდახან ვხედავ ხოლმე. ჩემთან რომ იყო, ველაპარაკე. გამოკითხე, სადაურია, რომელი სოფლიდან, რამტელი სოფელია ქართველებისა. მითხრა, მარტყოფიდან ვარო ჩვენი დიდი ქალაქი ისპაგანიო შორს არისო

209. იგივე მეორე წერილში ნახსენები ნედაგ კულია – ,,ნეჟად-ყოლი". ორივეგან საუბარია თედო დავითაშვილზე.

სოფლებიც ჩამოთვალა. ჩავიწერე მარა ვეძებე და ეს ჩაწერილი ველარ ვიპოვე. ეხლა რომ შევხვდები, გამოკითხამ და გაცნობებ. თექვსმეტი თუ ცამეტი სოფელი ჩამოთვალა მეტი წილი ქართული სახელები იყო. ჩულრუთიანი კარიო, ხაფუზი, მართტყოფი (დიდი სოფელიო), ხუციანთ კარიო, წმინდა წყაროვო და სხვა მარა კარგათ არ მახსომს. ეკითხამ და დაწერილებით მოქწერ.

კარქათ იყავით თქვენი ნახვა ძაან მინდა გიორგი თუ წავიდა ადესაში რატომ არ იწერებით და ნინას, სარას ხელზედ ვაკოცებ შენ და მაგ სპარსელ ქართველს კოლას და მიშას გაკოცებთ.

თქვენი გიგო ჩუბინაშვილი

10 მარტი

30 წელი

ასხაბადი

ამ ქართველსაც გაუგონია რომ აბასაბადში არიან ქართველები, ხოლოთ არ ვიციო კარგათ თუ ლაპარაკობენ ქართულათ – მალე ვნახამ და უფრო დაწვრილებით გამოვკითხავ და გაცნობებ. ლობიო მივიღე, დიდი მადლობა. გიორგის წიგნი რომ გამოსცე, გამომიგზავნე.

[წერილზე მინაწერია მარკვენა მხარეს: მგონი გუგუნაანთ კარიც ახსენა და ცივი წყარო და წმინდა წყარო ხელახლათ ჩამოვათლევინებ სოფლებს და მოგწერ 16 თუ 14 სოფელში ქართულათ ლაპარაკობენო].

გიგო ჩუბინაშვილის წერილია ამბაკოსა და სარასადმი წერილი – 2

(ლიტერატურის მუზეუმი, ამბაკო ჭელიძის არქივი, 25810-(11))

ძმაო ამბაკო

წერილის წერა რო გავათავე მემრე კიდევ შევუდექი ძებნას იმ სიისა, სადაც მქონდა ჩაწერილი სპარსეთში ქართველების სოფლებისა და ვიპოვნე.

1) მარტყოფი (დიდი სოფელიო)
2) ორი სოფელი ქვემო და ზემო კახორა
3) სიბაქი
4) ჯალჯალი
5) ბოინი
6) აფუსი
7) ციხე
8) ცივი წყარო
9) ლაჩინაანთ მაზრა
10) გუგუნაანთ მაზრა

11) სარდალია წყალი
12) ქაზუმაანთ მაზრა
13) ბახშიანთ მაზრა
14) ონიკაანთ მაზრა
15) დიზები

ეს თედო დავითაშვილი ანუ ნედუაგ კულიას შვილი სჭამს ღორის ხორც[ს] სვამს არაყს, ღვინოს და მაჰმადის რჯულს ცუდად იხსენიებს.

რომ გინახულებ გადავალებინებ სურათს და გამოგიგზავნი.

იყავი კარგად მალე წერილი მომწერე და ცოტა რამე მოკლეთ მაიწერე, იქაური ქართველების ამბავი მაცნობე.

შენი გიგო

[წერილს ბოლოს სხვა ხელით მიწერილი აქვს: გიგო ჩუბინაშვილის წერილი გამოგზავნილია აშხაბადიდან]

***

ცნობილი აღმოსავლეთმცოდნე იური მარი დაინტერესებული იყო ფერეიდნელთა ყოფითა და მეტყველებით. 1925-1926 წლებში ის მიელინებული იყო სპარსეთში. კრებულში წარმოდგენილი ორივე სტატია „ქართული ფერეიდანის ხალხური სიტყვიერების ორი პატარა ნიმუში“ და „ფერეიდნელ ქართველთან საუბრიდან“ დაწერილია სპარსეთიდან დაბრუნების შემდეგ და დაბეჭდილია 1936 წელს, მისი გარდაცვალებიდან 1 წლის მერე.

ჩვენს ხელთ არსებული მასალიდან არ ჩანს, რომ ი. მარმა მოახერხა ისპაჰანიდან ფერეიდანში ჩასვლა, როგორც ამას წინასწარ ატყობინებდა წერილით მამას, მაგრამ ფაქტია, რომ პირველი სტატია ფერეიდნელთა ხალხური სიტყვიერების შესახებ ეყრდნობა 1927 წელს ისპაჰანში მყოფი ა.ჭელიძისაგან მიღებულ მასალას, ხოლო მეორე სტატიის ერთადერთი ინფორმანტია ფერეიდნელი ჯარისკაცი სახელად მეთაღია, რომელსაც ი. მარი შეხვდა ისპაჰანში1925 წლის 3 აგვისტოს და ესაუბრა 3-4 საათის მანძილზე. ამ სტატიაში მოცემულია ფერეიდნულთა მეტყველების ანალიზი და პირველად ექცევა ყურადღება შიდადიალექტურ დიფერენციაციას.[210]

210. იხ. მ.ბერიძე, ლ. ბაკურაძე, ქართული ენის ფერეიდნული დიალექტი, 2020. გვ.249.

Марр Ю.Н. Два образчика народной словесности из грузинского Ферейдана. Статьи, сообщения и резюме докладов, т.I, м.1936.

ДВА ОБРАЗЧИКА НАРОДНОЙ СЛОВЕСНОСТИ ИЗ ГРУЗИНСКОГО ФЕРЕЙДАНА

ხშირად მოგვწერეთ წერილები, შეგვატყობინეთ – მოგეწონებათ თუ არა ის, რასაც მოისმენთ ჩვენგან; შეგვატყობინეთ თქვენი ცხოვრების ამბები, თქვენი ჯავრი და სიხარული. დაე, ეს ჩვენი საჩუქარი იყოს თავდები ჩვენი ძმური მეგობრობისა და ურთიერთკავშირისა".

საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების თავმჯდომარე
აკადემიკოსი
ალექსანდრე ჯავახიშვილი
საზოგადოების წევრები: დ. დონდუა, დ. წერეთელი...
თბილისი
8 დეკემბერი 1946 წ.

***

1616 წელი, შავი თარიღი! – ეს სტატია დაიბეჭდა გაზეთში „ქართული საქმე". გაზეთი გამოდიოდა პარიზში და მისი მიზანი იყო საფრანგეთში ემიგრირებული ქართველებისთვის საბჭოთა საქართველოს ცხოვრების სიკეთისა და ალმშენებლობის ჩვენება. ეს კონკრეტული სტატია ემსახურება შაჰ-აბასის დროს გადასახლებულ სპარსეთში მცხოვრებ ქართველთა ისტორიის მიმოხილვას და მათი დღევანდელი პრობლემების წარმოჩენას. წერილში არაერთი საყურადღებო ფაქტია, რომელიც გვიჩვენებს საბჭოთა საქართველოს დამოკიდებულებას ფერეიდნელი ქართველების მიმართ, ახსენებს სეიფოლა იოსელიანის ჩამოსვლას საქართველოში, ასევე საუბრობს მეორე მსოფლიო ომის დროს საქართველოდან ჩასული ჯგუფის შესახებ. ავტორი ეროვნული უმცირესობების დაცვის უფლებებზე ამახვილებს ყურადღებას და წუხილს გამოთქვამს, რომ სპარსეთში გაზიდული განძი ხელში უვარდება უცხოელებს.

აკაკი მეუნარგია
1616 წელი, შავი თარიღი!

(გაზეთი „ქართული საქმე", 1947, N09)

1616 წელი! აჰაა კიდევ ერთი თარიღი, ყოველი ჩვენგანისათვის ზიზღით აღსანიშნავი, თარიღი, რომელიც გვაგონებს ჩვენი ერის უბედურებას და ეროვნული თავმოყვარეობის ჯერ უნახავი ცინიზმით ფეხქვეშ გათელვას. ამ ხანას დატრიალებული ტრაღედია, ამავე დროს, გადამწყვეტი მოსჩანს იმ პრობლემისა, რომელსაც თავის დროზე სახელად „ბედი ქართლისა" უწოდეს.

გაზაფხული იყო, როდესაც სპარსეთის მეფე, შაჰ-აბაზი, ავზნიანი, სულით გარყვნილი, ხორცით გახრწნილი, მისი „ძმადნაფიც" თეიმურაზ პირველის

ქვეყანას, კახეთს, ხელშეორედ შემოესია და აყვავებული მხარე წყვდიადათ აქცია.

„ქართველი ხალხის ისტორიაში, ლაპარაკობს ისტორიკოსი ბერძენიშვილი, უმაგალითო შავი დღე იდგა, მაგრამ განაზრახის შესრულება მოძალადეს ძვირად დაუჯდა. ბრძოლამ ერთი წელიწადი გასტანა. ყოველი ციხე, ეკლესია-მონასტერი, სასახლე, ტყე, ხევი მტერს ომით უნდა აეღო. საკუთარი ბუდისა და თავისუფლების დამცველი ხალხი გმირი აღმოჩნდა, მაგრამ მტრის სიმრავლემ, ორგანიზაციამ და იარაღმა ძლია“-ო და დასძენს ის:

„კახეთმა ამ შემოსევისას მთელი თავისი მოსახლეობის ორი მესამედი დაჰკარგა. ასი ათასამდე კაცი მტერს შეაკვდა, ამდენივე ტყვედ წაიყვანეს ყიზილბაშებმა. დალისტანელ ყაჩაღებმაც დრო იხელთეს და ხელი მოითბეს. მტერმა დასწვა, დაანგრია და გაანადგურა, რასაც-კი მისწვდა. შაჰ-აბაზის საგანგებო ბრძანებით არღვევდნენ სასახლეებს, ციხეებს, ეკლესია-მონასტრებს, სწვავდნენ სოფლებსა და ყოველგვარ სამეურნეო შენებულობას, კაფავდნენ ზვრებსა და ვენახებს, სპობდნენ თუთისა და კაკლის ხეებს, არსად სტოვებდნენ ოთხფეხ საქონელს.“

„ნანგრევებად იქცა ქალაქები, სასახლეები, ფერფლად იქცა სოფლები. მშვიდობიან ქვეყანაზე საშინელმა გრიგალმა გადაიარა. დაიცალა და დაყრუვდა აყვავებული მხარე, დიდი ხნით შესწყდა აქ სიცოცხლის მაჯისცემა, ტყე და ნადირი დაეუფლა ადამიანის ნასადგომევს“-ო.

გაპარტახებული კახეთი მტარვალმა ორ ნაწილად დაჰყო: ერთში ყიზილბაში ფეიქარი გააბატონა, მეორეში კი – გამაჰმადიანებული ქართველი ბაგრატ-ხანი. შაჰის ბრძანებით, გავერანებულ ქვეყანას თურქმენები და მთებში მოწანწალე „ებრეგები“ დაეუფლნენ.

კლდეებში და ღრეებში გადახვეწილი კახელობის დიდი ნაწილი ლეკების მსხვერპლი შეიქნა. უბედური დღე ეწვია აგრეთვე სპარსეთში ტყვედ წასხმულ ქართველობას: ხანშესულნი და უღონონი, რომელთაც სიარული ვერ შეძლეს, გზა და გზა პაპანაქება მზის ამარა დაჰყარეს: სიმშილისა და წყურვილისაგან უძუძური დედების სულის მღაფავი ყრმა ბავშვები სპარსთა გამარჯვებული ჯარის შუბებმა აჰკუწეს. დანარჩენი, 100.000-მდე (ზოგის თქმით 60.000) კახელი ახალგაზრდა ქალი და კაცის ერთი ნაწილი, როგორც ვიცით, ფერეიდანში დაჰყარეს, მეორე ნაწილიკი ყიზილბაშ მოლაშქრეებმა დაჰყიდეს: ქართველი მონა და მხევალი ყიზილბაში დედაკაცების ჩვეულებრივი სამკაული გახდა.“

აბაზის ბოროტება ამით არ დასრულებულა, არამედ მან, მის კარზე მყოფი თეიმურაზის ორი ვაჟი დაასაჭურისა, ხოლო შემდეგ სიცოცხლეს გამოასალმა და ბოლოს, შირაზში ამოკეტილი საქართველოს სინდისის, ქეთევან დედოფლის წამების ბრძანება გასცა. ამ ქალს, ყოველად უსათნოეს და უპატიოსნესს, ჩვენი ერის უბადლო გმირის, თეიმურაზ პირველის გამზრდელი ძუძუები მარწუხით დასთხარეს, გახურებული შანთით თვალები ამოუბუგეს, მთელს მის სხეულს კალმით აუწერელი

ტანჯვა მიაყენეს, მაგრამ ამ წმინდა დედოფლის ბაგრატოვანთ[223] სიამაყე, ქართველი ქალის სიპატიოსნე და ბოლოს, ქრისტეს რჯულისადმი უმაგალითო სიერთგულე, ხორციელ წვალებამ ვერ შეარყია და შემდეგ... ანთებულ ცეცხლმა ხორცი და ძვალი ფერფლად უქცია.

აი როგორ სტირის შვილისათვის წამებულ დედას, გულდათუთქული თეიმურაზ მეფე – პოეტი:

„მერმე გაუბეს ხელ-ფეხი,
გაძაბეს განამაჯები,
გაზით დაგლიჯეს ძუძუნი,
დასდვეს მხურვალე საჯები,
ბარები შუბლსა შემოსდეს,
ყველა ქმნეს მათი აჯები,
ალმა ახეთქნეს კეფანი,
ვა, თქმითა აქ ვისაჯები“...
„ქვეშ დაუფინეს, დახურეს
ზედან ლურსმისა რკინანი,
ქვე წაიარეს, გააპეს
ბროლი, ლალი და მინანი,
სხვა წამოასხეს, დაჰყარეს
ხორცთაგან ტყავნი წინანი,
მაგრამ არ გაწყდა ტანჯვასა
გულზედა დასაწვინანი.

დიდხანს გაგრძელდა კახეთში მტრის რისხვა. შაჰმა მტკიცედ გადასწყვიტა ქვეყნის ამ მხარეზე კახთა ხსენება მთლიანად მოესპო და იქაურობა მისი მოსარჩლე თურქმენებისა და ლეკების მჭიდრო მოსახლეობით მოეშენებინა. მართლაც ეს ურდოები მთლად ერთიანად დაეპატრონენ ბახტრიანს, ალავერდს და კახთა სხვა და სხვა საუკეთესო მამულს:

„ბახტრიანს სხედან თათრები,
სიტყვას ამბობენ ძნელსაო:
ახმეტას ჩავჭრით ვენახებს,
შიგ დავასახლებთ ელსაო“[224]
ამბობს იმდროინდელი ხალხური ლექსი.

საქართველო, დანარჩენი საქართველო, ოსმალთა და სპარსთა მიერ დაქუცმაცე-

223. *) ქეთევან დედოფალი, აშოთან მუხრანბატონის ასული, დაიბადა 1575 წ. და თოთხმეტი წლისა, 1589 წ,. მისთხოვდა კახეთის მეფე ალექსანდრეს ვაჟს, დავითს. 1614 წელს დედოფალი თავისი ორი შვილიშვილით, ალექსანდრე და ლევანითურთ მძევლად წაყვანილ იქნა სპარსეთს, სადაც 10 წლის ტყეობის შემდეგ, მისი მოწამეობრივი აღსასრული მოხდა 1624 წ. 14 სექტ. ქ. შირაზში.

224. *) ელი – მთაბარში მოხეტიალე ხალხს ეწოდებოდა.

ბული და დაძაბუნებული, მისი თანამოძმე კახთა ტანჯვა-ვაებას გულზე ხელდაკრეფილი შეჰყურებდა. მაგრამ ბოლოს, ჩვენი ერის მეხმალფარე თუშს, ფშავ-ხევსურს და მთიულ მოხევეს სინიდისი აუჯანყდა: ისინი ამხელრდნენ და იქა-აქ გადარჩენილ კახებთან ერთად, 1659 წელს, ქართული მიწაწყალი შემოხიზნული უცხო ტომებისაგან მთლად ერთიანად გასწმინდეს. ამ სისხლიანი ავჯანყების სამი მეთაური, შალვა ქსნის ერისთავი, მისი ძმა ელიზბარი და ბიძინა ჩოლოყაშვილი, აბაზმა თურქმანთა მტარვალებს აწამებინა.

აი, სხარტად ის ამბები, რომელნიც შაჰ-აბაზის სპარსეთმა საქართველოს თავს დაატეხა. ამ უბედურებამ საბოლოოდ გადასწყვიტა, რომ საქართველოს ბედი რუსეთის ბედს გადანასკვოდა.

მართლაც, ამ კატაკლიზმის მოლოდინში 1615 წელს, თეიმურაზ პირველის თაოსნობით საქართველოს ექვსი მეფე-მთავარი იძულებული შეიქნა საერთო ელჩი წარეგზავნა მოსკოვის სამეფო კარზე და დაეწყო ის მოლაპარაკება, რომელიც ბოლოს და ბოლოს საქართველოს ანექსიით დამთავრდა.

აღსანიშნავია აგრეთვე ისიც, რომ საქართველომ და სპარსეთში იმ ჟამად მყოფმა ქართულმა ემიგრაციამ გადამწყვეტი როლი ითამაშა შაჰ-აბაზის თვალუწვდენელ იმპერიაში ამტყდარ სამოქალაქო ომიანობით გამოწვეულ იმ სისხლის ღვრაში, რომელმაც ეს იმპერია ძლიერ ჩქარა იმსხვერპლა, დააუძლურა.

ქართველი კაცი ბუნებით რაინდია, მის გულს კეთილშობილი სისხლი ამოძრავებს და მაშასადამე, სისხლის ამღები და შურის მაძიებელი ვერ გახდება. ეს წერილიც, რა თქმა უნდა, არ არის გამოწვეული იმითი, რომ ვითომ ჩვენ გვსურდეს ვინმე ვინმეზე წავაქეზოთ, არა...

ჩვენ, ქართველმა, რომელმაც საუკუნის მეოთხედი დაჰყო უცხოეთში, ბუნებრივად მივიჩნიეთ ჩვენი ფიქრები გადაგვეტანა იმ ქართველებზე, რომელნიც სამი საუკუნის უკან დაუძინებელმა მტერმა ძალით აჰყარა საკუთარი საბუდარიდან, იმ ქართველებზე, რომელთაც ჯერ კიდევ იმედი არ დაუკარგავთ სამშობლოში დაბრუნებისა.

როგორც ზევით ვსთქვით, კახი ტყეების დიდი ნაწილი ყიზილბაშბმა დაჰყიდეს და ამ რიგად სპარსეთის იმპერიაში მიიფანტ-მოიფანტნენ. მეორე ნაწილი კი ფერეიდანში „დააბინავეს“. ამ უკანასკნელ ჯგუფს ოდესმე თავიანთ საყვარელ კახეთში დაბრუნების რწმენამ, ენა, ზნე და ჩვეულება დღემდე შეუნარჩუნა.

ჯერ კიდევ 1919 წლის მიწურულში მათი წარმომადგენლები საქართველოს ეწვიენ და სამშობლო მიწა-წყალზე დაბრუნება ითხოვეს. მეორეს მხრივ, საქართველოს წარმომადგენლებიც (კერძო ინიციატივით) ფერეიდანის ქართველობას ესტუმრენ. მაგრამ, იმ ხანებში ასეთი დიდი გეგმის განსახორციელებლად არც სახსარი მოგვეპოვებოდა და არც ხელსაყრელი დრო და პირობები. მაშასადამე, ბუნებრივად უნდა ჩაითვალოს თუ ამ ეროვნულად დიდ საქმიანობას ამ დროს სათანადო განხორციელება არ ელირსა.

დღეს, როდესაც საქართველოს საერთაშორისო წონა და ქონებრივი შესაძლებლობა იმ დროინდელზე გაცილებით უფრო დიდია, ეს საკითხი, როგორც გაიგეთ, ხელმეორედ დასმულა და უკანასკნელ ომის დროს, საქართველოს მთავრობას ფერეიდანში კომისიაც გაუგზავნია. მაგრამ, როგორც გადმოსცემენ, კომისიის სანიტარული ნაწილის ადგილობრივ კვლევა-ძიების მიერ აღმოჩენილ ზოგიერთ დაბრკოლებებს საკითხის საბოლოოდ მოგვარებაზე ზრუნვა შეუფერხებია.

ჰიგიენური მოსაზრება, რომელიც ამ შემთხვევაში წამოჭრილა, სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით იმდენად სერიოზულია, რომ ჯერ-ჯერობით ყოველ შემთხვევაში, საშუალებას გვისპობს დაჟინებით მოვითხოვოთ მათი უკან დაბრუნება, მაგრამ მიუხედავად ამისა, ჩვენ გვინდა სურვილი გამოვსთქვათ, რომ საბჭოთა საქართველოს ხელისუფლებამ სპარსეთში მყოფი გაუბედურებული ქართველობა თავის მზრუნველობის გარეშე საბოლოოდ არ დასტოვოს და მათ, ადგილობრივ მაინც, ქართული მშობლიური ხელი გაუწოდოს და დაახმაროს.

ჩვენი აზრით, ეს დახმარება უნდა გამოიხატოს უპირველეს ყოვლისა, იქ უკვე წარგზავნილი სამასწავლებლო კადრის გაძლიერებასა და ქართულ სკოლების გამრავლებაში. გარდა ამისა, მათი უმწეო ეკონომიური პირობების გასაუმჯობესებლად, სასურველი იქნებოდა მოხერხდეს თანამედროვე სამეურნეო იარაღების იქ გადაგზავნა და ამავე დროს მათი ამ დარგში გათვითცნობიერება. ბოლოს, რაც მთავარია, მიღწეულ უნდა იქნას, რომ მათ მოიპოვონ ეროვნულ უმცირესობათა ყველა ის უფლებები და შეღავათები, რომელნიც არსებობენ ყველა დაწინაურებულ ქვეყნებში.

ამასთან დაკავშირებით, მხედველობიდან არ უნდა გაეუშვათ ისიც, რომ ჩვენი ქვეყნის უმდიდრესი მხარეებიდან საუკუნოების მანძილზე სპარსეთის მიერ გაზიდული განძეულობა დღეს ჩალის ფასად ხელში უვარდება სხვისი კულტურით მედიდური ამერიკელ ანტიკვარებს.

ა. მეუნარგია

***

ფერეიდნელი ქართველები – ეს არის ივანე ჯავახიშვილის რეცენზია ამბაკო ჭელიძის წიგნზე „ფერეიდნელი ქართველები“. ეს წიგნი პირველად დაიბეჭდა 1935 წელს, თუმცა მთელი ტირაჟი ამოიღეს, რადგან ამბაკო ჭელიძე დაპატიმრეს მენშევიკებთან თანამშრომლობის საბაბით. ეს რეცენზია გამოქვეყნდა 1951 წელს, მას მერე, რაც ამბაკო ჭელიძის მეუღლემ მოახერხა ამ წიგნის ხელმეორედ გამოცემა. ამ დროისათვის ივანე ჯავახიშვილიც და ამბაკო ჭელიძეც 11 წლის წინ გარდაცვლილები იყვნენ.

ივანე ჯავახიშვილი
ფერეიდნელი ქართველები

(ლიტერატურა და ხელოვნება. 1951, 29 ივლისი)

აფუსისა და ლურის მთების კალთებზე მცხოვრებ ქართველთა მდგომარეობის გაცნობა-შესწავლა ყოველთვის იწვევდა ჩვენი საზოგადოების ინტერესს. ამ თემაზე თავის დროზე არაერთი წიგნი გამოიცა. ქართველთა გადასახლება ფერეიდანში — საქართველოს ძველი ისტორიის ერთ-ერთი შავი ფურცელია. ცნობილია, რომ შაჰ-აბასმა აჰყარა და ფერეიდანში გადაასახლა 130 ათასი ქართველი.

1894 წელს ლადო აღნიაშვილი გაემგზავრა ფერეიდანს. ამ მოგზაურობის შედეგად მან გამოაქვეყნა წიგნი „სპარსეთი და იქაური ქართველები", რომელშიაც აღწერა ფერეიდნელი ქართველების დუხჭირი ცხოვრება. ამავე თემას მიუძღვნა თავისი წიგნი ზ. ჭიჭინაძემ, ხოლო „ფერეიდნული ენის თავისებურებანი" თავის გამოკვლევაში განიხილა პროფესორმა არნოლდ ჩიქობავამ.

ამბაკო ჭელიძის „ფერეიდნელი ქართველები", რომელიც მიმდინარე წელს „საბჭოთა მწერალმა" გამოსცა, ახალი წვლილია ფერეიდნელ ქართველთა ცხოვრების შესწავლაში, რაც ჩვენმა საზოგადოებამ მეცხრამეტე საუკუნის მიწურულში დაიწყო. წიგნი შეიცავს მეტად საჭირო ცნობებსა და მასალებს 1927 წლის მონაცემების მიხედვით, როცა ავტორი ირანში გაემგზავრა. როგორც ეს წიგნის წინასიტყვაობაშია აღნიშნული, ავტორის მიზანი იყო გაცნობოდა იქაური ქართველების მდგომარეობას, რომ მკითხველისათვის „რამდენადმე მაინც ნათელი გამხდარიყო, თუ როგორ და რა პირობებში ცხოვრობდნენ ისინი ამჟამად".

შეიძლება ითქვას, რომ ავტორმა დასახული მიზანი შეასრულა. წიგნი სრულ წარმოდგენას გვაძლევს ფერეიდანში მცხოვრებ ქართველთა გადასახლების ისტორიაზე, მათს სოფლებზე და ადამიანებზე. წიგნის თერთმეტ თავში გაშუქებულია ფერეიდნელთა ცხოვრების თითქმის ყველა მხარე. ციფრობრივი მასალები, წიგნში მოთავსებული ფოტოსურათები, მასში მოყვანილი საინტერესო ეპიზოდები, ავტორის მიერ ნახული და გაგონილი ამბები იმის დამადასტურებელია, თუ როგორ უსაზღვროდ უყვართ ირანში გადასახლებულ ქართველებს თავიანთ წინაპართა და თანამოძმეთა სამშობლო და როგორ საშინელ სიდუხჭირეს განიცდიან ინგლისის იმპერიალიზმის მიერ დაჩაგრულ ირანში.

პირველ თავში ამბაკო ჭელიძე აღწერს თავისი მგზავრობის თავგადასავალს და შეხვედრებს ფერეიდნელ ქართველებთან. ავტორი მხატვრულად აღწერს ფერეიდნელი ქართველების ტიპებს.

„გურჯი მაჰალის" (ამ სახელწოდებითაა ცნობილი ქართველების დასახლების რაიონი) მცხოვრებთა მდგომარეობა აუტანელია. სილატაკე, ჭუჭყი და უკულტურობა სუფევს იქ, ისევე როგორც ირანის ყოველ სოფელში. ეს არის ინგლისელ-ამერიკელ იმპერიალისტთა ველური თარეშის შედეგი.

1926-27 წლებისათვის ფერეიდანში 15-16 ქართული სოფელი ყოფილა ათი ათასი სული მცხოვრებით. ფერეიდნელმა ქართველობამ შეძლო შეენარჩუნებინა არა მარტო თავისი ენა და სოფლების სახელწოდება (მარტყოფი, ვაშლოვანი, ნინოწმინდა, რუისპირი, ჩულრეთი, შავსოფელი), არამედ აქაც, აზიის ხრიოკებში თავი დაეცვა შემოსეული მტრისაგან. ამბაკო ჭელიძეს მოჰყავს ფაქტი იმის შესახებ, თუ როგორ დაამარცხეს ფერეიდნელმა ქართველებმა ავღანი დამპყრობლები მარტყოფის გორასთან გლეხის თათაშვილის წინამძღოლობით. ამ ვაჟკაცის ხსოვნის პატივსაცემად ახლაც ამ მთას „თათაშვილის გორას“ უწოდებენ.

ქართველებს ხშირად უხდებოდათ შეტაკება მომთაბარე ბახტიარებთან და ქურთებთან. ამ შეტაკებებს მუდამ ინგლისელი იმპერიალისტები აწყობენ; ისინი მუდამ ცდილობენ წაჰკიდონ ხალხები ერთი-მეორეს და ომის ცეცხლი გააჩაღონ. ბახტიართა ტომებსაც სწორედ ინგლისელი იმპერიალისტები აიარაღებდნენ და უმოწყალოდ უსევდნენ მეზობელ ტომებს, რათა ამ არეულობით ირანის მთავრობაზე სათანადო ზეგავლენა მოეხდინათ.

„ფერეიდნელი ქართველები“ დაწერილია ლამაზი მხატვრული ენით და ხალისით იკითხება.

ივანე ჯავახიშვილი

***

მოგზაურის დღიური, ფერეიდანში – სარა ჭელიძე, ამბაკო ჭელიძის მეუღლე, თან ახლდა ამბაკოს სპარსეთში საბჭოთა ბანკში მუშაობის დროს, ჯერ თეირანში და შემდეგ ისპაჰანში. ფერეიდნელმა ქართველებმა ადვილად მოძებნეს ისინი დიდ ქალაქებში და ხშირად სტუმრობდნენ მათ. შემდეგ კი თავად ამბაკო და სარა ავიდნენ ფერეიდანში. სარა პირველი ქალი იყო, ვინც საქართველოდან ჩავიდა ფერეიდნის ქართულ სოფლებში. სარა ჭელიძემ სულ სხვა, უფრო ემოციური კუთხით დაგვანახა ფერეიდანი და ფერეიდნელი ქართველები, განსაკუთრებით კი იქაური ქალების ყოფა. ლიტერატურის მუზეუმში, ამბაკო ჭელიძის არქივში, ინახება სერგო კლდიაშვილისა და იოსებ გრიშაშვილის რეცენზიები ამ მოგონებებთან დაკავშირებით. როგორც ჩანს, თავდაპირველად ამ მოგონებებს ერქვა „ნარკვევი ფერეიდნელი ქართველების ყოფა-ცხოვრებიდან“. სერგო კლდიაშვილი წერს: "...ის თავისი კუთხიდან უკვირდება ფერეიდნელთა ყოფა-ცხოვრებას და ამასთანავე დიდი გულწრფელობით და საინტერესოდ გადმოგვცემს ყველაფერს, რაც თვალით უნახავს და გულით გაუცდია. განსაკუთრებით საინტერესოა ნარკვევის ის ადგილები, სადაც ავტორი ფერეიდანელ ქართველ ქალებზე მოგვითხრობს, ნარკვევი დამუშავებასა და შესწორებას საჭიროებს და ამის შემდეგ მისი დაბეჭდვა სასარგებლო იქნება“. რეცენზია არ არის დათარიღებული. იოსებ გრიშაშვილიც ასევე იწონებს ამ ნარკვევს და მიაჩნია, რომ „ეს მოგონებანი დამოუკიდებელი ნაწარმოებია დაწერილია

გულწრფელად და იკითხება ხალისიანად". რეცენზია დათარიღებულია 1954 წლის 12 დეკემბრით. მხოლოდ ოთხი წლის შემდეგ, 1958 წელს დაიბეჭდა სარა ჭელიძის მოგონებები ჟურნალ „ცისკარში".

სარა ჭელიძე
მოგზაურის დღიური ფერეიდანში

(ჟურნალი ცისკარი N1 1958 წელი, გვ. 85-98)

ფერეიდანში

თავი პირველი

1927 წელს, ჩემს აწ განსვენებულ მეუღლესთან, ამბაკო ჭელიძესთან ერთად, ვიმოგზაურე ირანში და მოვინახულე ქართველები, რომლებიც მეჩვიდმეტე საუკუნის დასაწყისში ჟამთა ბედუკუღმართობის გამო გადასახლებულნი იქნენ საქართველოდან.

ამ მოგზაურობის შესახებ ჩემმა მეუღლემ 1935 წელს გამოსცა წიგნი სათაურით: „ფერეიდნელი ქართველები", რომელიც განმეორებით იქნა გამოცემული 1951 წელს.

საბჭოთა საქართველოდან მე ვარ პირველი ქართველი ქალი, რომელმაც ფერეიდანი ვნახე. მართალია ჩემს მეუღლეს ვრცლად აქვს აღწერილი ფერეიდნელი ქართველების ყოფა-ცხოვრება, მაგრამ მეც მინდა ამჟამად მკითხველებს გავუზიარო ზოგი რამ იქ ნახული და განცდილი, რაც ხსენებულ წიგნში არ არის. ჩემი მოგონებანი შეეხება 1926-27 წლებში არსებულ მდგომარეობას.

თბილისიდან 1923 წელს გავემგზავრეთ ირანში. განუსაზღვრელი იყო ჩვენი სურვილი – გვენახა ფერეიდანი, მაგრამ ამ სურვილს ჯერჯერობით გულში საიდუმლოდ ვინახავდით.

სხვა მიზეზს გარდა ამ განზრახვის განხორციელებაში ხელს გვიშლიდა ცუდი გზები და ის, რომ ირანში ტრანსპორტის საქმე მეტად ჩამორჩენილი იყო.

პირველ ხანებში ბანკი, სადაც იმჟამად ჩემი მეუღლე მსახურობდა, ორ დღეს არ მუშაობდა კვირაში, კვირას და პარასკევს უქმობდნენ. ამ დღეებს თანამშრომლები ნებისამებრ იყენებდნენ.

ამბაკო და ალექსანდრე ჭელიძე (ჩემი მეუღლის ბიძაშვილი, ბანკის შოფერი) ხშირად დადიოდნენ სანადიროდ. ზოგჯერ მეც დავყვებოდი.

მაგონდება ერთი შემთხვევა. კვირა დღე იყო, შესანიშნავი დილა გათენდა, დილა შემოდგომისა. მსუყე სურნელი, შეფერადებული ფოთლების შრიალი ხალისს ჰმატებდა ადამიანს.

ვიცოდი, ამბაკო და ალექსანდრე სანადიროდ გამგზავრებას აპირებდნენ. მშვენიერი დილით გახალისებულმა მეც გადავწყვიტე მათთან ერთად წასვლა.

მოვამზადეთ სანოვაგე და გზას გავუდექით.

ქალაქს ორმოცდა თხუთმეტი (ასეა!) კილომეტრით დავშორდით. ავტომანქანა გზაში დავაყენეთ და მახლობელ ბაღში შევედით. მე იქ დამტოვეს, თვითონ კი გორას შეჰყვნენ, სადაც გარეულ ფრინველებზე უნდა ენადირათ. მე ვიღექი და გაცქეროდი მიმავალთ. როცა თვალს მიეფარნენ, მიდამოს თვალიერება დავუწყე.

ალტაცებაში მოვედი. ხეხილის მშვენიერმა ბალმა მომაჯადოვა. აქ შემოდგომის ბარაქიანობა იგრძნობოდა. სიმწიფისაგან ბროწეული დამსკდარიყო, ყურძნის მტევნები მზის შუქზე მარგალიტის მძივებივით ელავდა. დიდრონი კომშები მადას აღვიძებდა. ნაყოფით დახუნძლული ხეები თითქოს მეპატიჟებოდნენ: მოდი, რალას უყურებო! მეც ნელი ღიღინით შევექცეოდი ბროწეულს, ყურძენს და სხვა ხილეულს. ვერცკი (ასეა!) შევნიშნე, როგორ აღმოვჩნდი ბაღის შუაგულში.

ხეზე ლამაზად ასული ვაზი საქანელასავით ძირს ეშვებოდა. ზედ ჩამოვჯექი, ოდნავ გავაქანე, თვალები მივლულე და ღიღინი განვაგრძე. უცებ ხმაური მომესმა. თვალი გავახილე და შეკრთი: ჩემს წინ ბრგე ირანელი ვაჟკაცი აღმართულიყო, რაღაცას მეუბნებოდა, ხან მე მიყურებდა და ხან ჩვენს ავტომანქანას.

ძალიან შევშინდი, მაგრამ არ შევიმჩნიე. ავდექი, მშვიდად გავუარე წინ და დავიწყე ძახილი: „ამბაკო, ალექსანდრე!“ კარგად ვიცოდი, ხმას ვერ მივაწვდენდი, მაგრამ მინდოდა იმ კაცს ცოდნოდა, რომ მარტო არ ვიყავი.

უცებ ჩქარი ფეხის ხმა მომესმა, გული სიხარულით ამევსო, რადგან ჩვენები მეგონენ. მაგრამ სასტიკად მოვტყუვდი, ჩვენების ნაცვლად სამი ირანელი ჯარისკაცი მოიჭრა ჩემთან აქლოშინებული.

შიშმა და გაკვირვებამ კიდევ უფრო შემიპყრო. ჩემმა გაოცებამ იმატა, როცა ერთი მათგანი აღელვებული მომვარდა და მომაძახა ქართულად:

– ვინა ხარ, საიდან ხარ, საიდან იცი ჩვენებური? (ე.ი. ქართული).

იმედი მომეცა და სხაპასხუპით ვუპასუხე:

– საბჭოთა საქართველოდან ჩამოსული ქართველი ქალი ვარ, ჩემი ქმარი თეირანის ბანკში მსახურობს. ამჟამად იგი აქვეა, ახლავე მოვა.

გაოცებული მიცქეროდნენ, თითქო რაღაც წარმოუდგენელი ამბის მოწმენი გამხდარიყვნენ.

მეც გავთამამდი და ვკითხე:

– თქვენ ვინა ხართ?

ჯარისკაცმა მიპასუხა:

– ფერეიდნელი ქართველი ვარ, სოფელ ვაშლოვანიდან, სახელად ალი მქვია.

ეს ჯარისკაცები თურმე მახლობელ სოფელში მიდიოდნენ. ჩემი ძახილი რომ გაუგონიათ, ფერეიდნელი ქართველი ქალი ვგონებივარ; უფიქრიათ: რალაც უჭირსო, და მოსაშველებლად გამოქცეულან.

ამ მოულოდნელი შემთხვევით აღტაცებულნი, ლაპარაკით ისე გავერთეთ, რომ ამბაკოს და ალექსანდრეს მოსვლა ვეღარც კი შევნიშნეთ.

კაცის ფერი ალარ ჰქონდათ. დურბინდით თურმე მამაკაცებს შორის დაუნახივართ და შეშინებული ჩემკენ გამოქცეულან. როცა ჩემი თავგადასავალი გაიგეს, ბევრი იცინეს. შემდეგ ყველანი მხიარული ბაასით მანქანისკენ გავეშურეთ. ჩემს უნებურ მასპინძელსა და ჯარისკაცებს შესანიშნავად გავუმასპინძლდით.

პურის ჭამისას სიცილით შევეკითხე ჩემს ირანელ მასპინძელს: ბაღში რა მითხარით-მეთქი. თურმე მეუბნებოდა, ბალი ჩემიაო.

დიდხანს ვისაუბრეთ, ვიმხიარულეთ. როცა სალამოს გრილმა ნიავმა შეგვაჟრჟოლა, ავიშალენით. გულთბილად გამოვემშვიდობეთ ერთმანეთს და ჩვენ-ჩვენს გზას გავუდექით.

1927 წელს, ბევრი ცდის შემდეგ, მოვახერხეთ ფერეიდანს გამგზავრება.

თავი მეორე

ავტომანქანამ თითქოს უკანასკნელი ღონე მოიკრიბა, დაიქშინა და ნელ-ნელა შეუდგა ალმართს. ზემო მარტყოფს ვუახლოვდებოდით. ჩვენ წინ ალმართულიყო უზარმაზარი მთა, რომელიც ისე იყო დასერილი მიხვეულ-მოხვეული გზებით, რომ შიშმა აგვიტანა – ჩვენ ხომ ის გზები უნდა გაგვევლო. დაღლილნი საამურმა ნიავმა გამოგვაფხიზლა. რაც უფრო წინ მივიწევდით, მით უფრო აჩქარებით გვიცემდა გული. გამოჩნდა აშოლტილი ხეები, რომელთა ქვეშ ბუჩქნარი შეფენილიყო. ალაგ-ალაგ მოშიშვლებული პატარა კლდეები, წინწკარა, ვერცხლისფრად მოკამკამე ნაკადულები ანდამატის ძალით გვიზიდავდა. იღვიძებდა ტყე, თითქოს დილის საამო ძილი ჩვენი მანქანის უჩვეულო ხმამ დაუფრთხოო. დილამ გაშალა ფრთები, ამომავალმა მზის სხივებმა ზღაპრული სილამაზე შესძინა ჩვენ წინ გადაშლილ არემარეს. მიუხედავად ცუდი გზისა და სახიფათო მოგზაურობისა, თვითეულ ჩვენთაგანს სურდა დიდხანს დამტკბარიყო აქ ყოფნით.

აი ზემო მარტყოფიც.

დიახ, მეცოდებიან ჩვენი მოძმენი, მეცოდებიან, რომ ისინი არ არიან ჩვენს მზიურ საქართველოში, საბჭოთა საქართველოში, მაგრამ კიდევ უფრო შემეცოდებოდნენ, რომ ზემო მარტყოფი არ ჰგავდეს ჩვენს საყვარელ სამშობლოს. გადავხედეთ ფერეიდნის სოფლებს და თვალწინ წარმოგვიდგა კარგად შეკრული ლამაზი თაიგული. მთელი მხარე აქოჩრილი ტყეების სამოსში გახვეულიყო...

დღეს უჩვეულო ამბავი იყო აქ. თორმეტი სოფელი მოსულიყო მაჰარამის დღეების სადღესასწაულოდ. არაჩვეულებრივი ხმაური იყო სოფელში.

დაგვაბინავეს სეიფოლა იოსელიანის სახლში, რომელიც სამი დიდი დარბაზისაგან შედგებოდა. ჩვენმა დანახვამ სალხში ინტერესი გამოიწვია. განსაკუთრებით ქალები ვერ ფარავდნენ ცნობისმოყვარეობას. სახლი აივსო ქალებით, რომელთა რაოდენობამ მოლოდინს გადააჭარბა. მთხოვეს გავსულიყავი მინდორში, რათა უკეთ დავენახეთ.

მინდორში ვიდექი. ცრემლებს ძლივს ვიკავებდი. ქალებს ყოველ სურვილს ვუს-

რულებდი. ერთი ახალგაზრდა ქალი მომიახლოვდა, აუწერელი სინაზით შემომხედა, მის ლამაზ თვალებში. ცრემლი აკიაფდა, მერე მობრუნდა და სასოებით თქვა: დიდი საქართველოდან დიდი ქალი გამოგვიგზავნესო (დიდი ტანის ქალი გახლავართ). სიცილი ველარ შევიკავე. ჩემმა სიცილმა ისინი უფრო გაათამამა. მომიახლოვდნენ, ხელით მეხებოდნენ, მკოცნიდნენ ხელზე, თუმცა მე არ ვანებებდი. შეკითხვებიც დამიწყეს: თუ იციან ჩვენზე დიდ საქართველოშიო? მე ვუპასუხე: ბედნიერ ქართველ ხალხს არასოდეს არ ავიწყდება, რომ მისი მოძმენი აქ, ფერეიდანში ცხოვრობენ-მეთქი. ბევრ მათგანს თვალზე ცრემლი მოადგა, სიხარულის შეძახილები გაისმა. მეკითხებოდნენ: რას იტყვი ჩვენზე, როცა დიდ საქართველოში დაბრუნდებიო, ან კიდევ: დიდ საქართველოში ისეთი კარგი წყალია, როგორც აქ? თუ გაქვთ მეჩეთი, სკოლაო? ერთი მოხუცი ქალი მომიახლოვდა, თვალზე ცრემლი მოიწმინდა, წელზე ხელი მომხვია და მითხრა:

– შვილო, იქ არ ვახსოვართ?

მე აღელვებისაგან სუნთქვა შემეკრა, ცრემლები ველარ დავფარე და გულში ჩავეხუტე მოხუც ქალს. მალე თავი შევიკავე, გავიცინე კიდეც, ცრემლები მოვიწმინდე, მშვიდი იერი მივიღე. მხიარულება განვაგრძეთ, ხუმრობა, სიცილ-კისკისი გაისმოდა.

ჩემი ყურადღება მიიქცია 13-14 წლის გოგონამ. გინახავთ ბუდიდან ონავარი ბიჭის მიერ ამოყვანილი ლამაზი ბარტყი, რომელიც უთქმელი მწუხარებით შემოგყურებთ, ან დიდი წვიმის დროს თაეშეფარებული ბელურა, ანდა ნუკრი, რომელიც ეს-ეს არის დედას მოაშორეს და უზომო სევდით გასცქერის სივრცეს? ასეთი ფიქრები აღმიძრა ამ გოგონას წყნარმა, მშვენიერმა თვალებმა. მივუახლოვდი, ხელი მოვხვიე, თვალებში ჩავხედე და რაღაც მინდოდა მეკითხა, მაგრამ ქალებმა არ მაცალეს. სხვაპასუხით მითხრეს გონჯია და არ მიეკაროო. მე გაკვირვებულმა ვკითხე: რატომ არის გონჯი-მეთქი. თურმე ამ ობოლ გოგონას სოფელი ზრდიდა, და მას უარი უთქვამს, როცა სოფელს მისი ხნიერ, უხეირო კაცზე გათხოვება მოუსურვებია. ეს იყო მისი „სიგონჯე"! გული მეტკინა. მივიხედე გოგონასკენ. საბრალო პირქვე დამხობილიყო. ჩადრი გადახდოდა და მშვენიერი ტანი მოუჩანდა. მივედი მასთან, დავიხარე და წამოვაყენე. გულში ჩავიკარი და გავიფიქრე: „ღმერთო ჩემო, რა ბედნიერი იქნებოდა ის, ბედნიერ საქართველოში რომ დაბადებულიყო" – გოგონა გაახარა ჩემმა ალერსმა, ღვთაებრივი თვალები მომაპყრო და ქვითინით მითხრა:

– ოჰ, რა კარგი ხართ! წამიყვანეთ იქ, დიდ საქართველოში, რომ იმ კაცს ცოლად არ მიმცენ, რომ მეც ვიცოდე წერა-კითხვა...

ამ გოგონას ბედმა დამაფიქრა. ფული ვაჩუქეთ მას... არც წამოსვლის შემდეგ, ისფაჰანიდან, ვაკლებდით მზრუნველობას და ხელი შევუწყვეთ, რომ ცოლად გაჰყოლოდა იმას, ვინც მოსწონდა.

გოგონები ისე გამითამამდნენ, რომ მხურავდნენ თავიანთ ჩადრებს და მამოწმებდნენ, რომელი ჩადრი მიხდებოდა. ერთმა გოგონამ, როდესაც თავის ჩადრს მახურავდა,

უნებურად ხელი მკრა თვალში; სულ-დავსილო[225] ჩემო თაოო – ტირილით იძახდა. შემდეგ მომიტანეს შავი აბრეშუმის ჩადრი, დამახურეს და სიცილ-კისკისით მთელი სოფელი შემომატარეს.

თავი მესამე

მე თითქმის სულ ქალებში ვიყავი. მათთან ერთად ვსეირნობდი, მათთან ვსაუბრობდი. ისინი გატაცებით მისმენდნენ, განსაკუთრებით მაშინ, როცა „დიდ საქართველოზე" ვუამბობდი.

ერთმა მარტყოფელმა ხანში შესულმა ქალმა, სახელად ზებეიდამ, ერთხელ ასე მომმართა:

– კი ვიცოდით, რომ ის ჩვენი სამშობლო იყო, კი გვინდოდა იქ ცხოვრება, მაგრამ ახლა, შენი ლაპარაკის შემდეგ, ყველას უფრო გვინდა იქ წასვლა.

მე ძალიან ამაღელვა ამ სიტყვებმა, თანაგრძნობით გავულიმე, მაგრამ ვერაფერი ვუთხარი. უცებ მომიბრუნდა, გადაიკისკისა და მითხრა:

– წამაგორეთ თქვენი საგორებლით (ე.ი. ავტომანქანით) დიდ საქართველოში და რაც იყოს და იყოს, ერთ ბებერ კაცს იქაც ვიშოვი.

ყველას გაგეცინა, მაგრამ ადვილად მისახვედრი იყო, თუ რა დიდი მწუხარება და ბედის სამდურავი იმალებოდა მის სიცილში. ხელი მოვხვიე და მოვეალერსე. იგი შეშინებული შეღგა, გამაჩერა, რაღაც ლოცვა წარმოსთქვა და გადამეხვია.

მე ამან დამაინტერესა და ვკითხე, რატომ ილოცე კოცნის წინ-მეთქი. ზებეიდამ თურმე იმიტომ ილოცა, რომ ღმერთს მისთვის ქრისტიანის კოცნა ეპატიებინა...

უძლურია ჩემი კალამი აღწეროს ფერეიდნელი ქალების სიხარული: სანამ იქ ვიყავი, არც თვითონ ისვენებდნენ და არც მე მაძლევდნენ მოსვენებას, ყველას ჩემთან ყოფნა სურდა, ყველა მეხვეოდა.

ახალგაზრდა გოგონებმა მიმიპატიჟეს თავიანთ ბაღებში, სოფლიდან მოშორებით. მე ცხენით მოვინდომე იქ წასვლა. ამის შესაფერი ტანისამოსიც ჩავიცვი, ეზოში დამხვდა ორი ერთიმეორეზე უკეთესი ცხენი, რომელიც მოეყვანა იადულას, სეიფოლა იოსელიანის მსახურს ანუ ნოქარს, როგორც აქ უწოდებდნენ. იადულამ ერთ ცხენზე მიმითითა და მითხრა: ეს ცხენი ძალიან კარგია, მაგრამ საშიშია, ამაზე მე შევჯდებიო. მე სიცილით ჩამოვართვი ეს „საშიში" ბედაური და მარდად მოვახტი.

შუა აზიაში შესანიშნავად ვატარებდი ცხენს, მაგრამ ჩორთით მავალ ცხენზე კი არ ვმჯდარვარ. ეს ცხენი ჩორთით მავალი აღმოჩნდა; გული გავიმაგრე და უნაგირზე გავსწორდი.

ფერეიდანში ქალს პირველად ხედავდნენ ცხენზე. ყველა გაკვირვებული და აღტა-

225. სიტყვას „დავსილი" („უბედური") ხშირად ხმარობენ ფერეიდნელი ქართველები

ცებული შემომცქეროდა. ჩემი ცხენოსნობით განცვიფრებული იადულა ღიმილს ვერ იკავებდა.

დანიშნულ ადგილს მივუახლოვდით. კარგი სანახავი იყო იქაურობა: ლამაზად ტანაყრილი ხეები, პატარა ბუჩქები, მათ ქვეშ ნაირ-ნაირი ყვავილები მორცხვად გამოიყურებოდნენ. მწვანე მდელოს შუაგულში ნაკადული მოწანწკარებდა. ამ ლამაზ ფონზე მხიარულად დახტოდნენ გოგონები, რომელნიც საგანგებოდ გამოწყობილიყვნენ ხშირნაოჭიან წითელ-ყვითელ კაბებში. აღტაცებული ყიჟინით შემოგვხვდნენ ისინი. იადულას ცხენი დაფრთხა. გაიტაცა მხედარი, ტლინკები აპყარა და მხედარი ძირს გადმოაგდო. საბედნიეროდ, მიწა ახალი დახნული იყო და იადულა არ დაშავებულა. ქალების წივილ-კივილზე ჩემი ცხენიც ატოკდა, თავი ლამაზად აიქნია და სადაც გასჭიმა. მაგრამ მოვასწარი, სადავე მოვსწიე და დავტუქსე. იგი შეშგა, მე დრო ვიხელთე და ცხენიდან გადმოვხტი.

სიცილ-კისკისით შემოეხვივნენ იადულას. იადულა გაბუზული იდგა. ქალებმა საყვედური დაუწყეს: შენი თავის მოვლა არ გცოდნია და სტუმარს როგორ მიხედავდიო. იადულამ შემომხედა, თავზე ხელი შემოირტყა და თქვა:

– ასეთი რამ შენ მოგსვლოდა, ხომ თავს მოვიკლავდი, რას იტყოდნენ იქ, – და გაიხედა შორს... სივრცეში...

წავედით იქ, სადაც ჰურ-მარილი იყო გამართული. მშვენიერი, ხეხილით დაჩრდილული ადგილი შეერჩიათ ქალებს, მზის სხივები ოდნავ აღწევდა. მდელოზე მოწანწკარე ნაკადული აქ ოდნავ ფართოვდებოდა. გაშლილ ხალიჩაზე დაელაგებინათ ცივი შერბეთი[226], დული[227], ხორეშტი[228], ბერიანი[229], სამნაირი ფლავი, ტკბილი ნამცხვარი, სალათა სიქანჯებინით[230] და სხვა. ფერეიდნელ ქართველებსა და ირანელებს შორის კერძის შემზადების მხრივ განსხვავება არაფერია. კერძის სახელებიც ირანულია.

ამნაირად ნამდვილ მუსულმანურ ყაიდაზე გავატარეთ დრო. გოგონებმა იმღერეს უსიტყვოდ მუსულმანურ კილოზე, იცეკვეს ისე, როგორც ირანელი ქალები ცეკვავენ – ტანის რხევითა და წელის აქეთ-იქით გადახრა-გადმოხრით.

შემდეგ მე მთხოვეს მეჩვენებინა მათთვის, როგორ ცეკვავენ დიდი საქართველოს ქალები. მე უმუსიკობა მოვიმიზეზე, მაგრამ არ გამივიდა და იძულებული გავხდი, მათი სურვილი დამეკმაყოფილებინა. დავუარე დავლური. უნდა გენახათ, რა აღტაცება გამოიწვია ჩემმა ცეკვამ! ზოგი მათგანი ფეხდაფეხ დამდევდა, ჩემთან ერთად უვლიდა წრეს. ხან მაღლა შეხტებოდნენ, ხელებს ასწევდნენ, თავს ზევით და, რაც ძალი და ღონე ჰქონდათ, ტაშს უკრავდნენ. შემომეხვეოდნენ და რამდენიმე წამს გაშეშდებოდნენ, მერე გამეცლებოდნენ და კვლავ მეხვეწებოდნენ, განაგრძე ცეკვაო.

---

226. *) შერბეთი – ტკბილი სასმელი.

227. *) დული – ტკბილი ლიმონის წვენით და მაწვნით შეზავებული სასმელი.

228. *) ხორეშტი – შემწვარი ცხვრის ხორცი.

229. *) ბერიანი – დაკეპილი ცხვრის ხორცისაგან დამზადებული საჭმელი, კატლეტის მსგავსი.

230. *) სიქანჯებინი – თაფლიანი ტკბილი, სქელი საწებელი, რომელშიც აწებენ სალათს.

დაღლილი დავჯექი. თვალებით ძებნა დავუწყე სეიფოლას ქალიშვილს, სულთანას – ეს მხიარული გოგონა ახლა ჩემთან ერთად არ ცეკვავდა. თვალი მოვკარი: იქვე ხის ძირში მიმჯდარიყო. მისი ლამაზი თვალები სევდას დაენისლა. მივუახლოვდი და მოწყენილობის მიზეზი ვკითხე. სულთანა ადგილიდან წამოიჭრა, მომეხვია და ხმამაღლა აქვითინდა. მე სახტად დავრჩი, თავი ავუწიე, თვალებში ჩავხედე და ვკითხე: ჩემო კარგო, რატომ სტირი-მეთქი? მან ცრემლიანი თვალები გამისწორა და ასე მითხრა:

– ჩვენო თვალის ჩინო, ჩვენო ყველავ, დღეს ჩვენთან ხარ, ჩვენთან შუშპრობ (ცეკვავ), ორი დღის შემდეგ წახვალ და ველარ გნახავთ...

ისე ირტყამდა ლოყებზე ხელს, გეგონებოდათ, საყვარელ ადამიანს გლოვობსო... გოგონებმაც მოიწყინეს. ბევრი ცხარე და უმანკო ცრემლი დაღვარეს. მეც ძლივს შევიკავე ცრემლი და ვუთხარი:

– ჩემო კარგებო, დიახ, მე აქ ვერ დავრჩები, მაგრამ იქ თქვენზე ვიფიქრებ, არ დაგივიწყებთ და გინახულებთ კიდევ.

ახლაც არ მავიწყდება მათი სახეები, მაგონდება: მე და ჩემი მეუღლე ვუმღეროდით ქართულ სიმღერებს. როცა ჩვენ დავიწყებდით – „ქართველო, ხელი ხმალს იკარ“, თვალები აენთებოდათ, ტუჩები აუთრთოლდებოდათ, ნესტოები დაებერებოდათ და ერთხელ კიდევ გვაგრძნობინებდნენ, რომ ისინი ქართველები არიან, რომ მათ ვერ გასტეხს სულიერად ვერავითარი გაჭირვება, როცა ვმღეროდით – „ახ, ნეტავი ჩიტი ვიყო“, ყველანი დიდ სიხარულს გრძნობდნენ, თვალები გაუბრწყინდებოდათ. ჩვენ ვხვდებოდით მათს უსიტყვო ნატვრას: გადაქცეულიყვნენ ჩიტად, გაფრენილიყვნენ და ენახათ მშობლიური საქართველო. მებრალებოდნენ, რომ ეს ნატვრა მათთვის მიუწვდომელი იყო. მაჟრჟოლებდა, როცა გავიფიქრებდი: რა მეშველებოდა, რომ მეც მათი ბედი მწვევოდა-მეთქი.

დავაწყნარე გოგოები, მოვეალერსე და მოვუწოდე კვლავ მხიარულებისაკენ. ერთი გოგონა, სახელად ფაიდა, მეტად ცოცხალი და საყვარელი ბავშვი, ცდილობდა ჩემს გვერდით დამჯდარიყო პურის ჭამის დროს. ამის ნებას არ აძლევდნენ თურმე. დიდი ცხვირსახოცი ხალიჩაზე დაფინა, აქეთ-იქით მიიხედა და სიცილ-ვედრებით მითხრა: „მე ცხვირსაწური (ცხვირსახოცი) ნამაათ (ლამაზად) დაგიფინე, დაჯექი!“, თან კაბაზე მებღაუჭებოდა. იმ წუთშივე დაეშვი ცხვირსახოცზე. ბავშვურად გულწრფელი იყო მისი სიხარული, როცა მის გვერდით დავჯექი. მადლობის ნიშნად ლოყა სახეზე მომაყრდნო და ამაყად გადახედა ამხანაგებს. ერთი მისი ტოლი გოგონა თურმე ეჯიბრებოდა ჩემთან დაჯდომაში, გამწარებული მივარდა ფაიდას და ქაქანით მიაყარა:

– აი, მიწამ თან ჩაგიტანა, რაი შენ ნამაათ ეგ არ მოგიფიქრავ, შენ გონჯო და ეშმაკო!

შემკრთალმა ფაიდამ თავისთვის ჩაილაპარაკა: ვაჰ, ჩემო დავსილო თაოო. იადულამ გაიცინა და უთხრა:

– რაისთი ხარ დავსილი, რა ნამაათ მოგვატყუე და შენი ქენი: შენ, ჩემო დაე, ყორო (გოგო) კი არ ხარ, ეშმაკი ხარ. რაგდენი (რამდენი) დაგოლონე (დაგვალონე).

მიხაროდა მათი ჩემდამი სიყვარული, რადგან ამ სიყვარულში ვხედავდი მათს უსაზღვრო სიყვარულს მშობლიური საქართველოსადმი.

დღემ შეუმჩნეველად გაიარა. მზე უკანასკნელ სხივებს იკრებდა და ჩასასვლელად ემზადებოდა. სახლებში დასაბრუნებლად მოვემზადეთ. იადულა ისე იყო შეშინებული ცხენზე მარცხის გამო, რომ არაფრით არ დამთანხმდა ცხენებით მგზავრობაზე. ყველანი ფეხით გავუდექით გზას სოფლისაკენ.

გზაში ორი ცხენოსანი ბახტიარი შემოგვხვდა, მშვენიერი წარმოსადეგი ჯაბუკები. თოფ-იარაღში იყვნენ ჩამჯდარნი. ცხენები შეაჩერეს, თვითეული ჩვენთაგანი დაკვირვებით შეათვალიერეს, გაიცინეს, რაღაცა თქვეს და გზა განაგრძეს. იადულას გული მოუვიდა და გაბრაზებულად დაუწყო ლაპარაკი. ბახტიარები შეჩერდნენ, სიცილის მიზეზი აუხსნეს იადულას: ამდენ ქალებს ერთი კაცი მიჰყვებიო. ერთმა იმათგანმა ხუმრობით დააყოლა: ერთი, და ისიც არც თუ სასიამოვნო გარეგნობისო. ბახტიარებმა სიცილით განაგრძეს გზა.

იადულა მართლაც არ იყო კარგი გარეგნობისა, მაგრამ მისი მუდამ წრფელი, გულუბრყვილო ღიმილით გაბრწყინებული სახე მნახველზე სასიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენდა.

იადულამ ერთი შემთხვევა გვიამბო: ფერეიდნელ გლეხს გზაში ერთი ბახტიარი შეხვედრია. გლეხი მას ჯერ მოწიწებით მისალმებია, ცოტა რომ დაშორებია, ლანძღვა დაუწყია. ბახტიარს ეს უცნაური ამბავი არ გამოეპარა თურმე, გააჩერა გლეხი და ჰკითხა: ან ის მოწიწებით სალამი რა იყო, ან შემდეგ ლანძღვაო? გლეხს მედიდურად უპასუხნია: პირველი იმას ნიშნავს, რომ არ თქვა, ქართველი უზრდელიაო, მეორე კი იმას, რომ შენი არც სიყვარული მაქვს და არც შიშიო. იადულამ თან დაიტრაბახა: თქვენ და, განსაკუთრებით, შენ რომ არ ყოფილყავი, ორივეს ცხენებიდან ყირამალა გადმოვიტანდი და ვცემდიო.

გზაში ხშირად გვხვდებოდნენ სხვადასხვა სოფლის ქართველი გლეხები, მოწიწებით სალამს გვაძლევდნენ და გულთბილად მოგვიკითხავდნენ.

სოფელს რომ მივუახლოვდით, ამბაკო და სეიფოლა ხანი შემოგვეგებნენ გლეხებთან ერთად.[231] მათთვის ამბავი მიეტანათ, თითქოს მე ცხენიდან გადმოვვარდი. შემდეგ ჩემთან მოვიდა ადგილობრივი მთავრობის მიერ ჩვენს მეთვალყურედ მოჩენილი ორი ბახტიარი, რომლებმაც სინანული გამოსთქვეს, რომ ჩემი ცხენოსნობა ვერ ნახეს.

იადულა მათ მწყრალად შეხვდა და ჩაილაპარაკა:

– ძრიალ ნამაათ კი უბნობენ ჩონი მეზობელი ბახტიარები ქართველისყე. მათ გერივაც (კიდევაც) ქუვები უნდა დასცხო კაცმა თაჭი. რაც ეგენი აქ ყრიან, თოლჩი ძილი ალარ შეიქნების ჩემთვის.

სეიფოლა ხანის ეზოში აჯი აიდარა[232] შემოგვეგება. სიცილით მითხრა:

– საარა! აწი ჩემი ცოლებიც ცხენზე შესხდომას მოითხოვენ, არ გამოუათ და

231. ამ ადგილას ფოტოა: მაჰარამის მისტერიები ზემო მარტყოფში.

232. ჰაჯი ჰეიდარა

ქომოთ (ქვეშოთ) მიწისყე ყირამალ წამოვიდენ. მერე მე რალა ვქნა, მესამე ცოლის თხოვნა პირზე ალარ მომივა![233] – და გულიანად გადაიხარხარა.

შთაბეჭდილებით დაქანცულმა დავიძინე იმ ღამეს...

ფერეიდანში ქართველები ყოველგვარ გაჭირვებასთან ერთად ცუდი მკურნალობის მსხვერპლიც ხდებიან.

ერთი ოჯახიდან გამოვდიოდი გოგონებთან ერთად. დერეფანში ასეთ სურათს წავაწყდი: პატარა კვიცი ოთხივე ფეხით დაეკიდათ თოკით. კვიცს თვალებში ცრემლები ჩადგომოდა, ტუჩები უთრთოდა, ნესტოები ძალზე ებერებოდა და თავს აქეთ-იქით აწყვეტდა. რომ დავინახე, თავზარი დამეცა. მაშინვე ფრთხილად ჩამოვახსნევინე და ჩალაზე დავაწვინე. კვიცმა შვებით ამოიხვნეშა, თუმცა ეტყობოდა, რომ საშინელ ტკივილებს გძნობდა. ცრემლიანი თვალებით შემომხედა, თითქოს მადლობას მიხდიდა. ვერ მოვითმინე, თვალებში ვაკოცე და ვთხოვე ქალებს, რძე მოეტანათ.

ეს სეიფოლა ხანის კვიცი იყო, მეზობელთან გადაემალა, რომ მე არ მენახა და არ შევწუხებულიყავი, მაგრამ შემთხვევით გადავეყარე.

რძე სასწრაფოდ მოიტანეს. კვიცს ძალით ჩავასხი რძე პირში, შემდეგ კი თვითონ დალია. თურმე საცოდავს ხტომა-ნავარდის დროს ფეხის სახსრებში ძვლები ამოვარდნოდა. მიემართათ სოფლის ექიმბაშისათვის, რომელსაც ასეთი ღონისძიება მიეღია.

მეორე დღეს ვინახულე კვიციც და მისი მკურნალი კაციც. მე მას ვუსაყვედურე. როცა ის ნაწყენი წავიდა, ქალებმა მიამბეს, ის ყველაფერს არჩენს, მოტეხილს, ამთელებს, თუ კი ღმერთს სურსო, ე.ი. ატყუებს ხალხს: თუ მორჩება, მისი სახელია, თუ არა და იტყვის, ღმერთს არ სურდაო.

სახლში რომ მივედი, ამბაკოს ვუამბე ყველაფერი. ჩვენს საუბარს ესწრებოდა ქარიმა, სეიფოლა იოსელიანის ნოქარი. მან ამოიოხრა. მივუბრუნდი და ვკითხე:

– ქარიმ, რატომ ხარ დალონებული, რატომ არაფერს იტყვი?

ის მორჩილად შემომყურებდა. უცებ ვკითხე:

– რატომ შენ არაფერს ამბობ იმაზე, გინდა თუ არა დიდ საქართველოში წამოსვლა?

ქარიმას თვალები გაუბრწყინდა და უცებ მიპასუხა:

– მე საქართველოს ნახვა ისე მინდა, როგორც მოწყურებულ კაცს წყალი, მაგრამ ვიცი, რომ ეს ჩემთვის არ იქნების.

ვაჟკაცს თვალები ცრემლებით აევსო.

მეტად ამაყი, ჭკვიანი ვაჟკაცი იყო ქარიმა.

ერთ დღეს ჩემი საცოდავი კვიცის მოვლაში ვიყავი გართული, უცებ სეიფოლას ვაჟმა ფათულამ შემოირბინა და ტირილით მითხრა: ჩქარა, ქარიმა კვდებაო. ელვის სისწრაფით წამოვვარდი და სახლისკენ გავიქეცი... შევვარდი იქ, სადაც ქარიმას უამრავი ხალხი ეხვია თავს, საცოდავს შავი სისხლი გადმოსდიოდა პირიდან.

მარცხი ასე მომხდარიყო: სეიფოლას ცხენები წაჩხუბებულიყვნენ, სულ წიხლები

233. კალკია სპარსულიდან: ველარ გაებედვა.

დაეშინათ ერთმანეთისათვის. ქარიმას გაშველება მოენდომებია, მაგრამ ერთ მათგანს წიხლი მუცელში ჩაერტყა.

ქარიმა ქალებს უწყრებოდა: ნუ სტირითო.

მე რომ დამინახა, თვალები გაუბრწყინდა, ოდნავ წამოიწია, მაგრამ ვერ შესძლო და ისევ დავარდა ლოგინზე. მიველი, თავთან დავუჯექი და პირიდან წამოსული სისხლი მოვწმინდე. მან ჯერ დიდხანს უყურა ღია კარს, შემდეგ მე მომხედა, უძლური ღიმილი მოსწყდა ტუჩებზე და მითხრა:

– საარა, ჩემო დავ, ხო გითხარი, საქართველოს ნახვა ჩემთვის არ შეიქნებაო-თქო, სწორი ვარ თუ არა?

ცრემლები ველარ შევიკავე, ნუგეშისთვის ძალა აღარ მეყო. ქალების მოთქმა გულს მიკლავდა. დასტიროდნენ საბრალონი ჯერ კიდევ ცოცხალს:

– შე საწყალო და დავსილო ქარიმა, რაისთი დაუყენე თოლები (თვალები) შენს ბატატა შვილებს. ვიცა შეიქნებიან მათი პატრონი, რალაი ქნან იმ დავსილებმა. თვითონ შენც ბერი არა ხარ, ოცდაშვიდი წლის ძლივს იქნები. შენც თოლი ამ ღუნიაზე გრჩების. ჯერ სიხარული არ გინახავს.

ზოგი მათგანი თავზე მიწას იყრიდა მეტის მწუხარების გამოსახატავად.

მეორე დღეს მე და ჩემმა მეუღლემ ვინახულეთ საწყალი ქარიმა, რომელიც უმკურნალობით კვდებოდა. მას მხოლოდ მლოცველი ქალები დასტრიალებდნენ და რიგ-რიგობით რალაცეებს ბუტბუტებდნენ.

მე და ამბაკო გამოვემშვიდობეთ ქარიმას. მას ძალიან გაეხარდა ჩვენი მისვლა. ჩვენი ხელი დიდხანს ეჭირა ხელში, არაფერს ამბობდა, მხოლოდ სასოებით შემოგვყურებდა. ლაპარაკის ძალა არ ჰქონდა საცოდავს. ხელები აუკანკალდა, ტუჩები აუთრთოლდა. ბოლოს ობოლი ცრემლი მოსწყდა მის თვალებს, ღრმა მწუხარების კვალი დასტოვა მის გაცრეცილ ღაწვებზე და ბალიშზე დაეცა. თავი ოდნავ მოაბრუნა ჩვენსკენ და ნაწყვეტ-ნაწყვეტ გვითხრა:

– გმადლობთ, გმადლობთ, რომ ნახეთ საცოდავი თქვენი ძმები და დები. კარგად იყავით. დიდხანს იცოცხლეთ. დიდ საქართველოჩი რო ჩახვალთ, სალამი უთხარით ჩვენს დებსა და ძმებს. დიდ საქართველოჩი ნამაზია, აქ კი გონჯი, – და ისე მწარედ ამოიოხრა, რომ ის ოხვრა, როგორც ოხვრა მთელი ფერეიდნელი ქართველებისა, დღესაც მესმის.

თავი მეოთხე

ზემო მარტყოფში მცხოვრებ თავადს, მატკული ხანი ონიკაშვილს შეძლებული ოჯახი ჰქონდა. ერთხელ მოვიდა ჩვენთან და გვითხრა:

– თქვენი პატივისცემა მინდა, მობრძანდით ჩვენთან, ინახულეთ ჩემი ოჯახი. გამახარებთ მე და გაახარებთ ჩემს ოჯახსაც.

მე და ჩემი მეუღლე სიამოვნებით დავთანხმდით. წავედით. ძვირფასი ხალიჩებით ჰქონდა მოწყობილი ოთახები. სიხარულით შეგვხვდა ყველა. თვით მატკული

ხანს უჩვეულოდ უბრწყინავდა თვალები. მაგიდასთან მიგვიწვიეს. უხვი სუფრა, მასპინძლის სტუმართმოყვარეობა ხალისს გვმატებდა.

მახსოვს, გვადღეგრძელა მატკული ხანმა:

– ძვირფასო ადამიანებო! სულით და გულით გვინდა პატივი გცეთ, რადგან ასე გვგონია, რომ ამით ცოტათი მაინც ვიკმაყოფილებთ ჩვენს დიდ სიყვარულს, მონატრებას სამშობლო საქართველოსადმი. იცოცხლეთ, გვიმრავლოს ღმერთმა თქვენისთანა სტუმრები ჩვენი ძვირფასი საქართველოდან!

წუთით არ გვაშორებდნენ სიყვარულით სავსე თვალებს ჩვენი მოძმე ქართველები. ვგრძნობდით – ეს შედეგი იყო იმ განუზომელი სიყვარულისა, რომელიც მათ აკვნიდანვე აჰყვათ, სიყვარული დედისადმი, რომლის მკერდსაც ისინი მოჰგლიჯეს!

თავიდანვე შევნიშნე, რომ ქალები, გარდა მსახურებისა, არ ჩანდნენ. ველარ მოვითმინე და მატკული ხანს ვუთხარი:

– თავადო, რაშია საქმე, სად არიან დიასახლისები?

გაეცინა და მითხრა:

– ასეთია წესი, მათ სტუმარი ვერ ნახავს.

გული მეტკინა, რომ ირანის ცის ქვეშ ცხოვრებამ თავისი გაიტანა და გადაავიწყა ქართველებს, რომ ქართულ სუფრაზე დიასახლისი სამკაულია, ურომლისოდ ლაზათი ეკარგება სუფრას.

ვთხოვე თავადს ჩემთვის მაინც ეჩვენებინა ქალები, დამთანხმდა.

დიდ დარბაზში შემიყვანეს. ისიც ძვირფასი ხალიჩებით იყო მორთული. იატაკიც ხალიჩებით მოეფინათ. თვით ოთახი თითქმის ცარიელი იყო, მხოლოდ რამდენიმე ბალიში და მუთაქა ელაგა. დარბაზში დამხვდა ხუთი ქალი – ერთი მოხუცი, ოთხი კი ახალგაზრდა. ახალგაზრდა ქალების დანახვა მიამა. ქართველი ქალის მომხიბვლელი ეშხი ჰყვაოდა მათში. ერთი მათგანი ბავშვს ძუძუს აწოვებდა; დამიანახა თუ არა, ძუძუ ჩადრით დაიფარა.

მასპინძლები ფეხზე წამოდგნენ. უბრად თავის დაკვრით მივესალმეთ ერთმანეთს. ყველა გაჩუმდა, არც მე ამომილია ხმა. უხერხული სიჩუმე მოხუცმა ქალმა დაარღვია. მან გამაცნო თავისი თავი: იგი მატკული ხანის მეუღლეა, ხოლო დანარჩენი – მათი მონაგარია. მთხოვა დავმჯდარიყავი. დაბალ სკამზე მიმითითა. აქაც გამიწყეს სუფრა: ხმელი ხილი, შავი ქლიავი, ჭერამი. ლამბაქებზე ტკბილი ნამცხვარი, ფაიფურის ხელიანი სურებით დული და შერბეთი. ყველა დაკვირვებით მათვალიერებდა. მეც ღიმილით შევჩერებოდი. სიჩუმე კვლავ მოხუცმა ქალმა დაარღვია და მითხრა:

– კარგი გიქნია, დიდი საქართველოდან მოსულხარ ფერეიდნის სანახავად. აქ ძალიან კარგი წყალი გვაქვს, დუნიაზე არ მოიპოვება ასეთი, – მერე გადახედა დანარჩენ ქალებს და მითხრა: – კი ვიცი იქ, თქვენს საქართველოშიც, ასეთი კარგი წყალი ყოფილა! (სეიფოლა ხანს, რომელიც საქართველოში იყო ნამყოფი, ეამბნა მათთვის საქართველოს შესახებ) ვიცი, – განაგრძობდა მოხუცი, – იქ ჯამპურია[234]

234. უნდა იყოს „ჯომპური“ (რესპუბლიკა).

(მეჯლისი). იმდენი სწავლული ჰყოლია საქართველოს, რომ იქ ახალგაზრდა არავინ კვდება! – ხელები აღმართა ზევით და სასოებით წარმოთქვა: – ღმერთი შეეწიოს საქართველოს! – მერე თითქოს საყვედურით დაუმატა: – თუ ასეა, რატომ ადრე არ გაიგეს, რომ მათი ნაგლეჯი აქ ვართ და არ მოგვეშველენ?

აცრემლდა მოხუცი მანდილოსანი, მის ნაოჭიან ლოყაზე დაგორებულმა ცრემლმა ღრმა მწუხარების კვალი დასტოვა. ცრემლები მოიწმინდა, კელავ ქალებს გადახედა და თრთოლვით თქვა:

– ჩემი შაქრულა ინახულებს დიდ საქართველოს ისე, როგორც სეიფოლა ხანმა ინახულა...

ვუსმენდი მას და არაფერს ვამბობდი. მოხუცი ქალი კვლავ განაგრძობდა:

– რატომ ადრე არ მოდი? მაშინ, როცა შენსავით ახალგაზრდა ვიყავი და თავი მიყვარდა? ეხლა მე ბერი ვარ და მალე უნდა მოვკვდე.

გამაკვირვა იმ გარემოებამ, რომ ამ საუბრის დროს არც ერთ ახალგაზრდა ქალს ხმა არ ამოუღია. ისინი უხმოდ, ღიმილით გვისმენდნენ. შემდეგ გავიგე, რომ ამით მოხუცისადმი ღრმა პატივისცემას გამოხატავდნენ.

მე და ჩემი მეულლე ძალიან კმაყოფილნი დავბრუნდით თავად ონიკაშვილების ოჯახიდან. იქ ისე წმინდად ლაპარაკობდნენ ქართულს, როგორც საქართველოში. ბევრი ვისაუბრეთ მათზე... ამბაკო დიდხანს იყო ჩაფიქრებული და მერე მითხრა:

– იცი, სარა, ჩვენი საცოდავი მოძმეები ძალიან შებრალებიან, გული მტკივა... ისინი ამაყად აცხადებენ: ქართველები ვართო, და ირანულ წესს კი ემორჩილებიან. ნიჭიერნი არიან. სწავლა-განათლება თუ უშველით მათ, სკოლა უნდა გავუხსნათ.

მე გავიზიარე მისი აზრი და საჩქაროდ შევუდექით ზემო მარტყოფში სკოლის გახსნის საქმის მოგვარებას.

ოთხმა ძმამ, თავადებმა ონიკაშვილებმა ფიცხელი უარი განაცხადეს სკოლის გახსნაზე. ისინი ამბობდნენ, სკოლა გარყვნილებას შემოიტანსო, და დაჟინებით მოითხოვდნენ, რომ სეიფოლა იოსელიანს და ჩვენ ამ საქმეზე ხელი აგვეღო: არც ერთი ქართველი ბავშვი სკოლაში სასწავლად არ ივლისო. ეწყინა სეიფოლა იოსელიანს, გვეწყინა ჩვენც. სეიფოლა იოსელიანმა თავადებს პირში მიახალა: კარგი, ბატონებო, თუ ქართველი ბავშვები არ ივლიან ამ სკოლაში, ნუ ივლიან, ქურთის ბავშვები ისწავლიანო. სკოლის დაარსების შესახებ ლაპარაკს ვაჭარი აჯი აიდარაც დაესწრო, რომ მოისმინა სეიფოლა იოსელიანის დაჟინებული მოთხოვნა სკოლის დაარსების შესახებ, 12 წლის ფათულა ხანს, სეიფოლა იოსელიანის ვაჟს, უთხრა: ბიჭო, უყურე შენს ალას (მამაშენს), ბევრი ფული ჰქონია, ასეთი რამისათვის თავს იტკივებსო. ფათულას ბავშვური თვალები რისხვით აენთო და მიაძახა:

– მამაჩემს ფული საიდან ექნება, ის ხომ ვაჭარი არ არის, რომ შენსავით ყველა დაატყუოს და დაალონოს! ცოტა მოიცა, ნახავ რა მოგივათ შენ და შენს ფულებს!

ამბაკო აღტაცებაში მოიყვანა ბავშვის განრისხებამ და მისმა სიტყვებმა. ფათულა მხურვალედ გადაჰკოცნა და გულში ჩაიხუტა: ქართველია ჩვენი ბიჭი, ქართველის სისხლი უჩქეფსო.

ბოლოს ჩვენ ჩვენი გავიტანეთ, მაინც არ შევეპუეთ არავითარ საშიშროებას, რომელიც ადგილობრივი ორგანიზაციებიდან იყო მოსალოდნელი და 1927 წელს ზემო მარტყოფში გაუხსენით სკოლა.

ბევრი ვეძებეთ ქართული ენის მასწავლებელი, მაგრამ ადგილობრივ ვერავინ აღმოვაჩინეთ. გადავწყვიტეთ სწავლება დროებით ირანულ ენაზე ყოფილიყო.

ახლოვდებოდა დრო ჩვენი ზემო მარტყოფიდან გამომგზავრებისა. გული გვიკვდებოდა, რომ ვხედავდით, თუ რა იმედი ვიყავით ჩვენი საცოდავი მოძმეებისათვის.

გადავწყვიტეთ ბავშვი წამოგვეყვანა იქიდან. იადულას ოთხი-ხუთი წლის ძმა ჰყავდა, ზედმეტ სახელად კინკილას ეძახდნენ. როცა კინკილამ გაიგო, რომ იქიდან ბავშვის წამოყვანა გვინდოდა, გვეხვეწებოდა, მე წამიყვანეთო. ახლაც თვალწინ მიდგას მისი მუდამ მომცინარე სახე. ჭკვიანი, ბავშვური გულწრფელობით სავსე თვალები. ერთხელ კაბაში ხელი ჩამავლო, ხუჭუჭა თავი უკან გადახარა, რომ ჩემთვის თვალებში კარგად შემოეხედა და მითხრა:

– წამიყვანე თქვენყე, წყალს მოგიტან, ცხორს მოგიმწყეს!

ამ სიტყვების მოგონება დღესაც მოქმედებს ჩემზე და ცრემლსა მგვრის...

არ დამავიწყდება ქალაჯი მაჰმუდა თავაზიშვილი. მეტად საყვარელი ადამიანი იყო. მის ოჯახში მოისმენდით წმინდა ქართულ ლაპარაკს. აღტაცება ველარ დავფარეთ, როცა მან მთელი რიგი ადგილები „ვეფხისტყაოსნიდან“ ზეპირად გვითხრა. მაჰმუდამ სადილად მიგვიწვია სეიფოლა ხანი და ჩვენ. ტკბილად ვისაუბრეთ დილიდან დალამებამდე. გვართობდა მისი მშვენიერი სამი წლის ბიჭი, რომელიც ჩემს მეუღლეს მუხლებზე დაესვა და საალერსო სიტყვებს ეუბნებოდა. ქალაჯი მაჰმუდამ, დამტკბარმა მით, რომ მის შვილს ასე ვეალერსებოდით, გვითხრა:

– ამ ერთი ბიჭის მეტი არა მყავს, სიამოვნებით გაგატანდით, ოღონდ ვიცოდე, რომ ჩემსავით უბედური არ იქნება!

ქალაჯი მაჰმუდას ოჯახში ამბაკომ ლექსი დაწერა და ნასადილევს წაგვიკითხა. ქალაჯი მაჰმუდას ნელი ქვითინი აღმოხდა გულიდან, როცა ლექსი ძოისმინა. ხოლო სეიფოლა ხანმა მცირე დუმილის შემდეგ თვალცრემლიანმა თქვა:

– კაი იქნებოდა ამ ლექსში ასეთი რამაც ჩაგვერთო: მოწყურებულს ისე არ უნდა წყლის დალევა, როგორც დავსილ ფერეიდნელ ქართველებს დიდი საქართველოს ნახვაო.

ამბაკომ უპასუხა, ამ ლექსზე კიდევ ვიმუშავებ და შენს თხოვნას შევასრულებო[235].

როცა ჩვენი გამომგზავრების დრო მოვიდა, გადავწყვიტეთ ღამით წამოვსულიყავით. არ დამავიწყდება ის ღამე: მოკრიალებულ ცაზე ვარსკვლავები კიაფობდნენ. ნელი სიო ჰქროდა. ნამგალა მთვარე თითქოს ღიმილით გვაჯილდოებდა. ეზო და ქუჩები სავსე იყო ხალხით, ყველას მწუხარება ეტყობოდა, თითქოს თან გვატანდნენ საქართველოში თავიანთ გულებს... განსაკუთრებით ნაღელობდა იადულა, რომელმაც დიდხანს გვდია ფეხდაფეხ... დაუვიწყარია მისი უკანასკნელი სიტყვები:

235. ამბაკო ჭელიძის ლექსი შესულია ამ კრებულში.

– ისფაჰანში თუ იქნებით, მალ-მალე მოგინახულებთ. როცა დიდ საქართველოჩი წახვალთ, თუ მე იქ ერთი წლის განმავლობაში თვენს (თქვენს) სანახავად არ მოვედი, თქვით: იადულა, ის დავსილი, ამ დუნიაზე ცოცხალი აღარ არის-თქო...

ცხარე ცრემლებით ეტიროდი მთელი გზა. სულ თვალწინ მედგა მოძმე ქართველების ნაღვლიანი, ცრემლით დანამული თვალები. თითქოს ეხლაც მესმის მათი სიტყვები: „გვინდა დიდ საქართველოჩი!“

ქვეშო მარტყოფში იცოდნენ ჩვენი უკან დაბრუნების დღე. ჰასან ხანის კაცები დაგვხვდნენ გზაში. იგი მეორედ გვეპატიჟებოდა თავის სახლში. უარი ველარ ვუთხარით. დიდად გახარებული დაგვხვდა ჰასან ხანი თავისი შვილებით... აქაც კვლავ ისეთივე შეხვედრები და სიხარული იყო, როგორც ყველგან, ფერეიდანში.

ქალების ნახვის ნება არ მომცეს. ისე კი ჰასან ხანის ვაჟმა ყული ხანმა ყველა ქალის სამყოფი ოთახები დამატარა. ქალების ბინა 10-12 ოთახისაგან შედგებოდა. მამაკაცების სამყოფი ბინიდან მით განირჩეოდა, რომ როგორც კარები, ისე ფანჯრები სქელი, თვალგაუვალი ფარდებით იყო დაფარული. საწოლი ოთახების შუაგულში აბრეშუმის ხალიჩებში შეხვეული ლოგინები ელაგა. როცა ერთი ოთახიდან მეორეში გავდიოდით, კარებზე დაკიდებული ფარდები შეირხეოდნენ ნელი შრიალით. მოგვესმოდა, როგორ ეფარებოდნენ ქალები ფარდებს. ამაზე თვით, რეზა ყული ხანს ეცინებოდა. ვთხოვე, თავისი ცოლი მაინც ეჩვენებინა ჩემთვის. მან თავაზიანი უარი მითხრა. როცა კიდევ მობრძანდებით, მაშინ გიჩვენებთო.

ჰასან ხანის მსახურებმა ხონჩები შემოიტანეს. ზედ ოქროთი მოვარაყებული საუცხოო ვერცხლის ჭურჭელი ელაგა, ჩაითა და ტკბილეულით სავსე. ასეთი რამ ზემო მარტყოფში არ გვინახავს.

დიდი პატივით გამოგვაცილეს. გამოვიარეთ მშვენიერი ბაღი, რომლის გზამ ქუჩაში გამოგვიყვანა. მე უნებურად უკან მოვიხედე და დავინახე: თითქმის ყველა ფანჯრიდან ნახევრად სახედაბურული ქალები იხედებოდნენ. მე ჰაეროვანი კოცნა გავუგზავნე, მათაც საპასუხოდ ხელი დამიქნიეს. თვით ჰასან ხანმა, მიუხედავად ღრმა მოხუცებულობისა, მანქანამდე მოგვაცილა. ეს იშვიათი პატივისცემა იყო ხანის მხრივ. დამშვიდობებისას პირობა ჩამოგვართვა, რომ მეორე ზაფხულს პირდაპირ მას ვეწვეოლით მთელი ზაფხულით და თან დაუმატა, რომ სეიფოლა ხანთან არ გაგვეშვებდა.

თავი მეხუთე

ისფაჰანში თან ჩამოვიყვანეთ პატარა ბიჭი, რომელიც სოფელ ბოინიდან იყო. სახელად ემირი ერქვა, გვარად პაპიაშვილი. ჩვენ მას დავარქვით ამირანი – ქართველი ქართული სახელით დავამშვენეთ. უდიდესი მშობლიური სითბო ვაგრძნობინეთ პატარას მე და ჩემმა მეუღლემ. იგი მოუთმენლად მოელოდა საქართველოში გამომგზავრებას და მოსვენებას არ გვაძლევდა ბავშვური ცნობისმოყვარეობით, უამრავი შეკითხვებით.

ერთ საღამოს სახლის ბანზე ვისხედით. გრილმა ნიავმა ღამის მოახლოება გვამცნო. პატარა სკამზე დამჯდარი ამირანი ჩემს კალთაზე თვლემდა. უცებ დავინახე ჩვენსკენ მომავალი ჯარისკაცები, ამბაკოსაც დავანახე. პირდაპირ ჩვენკენ მოაშურეს, შეჩერდნენ ჩვენს წინ და თავაზიანი ღიმილით დაგვიწყეს ყურება. ერთი მათგანი გამოეყო სხვებს, უფრო მოგვიახლოვდა და გვითხრა:

– ჩვენ ქართველები ვართ, ფერეიდნელი ქართველები. აქ ჯარში ვართ. თქვენ დიდი საქართველოდან ხართ, ჩვენი სამშობლოდან. გაგვეხარდება თქვენთან საუბარი.

მაშინვე ეზოში ჩამოვედით და ხელი მხიარულად ჩამოვართვით ერთმანეთს. ამირანიც გამოეხიზლდა. აღარ ეძინებოდა. მისმა ტიტინმა კიდევ უფრო დაგვაახლოვა ჩვენ და ფერეიდნელი ჯარისკაცები.

სახლში მივიპატიჟეთ, პატივი ვეცით. წასვლისას ჩემმა მეუღლემ უთხრა:

– გამოიარეთ, როცა დრო გექნეთ, ვისაუბროთ ხოლმე. ჩვენც გვასიამოვნებთ და ვეცდებით ასევე გასიამოვნოთ.

კმაყოფილნი წავიდნენ.

იმ დღიდან, სამი წლის განმავლობაში, დღე არ გაივლიდა, რომ რომელიმე მათგანს ჩვენთან არ შემოევლო თუნდ ერთი წუთით და არ ვეკითხეთ, პარასკეობით კი ყველანი ერთად მოვიდოდნენ დილით და საღამომდე ჩვენთან რჩებოდნენ. ჩვენ ვუმასპინძლდებოდით და ვუყვებოდით საბჭოთა საქართველოს ამბებს, ვეთამაშებოდით ნარდს, ბანქოს, ვასწავლიდით ქართულ წერა-კითხვას და სხვა. ისინი შენატროდნენ ამირანს, რომელიც მალე ნახავდა საქართველოს. ამირანიც ბავშვური, მაგრამ ჯერ გაურკვეველი აღტაცებით ილიმებოდა და ამაყად იტყოდა: – მე მივდივარ იქ.

ბანქოს თამაშის დროს ფერეიდნელი ჯარისკაცები ვერ ურიგდებოდნენ გამოთქმას: „შენ მოიგე, მე მოვიგე“ და მუდამ ასე გვისწორებდნენ ამ სიტყვას: „შენ არ წაგიგია, მე არ წამიგია“, და ღიმილით დაუმატებდნენ: ამ სიტყვას ჩვენ მაშინ ვიტყვით, როცა ძროხა ხბოს მოიგებსო. სიამოვნებას ვერ ფარავდნენ, რომ მათაც შეეძლოთ ზოგი რამის სწავლება ჩვენთვის.

ერთხელ ჩემი მეუღლე და ფერეიდნელი ჯარისკაცები ბანქოს თამაშობდნენ. მე და ამირანი მოშორებით ვიჯექით. ამირანს ვასწავლიდი ქართულ სიმღერას: „ახ, ნეტავი ჩიტი ვიყო“. მისი ბავშვური სიმღერა მახალისებდა. უცებ ამბაკოს ხმა მომესმა:

– სარა, ჩვენს მეგობრებსაც სურთ შეისწავლონ ეგ სიმღერა.

გამეცინა და ვუპასუხე: სიამოვნებით, თუ ვივარგებ მასწავლებლად-მეთქი. ამირანმა ჯერ მე შემომხედა გაკვირვებით, შემდეგ ჯარისკაცებს მიაძახა:

– თქვენ რათა, თქვენ ჩემთან ხომ არ მოდიხართ?

ბავშვს გავუკვირდი და ამბაკოს ვუთხარი, დავიწყოთ-მეთქი.

უნდა გენახათ ჯარისკაცების აღტაცება, ცოტა ხნის შემდეგ ხმაშეწყობილად რომ ვმღეროდით. ტკბილ სიმღერაში თითქოს დავიწყებოდათ, რომ საყვარელ სამშობლოს მოგლეჯილნი იყვნენ, მღეროდნენ ისეთი გატაცებით, გეგონებოდათ, საქართველოს ცის ქვეშ საამურ შრომაში გართულნი მღერიანო. ასე ვასწავლიდით ქართულ სიმღერებს, ქართულ წერა-კითხვას.

მეტად ამაყი და თავმოყვარე იყვნენ ჩვენი მეგობრები. ერთხელ მიეღიარათ ისფაჰანის მთავარ ქუჩაზე – ლალიზარზე[236]. თან გვახლავს სამი ჯარისკაცი. უცებ შემოგვხვდა ორი ირანელი სამხედრო პირი. ერთმა მათგანმა ხელით ანიშნა ჯარისკაცებს, რომ მასთან მისულიყვნენ.

შეგვეშინდა, ჩვენი გულისთვის რაიმე უსიამოვნება არ შეხვდესო. ამიტომ გაფაციცებით ვადევნებდით თვალყურს მათს საუბარს. საუბარი თანდათან მწვავე ხასიათს იღებდა. ამბაკომ გადაწყვიტა ჩარეულიყო საუბარში. მეც წავყევი.

მისვლისთანავე ამბაკომ მშვიდად იკითხა, რა მოხდაო. ოფიცერმა მედიდურად უპასუხა: ჩვენი ჯარისკაცები საშინლად დაისჯებიან მათთვის შეუფერებელი საქციელისათვისო. ამბაკოს რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ ერთმა ფერეიდნელმა ჯარისკაცმა დაასწრო. იგი ამაყად გასწორდა წელში, ოფიცერს ჯიქურ დაუდგა წინ და უთხრა:

– ჩვენ ქართველები ვართ! ესენიც ქართველები არიან, მშობლიურ ქართულ ენაზე გვესაუბრებიან. მათთან ყოფნა დუნიას გვირჩევნია.

ოფიცრებმა დაკვირვებით შეგვათვალიერეს. არ ვიცი, ჩვენი პატივისცემისა თუ სხვა მიზეზის გამო თავი შეიკავეს, ერთმანეთს რაღაც ჩაულაპარაკეს, ბოდიში მოგვიხადეს და გაგვშორდნენ. ჩვენ გზა განვაგრძეთ. ამბაკომ უთხრა მათ: ხომ ხედავთ, თქვენი ჩვენთან სიარული სახიფათოა, ამით დისციპლინას არღვევთ, ცოტა რომ მოგვერიდოთ, სჯობიაო. ერთმა ჯარისკაცმა, სახელდობრ, ნოურუზამ ამაზე აღშფოთებით გვითხრა: რას ამბობთ, თქვენ ჩვენი ნუგეში ხართ – ჩვენი საქართველოს ადამიანები. უთქვენობა თქვენი წასვლის შემდეგაც გკეყოფაო...

ამ შემთხვევამ უფრო ნათელი გახადა ჩვენთვის, თუ რა უბედურები იყვნენ ჩვენი მოძმეები უცხო ცის ქვეშ.

1926 წელს ქალაქ ისფაჰანში რომ ჩავედით, ფერეიდანში ჩვენი წასვლა უკვე აღარ შეიძლებოდა, რადგან მოსალოდნელი იყო თოვლით გზების შეკერა.

სამაგიეროდ თვით სეიფოლა იოსელიანი წამოვიდა იქიდან ჩვენს სანახავად. მას თოვლმა მოუსწრო გზაში და ველარც ჩვენკენ წამოვიდა და ველარც შინ დაბრუნდა.

სეიფოლა ხანს ორი ნოქარი ახლდა თან. ერთ-ერთი ნოქარის პირით შეგვატყობინა თავისი ამბავი. ჩვენ თოვლის მკვალაეები და ეტლი გავუგზავნეთ. სეიფოლა ხანი ისფაჰანში ჩამოვიყვანეთ, მაგრამ გზაში გაცივდა, მთელი ზამთარი ჩვენთან იავადმყოფა. ფეხზე ძლივს დავაყენეთ.

ისფაჰანში ხუთი ახალგაზრდა ბიჭი გვეწვია ფერეიდნიდან, სადილი გავუმართეთ. მეტად მხიარულად ეჭირათ თავი. მხიარულებამ მაშინ უფრო იმატა, როცა ღვინით საკმაოდ შეზარხოშდნენ.

ერთ მათგანს, ფარაჯი აღას, გაუტკბა ღვინო და მეორე დღესაც გვეწვია. ამბაკო სიცილით შეეკითხა: „ღვინოს დალევ? „აბა, რაის ვიქ. მზის გადახრამდე“

236. ისპაჰანის მთავარი ქუჩა არის „ჩაჰარ-ბაღი“. ლალეზარი კი თეირანის ცნობილი ქუჩაა. შეიძლება აერია სარას, თუმცა ტექსტში მართლაც ისპაჰანია!

(როცა ყველა სპარსელი ლოცულობს), ამბაკომ მისდა გამოსაცდელად თქვა: „მზე უკვე ჩადის“, ფარაჯი აღა არც კი დაფიქრებულა, წამოიძახა: „ჩავიდეს, მეტი რა ესაქმების“.

ფერეიდნელი ქართველი ახალგაზრდობა რელიგიურ წესებს თითქმის არ ასრულებდა.

უკანასკნელი თავი

ექვსი წელიწადი გავიდა, რაც საქართველო არ გვენახა. ვისაც არ განუცდია სამშობლოს დაშორება, მგონი ის ვერც კი წარმოიდგენს იმ მღელვარებას, რასაც განიცდის ადამიანი სამშობლოში გამომგზავრების წინ.

განსაკუთრებით ამირანი ამჟღავნებდა მალე გამომგზავრების სურვილს. ახლა ის უკვე ქართულად წერდა და კითხულობდა. დიდი, ბავშვური ასოებით გამოჰყავდა: „ამირან პაპიაშვილი, ქართველი ბიჭი“. უნდა გენახათ ჩვენი სიხარული, როცა უკვე გადაწყდა ირანიდან ჩვენი გამომგზავრება. დღეც დაინიშნა. გული უჩვეულოდ გვიცემდა. საქართველო, ახალი საბჭოთა საქართველო! ასე გვეგონა, ათეული წლები გვაშორებდა მათ.

ამირანმა რომ გაიგო, მივემგზავრებითო, მერცხალივით აჭიკჭიკდა, ფაციფუცით რალაცას ძებნა დაუწყო. ყურადღება მაშინ მივაქციე ბავშვს, როცა მისი ხმა აღარ მესმოდა. იგი კუთხეში მიმჯდარიყო და დიდი ამბით რალაცას წერდა. მივედი და ვკითხე, რასა სწერ-მეთქი. ამირანმა დიდი ადამიანის სერიოზულობით შემომხედა და მითხრა:

– წერილს ვწერ ბოინში.

მე გამეცინა. ფურცელი ავიღე და ხმამაღლა წავიკითხე:

– „მე უკვე მივდივარ საქართველოში, პატარა საქართველოში კი არა, დიდ საქართველოში. მერე მოვალ და თქვენ წაგიყვანთ“.

მივეფერე ბავშვს და ვუთხარი:

– ჰო, გენაცვალე, დაწერე, დაწერე და გავაგზავნოთ!

მან მადლიერი თვალებით შემომხედა.

ფერეიდნელ ჯარისკაცებს გაეგოთ ჩვენი გამგზავრების ამბავი და გულგახეთქილები მოცვივდნენ.

– მართალია, მართალია, პატრონო? ასე მალე მიდიხართ? მართლა მიდიხართ? – ერთმანეთს აღარ აცლიდნენ შეკითხვას.

ამბაკომ დამშვიდა ისინი და უთხრა:

– მივდივართ, ჩემო ძმებო, მივდივართ. ჩვენც ცოდვა ვართ, განა არ იცით, რომ სამშობლოს მოცილებული ვართ რამდენიმე წელი? წავალთ და მერე ისევ დავბრუნდებით და გინახულებთ.

მე სუფრას ვაწყობდი, თან ღიმილით ყურს ვუგდებდი მათ ლაპარაკს. როცა ამბაკომ ეს სიტყვები უთხრა, ერთი მათგანი მე მომვარდა და მითხრა:

– მართალს ამბობს ამბაკო? მართლა კიდევ მობრუნდებით და გვინახულებთ?

პასუხის გაცემა ამირანმა დამასწრო:

– კი, კი გინახულებთ, ნამდვილად გინახულებთ.

მისმა ბავშვურმა პასუხმა ჯარისკაცებს, რომლებიც ტირილს ძლივს იკავებდნენ, ღიმილი მოჰგვარა.

ამბაკომ ამირანს თავზე ხელი გადაუსვა და უთხრა:

– ყოჩაღ, ჩემო ბიჭიკო. შენ იქ ისწავლე და კარი ბიჭი გამოხვალ. შემდეგ დაუბრუნდები შენს მოძმეებს და მათაც ასწავლი, ხომ?

ბავშვს თვალები გაუბრწყინდა სიხარულისაგან, ხოლო ჯარისკაცებს ცრემლები წასკდათ.

ყველანი სადილზე მივიწვიეთ. ვერ მოვახერხეთ წინანდელი მხიარული საუბრის გამართვა: ჩვენ აღტაცებული ვიყავით სამშობლოში დაბრუნების მოახლოებით, ჯარისკაცებში კი ჩვენი გამგზავრება მწუხარებას იწვევდა. ამიტომ საუბარს თავი ვერ მოვაბით.

ვფუსფუსებდით, ვემზადებოდით, წუთები საათებად გვეჩვენებოდა. ფერეიდნელი ჯარისკაცები სამი დღე არ მოგვცილებიან. ამბაკომ ხუმრობით უთხრა:

– ძმებო, სამსახური არა გაქვთ? რა ამბავია? გაფიცვა ხომ არ გამოაცხადეთ ამ დღეებში?

ერთმა მათგანმა, მუსტაფამ, უპასუხა:

– სამსახური სულ იქნების, თქვენ კი არა.

– კაცო, – ხუმრობა განაგრძო ამბაკომ, – როგორ თუ არ ვიქნებით?

– თქვენ კი იქნებით, მაგრამ ჩვენთვის... ჩვენთვის აღარ იქნებით...

მათმა მწუხარებამ ისეთი მწვავე ხასიათი მიიღო, რომ იძულებული გავხდით გამოვპარვოდით, რადგან მათთვის აუტანელი იქნებოდა ჩვენთან გამოთხოვება.

ეს იყო 1929 წელი, 18 ნოემბერი.

სუსტია ჩემი კალამი გადმოგცეთ ის სიხარული, აღტაცება, თრთოლვა, მღელვარება, რაც გვიპყრობდა ჩვენ, როდესაც თბილისს ვუახლოვდებოდით. მაგრამ დარწმუნებული ვარ, ჩემო მკითხველო, ადვილად მიმიხვდები ამ განცდებს.

ახალი საქართველო, ახალი თბილისი! გრანდიოზული გარდატეხა, უდიდესი მშენებლობანი! ყველას და ყველაფერს ვაკვირდებოდით, აღტაცებულნი ვიყავით. ადამიანები ამაყად დადიოდნენ, დიახ, ამაყად, რადგან ისინი საბჭოთა ადამიანები იყვნენ.

არავის ემჩნეოდა უკმაყოფილება. ახალგაზრდობა, ბედნიერი ახალგაზრდობა სიხარულით და სიცოცხლის წყურვილით გულს ახარებდა.

ყველგან ისმოდა სიმღერები დიად სოციალისტურ სამშობლოზე!

გამოუთქმელი იყო საბჭოთა საქართველოში ჩამოსული პატარა ამირანის ბედნიერება.

მისთვის ყველაფერი უცხო და ახალი იყო. ვცდილობდით შესჩვეოდა ახალ ცხოვრებას. დაგვყავდა კინო-თეატრებში, საიდანაც ყოველთვის აღტაცებული ბრუნდებოდა ხოლმე.

ამირანი ეგ. ნინოშვილის სახელობის სასწავლებელში შევიყვანეთ. ბავშვმა აქაც ნიჭი და უნარი გამოიჩინა. ყოველთვის ვახსენებდით, რომ მან უნდა ისწავლოს ფრიადზე და ფერეიდანს ნასწავლი უნდა დაუბრუნდეს.

ხანდახან სევდიანი დიდხანს იჯდა ხოლმე ჩუმად. ჩვენც არაფერს ვეკითხებოდით, ვიცოდით, რომ ფერეიდანზე და თავის მოძმეებზე ფიქრობდა.

ამირანს საქართველოში პირველად თვალში მოხვდა ევროპულ კოსტუმებში გამოწყობილი მამაკაცები და მათთან თავისუფლად მოლაპარაკე უჩადრო ქალები. განსაკუთრებით ქალების მორთულობა აოცებდა და ხშირად ხელითაც ეხებოდა მათს კაბებს.

საახალწლო ნაძვის ხეზე წავიყვანე ამირანი. აქ უამრავი ბავშვი, სახეგაბრწყინებული და ბედნიერი, გაჩირაღდნებულ ნაძვის ხეს სიმღერით უელიდა გარს. ამირანი თითქოს შეშფოთდა ამ სანახაობით, თითქმის ტირილს აპირებდა და მაგრად ჩამჭიდა ხელი. მე გავამხნევე, მივუალერსე და ვუთხარი, რომ საბჭოთა ქვეყანაში ბავშვები ასე მხიარულად ცხოვრობენ-მეთქი. ცოტა ხნის შემდეგ ბავშვს სახე გაეხსნა და ღიმილი აღებეჭდა, ხოლო როცა ჩვენს წინ პატარა ცელქი გოგონა წაიქცა, ამირანი დაიხარა, წამოაყენა გოგონა და მასთან ერთად ბავშვებში გაერია. ხშირად გადმომხედავდა ბავშვი და დამშვიდებული კვლავ მათთან თამაშს განაგრძობდა. როცა ბავშვებს ტკბილეულს ურიგებდნენ, ამირანი გაფაციცებით თვალყურს ადევნებდა საჩუქრების დარიგებას, აინტერესებდა მასაც მისცემდნენ თუ არა ამ საახალწლო საჩუქრებს. ხოლო როცა ტკბილეულით სავსე პარკი მანაც მიიღო, მაშინვე ჩემსკენ გამოიქცა გახარებული.

შინ რომ მოვედით, ჩემს მეუღლეს უყვებოდა:

– აი, აი რა იყო!! იქ, ჩვენში, ასე არ არის! მერე აი, ესენი მოგვცეს! იქ ასე არ არის!! ხვალ კიდევ წავალთ? – სხაპასხუპით ლაპარაკობდა ამირანი და იმეორებდა: – იქ ასე არ არის!!

ერთ სალამოს ამირანი უხასიათოდ დაბრუნდა სკოლიდან. როდესაც მიზეზი ვკითხეთ, მან უხმოდ ამოიღო ჯიბიდან უღმერთოთა კავშირის წიგნაკი, მაგიდაზე დასდო და შემდეგ თქვა: მე ამ წიგნს ჯიბეში აწი ალარ ჩავიდებ, ვინც რა უნდა მიყოსო.

ბავშვი დავაწყნარეთ და საწინააღმდეგო არაფერი ვუთხარით.

გავიდა ამის შემდეგ სულ მცირე დრო და ამირანი დარცხვენილი, თვალებდახრილი მოვიდა ჩემთან და მომთხოვა წიგნაკი, რომელიც შემდეგ ჯიბიდან ალარ მოუშორებია. როცა ამ ამბავს მოვაგონებდი, მუდამ შერცხვებოდა.

ზაფხულობით ამირანს პიონერთა ბანაკებში ვგზავნიდით, საიდანაც უხდებოდა თბილისში ჩამოსელა დავალებებით. ბავშვი ძალზე ნასიამოვნები იყო ამ საქმიანობით, მისი თვალები სრულ კმაყოფილებას გამოხატავდნენ და სახეგაბრწყინებული გვიყვებოდა იქ გატარებულ დღეებზე...

ასე გადიოდა დრო. ამირანი უკვე მეექვსე კლასში გადავიდა. ზაფხულის არდადეგებზე მისი ფერეიდანში გამგზავრება გადავწყვიტეთ. მას ძალიან გაეხარდა...

მივიღეთ წერილი, სადაც გვწერდა: „საყვარელო ადამიანებო, მე უბედური ვარ, რომ ველარ ვაღწევ თქვენამდე, რამდენჯერ ვცადე, მაგრამ ბედმა მიმუხთლა“...

...მრავალი წელი გავიდა მას შემდეგ, მაგრამ მე მაინც თვალწინ მიდგას მოძმე ფერეიდნელების ნაღვლიანი სახეები, მათი ჩამქრალი თვალები, რომლებიც მხოლოდ ერთი ნატვრით აინთებიან ცეცხლივით: ნეტავი ჩვენც დიდ საქართველოში ვიყოთო.

ვინ იცის, ბევრი მათგანი უკვე ცოცხალი ალარ არის, საქართველოს ნახვის ნატვრა თან ჩაიტანეს საფლავში, მრავლის ნატვრა დარჩა აუსრულებელი.

***

ფერეიდნელი ქართველები – ამ წერილის მოკლე ვარიანტი ირაკლი კანდელაკმა დაბეჭდა სამი წლით ადრე ჟურნალ „დროშის 1958 წლის მე-3 ნომერში (გვ. 11-14). ჩვენ ამ სტატიას ალარ ვაქვეყნებთ, რადგან ყველა ფაქტი, რაც ასახულია ამ ჟურნალში, მეორედ აქაც გამოაქვეყნა უფრო ვრცლად, ამასთან რედაქტირებულიცაა და გვხვდება რამდენიმე ჩასწორება. წერილი „მედიცინის მუშაკის“ ოთხ ნომერში დაიბეჭდა.

წერილში ასახული ფაქტები მოგროვებულია 1944 წელს გადმოსული ჯგუფის ფერეიდანში ყოფნის დროს. აღწერილია მათი ჩასვლა ფერეიდანში, ქართული მოსახლეობის ყოფა.

ირაკლი კანდელაკი
ფერეიდნელი ქართველები

(მედიცინის მუშაკი 1961 წელი, N 30 (167) სამშაბათი 24 ოქტომბერი)

1616 წლის გაზაფხულზე შაჰაბასი მთელი თავისი მრავალრიცხოვანი ჯარით კახეთის მოსასპობად წამოვიდა. ქართველი ხალხის ცხოვრებაში უმაგალითო შავი დღე დატრიალდა. საკუთარი ბედისა და თავისუფლების დამცველი ქართველი სალხი გმირულად იბრძოდა, მაგრამ მტრის სიმრავლემ მაინც სძლია. მტერი არბევდა სასასხლეებს, ციხეებს, ეკლესია-მონასტრებს, სწვავდნენ სოფლებს და დაბა ქალაქებს. კაფავდნენ ზვრებს და ვენახებს, სპობდნენ თუთისა და კაკლის ხეებს, არსად არ უშვებდნენ ოთხფეხა საქონელს.

იმ შემოსევის დროს კახეთმა მოსახლეობის ორი მესამედი დაჰკარგა, ასი ათასამდე კაცი მტრის მახვილს შეაკედა, ამდენივე ტყვედ წაიყვანეს ყიზილბაშებმა. დაიცალა და დაყრუვდა აყვავებული მხარე. ტყე და ნადირი დაეუფლა იქაურობას. კახელი ტყვეები ირანს გარეკეს. მათი ნაწილი შაჰაბასმა შიდა ირანის სხვადასხვა კუთხეში დაასახლა. განსაკუთრებით ძნელი იყო იმათი მდგომარეობა, რომლებიც ყიზილბაშმა მოლაშქრეებმა გაჰყიდეს. ქართველი მონა და მახვილი შეძლებულ ყიზილბაშთა

სამკაული გახდა. უცხოეთში თავის სამშობლოს მოწყვეტილი ქართველები თანდათან გადაგვარდნენ. მხოლოდ ქართველთა მცირე ნაწილმა (ფერეიდანში) შეინარჩუნა დღემდე დედა-ენა.

...

1944 წლის პირველ აპრილს თბილისიდან სპარსეთს გავემგზავრეთ. ჩვენი ექსპედიცია ოთხი კაცისაგან შედგებოდა: ექსპედიციის ხელმძღვანელი ამ წერილის ავტორი, კინოოპერატორი ა. სემიონოვი, ხმის ოპერატორი ო. ლაპინსკი და ავტომანქანის მძღოლი. ჩვენი მიზანი იყო, ჩაგვესულიყავით ფერეიდანში, გვენახა 336 წლის წინათ დასახლებული ქართველები. შეგვესწავლა და კინოფირზე გადაგვეღო მათი ყოფაცხოვრების ამსახველი სურათები.

პირველ დღეს ჩვენ შევძელით ერევანში ჩასვლა. მეორე დღეს ჯულფაში ჩავედით, საზღვარზე საბუთების შემოწმების შემდეგ ხიდით გადავედით მდინარე არაქსზე, რომლის მეორე ნაპირიდან იწყება სპარსეთ-სომხეთის ტერიტორია. მესამე დღეს ჩვენ უკვე თავრიზში ვიყავით.

თავრიზიდან თეირანამდე მგზავრობას ორ დღეს მოვუნდით. გზადაგზა დიდ დაბრკოლებებს ვაწყდებოდით. მანქანების დიდი კოლონები მოემართებოდნენ საბჭოთა კავშირისაკენ. თვითეულ კოლონაში შედიოდა არა ნაკლებ 100-120 მანქანისა. როგორც კი კოლონა გამოჩნდებოდა, ჩვენც უნდა გავჩერებულიყავით და გზა დაგვეთმო მათთვის. სადაც კი გავჩერდებოდით გარს შემოგვეხვეოდნენ მშიერი ბავშვები და მათხოვრები.

საღამო ხანი იყო, როცა თეირანში შევედით. პირველ რიგში თვალში გვეცა უწესრიგო მოძრაობა. ცხენი, ვირი, ავტობუსი ყველაფერი ერთმანეთში იყო არეული.

ბინდდებოდა, როცა ჩვენს საელჩოში მივედით. დიდი შთაბეჭდილება დასტოვა საელჩოს შენობამ და ბალმა. ვნახეთ ის ტალავერი, სადაც ერთმანეთს ხვდებოდნენ სტალინი და რუზველტი. სხვათაშორის ჩვენი იქ ყოფნის დროს ჩამოსული იყო რუსი მხატვარი გერასიმოვი და ესკიზებს ხატავდა თეირანის კონფერენციის შესახებ.

კონსულტანტების დახმარებით კარგად შევისწავლეთ ჩვენი მოგზაურობის მარშრუტი. თეირანის შემდეგ იწყებოდა ინგლისური ზონა, სადაც საჭირო იყო განსაკუთრებული სიფრთხილე. ქალაქ ქუმთან[237] საჭირო იყო გაგვეგო[238] ინგლისელების საკონტროლო პუნქტი. მივუახლოვდით საყარაულს. მოგვთხოვეს საბუთები და საათნახევრის შემდეგ, როგორც იქნა, თავი დავაღწიეთ.

თეირანიდან ისპაჰანამდე 504 კილომეტრია. ამ მანძილის დაფარვას ჩვენ ორი დღე მოვუნდით, შებინდებისას ქალაქის განაპირა გზაზე ერთი ჰოლისმენი გადაგვეღობა და სპარსულ ენაზე დაგვიწყო ყვირილი. ხელებზე თეთრი სამაჯურები ეკეთა. როგორც შემდეგ გამოვარკვიეთ, ის რეგულიატორი იყო. ალბათ მიმოსვლის წესი დავარღვიეთ,

237. ქ.ყუმ-ი.

238. შეცდომაა ტექსტში, ალბათ უნდა იყოს – გაგვეელო.

ასე გაცხარებით რომ ბრაზობდა პოლისმენი. მე ჩვენ მძღოლს ვუთხარი, გზა განეგრძო. პოლისმენი მაინც არ მოგვეშვა. მე ჩემთვის ჩავიპალარაკე – რა გაჭირვა ამ კაცმა საქმე მეთქი. ამ სიტყვების გაგონებაზე პოლისმენი მანქანას შემოახტა.

– ქართველი ხარ? შენი ჭირიმე, მეც ქართველი ვარ, თქვენი სისხლი და ძვლები, ფერეიდნელი ვარ, სოფელი ავჭალიდან, სად მიდიხართ, – გაიძახოდა ის დაბნეულად. მეც ძალიან ავღელდი. არ ვიცოდი ამ კაცისათვის რა მეპასუხნა. როგორ დამეწყო მასთან საუბარი. ბოლოს როგორც იქნა შევრიგდით და მალე დავმეგობრდით კიდეც. პოლისმენი აღმოჩნდა გვარად ხუციშვილი.

საკონსულოსთან მივედით, დავემშვიდობეთ ახლადშეძენილ მეგობარს. გამოთხოვებისას მითხრა: – თუ შეიძლება, ხვალ მოვალ თქვენთან. ისპაჰანში კიდევ ოთხი ქართველი მუშაობს და მათაც შევატყობინებ, რომ თბილისიდან ჩამოსულხართ ჩვენი ძმები.

ისპაჰანში უნდა შეეხვედროდით რამდენიმე ქართული სოფლის ბატონ-პატრონს ჰუსეინ დავითაშვილს. ოფიციალურად ის იწერება დათხო დავითაშვილად. ზამთრობით ცხოვრობს ისპაჰანში, ზაფხულობით კი ფერეიდანის სოფელ ფორელში.[239]

მეორე დღეს 10 საათზე ფერეიდნელი ქართველები მოვიდნენ ჩვენთან საკონსულოში. ვუცქერი მათ და თვალს არ სჯერა, რომ აქ ირანის ქალაქ ისპაჰანში ველაპარაკები სამშობლოს მოწყვეტილ ქართველებს. მათთან საუბრით აშკარა გახდა, რომ ფერეიდნელებს არავითარი წარმოდგენა არ აქვთ დღევანდელ აყვავებულ საბჭოთა საქართველოზე. ირანელ ყიზილბაშებს 336 წლის განმავლობაში ყველაფერი გაუკეთებიათ იმისათვის, რომ გადასახლებულ ქართველებს დავიწყებოდათ თავისი სამშობლო საქართველო, დავიწყებოდათ დედა-ენა, ჩაექროთ სიყვარული ქართველი მიწისადმი, მოესპოთ ქართული ზნე-ჩვეულებანი, მაგრამ ჩვენდა სასიხარულოდ ფერეიდნელ ქართველებს არ უღალატნიათ თავისი სამშობლოსათვის, დღემდე კარგად შემოუნახავთ ქართული ენა და ზნე-ჩვეულებანი. დღესაც ღვივის მათში სამშობლოს უსაზღვრო სიყვარული. ჩვენ შევთანხმდით, რომ სამი დღის შემდეგ ერთად წავიდოდით ფერეიდანში. ამით დამთავრდა ჩვენი პირველი შეხვედრა.

ჩვენ წინ დგას ჰუსეინ დავითაშვილი. მაღალი, შავგრემანი ვაჟკაცი, დაახლოებით 31-32 წლისა. გველაპარაკება მძიმედ, ხმადაბლა. ეტყობა უჭირს ქართულად ლაპარაკი, მაგრამ მაინც შეიძლება მასთან ბაასი. თვითეული სიტყვის გამოთქმას უკვირდება. ჩემს შეკითხვაზე, მან უკეთ იცის ქართული ენა თუ გლეხებმა, დავითაშვილს შერცხვა, სახეზე სიწითლე მოერია. შევთანხმდით, რომ ისიც წამოვიდოდა ჩვენთან, დავნიშნეთ დღეც. 1944 წლის 14 აპრილს უნდა გავსულიყავით ქალაქიდან. ეს რიცხვი ჩვენთვის ყველაზე საინტერესო იყო. გავიარლიდით 130-140 კილომეტრს და ვნახავდით ფერეიდნელ ქართველებს.

239. ირაკლი კანდელაკი თორელს ყველგან ფორელს უწოდებს.

მეორე დღეს დილით ადრე მოვიდა დავითაშვილი თავისი ორი შეიარაღებული მოურავის და ერთი მოსამსახურის თანხლებით.

(გაგრძელება იქნება)

ირაკლი კანდელაკი
ფერეიდნელი ქართველები (გაგრძელება)

(1961 წელი, N31 (168) სამშაბათი, 31 ოქტომბერი)

ისპაჰანიდან გავედით. 40-50 კილომეტრის გავლის შემდეგ გზატკეცილი გათავდა და დაიწყო ჩვეულებრივი სასოფლო გზა. ამის შემდეგ ცოტა არ იყოს მოგზაურობა გაძნელდა ორი მიზეზის გამო: ჯერ ერთი, გზა ცუდი იყო, მეორე ის, რომ იქ ქურთებისა და კაშკაიცების[240] ბანდები დათარეშობდნენ და ძარცვავდნენ გამვლელებს. ეს დაბრკოლებაც გადავლახეთ და შევედით მთაგორიან ადგილებში. მარჯვნივ მთის კალთებზე შევამჩნიე ორი პატარა ლამაზი სოფელი, რომლებიც ბაღებში იყვნენ ჩამალულნი. მე ჰუსეინს მივმართე.

– ეს რა ლამაზი სოფლებია, ქართველები ხომ არ ცხოვრობენ მეთქი. ჩემ შეკითხვაზე დავითაშვილმა სიცილი დაიწყო და მითხრა:

– ეს ორი სოფელი ორი კვირის წინათ ბანქოში წავაგე. აფსუს, რა ლამაზი სოფლებია, მაგრამ არა უშავს რა, სამაგიეროდ მაგის პატრონს შარშან 5 სოფელი მოვუგე ნარდში. და ამ სიტყვებს მეუბნება სიცილით, თითქოს სახუმარო ამბავს ყვებოდეს.

ჰორიზონტზე გამოჩნდა საკმაოდ დიდი მთა, რომლის მწვანე რკალები ჯერ კიდევ თოვლით იყო შეფერცხლილი. მთის ქვემოთ მოჩანდა სოფლები, სადაც ყვაოდა ხეხილი, ხეებს მაშინ გამოქონდა ფოთლები. ყველაფერი ეს იმას ადასტურებდა, რომ ფერეიდანი მთაგორიანი ადგილია. ისპაჰანში ბალი მწიფე იყო, იქ კი მხოლოდ მაშინ იწყებოდა ყვავილობა.

უკვე შევდივართ ფერეიდანის ერთერთ სოფელში.

– ეს ჩემი სოფელია, ფორელი ქვია. აქ ყველა მცხოვრები ქართველია, გარდა ორი-სამი კომლისა, – მეუბნება ჰუსეინი.

მანქანას კილომეტრმზომი თბილისიდან ორიათასამდე კილომეტრს გვიჩვენებს. აი თურმე სად გადმოუსახლებია ქართველები ბოროტ შაჰაბასს.

მანქანა გაჩერდა ერთი დიდი სახლის წინ. ბავშვები, ადგილობრივი მცხოვრებლები მანქანას შემოესივნენ, ესალმებიან ბატონს, ხელზე ჰკოცნიან დიდი მოწიწებით, მაგრამ ჰუსეინი ყველას როდი აძლევს ხელს საკოცნელად. ამის უფლება ყველას როდი აქვს თურმე.

---

240. ავტორი კაშკაელების (ყაშყაელების) ტომს რუსული ფორმით მოიხსენიებს.

ოპერატორმა სემიონოვმა, რომელმაც კარგად იცოდა ქართული ენა, განცვიფრებით მითხრა:

– შეხედე, იმ პატარა გოგონას, როგორ მირბის. წყლით ლიტრას ავსებდა, მინდოდა მივფერებოდი, მაგრამ გამექცა, თან მუქარით მომმართა, შენ ვილაცა ხარ მოშორდი, თორემ ამ წყალს თვალებში შეგასხამო.

ჰუსეინმა ჩვენი თავი გააცნო გლეხობას. – გაიცანით, ესენი ჩვენი ძმები არიან სტუმრად ჩამოვიდნენო დიდი საქართველოდან. ენა ვერ აღწერს რა სიხარულით და სიყვარულით შემოგვესინენ, ყველა ახლო მოიწევს, ხელს გვართმევს, გვლოცავს, რაღაცას გვეკითხება, ზოგი ხელს გვისვამს ტანსაცმელზე, ყველა ერთხმად გაიძახის – აკი საქართველო აღარ არისო.

ჰუსეინმა მიმართა გლეხობას – აბა, სტუმრები ახლა დაღლილები იქნებიან. ესენი ჩემთან იქნებიან დიდხანს და კიდევ შეხვდებით, ახლა შინ მიბრანდით.

ვიდრე სახლში შევიდოდით, კარების წინ ერთი დიდი ყოჩი წააქციეს, დაკლეს, გარდიგარდმო დადეს კარების წინ. გადავაბიჯეთ ცხვარს და მხოლოდ ამის შემდეგ შევედით სახლში.

ბატონის სახლი ორსართულიანი იყო, რომელიც დაახლოებით 14 ოთახს შეიცავდა. მას კიდევ ჰქონია მეორე სასახლე. ჰუსეინი ისევე ძარცვავდა გლეხობას, როგორც ყველა ბატონი. მის დადებით თვისებად ჩაითვლება მხოლოდ ის, რომ ძლიერ უყვარდა ქართველი ხალხი.

ფერეიდანში სულ 14 სოფელია. ჩვენ ყველა სოფელი შემოვიარეთ. უფრო მეტ ხანს გავჩერდით ზემო და ქვემო მარტყოფში, ავჭალაში, ჩულურეთში, ბოლნისში და ფორელში. მათ შორის ყველაზე დიდი და ლამაზი სოფელია ზემო მარტყოფი. აქ მოსახლეობა 5000 აღწევს და ყველაზე კარგად არის დაცული ქართული ენა. დიდი თუ პატარა, ოჯახში თუ გარეთ მშობლიურ ენაზე ლაპარაკობს. ჩადრს არავინ არ ატარებს. საკმაოდ ლამაზი ხალხია. ძლიერ განსხვავდებიან სახით და ფერით სპარსელებისგან. სპარსელი ქალები მოყვითალო ფერის არიან. ფერეიდნელები კი – მოთეთრო-მოწითალო ფერის. ალბათ იმიტომ, რომ 336 წლის მანძილზე არც ერთი ქართველი ქალი არ გათხოვილა სპარსელზე, თუ არ ავიღებთ რამდენიმე შემთხვევას. ჩვენ შეკითხვაზე, თუ რატომ არ თხოვდებიან სპარსელებზე, ასე მიპასუხეს: – ჩვენ ქართველები ვართ, ჩვენი სისხლი ლამაზია, სპარსელებს კი არეული სისხლი აქვთო.

ფერეიდნელი მამაკაცები მაღალი, მხრებგანიერი, შავთვალწარბანი არიან. აქვთ არწივისებური ცხვირი. აქ შემხვდა შემდეგი ქართული გვარები: ხუციშვილი, ჰაპაშვილი, ლაფერაშვილი, საკაშვილი, იოსელიანი, ამირანაშვილი, დავითაშვილი, ლურსმანაშვილი და სხვა. სულ 17 ქართული გვარი აღვნიშნე. წყაროსათვისაც დაურქმევიათ ქართული სახელები, ხუციანთ წყარო, ლაფიანთ წყარო და სხვები.

(გაგრძელება იქნება)

ირაკლი კანდელაკი
ფერეიდნელი ქართველები (გაგრძელება)

(1961 წელი, N33 (170) სამშაბათი, 14 ნოემბერი)

ფერეიდნელი ქართველები დიდ სილატაკეს განიცდიან. ჩვენი თვალით ვნახეთ, თუ როგორ სჭამდნენ ბავშვები ჩვეულებრივ ბალახს. მიწის დიდი სიმცირეა. მოსავლის ერთი მეოთხედი ან მეხუთედი პატრონისაა, დანარჩენი კი ბატონისა.

გამრავლების მაგიერ ფერეიდნელი ქართველები თანდათანობით მცირდებიან. 100 ათასი ქართველიდან, რომელიც შაჰაბასმა გარეკა, დიდი წვალებისა და ტანჯვის შემდეგ ადგილზე ჩაულწევია 70 000-ს. დანარჩენი გზაში დახოცილა. განსაკუთრებით დიდი მსხვერპლი ყოფილა ადიდებულ არაქსზე გადასვლის დროს. ჩვენი იქ ყოფნის დროს კი მათი რიცხვი 22 000-ს აღწევდა და ისიც დაღუპვის გზაზე იდგა. ერთმა მარტყოფელმა მოხუცმა 90 წლის ხუციშვილმა ასე მოგვმართა: – გადაეცით დედა საქართველოს მცხოვრებლებს, რომ ჩვენ ცოტა ხანი სიცოცხლე დაგვრჩენია, თუ ჩვენ მოკლე ხანში არ გვიშველეს, მერე გვიანღა იქნება და ჩვენ დაღუპვის გზაზე ვართ მისული.

მართლა ასეთი ბედი მოელის ფერეიდნელ ქართველებს, თუ სპარსეთის ხელისუფლებამ მათ მიმართ არ შესცვალა დამოკიდებულება. დღესაც ძალაშია შაჰაბასის მიერ დატოვებული ულმობელი კანონები ფერეიდნელი ქართველებისადმი. ქართველები რომ ფერეიდანში გამრავლებულიყვნენ, ეს გმირი ხალხი წალეკავდა მთელ სპარსეთს. ვინ შეაკავებდა შორს გადასახლებულ, სამშობლოს მოწყვეტილ ქართველობაში დედასამშობლოსადმი მოზღვავებულ სიყვარულს. ირანელებს სამართლიანად ეშინიათ ამ ერთი მუჭა ხალხისა. ისე ერთი კვირაც არ გავა, რომ ქართულ სოფელში სპარსეთის ექსპედიციამ არ ჩამოიაროს და ჩხრეკა არ მოახდინოს. ქართულ ლიტერატურას ირანის ხელისუფალნი ძალიან სდევნიან. სდევნიან აგრეთვე ქართულ ენას. თუ ვინმეს უნახეს ქართული წიგნი, მაშინვე ართმევენ და აჯარიმებენ. მიუხედავად ამისა, ფერეიდანში დღესაც ბევრს აქვს შემონახული ქართული წიგნები. ცნობილია, რომ როცა ფერეიდნელი ქართველი სეიფოლა იოსელიანი საქართველოდან დაბრუნდა ფერეიდანში, ერთი თვის შემდეგ გაუხსნია მარტყოფში ქართული სკოლა. ეს ამბავი ირანის ხელისუფალთ არ დარჩენიათ სასიამოვნოდ. მათ მზაკვრული ხერხებით მოუხერხებიათ ქართველი იოსელიანის მოულოდნელი გარდაცვალება და სკოლის დაკეტვა. მისი სიკვდილის მიზეზი კარგად იციან მისმა შვილებმა.

განათლების მხრივ ფერეიდნელები ძალზე ჩამორჩენილები არიან. ორმა-სამმა კაცმა თუ იცის წერა-კითხვა. ყველაზე კარგად წერა იცის მოლა პაპაშვილმა. ქართული სიმღერები უკვე დაკარგულია, მხოლოდ იაენანალა შემორჩენია მათ მეხსიერებას, რაც ხშირად გაისმის ქართულ აკვნებთან. ქართული ჭიდაობა ერთერთი საყვარელი გართობაა, დღემდე კარგად შემონახულა შიუკაური, სარმა, მოგვერდი.

ბოლნისში[241] გლეხობა შემეკითხა, ვინ არის ქართველთა მეფეო. მათ ძლიერ გაუკვირდათ, როცა ვუთხარი, რომ ჩვენში დიდი ხანია მეფე და ბატონები აღარ არიან, ყველაფერი ხალხს ეკუთვნის მეთქი.

როცა სურათის გადაღებას ვაწარმოებდით, დავითაშვილის მოურავმა ალი საკაშვილმა წყრომით მოგვმართა.

– მე ბატონმა, როგორც ყველაზე მაგარ კაცს, როზგების დარტყმა მომანდო. რატომ მე არ მიღებთ სურათს? ჩვენ მართლაც გადავიღეთ მომენტი, როცა საკაშვილი მათრახს ურტყამს გლეხ ხუციშვილს, რომელსაც დარჩენილი ღალა არ ჰქონია გადახდილი და ისე ხნავდა მიწას ძველებური კავ-გუთნით.

სოფლის მეურნეობა პირველყოფილ მდგომარეობაშია. აქეთ ხილის ბაღები, ვენახის პატარა ნაკვეთები და ბოსტნები ვინაიდან ფერეიდანი ზღვის დონიდან ბევრად მაღალია, ამიტომ იქაური ღვინო მეტად მდარე ხარისხისაა. ვაზის სიყვარული თან გაჰყოლიათ ქართველებს. ისინი ერთგულად და მოკრძალებით უვლიან ვენახებს.

ფერეიდნელები მესაქონლეობასაც მისდევენ, მაგრამ საქონლის გამრავლებას არ ცდილობენ საძოვრების სიმცირის გამო. გარდა ამისა, ზაფხულობით, როდესაც ქურთები მთებისაკენ მიდიან, ხშირად ესხმიან თავს ქართველებს და საქონელს სტაცებენ. მათთან გამკლავება კი ქართველებს ძალიან უჭირთ, რადგან ქურთები კარგად არიან შეიარაღებულნი. ქართველებს იარაღს არ უტოვებენ სპარსელები, რატომღაც ძალიან ეშინიათ მათი.

სოფელ მარტყოფში ერთი ოჯახის წინ შევამჩნიეთ, ქალები როგორ დღეებავდნენ კარაქს. სადღეებელი ისეთივე იყო, როგორსაც ჩვენში ხმარობენ. აცხობენ კახურ შოთებს, მიუხედავად იმისა, რომ მაჰმადიანები არიან, პურზე ჯვარს უსვამენ.

სოფელ ბოლნისში მცხოვრებლები მეჭურჭლეობასაც მისდევენ. აქ შევხვდით ქართულ ლიტრას, კოკას და ქვევრებს. ამავე სოფელში ვნახეთ კუსტარული წესის სამჭედლოები, სადაც აკეთებენ ქართული ტიპის ბარებს, თოხებს, ნალებს და სხვ. საწარმოო იარაღები, კავ-გუთანი, ურმები ძველი ქართული ტიპისაა, ძაფს რთავენ თითისტარებით. ბევრი ჯარასაც ხმარობს. მრავალი ოჯახი თავს ირჩენს ხალიჩების, თოკებისა და ფარდაგების ქსოვით. ფერეიდნელი ქალის მოქსოვილი ხალიჩა კარგ ფასებში იყიდება სპარსეთში. ირანელი ვაჭრები წელიწადში ორჯერ-სამჯერ ჩადიან ფერეიდანში და მასიურად იძენენ იქაურ ხალიჩებსა და ფარდაგებს.

(გაგრძელება იქნება)

241. იგულისხმება სოფელი ბოინი.

ირაკლი კანდელაკი
ფერეიდნელი ქართველები (დასასრული)

(1961 წელი, N 35 (172) სამშაბათი, 5 დეკემბერი)

სოფელ ავჭალაში ვნახეთ ჩვეულებრივი ქოთანი, რომელშიაც ლობიოს ხარშავდნენ. საჭმელები თითქმის ქართულია, აკეთებენ მწვადს, ხაშს, ხინკალს, ყაურმას, წნილებს. ქალები და ბავშვები ერთმანეთს ოჯახში ქართულად ელაპარაკებიან. ენა ყველგან ერთნაირად არ არის შენახული. მაგ. სოფ. ჩულურეთში ნახავთ ისეთ ქართველს, რომელსაც ძალიან უჭირს მშობლიურ ენაზე ლაპარაკი.

ჩვენ თან გვქონდა რამდენიმე ქართული წიგნი და ვურიგებდით მათ. ყველა ცდილობდა მეტი წიგნი მიეღო. სოფ. ფორელში ჩხუბიც კი მოუვიდათ. ჩვენ პატეფონიც წავიღეთ რამდენიმე ფირფიტით. განსაკუთრებით მოეწონათ მარო თარხნიშვილის გუნდის სიმღერები. იყო შემთხვევები, როცა ისინი დილიდან სალამომდე უსმენდნენ სიმღერებს.

ქართული ენა, როგორც აღვნიშნეთ, ზოგიერთ სოფელში კარგადაა შემონახული. მართალია ისიც, რომ დროთა განმავლობაში ქართულ ენაზე გავლენა მოუხდენია სპარსულ ენას. მაგ. 1000 გრამიან ლიტრას ეძახიან ყარყარას, ბულალტერს – მობაშირეს და სხვა.

ლაპარაკის დროს ხმარობენ „ყეს“, „თეს“, როგორც ახლანდელ კახეთში. მაგალითად „წავიდეთ ყე, „მოვიდა ყე“ და სხვ.

ჩაცმულობის მხრივ ვერაფერს ქართულს ვერ ნახავთ, მხოლოდ რამდენიმე გლეხს ეცვა განიერი ქართული შარვალი. მოსახლეობის თითქმის 95 პროცენტი ძონძებშია გახვეული, განსაკუთრებით ბავშვები.

ირანელმა ხელისუფლებამ ზემო მარტყოფში გახსნეს სპარსული სკოლა. სპარსელებმა ქართველებს ენა და სამშობლო რომ ვერ დაავიწყეს, ახლა სხვა ხერხებს მიმართეს. სპარსული სკოლითა და მუსულმანური რელიგიით უნდათ ჩაკლან ყველაფერი მათში.

სოფელ ბოლნისში მცხოვრებ მოლა პაპიაშვილის თაოსნობით, რომელმაც ყველაზე კარგად იცოდა ქართული წერა-კითხვა, საქართველოში წამოვიღეთ პირველი ქართული წერილი ფერეიდნელებისაგან, რომელშიც ეწერა:

„გამარჯობათ ქართველებო, გისურვებთ მტერზე გამარჯვებას, ნაზად იყვნენ ჩვენი ქართველი ძმები“.[242]

ამ წერილის დაწერას ესწრებოდა 200 ქართველი. დიდი სიხარულის შეძახილებით შეხვდნენ პაპაშვილის მიერ ამ წერილის წაკითხვას. ჩვენ ეს წერილი ჩავაბარეთ საქართველოს ისტორიის მუზეუმს.

---

242. ეს წერილი შესულია წინამდებარე წიგნში. ავტორი სტატიაში ნაცვლად ფრაზისა: ნაცვლად „ნაზად იყოს იყოს ჩვენი მამა ბატონი სტალინი“, წერს: „ნაზად იყვნენ ჩვენი ქართველი ძმები“.

ძეგლების მხრივ ფერეიდანი ძალიან ღარიბია, მაგრამ მაინც არის მცირე რაოდენობით. მაგ. სოფელ ბოლნისში ყოფილი ეკლესია გადაუკეთებიათ მეჩეთად, ფორმა კი ისევ ქართული აქვს. ჯვრის გამოკლებით. სოფელ ფორელში ციხე-კოშკები აუგიათ, რომლის ქვათა წყობა მრგვალია, ერთი სიტყვით, ისეთივეა, როგორიც არის ახლანდელ კახეთში. ყველაზე ღირსშესანიშნავია ძველი სასაფლაოები, რომლებსაც შევხვდით ქ. ისპაჰანის მეორე მხარეზე ახალ ჯულფაში. აქაური ეკლესიების შენობებში და სასაფლაოებზე ქართველთა მრავალი საფლავებია. იქაური სასაფლაოების წარწერები ხშირად იწყება ასე: – „უფალო იხსენი ქრისტიანები“.

ასე შემოინახა 330 წლის მანძილზე სამშობლოს მოწყვეტილმა ქართველმა ერმა თავისი სამშობლოს სიყვარული, მშობლიური ენა და ზნე-ჩვეულებანი.

ახლა ფერეიდნელმა ქართველებმა კარგად იციან, რომ არსებობს აყვავებული საბჭოთა საქართველო, ამიტომ უსურვებენ მას მტერზე გამარჯვებასა და „ნაზად ყოფნას“.

დასასრული

***

ფერეიდანელი ქართველი ბავშვები – ამ სტატიაში ირაკლი კანდელაკი ქართველ ბავშვებს აცნობს ფერეიდანში მცხოვრები ქართველების ცხოვრებას, ის საგანგებოდ ამძაფრებს სიტუაციას. ასეთი სიმძიმით აისახა ფერეიდნელი ქართველების ყოფა მის მიერ გადაღებულ დოკუმენტურ ფილმშიც. ეს აშკარად საზოგადოებრივი აზრის შექმნისთვის არის გამიზნული.

ირაკლი კანდელაკი
ფერეიდანელი ქართველი ბავშვები

(პიონერი, 1960 წელი, N5, გვ.9-11)

თქვენ ალბათ იცით, რომ 1614 წელს, სპარსეთის შაჰმა, შაჰ-აბასმა ააოხრა საქართველო, მრავალი ქართველი მოსწყვიტა მშობლიურ მიწას და სპარსეთის შორეულ კუთხეში – ფერეიდანში გადაასახლა.

1944 წელს მე მომიხდა ფერეიდანში ჩასვლა და ყველაფერი ის, რასაც თქვენ მოგიყვებით, ჩემი თვალით ვნახე.

დილის 6 საათი იქნებოდა, როცა სოფელ ჩულურეთიდან გავემგზავრეთ იქვე ახლო მდებარე სოფელ ფორელში, სადაც ქართველები ცხოვრობენ. ფერეიდანში ქართულ სოფლებს სახელებიც ქართული აქვთ: „მარტყოფი“, „ნინოწმინდა“,

„გიორგიწმინდა“, „რუისპირი“, „ვაშლოვანი“, „ბოლნისი“... სანამ ფორელს დავათვალიერებდით, გადავწყვიტეთ შეგვეველო მეჩეთის ეზოში, სადაც წინათ ქართველთა ეკლესია ყოფილა. ახლა ამ ეზოში სოფლის მოლა ონიკაშვილი ბავშვებს ამეცადინებს. ისიც მხოლოდ ზაფხულობით, რადგანაც შენობა არ გააჩნიათ და ზამთრის დღეებში შეუძლებელია ეზოში მეცადინეობა.

ჩვენც სწორედ მეცადინეობის დროს შევედით ეზოში, რაც ჩვენ იქ ვნახეთ, ყოველგვარ მოლოდინს აღემატებოდა: სხვადასხვა ასაკის ბავშვები მიწაზე ფეხმორთხმით ისხდნენ, შეძლებული ოჯახის შვილებს კი ქვეშ ფარდაგები ჰქონდათ დაფენილი. ბავშვების უმეტესობას დაკონკილი ტანსაცმელი ეცვა. ისინი სუსტნი და ფერმკრთალნი იყვნენ. ამ სკოლაში კლასებად დაყოფა არ არის; მოზრდილსაც და პატარასაც მოლა ონიკაშვილი ერთსა და იმავე გაკვეთილს უხსნის. ბავშვები მხოლოდ სპარსულ წერა-კითხვას სწავლობენ, ქართული ენის საშუალებით.

ბავშვებს არ გააჩნიათ წიგნები, რვეულებზე ლაპარაკი ხომ ზედმეტია, ოთხ-ხუთ ბავშვს ერთი წიგნი უჭრავს ხელში და ერთსა და იმავე დროს იმეორებს ერთსა და იმავე სიტყვებს. ეს ყოველივე აუტანელი სიღარიბის ბრალია. უნდა აღინიშნოს, რომ ამ სკოლას ერთადერთი მიზანი აქვს: როგორმე დაავიწყოს ბავშვებს ქართული ენა, აზიაროს ისინი ისლამის რჯულსა და სპარსულ ენას, მაგრამ ფერეიდანელებს ახსოვთ 1929 წელი, როდესაც მათი თეისტოში – სეიფულა იოსელიანი საქართველოდან ფერეიდანში დაბრუნდა[243] და თან ქართული სახელმძღვანელოები ჩამოიტანა, რათა ფერეიდანელი ბავშვებისათვის მშობლიური ენა და წერა-კითხვა ესწავლებია. სეიფულა იოსელიანმა გახსნა ქართული სკოლა და ეს დღე ნამდვილ სახალხო ზეიმად გადაიქცა ფერეიდანელი ქართველებისათვის. ისინი სიხარულითა და იმედით შეხვდნენ ქართული სკოლის დაარსებას, ამას ისიც მოწმობს, რომ თუ პირველ დღეს გაკვეთილს სამოცი კაცი და ბავშვი დაესწრო, ერთ თვეში მათი რიცხვი 1500-მდე გაიზარდა. მაგრამ, სამწუხაროდ, იქაურმა ჟანდარმერიამ სეიფულა იოსელიანის მოწამვლა მოახერხა. მისი სიკვდილის შემდეგ ქართულ სკოლას სათავეში ჩაუდგა სეიფულა იოსელიანთან ერთად საქართველოში ნამყოფი აქბა[244] ონიკაშვილი, მაგრამ მისი მოღვაწეობაც ხანმოკლე გამოდგა: იგი უგზოუკვლოდ დაიკარგა და დღემდე არავინ იცის მისი ბედი.

ასე დაიშალა ქართული სკოლა ფერეიდანში.

განა სათამაშოდ გადიან მინდორში ფერეიდანელი ქართველი ბავშვები. ისინი გაფაციცებით დაეძებენ ბალახს, რომ მშიერი კუჭი ამოიევსონ.

თქვენს ტოლ ფერეიდანელებს სულაც არ გააჩნიათ ბავშვური ხალისი. გამხდრები, ფერმკრთალები, ნაღვლიანი თვალებითა და დაკონკილი ტანსაცმელით, ისინი მეტად მძიმე შთაბეჭდილებას სტოვებენ. შიმშილმა და სიღატაკემ იმ მდგომარეობამდე მიიყვანა, რომ საკვებში პირუტყვებს ეცილებიან. მოზრდილი ბავშვები დილით

243. ავტორს ეშლება თარიღი. სეიფოლა იოსელიანი საქართველოდან ირანში დაბრუნდა 1923 წელს.

244. აშპარ

სოფლის ნახირზე ადრე გადიან მინდორში, რომ ბალახის შეგროვება მოასწრონ, თვითონაც დანაყრდნენ და ოჯახშიც მიიტანონ. სწორედ ეს საჭალო მომენტი აღბეჭდა ფირზე ჩვენმა კინოოპერატორმა ა. სემიონოვმა.

მართალია, შაჰ-აბასი დიდი ხანია გარდაიცვალა, მაგრამ მისი ულმობელი კანონები კიდევ ძალაშია. ფერეიდანელი ქართველები კვლავ განიცდიან დევნას. მათ უკრძალავენ ქართული წიგნებისა და ხელნაწერების შენახვას, სპობენ და ანადგურებენ ყველაფერს, რაც მშობლიურთან, ქართულთანაა დაკავშირებული. მრავალი ქართული წიგნი ჩაიფერფლა ფერეიდანში, მაგრამ სამშობლოს სიყვარული ვერ იქნა და ვერ ჩაკლეს მათ გულში.

ჩვენ, ფერეიდანელ ქართველებს თქვენი სახელით საბჭოთა საქართველოს ბავშვების სახელით ჩავუტანეთ ქართული წიგნები: დედაენა, რვეულები, ფანქრები, საწერ-კალამი, ხუთი ცალი ჰატეფონი, ქართული სიმღერების ორასი ფირფიტა.

შორეული სამშობლოს სიმღერებმა მეტად მოხიბლა ფერეიდანელთა გული. მართალია, ქართული სიმღერები მათ კარგად არ ახსოვთ, მაგრამ „იავნანამ“ საუკუნეებს გაუძლო და დღესაც ბანიანი სახლის წინ ქართველი დედა შვილის აკვანს „იავნანას“ დალულუნებს.

სანამ ფერეიდანიდან წამოვიდოდით, ფერეიდანელ ბავშვებს ორი ქართული სიმღერა: „სულიკო“ და „იზარდე მწვანე ჯეჯილო“ შეკასწავლეთ. ოთხი-ხუთი დღის განმავლობაში თითქმის ყველა ბავშვმა იცოდა ეს სიმღერა.

როცა ქართულ სოფლებში გაველა გვიხდებოდა, ბავშვები, როგორც კი მანქანის ხმას გაიგონებდნენ, გამორბოდნენ შარზე და „სულიკოს“ და „იზარდე მწვანე ჯეჯილოს“ მღეროდნენ. ვფიქრობ, რომ ეს სიმღერები დიდხანს ემახსოვრებათ ფერეიდანელ ქართველებს.

ირაკლი კანდელაკი
კინორეჟისორი

***

ს. იოსელიანის ლექსის სრული ტექსტისათვის

ს. იოსელიანის ლექსის სრული ტექსტისათვის – ლექსი, რომელზეც საუბრობს სტატიის ავტორი, ეკუთვნის არა სეიფოლა იოსელიანს, არამედ ღიდია მგალობლიშვილს, რომელიც აქვეყნებდა ლექსებს ფსევდონიმით „იმერელი ქალი“. ლექსების კრებულში ეს ლექსი დათარიღებულია 1896 წლით და შეგვიძლია ვთქვათ, რომ ღადო აღნიაშვილის ფერეიდანში მოგზაურობისა და 1896 წელს გამოცემული წიგნის უშუალო შთაბეჭდილების ქვეშაა დაწერილი.

მ. რეხვიაშვილი
ს. იოსელიანის ლექსის სრული ტექსტისათვის

(სახალხო განათლება, თბ. 1960, 24 თებერვალი N9 (1589)

გაზეთ „სახალხო განათლების“ 10 თებერვლის ნომერში დაიბეჭდა ვ. სიდამონიძის წერილი სათაურით „ერთი ქართული ხალხური სიმღერის შესახებ“.

როგორც წერილის ავტორი ასკვნის, ცნობილი ხალხური სიმღერა „ამას ამბობდა ქართველი, სპარსეთში გადახვეწილი“ ეკუთვნის ფერეიდნელ ქართველს სეიფოლა იოსელიანს. მაგრამ; როგორც ირკვევა, არც ს. იოსელიანის ლექსი და არც ხალხური სიმღერა სრულყოფილი არ უნდა იყოს.

ალნიშნული ლექსი (სიმღერა) 1947 წლიდან ხშირად მომისმენია მასწავლებელ გ. დადიანის ოჯახში. როცა ვ. სიდამონიძის წერილი წავიკითხე, დავინტერესდი და მივმართე გ. დადიანს. მან არ დაიზარა და მთლიანად ჩამაწერინა მის ოჯახში ს. იოსელიანის ავტორობით ცნობილი ლექსი სათაურით „ასე ამბობდა ქართველი“. აი ისიც:

„ასე ამბობდა სპარსეთში
დატყვევებული ქართველი:
– რაც უნდა მტანჯონ, მაწამონ,
მე არ გავხდები სპარსელი.
ხეზე დამკიდონ, ქვეშ ცეცხლი
შემინთონ, ისე ვიწვოდე,
მაშინაც ვეტყვი ჩემს მტარვალს:
მე ქართველი ვარ, იცოდე!
რა ვუთხრა მე იმ ქართველსა,
ვის ტანჯვა გასჭირვებია,
ანდა ისეთსა, რომელსაც
დიდება გაჰკვირვებია.
ქეთევან, შალვა, დიმიტრი,
ვისაც რომ დავიწყებია
და საკაძე გიორგი
ერთხელაც არ გახსენებია!“

ჩვენს მიერ მოყვანილი ლექსის ტექსტი ხელნაწერის სახით გ. დადიანის ოჯახში 1928 წლამდე ინახებოდა, შემდეგ კი დაკარგულა.

როგორც გ. დადიანმა გვიამბო, მამამისი მუშნი დადიანი ალნიშნულ ლექსს ხშირად იტყოდა ხოლმე და მასაც ამბობინებდა. მისივე გადმოცემით, მუშნი დადიანის ოჯახში თავს იყრიდა იმდროინდელი მოწინავე ქართველი საზოგადოებრიობა. გამორიცხული არაა, რომ 1923 წელს, როცა ს. იოსელიანი საქართველოში იმყოფებოდა, იგი მ. დადიანის ოჯახსაც სტუმრებოდა. ამ აზრს ისიც აძლიერებს, რომ გ. დადიანს, რომელიც

დაბადებულია 1914 წელს, ოდნავ ახსოვს, რომ მათ ოჯახში ვილაც „სპარსელი“ იყო. ამდენად, სავარაუდოა, რომ ს. იოსელიანმა მ. დადიანის ოჯახში ყოფნის დროს სახსოვრად დატოვა ალნიშნული ლექსის ხელნაწერი. ჩვენი აზრით ს. იოსელიანის ლექსს ნაწყვეტის სახით მიეღწევია გაზეთ „ტრიბუნამდე“ და ისე გამოუქვეყნებია რედაქციას.

გ. დადიანის ოჯახში შემონახული ლექსი, რომ ს. იოსელიანს უნდა ეკუთვნოდეს, ამას შემდეგი გარემოებაც ადასტურებს: ხალხურ სიმღერაში გვხვდება სიტყვა გადახვეწილი, ჩვენს მიერ მოყვანილ ტექსტში კი მის ნაცვლად ვკითხულობთ სიტყვას დატყვევებული, დატყვევებასა და გადახვეწას შორის განსხვავებაა. გადახვეწა საკუთარი სურვილით ხდება, დატყვევება კი ძალდატანებით. ცნობილია, რომ ს. იოსელიანის წინაპრები საქართველოს ავბედითობის დროს სპარსეთის შაჰმა ტყვედ წაიყვანა ფერეიდანში, აქედან, ბუნებრივია, ს. იოსელიანი თავის ლექსში იხმარდა სიტყვა დატყვევებულს და არა გადახვეწილს.

მ. რესვიაშვილი.
თბილისის 58-ე საშუალო სკოლის მასწავლებელი.

***

ძველი ჯარისკაცის ნაამბობი – ეს წერილი გაზეთ „წითელ დროშაში“ ნათელს ხდის, რომ ქართველები არა მხოლოდ ქართლ-კახეთიდან იყვნენ გადასახლებულნი სპარსეთში, არამედ სხვა რეგიონებიდანაც, კერძოდ, სამცხე-ჯავახეთიდან. ჩრდილოეთ-დასავლეთ ირანში, ქ. არდებილის სიახლოვეს მდებარე ერთი ირანული სოფლის მოსახლეობას ახსოვს, რომ მათი წინაპრები იყვნენ სოფელ უდიდან გადასახლებული და მათ სოფელსაც ამიტომ ერქვა უდე.

პ. გიქოშვილი
ძველი ჯარისკაცის ნაამბობი

(წითელი დროშა, ახალციხე, 1962, 19 დეკემბერი)

სპარსეთის ორ პროვინციაში, ქირმანსა და ფერეიდანში დღესაც მრავალი ქართული სოფელია, სადაც სამშობლოს მიწა-წყლიდან სხვადასხვა დროს ძალით აყრილი და გადასახლებული ქართველების შთამომავლობა ცხოვრობს. ამ უბედურ ადამიანებს დღემდე შეუნარჩუნებიათ მშობლიური ენა და ზნე-ჩვეულება. შეიძლება დღევანდელი სასაუბრო ენა ისეთი წმინდა არ იყოს, როგორც ჩვენი ქართლელი ან კახელი კაცისა, და რაც არ უნდა იყოს, ისიც გაოცებას იწვევს, რადგან დიდი ქარტეხილი გაუვლია. შეიძლება იქაურ გლეხს ზნეობა და ჩვეულება თავისი სიწმინდით ალარ შემორჩა.

ეს არავის აკვირვებს. საოცარი მხოლოდ ის არის: რაც შემორჩა, როგორ შემორჩა. ფერეიდანში არის სოფელი მარტყოფი. ესეც საკმარისია იმისათვის, რომ პატივი ვცეთ იქაურ მცხოვრებთა პატრიოტულ გრძნობას.

ეს ყოველივე საკმაოდ ცნობილი ფაქტია. მაგრამ ვფიქრობთ, მკითხველი გაოცდება, როცა გაიგებს, რომ სპარსეთში ყოფილა სოფელი უდე, სადაც თურმე ახლანდელ, ახალციხის რაიონის სოფელ უდიდან წინათ ძალით აყრილი და აწიოკებული მოსახლეობის შთამომავლები ცხოვრობენ – უდელები სპარსეთში!

მოვუსმინოთ მეფის არმიის ყოფილ ჯარისკაცს, ახალციხის რაიონის სოფელ არლის მკვიდრს, 75 წლის პეტრე ვარდიძეს, რომელიც 1914 წელს სამხედრო სამსახურს სპარსეთში გადიოდა, აი, რას გვიამბობს პეტრე ვარდიძე:

„ჩვენი ნაწილი ქ. არდებილში იდგა. ეს ქალაქი საკმაოდ მოზრდილი დასახლებული პუნქტია და თავრიზის აღმოსავლეთით 300 კილომეტრზე მდებარეობს. ცხენებს საკვები შემოაკლდათ და ნაწილის მეთაურმა მისი კერძოდ შოვნა დაავალა ჩვენი ოცეულის მეთაურს მირიმანოვს, რომელიც წარმოშობით თბილისიდან იყო და ქართულ ენას კარგად ფლობდა.

მირიმანოვმა ჩემთან ერთად ერთ სხვა ჯარისკაცსაც გამოუძახა და თან წაგვიყვანა, გავედით არდებილიდან და დავადექით გზას სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით. ორ სოფელში გავიარეთ, მაგრამ ვერაფერი ვიშოვეთ და გზა გავაგრძელეთ. მესამე სოფლის შესავალში, გზისპირზე, წყარო იყო და იქით მარტო გადავუხვიე. წყაროსთან ქალებს მოეყარათ თავი და ლაპარაკობდნენ. პირველად ყურს არ ვენდე, მაგრამ მალე გარკვევით მოვისმინე ქართული საუბარი და სახტათ დავრჩი. მირიმანოვმა აღელვება შემნიშნა და მომიახლოვდა. ეს ქალები ქართულად ლაპარაკობენ-მეთქი, – ვუთხარი მეთაურს. პირველად არ დამიჯერა, მაგრამ როცა თავისი ყურით მოისმინა, გაოგნებული დარჩა და ჩაილაპარაკა: „აი საკვირველება, აქ ქართველებს რა უნდათ!?“

ამის თქმა იყო და ქალები კივილ-ჟრიამულით სოფლისკენ გაიქცნენ. თხუთმეტი წუთიც არ იქნებოდა გასული, რომ თითქმის მთელი სოფლის მოსახლეობა ჩვენსკენ გამორბოდა, წინ მოდიოდა მაღალ-მაღალი კაცი, რომელსაც ეტყობოდა შუახნის იქნებოდა და სოფლისთავი უნდა ყოფილიყო. შეკრთომა შეგვნიშნეს, მაგრამ ნაბიჯს არ მოუკლეს და თავდახრით მოგვესალმნენ. ბოლოს ჩვენ მიერ თავკაცად მიჩნეულმა ტკბილი ქართულით მოგვმართა:

„ცუდი განზრახვით როდი მოვსულვართ. თქვენი სახით მივესალმები დიდი საქართველოს წარმომადგენლებს!“

უაღრესად დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ამ გულთბილმა შეხვედრამ, რომელიც ჩვენთვისაც და მათთვისაც მოულოდნელი იყო. გამოგვკითხეს ვინაობა და მისვლის მიზანი. შეკითხვებით არც ჩვენ ვასვენებდით. თავკაცმა სახლში მიგვიპატიჟა და ჩვენთან ერთად რამდენიმე ახლობელიც წამოიყვანა. უნდა გენახათ, როგორ მოგვჩერებოდა ასობით აცრემლებული თვალი! უმთავრესად ქართულად ლაპარაკობდნენ და აქა-იქ სპარსულ სიტყვებსაც ურევდნენ...

მირიმანოვმა მასპინძელს სოფლის სახელი ჰკითხა, მაგრამ თავკაცმა ამ კითხვაზე პასუხი უცბად არ გასცა და ასე დაიწყო:

„ნახევარი საათის წინ წყაროზე მყოფმა ქალებმა შემატყობინეს სამი რუსის ჯარისკაცი მოვიდა, რომლებიც ქართულად ლაპარაკობენო. მე ალარ დამიყოვნებია და თქვენს შესახვედრად, ვინც თვალში მომხვდა, ყველა წამოვიყვანე“.

მასპინძელმა სადილის მოლოდინში განაგრძო:

„ჩვენი წინაპრები საქართველოდან, მესხეთიდან არიან. ჩვენს დიდ სამშობლოს როცა სპარსელები შესევიან, ქართლიდან, კახეთიდან და მესხეთიდან მოსახლეობა აუყრიათ და სპარსეთში გადმოუსახლებიათ. თავრიზსა და არდაბილს („არდებილს“ მასპინძელი სწორად ვერ ამბობდა[245]) შორის მდებარე ტერიტორიაზე ახლაც არის 67 ქართული სოფელი, სოლო ჩვენი სოფლის დღევანდელი მცხოვრებლების წინაპრები სოფელ უდიდან ყოფილან. ამ სოფლის სახელიც უდეა. სამშობლო დაეკარგეთ და სევდად ესეც გეყოფა, რომ სოფლის სახელიც და ენაც არ დავკარგოთ“.

მასპინძელმა როცა გაიგო, რომ ჩემი სოფელი უდიდან სამ კილომეტრზეა, მღელვარებისაგან თავი ვერ შეიკავა და აცრემლებული გადმეხვია.

„მამას ასეთი საქციელი არ შეფერის, მაგრამ ჩემს პირობებში კაცს ბევრი რამ ეპატიება, – მითხრა მან. – ორი ქალიშვილი მყავს, აი, ესენი, დამემოწმებით, რომ ლამაზები არიან. აირჩიეთ ერთ-ერთი და ცოლად შეირთეთ, უცოლო კაცი ხართ. მინდა სამარეში ისე ჩავიდე, რომ ჩემი ოჯახის ერთი წევრი მაინც სამშობლოში მეგულებოდეს“.

რაღა ბევრი გავაგრძელო, სიძეობას ვიკისრებდი, მაგრამ ჯარისკაცს სად წამეყვანა ცოლი. ჩემს მაგივრად ნარიმანოვმა[246] თავი გადაიქნია და უთხრა, რომ ჯარისკაცს ნაწილში ცოლის მოყვანის უფლება არ აქვს.

სოფლის თავკაცმა მოსაწონი მასპინძლობა გაგვიწია. ამ ღამეს არ გაგვიშვა (30 კილომეტრი სახიფათო გზა გვქონდა გასავლელი) და მეორე დღეს განშორების სევდით მოცულმა ჯორ-აქლემებზე დატვირთული ნაჩუქარი ქერით და შემდეგი სიტყვებით გამოგვისტუმრა:

„ვმადლობ ალახს, რომ ჩემს სახლში დიდი სამშობლოს შვილები მომიელინა!“

პ. გიქოშვილი

***

სეიფოლა იოსელიანი საქართველოში – სტატიის ავტორი საუბრობს სეიფოლა იოსელიანის ლექსებზე, ასევე მის მიერ სპარსულიდან ქართულად შესრულებულ თარგმანზე. ამ წერილს გამოეხმაურნენ ამავე გაზეთის შემდეგ ნომერში და სეიფოლას

245. სპარსულად სწორედაც რომ ასე გამოითქმის – „არდბილ“.

246. კორექტურაა, მირიმანოვი უნდა ეწეროს.

მიერ დაწერილი ლექსის შესახებ ახალი ინფორმაცია მიაწოდეს მკითხველს. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ პირველი ლექსი არ უნდა ეკუთვნოდეს სეიფოლა იოსელიანს, რადგან ის მცირედ სახეცვლილი ნაწილია ლექსისა, რომელიც დაწერა 1896 წელს ლიდია მგალობლიშვილმა, რომლის ფსევდონიმი იყო „იმერელი ქალი“.

ვ. სიდამონიძე
სეიფოლა იოსელიანი საქართველოში

(სამგორი, 1965 წ., 21 ოქტომბერი N126 (3018), გვ.4)

1922-23 წლებში საბჭოთა საქართველოში შორეული ირანიდან ჩამოვიდა ფერეიდანში მცხოვრებ ქართველთა ერთი თავკაცი და მათი წარმომადგენელი სეიფოლა იოსელიანი. ქართველი მწერლები და მოღვაწენი მას იშვიათი მასპინძლობით შეხვდნენ.

სეიფოლა იოსელიანი „დიდი საქართველოდან“, (როგორც იგი ამბობდა ხოლმე), ამავე 1923 წლის 13 ოქტომბერს წავიდა და დედა-სამშობლოზე მრავალი კარგი მოგონება წაიღო.

„რაც აქ ვნახე და გავიგონე, ყველას უკლებლივ ჩვენ მოძმე ქართველებს გადავცემო“, – ამბობდა იგი.

თბილისიდან წასვლის დროს სასურველ სტუმარს გამოსათხოვარი სალამო მოუწყეს. იოსელიანს მიესალმა ცნობილი პოეტი იოსებ გრიშაშვილი.

ირანში ჩასული სეიფოლა იოსელიანი სწვევია იმ დროს ირანში მყოფ საბჭოთა საქართველოს ოფიციალურ წარმომადგენელ ამბაკო ჭელიძეს.

ამის შესახებ იგი წერს: „ჩემთან მოვიდა საქართველოდან ახლადდაბრუნებული სეიფოლა იოსელიანი. ბოხოხი ეხურა, ხაკისფერი ქურთუკი, გალიფეს შარვალი, პალტო ეცვა. ერთი სიტყვით, სრულებით არ გავდა იმდროინდელ ირანელ მოქალაქეს. სულიერი განწყობილება – კმაყოფილი მხიარული. ყველაფერს საქართველოს ქებით იწყებდა და ამითვე ათავებდა. მოსწონდა განსაკუთრებით თბილისი, კმაყოფილებით იგონებდა სხვადასხვა ქალაქებში გატარებულ დროს. დიდი მადლობით იხსენიებდა ყველას“ (ა. ჭელიძე: ფერეიდანელი ქართველები, გვ.11).

სეიფოლა იოსელიანი ეტყობა პოეტურ ნიჭს როდი ყოფილა მოკლებული. 1923 წელს თბილისში ყოფნის დროს მას დაუწერია ლექსები: „ამონაკვნესი“ და „სამშობლოს ხილვით აღტაცებული“. ორიცე თეთრი ლექსია. მათში გამოსჭვივის სამშობლოს სევდა. პირველი ლექსი 1923 წელსვე გაზეთ „ტრიბუნაში“ დაუბეჭდავთ. (1923 წ., N568), ხოლო მეორე – დიდი ქართველი პოეტის გალაქტიონ (ასეა!) ტაბიძის ჟურნალში (იხ. „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი“ 1923 წ. N31),

მოგვყავს ეს ლექსები:

ამონაკვნესი

ასე ამბობდა სპარსეთში ქართველი:
რაც უნდა მტანჯონ, მაწამონ,
მე არ გავხდები სპარსელი.
მახსოვს, რომ მე ვარ ქართველი,
მით მიყვარს ქართველთ სახელი.
სამშობლოს ხილვით აღტაცებული
სამას ორმოც წელს უკან
სამშობლოში მოვსულვარ ეხლა.
ფეხი დაედგი სამშობლოში ცხელი,
თვალებიდან წარმოვიდა ცრემლი.
გულო, რა გინდა ეხლა?
ფეთქავ სულითა ეხლა.
თავო, ფიქრი რა გაქვს ეხლა,
ველარ დავთმობდი გულსა
გადავაბიჯო ეგეთ ალაგსა.
თვალებო ხედავთ რასაცა,
ყოფილა ჩვენი გვარისა.
ყურო, რა გესმის შენა?
მე მესმის ქართული ენა!
სამშობლოში ვარ ეხლა,
ჩვენ ძმებთან ვართ ახლო.
გულო არამც რა დაგაკლდეს,
ფერო არამც რა მეგეხმოს.
კიდევ იმედი არი.
სამშობლოში ვართ ერთად.
გული მქონდა მე ცხელი
საქართველოს მოველი.
თუკი შევიძელ ეხლა,
კავშირს შევკრავ მე ეხლა,
ხელი არ აიღებისა,
სამშობლოს ძმებისა.
ხელი როგორ ავიღოთ
ძმებათ უნდა მივიღოთ.
როგორც ყოფილა წინათ
ყოფილა ჩვენი მიწა“.

ბოლო დროს გამოირკვა, რომ სეიფოლა იოსელიანს თბილისში უთარგმნია დიდი ირანელი პოეტის საადის ერთი პოეტური სიტყვა კრებულიდან „გულისტანი“. იოსე-

ლიანს ეს თარგმანი გადაუცია რომელიღაც ქართული გაზეთისა თუ ჟურნალისათვის, მაგრამ არ დაბეჭდილა. შემდეგ კი ეს თარგმანი ქართველი პოეტის გრიგოლ ცეცხლაძის პირად არქივში მოხვედრილა. თარგმანს თვით მთარგმნელის ხელით მიწერილი აქვს: „სპარსულიდან ნათარგმნი სეიფოლა იოსელიანის მიერ 1923 წ. სასტუმრო „ნოე“. პოეტ გრ. ცეცხლაძეს კი მიუწერია: „სეიფოლა იოსელიანი ფერეიდანელი ქართველი იყო თბილისში 1923 წელს. გრ. ცეცხლაძე“.

ს. იოსელიანის თარგმანის დედანი 1964 წელს გრ. ცეცხლაძეს საქართველოს სსრ სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმისათვის შეუწირავს მისი დაცვის მიზნით.

ვინ იცის სეიფოლა იოსელიანს კიდევ ჰქონდა ლექსი და თარგმანები, მაგრამ გადაურჩა კი დალუპვას?

ვ. სიდამონიძე.

***

ჩვენი შორეული წინაპრები – ავტორი მიმოიხილავს მე-17 საუკუნის საქართველოს ისტორიას, შაჰ-აბასის მიერ ქართველების გადასახლების ამბავს, შემდეგ კი ფერეიდნელ ქართველებთან ურთიერთობის ისტორიას, რომელიც იწყება საქართველოში ათამ ონიკაშვილის ჩამოსვლიდან.

ლევან ფრუიძე
ჩვენი შორეული წინაპრები

(კომუნიზმის დროშა (ამბროლაურისა და ლენტეხის რაიონები), 1965, 2 ნოემბერი N131 (593)

ჩვენი შორეული წინაპრები

მე-17 საუკუნე საქართველოს ძნელბედობის ხანა იყო. მრავალტანჯულ ქართველ ხალხს ჯერ კიდევ თემურ-ლენგის სისხლიან ლაშქრობათა საბედისწერო ჭრილობები არ მოეშუშებინა, რომ ირანის ცბიერმა მბრძანებელმა შაჰ-აბაზმა ჩვენი სამშობლოს მოსპობა განიზრახა. თუმცა ძველი სპარსეთის დიდება უკვე ჟამთასრბოლის წყვდიადში ჩაესვენა, მაგრამ ყიზილბაშთა ენერგიით ძალამოცემულ ირანის ლომს ისევ საშიში მადა ჰქონდა.

მე-15 საუკუნის შუა ხანებიდან ბიზანტიის ნანგრევებზე ოსმალთა მტაცებლური და ძლიერი სახელმწიფო აღორძინდა, რომელმაც თავის მახვილით მთელი ევროპა შეაშფოთა, ხოლო უახლოეს მეზობელ ირანს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაუმართა. განხეთქილების „ოქროს ვაშლი“ „გურჯისტანის საკითხიც“ იყო. საქართველოში ფეხის მოკიდება მთელ კავკასიაში გაბატონებას ნიშნავდა, კავკასიისაკენ კი

დიდი ხანია „ჩრდილოეთის მეფე“ მოისწრაფოდა. სამი გოლიათის წინააღმდეგობათა კვანძი ჩვენი სამშობლოს ლაჟვარდოვან ცაზე ავბედითად იხლართებოდა და „სისხლის წვიმებს“ დასასრული არ ჰქონდა. 1555 წელს ამასიის ცნობილი ზავით ირანმა და თურქეთმა საქართველო გაიყვეს. დასავლეთ საქართველო თურქეთმა მიისაკუთრა, ხოლო აღმოსავლეთი ირანმა. ქართველი ხალხი ამ აღმაშფოთებელ უკანონობას არასდროს არ შერიგებია და თავის ქვეყნის ერთიანობისა და დამოუკიდებლობისათვის გმირულად იბრძოდა. მე-17 ს. გარიჟრაჟზე, როცა შაჰ-აბაზმა „ამაყი გურჯები“ ვერ დაიმონა, მათ მეთოდურ განადგურებას შეუდგა. პირველად 1614 წლის ზაფხულში ილაშქრა, ხოლო მეორედ კახეთის აჯანყებით განრისხებულმა 1616 წლის აღრე გაზაფხულზე. შაჰის სასტიკ შურისძიებას საზღვარი არ ჰქონდა. უმაგალითო ხოცვა-ჟლეტა გაჩაღდა. ცოცხლად დარჩენილებს მშობლიურ კერას წყვეტდნენ და შორეულ ირანში მიერეკებოდნენ. სპარსეთის მშიერი მიწა ქართველთა სისხლით მოირწყო და ძვლებით მოიკირწყლა. დატყვევებულებს გზადაგზა პირუტყვებივით ყიდიდნენ, ხოლო ვინც გაყიდვას გადურჩებოდა (ასეა!) ყოველგვარ შემწეობისა და მხარდაჭერის გარეშე უდაბურ ადგილებში უნდა დასახლებულიყო. მართალია, შაჰ-აბაზმა გულისწადილი ვერ შეისრულა – საქართველო ვერ მოსპო, მაგრამ დედასამშობლოს 100 ათასი მცხოვრები მოსწყვიტა, ისინი ძირითადად ივრის ხეობიდან აჰყარა. ვერაგ და შორსმჭვრეტელ მბრძანებელს ეწადა დატყვევებულები თავისი ქვეყნის სასარგებლოდ გამოეყენებინა, სახელდობრ სურდა შუაგულ ირანში მაღალკულტურული მიწათმოქმედნი ჰყოლოდა, აგრეთვე სატახტო ქალაქი ისპაჰანი მომთაბარეთა შემოსევებისაგან დაეცვა. ამასთანავე პირადი გვარდია გამრჯე და მამაცი ქართველი ჯარისკაცებით შეევსო, ოლონდ ჯერ მათთვის ქართული სული უნდა წაერთმია. მაგრამ აქაც დამარცხდა ირანის ყოვლისშემძლე უზენაესი; მან ტყვეებში არა თუ ეროვნული თვითშეგნების, ქართული ენის შებღალვაც ვერ შესძლო...

გავიდა ხანი, ჟამთასრბოლის ბორბალი საქართველოსათვის წალმა დატრიალდა. სიცოცხლისუნარიანი ქართველი ერი ისტორიის ქარტეხილებს გადაურჩა. დრომ დავიწყების მტვერით დაჰფარა მე-17 საუკუნის სისხლიანი ამბები და მე-19 საუკუნის მეორე ნახევრამდე ჩვენ თითქმის არაფერი ვიცოდით სპარსეთში ტყვედ წაყვანილი ქართველების შესახებ. მხოლოდ, „ქართლის ცხოვრებაში“ იყო ერთადერთი ძუნწი ცნობა – „შაჰაბასი მოვიდა, კახეთი აჰყარა და სპარსეთში გადაასახლა“, ისიც უყურადღებოდ დარჩენილი. მაგრამ 1871 წელს თბილისში გამოჩნდა სპარსეთიდან გადმოხვეწილი კაცი, რომელმაც საკვირველი ამბავი მოიტანა: ირანის სიღრმეში, ისპაჰანიდან 90 კილომეტრის დაშორებით ბახტიარის მთებში არის პროვინცია ფერეიდანი, სადაც ათასობით ქართველი ცხოვრობს, კარგად შენახული აქვთ დედაენა და ეროვნული თვითშეგნებაო. ეს მაცნე გახლდათ ფერეიდანელი ქართველი ათამონიკაშვილი, რომელმაც „დიდ საქართველოში“ პირველად მოუთხრობთ გადახვეწილ თანამოძმეთა ჭირ-ვარამზე და სამშობლოში დაბრუნების დაუცხრომელ სურვილზე. ქართულ პრესაში ჩნდება გულთბილი წერილები. „ფერეიდანელი ქართველების“ შესახებ. ცნობილმა მწიგნობარმა ზაქარია ჭიჭინაძემ 1895 წელს გამოაქვეყნა წიგნი

„ქართველები სპარსეთში და საქართველოში მოსული სპარსელი ქართველი ათამ ონიკაშვილი".

პირველი ქართველი მოღვაწე, რომელიც ფერეიდანში საგანგებოდ გაემგზავრა (1894 წ.) იქაური ქართველების ყოფაცხოვრების შესასწავლად ლადო ალნიაშვილი იყო. ლ. ალნიაშვილი თავის შთაბეჭდილებებს ჯერ „მოამბეში" აქვეყნებდა, ხოლო 1896 წელს გამოსცა წიგნი „სპარსეთი და იქაური ქართველები". ლ. ალნიაშვილის ცნობების თანახმად ფერეიდანში 14 ქართული სოფელია – ზემო მარტყოფი, ქვემო მარტყოფი, ჩულურეთი, ნინოწმინდა და სხვ. სულ 12-15 ათასი მცხოვრებით. ისინი თავს შაჰ-აბაზის მიერ გადმოსახლებულად თვლიან. მძიმე ცხოვრებას ეწევიან, ფეოდალთა უღლის ქვეშ გმინავენ, ეროვნულ ჩაგვრას განიცდიან და იძულებულნი არიან მეზობელ მომთაბარე ყაჩაღ ტომებთან განუწყვეტელი ომები აწარმოონ. მათი შემწე და დამცველი მხოლოდ საკუთარი მარჯვენაა. მიუხედავად ამისა შენარჩუნებული აქვთ დედაენა, ზნეჩვეულებაც და ეროვნული თვითშეგნება. ლ. ალნიაშვილი წერს: „ყოველი მათგანი, დიდი თუ პატარა, ქალი თუ კაცი, ბავშვი თუ მხცოვანი, აღიარებს თავს წმინდა ქართველად. ვერავინ გაბედავს მათ სხვაფრივ მოხსენებას, თუ არ გურჯი. მას ესმის, რომ ის გურჯია და ესმის სრულის შეგნებით. ესმის და თავი მოსწონს ამით. პირველი ქართველი მას ჯერ თავისი თავი ჰგონია და მერე სხვები. ჩვენ შეგვიძლიან უფრო შორს წავიდეთ ამ შემთხვევაში და ვთქვათ, რომ მას არამც თუ არ დაუკარგავს დღევანდლამდე თავისი ნაციონალური სიამაყე და მედიდურობა, არამედ ნამდვილი პატრიოტული გრძნობაც შერჩენია". (გვ.200).

ამ ხნიდან მოკიდებული ფერეიდნელ ქართველებთან ურთიერთობა არ შეწყვეტილა. მათ შესახებ ქართულ, რუსულ და სომხურ პრესაში წერილები ხშირად იბეჭდებოდა, მაგრამ ახალი მნიშვნელოვანი ცნობების მიღება მხოლოდ 1922 წელს მოხერხდა, როდესაც სპარსეთიდან საქართველოში ფერეიდანელი ქართველი სეიფოლა იოსელიანი ჩამოვიდა. სეიფოლამ იგრძნო „დიდი საქართველოს" განახლების ბედნიერება და ფერეიდანში აღფრთოვანებული დაბრუნდა. იქ ქართული სკოლა გახსნა და დიდი პოპულარობა მოიპოვა. მას ათასობით მოსწავლე ჰყავდა, მაგრამ მალე ადგილობრივ ხელისუფალთა მუხანათობის მსხვერპლი შეიქმნა. ს. იოსელიანის მასალებზე დაყრდნობით ენათმეცნიერმა ა. ჩიქობავამ შეისწავლა ფერეიდანული კილო, როგორც ქართული ენის ერთ-ერთი დიალექტი და ორი ნაშრომი გამოაქვეყნა. 1926-27 წლებში ფერეიდანში იმოგზაურა სპარსული კლასიკური ლიტერატურის შესანიშნავმა მთარგმნელმა ამბაკო ჭელიძემ. საქართველოში დაბრუნების შემდეგ მან ფერეიდანელი ქართველების შესახებ 1935 წელს წიგნი დაბეჭდა (მეორედ გამოიცა 1951 წ.), ხოლო 1944 წელს ფერეიდანში იყო კინორეჟისორი ირაკლი კანდელაკი, რომელმაც იქაური ქართველების ყოფა-ცხოვრების ამსახველი დოკუმენტალური (ასეა!) ფილმის გადაღება შესძლო. ი. კანდელაკი 1960 წელს ჟურნალ „პიონერში" (N5) წერს: „მართალია, შაჰ-აბასი დიდი ხანია გარდაიცვალა, მაგრამ მისი ულმობელი კანონები კვლავ ძალაშია. ფერეიდანელი ქართველები კვლავ განიცდიან დევნას. მათ უკრძალავენ ქართული წიგნებისა და ხელნაწერების შენახვას. სპობენ

და ანადგურებენ ყველაფერს, რაც მშობლიურთან, ქართულთანაა დაკავშირებული. მრავალი ქართული წიგნი ჩაიფერფლა ფერეიდანში, მაგრამ სამშობლოს სიყვარული ვერ იქნა და ვერ ჩაკლეს მათ გულში“ (გვ.10).

სამწუხაროა ჩვენი შორეული თანამოძმეთა ბედი, მაშინ, როდესაც საბჭოთა კავშირის ერთა ძმურ ოჯახში ჩაბმული ჩვენი რესპუბლიკა მოწინავე ინდუსტრიულ-აგრარულ ქვეყანადაა ქცეული, შეუდარებლადაა აყვავებული და მეცნიერების, ხელოვნების, თუ სპორტის მწვერვალებს იპყრობს, სამ საუკუნე ნახევარი ტყვეობაში მყოფი, ჩვენი ეროვნული სხეულის ნაწილი ფერეიდანელი ქართველები კვლავ შუასაუკუნოვან სიბნელეში ცხოვრობენ. ბედნიერება არ არსებობს სხვის მიწაზე. დროა გამოსწორდეს ისტორიის ბედუკუღმართობა და ისინი თავიანთ სამშობლოს დაუბრუნდნენ.

ლევან ფრუიძე.

***

ფერეიდანელი ქართველი ქალები – სტატიაში ბევრი იმპროვიზაციაა და ვითომდა ციტატებში ძალიან ბევრი ენობრივი ხარვეზია. ფერეიდნული ტექსტი არ არის ბუნებრივი, იმიტირებულია.

ნოდარ კოჭლაშვილი
ფერეიდანელი ქართველი ქალები მოგზაურის შთაბეჭდილებანი

(საქართველოს ქალი, 1969, N2. გვ.20-22)

მატარებელმა მდინარე არაქსი გადასერა და ირანის გარუჯულ ტრამალებს გაუყვა. თვალწინ წარმომიდგა ფეხდაწყლულებული ქართველი ქალები და გასაცოდავებული ბავშვები, შაჰ-აბასის ურდოები საქართველოდან შორეული ფერეიდნისკენ რომ მიერეკებოდნენ.

რამდენი ტანჯვისა და წამების მოწმე უნდა ყოფილიყო ქართველი ამ გაუთავებელ გზაზე! რამდენის სიცოცხლეს შეიწირავდა ეს გზა!

ქართველების ნაწილმა ტანჯვითა და წვალებით ჩააღწია ფერეიდანში, სადაც მათ უბედური ცხოვრება ელოდათ.

საქართველოს ამწვანებული ბაღ-ვენახებისა და აბიბინებული მინდორ-ველების შემდეგ მწირ და მზით გადამწვარ ბახტიარიის მთიანეთში ადვილი წარმოსადგენია ქართველი ტყვეების ბედი, მაგრამ მათდა საქებურად უნდა ითქვას, რომ აქაც სასოწარკვეთილებას არ მისცემიან ქართველები. სამშობლოში დაბრუნების იმედმა მათ სოფლები ააშენებინა. სოფლებს კი თავისი მშობლიური ქართული სახელები – თორელი, მარტყოფი, რუისპირი, ვაშლოვანი და სხვა – უწოდეს.

უცხო მიწაზე ქართველისათვის მთავარი მაცოცხლებელი ძალა სამშობლოში დაბრუნების იმედი იყო. ამ იმედის ამოძირკვა ყიზილბაშებმა მისი გამუსულმანებით მოინდომეს. ქრისტიანობის უარყოფა ქართველობაზე ხელის აღებას ნიშნავდა. ამიტომ იგი არ შეუშინდა წამებით სიკვდილს. წამება კი „ურჩი“ ქართველებისათვის მრავალნაირი იყო. სიკვდილის კალოზე (დღესაც ასე ეძახის ფერეიდნელი ზემო-მარტყოფის ცენტრს) ცოცხლად დაყრილ ადამიანებზე რკინის კევრს დაატარებდნენ. დედებს ძუძუებს აჭრიდნენ და ზედ მარილს აყრიდნენ. გაშიშვლებულ ტანზე თაფლწასმულთ მზეში ყრიდნენ და სხვა უამრავ საშინელებას მოგითხრობთ ფერეიდნელი ქართველი, გეტყვით, თუ როგორი ძალმომრეობით მოაქციეს იგი მუსულმანად და ბოლოს დაუმატებს: „ძალა ალმართსაც კი ხნამსო.“

მუსულმანური რელიგია ოფიციალური გახდა ქართველებისათვის, მაგრამ მათ მაინც შემოინახეს თავისი რწმენა. ფერეიდნელმა მორწმუნე ქართველმა, რომელსაც, რა თქმა უნდა, ეკლესია არა ჰქონდა, სოფელ რუისპირში (აფუსი) წყაროსთავი აირჩია და მას „სალოცავი“ უწოდა. აქ არც ეკლესიის ნანგრევია და არც მეჩეთისა. ეს არის კლდოვანი ადგილი, სადაც წყარო გადმოსჩქეფს. სწორედ აქ, ამ თავის სალოცავზე მიდის ქართველი და ქართულად ლოცულობს. შესაწირავი თუ აქვს, აქ ჰკლავს და ალაჰს კი არ მიმართავს, არამედ ღმერთს: „ღმერთო, შაიწირე საკლავ ჩემი ყე“. ეს სალოცავი იმდენაც მშობლიურია, იქ დღეობებსაც კი მართავენ. ეს ის პატარა კუნძული უცხო მიწაზე, სადაც ფერეიდნელი ქართველი თავის დიდ საქართველოს ფიქრებითა და გრძნობებით უკავშირდება.

უცხო მიწაზე ქართველი ქალი ვაჟკაცურად ამოუდგა გვერდში მამაკაცს და დაიწყო სახლების შენება, ისეთივესი, როგორიც მას „დიდ საქართველოში“ დარჩა, ხელი მიჰყო მიწის დამუშავებას, საქონლის მოშენებას და ბავშვების აღზრდას. ქართველი დედაკაცი დღე მამაკაცთან ერთად მინდორში მუშაობდა, ხოლო საღამოობით ოჯახის საქმეს აკეთებდა. მომთაბარე ლორების, ქურთების, კაშკაელებისა და ბახტიარების თავდასხმის დროს მას ცალ ხელში იარაღი ეჭირა, მეორეში – ჩვილი. მომხდურსაც იგერიებდა და ქართულ აკვანსაც უმღეროდა. ყანაშიც მუშაობდა და ზამთრის გრძელ ღამეებში შვილებს დიდ საქართველოზე უყვებოდა.

ქართველი ოჯახის ბურჯმა, ტყვექმნილმა ქართველმა ქალმა სამნახევარი საუკუნის მანძილზე უბით ატარა სამშობლო მიწის სიყვარული და შთამომავლობას წმინდად შემოუნახა თავისი მშობლიური ენა, ადათი და, რაც მთავარია, ქართული სული.

დიახ, დღეს მშობლიური ბახტიარიის მთებში, ფერეიდანში, სამნახევარი საუკუნის წინ სამშობლო მიწას მოწყვეტილი ერთი მუჭა ქართველები ქართულად თუ საუბრობენ და ქართული სულის მატარებლები არიან, ეს მხოლოდ და მხოლოდ ქართველი დედაკაცის დამსახურებაა.

ფერეიდანში სკოლის სახელიც კი არ იცოდნენ, მოზარდ თაობას კი სულიერი საზრდო, აღზრდა სჭირდებოდა.

ტყვედქმნილმა დედამ იცოდა, რომ ის იყო ქართველი, რომ ჩრდილოეთით არის მისი სამშობლო, დიდი მთებითა და ამწვანებული ტყე-მინდვრებით, და რომ მოვიდა შახ-აბასი და გააერანა მათი ნამდვილი ფუძე და ისინი აქ, ფერეიდანში წამოასხა, როგორც ნახირი. იცოდა, რაც თავს გადახდათ სამნახევარ საუკუნის მანძილზე და ამას უყვებოდა თავის შვილებს ზამთრის გრძელ ღამეებში. პატარა ქართველს დედა ასწავლიდა მათი ბედუკულმართი ცხოვრების ისტორიას. ეს იყო მისი ერთადერთი სკოლაც და გაკვეთილიც. ამიტომაცაა, რომ მთელმა ფერეიდნელმა ქართველობამ, ყველამ, დიდმა თუ პატარამ, ერთნაირად იცის თავისი ცხოვრების ტრაგედია, ერთნაირი ფაქტობრივი სიზუსტით, ისე თითქოს ყველას ერთი მასწავლებლისგან ესწავლოს თავისი ისტორია. როდესაც ფერეიდნელი თავისი ცხოვრების ამბავს გიყვება, ამას ყოველთვის ისეთი საოცარი გრძნობით გადმოგცემს, თითქოს მისი გადასახლება მოხდა არა სამნახევარი საუკუნის წინ, არამედ გუშინ, თითქოს გუშინ მოჰკიდეს ხელი ამ პატარა ბიჭსა თუ გოგოს და გაუყენეს შორეული ირანის გზას, და რომ საქართველოში მათ დარჩათ მშობლები, დები, ძმები, ნათესავები. ამიტომაცაა, რომ ფერეიდნელები საუბარში პირველად ყოველთვის შეგეკითხებიან: „რასა იქმნიან ყე დედაი და მამაი დაი და ძმაი დიდ საქართველოში.“

ქართველმა ფერეიდნელმა ქალმა სამნახევარი საუკუნის მანძილზე ცოცხლად შემოინახა ბეკრი რამ ისეთი, რაც ჩვენს წინაპრებს ჰქონდათ მეჩვიდმეტე საუკუნის დასაწყისში (ადათი, ზნე-ჩვევა, სანახაობანი, დღეობანი) და რაც დღეისათვის ჩვენთვის დაკარგული და ისტორიულია. რა თქმა უნდა, ამასაც ჰქონდა თავისი მიზეზები – ფერეიდნელი ქართველები იზოლირებულად ცხოვრობდნენ, ისინი არ ერეოდნენ ირანის საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ცნობილია მუსულმანი ქალის უუფლებობა. ფერეიდნელი ქართველი ქალი თუმც ოფიციალურად მუსულმანური რელიგიის მატარებლია, მაგრამ არ იზიარებს მუსულმანურ ადათ-წესებს. იგი თავის ოჯახში არა მხოლოდ დიასახლისია, არამედ ოჯახის ბატონ-პატრონი, ოჯახის დედაბოძიცაა. ქართველი მამაკაცი როდესაც სახლში შედის, ის ქუდს იხდის. მუსულმანური კანონებით კი მამაკაცს ქუდი ყოველთვის უნდა ეხუროს თავზე.

ფერეიდნელი ქართველი ქალი ჩადრს არ ატარებს თუ ქართველთა შორის ტრიალებს, ჩადრს იხვევს მხოლოდ მაშინ, როდესაც არაქართველს ხვდება.

ფერეიდნელებში მტკიცედაა დაცული ქართველებისათვის დამახასიათებელი ერთცოლიანობა, მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც აქაურ ქართველს ორი ცოლი ჰყავს და ესეც მაშინ, თუ პირველი მეუღლე უშვილო აღმოჩნდება, მაგრამ იგი იმდენად დიდ პატივსა სცემს პირველ ცოლს, რომ მეორეს ცოლს კი არ ეძახის, არამედ „ცოლის ფეხს“. ოჯახის დანგრევა, ანუ ცოლისა და ქმრის გაყრა ფერეიდნელი ქართველისათვის საერთოდ წარმოუდგენელია.

ფერეიდნელი ქართველი ცოლად არ თხოულობს უცხო ეროვნების ქალს. არც ქალი მიჰყვება ცოლად არაქართველს. ეს მათი წმიდათაწმიდა ადათია. ამ ადათით ფერეიდნელები ამაყობენ კიდევაც და ამბობენ: „ჩონ სისხლ და ხორც არ

წარგვიყვანია, სუფთად შამავინახეთ ყეო.“ თუმც დღეისათვის უკვე არის ამ ადათის უგულებელყოფის შემთხვევები, მაგრამ ამას თავისი მიზეზები აქვს.

ახლა ფერეიდანი ისეთი მიყრუებული პროვინცია როდია, როგორიც თუნდაც ამ ათი წლის წინათ იყო. იქ გაყვანილია საკმაოდ კარგი გზები, სოფლებში გახსნილია სამედიცინო პუნქტები და სკოლები (რა თქმა უნდა, ირანული). ამ სოციალურ-ეკონომიურმა რეფორმებმა, რომლებიც უკანასკნელ პერიოდში ირანში განხორციელდა, ხელი შეუწყო კარჩაკეტილობისა და იზოლაციის თანდათან მოსპობას. ამან, რა თქმა უნდა, თავისებურად იმოქმედა ფერეიდანის პროვინციის სოფლებზეც. ფერეიდნელი ქართველები ქალაქისაკენ მიეშურებიან სამუშაოად და ნელნელა ითქვიფებიან იქაურ საზოგადოებაში. ამდენად თანდათან ირღვევა ფერეიდნელ ქართველთა ადათ-წესები. თუ ქალი გახდა ამგვარი მოვლენის მსხვერპლი, იგი მწარედ განიცდის თავის ბედს და თავი „მიწაწაყრილ“ უბედურად მიაჩნია. ერთერთი ასეთი ქალი გახლავთ ნარგიზა პაპიაშვილი. მე მას შეკხვდი. იგი დალონებული და დარცხვენილი იჯდა. ჩემს ყველა შეკითხვაზე ორი სიტყვით პასუხობდა: „მე მრცხვენისო“. ბოლოს ისლა მთხოვა: „წაიყვანე ჩემი პატარა გოგონა დიდ საქართველოში, მე ირანელის მეუღლე ვარ და ვერასოდეს ვერ ვიხილავ ჩემს მამა-პაპათა ქვეყანასო. სხვათაშორის, რამდენიმე ფერეიდნელმა მამაკაცმაც ასეთი რამ მითხრა: „დედაკაცი სპარსელი მყავს და დიდ საქართველოში თუ შემოშვებენო.“

ნაძალადევმა გამუსულმანებამ, რაც ყველა ქართველს გუშინდელ დღესავით ახსოვს, ვერ დააცილა ქართველ ქალს ბევრი ისეთი ჩვევა, რომელიც დაკავშირებული იყო ქრისტიანულ კულტთან და ადრეულ საუკუნეებში გაიგივებული იყო ქართულ ჩვევებთან. მაგალითად, ფერეიდნელი ქალი პურს თონეში ჩაკვრისას ჯვრის სახეს ასვამს. ეს არის თავისებური პროტესტი ნაძალადევი გამუსულმანების გამო.

ფერეიდნელმა არ იცის, რომ ჯვარი ქრისტიანობის სიმბოლოა. იგი ძალით გამუსულმანეს და ამიტომ ყველა ქრისტიანული წეს-ჩვევა, რაც ფერეიდნელთა შორისაა შემორჩენილი, მისთვის არის მხოლოდდამხოლოდ ქართული და არა ქრისტიანული. თუნდაც ის ფერეიდნელი ქალი პურზე რომ ჯვარს აღბეჭდავს, ან კალოზე ხორბლის ზვინს ნიჩბით ჯვარივით რომ გადახაზავს, ქართულ აკვნებზე მძივებსა და ავგაროზებზე ჯვარს რომ ჩამოჰკიდებს, ან ყელზე ჯვარს რომ შეიბამს, იმას კი არ ნიშნავს, რომ იგი ამით ქრისტიანობას ინახავს, არამედ იმას, რომ ეს მისთვის ქართულია. ფერეიდნელს რომ ჰკითხოთ: რა არის ეს, ან რად ატარებთო, გიპასუხებთ: „ეს ჩონია, ქართულია ყე.“ ასევე გეტყვით სულიწმინდის მოფენის, ფერიცვალების, გაზაფხულის დღეობაზე (აღდგომას კვერცხებს წითლად ღებავენ) და სხვა.

ფერეიდნელმა ქართველმა ქალმა შემოინახა ერთი საინტერესო დღეობა, რომელიც ჩვენში უკვე დაკარგულია და ქართული ეთნოგრაფიისთვისაც უცნობია. ეს არის დედაკაცების დღეობა. ამ დღეობას ყველა ფერეიდნელი ქალი იხდის სოფელ რუისპირში, თავის „სალოცავზე“.

„გაზაფხულის ერთ დღეს ყე თოვლი რო აიღების, მინდორსა და ველსა ყე ყოილები

აღმოცენდების, ყოლა ჩონი დედაკაცი და ყორე[247] მაირთვების, მაიკაზმების რაი რამეცა აქვს საჩინო, ჩაიცმევის და მიდის „სალოცავზე“. ანქა ყე აირჩევნს (ასეა!) ნეფესსა. ნეფე უნდა იყოს ყორე ყველაზე ლამაზი და საზრიანი. თავზე ყოილების გვირგვინსა ადგამენ, ტახტსაცა ყოილებით მოურთავენ ყე და დასომენ ზედა და მთელი დღე სიმღერასა, ცეკვასა და შუშპრობაში ატარებენ.“

სხეათაშორის, ამ დღეობაში ქართველ ქალთა კრებული მამაკაცებს ახლოს არ იკარებს და თუ აღმოჩნდა ისეთი მამაკაცი, რომელიც მოიწადინებს მათთან მისვლას, ისეთ დღეს დააყრიან ყე, ისეთ დღეს, რომა თავის ქუდს დაწყევლინებს“.

– მაინც რას უზამენ?

– თავზე მაწონს წასცხებენ ყე, წყალში გალუმპავენ ყე, ვირზე უკუღმა შესვავენ ყე, მასხარად აქცევენ ყე“.[248]

ფერეიდნელი ქართველი ქალი ზამთრის გრძელ ღამეებში ბუხარს უზის და მატყლს ჩეჩავს, წინდებსა ქსოვს ან ჯარას ატრიალებს. აკვანში ჩაკრულ შვილს სევდიან ნანას უმღერის, ხოლო მოზრდილთ ქართულ ზღაპრებსა და თავიანთი ბედუკუღართი ცხოვრების ამბავს უყვება. გასართობად მას დრო არ რჩება. არის შრომის ერთი სახეობა, სადაც ქალი ასე თუ ისე ერთობა. ეს არის ე.წ. დღეებობა. ზაფხულობით კაკლის ხის ქვეშ, ხოლო ზამთრობით გომურ-ბოსლებში იკრიბებიან ქალები, მაწონს დღეებავენ და თან ერთობიან – ხუმრობენ, შაირობენ, მღერიან და სხვა.

ქორწინება ფერეიდნელ ქართველთა შორის შემდეგნაირად ხდება: საქორწილო ვაჟს მისი უფროსი ახლობლები ეკითხებიან, რომელი ქალი მოსწონს, ამის შემდეგ მარჯვექალები (მაჭანკლები) მიდიან ქალის ოჯახში და უცხადებენ თავიანთ სურვილს. ქალი და მისი მშობლები პასუხისათვის თხოულობენ მოსაფიქრებელ დროს. მართალია, ქალის გათხოვების საკითხს ოჯახის უფროსები წყვეტენ, მაგრამ გასათხოვრის აზრს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. თანხმობის შემთხვევაში, ქალის მხარე თავის მხრივ ვაჟის ოჯახში აგზავნის თავისიანებს მოსალაპარაკებლად, ლაპარაკია იმაზე, თუ ვაჟმა საჩუქრად რა უნდა მისცეს ქალის ოჯახს (საჩუქარი არის ფულადი და ნატურალური), აგრეთვე იმაზე, თუ ქალის ოჯახმა მზითვად რა უნდა გაატანოს ახანზალს (ე.ი. პატარძალს) ნეფის (სასიძოს) სახლში. მოლაპარაკების შემდეგ ხდება ნიშნობა ახანძლის სახლში, სადაც სანეფოს მიაქვს პირობით განსაზღვრული საჩუქრები და ინიშნება ქორწინების დღე.

ქორწილსაც აქვს მთელი რიგი ცერემონიალი, რომელიც უკვე სპარსულ-ქართულია, მაგალითად ინით შელებება, ქორწილში გართობა-თამაშობანი მოლიანად ქართულია. სუფრაზე ქალები ახანძალთან ერთად სხდებიან, ხოლო მამაკაცები – ნეფესთან. ქორწილი გრძელდება სამი დღე და ამ ხნის მანძილზე ახანზალი და ნეფე ცალცალკე არიან. მხოლოდ სამი დღის შემდეგ ხვდებიან ერთმანეთს და ამის შემდეგ

247. შეცდომაა, უნდა იყოს ყორი.

248. ესაა „ქალის მმართველობის“ დღესასწაული რუისპირში ანუ აფუსში (იხ. ნ.ნახუცრიშვილი, ქართულენადაკარული დასახლებები ირანში“, „მერიდიანი“,თბილისი, 2020. გვ.48-51.

ლებულობენ საჩუქრებს. თავის მხრივ საპატარძლო საჩუქრებს ურიგებს ნეფის ახლობლებს და მთავრდება საქორწილო ცერემონიალი.

ფერეიდნელებს წარმოდგენაც კი არ აქვთ ცოლ-ქმრის გაყრაზე.

„დედა“ ფერეიდნელთათვის წმინდა სიტყვაა. ამ სიტყვას იგი მოკრძალებით წარმოთქვამს. ოჯახის საქმეების გადაწყვეტისას დედასახლისის სიტყვა მამასახლისის (ოჯახის უფროსის) სიტყვასთან ერთად კანონია.

ღვინოს ფერეიდნელი ქართველები არ იყენებენ და ამიტომაც ქორწინების თუ მოსაგონებელ სუფრაზე შარბათსა და ჩაის სვამენ.

ფერეიდნელმა ქართველებმა ბევრი საინტერესო სიმღერები შემოინახეს, ისეთებიც, რომლებიც დღეს საქართველოში მივიწყებულია. სამაგიეროდ, ფერეიდნელებმა დაჰკარგეს ძარღვიანი მრავალჟამიერი (რა თქმა უნდა, მათ სამრავალჟამიეროდ არა ჰქონდათ საქმე), დარჩათ სევდიანი, მაგრამ მაინც ლირიული სოლო სიმღერები, სადაც უმღერიან სიყვარულსა და ჩიტს, რომელსაც თავისუფლად შეუძლია მთები გადაიფრინოს და დატოვებულ საყვარელ ბუდეში დაბრუნდეს.

საინტერესოა ფერეიდნელ ქართველთა ცეკვები. მათ თავისებური ქართული საცეკვაო რიტუალები აქვთ შემონახული, მაგალითად, ქალი და კაცი ერთად ცეკვავს, რაც სრულიად უცხოა ირანელისათვის. აქვთ ისეთი ცეკვები, როგორიც ჩვენს ქართულ სინამდვილეში უკვე აღარ გეხვდება. საინტერესოა ერთი ცეკვა, რომელსაც ფერეიდნელები დაველურს უწოდებენ. მოცეკვავე ქალი და ვაჟი წრეს უვლიან ერთდაიმავე დროს ცალცალკე. შემდეგ ისინი საპირისპიროდ დგებიან და მთელი ტანით ერთმანეთს ნაზად ეხებიან. შემდეგ ერთმანეთს ცილდებიან და უკვე ერთად უვლიან წრეს. ქალის ცეკვა ნარნარია და სტატიურია, ვაჟის კი ტემპერამენტიანი და მკვირცხლი. ცეკვის დროს მუხლებზე დაცემა და ყვირილი არ იციან.

ფერეიდნელ ქართველებში გამოირჩევიან მთქმელები და მოსიმღერები. ისინი გარკვეული პატივისცემით სარგებლობენ ხალხში. გავრცელებულია შაირობა და მელექსეობა, რაც არა მარტო დღეობებსა და ქორწილებში იციან, არამედ შრომისა და დასვენების დროსაც.

ფერეიდანში უკანასკნელ დრომდე მედიცინა ხალხური იყო. იყვნენ მკურნალები, ექიმბაშები. მათი ძირითადი მედიკამენტები იყო ბალახებისაგან დამზადებული წამლები და შელოცვა. ამ საქმეში გამოირჩეოდნენ მოხუცები. უმთავრესად ქალები, რომლებიც თავიანთ ხელობას შთამომავლობას გადასცემდნენ.

მართალია, ქართველი ფერეიდნელი ქალი უწიგნურია, მაგრამ მისმა საღმა გონებამ ბევრი ისეთი რამ შემოინახა, რაც ჩვენს წიგნებში აღნუსხული არ არის. აღსანიშნავია ისიც, რომ ბევრმა ფერეიდნელმა ქალმა ირანული ენა[249] არ იცის. მას არც აქვს ამ ენის შესწავლის სურვილი, რადგან ირანული ენა მისთვის არა მარტო უცხოა, არამედ მიუღებელიცაა მისი ქართული ბუნებისათვის.

ნოდარ კოჭლაშვილი

249. ავტორის შეცდომაა. არსებობს „ირანული ენები“, რომელთაგან ერთ-ერთია სპარსული ენა.

***

ამ დოკუმენტში ქართული საზოგადოების წარმომადგენლები სთხოვენ ვასილ მჟავანაძეს დაიწყოს ფერეიდნელთა ჩამოსახლების პროცესის მომზადება. გადმოსახლების პირველი მცდელობა იყო 1947 წელს, ამ წერილის ერთ-ერთი ხელისმომწერი, ა ასლანიკაშვილი, იმ დროსაც აქტიურად იყო ჩაბმული ამ პროცესებში. როგორც ჩანს, ძველი საქალაქდეებიდან ბევრი დოკუმენტი გადაალაგეს, როგორც მტკიცებულება.

Докладная записка членов комисии на имя первого секретаря ЦК КП Грузии по вопросу репатриации грузин, проживающих на территории Ирана, გვ. 1,2,3,4,5.

(ფონდი 14; საქმე 329; აღწერა 38)

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ამხანაგ ვ.პ. მჟავანიძეს

დიდად პატივცემულო ვასილ პავლეს ძე!

საქართველოს მძიმე ისტორიული წარსულთან დაკავშირებულ გადაუწყვეტელ საკითხთა შორის, რასაც ჩვენი ხალხი ძალიან მტკივნეულად განიცდის – ირანში გადახვეწილ ქართველ-ფერეიდნელთა რეპატრიაციის საკითხს პირველხარისხოვანი ადგილი უკავია.

თქვენთვის ცნობილია, რომ ჯერ კიდევ მე-17 საუკუნის პირველ მეოთხედში მრისხანე ირანელი დესპოტის შახაბაზის მიერ საქართველოს დაქცევისა და განადგურების მიზნით, კახეთის რაიონებიდან ძალდატანებით აყრილი იქნა 100 ათასამდე ქართველი მოსახლე, რომელნიც მან სპარსეთის ყველაზე მივარდნილ მწირ ადგილებში გადაასახლა.

გადასახლებულთა მნიშვნელოვანი ნაწილი გზაშივე დაიღუპა შიმშილისა და უადამიანო მოპყრობის გამო, ხოლო რაც გადარჩა, ჩასახლებული იქნა გილანის, მაზანდარანის და ისპაჰანის პროვინციებში.

გადასახლებული ქართველების უმეტესობა ასეული წლების მანძილზე შეერია სპარსელ მოსახლეობას და გადაგვარდა; მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც კომპაქტურად ჩასახლებული იქნა ისპაჰანის პროვინციის ფერეიდანის რაიონში, გადარჩა ასიმილაციას და უდიდესი ეროვნული გამძლეობის შედეგად, მიუხედავად იმისა, რომ სამ საუკუნეზე მეტმა დრომ განვლო, შეინარჩუნა მშობლიური ენა, წინაპრების ქართული გვარები, მრავალი ქართული ზნე-ჩვეულება და თვით იმ სოფლების სახელწოდებანიც კი, საიდანაც ეს ხალხი გადმოსახლებული იქნა. ამჟამად ამ სოფლებში შენარჩუნებულია დაახლოებით 15 ათასამდე ფერეიდნელი, რომელთაც ჯერ-ჯერობით კიდევ არ დაუკარგავთ ეროვნული თვითშეგნება, თუმცა აღსანიშნავია,

რომ ადგილობრივი ხელისუფლება სპარსულ სკოლებისა და სხვა საშუალებებით ცდილობს მათი ასიმილაციის პროცესის დაჩქარებას.

ძნელი გადმოსაცემია ის მძიმე მდგომარეობა, რომელშიაც იმყოფება ქართველი ფერეიდანელი მოსახლეობა ირანში: უალრესი სიღატაკე, გაუნათლებლობა, მძიმე ავადმყოფობანი, ბატონყმურ-ფეოდალური ხასიათის სოციალური ჩაგვრა და ამასთან დამატებით ეროვნული დევნა, გასპარსების ცბიერი პოლიტიკა – ყველაფერი ეს აკნინებს და აუტანელს ხდის მათ ცხოვრებას.

სამშობლოს ძალდატანებით მოწყვეტილ ფერეიდანელთა სანუკვარი იმედი მხოლოდ ისაა, რომ არსებობს „დიდი საქართველო“ (როგორც ისინი ჩვენს უწოდებენ), ქართველი ხალხი, რომელიც მათ მიხედავს და გადაარჩენს იმ ტანჯვას, რასაც ისინი უცხოეთში განიცდიან.

მოწინავე ფერეიდანელთა არაერთი ცდა, დაემყარებინა კავშირი საქართველოსთან, იმით თავდებოდა, რომ სპარსელთა ხელისუფლება სხვადასხვა ხერხით სპობდა მათ. ცნობილია ის ფაქტიც, რომ უკვე საბჭოთა პერიოდში ფერეიდანში საქართველოდან ამხანაგთა ჯგუფის ჩასვლამ იქაურ მოსახლეობაში უდიდესი პატრიოტული აღტაცება გამოიწვია და მან სამშობლოში დაბრუნების საყოველთაო სურვილი გამოსთქვა (შეგროვებული იქნა ხელმოწერაც).

ფერეიდანელთა საქართველოში რეპატრიაციის საკითხი რეალურად 1947 წელს დასვა; ჩატარებული იქნა გარკვეული წინასწარი მუშაობაც, მაგრამ მაშინდელი ხელმძღვანელი ორგანოების ამ საკითხში არასაკმარისი დაინტერესების გამო თითქმის სავსებით მომზადებული საქმე არ იქნა დაბოლოებული და საბოლოოდ ჩაიშალა.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამჟამად აღნიშნული საკითხი ისევ მომწიფდა. საბჭოთა კავშირის მიერ უკანასკნელ წლების მანძილზე მოძმე ერების ემიგრაციაში მყოფი მოსახლეობის მასობრივმა რეპატრიაციამ (უკრაინელების, კაზაკებისა და განსაკუთრებით სომხების), რასაც დადებითი შედეგები მოჰყვა, კარგი მაგალითია იმისა, თუ როგორ ზრუნავს საბჭოთა ხალხი უცხოეთში გადახვეწილ თავის შვილთა დაბრუნებისათვის და მათი სოციალისტურ მშენებლობაში ჩაბმისათვის.

ასეთ ვითარებაში ქართველ ფერეიდანელთა სამშობლოში რეპატრიაციის საქმეს მით უფრო მეტი იურიდიული და მორალური საფუძველი აქვს, რომ საქმე ეხება არა თავის ნებით ემიგრირებულ მოსახლეობას, არამედ ძალდატანებით და ფაქტიურად საუკუნეობრივ ტყვეობაში მყოფი მოსახლეობის დაბრუნებას.

ირანის მთავრობასთან ამ საკითხის მოგვარება საბჭოთა კავშირის წარმომადგენლობას, უნდა ვიფიქროთ, არ გაუჭირდება, ვინაიდან, როგორც ჩვენს პრესაში გამოქვეყნებულ ცნობიდან ჩანს, ანალოგიური საკითხი ირანში მცხოვრებ სომეხთა შესახებ, საბჭოთა მთავრობის თხოვნით, დადებით (ასეა!) გადაწყდა და ეს მოსახლეობა რამდენიმე ხნის წინად რეპატრიირებულ იქნა სომხეთში.

ფერეიდანელთა რეპატრიაციის განხორციელებას ისიც აადვილებს, რომ საქმე ეხება არა ასეულ-ათასობით უცხოეთიდან ჩამოსულ რეპატრიანტის დასახლება-მოწყობას

(როგორც ამას მაგალითად ადგილი აქვს მოძმე სომხეთში), არამედ დაახლოებით მხოლოდ 12-15 ათასი კაცის ჩასახლებას, რაც სათანადო ღონისძიებათა გატარების შედეგად, ჩვენს პირობებში სავსებით მოსახერხებელი იქნება (პრაქტიკულ ღონისძიებათა დასახვა საჭირო გახდება მაშინ, როდესაც საკითხი, პრინციპში, გადაწყდება).

ყველა ზემონახსენის დაფუძველზე ჩვენ საჭირო ვცანით, მოგმართოთ თხოვნით, რათა საქართველოს ხელმძღვანელ ორგანოების სახელით, დაისვას საკითხი საბჭოთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის წინაშე ირანში მყოფ ქართველ ფერეიდანელთა საქართველოში რეპატრიაციის შესახებ.

ეს თხოვნა, შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, გამოხატავს ჩვენი ხალხის ფართე საზოგადოებრივობის საუკუნეობრივ წადილს, ამასთან ღრმათ ვართ დარწმუნებული იმაში, რომ ცენტრალური კომიტეტისა და პირადათ თქვენი ჩარევის შედეგად, ეს დიდი ისტორიული მნიშვნელობის მქონე საკითხი დადებით (ასეა!) იქნება გადაჭრილი, რაც კიდევ კიდევ უფრო გაზრდის ჩვენი ხალხის სიყვარულსა და პატივისცემას მშობლიური კომუნისტური პარტიის მიმართ.

დანართი:
1. საქართველოს კპ ცენტრალური
კომიტეტის და საქ. სსრ მინისტრთა
საბჭოს წერილის პროექტი სკკპ ცენტრალური
კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ
ნ.ს. ხრუშჩევის სახელზე.
2. მოკლე ფაქტიური ცნობა ფერეიდანში
მცხოვრებ მოსახლეობის შესახებ და მისი
გეოგრაფიული განსახლების რუკა.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს საგეგმო
კომისიის თავმჯდომარეს მოადგილე,
მეცნიერებათა დამსახურებული მოღვაწე
/ი. მიქელაძე/

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის
მსუბუქი მრეწველობის სამმართველოს უფროსი
/გ. ჯაბუა/

საქ. სსრ მეცნიერებათა აკდემიის გეოგრაფიის
ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიკოსი
/დავითაია/

საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის გეოგრაფიის
ინსტიტუტის ეკონომიური გეოგრაფიის
განყოფილების გამგე, ეკონომიური მეცნ. კანდიდატი
/გ. გველესიანი/

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის გეოგრაფიის ინსტიტუტის
კარტოგრაფიული განყოფილების გამგე, გეოგრაფ.
მეცნ. კანდიდატი
/ა. ასლანიკაშვილი/
თებერვალი, 1963 წ. ქ. თბილისი

***

ამ წერილის ადრესატია ნ.ს. ხრუშჩოვი – საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი. მასში დასაბუთებულია ფერეიდნელი ქართველების საქართველოში ჩამოსახლების აუცილებლობა. იხსენებენ 1947 წელს, როცა ეს საკითხი დაისვა პირველად. წერილს ხელს აწერენ საბჭოთა საქართველოს კომუნისტური პარტიის პირველი მდივანი ვ. მჟავანაძე და საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გ. ჯავახიშვილი. ისინი სთხოვენ ნიკიტა ხრუშჩოვს, დაავალოს საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს, რომ მან შეძლოს ირანიდან იქ მცხოვრები ქართველების საბჭოთა საქართველოში ჩამოსახლების საკითხის დარეგულირება დიპლომატიური არხების გზით.

(ფონდი 14; საქმე 329; აღწერა 38. გვ.6)

Первому Секретарю Центрального Комитета КПСС
товарищу Н.С.Хрущеву

В первой четверти XVII века, в период нашествия на Грузию Шаха Аббаса I, из Кахетии было насильственно угнано и переселено в отдельные районы Ирана около 100 тысяч грузинского населения,

Значительная доля этих переселенцев погибла, или же смешалась с персидским населением, однако некоторая его часть, загнанная иранскими властелинами в малопроизводительный горный район Фереидан, спаслась от ассимиляции и, несмотря на то, что с тех пор прошло более трех веков, по сей день сохранила свое национальное лицо и родной язык.

По имеющимся у нас достоверным данным, сохранившиеся в Иране грузины-фереиданцы, общая численность которых не превышает

15 тыс. человек, находятся в очень тяжелых условиях, испытывают большую материальную нужду и выносят на своих плечах тяжесть как помещичье-феодального гнета, так и национального угнетения иранских властей.

В означенных обстоятельствах, всеобщим желанием грузин-фереиданцев, можно сказать их заветной мечтой, является репатриация в Грузию и приобщение к жизни и культуре советского народа.

Данный вопрос был поставлен перед Иранскими властями еще в 1947 году и была проведена соответствующая подготовительная работа по организации репатриации фереиданцев. Однако, вследствие непроявления дольной заинтересованности со стороны тогдашнего руководства, это уже почти полностью налаженное дело не было доведено до конца и в конечном итоге сорвано.

В настоящее время вопрос о репатриации грузин-фереиданцев вновь назрел, и он настойчиво ставится широкими слоями общественности нашей республики, ибо она хорошо знает о той огромной заботе со стороны Центрального Комитета партии и лично Вас в отношении находящихся в эммиграции представителей народов СССР, желающих вернуться на родину и приобщиться к коммунистическому строительству. Наглядным свидетельством этому является удачно проведенная за последние годы массовая репатриация в Советский Союз зарубежных украинцев, казаков и армян.

Возвращение фереиданцев в Советскую Грузию имеет тем больше правовых и моральных оснований, что это население эмигрировало не по собственной воле, а было насильственно угнано и по существу является долговременными пленниками иностранного государства.

Получение согласия Иранского правительства на репатриацию грузин-фереиданцев очевидно не встретит больших затруднений, поскольку совсем недавно, аналогичный вопрос о репатриации большой группы иранских армян по ходатайству Советского Правительства был решен положительно, и они уже вернулись на родину.

Практическое осуществление репатриации грузин-фереиданцев облегчается тем обстоятельством, что в данном случае речь идет о заселении и трудоустройстве не сотен тысяч возвращающихся на родину репатриантов (как это имеет место, например, в братской Армении), а лишь о приеме и расселении каких-либо 12-15 тысяч человек, что в условиях Грузинской ССР вполне возможно.

В связи с вышесказанным, Центральный Комитет КП Грузии и Совет Министров Грузинской ССР просят Вас поручить Министерству иностранных дел СССР добиться урегулирования через дипломатические каналы вопроса о репатриации из Ирана проживающих там грузин в Советскую Грузию.

Секретарь Центрального Комитета КП Грузии
В.П.Мжаванадзе
Председатель совета Министров Грузинской ССР
Г.Д.Джавахишвили
«.....» февраля 1963 г.

***

საიდუმლო დოკუმენტი – საბჭოთა საქართველოს ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ვასილ მჟავანაძის წერილი საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. ა. გრომიკოს სახელზე. წერილში საუბარია ფერეიდნელი ქართველების ჩამოსახლების შესახებ. გამოხატულია საქართველოს ცენტალურ კომიტეტის პოზიცია, რომ თავიანთი ქვეყნიდან იძულებით აყრილი ფერეიდნელი ქართველების ბედის ანაბარა მიტოვება არ შეიძლება. როგორც ვ. მჟავანაძე წერს, ირანში მცხოვრები ფერეიდნელი ქართველების დელეგაცია ბოლო პერიოდში ორჯერ ეწვია ირანში საბჭოთა კავშირის საელჩოს და გადასცა წერილი საბჭოთა საქართველოს უმაღლესი საბჭოს სახელზე, რომელშიც ისინი იმედს გამოთქვამენ, რომ საბჭოთა ხელისუფლება მათ მორალურ და მატერიალურ მხარდაჭერას გაუწევდა.

წერილის ბოლოს ვასილ მჟავანაძე ინტერესდება, რას ფიქრობს ამ საკითხზე ა. ა. გრომიკო, სანამ ფერეიდნელ ქართველთა რეპატიაციის წინადადებით წარდგებოდა საბჭოთა მთავრობის წინაშე.

(ფონდი 14; საქმე 329; აღწერა 18)

Секретно
МИНИСТРУ ИНОСТРАННЫХ ДЕЛ СССР
А.А.ГРОМЫКО

По имеющимся сведениям, составленным Посольством СССР в Тегеране, в Фериданском районе Исфаганской провинции Ирана проживает ныне около 50 тысяч грузин, являющихся потомками тех

грузинских семей, которых в 1616 году пленил персидский шах Аббас I и угнал их с родной земли, расселив во Внутреннем Иране.

С тех пор, на протяжении веков, фериданские грузины живут надеждой, что настанет время, когда они смогут возвратиться на Родину. Они поверили в возможность осуществления своих чаяний после присоединения Грузии и России. Потом эта надежда представилась им еще более реальное во второй половине XIX века, когда национально-освободительное движение стало приобретать широкий размах. С установлением же Советской власти в Грузии фериданские грузины стали особенно настойчиво ставить вопрос об их репатриации.

На протяжении последних лет делегации грузин-фериданцев дважды посетили Посольство СССР в Иране и передали письма, адресованные верховному Совету Грузинской ССР, в которых они выражают уверенность в том, что Советское правительство окажет им моральную и материальную поддержку.

Известно, что фериданские грузины находятся в крайне бедственном, бесправном положении, они испытывают жестокий национальный гнет со стороны иранских властей и помещиков. Несмотря на то, что грузины в Иране были насильственно обращены в мусульманство и им стали давать персидские имена и фамилии, фериданские грузины до настоящего времени сохраняли свой родной язык и чувство горячего патриотизма.

Однако в 13 деревнях, которые в основном заселены грузинами, нет ни одной школы, где бы обучение велось на грузинском языке, в этих селениях нет также ни одной больницы или амбулатории.

Интерес фериданских грузин к жизни Советской Грузии повышается с каждым годом, а тяга их на Родину растет все больше и больше.

Общественность Советской Грузии крайне обеспокоена положением фериданских грузин и настоятельно ставит вопрос об их репатриации. В последнее время в Грузинской ССР, в Академию наук Грузии, в редакции республиканских газет, партийные и советские органы особенно часто стали поступать заявления с настойчивой просьбой принять необходимые меры для возвращения на Родину грузин-фериданцев.

ЦК КП Грузии считает, что фериданские грузины, насильственно угнанные из родной страны иноземными захватчиками, не должны быть оставлены на произвол судьбы.

Перед тем, как войти в Союзное Правительство с предложением о

репатриации фериданских грузин, хотелось бы знать Ваше мнение по настоящему вопросу.

Секретарь ЦК КП Грузии-
(В.Мжаванадзе)

..... июня 1965 года
№ . . .
гор. Тбилиси
отп. 3 экз.
1 экз. – пос. адресату
2-3 экз. – в деле

***

ირანელი ქართველები – ამ დოკუმენტის ავტორია ალექსანდრე ასლანიკაშვილი. იგი იყო საგარეო საქმეთა სამინისტროს ის წარმომადგენელი, რომელიც ჯერ კიდევ ორმოციან წლებში გაიგზავნა ირანში საქართველოში დაბრუნების მსურველ ემიგრანტ ქართველთა საქმეების მოსაგვარებლად, ასევე ფერეიდნელ ქართველთა საკითხის შესასწავლად. შს არქივში ინახება მის მიერ ირანიდან საგარეო საქმეთა მინისტრის კიკნაძის სახელზე დაწერილი მოხსენებითი ბარათი, რომელიც დათარიღებულია 1948 წლის 13 იანვრით. ამ წერილში, რომელიც გამოქვეყნებული აქვთ ვახტანგ გურულსა და ლევან ჯიქიას 2012 წელს,[250] ასლანიკაშვილი საუბრობს ფერეიდნელთა ნაციონალურ სიამაყეზე და ცდილობს დაარწმუნოს ხელმძღვანელობა ფერეიდნელ ქართველთა გადმოსახლების აუცილებლობაში.

ამ დოკუმენტში კი, რომელიც 1963 წელს არის შედგენილი, კვლავ საუბარია მათი გადმოსახლების აუცილებლობის შესახებ, ნახსენებია ირაკლი კანდელაკის მიერ ფერეიდანში გადაღებული დოკუმენტური ფილმი, ასლანიკაშვილის თქმით, ფერეიდნელი ქართველები ითვლებიან ქართული წარმოშობის სპარსელებად (გურჯებად). რჩება შთაბეჭდილება, რომ ასლანიკაშვილი ბევრგან თითქმის სიტყვა-სიტყვით იმეორებს ნატროშვილ-ფრუიძის იმ წერილის ადგილებს, რომელიც მათ გაუგზავნეს სსრკ-ს საკონსულოს. ეტყობა, რომ ავტორს ჰქონდა მასზე წვდომა. წერილში დახასიათებულია ქართული დასახლებები ფერეიდანში, ჩამოთვლილია ქართული სოფლების სახელები, საუბარია ქართველთა მიერ ქართული ენის ფლობის არაერთგვაროვან დონეზე, რელიგიაზე, ფერეიდნელი ქართველების ეროვნულ თვითშეგნებასა და კულტურული და ყოფითი ცხოვრების პირობებზე. 1963 წელს

250. ვახტან გურული, ლეონ ჯიქია, ტაო-კლარჯეთი, ლაზეთი და ფერეიდანი საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ხელმძღვანელობის გეგმებში, თბილისი, 20102, გვ.72-92.

ამ საკითხის ხელახალი გააქტიურების მიზეზი გახდა საბჭოთა საქართველოს ხელისუფლების მიერ დაწყებული მოძრაობა ფერეიდნელ ქართველთა ჩამოსახლების მიზნით. შსს არქივში დაცულია მის მიერ შექმნილი ფერეიდანის რუკა, რომელზეც დატანილია ქართული დასახლებები.

(შსს არქივი, ფონდი 14, აღწერა 38, საქმე 329. გვ. 10-18)

А.Ф. Асланикашвили

ИРАНСКИЕ ГРУЗИНЫ (краткая справка)

Введение

В период исторических бедствий Грузии (XIV-XVIII века), она испытывала неоднократные опустошительные походы Султанской Турции, с одной стороны, шахского Ирана – с другой. Походы завоевателей сопровождались насильственным массовым переселением грузин в Турцию из Имеретского царства (зап.Грузия) и в Иран из Картли и Кахети (вост.Грузия). Наиболее крупное переселение было произведено в 1614-1616 г.г. шахом Аббасом, который увел из Картли и Кахети около 100 тысяч грузин. Пленные грузины поселялись в различных провинциях Ирана – в Мазандеране, Хорасане, Хамадане, Исфагане, Ширазе, Хосрове[251] и др.

В результате продолжительного преследования и угнетения, основная масса грузин ассимилировалась и прекратила свое существование как обособленной этнической группы.

Только одна часть потомков насильственно переселенных грузин сохранило (ასეა!) до наших дней свой национальный облик, родной язык и национальное самосознание, хотя и утеряло религию. Это сравнительно малочисленная более или менее компактная этническая группа иранских грузин проживает сейчас, как и три с лишним столетия тому назад, на высоком Ферейданском нагорье десятого (Исфаганского) эстана[252] Ирана.

Источников сведений о ферейданских грузинах очень мало; можно сказать, что отсутствуют и данные Иранских правительственных учреждений т.к. ферейданских грузин официально принято считать персами грузинского происхождения (гюрджи). Основными

251. შესაძლებელია იგულისხმება „ხოსროვაბად" – დასახლება ჩრდილოეთ ირანში.

252. ტექსტში შეცდომაა, უნდა იყოს остана.

источниками являются личные наблюдения нескольких лиц, посетивших в разное время Ферейдан, и опрашивавших местное население.

Очень скудное количество материала опубликовано на грузинском языке в Тбилиси с 1895 по 1951 годы (см.прилагаемый список литературы).

В 1944 г. вместе с войсками Советской Армии, в Иране находилась кино-экспедиция Госкинпрома Грузии под руководством режиссера Ираклия Канделаки для заснятия документального фильма о жизни ферейданских грузин. Этот фильм был заснят и представляет ценный документ.

В 1946 году Иран посетил и ознакомился с жизнью ферейданских грузин сотрудник Министерства иностранных дел Грузинской ССР В.Ф. Грдзелидзе, доставивший в Ферейдан большое количество грузинской литературы.

Находясь в Иране в 1947 году в качестве представителя Совета Министров Грузинской ССР по делам репотриации (ასეა!) грузин, автор настоящей справки имел возможность обновить и пополнить существующий до того времени материал о грузинском населении Ферейдана.

Краткая характеристика Ферейдана и грузинских поселений.

Ферейдан представляет собой высокое водораздельное нагорье, расположенное в северо-западной части Исфаганского (десятого) эстана. На этом нагорье берут свои истоки три главнейших реки центрального Ирана – Зиндеруд, Корун и Куи. В платообразных котловинах истоков этих рек, на высоте 2500-2700 метров от ур. м. расположены грузинские поселения. В основном они размещены в платообразной котловине истоков р.Зиндеруд, которая своим средним течением проходит через древнюю столицу Ирана города Исфаган. Расстояние от грузинских поселений Ферейдана до г.Исфаган вдоль соединяющей их дороги – 150 км. меньшая часть грузинских поселений расположены в котловинах истоков рек Куи и Корун. Разделяющие их водораздельные хребты в силу небольших относительных высот легко преодолимы для местных жителей, поэтому эти хребты не очень разобщают их. Высокую гору Кух-и-Афуз на склонах которой разместились в основном грузинские села, грузины называют Цверисмта (Вершина-гора). На вершинах гор и в некоторых лощинах снег лежит в течение 9-10 месяцев. Земля здесь малоплодородная и горы

безлесные. Климат сухой, континентальный с холодной зимой и теплым летом. Много горных речек с прекрасной питьевой водой. Дороги соединяющие этот отдаленный район с остальным Ираном, имеют совершенно первобытный вид. В зимние месяцы сообщение с городом вообще прекращается из-за глубоких снежных заносов и опасности нападения волков. Весенние заморозки часто держатся здесь до июня.

Все грузинские селения Ферейдана официально имеют иранские названия, однако жителями присвоены им старинные грузинские названия, которые и передаются от поколения к поколению. Вековое преследование и запрещение со стороны иранских властей частично вытеснили грузинские названия некоторых сел фарситскими, но в памяти многих ферейданцев старинные грузинские названия, связанные с названиями соответствующих сел их предков в Грузии сохранились, по сей день.

Можно считать твердо установленным, что в настоящее время в Ферейдане сохранилось 12 грузинских сел. Приводим их список в официальной иранской транскрипции, в скобках же указаны грузинские варианты их названий.

1. Ахора-бала или Верхн.Ахора (Земо Марткопи)
2. Ахора-пайн или Нижн.Ахора (Квемо Марткопи)
3. Афуз (Руиспири,Рустави)
4. Домбей-Камар, или Мяндашт (Толери, Телави)
5. Дашкесан (Ташкасана)
6. Ахча (Ахча)
7. Буин (Боини)
8. Шавурт (Шаурди)
9. Джагджаг (Джагджаги)
10. Сибак (Сибаки)
11. Чугруд (Чугурети)
12. Кудубанак (Ниноцминда)

Наиболее крупными селами являются Земо-Марткопи и Квемо-Марткопи. Общее количество грузин, проживающих в этих селах колеблется по разным источникам от 12 до 16 тысяч.

Язык, религия, Национальное самосознание ферейданских грузин

Степень сохранности грузинского языка не везде одинакова. В некоторых селах, напр. в Ахора-бала (Земо Марткопи) почти все население, в особенности женщины и дети, говорят только по-

грузински. В селе Домбей-Камар (Толери) по-грузински говорят не только сами грузины, но даже и жители негрузинского происхождения. Наряду с этим, есть села, где грузины по происхождению уже забыли родной язык и среди них закрепляется фарситский, турецкий или курдский языки. Иранские власти запрещают говорить по-грузински и отбирают грузинские книги.

Христианскую религию ферейданские грузины полностью утратили приняв магометанскую. У них имеются свои муллы и ахунды из грузин, говорящие по-грузински. Гонения на христиан в Иране начались свыше 200 лет тому назад. Обращение в ислам сопровождались бесчинствами со стороны властей и персидского духовенства. Отупевшие от нищеты и несправедливости, ферейданцы ищут утешения в религии, и ловкие пройдохи, муллы и сеиды, обрабатывают их в духе крайнего фанатизма и суеверия.

Однако, та часть населения, которая вынуждена из-за нищеты уходить на зимние заработки в город, в особенности молодежь, соприкасаясь с рабочей средой, уже теряет свой религиозный фанатизм. Группа молодых ферейданцев с которыми мне пришлось говорить в Тегеране отвергала ислам по той причине, что он был навязан их предкам насильно. Ферейданская молодежь в Тегеране не подчиняется даже самым распространенным религиозным обрядам и запретам, не молится, не соблюдает постов и т.д.

Несмотря на многовековой гнет и старания иранских властей и духовенства вытравить до конца воспоминания о прежней родине и превратить переселенцев в правоверных иранцев, в ферейданских грузинах проявилась поразительная живучесть национального самосознания. Все они, даже те, которые забыли родной язык, помнят и знают, что их предки были грузинами, „гюрджи", и гордятся этим.

Большинство ферейданских грузин сильно дорожат родным языком и стойко отстаивают его против всех видов оказываемого на них давления. Рассказывают случаи, когда пришедшие в одно село ахунды уговаривали жителей обязательно изучить фарситский язык, т.к. это необходимо для понимания Корана и произнесения молитв. Мужчины боялись противиться этим настояниям, но за то женщины не вытерпели и с криком выгнали ахундов палками. Они кричали „Вы у нас отняли родину, веру, все, кроме языка, теперь и это хотите отнять..."

Ферейданские грузины считают, что „Маленькая Грузия" (т.е. Ферейдан) имеет свой собственный язык, язык „Большой Грузии" (имея в виду Грузинскую ССР).

В 1921 году один из влиятельных и грамотных жителей селения Верхн. Ахора, хан Сейфола Иоселиани побывал в Тбилиси и получив там средства и книги, вернулся в Иран. С разрешения Реза Пехлеви бывшего тогда военным министром (в последствии Реза Шах Ирана), открыл в своем селе грузинскую школу.

Несмотря на травлю со стороны духовенства и отсталых фанатичных грузин, Сейфола Иоселиани успел обучить грузинской грамоте 15-20 человек из своего села и несколько человек из селения Буин (Боини). В последствии Сейфола обвинили в пробольшевистской деятельности и его школу закрыли. Через несколько лет он скоропостижно умер, как передают, был отравлен. Передовые односельчане с уважением вспоминают Сейфола за то, что он их обучил грузинской грамоте.

Хорошо знающие ферейданских грузин грузины-эмигранты, в течение нескольких десятков лет наблюдавшие жизнь рабочих-выходцев из Ферейдана, уверяли меня, что чувство национальной гордости особо проявилось у этих людей в годы Великой Отечественной войны 1941-1945 г.г. Наблюдая в 1947 г. за ферейданскими сезонными рабочими в Тегеране я обнаружил, что они обладают сильно развитым чувством национальной гордости и достоинства.

При спорах и столкновениях с персами защищают и поддерживают друг друга словами: „не дадим, друг, персу обидеть нас!“ или „не позволим, друг, персу смеяться над гюрджами!“.

Несмотря на то, что, при обращении в ислам, грузины получили новые иранские фамилии (вернее имена), значащиеся в их паспортах, они продолжают именовать себя и друг друга грузинскими фамилиями их далеких предков. Часто встречаются следующие фамилии: Мгелашвили, Циканашвили, Меланашвили, Эшмакашвили, Бурджиашвили, Ниникашвили, Оникашвили, Робиташвили, Беоргашвили, Закариашвили, Хуцишвили, Папиашвили, Лаперашвили, Саакашвили, Иоселиани, Амиранашвили, Давиташвили, Лурсманашвили, Хатиашвили, Хадигашвили, Сулиашвили, Джанашвили, Асланишвили и др. В некоторых случаях грузинские фамилия приспособлены к окончаниям иранских имен, как например: Ломитани, Тухани, Чапиани, Батиани, Оникани, Даутани, Асланиани.

Кроме языка и фамилий, ферейданские грузины сохранили ряд грузинских и христианских черт в быту и обычаях. Так, только в Ферейдане встречаются дома грузинского типа с плоской крышей и резными колоннами в комнатах, сильно отличающиеся от иранских домов с куполообразными крышами. В хозяйстве ферейданцев

сохранились грузинские арбы и сельскохозяйственный инвентарь – тяпки, лопаты, сохи и др. При изготовлении хлеба грузинки-магометанки выдавливают на тесте крест, Детей убаюкивают грузинской колыбельной песней „Нана" (остальные грузинские песни утеряны). Как правило, грузины не женятся на персианках, а женщины не выходят замуж за персов.

В период подготовки репатриации армян из Ирана смутная тоска по родине приняла среди ферейданских грузин более определенную форму надежды на какое-то улучшение их положения и на возможность возвращения на родину.

Один ферейданец, глубоко уверенный, что пора их репатриации тоже настанет скоро,в разговоре со мной сказал: „Каждая хозяйка, потерявшая цыпленка выходит на улицу искать его, Грузия же, потерявшая такое количество людей, не может не искать их".

Экономическое и правовое положение Ферейданских грузин.

Главным занятием ферейданских грузин является земледелие. Сеют пшеницу, ячмень, мак (для добывания опиума), люцерну для прокорма скота. В небольших размерах сохранилось виноградарство, главным образом для производства кишмиша и для продажи. Вино и водка не производится.

Значительная часть земель принадлежит помещикам. Большинство грузинских семей вынуждено арендовать землю на кабальных условиях, и лишь отдельные крестьяне имеют небольшие клочки земли под виноградниками и огородами. За аренду земли платится от 1/3 до 3/4 урожая (в переводе на пшеницу). В случае неурожая аренда выплачивается хану деньгами в размере, определяемом самим ханом. В большинстве деревень хану принадлежит не только земля, но и дома и вода, и все это крестьяне вынуждены арендовать у него.

После земледелия, вторым источником существования является животноводство, а именно-овцеводство, которое развито слабо, т.к. суровая и продолжительная зима требует создания большого запаса фуража и содержания овец в теплых помещениях, а эти возможности имеют не все крестьяне. Во время сенокоса грузинские крестьяне арендуют сенокосные участки у бахтиаров за 10-20 километров и возят сено на ослах. Овцеводство служит базой производства шерстяной пряжи, ковров, веревок, занавесок и др. которым занимается до 40% грузинских семей. Готовая продукция скупается приезжими иранскими купцами в 2-3 раза в год.

Из вьючного скота ферейданцы держат ослов, которые используются для сообщений между селами и с городом.

В ограниченных размерах развито пчеловодство, дающее мед высокого качества, реализуемый в Тегеране.

В целом, экономическое положение грузинских крестьян весьма тяжелое, они полностью предоставлены произволу ханов, которых поддерживают правительственные чиновники и сельское начальство, суд и полиция. Жандармерия и полиция пользуются всевозможными поводами для поборов, ограбления, избиения и заключения в тюрьму крестьян. Необходимость постоянно иметь деньги для того, чтобы откупаться от жандармерии, хана и властей, гонит крестьян в город на заработки. Грузины представляют в Иране самую лучшую рабочую силу и самых храбрых солдат в армии. Ферейданские грузины нанимаются на работы группами в 10-20 человек, живут и работают вместе отдельными рабочими бригадами, не смешиваясь с персами. Не имея жилья ночуют под открытым небом среди стен строящихся домов.

Культурный и бытовой уровень ферейданских грузин

Культурный уровень общей массы ферейданских грузин очень низок. На все население имеется всего две школы с числом учащихся 90-120. Женщины поголовно неграмотны, грамотных мужчин не свыше 20-30%, а грамотные по-грузински насчитываются единицами. Известными и ныне здравствующими из них являются:

– Реза Оникашвили из села Верхн.Ахора,

– Мулла Оникашвили из села Торели, обучающий детей иранскому языку при помощи грузинского

– Мулла Папиашвили из села Боини;

– Хан Фатула Иоселиани,

– Амирхан, который в 1927 г. был усыновлен и вывезен в Тбилиси для учебы бывшим сотрудником Исфаганского отд. советского банка в Иране Амбако Челидзе. Амиран (Амирхан) после окончания в Тбилиси семилетки был отправлен обратно в Иран. В селе Боини он руководил клубом народной партии в 1944-45 годах.

– хан Гуссейн Давиташвили (Датха) из села Домбей-Камар (Толери), является типичным помещиком, но отличается тем, что он любит грузин.

Бытовая культура в Ферейдане стоит на чрезвычайно низком уровне. Жилища крайне бедные, утвари и мебели мало, не во всех деревнях имеются бани. Медицинское обслуживание совершенно

отсутствует и больных лечат знахари, большей частью муллы, или евреи, эксплуатирующие темноту и предрассудки неграмотного населения в целях личной наживы. Часто возникающие эпидемии косят народ.

А.Ф. Асланикашвили
18 февраля 1963 г г.Тбилиси

***

ქართველების კოლექტიური წერილი ფერეიდნელი ქართველების ჩამოსახლების თხოვნით. ამ წერილის საფუძველზე, „ხალხის მოთხოვნით“ ასაბუთებს საბჭოთა ხელისუფლება ამ მიმართულებით მოძრაობას მოსკოვთან მოლაპარაკების დროს.

(1965; შსს არქივი, ფონდი 14, აღწერა 40, საქმე 218, გვ. 175)

პატივცემულო ვასილ პავლეს – ძევ!

უმორჩილესად გთხოვთ, ყველა ქართველის სახელით უშველეთ ირანში ჩასახლებულ ქართველებს, თქვენ ამით გააკეთებთ უაღრესად კეთილ საქმეს. ჩვენს დიად სამშობლოში სწავლობს სხვა ეროვნების ხალხი, ამათ ე.ი. ფერეიდნელ და იქ მყოფ ქართველებს კი ამის საშუალებაც არ აქვთ, რომ რაიმეთი მაინც აიმაღლონ თავისი კულტურული და მატერიალური დონე.

რა დააშავეს საწყლებმა, რომ 350 წელი უსამართლობის უღელი ადგიათ?! – არაფერი. ეს ხალხი გაწყვეტის გზას ადგას, უშველეთ.

პატივცემულო! გადმოსახლება თუ წარმოადგენს მეტად ძნელ საქმეს, შეიძლება რაიმე დახმარებით მაინც გავუწოდოთ ხელი?...

სხვა თუ არაფერში, სწავლა-განათლებაში მაინც...

მნიშვნელობა არ აქვს ვინ გწერთ ამას, მთავარია ეშველოს ამ ისტორიულ უსამართლობას, რაშიც დიდ იმედებს ვამყარებთ ჩვენს ყველა მოძმე ხალხებზე...

გვერწმუნეთ! თქვენ ამით საშვილიშვილო საქმეს გააკეთებთ, თქვენი ხალხისათვის, ხოლო თქვენი სახელი კი წარუშლელი იქნება ქართველთა გულებში...

უმორჩილესად გთხოვთ: თქვენი ხალხი.

ქ. თბილისი 1965 წლის 29 იანვარი.

ქართველნი.

[ამ წერილს აქვ ხელმოწერები სხვადასხვა კალმით].

***

სტატიაში აღწერილია 1965 წელს თეირანში საბჭოთა კავშირის სამრეწველო-სავაჭრო გამოფენის დროს საქართველოს პავილიონში მოსული ფერეიდნელი ქართველის ამირან პაპიაშვილის წერილი, რომელიც ავტორისათვის საქართველოში გამოუტანებია, მაგრამ, სამწუხაროდ, მხოლოდ 2005 წელს იხილა მზის სინათლე. ის ის ამირანია, რომელიც ამბაკო ჭელიძემ და მისმა მეუღლემ თბილისში ჩამოიყვანეს, შემდეგ კი, არდადეგებზე სპარსეთში წასულმა ველარ შეძლო თბილისში დაბრუნება.

ნოდარ კოჭლაშვილი

(საქართველოს რესპუბლიკა, 2005, N 245-246, გვ.11-12)

ერთი გამოუქვეყნებელი წერილის გამო

„იმედი მაქვს მოვკვდე ჩემს საყვარელ საქართველოში“

– ქათამი რომ წიწილას დაჰკარგავს, დაღონდების და ძებნის.

– დაგვიწყებივართ, აღარ გახსოვართ, ჩონ ხომ ერთი სისხლ-ხორცი ვართ!

იმ დიდი სიხარულის შემდეგ, რასაც ფერეიდნელი ქართველი „დიდი გურჯისტანიდან“ ჩასულ ქართველის ნახვისას გამოხატავდა, ასეთ საყვედურსაც აუცილებლად დაუმატებდა ხოლმე.

ასე მოხდა ორმოცი წლის წინათაც თეირანში, როდესაც საბჭოთა კავშირის სამრეწველო-სავაჭრო გამოფენის დროს საქართველოს პავილიონს სანახავად მოაწყდა ფერეიდნიდან საშოვარზე ჩამოსული ქართველობა. იმ ტყვედქმნილ ქართველთა ნაშიერნი, რომელნიც შაჰ-აბას პირველმა 1612-16 წლებში ირანში „ნახრირვით წაასხა“ – როგორც თავად უბნობენ, და ჩაასახლა იქ, სადაც ქურთი, ლური, ბახტიარი და ყაშყაელი ირანის სატახტო ქალაქ ისპახანს „აღონებდნენ“...

მართლაცდა, ბედი უკუღმართობა! ქართულ მიწას მოწყვეტილი „სისხლ-ხორცი“ დიდი ხნის მანძილზე მიტოვებულ-მივიწყებული იყო დედასაქართველოსაგან. მაგრამ სწორედ მათდა სასახელოდ უნდა ითქვას, მიუხედავად იმისა, რომ ცხოვრება უხდებოდათ უცხო მიწაზე, უცხო ცასა და გარემოში თავად არ დავიწყეს – თუ ვინ არიან და საიდან მოვიდნენ „ირანის ზამინზე“ (მიწაზე)! ბახტიარის მთიანეთის სოფლებში ქართული ლაპარაკი რომ ისმოდა, სწორედ მათი „დედის ენა იყო“, რომელიც ვერაფერმა ამოძირკვა საუკუნეების მანძილზე და დღემდე ვამაყობთ, რომ **„ჩონ ჩონი ენა და სისხლხორცყე სუფთად შავინახეთყეო“!**

დიახ, დავიწყებულნი იყვნენ, სინამდვილეს ვერ გავექცეოთ, რა თქმა უნდა, მიზეზებიც იყო, მაგრამ მათ მაინც არ დავიწყეს თავიანთი მშობლიური ფესვები.

რა თქმა უნდა, საქართველოშიც იყვნენ ერთეულები, რომელთაც გული შესტკიოდათ თავიანთი „თანაფესვიანდში“, მაგრამ მხოლოდ რამდენიმემ შეძლო იქ – ფერეიდანში ჩასვლა და მათი მონახულება.

პირველი იყო ლადო ალნიაშვილი, რომელიც 1894 წელს ეწვია ფერეიდანს და დაგვიტოვა წიგნი „ირანი და იქაური ქართველობა“. ამბაკო ჭელიძე, 1927-29 წელი, კინორეჟისორი ირაკლი კანდელაკი, 1944 წ...

ზემოთ ალნიშნულ გამოფენაზე საქართველოს პავილიონს უამრავი ფერეიდნელი „მოაწყდა“. სპაციალურად ფერეიდნიდან ჩამოდიოდნენ, რათა საქართველო გამოფენაზე მაინც ენახათ...

... არ დამავიწყდება ფერეიდანის შვიდი ქართული სოფლის, შვიდი მოხუცი ქეთხურა (ასეა!) მამასახლისი, რომელთაგანაც ერთ-ერთმა მკითხა „რუსის ხელმწიფე გალონებთო?“

გამოფენის გახსნის პირველსავე დღიდან საქართველოს პავილიონის მუდმივი სტუმარი გახლდათ ვაჟკაცური შესახედაობის ინტელიგენტი ამირ მირჯაზაი, ანუ იგივე ამირან პაპაშვილი. ის 9 წლის ყმაწვილი, 1929 წელს ამბაკო ჭელიძემ საქართველოში ჩამოიყვანა სოფელ ბოინიდან და მიაბარა თბილისში ეგნატე ნინოშვილის შვიდწლიან სკოლაში, რომელიც მუშტაიდთან იყო.

ამირან პაპაშვილი მეხუთე იყო იმ ბავშვებიდან (ასეა!) ვინც ფერეიდნიდან საქართველოში ჩამოიყვანეს 1929 წ. (1871წ. იოთამა ონიკაშვილი, 1896 წ. რეზო ხუციშვილი, 1900 წ. მოჰამედ ონიკაშვილი და ნას ნასროლა (ასეა!), 1922 წ. სეიფოლა იოსელიანი).

ამირანმა ორი წელი დაჰყო სკოლაში და მამამისის მოთხოვნით ფერეიდანში დაბრუნდა, რის შემდეგაც ველარ შესძლო საქართველოში ჩამოსვლა, თუმცა ბევრჯერ უცდია. ერთხელ ბაქომდეც მოულწევია, მაგრამ დაუჭერიათ ირანისთვის გადაუციათ, იქ კი 2 წელი ციხეში გაუტარებია.

ამირანი მამის გარდაცვალების შემდეგ დასახლდა ისპაჰანში და ტექნიკოსად მუშობდა სამშენებლო ფირმებში...

უნდა აღვნიშნო, რომ ამირანი გამოფენაზე ისეთი სიამაყით უყვებოდა ირანელებს საქართველოს დიდებასა და სილამაზეზე, რომ ყველას საქართველოდან ჩასული გიდი ეგონა.

გამოფენა დაიხურა და თვალცრემლიანმა ამირან პაპიაშვილმა წერილი გადმომცა, რათა მის საყვარელ ქართველებს წაეკითხათ...

ეს წერილი მე ჩამოვიტანე, მაგრამ მისი გამოქვეყნება მოგეხსენებათ, მაშინ დიდად ჭირდა. თუმც ბევრს ვეცადე, ბევრი თანაგრძნობითაც შემხვდა, მაგრამ...

აი, ეს წერილიც.

„...რაც უნდა მტანჯონ, რაც უნდა მაწვალონ, მაინც არ გავხდები სპარსელი, მე ვარ ნამდვილი ქართველი. მე ჩემიერ და მთელი ფერეიდნელ ქართველების მიერ გადმოქცემთ სალამს და გამარჯობას ჩემო ძვირფასო ძმებო, დებო. მთელ ფერეიდნელ ქართველებ უნდათ საქართველოში წასვლა და თავიანთ ძმებისა და

დების, ნათესაების ნახვა. ჩვენა დალუპულ ქართველობას არაფერი განეითარება სწაელა და შკოლა არ აქვს. ერთგულად გვინდა დედაენა ქართული წიგნები სხვადასხვა სოფლის იარაღები, რომ მტერმა არ დაგვაყაროს თაუზე მიწა და თქვენ მოხმარებით და მოშველებით ფეხზე დავდგეთ და ავშენდეთ. როცა მე თეჰრანში ვნახე ბატონი ნოდარი კოჭლაშვილი ძალია (ასეა!) გამიხარდა და იმას ვაკოცე, როგორც მთელ საქართველოს. ამ შეხვედრით ჩემი აზრი სიხარული დარეულია ბევრი რამის დაწერა მედა მაგრამ არ შემიძლიან. ჩვენ ბედი ფერედნელ ქართველები არ დავკარგავთ ჩვე დედა ენას და სუ დავრჩებით ქართველები. თქვენ რა შეგიძლიათ ჩვენ დაგვეხმარეთ. ჩვენ მამაძაღლ მტერს დავხვდებით ქართულად.

ვემშვიდობები მთელ საქართველოს და იმედი მაქვს მეორედ ვნახო ჩემი საყვარელი დიდი საქართველო და მოვკვდე ჩემ საყვარელ საქართველო'ში."

აპირ მირჯაზაი

ამირან პაპიაშვილი"

P.S. ვერ ელირსა მეორედ საქართველოს ნახვას. ის სამი წლის წინათ გარდაიცვალა ისპაჰანს.

ნოდარ კოჭლაშვილი

***

გურჯი მოდის– ნოდარ კოჭლაშვილის ეს სტატია 1965 წლის ამბებს ეხება, სწორედ ამის გამო შევიტანეთ ის „ფერეიდნულ ქრონიკებში". ავტორი აღწერს თეირანში საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე ფერეიდნელ ქართველებთან შეხვედრის ამბავს; როგორ ასწავლიდა მათ ანბანს... ეს ამბები ძალიან კარგად ახსოვთ თაყად ფერეიდნელებს და აუცილებლად მოუყვებიან ხოლმე საქართველოდან ჩასულებს. აქ ამ ისტორიებს ვისმენთ უკვე ნოდარ კოჭლაშვილის ნაამბობით. სტატია მოამზადა ეთერ ერაძემ და პატარა წინასიტყვაობაც წაუმძღვარა: „კიდევ ერთხელ შემეცოდა ჩემი სამშობლო..."

ნოდარ კოჭლაშვილი

(კვირის პალიტრა 24-30 აპრილი, 2006, N17, გვ.31)

გურჯი მოდის

კიდევ ერთხელ შემეცოდა ჩემი სამშობლო...

ფერეიდანი პატარა საქართველოს დიდი იმედია, მაგრამ იყო დრო, როცა მასზე

რამდენიმე ადამიანს თუ სმენია რამე. XIX საუკუნის დასასრულიდან გასული საუკუნის ბოლო წლებამდე ფერეიდანში ჩასვლა ორიოდე ქართველმა გაბედა... მათ შორის ერთმა „დედაენაც“ ჩაიტანა და „ანი ია“. ოთხი საუკუნის წინ გასახლებულ ხალხს პირველკლასელივით ასწავლა. მას ფერეიდნელებმა იაკობ გოგებაშვილი დარქვეს. ბატონი ნოდარ კოჭლაშვილი ყველაზე მდიდარი ქართველია – მართალია, დღეს გახუნებული სამოსლით დადის, სამაგიეროდ, სამშობლოს ფერეიდანი უპოვა კაცმა, რომელსაც სპარსეთში დიდ ქონებას სთავაზობდნენ, იქიდან ერთადერთი ძვირფასი ნივთი – ფერეიდნელების ხელით გადაერილი „დედაენა“ წამოიღო. ახლა ეს წიგნი მის სამუშაო მაგიდაზე დევს და ჭერში გამოჭრილი სარკმლიდან შემოღწეული მზის სხივით თბება...“

პირველად ფერეიდანზე ლადო აღნიაშვილის წიგნიდან შევიტყვე – მოგვითხრობს ბატონი ნოდარი, – იგი ილია ჭავჭავაძის მეგობარი, დიდი ქართველი იყო, მან ჩამოაყალიბა მომლერალთა პირველი გუნდი, პირველი გაემგზავრა ფერეიდნის სანახავად. სწორედ მან დაწერა პირველი წიგნი ფერეიდნელებზე. მანამდე ფერეიდნის ზემო მარტყოფიდან ორი კაცი ცხენებით წამოსულა საქართველოში – ჩანს, სისხლის ყივილმა შეაყენა ამ სახიფათო გზაზე; მერე, 1922-ში, სეიფოლა იოსელიანი გამოჩნდა – დასხდნენ მეცნიერები და პირველად მაშინ ჩაიწერეს ფერეიდნული ქართული. ლადო აღნიაშვილმა ორიოდე თვე მოანდომა ფერეიდანში ცხენით ასვლას. მეორე ქართველი, რომელმაც ფერეიდნელები მოძებნა, ამბაკო ჭელიძე იყო. ის საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში თეირანის საბჭოთა ბანკში მუშაობდა და იმდენი ქნა, ერთი პატარა ბიჭი, ამირან პოპიაშვილი, საქართველოში ანბანის შესასწავლად წამოიყვანა. მაშინ მუშთაიდის ბალთან ეგნატე ნინოშვილის სახელობის სკოლა იყო და იქ სწავლობდა სამი წელიწადი. ერთ დღეს მშობლების მოსანახულებლად ფერეიდანში წავიდა. აღარ გამოუშვეს... რამდენჯერმე სცადა საქართველოში შემოპარვა, მაგრამ ბაქოში დაიჭირეს და უკან გააბრუნეს. საქართველოს სიყვარულმა სიცოცხლის უმეტესობა ციხეში გაატარებინა. 1941 წლის 18 აგვისტოს კი სტალინის ბრძანებით, საბჭოთა არმიამ თეირანი და ისპაანი აიღო. იქ რუსების დაზვერვას ალექსი ინაური ხელმძღვანელობდა. ხოლო ბერიამ კინოოპერატორი ირაკლი კანდელაკი წაიყვანა ფერეიდნის გადასაღებად. ომის შემდეგ „აპოლოში“ ამ ფილმს უამრავი ხალხი ესწრებოდა. მაშინ ასე იყო – ყველა საზღვარგარეთ მცხოვრები დაჩაგრულად უნდა წარმოედგინათ. ფილმშიც ფერეიდნელები ისე ჰყავდათ გამოყვანილი, ხალხი ტიროდა. ვტიროდი მეც.

ყველაფერი ისე მოეწყო, რომ 1965 წელს, როგორც აღმოსავლეთმცოდნე, თეირანში საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე გამიშვეს... სულ ოთხი რესპუბლიკა ვიყავით: თურქმენეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი და საქართველო. თან „სუკელები“ მოგვამაგრეს... ქართველი უშიშროების პოლკოვნიკი მუშად გააფორმეს და წინასწრით დადიოდა, რომ არავის არაფერი ეეჭვა. მოვიდოდა და ჩუმად მეტყოდა – შენი საქმე ისე გააკეთე, ამათ თვალში არ გაეჩხიროო. იმ პავილიონში

გამოჩნდნენ ჩვენი ფერეიდნელები. მაშინვე მოვიდა ამირან პაპაშვილიც. ერთ დღეს კი ფერეიდნიდან 7 „ქეთხური“[253] (ასეა!) – მამასახლისი ჩამოვიდა. ასე იცოდნენ, საქართველო ოდესღაც სპარსეთს ეკუთვნოდა და მერე რუსეთმა წაართვა – რად უნდა ჰქონდეს საქართველო რუსეთსაო, – ჩამაცივდნენ. როგორი იყო ამის ახსნა! ვინმეს რომ გაეგონა, რას ველაპარაკებოდი, ყველაფერს დავკარგავდი. როგორღაც მოვაბერხე ისე ამეხსნა, რომ არ ეყვირათ... მაშინ იქ სამი თვე დაეყავი. ერთ დღეს ამირანმა ძალიან ლამაზი ქალი მოიყვანა – ჩემი დაო. მაშინ ირანში ჩადრებით არ დადიოდნენ. თამამად იყვნენ. ამ ქალმა კი თავი დახარა და არ შემომხედა. ეუბნება თვალებგაბრწყინებული ამირანი: დაო, ეს ის კაცია, მე რომ გიყვებოდი, ასწიე თაყი და შეხედეო... ბევრი ეხვეწა, მაგრამ მაინც არ შემომხედა. ძმა რომ არ მოეშვა, ცრემლიანი თვალები მომაპყრო და: – პატრონო (მაშინ ფერეიდნელები „ბატონს“ არ ამბობდნენ), კაცი ფარსი მყავს და საქართველოში შემომიშვებენო? ფერეიდნელები უცხოტომელებზე არ ქორწინდებიან. ეს კი თურმე სპარსს გაყოლია. ადათი დავარღვიე და საქართველოში არ მაპატიებენო, – წუხდა. დავამშვიდე – ნუ გეშინია, დაო, ჩვენშც თხოვდებიან სხვებზე-მეთქი. აბა, რა უნდა მეთქვა.

ფერეიდნელებს მხოლოდ სისხლი კი არ შეუნახავთ სუფთად, ენაც შეინახეს. ძლიერები და ამაყები არიან. არავის არაფერს გააბედვინებენ. სწორედ ამიტომ შექმნა შაჰ-აბასმა მათგან დამცავი ჯებირი – ისინი სპარსეთს მომთაბარე ტომებისგან იცავდნენ. სხვათა შორის, ამ მომთაბარეთა ნაწილი საქართველოშიც შემოვიდა. დღეს ქუჩაში რომ შავი ხალხი წევს და მათხოვრობს, ციგნები კი არა, ყაშაყელი[254] ქურთები არიან – ფერეიდნელების მტრები. დროთა განმავლობაში ქართველებმა ამ ტომებს საქმე ისე მიუქციეს, რომ დღესაც თეირანის ქუჩებში ფერეიდნელი რომ დაინახონ, გვერდზე გადადიან – გურჯი მოდისო! სხვათა შორის, ირაკლი კანდელაკმა ჩუმად მიამბო მათი ხასიათის შესახებ. ფილმში ამის თქმა არ შეიძლებოდა და ჩემთან იოხებდა გულს – კაცო, ეს რა ვნახე, რა ვაჟკაცები არიანო! მე ბევრი ესეთი რამ ვიცი, რისი მოყოლა ახლა არ ღირს. რამდენიმე ამბავს მაინც გეტყვით: მაშინ თეირანში იმ 7-მა ქეთხუდმა ჩემ თვალწინ მოითათბირა და მითხრეს: – პატრონო, თუ გინდა გამოვიყენთ 10 000 შეიარაღებულ კაცსა და გავრეკოთ რუსებიო...სპარსეთში ჩასახლების ამბავს რომ ჰყვებიან, ასე იწყებენ: – ნავკოჰაბადში[255] რომ ჩავსახლდით, სპარსელმა ქართველს ქათამი მოუკლა. დაღონდა ქართველი და სპარსი მოკლაო.

ბიჭებს წერა-კითხვის შესწავლა რომ დავაწყებინე,თვალს რომ მოეფარებოდით, ქალაქგარეთ, მინდორში გამყავდა. ერთხელაც ასე ვზივარ ფერეიდნელ ბიჭებთან და ვხედავ, შორიახლო ვიღაც დადის. მივხვდი, რაშიც იყო საქმე და ბიჭებს შევეძახე: გაეიფანტოთ-მეთქი. რათაო, მკითხეს და მერე ჩვენი საუბარი ასე აეწყო: – ეგ კაცი აგენტია, მე კი არაფერს მეტყვიან, მაგრამ მეშინია, თქვენ რამე არ გავნოთ.

---

253. ქეთხუდა (სპ.ქადხოდა)

254. ყაშყაელი უნდა იყოს.

255. იგულისხმება ქ.ნავჰაბადი

– ვისა, ჩვენა? წავალ და მე ვეტყვი მაგასა!
– რას ეტყვი?
– მავკლავ-თქვა და!
უშველებელი დანა ამოიღო, – აი, ამით მავკლავო.
ასეთ ხალხს ვინმე მოერევა?

...

ვერ აგიწერთ, როგორი სიხარულით დაიწყეს დედაენის შესწავლა. ამხელა კაცები პირველკლასელებივით სწავლობდნენ – თურმე თვითონ უცდიათ ანბანის შექმნა, მაგრამ არაფერი გამოსვლიათ. მითხრეს: – ჰატრონო, აქ ყველას თავის ანბანი აქვს – სპარსსაც, სომეხსაც, ინგლისელსაც, მარტო ჩვენ ვართ ღარიბებიო. ახლა შენი თავი ღმერთმა გამოგვიგზავნაო. ადვილი არ ყოფილა ეს ამბავი. 400 წელიწადი რომ ანბანს დაკარგავ, ძნელია მისი პოვნა. ქართულ ასოებს სპარსულ შესატყვისებს ვუძებნიდი და ისე ვუხსნიდი. ზოგიერთ ჩვენს ასოს სულ არ აქვს სპარსულის შესატყვისი. როგორ უნდა გაგეგებინებინა, მაგალითად, როგორ იწერება „ც“, რომელიც სპარსულში არ არის? მაგრამ ენა ხომ იცოდნენ! ჯერ ვათქმევინებდი, ვთქვათ, ც-ხ-ე-ნ-ს ასო-ასო და ვეტყოდი, მანდ რომ პირველი ასოა, ის არის „ც“ -მეთქი. მერე სპარსულ შესატყვისსაც ვეძებდით... თან ვასწავლიდი, თან პირობას ვართმევდი, – თქვენ რომ ისწავლით, თქვენ ირგვლივ ვინც არის – დედას, მამას, დას, ძმას, შვილს და ბიძაშვილს უნდა ასწავლოთ-მეთქი. მარტო ერთი „დედაენა“ მქონდა, ის დავუტოვე. აულიათ და რამდენიმე ცალი ხელით გადაუწერიათ – როგორც სპარსულად კითხვის წესია – მარცხნიდან მარჯვნივ. ტირაჟი და ფასიც არ დავიწყებიათ 25 კაპიკი... ბიჭებმა პირობა ასრულეს – ვისაც ხელი მიუხვდებოდათ, დედაენა ასწავლეს... ახლა ზოგს სახლის დედაბოძზე აქვს ქართული ასოები ამოჭრილი, ზოგს ხალიჩაზე ამოქარგული... ქართული ანბანი მათ ხატად, სალოცავად აქვთ.

მეორედ რომ წაველი თეირანში, უკვე 25 „დედაენა“ წავიღე. წიგნის საზღვარზე გადატანა ძნელი იყო – ირანში კომუნისტური იდეოლოგიისა ცეცხლივით ეშინოდათ. ამიტომ „დედაენიდან“ ლენინის სურათები ამოვხიე. თურმე საპირველმაისო დროშები დამრჩენია. ალარ მატანდნენ. ვუთხარი, თქვენი „არია მეჰრი“ (უძველესი მუსლიმანური გამოთქმაა – ღმერთის ნაცვალს ნიშნავს), შაჰი, ფრიად დაინტერესებულია ქართული კულტურით-მეთქი. თან შაჰ რეზა ფეჰლევთან ერთად გადაღებული სურათიც ვაჩვენე, უცებ მოშირბენინეს ოქროსფერი კანაფი წიგნების შესაკრავად, დამსვეს და სპარსული შარბათი დამალევინეს...

შაჰი თეირანში, გამოფენაზე გავიცანი. ცოლთან, ულამაზეს პრინცესა სორეასთან ერთად. ასეთ დროს ოფიციალურად წარდგენაა საჭირო. დელეგაციის წევრები ჩაგვამწკრივეს, თან გააგვაფრთხილეს, რომ შაჰს 5 მეტრზე ახლოს არ მივახლოვებოდით... ამ დროს სულ ერთ წამში გამოჩნდა სისხლი და გენი რას შვრება – მოკლედ, ჯერ თურქმენეთის წარმომადგენელი იდგა, მერე აზერბაიჯანისა და სომხეთისა და ბოლოს – მე. შაჰი წამოვიდა ჩვენკენ და თურქმენთან მოახლოებულიც არ იყო, იმან რომ

თაყვანისცემის ნიშნად თავი იატაკს დაარტყა. აზერბაიჯანელი ცოტა ნაკლებად მოიხარა, ასევე სომეხიც... ჩემთან რომ მოვიდა, როგორც ქართველთა წესია, ოდნავ დაუხარე თავი. მან ხელი მომკიდა და გვერდით გამიყვანა. 20 წუთი ვისაუბრეთ. მითხრა: ჩემშიც ქართული სისხლია. ბებიაჩემი ახალციხელი აბაშიძე იყოო. უცებ პრინცესა დამაკვირდა და ამაყად მითხრა, ჩემი ბებიაც ქართველიაო... ირანის შაჰის მეუღლე აღმოსავლეთ ირანის გუბერნატორის ქალიშვილი გახლდათ და სილამაზით მართლაც ბრწყინავდა. მე კი გული დამწყდა და კიდევ ერთხელ შემეცოდა ჩემი სამშობლო.

სხვათაშორის, მოჰამედ რეზა ფეჰლევი საქართველოშიც იყო, თუმცა მე არ შევხვედრივარ, სამაგიეროდ, მის ძმას ლაგოდეხის ნაკრძალში სანადიროდ გამაყოლეს. კარგი მონადირე იყო...

...

მაშინ საზღვარგარეთ გასელა ასე იოლი არ იყო, მე კი, გარემოებათა გამო, არ მიჭირდა. გადავწყვიტე, ჩვენი ფეხბურთელები წამეყვანა ირანში და ასე მეძია შური სპარსელებზე. ძლიერი ფეხბურთელები გვყავდა მაშინ – მესხი, კოტრიკაძე, მეტრეველი... სპარსეთს კი ძალიან სუსტი გუნდი ჰყავდა. ამხანაგური მატჩი იყო და გვთხოვეს, თავს ნუ მოგვჭრით, არ მოგვიგოთო... ჩვენი გუნდი რომ შევიდა, 50-ათასიანმა სტადიონმა ღრიალი მორთო: „ზეიდენბად შაჰინ შაჰ!“. „ზეიდენბად ირან“[256] – ანუ დიდება შაჰს და დიდება ირანსო... უეცრად ამ ყურისწამღებ ღრიალში, შორი ტრიბუნიდან განსხვავებული ხმები შემომესმა – კუთხეში ფერეიდნელები წამომდგარიყვნენ, მუშტებს იქნევდნენ და „საქართველო გაუმარჯოსო“, – ყვიროდნენ... ჰოდა, ამას წინათ ტელევიზორში რომ ვნახე, როგორ ყვიროდნენ გალში სკოლის მოსწავლეები „საქართველოს გაუმარჯოსო“, ის დღე გამახსენდა...

...

ირანი დიდი ქვეყანაა და მარტო ფერეიდანში არ ცხოვრობენ ქართველები. მრავალ სოფელში არიან გაფანტულნი და თუკი ფერეიდნელებმა ქართველობა შეინახეს, გაფანტულმა ქართველებმა – დაკარგეს. მაგრამ სისხლი თავისას შვრება. მათ იციან, რომ გურჯები არიან და ესეც კმარა, რომ საქართველოს შვილობას ეხვეწებოდნენ – რამდენიმე ფერეიდნელი გავუშვი ამ მხარეებში: – ხორასანში, გილანში, მაზანდარანში (ერთი ქართული სოფელი ავღანეთის საზღვარზეც არის), აბა, გაიგეთ, რა უნდათ რით ცოცხლობენ-მეთქი. შემოგვითვალეს, ქართული გვასწავლეთო... და მიუხედავად იმისა, რომ ძველებურად მუხლი ალარ მიჭრის, ახლაც წავიდოდი და ვასწავლიდი დედაენას. მაგრამ, სამწუხაროდ, ვიცი, რომ ახლა ამისთვის ფულს არავინ გაიმეტებს... არადა რომელი დედა კარგავს თავის ნაპოვნ შვილს...

ნოდარ კოჭლაშვილი

256. სწორი გამოთქმაა: ზენდე ბად შაჰანშაჰ! ზენდე ბად ირან!

***

ირანის ქართულ სოფლებში – ირანში საკავშირო კორესპონდენტმა ა.აჰმედზიანოვმა იგივე სტატია გამოაქვეყნა გაზეთ „სამშობლოში“, ის ახსენებს ფერეიდნის ქართულ სოფლებს და შემდეგ საუბრობს მაზანდარანის ქართულ სოფელ შურაბზე, რომელშიც ასვლა ვერ მოახერხეს მან და ცნობილმა ქართველმა ირანისტმა, პროფ.მ.თოდუამ.

ა. აჰმედზიანოვი.

ირანის ქართულ სოფლებში წერილი თეირანიდან

(კომუნისტი, 1971, 23 მარტი)

ირანში მოგზაურობის დროს ზოგჯერ შეხვდები აშკარად ქართული წარმოშობის სოფლების სახელწოდებებს: მარტყოფი, ჩულურეთი, ჯაყჯაყი, გურჯი-მაჰალა. ირანელებთან საუბრისას გაიგონებთ, რომ ამა თუ იმ ცნობილი ირანული ოჯახის წინაპარი ქართველი ყოფილა. ირანში ქართველ გადასახლებულებზე ლაპარაკია შუა საუკუნეების ქრონიკებში, ისინი მოხსენებული ჰყავს თავის წიგნში ცნობილ ირანისტს ვ. თ. მინორსკის, რომელსაც ერთ დროს უმოგზაურია ირანში. ირანში ქართული სოფლების საკითხით დაინტერესდნენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მეცნიერი აღმოსავლეთმცოდნეები.

ვისარგებლე რა ირანში ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, თბილისის უნივერსიტეტის პროფესორის მაგალი თოდუას ყოფნით, მასთან ერთად სამ დღეს ვიმოგზაურე ქართველთა სავარაუდო დასახლების ადგილებში.

განვიზრახეთ გვეპოვა ეს ქართული სოფლები, რომელთა არსებობაში ეჭვი არ გვეპარებოდა.

მე-17 საუკუნის 20-იან წლებში შაჰ აბასმა ხელთ იგდო აღმოსავლეთი საქართველო და, მოსახლეობის წინააღმდეგობა რომ შეესუსტებინა, ირანში გარეკა იქიდან 30 ათასამდე ქართველი (ზოგიერთი წყაროს მიხედვით, მათი რიცხვი რამდენჯერმე მეტი იყო). ყველა ისინი დაასახლეს ფერეიდანის რაიონში, 100-120 კილომეტრზე ისპაანიდან – სპარსეთის შაჰების მაშინდელი დედაქალაქიდან. ქართული სოფლების პოვნა ძნელი არ აღმოჩნდა. სულ იყო 15 ასეთი სოფელი, ამასთან თორმეტს შეუნარჩუნებია წინანდელი ქართული სახელწოდებანი. მათი მცხოვრებნი ლაპარაკობენ ქართულად და ბევრ ძველ ქართულ და სპარსულიდან ნასესხებ სიტყვებს ხმარობენ.

სახლების გარეგნული სახე და მოწყობილობა ქართული დარჩა, მაგრამ რამდენადაც გადასახლებულები შემდეგ გამაჰმადიანდნენ, ყველაფერს მაჰმადიანობის ელფერი

დაჰკრავს, მაჰმადიანური გახდა მათი სახელებიც. ამ სოფლების მოსახლეობა რამდენიმე ათასს აღწევს.

აქ ძალიან გულთბილად შეგვხვდნენ. როცა მაგალი თოდუა მანქანიდან ჩამოვიდა, გამოელაპარაკა პირველსავე შემხვედრ კაცს ქართულენაზე დარალაც წარმოუდგენელი რამ მოხდა. ატყდა ერთი აურზაური, ყოველი მხრიდან მორბოდნენ ქალები, ბავშვები...

გულგრილად ვერ შეხედავდი ამ ხალხს. ასობით წელი გაუტარებიათ მათ სამშობლოს გარეთ, მაგრამ წმინდად ინახავდნენ მის თხოვნას, მშობლიურ ენაზე ლაპარაკობდნენ და სიყვარულით მოუთხრობდნენ შვილებსა და შვილიშვილებს შორეულ მამულზე, საიდანაც მათი წინაპრები მოსულან.

ქართველები სახლდებოდნენ აგრეთვე სამხრეთ ირანში – ქერმანის რაიონში, აქ მე-18 საუკუნის დამდეგს, იდგნენ ქართველი ლეგიონერები. გორგინ-ხანის – საქართველოს მეფე გიორგის მეთაურობით ისინი იცავდნენ ირანის აღმოსავლეთ საზღვრებს უცხოელთა შემოსევისაგან. ქრონიკებიდან ცნობილია, რომ შაჰ ჰუსეინს ტყვედ წაუყვანია გიორგი მეფე, ირანის აღმოსავლეთ საზღვრების დაცვა დაუვალებია და ამისათვის თავისუფლება აღუთქვამს. უნდა ვიფარაუდოთ, რომ სადღაც ქერმანის გადაბუგულ უდაბნოებსა და მთებში ცხოვრობენ ქართველ ლეგიონერთა შთამომავლები.

ქართული დასახლების კიდევ ერთი კერა არის ჩრდილოეთ ირანში – კასპიის ზღვის სამხრეთ სანაპიროზე.

მათ მოსაძებნად დავადექით ძველი მეჰხედის[257] გზას ფირუზქუჰსა და შემდეგ სარისაკენ. პირველი შეხვედრა მოულოდნელი იყო.

ჩვენი „მოსკვიჩი“ ფრთხილად მიდიოდა ვიწრო, მოყინულ გზაზე და ყოველ წუთს შეიძლებოდა დაცურებულიყო. უცებ შევნიშნეთ სიცივისგან აბუზული ორი ბიჭუნა. შევჩერდით და მ. თოდუამ ჰკითხა, აქ სადმე „გურჯების“ სოფელი ხომ არ არის? გახლავთ, – უპასუხეს მათ, – ჩვენ თვითონ „გურჯები“ ვართო. ყმაწვილებმა გვითხრეს, ულელტეხილის მახლობლად სოფელ შურ-აბში ვცხოვრობთ და იქ ყველანი ქართველები არიანო. ბიჭებს სახე გაუბრწყინდათ, როცა შეიტყვეს, რომ ქართველს ელაპარაკებიან. ისინი სპარსულად საუბრობდნენ, მაგრამ როცა თოდუამ ჰკითხა, ქართული თუ იციითო, ბავშვებმა სიხარულით დაუკრეს კვერი, მაგრამ ვაი, რომ, ენას, რომელზეც ისინი საუბრობდნენ, საერთო არა ჰქონდა რა ქართულთან. ეს იყო სპარსულის დიალექტი და როცა თოდუამ ეჭვი გამოთქვა მათი ქართველობის გამო, ბიჭებმა იწყინეს და ატირდნენ კიდეც – ჩვენ ნამდვილი გურჯები ვართ და ჩრდილოეთისაკენ კიდევ არისო „გურჯების კიდევ ერთი სოფელი, რომლის მცხოვრებნი დაადასტურებენ, რომ შურაბელები ნამდვილი „გურჯები“ არიანო.

შურ-აბში ველარ აუედით. იქითკენ მარტო ვიწრო ბილიკი მიდიოდა, თანაც უცებ დიდი თოვლი წამოვიდა. გადავწყვიტეთ სხვა დროს აუცილებლად შემოგეევლო აქ. ბიჭები გვემუდარებოდნენ, სოფელში გავყოლოდით და მოხუცები გვენახა, რათა

257. უნდა იყოს მეშჰედის

დაგვერწმუნებინა, რომ შორეული სამშობლოდან ჩამოსულ ნამდვილ ქართველთან შეხვედრა ბავშვების მოგონილი ამბავი არ იყო. მაგრამ უკვე მწუხრი ეშვებოდა. წინ გრძელი და ძნელი გზა გვედო. რალა დაგვრჩენოდა, ბავშვები დავარწმუნეთ, რომ აუცილებლად დავბრუნდებოდით და გზას დავადექით.

ა. ახმედზიანოვი.

საკლესის კორესპონდენტი. თეირანი.

***

ყასემ-აბადელი ქართველები – სტატიაში მოცემულია ცნობები ყასემ-აბადელი ქართველების ჩაცმულობის შესახებ. აქაური ქართველების ჩაცმულობა ყველაზე ლამაზადაა მიჩნეული. მიუვალ ადგილზე ცხოვრების გამო ისინი გადაურჩნენ ალრევას, კარგად შეინახეს თავიანთი წეს-ჩვეულებანი. თავს გურჯებს უწოდებენ.

ამ პუბლიკაციაში ავტორი იმოწმებს ირანელი მკვლევრის, ისა ბეჰნამის მიერ სამეცნიერო ჟურნალ "ნაყშო-ო ნეგარში" გამოქვეყნებულ ნაშრომს. ა.გრიგოლია არასწორად იხსენიებს როგორც ირანელი მეცნიერის გვარს, ასევე ჟურნალის დასახელებასაც.

ჟურნალის ელექტრონულ არქივში ისა ბეჰნამის მიერ ირანული სამოსელის შესახებ დაბეჭდილი ერთადერთი სტატია იძებნება („ირანელთა სამოსელი ჰიჯრის მეთორმეტე საუკუნეში“, „ნაყშ-ო ნეგარ“, 1338 წ. /1959 წ. N6, გვ.5-12), რომელშიც მხოლოდ ყაჯართა ეპოქის ირანული ჩაცმულობის ისტორიაა წარმოდგენილი, ყასემაბადელი ქართველები კი საერთოდ არ იხსენებიან. სავარაუდოდ, ა. გრიგოლიას ეს ინფორმაცია ზეპირი წყაროდან ჰქონდა აღებული.

ა. გრიგოლია
ყასემ-აბადელი ქართველები

(თბილისი, 1971, 19 მაისი)

თეირანის უნივერსიტეტის დოქტორი ისა ბახმანი[258] ირანის ჟურნალ „ნაქშო ნეგარში[259]“ (ნახატები და სურათები) მოთავსებულ თავის სტატიაში იუწყება, რომ 1963 წელს თეირანის „თეთრ სასახლეში“ ნატიფ ხელოვნებათა სამმართველომ გახსნა ირანის გამოყენებითი ხელოვნების გამოფენა, რომელზეც უმეტესად წარმოდგენილი იყო ირანული ტანსაცმელი უხსოვარი დროიდან ჩვენს დღემდე.

258. ისა ბეჰნამ-ი

259. ნაყშ-ო ნეგარ-ი

გამოფენამ ძირითადად გაითვალისწინა ბევრი ქალის მოთხოვნა, რომლებსაც სურდათ გაეგოთ, თუ რა ტანსაცმელს ატარებდნენ სხვადასხვა პროვინციის მცხოვრებნი და რომელი ტომები ცხოვრობდნენ ამ რაიონებში.

სტატიაში ლაპარაკი იყო იმაზეც, რომ ქალის ტანსაცმლის გამოფენა შეგვახსენებდა შორეულ წარსულს, როცა ირანულ ქალთა ტანსაცმელს განსაკუთრებული სპეციფიკა და გამომსახველობა ჰქონდა.

ირანში დამზადებული ქსოვილი, ოქრომკედითა და ვერცხლით კერვა დღესაც უმაღლეს დონეზე დგას.

გამოფენაზე ნათლად აისახა ცვლილებანი, რაც უკანასკნელ ნახევარ საუკუნეში ირანელი ქალების ტანსაცმლის მოდაში ხდებოდა. მაგალითად, შარვლები – „პეშლიტე“[260] და ქვედატანი „ტონბენი“[261]. ამას გარდა, ქალები წინათ მოკლე ჩადრს ატარებდნენ, მოგვიანებით კი ჩადრი უფრო დაგრძელდა.

ირანული ტომების წრიდან გამოსული ქალები უმეტესად ღია ფერის ტანსაცმელს ატარებდნენ, ხოლო ყასემ-აბადელი ქართველების ტომების მორთულობა მაზანდარანის ზღვის სანაპიროზე რამსარიდან ლახიჯანამდე[262] ბევრ სხვა ადგილობრივ ტანსაცმელზე უფრო ლამაზად ითვლება.

მაზანდარანის და გილიანის[263] მკვიდრნი შეეჩვივნენ მუდმივ ცხოვრებას ჯუნგლებსა და მთებში და მაგის წყალობით შეძლეს გადაერჩინათ თავიანთი მხარე უცხოელების, მონღოლების, თურქების შემოსევისაგან, რომლებიც სამხრეთის მიწებზე ლაშქრობას აძლევდნენ უპირატესობას, ვიდრე ძნელად მისაღწევ ჯუნგლებზე იერიშს.

სწორედ ამის გამო, წერს ისა ბახმანი, – მაზანდარანისა და გოლიანის რაიონები გადაურჩა მრავალრიცხოვან შემოსევას, რაც ხშირად ხდებოდა ირანის მთიანეთში წარსულში. აი, რატომ არის, რომ ძველებური წეს-ჩვეულებები იმ მხარემ უფრო შემოინახა, ვიდრე ირანის დანარჩენმა რაიონებმა. მათ შორის, ვინც ყველაზე მეტად შეძლო შეენარჩუნებინა თავისი თვითმყოფობა, წეს-ჩვეულებები, განსაკუთრებით გამოირჩევიან ყასემ-აბადის რაიონის მცხოვრებლები, რომლებიც ალრევას გადაურჩნენ. ისინი წარმოშობით ქართველები არიან და საკუთარ თავს გურჯებს (ქართველებს) უწოდებენ.

ბევრს მიაჩნია, რომ ისინი ატარებენ ქართული ყაიდის ტანსაცმელს გილიანის (ასეა!) კოსტიუმის გავლენის ზოგიერთი ელემენტით.

ა. გრიგოლია.
საქართველოს სსრ ხელოვნების მუზეუმის აღმოსავლეთის
ქვეყნების ხელოვნებისა და კულტურის განყოფილების გამგე

---

260. შეიძლება იყოს „შალითე“ – შარვლის ზემოდან ჩასაცმელი ქვედატანი.

261. თონბან-ი – შარვლის ნაირსახეობაა

262. ლაჰიჯან-ი

263. გილან-ი. გილიანი (რუსული გახმოვანებაა). შეიძლება, რამე რუსულ წყაროს იყენებდა.

***

ფოლკლორული ტრადიცია ფერეიდნელ ქართველებში – ეს ამონარიდი მ. ჩიქოვანის წიგნიდან „ფერეიდნულ ქრონიკებში“ შევიტანეთ, რადგან მიგვაჩნია, რომ ამ ნაწილში არის წარმოდგენილი როგორც ფერეიდნელ ქართველთა ზეპირსიტყვიერების ნიმუშები, ისე რამდენიმე ფერეიდნელი ქართველის მიერ შექმნილი ლექსები. ამ ლექსებსა თუ გადმოცემულ ამბებში აღწერილი წეს-ჩვეულებების დიდი ნაწილი დღეს ალარ გვხვდება, რაც კულტურული ნიშნების გაქრობის ტენდენციაზე მეტყველებს. ბევრ ლექსს თუ გამოცანას სალიტერატურო ქართულის გავლენა ეტყობა.

მ. ჩიქოვანი
ფოლკლორული ტრადიცია ფერეიდნელ ქართველებში

(ამონარიდი წიგნიდან „ბერძნული და ქართული მითოლოგიის საკითხები“, თბ., 1971, გვ. 233-242)

სამნახევარი საუკუნის წინათ კახეთიდან აყრილი ქართველების მრავალათასიანი ჯგუფი ფერეიდნის მთებში ჩაასახლა მრისხანე შაჰ-აბაზმა. სამშობლოს მოწყვეტილმა ადამიანებმა ახალ საცხოვრისს აქაური სოფლების სახელები დაარქვეს. ასე გაჩნდა საქართველოდან ორი ათასი კმ-ის დაშორებით ბახტიარიის მთებში ზემო და ქვემო მარტყოფი, ნინოწმინდა, ჩულურეთი, თელავი, ვაშლოვანი... ახლა აქ 15-16 ქართულ სოფელს ითვლიან თითქმის 30-ათასიანი მოსახლეობით. ესაა დანაშთი იმ 120-130 ათასი გადასახლებულისა, რომელიც ძალით მოგლიჯეს მშობლიურ ქვეყანას.

ირანში მცხოვრები ქართველების შესახებ ინტერესი ყოველთვის დიდი იყო. საუკუნეების განმავლობაში თანდათან გროვდებოდა ცნობები ფერეიდანსა თუ სხვა კუთხეებში გაფანტულ ქართველებზე, მათ კომპაქტურ დასახლებაზე, ცხოვრების მძიმე პირობებსა და კულტურაზე. ცხადია, ეროვნული კულტურის შენარჩუნებაზე ლაპარაკი განსაკუთრებით ძნელდება საგანმანათლებლო კერების უქონლობის გამო. გასპარსელების მარწუხებმა და ეკონომიკურმა დაბეჩავებამ პირველ ყოვლისა ფიზიკური ტიპის დაცვის აუცილებლობა წამოჭრა. ბევრმა ოჯახმა და სოფელმა ველარ გაუძლო დროთა ბრუნვას, მომთაბარეთა შემოტევებს. დაჰკარგა წონასწორობა და დღეს მხოლოდ შორეული მოგონებაღა თუ შერჩენიათ თავიანთ ჩამომავლობაზე. მაგრამ გადასახლებულთა უმთავრესმა ნაწილმა, ენით აუწერელი ტანჯვა-წვალების ფასად, მოახერხა საკუთარი მეობის დაცვა, ეროვნული ზნე-ჩვეულებებისა და მშობლიური ენის შენარჩუნება. ენა და ზნე-ჩვეულება, მამა-პაპური ოჯახური ყოფა და სამიწათმოქმედო მეურნეობა – არის ის უპირველესი ფაქტორები, რომელთა მეოხებით ფერეიდნელმა გადასახლებულებმა აქამდე დაიცვეს ქართველობა და სიამაყით ატარებენ ამ სახელს.

ფერეიდნელთა შესახებ ყოველი ცნობა მხურვალე გამოხმაურებას პოულობს. ასეთი განწყობილებით შეხვდა საზოგადოება 1969 წელს გამოქვეყნებულ ზურაბ შარაშენიძის ნაშრომს „ახალი მასალები ფერეიდნელი ქართველების შესახებ“ (გამომცემლობა „მეცნიერება“, რედაქტორი ჯ. გიუნაშვილი). წიგნი მრავალმხრივაა საყურადღებო. მკითხველი მასში იპოვის ძვირფას ისტორიულ, ეთნოგრაფიულ, მითოლოგიურ და მხატვრული შემოქმედების მასალებს. ჩვენთვის ამჯერად განსაკუთრებით მიმზიდველია მხატვრული – ფოლკლორული და ლიტერატურული შემოქმედება. პირველი ტრადიციულია, მაშასადამე, თავის ძირითად ნაწილში ძველთაძველი, ხოლო მეორე – ახალი, თანამედროვე, უკანასკნელ წლებში შექმნილი თუ გამოთქმული. ძნელია გადაფასოთ თითოეულის მნიშვნელობა, რადგან აქ მჟღავნდება მისი მფლობელი ხალხის სულიერი სიწმინდე, შეგნება და მისწრაფება უკეთესი მომავლისაკენ. ჩვენი მსჯელობის დასაყრდენს სწორედ ამ საინტერესო წიგნში მოცემული ნიმუშები წარმოადგენენ.

პირველად საქართველოში არსებულ წერილობით მემკვიდრეობას გადავხედოთ. ამჟამად მკითხველის განკარგულებაში ფერეიდნული ხალხური შემოქმედების ასე თუ ისე ხელშესახები კოლექციაა, სხვადასხვა დიალექტოლოგიური ჩანაწერების სახით. მრავალფეროვანი ჩანაწერების შექმნაში თვალსაჩინო დამსახურება მიუძღვის პირველ ყოვლისა თვითონ ირანელ ქართველებს. ჯერ იმათ, ვინც საქართველოში ჩამოსულან სხვადასხვა დროს: იოთამ ონიკაშვილს (1871), ალექსანდრე ონიკაშვილს (1874-75), ყოლამ-რეზა ხუციშვილსა და ყოლამ-ჰოსეინ ონიკაშვილს (1896), მოჰამედ მაყაშვილსა და მის სიძეს ნასრულას (1900-02), სეიფოლა იოსელიანს (1922) და გიორგი ჯანდიერს (1926); შემდეგ იმათ, ვისი მასალებიც წარმოდგენილია ზ. შარაშენიძის ნაშრომში: მოხთარ ასლანაშვილსა და ჰოსეინ ყაფლანაშვილს (1968). თვით ჩანაწერი მასალების გარდა დიდმნიშვნელოვანია ტექსტები, რომლებიც მოპოვებულ იქნა ენათმეცნიერების ა. შანიძის, არნ. ჩიქობავასა და ვ. თოფურიას მიერ 1922-23 წლებში სეიფოლა იოსელიანის კარნახით. აგრეთვე ამბაკო ჭელიძის ჩანაწერები და მიმოხილვანი.

თუ ახლოს გავსინჯავთ საკუთრივ ფოლკლორულ ჩანაწერებს, აღმოჩნდება, რომ ფერეიდნელ ქართველთა ზეპირსიტყვიერებაში გარკვეული ადგილი უჭირავს საწესჩვეულებო-მითოლოგიურ პოეზიას, სატრფიალო შაირებს, ანდაზებს, გამოცანებს, თქმულებებს, იგავებს, ზღაპრებს და თანამედროვე ავტორ-მთქმელთა შემოქმედებას.

ახლა მოკლედ განვიხილოთ თითოეული ჟანრი ქართულ ფოლკლორთან დაკავშირებით.

I.

თეირანში მცხოვრებ მოხთარ ასლანაშვილს არ დავიწყებია საკუთარი კუთხე და იქაური ყველაზე მოზრდილი სოფელი მარტყოფი. მან დედა ენა და ქართული წერა-კითხვა კარგად იცის, ადგილობრივ ყოფაშიც მშვენიერად ერკვევა. მოხთარის

ნაამბობში ტაროსის ღუთაების სადიდებელი ლექსი გვხვდება ერთგან, რომლის ტექსტი ასეთია:

მევლათ-მოვლუთ მხარეზე,
ერბო ვიკარ ყირაზე;
ღმერთო, მალე ბალახი,
ალარ მინდა ტალახი.

ამ ლექს-საგალობელს ახალგაზრდობა ასრულებს გუნდურად, გაზაფხულის პირზე, ახალი თოვლის მოსვლისას. შეგროვდებიან მარტყოფლები და საგანგებოდ გამოეწყობიან: „ფქილითა ძირს გაითეთრებენ და შევარდებიან სახლებჩი, შევარდებიან და კუნტრუშელასა ჰყრიან და გარბიან-გამორბიან“ (გვ. 47). კარნავალის მონაწილეებს ყველა ოჯახი პატივს სცემს. „მესახლე ხილსა და კვერცხი რამე მისცემ“. ეს „თამაშობა“ ფუნქციაშეცვლილი ლაზარობაა, რომელიც ცნობილია მთელ საქართველოში და ქართლ-კახეთის მასალების მიხედვით აღწერილი აქვს ისტორიკოს ივანე ჯავახიშვილს (ქართველი ერის ისტორია, I, 1950). ფქვილით გათეთრება თოვლის სიმბოლოა, ხოლო სიტყვები „ღმერთო, მალე ბალახი, ალარ მინდა ტალახი“ – გამოამინდების აშკარა გამოთხოვაა, იმის საპირისპიროდ, რასაც ქართლ-კახეთში წვიმის მოსაყვანად მღეროდნენ:

ცხავი აცხავებულა,
წვიმა გაჩქარებულა.
ღმერთო, მოგვე ცის ნამი,
ალარ გვინდა მზის თვალი.
ღმერთო, მოგვე ტალახი,
ალარ გვინდა გორახი.

უდაოა, ფერეიდანში დაცული ჩვეულება საქართველოდან არის წაღებული გადასახლებულთა მიერ. აქაც კარდაკარ ჩამომვლელ გოგოებს კვერცხებითა და ფქვილით ასაჩუქრებდნენ. მოხთარის მიერ ნაჩვენები სახლში შევარდნის მოტივი ლაზარობის კუთვნილება არაა, იგი მეორე რიტუალური კარნავალის – ყეენობის ნაწილია. როგორც ჩანს, დავიწყების გამო ლაზარობა ყეენობას შერწყმია და ბოლო დრომდე ნარევი სახით სრულდება ფერეიდანში. ასეთია წარმართობისდროინდელი ერთი საწესჩვეულებო ლექს-სიმღერა ფერეიდანში.

II.

მოხთარ ასლანაშვილის, ჰუსეინ ყაფლანაშვილისა და ამ უკანასკნელის დის ექეფა ყაფლანაშვილის მაგნიტოფონურ ჩანაწერში მოკლე სასიმღერო შაირებიც გვხვდება. მათი თემატიკა და შინაარსი მრავალფეროვანია. აქაა სატრფიალო, საგმირო და პატრიოტული, სტუმარ-მასპინძლობის ამსახველი ლექსები. წიგნში სულ 12 საშაირო ტექსტია წარმოდგენილი, რომელთაც სხვადასხვა შეკრებილობაში

გუნდურად ასრულებენ და ერთობიან. სალაღობო ელფერთან ერთად ასეთ ლექსებს ჯანსაღი იუმორიც ახასიათებს. ყოველი ტექსტი უშუალოდ ფერეიდანშია შექმნილი და ქართულ პოეზიასთან რვამარცვლოვანი საზომი, პოეტური პარალელიზმი და შესრულების ტრადიცია თუ ანათესავებს. საილუსტრაციოდ მოვიყვანოთ რამდენიმე მათგანი. ასე, სატრფიალო ლირიკის ნიმუშს წარმოადგენს:

შე რო იჯდე რუეის პირზე,
ხალი რო გესო გულის პირზე,
ხალი რო გესო გულის პირზე,
ხალი რო გესო გულის პირზე.

აზრობრივი დატვირთვა პირველ ორ სტრიქონზე მოდის; არსებითად, პოეტური სიტყვაც აქ მთავრდება. მესამე და მეოთხე ტაეპები განმეორების, მისამღერის ფუნქციას ასრულებენ უმთავრესად. სალაღობო-საყოფაცხოვრებო იერი დაკრავს შემდეგ შაირს:

ალარ მინდა დუქანი,
ალარ მინდა დუქანი,
ქალი რო მინდა მსუქანი,
ქალი რო მინდა მსუქანი...

ოთხტაეპიან შაირს ზოგჯერ სამტაეპიანი ცვლის. ასეთია, მაგალითად, სავაჟკაცო შინაარსის ლექსი:

გადიან, გამოდიან ბიჭები,
მე შენ შეგეჭიდები,
მე შენ შეგეჭიდები.

სასიმღერო შაირი ჩვეულებრივ მარტივ შედარებებზეა აგებული, თუმცა არაიშვიათად გვხვდება სიმბოლომდე ამაღლებული სახეებიც იმავე ზომასა და სტრუქტურაში.

გადიან, გამოდიან კაკბები,
მე შენ შეგეკოკბები,
მე შენ შეგეკოკბები[264].

პატრიოტული განწყობილება იჩენს თავს შემდეგ ლექსში:

ეს მამაძაღლი თათარი,
ჩონი სოფელჩი რათ არი,
ჩონი სოფელჩი რათ არი,
ჩონი სოფელჩი რათ არი.

264. *) ვარიანტი: Ю. Н. Марр, Статьи, I, 1936, стр. 57

მამა-პაპათაგან ნაანდერძევი სტუმართმოყვარეობა აქ საგუნდო ტექსტებითაც არის განმტკიცებული:

ქართველებს უყვართ სტუმარი,
ქართველებს უყვართ სტუმარი,
როგორც რო ის იყოს ცოლები,
როგორც რო ის იყოს ცოლები.

შაირების დიდი უმრავლესობა 8-მარცვლოვან ზომაზეა აგებული, თუმცა იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება სხვა საზომებიც. თითოეულ სალექსო ტაეპს ან სტროფს აუცილებლად თან ახლავს მუსიკალურ-მელოდიური გაგრძელება, რომელიც მტკიცედ ცხრამარცვლოვან საზომზეა დამყარებული (ლალალა ლალა ლალალალა). ეს უტექსტო მისამღერი 2, 3, ან 4-ტაეპოვანია მუდამ.

III.

ფერეიდნელთა შორის პოპულარობით სარგებლობს ანდაზები, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი ოდინდელი ქართული რეპერტუარიდან მომდინარეობს. ზ. შარაშენიძის წიგნში 41 ანდაზაა გამოქვეყნებული. ჩაწერილია ისინი 1968 წლის 29 იანვარს (ჰიჯრით 9.XI.1346) – თეირანში ჰოსეინ ყაფლანაშვილის (ყალანი) მიერ. რამდენიმე ნიმუში ფერეიდნულ დიალექტოლოგიურ ტექსტებშიც გვხვდება. ახლა სანიმუშოდ ვაჩვენოთ ზოგიერთი ანდაზა ქართული შესატყვისებით XIX და XX სს. ჩანაწერების კვალობაზე.

ა) ფერეიდნელთა შორის ხშირად გაიგონებთ: „ძალით გამოტეცილ თაზია [ლეკვი] ნადირს არ დაიჭერს". დღესაც ამის მსგავსად საქართველოში იტყვიან: „ძალად მიტეებული მწევარი კურდღელს ვერ დაიჭერს", ანდა: „ძალად გატანებული ძაღლი ცხვარს არ არგია" (ქართული ანდაზები, 1935, გვ. 293).

ბ) ფერ.: „ქაჩის შაშინებული დოს უბერავსო" – ქართ.: „ფაფის შაშინებული დოს უბერავდაო" (პ. უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, II, 1964, გვ. 255); „ფაფით პირდამწვარი დოსაც სულ უბერავდაო", „ცხელი რძით გაფუფქული დოს უბერავდაო", „რძისგან შეშინებული წყალს უბერავდაო" (ხალხური სიბრძნე, V, 1965, გვ. 168).

გ) ფერ.: „ძალი რო დამეტდა პირალმა მაჰხნავს" – ქართ.: „ძალა ალმართსა ხნავსო" (პ. უმიკ., II, გვ. 265).

დ) ფერ.: „დასმჩუს ნუ დაჩოფ, დაჩოვლსაც ნუ მოკლოფ" – ქართ.: „დაუჩვევარს ნუ დაჩვევ, დაჩვეულსა ნუ მოაკლებო" (პ. უმიკ., II, გვ. 225); „დაუჩვეველს ნუ დამაჩვევ, დაჩვეულს ნუ გადამაჩვევო", „უჩვევს ნუ მიაჩვევ, ნაჩვევს ნუ მოაკლებო" (ხალხ. სიბრძნე, V, გვ. 58).

ე) ფერ.: „შიში მაჩევენა და გაქცევა გაჩენო" – ქართ.: „შიში მიჩვენე და მუხლს გიჩვენებო" (ქ. ანდ., 1935, გვ. 275).

ვ) ფერ.: „წინათ კაცი[265] მეორეს ხიდითო" – ქართ.: „წინა კაცი უკანა კაცის

265. ტექსტში კორექტურის შეცდომაა: კაცის ნაცვლად წერია კაწი.

ხიდია“ (პ. უმიკ., II, გვ. 267), „წინანი უკანათათვის ხიდადაო“ (ხალხ. სიბრძნე, V, გვ. 208).

ზ) ფერ.: „მოკდა ფური, გარდაჰწყდა ხარშულობა“ – ქართ.: „ფური მოკვდა, ხანულობა გარდასწყდაო“ (პ. უმიკ., II, გვ. 256), „ფური მოკვდა და ხანულობა გადავარდაო“ (ხალხური სიბრძნე, V, გვ. 170).

თ) სეიფოლა იოსელიანის თქმით, 1922 წელს ვარ. თოფურიას ჩაუწერია: „თიქა [ლუკმა] ერბოში აქო (საქმე კარგად მიდისო)“ (ქართული დიალექტოლოგია, I, 1961, გვ. 254). ამის შესაბამისად ჩვენში ამბობენ: „ლუკმა გავარდესო, ჯამში ჩავარდესო“ (პ. უმიკ., II, გვ. 239). შდრ. თავი ქუდში აქვსო.

ჩანს, ფერეიდანში ჩაწერილ თითქმის ყველა ანდაზასა და მოსწრებულ ნათქვამს შეიძლება მოუნახოს ზუსტი ტექსტობრივი შესატყვისი, და არა მხოლოდ აზრობრივი პარალელი.

IV.

იმავე ჰოსეინ ყაფლანაშვილს ხუთი გამოცანა, ანუ როგორც თვითონ წერს, „გამუცნა“ მიუწოდებია ზ. შარაშენიძისათვის (დას. შრ., გვ. 44, მისივე ლედანი, გვ. 87). აქაც ხუთი ნაცნობი თემაა წარმოდგენილი: ქალამანი, წინდის ჩხირი, ჩამიჩი, ასანთი, სასწორი. საქართველოში ადრე ფიქსირებულ და მათ ფერეიდნულ შესატყვისთა შორის დიდი მსგავსებაა: ფერ.: „დავაბამ დარბის, ავხსნი დალგების“ – იმასვე იტყვიან საქართველოშიც ქალამანზე: „დავაბამ დადის, ავუშვებ დგას“ (ხალხური სიბრძნე, V, გვ. 493). წინდის ჩხირებზე ფერეიდნელები ამბობენ: „ხუთი ძმანია, მუდამ ერთმანერთს თავჩი ჰცემენ“, ჩვენში ამავე გამოცანის ვარიანტთა შორის ასეთი ალიტერაციული მაგალითიც გვხვდება: „ხუთნია ხუცურაულნი, ხუთნიე აგებენ ციხესა“ (ხალხ. სიბრძნე, V, გვ. 510).

V.

ჰოსეინის რეპერტუარში ერთი ორიგინალური იგავიც არის წარმოდგენილი. ამ მცირე ხალხური მოთხრობის სიუჟეტი სოციალურ ფონზე იშლება. სიმოკლის გამო მისი მოყვანაც დასაშვებია დედნისეული მეტყველებით: „იყო ერთი გლეხი. ჰყავდა ოვრი ხარი. წავიდა სახნავზე. მივიდა მიწაში, დაიწყო შაბმა ხარები უღელში. უღელი დაუდვა ხარებს კისერზე, მერე გუთანი უღელში გაუგდო, თაფთხე სათაფთხეში ჩაოგდო და უნდოდა ხნას. დაუჭებ ხარებს. ხარები შადგეს ხნვაზე. ერთი ოვრი კოლი აიდა-ჩამოიდა. მერე ერთი ხარი ჩაოწვა. გლეხმა დაიდივ აყენოს. ხარი არ ადგა. გლეხი დაიღალა. რო ვერ აყენა, გლეხიც წავიდა და იმ ხარის გვერდით მოწვა და ხარ უთხრა: შენ დაწევ და მეც დავწვე, მერე შემოდგომაზე ვნახავო მევალე ვალში მე წამიყვანს თუ შენაო“.

VI.

ზღაპრების ნიმუშების ჩვენებისათვის ზ. შარაშენიძის წიგნს უნდა გაესცილდეთ; მიემართოთ სხვა ჩანაწერებს იმის დასადასტურებლად, რომ ფერეიდნელებმა ზღაპრები

გადასახლებამდეც იცოდნენ და XIX საუკ-შიც იყენებდნენ მასობრივი შემოქმედების ამ უპოპულარეს ჟანრს. ი. გიგინეიშვილის, ვ. თოფურიას და ივ. ქავთარაძის „ქართულ დიალექტოლოგიაში“ ამ ჟანრის რამდენიმე ნიმუშია მოცემული ადრინდელი ჩანაწერების მიხედვით: „ციცა და შირი“ (კატა და ლომი), „მორწყავის ზღაპარი“ და „გაფი“ [ამბავი] (გვ. 257-68). ჩვენ აქ ერთ ახალ ტექსტს წარმოვადგენთ, რომლის დედანი დაცულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორულ არქივში. ტექსტი დაწერილია 1874-75 წწ.-ში ფერეიდნელი ქართველის ალექსანდრე ონიკაშვილის მიერ საკუთარი ხელით და „ჩვენებური არაკი“ ეწოდება (ფ. არქ. უმიკ. კოლექცია, 5004, „დროება“, 1875, N34). თვითდამწერი ქართულ ენას ფლობს და გარკვეულადაც წერს, თუმცა ზოგჯერ სიტყვებსა და სასვენ ნიშნებს აკლებს. „სპარსეთელი ქართველის წერილს“ ალ. ონიკაშვილი ასე იწყებს: „მოდი, ვსთქვათ ზღაპარი“. ჟანრობრივად ეს ტექსტი მოსალოდნელ ფანტასტიკურ მოთხრობას არ წარმოადგენს, იგი ტიპური იგავ-არაკია, მხოლოდ ვრცელი ზღაპრის ფორმით მოთხრობილი.

ჩანაწერის სრული სახით მოყვანა შეუძლებელია. ამიტომ შევეცდებით შინაარსთან ერთად ჩამწერის ენაც ვაჩვენოთ ალაგ-ალაგ. „იყო და არ იყო. [იყო] ერთი კაცი ღვთისნიერი. მას ჰქონდა ერთი ბალი, ბუნებითი მშვენიერი. ის ბალი იყო ორ წყალს შუა; ორივ წყალი მასა რწყავდა. მთელი წელი, ოთხი ჟამი, ზამთარ-ზაფხულს სულ ყვავოდა. პირმცინარედ მაღლა ცაში მზეს პირდაპირ შასცქეროდა. იმ კაცს ჰყვანდა თავის ბაღში მცხოვრებლები ფრინველები. ბულბული მუდამ გალობდა; გუგულები კი მაღალი ხეებიდან გუგუს გასძახოდნენ. ბაღის პატრონიც მშვიდად და ბედნიერად ცხოვრობდა. „მაგრამ ერთ ჟამს მტერი გაუჩნდა იმის ბაღსა, ყოვლად უთანასმო ყვავები“. მოულოდნელად ბაღში ყვავები დაბუდდნენ და ყრანტალებდნენ: „რაც არა პატრონს ვარგიყართ, არც არას სხვა დაგვიშლისო“. ყოველი მხრიდან მოფრინავდნენ საშინელი ყვავები, „კარ-კედელი აღარ ძლებდა“. ჭილ-ყვავებმა განდევნეს კეთილშობილი ფრინველები. შეწუხდა პატრონი, მაგრამ ბაღის გადარჩენის საშუალება ვერაფრით ვერ მოეფიქრებია. მაშინ ერთმა შვილმა უთხრა: „მე შენ ერთ ხერხს გასწავლი, რომ იმან მოსპოს შენი ბაღის ქურდებიო“. იშოვე კომბოსტოს (კაპუსტას) თესლი, დათესე და რაც მოვა, იმას ვერავინ წაიღებსო. რა იცოდა ბაღის პატრონმა კომბოსტოს თვისება! შორიდან მოიტანა თესლი და დათესა. მალე ბაღი ლურჯად შეხვეული თავებით დაიფარა. ქურდები მართლაც გაკრიფნენ, მაგრამ ახლა კომბოსტო დაეუფლა ბაღს. „ვარდის ბუჩქები დაისაკუთრა, წვრილი მცენარეები სულ მოუსპო. ბულბულები შეაწუხა“. კაცი დაღონდა. ბაღი ბაღად წავახდინე, თვითონაც არ ვარგაო. „წნილად ჩავდებ, მჟავეა, უმათ მივირთმევ – მწარეაო“. „ბაღიდგან წმინდად ხელი დამაბანინა, ჩემი ბედიც მან გააშავაო“, ჩიოდა მებაღე. „აბა ერთი გავინძრიო, ხომ არა ვარ მე ძილშიო, მაგრამ მე ძილში არა ვარ, ჩემი ბედია ძილშიო!“ – ასკვნიდა მალე. სასოწარკვეთილ მეპატრონეს „იმის ბაღის მცხოვრებლებმა ერთი ასე გამოსძახეს: შენ მიანდე მომავალსა, ეგებ კიდევ ჩვენ ჩაცვივდეთ შენ ხელშიო“. ასე მთავრდება ალექსანდრე ონიკაშვილის „ჩვენებური არაკი“. მოთხრობა ფოლკლორულია, მაგრამ

მას სპარსულ-ირანულ სამყაროსთან უფრო მეტი კავშირი აქვს, ვიდრე ქართულ ტრადიციულ სინამდვილესთან.

ქართულ ზღაპრულ წყაროსთან სიახლოვეს განსაკუთრებით „ციცა და შირი“ ამჟღავნებს, რომელიც ჩვენში ვეფხვისა და კატის თავგადასავლის სახითაა ცნობილი. კატის ვეფხვთან შედარება უფრო ბუნებრივია, ვიდრე ლომთან.

ციცა შირს შეხვდა: „ციცავ, რას ეგრე დაჩაგრულხარო და დაბატავებულხარო?“ ცბიერმა კატამ მიუგო: „რა ვიცი, ყეენი იყოს სალამათადაო. რა გითხრაო, რო ერთ აგეთი ადამიზადის ხელჩიგა მივსულუარო, რო ხოშ ესეცლა ვარო“ (ქ. დიალექტ., გვ. 257). იგივე ეპიზოდი ქართულ ცხოველთა ზღაპრებში კატისა და ვეფხვის გასაუბრების სახეს ატარებს. ვეფხვმა კალიებზე მონადირე კატა შეამჩნია და გაკვირვებულმა ჰკითხა: „ძამიავ, შენ, როგორც გეტყობა, ჩვენი ჯიშისა ხარ და რა ცოდვისა გწევია, რამ დაგგვალაო? ეშმაკმა ციცამ თავი მოიკატუნა და უპასუხა: ჰმ, დიდებულო ბატონო, ნადირთ მეფევ, თქვენ არ იცით, რა წვა და დაგვაში ვართ კაცის ხელშიო“ (ქ. ხალხ. ზღაპრები, I, მ. ჩიქოვანის რედაქ., 1938, გვ. 43). საუბარს ორივე ტექსტში მოსდევს ლომის თუ ვეფხვის ადამიანთან შეხვედრა, უკანასკნელის მიერ მოხერხებით უძლიერესი მხეცის მკაცრად დასჯა და გამოსარჩლებაზე სინანული. სიუჟეტი საერთაშორისოა, იგი გვხვდება ვარდანის იგავებში (I, § 478), სპარსულ ზღაპრებში (რუს. გამოცემა, N7) და სხვაგან. ამგვარად, ხალხურ მოთხრობებშიც ფერეიდნელები 350 წლის შემდეგაც ახლოს არიან ჩვენს ზეპირსიტყვიერებასთან.

VII.

ქართულ ფოლკლორში დღესაც თვალსაჩინო ადგილი უკავია საგმირო თქმულებას. ზემოთ აღნიშნული ჩანაწერების მიხედვით, ფერეიდანის მიმართ ამას ვერ ვიტყვით. არ ჩანს ამირანის, ეთერის და ძველი ეპოსის სხვა სიუჟეტები. ვფიქრობთ, ეს ჩვენი ცოდნა მთლიანად არ ასახავს ფერეიდანში არსებულ ვითარებას. გვაქვს საბუთი ვივარაუდოთ, რომ სპარსელ ქართველებში მიჯაჭვული ამირანის თქმულება არაა დავიწყებული. ამგვარი მტკიცების უფლებას გვაძლევს ცნობები, რაც გიორგი ჯანდიერის თბილისში ჩამოსვლასთანაა დაკავშირებული.

VIII.

დასასრულ, ორიოდე სიტყვა ფერეიდნელთ ინდივიდუალური მხატვრული შემოქმედების შესახებ. სამწუხაროდ, ჯერჯერობით ამ დარგში ძალიან მცირე მასალა მოგვეპოვება, მაგრამ რაც გამოქვეყნებულია, იგი როგორი პოეტური ღირსებისაც უნდა იყოს, მაინც ყურადღებას იმსახურებს. ახლა ჩემ წინაა ერთი მოზრდილი თხზულება, „მუხამბაზი სპარსეთელის შათხზვილი“ და, რადგანაც იგი XIX საუკუნის 70-იან წლებში მისი ავტორის თბილისში ჩამოსვლას ასახავს, ვფიქრობთ, მკითხველისთვისაც საინტერესო იქნება და აქვე წარმოვადგენთ დიალექტოლოგიურ ტექსტს ნაწყვეტებად.

მუხამბაზი

ბუნება სთქვამს, ეს არის ჩემი ბრალი,
თავსუმბუქი, ყურში მძიმე, ეს არი ვიცი ბრალი!
ღმერთო, რისთვის გამაჩინე, რომ მქონოდა შავ იღბალი.
მე გამოველ ჩემ ქვეყნიდამ, სახლიდგანაც ავიღე ხელი,
თუ რომ გახოლ შენ გარეთა, ვიცი გახდები საწყალი;
ქართველები არავინ გიცნობს, იქ ძვირია შენი ადგილი.
სწორეთ ასრე დამემართა, არ არის გასაკვირველი;
მე კი მსურდა, რომ მენახა ძველნი ნაკურთხნი ქართველნი,
რომელთაც რომ დარჩენიათ ჯერ საღდარი, მერე ჯკვარი.
გაჭირვება არ მენახა, არაფრად ჩავაგდე სახლი;
ძმა და ბიძას არ გაუგონე, ახლა ქვას თავში ვიხლი.
186... აქ ბატონობა არსებობდა – სპარსეთში არ გემეგონა.
გლეხს და საწყალს რომ შავხედე, პირველ მეფე მომაგონა.
ეს ადგილი რას მიჩვენებს, რა არის ამის მიზეზი!
ნეტამც ერთი წარმახედო პირველ მეფე ფარნავაზი. ...
ღმერთო, რისთვის გამაჩინე, რომ მქონოდა შავი იღბალი!
მაშ რა იქნა და სად წავიდა საქართველოს მჭრელი ხმალი!
სოლოლაკზედ გადვიარე, წინ დამიხვდა ციხე ძველი;
იმ ადგილმა და ბუნებამ წარმომიდგინა დრონი ძველი.
ამას რალა თქმა უნდოდა, არ არის გასაკვირვალი.
გულზედ ცეცხლი მომივიდა, თავიდგან ამსქდა მე ბოლი;
თვალებშიგაც დამიბნელდა, – ეს იყო ჩემი სანატრელი!
ნეტამც ერთი იმ დროს მამყოფა და ხელშიაც მომცა ხმალი;
გულზედ ფრთები გამოვიბა, ავაყენო სისხლის ღვარი;
ლომივით იქ მე ვიბრძოლო, ისე გავხდე როგორც ცეცხლის ალი,
ათას წილათ რომ დამკუწონ, არ დავღვარო წეთი სისხლი.
თათრებმა და მონგოლებმა საქართველო სულ დაბნიეს, ოთხი კუთხივ ახი – უხი,
მე ვენაცვლო იმის ხმალს, ყველა მტერს გასცა პასუხი.
ჩვენი ტურფა საქართველო ბევრჯელ იყო მტრების ხელში.
ქართველებო, რაღაც ნანობთ, რაღას იხლით ქვასა თავში.
1812 წელს მე გადმოველ, დავინახე ქართველი თავის უფალი,
რომელნიც ტურფათ გაშლილ ციხიდგან ავლიათ ხელი.
ქართველები თავისუფლად ცხოვრობენ, უმაღლეს ალექსანდრეს ჩერდილში.
როდესაც მათ ურა დაიძახეს, სპარსელები შაიხმუჭნენ თავიანთ ქერქში.
კაცი უნდა ყოველთვის იყოს მამულისთვის თავგანწირული.
წერაკითხვა რათ მინდოდა მე თათრული.
მამა-პაპურ ისტორია, თავად-აზნაურთა ტიტული!
მაგრამ ასეა უფლისაგან სუყველაზედ დადებული -

მამამ რაც რომ უნდა აიღოს, – შვილმა მისცეს მისი ვალი...
ასე არი უფლის ნება, საქართველოს მოსდის ძილი.
მომავალი იმედს მაძლევს, რომ გაუფრთხოთ მასა ძილი
და მოიღეროს თავისი ტურფა ქორწილი.
კაცი არი როგორცრომე დარგმული ხე.
ის ხე, როცა დაბერდება – დალპება და მოვარდება;
როცა ახალს გაიზრდის მისი ძირი,
მაშინ კიდევ გაახლდება მისი გვარი.
კაცის გვარიც იმგვარადვე გაფუჭდება,
მაგრამ ერთს დროს ახალგაზრდა მოესწრება,
უმჯობესად თავის გვარსაც გეესწრება.
ალექსანდრე ო(ნიკაშვილი).
(რუსთაველის სახ. ქართული ლიტ. ინსტ. ფოლკლორული არქივი, უმიკ., 49105).

ლექსი, ცხადია, ბევრ კომენტარს საჭიროებს. ყველაფრის აქ აღნიშვნა ძნელია. იგი დაწერილია ავტორის საკუთარი ხელით. დედანი ჩვენებს, რომ ქართულ მხედრულ წერა-კითხვასთან ერთად მას სპარსული და რუსული წერაც სცოდნია. ფერეიდნიდან ჩამოსული, რომანტიკულად განწყობილი ახალგაზრდა თბილისის სიძველეებს ათვალიერებს, იგონებს თანამემამულეთა წარსულს და თანაც მაშინდელი სოციალური წყობით არ არის კმაყოფილი. მას თავად-აზნაურთა ტიტულების შესწავლაც სჭირდება! პროგრესულად მოაზროვნე პოეტი თავის წინათგრძნობას დაუფარავად გადმოსცემს: კაცი მის მიერ დარგულ ხესა ჰგავს; როცა ის ხე დაბერდება – დალპება და წაიქცევა. მაშასადამე, მომავალი მხოლოდ ახალგაზრდობას ეკუთვნის. ალექსანდრე ონიკაშვილმა ოქტომბრის რევოლუციამდე დიდი ხნით ადრე მოვლო საქართველო, მთელი მისი წინასწარმეტყველებაც მოახლოებული აფეთქების პოეტური ხილვა იყო. ჩვენ არ ვიცით, რა ბედი ეწია ალ. ონიკაშვილს, არავითარი ბიოგრაფიული ცნობა არ გაგვაჩნია.

ონიკაშვილის მაგალითი იმაზე მეტყველებს, რომ ფერეიდანს თავისი მასშტაბის ლიტერატორები ჰყავდა. ისინი, სპარსულთან ერთად, ქართულ ენაზეც წერდნენ ნაწარმოებებს. ეს ტრადიცია გრძელდება. 1969 წელს დაბეჭდილ წიგნშიც რამდენიმე ნიმუშია შეტანილი. ალ. ონიკაშვილმა თბილისი საკუთარი თვალით იხილა და სამახსოვრო მუხამბაზი უძღვნა მას. თბილისი ახლაც ბევრს იზიდავს. მოხთარ ასლანაშვილი საუკეთესო სურვილს უძღვნის ჯერეთ უნახავ ქალაქს.

მინდა ვიქცე ფრინველად,
მოიდე თქვენ სანახველად;
მე რო ვცხოვრობ მარტყოფში -
კარგად იყვნეთ თბილისში.

საქართველოსა და მისი დედაქალაქის ისტორიული ადგილების ხილვა სანუკვარი ოცნებაა სპარსულად ქართულენაზე მოღვაწე მხატვრული სიტყვის ოსტატებისათვის. ფერეიდნელი ქართველის მიერ სპარსულ ენაზე დაწერილ „ჩივილში წინაპართა სამშობლოზე“ ბევრი ამაღელვებელი სტრიქონი გვხვდება.

ოი! შენ სურნელოვანო თბილისის მიწავ,
შენთან შედარებით რა არის სამოთხის ბაღი!
დედა, მიწა და სამშობლო საქართველოსთანაა შეთანაბრებული. პოეტმა იცის
ქართულად მიწას დედა ეწოდება სახელად,
ქვეყანა ამ სახელიდან იქმნა სახელდებული.

ამიტომაც საჯაროდ მღერის:

თუ ამჟამად ჩემი ხელი მისწვდება დედას,
ჩემი სიხარულის შეძახილი ღმერთამდე მივა.

ფერეიდნელ ქართველებს დედა ენის ცოდნა საშუალებას აძლევთ, ხევსური მათქვამების მსგავსად, თავიანთი ბიოგრაფიული ცნობებიც ჩართონ ლექსებში: „ასწავლეთ ენა ერთმანეთს, მწერელი ასლანაშვილი, რეზას ბავშვი, მარტყოფელი, მოდით გავაბანოთ (ჩავკიდოთ) ხელი, კარგათ შაინახოთ ქართოლი“, – გულწრფელად ურჩევს თავისიანებს ავტორი-მთქმელი. ჩვენ შემოქმედებით წარმატებებს ვუსურვებთ ფერეიდნელ მგოსნებს.

ღმერთს ყოველთვის ვეველრები,
მე მას ამგვარად ვთხოვ, -
მომცეს მე საშუალება, ვიხილო სამოთხე,
რომელსაც ღმერთმა თბილისი უწოდა.

არანაკლებ საპატიოა მომდევნო სტროფებში ჩაქსოვილი გრძნობა.

ჩემი ქვეყანა თბილისია,
მისი მიწიდან ამოდის ოქრო და ვერცხლი.
ის, ვინც თბილისზე ილაპარაკებს,
ღირსეულია ყველა საზოგადოებაში.

ჩვენ მოკლედ განვიხილეთ წიგნში წარმოდგენილი მრავალმხრივ საინტერესო ზეპირსიტყვიერი მასალები.

მიხეილ ჩიქოვანი

***

ლევან ფრუიძე

ფერეიდნიდან ჩამოსახლებულ ქართველებთან – ლევან ფრუიძე გვაწვდის საინტერესო ცნობებს ფერეიდნელი ქართველების ჩამოსახლების შესახებ საქართველოში და ასევე იმ სამეცნიერო საქმიანობის შესახებ, რომელიც გ. ჩიტაიას ხელმძღვანელობით დაიწყო.

(ძეგლის მეგობარი, 1974 N34, გვ. 86-87)

ფერეიდნიდან ჩამოსახლებულ ქართველებთან

სამას სამოცი წლის შემდეგ, 1972 წლის 15 მარტს, სანატრელი სამშობლოს მიწაზე ფეხი დადგა პირველმა რეპატრირებულმა ფერეიდნელმა ქართველმა, 38 წლის ჯავად ჰასანის ძე ბათუაშვილმა, რომელიც მეუღლით და სამი შვილით გურჯაანის რაიონის სოფელ ჩუმლაყში ჩაესახლა, საბჭოთა მთავრობის მიერ რეპატრიანტთათვის აგებულ ერთ-ერთ მშვენიერ სახლში.

ის დღე არასოდეს არ დაავიწყდებათ გურჯაანის რაიონის მშრომელებს. შეიკრიბა უამრავი ხალხი. დიდი და პატარა სიხარულის ცრემლებს ღვრიდა. შაჰ-აბასისაგან დატყვევებულთა შთამომავალი მშობლიურ კერას დაუბრუნდა, შეალო საკუთარი სახლის კარი და ჩვეულებრივი ცხოვრება დაიწყო. იმავე წლის 18 მაისს ოთხი ოჯახი: გოლამრეზა და კოლია ონიკაშვილები (სოფ. ვაზისუბანი). დარვაშალი (სოფ. ჩუმლაყი) და ფაზლოლა ბათუაშვილები (სოფ. ვაზისუბანი) ჩამოვიდნენ. 20 ივნისს სოფ. ჭანდარის მკვიდრნი გახდნენ ძმები ნეიმათოლა და ფარვიზ ბათუაშვილები და აბდოლჰოსეინ იოსელიანი. ახაშენში ჩასახლდა სამი ძმა ბათუაშვილი. ჯავად, ალი და ახმადყოლი. შაშიანს დაფუძნდა ნასრათოლა ონიკაშვილი და კოლია ბათუაშვილი. 1972 წლის აგვისტოში გვეწვია მოჰამედ ბათუაშვილი, რომელიც ჩუმლაყში ცხოვრობს, ხოლო რეზა და ფარვიზ მიქელაძეებმა საგარეჯოში დაიდეს ბინა. 1973 წლის 5 ივნისს სოფ. შაშიანს კიდევ შეემატა ერთი კომლი – ალი-მარდან იოსელიანი მეუღლით და ორი პატარა ვაჟი. ამრიგად, ფერეიდანიდან ჯერჯერობით, 16 ოჯახი დაბრუნდა, სულ 99 სული. ბუნებრივია, საქართველოს ისტორია არასდროს არ დაივიწყებს ამ ფრიად სასიამოვნო ფაქტს და მათთვის, ვინც ძნელბედობის ჟამს სამშობლოს მოწყდა, მაგრამ არ დაკარგა ეროვნული თვითშეგნება, მუდამ ღია იქნება კარი.

განსაკუთრებით დიდია რეპატრირებულთა მიმართ მეცნიერული ინტერესი. ცნობილია, რომ ჩვენმა სასიქადულო ენათმეცნიერმა არნოლდ ჩიქობავამ 1922 წელს საქართველოში დროებით ჩამოსულ ფერეიდნელ ქართველ სეიფოლა იოსელიანთან მეცნიერული კონტაქტების შედეგად შექმნა ნაშრომები: „ყენაწილაკი ფერეიდნულში და მისი მნიშვნელობა გრამატიკა – ლოგიკის ურთიერთობის თვალსაზრისით“ (წელიწდეული, 1-2 ტფ. 1923-1924); ვინის რეფლექსები ფერეიდნულში“ (ჩვენი

მეცნიერება, 2-3, 1923) და „ფერეიდნულის მთავარი თავისებურებანი“ (ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე,7, 1927). ამ გამკვლევათა შედეგად დიალექტებს შეემატა კიდევ ერთი – ფერეიდნული კილო. რა თქმა უნდა, ახლა როცა ჩვენი თანამოძმენი დაგვიბრუნდნენ, მათი ისტორიულ-ეთნოგრაფიული, ლინგვისტური, ფოლკლორული და სოციოლოგიური შესწავლა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დღის წესრიგში დადგა. ეს საშვილიშვილო საქმე ითავა აკადემიკოსმა გიორგი ჩიტაიამ, რომლის ხელმძღვანელობით შედგა კომპლექსური ექსპედიცია, 1973 წლის 25 მაისს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივი მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს – მდივან ალექსანდრე ფრანგიშვილთან გაიმართა თათბირი, რომელშიც მონაწილეობდა საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე თენგიზ გორდელაძე. გადაწყდა, რომ ექსპედიციის წევრები სპაციალობათა მიხედვით ცალ-ცალკე შეუდგებოდნენ მუშაობას. პირველი გასვლა (1973 წლის 14 ივნისიდან 28 ივნისის ჩათვლით) მოახდინეს ეთნოგრაფებმა. მასალა შეიკრიბა შემდეგ თემებზე, მემინდვრეობა საოჯახო ყოფა (ნ. ბრეგაძე), სახვნელი იარაღები (გ. ჩიტაია), მევენახეობა, მებაღეობა, შინახელოსნობა – გამოყენებითი ხელოვნება (ლ. ფრუიძე), მესაქონლეობა (თ. ცაგარეიშვილი), მუსიკალური ფოლკლორი, წეს-ჩვეულებანი (ნ. მაისურაძე). ამჟამად მიმდინარეობს მოპოვებული მასალის დამუშავება.

საერთოდ, ეთნოგრაფიული მასალა ფერეიდნელ ქართველებზე მეტად მცირე რაოდენობით გვაქვს. საკუთარი თვალით ნახული ყოფა-ცხოვრებითი ფაქტებია გადმოცემული ლადო აღნიაშვილის და ამბაკო ჭელიძის ნაწარმოებებში, ფერეიდნიდან თეირანში ჩამოსულ ქართველებთან გარკვეული მუშობა ჩაატარა ზურაბ შარაშენიძემ, რომელმაც გამოაქვეყნა ახალი წიგნი: ახალი მასალები ფერეიდნელი ქართველების შესახებ“ (თბ.1969). აღნიშნული ნაშრომი საინტერესო ეთნოგრაფიულ და ფოლკლორულ მონაცემებს შეიცავს. აკად. გ. ჩიტაიას მითითებითა და პროგრამით არმაზის არქეოლოგიური კაბინეტის გამგემ ალექსანდრა ჯაშმა, რომელიც მეუღლესთან ერთად 1967-1972 წლებში ისპაჰანში ცხოვრობდა და ფერეიდნელ ქართველებს ხვდებოდა, საგულისხმო ჩანაწერები გააკეთა. ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით შეიძლება წინასწარ ითქვას, რომ მიუხედავად იმისა, რომ ფერეიდნელი ქართველები სამ საუკუნე ნახევარზე მეტი ხნის განმავლობაში უცხო გარემოში ცხოვრობენ, მათ ენასთან ერთად შეინარჩუნეს ქართული ყოფის დამახასიათებელი რეალიები, თითქმის იმავე სახით, რაც ჩვენი ქვეყნის XVII საუკუნის პირველი ნახევრის ყოფას ახასიათებდა. ეს განსაკუთრებით იგრძნობა მიწის დამუშავების კულტურაში, სახვნელ იარაღებსა და საოჯახო ინვენტარში, მესაქონლეობასა და საერთოდ ძველქართულ ტერმინოლოგიაში, რომელიც ჩვენმა სამეტყველო ენამ დიდი ხანია დაკარგა. ვფიქრობთ, კომპლექსური ექსპედიციის შრომები მნიშვნელოვნად გაამდიდრებს ქართულ ჰუმანიტარულ მეცნიერებებს, ამასთანავე აუცილებელს ხდის ასეთივე კომპლექსური ექსპედიციის მოწყობას საკუთრივ ფერეიდანში. ეს მით უფრო საშურია, რომ ჩვენი ცოდნა ფერეიდნელ ქართველებზე შეზღუდულია. სპეციალისტთა მიერ შეკრებილი მასალები, როგორც დავინახეთ, ცოტაა. ქართულ ენაზე რაც ცნო-

ბები გაგვაჩნია თითქმის სუყველა ენთუზიასტებს ეკუთვნის. ფერეიდანი შეიძლება ითქვას, ჩვენთვის „სოციალური განათხარია“. იქ მუშაობით მრავალი ეთნოგრაფიული ფაქტის და მოვლენის აღდგენა შეიძლება, რომ არაფერი ვთქვათ ლინგვისტურ და ფოლკლორულ წიაღსვლებზე. ვიმედოვნებთ, ფერეიდნელ ქართველთა ყოფისა და კულტურის შესწავლა გაგრძელდება.

ლევან ფრუიძე

***

ქართველები ირანში, ფერეიდნიდან წიგნი მოვიდა – წერილში საუბარია მაჰმად სეფიანის წიგნზე „ქართველები ირანში“, რომელშიც მიმოიხილავს ირანში ქართველთა გადასახლების ამბავს, საუბრობს ქართულ კოლონიებზე ირანში, ქართველთა როლზე ირანის ისტორიაში. ახსენებს ალავერდხანის, გორგინხანის, ხოსროხანისა და სხვათა დამსახურებას სამეფო კარზე. წიგნის ზუსტი სათაურია „ქართველი ირანელები“ – ირანიან-ე გორჯი. გურჯი ირანელები.

რევაზ მიქელაძე, როდამ ჩაჩანიძე
ქართველები ირანში
ფერეიდნიდან წიგნი მოვიდა

(კომუნისტი, 1980, ხუთშაბათი, 19 მარტი]

ჩვენს ხელთ არის ირანის ძველ დედაქალაქ ისპაჰანში სულ ახლახანს სპარსულ ენაზე გამოცემული წიგნი „ქართველები ირანში“. ამ დიდი ნაშრომის ავტორია მაჰმად[266] სეფიანი (სეფიაშვილი). შესავალში ავტორი წერს: „ამ წიგნში ლაპარაკია იმ ქვეყანაზე, რომელიც შავი ზღვის პირად მდებარეობს და თავისმა შესანიშნავმა სტრატეგიულმა და ბუნებრივმა პირობებმა საუკუნეების განმავლობაში დიდი მოვლენების ცენტრში მოაქცია. სისხლიანი დღეებისა და ხოცვა-ჟლეტის ასპარეზი გადახდა. ზოგჯერ ისეთი ძლიერი დამპყრობლების, როგორიც იყვნენ ალექსანდრე მაკედონელი, ჩინგისხანი, თემურ-ლენგი და კიდევ სხვანი მრავალნი, ყურადღებას იქცევდა, იმართებოდა დიდი ომები,მაგრამ მაინც გადარჩა. აქ, ამ პატარა მიწაზე ერთმანეთს ეჯახებოდა ოსმალოთა და სპარსთა, ბერძენთა და სხვათა ინტერესები, რაც ძვირად უჯდებოდა ქვეყანას“.

შემდეგ ავტორი მოკლედ მიმოიხილავს საქართველოს ისტორიას და გეოგრაფიას.

266. მოსამად

უხვად იყენებს ძველი იტალიელი, ბერძენი, სპარსი და თურქი მოგზაურებისა და ისტორიკოსების ჩანაწერებს. მეტად საინტერესო მასალებს იძლევა ქართველ ხალხზე.

იგი გულისტკივილით ლაპარაკობს მეჩვიდმეტე საუკუნის იმ მძიმე წლებზე, როცა სისხლიანი შაჰ-აბას პირველის განკარგულებით დაიწყო ქართველთა უმოწყალო ხოხვა-ჟლეტა და ირანში გადასახლება. იხსენებს აფრიკაში გავრცელებულ დიდ ნადირობას ზანგ მოსახლეობაზე, როცა მათ მონებად ჰყიდდნენ ამერიკის შავ ბაზარზე და მწარედ შენიშნავს: „ამ ორ დიდ სამარცხვინო აქციას შორის განსხვავება მხოლოდ ის იყო, რომ იქ დასავლეთში ძალმომრეობის მსხვერპლი შავკანიანი გახლდათ, კავკასიაში კი თეთრი ადამიანი“.

აქედან იწყება ქართული კოლონიების ისტორია ირანის მიწაზე. ქართველმა კაცმა კვლავ გამართა თავისი კერა ხორასანში და მაზანდარანში, გილანში, ფარსში, აბასაბადში, იზადხასტში, ფერეიდანსა და ხუზისტანში. ფერეიდანში ქართველთა დასახლების ძირითადი მიზანი ის იყო, რომ ქართველებს ირანის საზღვრები უნდა დაეცვათ ბახტიართა განუწყვეტელი შემოსევისაგან.

ქართველები ნელ-ნელა შეერივნენ ირანელებს, დაჰკარგეს ენა და ადათ-წესები. გაქრა ბევრი ჩვენი კოლონია, გადარჩა მხოლოდ ფერეიდანი, სადაც ჩვილი აკენიდანვე სწავლობს ქართულს და დედის ძუძუდან მძლავრად იწოვს ყველაფერს (მხოლოდ ქართულს და მეტს არაფერს. ფერეიდანში ქართული ენა არ იდევნება. ის კი არადა, აქ მცხოვრებმა და ბახტიარებმაც დიდი სიყვარული გამოავლინეს ამ ენისადმი, სიამოვნებით სწავლობენ და ზოგიერთი უცხო ტომის ოჯახისათვის იგი მშობლიურად იქცა. წიგნის ამ მონაკვეთში დაბეჭდილია ქართული ანბანი და დათვლის ქართული წესი.

ავტორი ფართოდ მიმოიხილავს ფერეიდნის გეოგრაფიას, ეკონომიკას, კლიმატს, მოსახლეობის საქმიანობას, ზნე-ჩვეულებებს.

ავტორი აღნიშნავს რომ ურბანიზაციის პროცესი ფერეიდანსაც შეეხო. ახლა ბევრი ფერეიდნელი ლუკმა-პურის საშოვნელად სოფლიდან მიდის, ქალაქად სახლდება. გაჩნდა ქართველთა დასახლებები ირანის ბევრ ქალაქში, მათ შორის თეირანსა და ისპაჰანში. თეირანში ერთ-ერთ ქუჩას ეწოდა „ქართველების პროსპექტი“.

შემდეგ, ავტორი მიმოიხილავს საქართველო-ირანის კულტრულ ურთიერთობას. ხაზს უსვამს მის ღრმა ფესვებს, აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ ქართველები სწრაფად წინაურდებოდნენ ირანის სამსახურში. იმათ შორის, ვინც ირანში აღზევდა, უპირველესია ალავერდი ხანი – უნდილაძე, რომელიც ქვეყანაში შაჰის შემდეგ პირველკაცად იქცა. ალავერდი ხანმა ისპაჰანში მდინარე ზაიანდერუდზე ააშენა ოცდაცამეტკამარიანი ხიდი, რომელიც დღესაც ემსახურება ისპაჰანელებს. ალავერდი ხანი ირან-თურქეთის გააფთრებულ ომებში შაჰ-აბას პირველის ერთადერთი იმედი იყო. იგი 1626 წელს დაინიშნა ირანის ჯარის უმაღლეს მთავარსარდლად და დიდი რეფორმები განახორციელა, რის შედეგადაც ირანის შეირაღებული ძალები იმ დროისათვის პირველხარისხოვანი გახდა.

ავტორი მიმოიხილავს აგრეთვე სხვა გამოჩენილ ქართველების – გორგიხანის[267], ხოსროხანის და სხვათა მოღვაწეობას ირანის შაჰის კარზე. აღნიშნავს ქართველთა დიდ როლს ენჯომინების[268] დროს.

წიგნის ავტორი მაჰმად სეფიანი (სეფიაშვილი) ფერეიდნელი ახალგაზრდა კაცია. დაამთავრა ისპაჰანის უნივერსიტეტის გეოგრაფიის ფაკულტეტი. ამჟამად მთელ თავის ენერგიას და ცოდნას ახმარს თავის ხალხს – მუშაობს ფერეიდუნ-შაჰრში (ზემო მარტყოფი) პირველი საშუალო სკოლის დირექტორად და ემზადება სამეცნიერო ხარისხის დასაცავად. აქ ისიც უნდა ვთქვათ, რომ მთელ ფერეიდანში განათლების საქმეს სათავეში უდგას ამირან მიქელანი (მიქელაძე), უმცროსი ძმა ამ წერილის ერთ-ერთი ავტორისა.

ეს წიგნი ერთადერთია, რაც ირანის მთელი ისტორიის მანძილზე ამ ქვეყანაში გამოიცა ირანელ ქართველებზე. ავტორს დიდძალი მასალა შეუკრებია, რულუნებით დაულაგებია და წიგნში შეუტანია. ახლა, როცა ირანში დაამხეს შაჰის სისხლიანი რეჟიმი და ხალხი ახალ ცხოვრებას იწყებს, ამ წიგნის გამოსვლა საყურადღებოა. იგი ნათელ წარმოდგენას მისცემს ირანელ ხალხს მეზობელ ქართველებზე.

რევაზ მიქელაძე
აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის მეცნიერი მუშაკი
როდამ ჩაჩანიძე. მწერალი

267. გორგინხანის

268. ენჯუმენების

დანართი 1

დოკუმენტები

სქემატიური ზედმა ერთი ნაწილი

ფერეიდანისა

გურჯი ანუ ქართველთ ნაჰაია.

1. ხუნსარი (ქალაქი), გზა.
2. თოლარი ანუ დომბექამარი
3. ბოინი
4. ხუნვი (სომხისა)
5. ტაშკასანა
6. ხაშისლი (თურქისა)
7. ბიეკვრდი (სომხისა)
8. უბუნბულაყი (თურქისა)
9. ხოიგანი (სომხისა)
10. სანგიბარანი (სომხისა)
11. შეშკანი (ფარსი)
12. დაკნო (სომხისა)
13. აჭესი
14. აზნაულა (სომ. ფარსი)
15. ხარნა (სომხისა)
16. ახჩა
17. ჰაზარჯირიბი (სომხისა)
18. შაიურდი
19. ჯაღჯაღი
20. სიბაკი
21. ჩუღრუთი
22. მარტყობი-ზემო ანუ ახორა ზ.
23. მარტყობი-ქვემო ანუ ახორა ქ.
24. სირიშკინი (სომხისა)
25. დეესური
26. ნინოწმიდა ანუ ქუდუბანაქი.



გურჯი ნაჰაიას რუკა. ლ. აღნიაშვილი,
„სპარსეთი და იქაური ქართველები“, 1896



ფერეიდნელი ქართველების მისალოცი სიტყვა აკაკი წერეთლის იუბილეზე, 1908, გ. ლეონიძის სახელობის ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი.

ხუთი ქართველის წერილი სპარსეთიდან ყოლამრეზა ხუციშვილის მკვლელობის შესახებ. კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, N3016, 1907 წელი.

სეიფოლა იოსელიანის წერილი ამბაკო ჭელიძისა და მისი მეუღლისადმი, 1926 წელი, ლიტერატურის მუზეუმი, ამბაკო ჭელიძის არქივი, 25809-3)

სეიფულა იოსელიანის წერილი ამბაკო ჭელიძისა და მისი მეუღლისადმი, 1927 წელი, ლიტერატურის მუზეუმი, ამბაკო ჭელიძის არქივი, 25809-1)

სეიფოლა იოსელიანის წერილი ამბაკო ჭელიძისა და მისი მეუღლისადმი,
1927 წელი, გაგრძელება; ლიტერატურის მუზეუმი, ამბაკო ჭელიძის არქივი, 25809-1)

სეიფულა იოსელიანის წერილი ამბაკო ჭელიძისა და მისი მეუღლისადმი, 1928 წელი, ლიტერატურის მუზეუმი, ამბაკო ჭელიძის არქივი, 25809-5)

N988-ტ I

ღრმად პატივცემულო ბატონო ივანე!

[illegible]

თქვენი [illegible] ამბაკო ჭელიძე.

ჩემი მისამართი: Исфагань, Русперсбанк. А. Челидзе.
2 ოქტომბერი, 1927 წ. ისპაჰანი.

ამბაკო ჭელიძის წერილი ივანე ჯავახიშვილისადმი, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ივანე ჯავახიშვილის არქივი, 1927, N4089

ამბაკო ჭელიძის წერილი ივანე ჯავახიშვილისადმი, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ივანე ჯავახიშვილის არქივი, 1927, N4091

სეიფოლა იოსელიანის წერილი ივანე ჯავახიშვილისადმი, 1927 წელი,
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, N4066



ფერეიდნელ ქართველთათვის მიძღვნილი სალამოს აფიშა,
1930 წლის 23 ივნისი, ლიტერატურის მუზეუმი, ამბაკო ჭელიძის არქივი



ფერეიდნელ ქართველთათვის მიძღვნილი სალამოს აფიშა, 1930 წლის 23 ივნისი,
ლიტერატურის მუზეუმი, ამბაკო ჭელიძის არქივი



ფერეიდნელ ქართველთათვის მიძღვნილი სალამოს აფიშა, 1930 წლის 23 იანისი. ლიტერატურის მუზეუმი, ამბაკო ჭელიძის არქივი



ამირანის მშობლების წერილი გამოგზავნილი ფერეიდნიდან, 1933 წელი, ლიტერატურის მუზეუმი, ამბაკო ჭელიძის არქივი, 25809-7

ამირანის წერილი ამბაკოსა და სარასადმი (პირველი გვერდი),
ლიტერატურის მუზეუმი, ამბაკო ჭელიძის არქივი, 25809-8

СЕКРЕТНО. Экз. №./..
9 июня 1943 года.

КОНСУЛЬСТВО СССР В ИСФАГАНЕ

С П Р А В К А

о грузинах исфаганской провинции Ирана.

В середине, отдаленном гористом районе Исфаганской провинции, проживает около 16.000 грузин, переселенцев из Грузии.

Фереидан - горное плато, расположенное на запад и северо-запад от Исфагана, начинающееся от селения Давлетабад, в 60 км. от Исфагана. Район Фереидана у Давлетабада начинается высотой над уровнем моря в 1.800 метров и у наиболее отделенных от Исфагана пунктов достигает высоты в 2.450 м. Фереидонское горное плато разделено горой Хош Кору на две неравные части, в меньшей южной части находится несколько армянских селений и грузинское селение нижняя Ахора /по-персидски - ахора-паин/. От этого селения начинается широкое ущелье, в котором расположены другие грузинские селения, наиболее крупное из сохранившихся - Верхняя Ахора и еще одно маленькое - Чугурурта. Эти селения прилегают к водоразделу, за ту сторону которого начинаются бахтиарские селения и кочевья.

Во второй большой половине плато расположены остальные грузинские, и по соседству с ними армянские, татарские и персидские селения.

Из истории переселения грузин.

Из истории народностей Закавказья известно несколько насильственных переселений в Иран из Армении и восточной Грузии. До царствования извест ного иранского Шаха Аббаса I, известно 7 более или менее крупных переселений.

Первые переселенцы расселялись персидскими правителями преимущественно на севере Персии - в Мазандаране, Гиляне, частично в Хорасанской провинции, Казвинском, Тегеранском и Хамаданском районах.

Известно, например, что часть первых переселенцев- грузин была размещена в Мазандаране, около гор. Астрефа. Однако, вследствие неприлично тяжелых климатических условий; бесчеловечной эксплоатации, грабежей со стороны иранцев и насильственного обращения в Ислам, значительная часть грузин-переселенцев погибла, некоторые разбежались неизвестно куда и лишь небольшая часть ассимилировалась.

В г.Астрефе сохранилось грузинское кладбище, часть города до сих пор носит название "гордэи махалле", т.е. грузинский квартал.

Насильственное переселение армян и грузин, 8-е по счету и относящееся к периоду царствования Шаха Аббаса I, произошло в 1603/04 годах и было по своим размерам и плачевным для переселенцев результатам наи-

ისპაჰანში საბჭოთა კავშირის ვიცე-კონსულის ამსროვის წერილის პირველი გვერდი (შსს არქივი, ფონდი 14, აღწერა 20, საქმე 253, გვ. 43).



ირაკლი კანდელაკის მიერ ჩამოტანილი ბოინელი ქართველის, მოლა პაპიაშვილის წერილი, 1944, შსს არქივი, ფონდი 14, აღწერა 20, საქმე 259, გვ.3.



ქართველი ხალხის წერილი ვასილ მჟავანაძის სახელზე, 1965 წელი;
(შსს არქივი, ფონდი 14, აღწერა 40, საქმე 218, გვ. 175)

დანართი 2
ფოტოები

ყველა ფოტო გ.ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის
სახელმწიფო მუზეუმის ფოტოარქივიდანაა
(ამბაკო ჭელიძის, ვალერიან გუნიას და ლადო აღნიაშვილის ფონდები).

წარწერები: ფოტოს პირი - როგორც მუზეუმს აქვს დასათაურებული.
verso - როგორც აწერია ფოტოს უკანა მხარეზე, სავარაუდოდ, თავად
ფერეიდნელი ქართველის ხელით, ისევე უცვლელადაა გადმოტანილი.

ფრჩხილებში მოცემულია კრებულის ავტორებისეული განმარტება.



3232-10-დ-verso - ყოლი-ხან, ალი-მირზა-ხანის შვილი, გვარად. ონიკაშვილი. სოფ.ზემო მარტყოფიდამ. ამას და ამის მამას აბარია ოთხი ქართული სოფლები: 1) ზემო-მარტყოფი, 2) ვაშლოვანი (სიბაქი), 3) ჩუღურეთი, 4) ჯაგ-ჯაგი

3232-10 -დ - (არ ახლავს მუზეუმის განმარტება)

3232-11-დ - (არ ახლავს მუზეუმის განმარტება)



3232-11-დ- verso ალაჯან ბეგი, ხოდარამანის შვილი, გვარად ხუციშვილი, სოფ. ზემო მარტყოფიდამ

3240-д

3240-2-д –verso სულთანი პასანხანი მესიდაშვილი

3240-2-д სულთან ჰასან ხანი მესიდაშვილი ჯგუფში.

3240-3-დ verso - ჩემი მეწაფეები

3240-3-დ - ალიყული ონიკაშვილი, სეიფოლა ესიაშვილი ჯგუფში.
(ფოტოზე იკითხება -ონიკაშვილი ალიყოლი, სეიფოლა ესიაშვილი, ესიაშვილი, ჩემი ძმა, ესიაშვილნი)

3240-4- დ verso - მოჰამად სადიხ ხან მესიდაშვილი

3240-4-დ . მუჰამედ სადი-ხან მესიდაშვილი ჯგუფში

3240-9-დ verso - ხან ბაბახანის ძე მესიდაშვილი თავისი კაცებით

3240-9-დ . ხან ბაბახანის ძე მესიდაშვილი ცხენზე,
ორი თანმხლები მამაკაცით.



3240-10-დ - verso - ზემო მარტყოფის მეთოფეები

3240-10-დ - ზემო მარტყოფელი მეთოფეები

3240-11-დ verso - მირზა აღაბანი მესიდაშვილი რომელიც უცეფ გარდაიცვალა. ორნი თავესი შვილნი ბიჭებით

3240-11-დ მირზა აღა-ხანი მესიდაშვილი ჯგუფში
(გარდაიცვალა უცებ ორ შვილთან ერთად)

3241-5-დ - ახალგაზრდა ფერეიდნელი ქართველი ქალი ბავშვით ხელში.
(უკან კედელზე ქართული წარწერაა. კარგად იკითხება 1871,
ჩყოა. აღმ...ლი, სვ...იძე)

3241-10-დ - verso. მოჰამა სადიხ ხანის შვილი მესიდა შვილი

3241-10-დ -.მუჰამედ სადი-ხანის შვილი ჯგუფში.
(ფოტოს ზედ აწერია „ჩემი ძმა“)

3240-1-დ. ფერეიდნელი ქართველები. სულთან ჰასან ხანი ჯგუფში.
(ფოტოზე წარწერაა: სულთან, მაჰამად სადიხ ხანი, ხან ბაბახანი)

3240-ნ-დ. დღესასწაული ზემო მარტყოფში.
(ფოტოზე იკითხება: ზემო მარტყოფჩი დღეობის დროს თუმც კარგად არ არეს)

4782-ი. ზემო მარტყოფის დაწყებითი სკოლა. მაქთაბი (ღარიბებისთვის), სპარსეთი, ფერეიდანი. ზემო მარტყოფი. მაჰმად ხანის ფოტო

4783-ი. ქვემო მარტყოფის ფეოდალი - ჰასან ხანი (მოხუცი) და მისი ოჯახის წევრები, სარა და ამბაკო ჭელიძეები, ელენე ფონ შტეინი და მისი ქალიშვილი. 1927 წლის იელისი. სპარსეთი, ფერეიდანი. ქვემო მარტყოფი. მაჰმად ხანის ფოტო(?)

4784-ი. იოსელიანი სეიფოლა (ფერეიდნელი ქართველი), ამბაკო და სარა ჭელიძეები ჯგუფში, ფერეიდნელ ქართველებთან ერთად სეიფოლა იოსელიანის ეზოში. სპარსეთი, ფერეიდანი. მარტყოფი. მაჰმად ხანის ფოტო.
(ამბაკოსთან ერთად პირველ რიგში მყოფი 5 პირი აშკარად არაა ადგილობრივი ქართველი. მეორე რიგში მარჯვნიდან მარცხნივ მეორე ელენე ფონშტეინის ქალიშვილია, მესამე - თაყად ელენე ფონშტეინი, მეოთხე - ჩამჯდარი - სარა ჭელიძე მტრედით). მაჰმად ხანის ფოტო (?)

4787-ი. იოსელიანი სეიფოლა და ზემო მარტყოფის (ფერეიდანი) გლეხები _ ქართველი მუსულმანები. 1927 წლის ივლისი სპარსეთი. ფერეიდანი. სოფელი ზემო მარტყოფი. მაჰმად ხანის ფოტო

4788-ი. ზემო მარტყოფელი გლეხები და უხუცესები. 1927 წლის ივლისი, სპარსეთი, ფერეიდანი. სოფელი ზემო მარტყოფი. მაჰმად ხანის ფოტო

4789-ი. ქვემო მარტყოფელი გლეხი ქალები და სარა ჭელიძე მტრედით. სჯარსეთი, ფერეიდანი, სოფელი ქვემო მარტყოფი. მაჰმად ხანის ფოტო

4795-ი. ფერეიდნელი ქართველები. მაჰარამის მისტერიები - თაზიე, 10 ივლისი 1927 წ., სპარსეთი, ფერეიდანი. სოფელი ზემო მარტყოფი. მაჰმად ხანის ფოტო

6257-ი. ამბაკო ჭელიძე ისპაჰანში. საბჭოთა ბანკის ორ თანამშრომელს შორის, შერიფი (სპარსელი), ხაიმი (ებრაელი) 1928 წ. (ფოტოზე ფანქრით მიწერილია „შერიფი", „ამბაკო ჭელიძე", „ხაიამი". ჩაცმულობის მიხედვით ეს უკანასკნელი შეიძლება სპარსელი „ხაიამ" იყოს და არა ებრაელი „ხაიმ")

6262-1-ი. ამბაკო ჭელიძე ფერეიდნელი ქართველების ჯგუფში. მათ შორის სეიფოლა იოსელიანი, 1926 წ.,ისპაჰანი (რეალურად ამ ფოტოზე 9-დან მხოლოდ 4 თუ არის ფერეიდნელი: სეიფოლა იოსელიანი, 2 ბიჭი და მესამე რიგის შუაში მდგომი პირი სამხედრო ფორმაში)

6260-ი. ამბაკო ჭელიძე და აკაკი ხოშტარია ფერეიდნელ ქართველებთან ერთად თეირანში. აკაკი ხოშტარიას ქარხნის ეზოში, თეირანი, ირანი
(ჩვენი ვარაუდით, 1929 წლის 9 ოქტომბერი - ამბაკო ჭელიძის დასამშვიდობებელი ვახშამი აკაკი ხოშტარიას საპნის ქარხნის ბაღში, რომელიც მოაწყო თეირანში ქართველ ემიგრანტთა საინიციატივო ჯგუფმა.
ფოტოზე ფერეიდნელებზე მეტი არაფერეიდნელები არიან)

Lia Bakuradze, Marina Beridze, Nikoloz Nakhutsrishvili,
Maia Barikhashvili, Elene Napireli

"Fereydani Chronicles"

(Press and Archival Materials Regarding Georgians Residing in Iran)

"Fereydani Chronicles" contains information preserved in Georgian newspapers and archives regarding the fate, history and culture of Georgians living in Iran. The main part of the book focuses on Fereydan and the Georgians residing in this region, although some newspaper articles also reflect the life of Georgians living in other regions of Iran.

For a long time, Georgians had only scarce information about their compatriots living in Persia. This informational gap has been gradually filled since the second half of the nineteenth century.

"Fereydani Chonicles" is aimed to describe the process of raising the issue of Georgians exiled to Persia. The authors demonstrate how this issue gradually became topical for the Georgian society under the Russian rule. The book also reflects the attitude of the Georgian Communist Party and Soviet executive authorities to the issue.

The collected material is provided chronologically and it covers the period from the 70s of the 19th century until the collapse of the Soviet Union. The life of Georgians in Iran after the disintegration of the Soviet Union, when direct relations were established between independent Georgia and the Islamic Republic of Iran deserves a separate research.

"Fereydani Chronicles" is a collection of the materials preserved in various archives, libraries and funds in Georgia: Georgian National Archive, the archive of the Ministry of Interior Affairs, K. Kekelidze National Center of Manuscripts, G. Leonidze Museum of Georgian Literature, the National Parliamentary Library of Georgia, digital library „Iverieli" (dspace.nplg.gov.ge); Georgian Open Library Digital Repository (dspace.gela.org.ge). The only exception is two articles by Yuri Marr published in Leningrad.

The documentary material will provide the reader with more or less complete information about the date and lifestyle of Georgians residing in Iran. The information collected in the book may destroy some myths and stereotypes widespread in the Georgian society.

The majority of documents are preceded by summaries with all the necessary comments and additional information. The author's style, spelling and punctuation are preserved in all materials offered in the book.

"Fereydani Chronicles" is an outcome of the project "Georgians of Iran on the Way to Reintegration with the Historical Motherland" (Head of the Project – N. Nakhutsrishvili). The project has been implemented within the framework of the grants program of the Georgian Ministry of Foreign Affairs "Supporting the Diaspora Initiatives".

The compilers of the collection still continue working in order to enhance the awareness of the Georgian society regarding their compatriots residing in Iran. Further research may reveal new material and information both in Georgia and abroad.

3-უ-2 151
ა. ხი. 51
აბელინ 71
აბას ალა 284
აბასხ-მირზა 19
აბაშიძე 415
აბაშიძე დავით 278
აბდ ორარაზაყხანი 145
აბდორა ზაყხანი145
აბდულ მაშადი 112
აბეხაძე ივლ. 150
აბიაშვილი გ. 206
ადამსკი იოს. 150
ავაკიანი 96
ავალიანი 338
ავითაბოლე (ჰატრი) 101, 103
აინალ ბეგი 209
აკაკი 54. 205, 338
ალავერდხანი. ალავერდი ხანი - უნდილაძე 433, 434
ალექსანდრა დავით-ხერხეულიძისა 150
ალექსანდრე (კახეთის მეფე) 161
ალექსანდრე (თეიმურაზ მეფის ვაჟი) 343
ჭელიძე ალექსანდრე 348, 349
ალექსანდრე (რუსეთის იმპერატორი) 428
ალექსანდრე მაკედონელი 433
ალექსანდრე მეფე 161, 343
ალექსი 80, ალექსო 81
ალი მირზა მამუკაანთი 84
ალი 349
ალი მირზა ხანი ხუციცაანთი 71
ალიაქბერი 71
ალიმაჰმადა 281, ალი მაჰმადა 289
ალი-მირზა-ხანი 82, 457
ალშიბაია იოსებ 150
ამილახვარი თარხან 36, თარხანი 37
ამილახვარი სტეფანე 281, 283
ამირანაშვილი 371
ამირაჯიბი 143, 144
ანდღულაძე 339
არაგვისპირელი 338
არაქელ (არხიმანდრიტი) 74
არაქელ თავრიზელი 166, არაქელ დავრიჟეცი 516
არაქელ-ხანი 97
არდაზიანი ლ. 338
არჩილი 17
ასადოლა 134
ასადოლლა 71
ასადოლლა ქურდიანთი 71
ასიაშვილი სეაფოლა 195
ასკანდარ 115
ასლანაშვილი 430
ასლანაშვილი მოხთარ 421, 422, 429
ასლანი 75.76
ასლანიანნი 71
ასლანიკაშვილი ა. 393, 396
ასლანიკაშვილი ა.ფ. 300
ასლანიკაშვილი ალექსანდრე 400
ასლანიშვილი ლონ გაბრიელ 92
ასლანიშვილი სოსო 210, 211, 218, 230, 243, 245
ასო 115
აქბარ მირბა 484
ალა მაჰმად ხანი 153; ალამაჰმად ხანი 128, ალამაჰმადხანი 152
ალათიანცი 238
ალავკან 72
ალავკან ბეგი 78, 459
ალიანი 70, 71
ალიანნი 169
ალიაშვილი 169
ალნიაშვილი ვლადიმერ (ლადო)55, 59, 96, 92, 104, 108, 110, 117, 117, 118; 151,198, 199, 200, 203, 209, 212, 215, 218, 229, 234, 246, 267, 306, 346, 377, 386, 410, 412, 438, 455 212, 215, 218, 229, 234, 246, 267, 306, 346, 377, 386, 410, 412, 438, 455
აყოლი ხანი 132
აყოლია 72
აყოლია ბეგი 82
აშუროვი 9, 315, 323, 451
ახმედ-ფაშა კახა-ბერი, ახმეთ-ფაშა კახა-ბერი, ახმეთ-ფაშა 21, 22, 23, 24
აჯი აიდარა 355, 359
აჯი ასან ალა ხანი 131
აჯი მიროსეინ გოგიჩაშვილი 132
აჯი რასულა გოგიჩაშვილი 132
აჰმად ყული ხანი 132
აჰმედზიანოვი ა. 416, 418
ბაბა ხანი 193
ბაბუნაშვილი 212
ბაგირ ხანი 181; ბალრხანი 213; ბაყერხანი 8
ბაგრატ-ხანი 342
ბათუანი 70
ბათუაშვილი 169, 212, 222

ბათუაშვილი ალი 431
ბათუაშვილი ახმადყოლი 431
ბათუაშვილი დარვაშალი 431
ბათუაშვილი კოლია 431
ბათუაშვილი მოჰამედ 431
ბათუაშვილი ნეიმათოლა 431
ბათუაშვილი ფაზლოლა 431
ბათუაშვილი ფარიზ 431
ბათუაშვილი ჯავად 431
ბათუაშვილი ჯავად ჰასანის ძე 431
ბალახაშვილი 338; ბალახაშვილი ი. 339
ბანაშა 71
ბარნოვი ე. 337
ბასილაში 70
ბასილაშნი 169
ბასილაშვილი 169
ბატონიშვილი 18, 19, 20, 21, 56, 129
ბატონიშვილი ალექსანდრე 18, 19, 20, 21, 56, 97
ბატონიშვილი ბაგრატი 163
ბატონიშვილი თეიმურაზ 161
ბატონიშვილი კოსტანტინე 123
ბაქრაძე დიმიტრი 54, 55
ბახშიაშვილი 212
ბეგიაშვილი 339
ბეჟან 115
ბერელაშვილი ალექსანდრე 109
ბერია 412
ბერძენიშვილი 150
ბესიკი 338
ბიაშვილი გიორგი 206, 235, 237, 240
ბილანიშვილი ირაკლი 253, 255, 280
ბოლგრა 115
ბორისა 286
ბოცვაძე 179, 190
ბოცვაძე ლუარსაბ 107, 504, ბოცვაძე ლ. 126, 179, 180
ბუალავა 186,188, 189
ბუალავა მ. 185, 190 ბ.მ.
ბუალავა მელიტონ 184
ბრეგაძე ნ. 432
ბუთლიაშვილი ვანო, ვ. ბუთ - ლი 242, 243, 248, 251, 252, 254
ბურციანი 70
ბუჩუკური ლადო 277
ბუხნიკაშვილი 338
გაბაევი გიგო 174
გაბაშვილი ვასილ 253, 257
გაბო 143, 146
გაგარაძე მიხეილ 150
გამრეკელი 340
გამსახურდია 338
გარსევან ბეგი, გარსევან-ბეგი 97, 98
გახოკიძე მ. ლ. 339
გერასიმოვი 368
გერშესაშვილი 340
გველესიანი გ. 396
გეტაძე 337
გიგინეიშვილი ი. 426
გივი 115
გიორგი (არქიმანდრიტი) 231
გიორგი 161, 290
გიორგი მეფე 123, 417
გიორგიბიანი ლადო 277
გიუნაშვილი ჯ. 421
გიქოშვილი პ. 379, 381
გოგებაშვილი 86
გოგებაშვილი იაკობ 9, 33, 54, 86, 200, 337, 338, 412
გოგიჩაიშვილი 222
გოგიჩაშვილი 201
გოგიჩაშვილი 212
გოლჩერა 288
გოშიაშვილი 338
გორბინაში 70
გორგინი 75
გორგინ-ხანი 417, გორგიხანი 435
გორდელაძე თენგიზ 432
გრიგოლია ა. 418. 419
გრიგორიანცი მნაცაკან აკოფის-ძე 129
გრიქური ეპისკოპოსი 48
გრიშაშვილი იოსებ 254, 255, 347, 505
გუგუნაში 70
გუგუნაშვილი 169, 212, 222
გულბათაშვილი გიორგი 182
გულია 71
გულიანი 70
გულიანი 212
გულიაშვილი მად ისმაილ 196
გულო 115
გულოშვილი 169
გურგენიძე ილია პეტ. 150
გურული ვახტანგ 9, 400
გუსეინი (მოლა გუსეინი) 185
დადიანი გ. 378, 379
დადიანი მუშნი 378, 379
დავით აღმაშენებელი 17, 338
დავითაია 395
დავითაია ლავრენტი მაოეს ძე 185, 187, 188, 189, 190
დავითაშვილი 201, 222, 369, 370, 373

დავითაშვილი დათხ 369
დავითაშვილი თედო 289, 291
დავითაშვილი ჰუსეინ 369
დავითი 123
დავითიანი ლავრენტი 142, 183, 184, 188, 190
დარუბი 237
დარისპანანი 70
დარჩიაშვილი 201
დეკანოსიძე ბეს. 150
დელა ვალე 106, დელავალე 92, დელავალლე 164, დელა ვალე პიეტრო 7, 38, 103 დელავალე პიეტრო 57 დელლავალლე 38, დელლავალლე პიეტრო 38, დელა-ვალე 106, 231
დემეტრაძე ნ. 14
დონდუა დ. 341
დუმბაძე შოთა 245, 246
ე. 48
ე. ტო-ლა. 221
ებრაჰამ (აბრამ) 71
ეინოლლა 71
ეკატერინე ივანეს ასული 174
ელარზანი 70
ელიზბარი 344
ერაძე ეთერ 411
ერეკლე მეფე 97, 98, 129
ერისთავი-ხოშტარია 338
ესპაშვილი სეიფოლა 461
ვალიხანი 97, ვალი ხანი 97, ვალი-ხანი 97, 98
ვაჟა ფშაველა 337
ვარდიანი 70
ვარდიაშვილი 339
ვარდიძე პეტრე 380
ვასილ პავლეს - ძე 393, 408
ვახტანგ გორგასლანი 17
ვახტანგ მეფე 17
ვახუშტი 164
ველიშვილი 201
ვეშაპიძე მიხ. 150
ვლადიმიროვ ანდ.150
ვოლცევი 338
ზ. მთაწმინდელი (ჭიჭინაძე ზაქარია) 36, 37
ზ. ჭ. 88, 94
ზაარი კარლ 174
ზარაფიშვილი ილია 118
ზარბანუ 72
ზაქარა 80; ზაქარო 80
ზახარიანი 339
ზებეიდა 352
ზეიდმე სელთენა 131
ზეკოციანი 70
ზელე-სულთანი 131, ზელე სულთანი 131
ზილისულთანი 68
ზოპრა 71
ზუბიტაშვილი მადბაღარა 114
თააჰარა 71
თადეოზი (პატრი) 103
თავადიშვილი ჰაჯიმაჰმად მათიყია-ძე 288
თავაზიშვილი 201
თავაზიშვილი მაჰმუდა 360
თავაზიშვილი ქალაჯი მაჰმუდა 360
თავაზიშვილი ჰაჯიმაჰმად 288, 289
თათაშვილი 347
თამაზ ხანი 223
თამაზიანი 70
თამაზაშვილი 169
თამარ მეფე 17, 106
თამარაშვილი მ. 101,103,112
თამარი 115
თამარისა სეფიანთ ქალი 113
თარვერდანი 70
თარხანოვები 37
თარხნიშვილი მარო 374
თეიდორაშვილი 169
ოევზაძე იოსებ 150
თეიმურაზ მეფე 38, 125, 163, 343; თეიმურაზ პირველი 342, 344
თემურაზი 115
თემურ-ლენგი 384, 433
თვალჭრელიძე მირონა 150
თოდუა მაგალი 320, 416, 417
თოიძე მოსე ბეჟუპის ძე 183,184,188, 189
თოფურია ვარლამ 216, 217, 221, 421,425, 426
თურაფ 72
თურქია 284
იაგუბ-ხანი 21
იადოლლა 61, 71
იადულა 352, 353, 354, 355, 360, 361
იაკობი (პატრი) 103
იასონა 109, 143, 144, 146
იაშვილი 286
იაშვილი პაოლო, იაშვილი პ. 252, 253, 257
იერემია 101
იესე 162, იესე მეფე 163
ივანიშვილი 201
ივანო 279, 280
ივანოვი ივან ივანოვიჩ 14
ილია 127,128, 130
იმედაშვილი ალექსანდრე 50
იმედაშვილი იოსებ 504
იმერელი ქალი 85, 377, 382

იმერლიშვილი ვასო 183
იმერლიშვილი ილიკო 183
ინაური ალექსი 412
იოთან-ბეგ 19
იოსელიანი 222, 371
იოსელიანი აბდოლპოსეინ 431
იოსელიანი ალი-მარდან 431
იოსელიანი სეიფოლა 49, 204, 210, 212, 214, 215, 216, 220, 221, 222, 223, 224, 226, 227, 228,230, 231, 232, 233, 235, 236, 241, 242, 243, 244, 245, 247, 248, 253, 254,255, 256, 257, 263, 265, 267, 269, 270, 272, 275, 278, 279, 280, 281, 282, 283, 284, 285, 341, 350, 352, 356, 359, 363, 372, 376, 377, 378, 379, 381, 382, 383, 384, 386, 410, 421, 425, 441, 447,474, 475, 481;
იოსელიანი სეიფოლა-ხან 211, 223, 234;
იოსელიანი სეიფოლხან 211, 217; იოსელიანი სეიფოლა-ხან 211; იოსელიანი სეიფულა 376; იოსელიანი სეფელა 215; იოსელიანი სეიფოლა 225, 230, 227, 283, 283, 284
იოსელიანი სეიფოლა ხანი 217
ირ-ლი 236
ისა ბახმანი 418, 419
ისა ბეჰნამი 418
ისაია (ყოველად სამღვდელო ისაია) 68
ისკანდერ-ბეგი 24
ისკანდერ მუნში 164, 265
ისო 115
ისოშვილი 201
ისპაანიანნი 71
კავსაძე ს. 339
კაკაბაძე ილ. 150
კალანდაძე რაბილ. 150
კალატოშია კუკუა 150
კალაძე კ. 338
კანდელაკი დ. 256, 257, 260, 261, 261, 263, 264, 270
კანდელაკი ირაკლი 300, 367, 369, 370, 372, 374, 375, 377, 386, 400, 412, 413, 452
კაპანაძე ლევ 150
კარაპეტ ეპისკოპოსი 87
კარგარეთელი 284,
კარიჭაშვილი დავითი 150, 151, 152, 155, 172
კასრაძე 338
კაშმაძე 338
კახა-ბერი 21, 22, 23, 24
კიკვაძე ივ.150
კიკნაველიძე ყარამან 52, 206, 207, 208, 209, 210, 224
კიკნაძე გ. 300, 315, 400
კიკნაძე ყარამან 224
კინკილა 360
კლდიაშვილი დ. 339
კლდიაშვილი სერგო 338, 347
კობიაშვილი გრ. დიმ. 150
კოლა 115
კონსტანტინე 161
კორკია ლადო 150
კოსტავა 150
კოსტანტინე 74
კოტრიკაძე 415
კოჭლაშვილი ნოდარ 387, 392, 409, 411, 412, 415
კურტანიძე ილია 127, 128, 130, 171
კუხიანიძე 339
ლ. 196
ლაისტი არტურ 174, 176, 505
ლამბერტი 231
ლანგ თემური 16
ლაპინსკი ო. 368
ლარიონოვ ფეოდ. 150
ლასხიშვილი გიორგი 9, 118, 119, 120, 181
ლალიძე მ. 253, 257
ლაჩინანი 70
ლაჩინაშვილი 222
ლეკანი 125, 343
ლეილა 71
ლეონიდე ეპისკოპოზი 194
ლეონიძე გიორგი 227, 230, 504
ლიბიტანი (იოსებანი) 70
ლოზოვსკი 336
ლომაური ნ. 338
ლომინაშვილი თეოფ. 150
ლომიძე გრიგოლ 192
ლორთქიფანიძე 338
ლორთქიფანიძე ი. 264
ლორთქიფანიძე იასონ 253, 257
ლორთქიფანიძე კ. 504
ლორთქიფანიძე პაველ 204, 205, 323
ლ---ს 195
ლუარსაბ მეფე 38, 162
ლუარსაბი 194
ლურსმანაშვილი 371
მაბაბან 72
მად სადეხ ხანი 193
მადალია (შეიხი მადალია) 141
მათია (მათე) 74
მათიანი 70
მათიაშვილი 169

მაისურაძე გ.ს. 505
მაისურაძე ნ. 432
მაკალათია 339
მალაშხია პავ. 150
მაშლილი ხანი 141
მაშუკანი (მაშუკაშვილი) ქერბალაი ალი მირზა 75
მაშუკანი 70
მაშუკაშვილი 169
მანურეხანი 142, მანურეხ ხანი 142
მარგალაძე პარმენ 211, 212, 223, 228
მარი იური ს, 261, 291
მარი ნიკო 262
მარიამ ხანუმი 18, 97
მარიამი 115
მარიკანი 338
მარტვილელი კ. 183, 184
მარტიანი 70
მარტინოვი ივან 14
მარ-შიმონი (მარა-სვიმონი) 20, მარშიმონი 21
მარკანაშვილი ნეს. 150
მარკანიშვილი ნ. 301
მასიტაშვილები 132
მასიტაშვილი 201
მასიტაშვილი მადლაღ ხანი 132
მასიტაშვილი მირზა ხანი 132
მასმან 72
მატკული ხანი 357, 358
მაღალაშვილი ივანე 182
მაყა-ბეგ 19
მაყაშვილი 201, 212
მაყაშვილი 201, 212, 215
მაყაშვილი მაჰმუდა 142, 143
მაყაშვილი მოჰამედ 421
მაშარუხდი 144
მაშაშვილი 337
მაჭაბელი ივ. 504
მაჭაბელი მიხეილ ვახ. 117
მაჭავარიანი მარიამ 340
მაჭავარიანი სვიმონ 119, 120
მახარაძე ფილიპე 281, 283
მაჯერ ანტ. 150
მაჰმად შაჰი 152
მაჰმად ხანი 472, 473, 474, 475, 476, 477, 478
მაჰმედ სადეს ხანი 193
მგალობლიშვილი ლიდია 49, 85, 377, 382
მგალობლიშვილი ს. 338
მეგრელიძე 339
მელაშვილი 201
მელიტონა 143
მელიქ ზალე 19
მენაბდე იასონ სპირიდონის ძე 109, 120, 184, 188, 190
მერაბ 115
მესიდაშვილები 193
მესიდაშვილი 193, 195
მესიდაშვილი ბაბა ხანი 193
მესიდაშვილი მირზა ალახანი 466
მესიდაშვილი მოჰამედ სადეხ ხანი 193,
მესიდაშვილი მოჰამედ სადეხ ხანი462;
მესიდაშვილი მუჰამედ სადი-ხანი 463, 469;
მესიდაშვილი მოჰამა სადეხ ხანი 468
მესიდაშვილი სულთან ჰასან ხანი 460
მესიდაშვილი ხან ბაბახანი 464
მესიდაშვილი ჰასან ხანი 460
მესკინა 72
მესხი 415
მესხი სერგი 30, 54, 504
მეტრეველი 338
მეუნარგია აკაკი 341, 345, 506
მინავარა 71
მინორსკი ვ. თ. 416
მირანიუკი ვასილ 150
მირზა ალია 147
მირზა იაკოფი 98
მირიანაშვილი ალ. 198, 200
მირიმანოვი 380, 381
მიქელანი (მიქელაძე) ამირან 435
მიქელანი რეზა 431
მიქელანი ფარვიზ 431
მიქელაშვილი ყ. 263
მიქელაძე ი.
მიქელაძე რევაზ 433,435
მიქელაძე 212
მიშა 290
მობინაშვილი პაკი შეიხოლ ისლამ 194
მობონაშვილი მოლა ალი ასყარა 114
მოლა შეიხ მამად ალი 185
მორიეზა 288
მოსაება 283
მოსაშვილი 338
მოწკევიჩ ბრონისლავ 150
მუკანაძე ვასილ პაველს ძე 393, 396, 398, 453
მუსა 115
მუსტაფა 365
მუშაკარ 72
მუხრანბატონი აშოთან 343
მშვენიერაძე 150
ნადირშაჰი 152, 159, ნადირ-შაჰი 128, ნადირ შაჰი 155
ნავრუზალა 283
ნათიშვილი შაშა 182, 183

ნაკაშიძე 339
ნანაჯან 72
ნარიმანოვი 381
ნასერედინ შაჰი 152
ნასროლა 134, 410
ნასრულა 421
ნატროშვილი მოსე 302, 400
ნატუცრიშვილი 338
ნებიერიძე ბართლომე 91, 92, 94, 96
ნებიერიძე რაფიელ (პატრი) 18, 95, 98
ნედაგ კულია 291
ნიკოლოზი (რუსეთის იმპერატორი) 222, 247
ნინოშვილი ევნატე 337, 410
ნორუზა 363
ნუნი (ნინო) 98
ონიკაანი 70
ონიკაშვილები 359
ონიკაშვილი ყ. გუსეინ 185, 186
ონიკაშვილი 15, 67, 118, 119, 120, 121, 125, 126, 152, 154, 169, 173, 175, 176, 179, 180, 182, 186, 187, 188, 191, 192, 200, 201, 222, 204, 215, 219, 220, 247, 248, 376, 429
ონიკაშვილი აბას 195
ონიკაშვილი ათამ (ალექსანდრე) 29; ონიკაშვილი ათამ 6, 7, 13, 15, 21, 26, 30, 52, 53, 54, 55, 56, 57, 58, 59, 96, 108, 111, 167, 200, 214, 266, 304, 384, 385; ალექსანდრე, ონიკაშვილი ათამა 14, 15, 169, 170, 200; ონიკაშვილი ათანასი 96
ონიკაშვილი ალექსანდრე 27, 28, 29, 30, 421, 426, 429
ონიკაშვილი ალი მირზა 132, ონიკაშვილი ალმირზა 132, ონიკაშვილი ალი მირზა ხანი 131, 132, 457
ონიკაშვილი ალიყოლი 195
ონიკაშვილი ალიყული 461
ონიკაშვილი აქბა 376
ონიკაშვილი გოლამრეზა 431
ონიკაშვილი გუსეინ 184
ონიკაშვილი იოთამ 421, ონიკაშვილი იოთამა 410
ონიკაშვილი კოლია 181, 182, 431
ონიკაშვილი მატკული ხანი 357
ონიკაშვილი მოჰამედ 410
ონიკაშვილი ნასრათოლა 431
ონიკაშვილი ნასრულა 200
ონიკაშვილი ნაჯაბ 112
ონიკაშვილი ფათემა 112
ონიკაშვილი ყ. 196
ონიკაშვილი ყ. გუსეინ 184
ონიკაშვილი ყოლა მოსეინ 133
ონიკაშვილი ყოლა მუსეინ 106, 107, 110, 112, 115, 118
ონიკაშვილი ყოლა ჰუსეინ 215
ონიკაშვილი ყოლამ ოსეინ 149
ონიკაშვილი ყოლამ უსეინ 172
ონიკაშვილი ყოლამ ჰოსეინ 151, 152, 153
ონიკაშვილი ყოლამ ჰუსეინ 106, 177, 191, 195, 206, 214; ონიკაშვილი ყოლამჰუსეინ 8
ონიკაშვილი ყოლამოსეინ 133
ონიკაშვილი ყოლამოსეინა 120
ონიკაშვილი ყოლამ-უსეინ 203
ონიკაშვილი ყოლამ-ჰოსეინ
ონიკაშვილი ყოლამ-ჰუსეინ 151, 194
ონიკაშვილი ყოლი ხან 457
ონიკაშვილი ყულამ გუსეინ 189
ონიკაშვილი ყულამ გუსეინ აბდულას ძე 190
ონიკაშვილი ხოდარამ ხანი 78
ონიკაშვილი ჰუსეინ 267
ორბელიანი 338
ორბელიანი გრიგოლ 14, 21, 22,54, 56, 58, 176, 338
ორბელიანი სულხან-საბა 338
ორსინე (პატრი) 106
ორსინე 231
ორჯონიკიძე 150
ორჯონიკიძე სერგო 181
ოჩიგავა ბახვა 150
პავლენკო 337
პანასი (ლორთქიფანიძე პავლე) 205, 206
პაპაშვილი (მოლა პაპაშვილი) 372, 374; პაპიაშვილი (მოლა პაპიაშვილი) 452
პაპაშვილი 371
პაპაშვილი ამირან 410, 412, 449, 450; პაპიაშვილი ამირან 287, ამირალა 285, ამირ მირჯაზი 410, 411 მირჯაზი ა. 287, პაპიაშვილი ემირი 36; პაპიაშვილი ამირან 361, 364
პაპი ურბანუს მერვე 7, 38
პაპიაშვილი მამდასანა (მოჰამად-ჰასან) 300
პაპიაშვილი ნარგიზა 390
პეპელა 286, 287
ჟან მარტენი 14
ჟილო-ხანი 98
ჟორდანია დ. 150
ჟორდანია ეანო 150
ჟორჟოლიანი ს. 263, 264
რამიშვილი 275
რაფაელ-ხანი 98
რეზა 430
რეზა ყული ხანი 361

რეკლიუ 65
რეხვიაშვილი მ. 378, 379
რომყია 71
როსტომა 115
როჩაინკო 150
რუზველტი 368
რუსთაველი 17, რუსთველი 24
რუსიევი 150
ს...კაშვილი 169
საალი 383
საკაშვილი 371
საკაშვილი ალი 373
საკაშვილი გიორგი 212
საკაძე გიორგი 112, 123, 212, 378
საკაძე იოსებ 104
საგინაშვილი 117
საგინიანი 117
სადაკი 284
სათარხანი 181
სალმ ხანი 105
სამადანი 70
სამადაშვილი 169
სამსონი 192, 194
სარაჯიევი დავით 174
სარაჯიშვილი 199
სარაჯიშვილი დავით ზაქარიას ძე 173, 174
საცილარი ტინო 150
საყვარელიძე პ. დ. 268
საყვარელიძე პაულე 253, 257; საყვარელიძე პ. 254, 263, 264, 265
საჯაია ა. 338
სეიფოლა ხანი 212, 217, 218
სემიონოვი ა. 368, 377 სემიონოვი 371
სესე 115
სეფიანი 70
სეფიანი (სეფიაშვილი) მაჰმად 433, 435
სეფიაშვილი 222
სვიმონ მეფე 74
სვიმონი (წმინდა სვიმონი) 20
სიდამონიძე ვ. 382, 384
სიმონ მეფე 100
სიმონიშვილი 339
სიტოშვილი 201
სმირნოვი 336
სოლოლაშვილი 339
სორეა 414
სოლრა 72
სოშეხ 97
სოხაძე 339, 340
სტალინი იოსებ 181, 300, 336, 368, 374, 507, 412
სულეიმან ხანი 142
სულთან ხანი 193
სულთან ჰასან ხანი 470
სულთანა 354
სულთან, მაჰამად სადიხ ხანი 470
სულიკაანთი მაჰმუდ 71
სულიკაანი 70
სულიკაშვილი 201
ტაბიძე გალაკტიონ 504; ტაბიძე გალაქტიონ 338
ტარიელაშვილი 201
ტატიშვილი ალექსანდრე 150
ტატიშვილი გიორგი (ვანო) 181
ტატიშვილი ვანო 183
ტუსკაძე თეიმურაზ 150
უდაბნოელი 232, 235
უმიკაშვილი პეტრე 54, 424, 425, 426,429
ურუშაძე ხარიტონ 150
ურუჯალა 71
ფათემა 228
ფათმანისა 72
ფათოლა ხანი 131, 133, 138, 139; ფათოლახანი 131, ფათულა 356, 359; ფათულა ხანი 359
ფაიდა 354
ფარაჯი ალა 363, 364
ფარმან-ბეგი 98
ფარნავაზ მეფე 428
ფარსადან გიორგი-ჯაბიძე 38
ფატალი შაჰი 152
ფახრულ მოლქი 140
ფეთ-ალი შაჰი 19
ფერია 266
ფერია 71
ფერიდან (ფრიდონ) 115
ფეჰლევი მოჰამედ რეზა 115
ფირცხალავა სამსონ 126, 506
ფონ შტეინი ელენე 473, 474
ფოცხვერაანი 70, ფოცხვერაანნი 169
ფოცხვერაშვილი 169
ფოცხვერაშვილი 339
ფრანგიშვილი ალექსანდრე 432
ფრუიძე კოტე 302,400
ფრუიძე ლ. 432, ფრუიძე ლევან 384, 387, 431, 433
ფურცელაძე ანტონ 92, 99,112 ფურცელაძე 338, ფურცელაძე ა. 338
ფასრ ოლ-მოლქ-ი 140
ქავთარაძე ივ. 426
ქავთარაძე ქ. 504
ქაიხოსრო 194, 195
ქალაჯი მაჰმუდა 360
ქართველიშვილი 183, 189

ქართველიშვილი ბ. 188
ქართველიშვილი გაბო პლატონის ძე 185, ქართველიშვილი გაბო 183, 184, 186,190
ქარიმა 356, 357
ქარციკაძე ვლად. ალ. 150
ქეესიანი 70
ქეთევან დედოფალი 103, 113, 123, 125, 231, 342, 343
ქეთევანი 378, 85
ქერიმ შახი 226, ქერიმ შაჰი 226
ქერიმ ხანი 152
ქერიმ-შაჰი 222
ქვარიანი ს.337
ქველიძე ნიკოლ. 150
ქიქოძე გ. 337
ქიქოძე გერონტი 119, 120
ქორსუმ 72
ქუთათელაძე 150
ქუმსიაშვილი 182, 183
ქურდიანი 71
ქუჩიშვილი 337
ღამბაშიძე დ. 47
ყ. რიზა 186, 188, 189
ყაზბეგი 337
ყალბეგიშვილი მადუსენ 130
ყალა-ხანი 98
ყარანგოზიშვილი ნ. 261, 263, 264, 271, 272, 273; ყარანყოზიშვილი 261, 262, 264
ყარსამან-ბეგ 19
ყაფლანაშვილი (ყალანი) ჰოსეინ / ჰუსეინ 421, 422, 424, 425
ყაფლანაშვილი ექეფა 422
ყიფიანი ნიკოლოზ (ნიკო) 7, 13, 14, 18, 111, 169
ყოლამ რეზა 184
ყოლამოსეინა 282
ყოლამჰუსეინი 206
ყოლიშრეზა 138, 139, 148, 149
ყუბანეიშვილი 338
ყულამ გუსეინი 184
ყულამ რიზა 184, 189
ყული ხანი 361
შალვა ქსნის ერისთავი 344
შალიკაშვილი 99
